ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0132-1590-X

ანათერი

6

1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობები

წელიწადი 66-ე № 6 ივნისი, 1990 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

ახალი აღთქმა — კათოლიკე ეპისტოლენი. თარგმანი ძველბერძნულიდან . . 3

პროზა, პოეზია

ლია სტურუა — ლექსები 40
სტეფანე კასრაძე — თარი-არალე. რომანი. მეორე ნაწილი. გაგრძელება . . . 46
მანანა ჩიტიშვილი — ლექსები 73
გიგი სულაკაური — ნაპრალი. ლექსი 75
მზისავარ თურმანაული — ლექსები 76
რევაზ მიშველაძე — ნოველები 79
ირაკლი ჩარკვიანი — ლექსები 97
თამაზ გარჯაძე — ლექსები 100
თამარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა — თავგადასავალი ლევან გოთუასი
გაგრძელება 102

მოგონებები, ფაქტები

რატომ დაიხურა გაზეთი „დროება". პუბლიკაცია ნელი ბოსტაშვილისა 114

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

მერი ჭელიძე — „მკვდრის მზის" ფილოსოფიური საზრისი 125
მერაბ კოსტავა — გალაკტიონი 129
აკაკი გაკრაძე — მწერლობის მოთვინიერება. გაგრძელება 136
გიორგი სიხარულიძე — მჭევრმეტყველი 149
გია კანკავა — ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი
ტენდენციის შესახებ 159

მეცნიერება

დათო მაღრაძე — რათა ვიყვნეთ ყოველნი ერთგვამ 167

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. გვერდწითელი, ალ. გომიაშვილი, ბ. დოჩანაშვილი, ბ. კალანდია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, ბ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი აღთქმა

კათოლიკე ეპისტოლენი

იაკობისა

თავი პირველი

1. იაკობი, ღმრთისა და უფლის იესო ქრისტეს მონა, თორმეტ განთესილ ტომს, — გიხაროდეთ.

2. ყოველივე სიხარულად შერაცხეთ, ძმანო ჩემნო, როცა ვარდებით სხვადასხვანაირ განსაცდელში;

3. იცოდეთ, რომ გამოცდა თქვენი რწმენისა დასაბამს აძლევს მოთმინებას;

4. ხოლო მოთმინების საქმე სრულქმნილი უნდა იყოს, რათა თავადაც სრულქმნილნი იყოთ და სრულყოფილნი, ყოველგვარი ნაკლის გარეშე.

5. ხოლო თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, დე, სთხოვოს ღმერთს, რომელიც ყველას უშურველად ძიაგებს მას, და მიეცემა.

6. მაგრამ, დე, სთხოვოს რწმენით, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ვინაიდან მეჭველი ზღვის ტალღასა ჰგავს, ქარით ღელვილსა და მიმოტაცებულს.

7. ნუ ეგონება ამნაირ კაცს, თითქოს რაიმეს მიიღებს ღმრთისგან.

8. ორგული კაცი უმტკიცოა ყველა მისეულ გზაზე.

9. დე, იქადოდეს დამდაბლებული ძმა თვისი სიმაღლით,

10. ხოლო მდიდარი — თვისი სიმდაბლით, რადგანაც მინდვრის ყვავილივით გადავა იგი.

11. ვინაიდან ამოდის მზე და დააცხუნებს, ხვატი გაახმობს მდელოს, და დაჭკნება მისი ყვავილი, და განქარდება მისი მშვენება; ასე ჩაჭკნება მდიდარიც თავის გზაზე.

12. ნეტარია კაცი, რომელიც გაუძლებს საცდურს, რადგან განსაცდელგამოვლილი მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც ღმერთმა აღუთქვა თავის მოყვარეთ.

13. ხოლო განსაცდელში ნურავინ იტყვის: ღმერთი მცდისო; ვინაიდან ღმერთი არ გამოიცდება ბოროტით, და არც არავის სცდის.

14. არამედ ყველა საკუთარი გულისთქმით ცდუნდება და წარიტაცება.

15. ხოლო შემდეგ გულისთქმა ჩასახავს და შობს ცოდვას; ცოდვა კი, ჩადენის შემდეგ, შობს სიკვდილს.

16. ნუ შეცდებით, ჩემო საყვარელო ძმანო;

17. ყოველი კეთილი საბოძვარი და ყოველი სრულქმნილი ნიჭი ზეგარდმო გადმოსულია, ნათელთა მამისაგან, ვისთვისაც უცხოა ცვლადობა და ცვლილების ჩრდილი.

18. მან ისურვა და გვშვა ჩვენ ჭეშმარიტების სიტყვით, რათა მისი ქმნილებების ერთგვარი დასაბამი ვყოფილიყავით.

19. მაშ, ჩემო საყვარელო ძმანო, ყოველი კაცი მარდი იყოს სასმენად, მარდი სათქმელად, და ზანტი გულის წყრომად.

20. რადგანაც გულისწყრომა კაცისა როდი შეიქმს ღმერთის სიმართლეს.

21. ამიტომ განიშორეთ ყოველგვარი მწიკლოვანება და ყოველგვარი ბოროტება, და თვინიერებით შეიწყნარეთ ნერგი სიტყვისა, რომელსაც ძალუძს თქვენი სულების ხსნა.

22. მაშ, იყავით სიტყვის აღმსრულებელნი, და არა მხოლოდ სიტყვის

გაგრძელება. იხ. „ახალი [illegible]

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსმენელნი, რომელნიც ატყუებენ თავიანთ თავს.

23. რადგანაც ვინც ისმენს, მაგრამ არ ასრულებს სიტყვას, იმ კაცსა ჰგავს, რომელიც უმზერს თავის ნამდვილ სახეს სარკეში;

24. დაინახავს თავის თავს, წავა და მაშინვე ავიწყდება, როგორი არის.

25. მაგრამ ვინც სწვდება სრულყოფილ რჯულს, იმავე რჯულს თავისუფლებისას, და მკვიდრდება მასში, არა როგორც გულმავიწყი მსმენელი, არამედ როგორც საქმის აღმსრულებელი, ნეტარია თავისი საქმით.

26. თუ რომელიმე თქვენგანს ღმრთისმოსავი ჰგონია თავი, და ლაგამს არ ამოსდებს ენას, არამედ აცდუნებს თავის გულს, ფუჭია მისი ღმრთისმოსაობა.

27. წმიდა და უმწიკვლო ღმრთისმსახურება ღმრთისა და მამის წინაშე ისაა, რომ გაჭირვებაში მიხედო ქვრივობლებს, და ამ ქვეყნისაგან შეუგინებლად დაიცვა თავი.

თავი მეოთხე

1. ძმანო ჩემნო, გწამდეთ უფლის ჩვენის იესო ქრისტეს დიდება მიუკერძოებლად.

2. რადგან თუ თქვენს საკრებულოში შემოვა მდიდრულად ჩაცმული და ოქროს ბეჭდიანი კაცი, და შემოვა შეურაცხი სამოსით მოსილი გლახაკიც,

3. და თუ თქვენ შეხედავთ მდიდრულად ჩაცმულს და ეტყვით: აქ დაბრძანდი, ხოლო გლახაკს — იქ დადექი ,ან: ჩემს ფერხთით დაჯექო,

4. განა ერთმანეთისაგან არ ასხვავებთ მათ თქვენდა თავად, და განა უკეთური ზრახვით სავსე მსაჯულნი არა ხართ?

5. ისმინეთ ,ჩემო საყვარელნო ძმანო; განა ამ ქვეყნის გლახაკნი არ გამოარჩია ღმერთმა მდიდრებად რწმენითა და მკვიდრებად სასუფევლისა, რომელიც აღუთქვა თავის მოყვარეთ?

6. თქვენ კი შეურაცხყავთ გლახაკნი. განა მდიდარნი არ გმძლავრობენ თქვენ, და განა იგივენი არ მიგათრევენ სამსჯავროებში?

7. განა ისინი არა ჰგმობენ კეთილ სახელს, რომლითაც იწოდებით თქვენ?

8. თუ ასრულებთ სამეუფო რჯულს: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი, კეთილსა ჰყოფთ.

9. მაგრამ თუ ხალხს ასხვავებთ, ცოდვას სჩადიხართ, და მხილებულ იქნებით რჯულის მიერ, როგორც დამრღვევნი.

10. რადგან ვინც დაიმარხავს მთელ რჯულს, და შესცოდავს მხოლოდ ერთ რამეში, ყველაფერში შემცოდეა.

11. რაკი მან, ვინც თქვა: არა იმრუშო, ისიცა თქვა: არა კაც ჰკლა; ამიტომ, თუ არ იმრუშებ, მაგრამ კაცს მოკლავ, მაინც რჯულის დამრღვევი ხარ.

12. მაშ, ისე ილაპარაკეთ, და ისე მოიქეცით, როგორც იქცევიან თავისუფლების რჯულის მიერ განსასჯელნი.

13. რადგანაც მსჯავრი უწყალო იქნება მისთვის, ვისთვისაც უცხო იყო გულმოწყალება; მოწყალება მსჯავრზე უმძლავრესია.

14. რას გამოელის, ძმანო ჩემნო, ის, ვინც ამბობს, რწმენა მაქვსო, მაგრამ არა აქვს საქმე? შესძლებს კია ეს რწმენა, რომ იხსნას იგი?

15. თუკი ძმა ან და შიშველია და ლუკმა პური არ გააჩნიათ,

16. და რომელიმე თქვენგანი ეტყვის მათ: წადით მშვიდობით, გაძეხით და გათბით, და არ კი მისცემს მათ სახმარს ხორცისას, რას გამოელის?

17. ასევე რწმენაც, საქმის გარეშე, ,მკვდარია თავისთავად.

18. მაგრამ მავანი იტყვის: შენა გაქვს რწმენა, და მე მაქვს საქმე; მიჩვენე შენი რწმენა შენს საქმეთაგან, და მე ჩემს საქმეთაგან გიჩვენებ ჩემს რწმენას.

19. შენ გწამს, რომ ერთია ღმერთი? კეთილი და პატიოსანი; ეშმაკებსაც სწამთ, და ძრწიან კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. განებავს იცოდე, ამაო კაცო, რომ რწმენა მკვდარია საქმის გარეშე?

21. განა საქმით არ გამართლდა აბრაამი, მამა ჩვენი, როცა სამსხვერპლოზე შესწირა ისაკი, თავისი ძე?

22. ხომ ხედავ, რომ რწმენა შეეწია მის საქმეს, და საქმით მიაღწია რწმენამ სრულქმნილებას?

23. და აღსრულდა წერილის სიტყვა: სწამდა აბრაამს ღმერთი, და შეერაცხა მას სიმართლედ, და ღმრთის მეგობრად იწოდა იგი.

24. ხომ ხედავ, რომ კაცი საქმით მართლდება, და არა მხოლოდ რწმენით?

25. და განა რწმენით არ გამართლდა მეძავი რახაბიც, რაკიღა შეიწყნარა მსტოვარნი და სხვა გზით წარავლინა?

26. ვინაიდან როგორც სხეული მკვდარია სულის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდარია საქმის გარეშე.

თავი მესამე

1. ძმანო ჩემნო, ნუ იქცევით მრავალნი მოძღვრად; იცოდეთ, რომ მით უფრო დიდ სასჯელს მივიღებთ,

2. რადგანაც ყველანი მრავალსა ვცოდავთ; ვინც არა სცოდავს სიტყვით, იგია სრულქმნილი კაცი, რომელსაც ძალუძს დაურვება თავისი ხორცის.

3. აჰა, ჩვენ ლაგამით ვიურვებთ ცხენებს, რათა დაგვემორჩილონ და ჩვენს ნებაზე ვათამაშებთ მთელს მათ სხეულს.

4. აჰა, ხომალდებსაც, ესოდენ დიდსა და მძლავრი ქარიშხლით ატორტმანებულ ხომალდებსაც, პატარა საჭით იქით მიაქცევს მენავე, საითაც სურს.

5. ასევე ენაც მცირე ასოა, და დიდად კი მძლავრობს. აჰა, პატარა ალი რამხელა ტყესა ჰბუგავს.

6. ენაც ალია, სიცრუის სამკაული. ენას ისეთი ადგილი უჭირავს ჩვენს ასოებს შორის, რომ ბილწავს მთელს სხეულს, და ალად აქცევს სიცოცხლის ჩარხს, და თვითონაც აალებულია გეენისაგან.

7. რადგან მხეცთა და ფრინველთა, ქვეწარმავალთა და ზღვის ცხოველთა მთელი ბუნებაა თვინიერდება და მოთვინიერებულია კაცის ბუნებით.

8. ენის მოთვინიერება კი არცერთ კაცთაგანს არ ძალუძს. იგია აღვირახსნილი ბოროტება, სავსე მომაკვდინებელი გესლით.

9. ენით ვაკურთხებთ ღმერთსა და მამას, და ენითვე შევაჩვენებთ ღმრთის ხატად შექმნილ კაცთაც.

10. ერთსა და იმავე ბაგეთაგან გამოვა კურთხევაცა და წყევლაც, არ უნდა იყოს ეს, ძმანო ჩემნო, ასე.

11. განა ერთი და იმავე წყაროს თვალისაგან ამოჩუხჩუხებს ტკბილი და მწარე წყალიც?

12. განა შეიძლება, ძმანო ჩემნო, ლეღვის ხემ ზეთისხილი მოისხას, ხოლო ვაზმა — ლეღვი? ასევე ვერცერთი წყარო ვერ წარმოადენს მტკნარსა და მლაშე წყალს.

13. ვინ არის ბრძენი და მცოდნე თქვენს შორის? სინამდვილეში გვიჩვენოს ეს, კეთილი ქცევითა და ბრძნული სიმშვიდით.

14. ხოლო თუ გულში გიძევთ მწარე შური და შუღლი, ნუ იქადით და ნუ გვიყალბებთ ჭეშმარიტებას.

15. არ არის ეს სიბრძნე ზეცით ჩამოსული, არამედ მიწიერი, მშვინვიერი და ეშმაკეული.

16. ვინაიდან სადაც არის შური და შუღლი, იქვეა შფოთი და ყოველი საქმე ბოროტი.

17. ხოლო ზეცით ჩამოსული სიბრძნე, უწინარეს ყოვლისა, წმიდაა, და მერე — მშვიდი, თვინიერი, მოოჩილი, გულმოწყალებითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და პირდაპირი.

18. ხოლო სიმართლის ნაყოფი სიმშვიდით ითესება მშვიდობის მყოფელთა მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

1. საიდან იღებენ დასაბამს თქვენი ბრძოლები და ცილობანი, თუ არა თქვენსავ ასოებში ურთიერთ ^^ რძოლი ვნებებისაგან?

2. გსურთ, და არა გაქვთ; კლავთ და გშურთ, და საწადელს ვერ აღწევთ; იბრძვით და ომობთ, და ვერ კი იხვეჭთ, იმიტომ რომ არ ითხოვთ.

3. ითხოვთ, და ვერ იღებთ, იმიტომ რომ ბოროტად ითხოვთ, რათა თქვენივე ვნებები დაიცხროთ.

4. მეძავნო და მემრუშენო, ნუთუ არ იცით, რომ ამ ქვეყნის სიყვარული მტრობაა ღმრთისა? ამიტომ ვისაც სურს ამ ქვეყნის მოყვარე იყოს, ღმრთის მტრად იქცევა.

5. ან იქნებ ფიქრობთ, რომ ამაოდ ამბობს წერილი: სულს, რომელიც მკვიდრობს ჩვენში, შურამდე სურს?

6. მაგრამ მით უფრო მეტ მადლს იძლევა. ამიტომაც თქმულა: ქედმაღალთ მუსრავს ღმერთი, მდაბალთ კი მადლით მოსავს.

7. მაშ, დაემორჩილეთ ღმერთს; წინ აღუდექით ეშმაკს, და უკუიქცევა თქვენგან.

8. მიუახლოვდით ღმერთს, და მოგიახლოვდებათ; გაისუფთავეთ ხელები, ცოდვილნო, და გაიწმინდეთ გულები, ორგულნო.

9. იტანჯეთ, იგლოვეთ და ივაგლახეთ; დაე, თქვენი სიცილი ტირილად იქცეს, ხოლო თქვენი სიხარული — მწუხარებად.

10. დაიმდაბლეთ თავი უფლის წინაშე, და აგამაღლებთ თქვენ.

11. ნუ იტყვით, ძმანო, ერთურთის ძვირს; ვინც ძმის ძვირს იტყვის, და განსჯის თავის ძმას, რჯულის ძვირს იტყვის, და განსჯის რჯულს; ხოლო თუ რჯულს განსჯი, რჯულის აღმსრულებელი კი არა ხარ, არამედ მსაჯული.

12. ერთია რჯულმდებელი და მსაჯული, რომელსაც ძალუძს თქვენი ცხონებაცა და წარწყმედაც. შენ კი ვინა ხარ ,რომ განსჯი მოყვასს?

13. ახლა კი თქვენ, ^^ ^^ ^^

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. მაშ, ნუ დრტვინავთ, ძმანო, ერთურთის მიმართ, რათა არ განისაჯოთ. აჰა, მსაჯული კარის წინაშე დგას.

10. ჭირთათმენისა და დიდსულოვნების ნიმუშებად გყავდეთ, ძმანო ჩემნო, წინასწარმეტყველნი, რომლებიც ლაპარაკობდნენ უფლის სახელით.

11. აჰა, ჩვენ შევნატრით ჭირთამთმენთ. ხომ გსმენიათ იობის მოთმინება, და გიხილავთ უფლის აღსასრული; რადგან ის მრავალმოწყალეა და თანამლმობელი.

12. ხოლო, უწინარეს ყოვლისა, ძმანო ჩემნო ,ნუ იფიცავთ ნურც ცას, ნურც მიწას და ნურც რომელსამე სხვა ფიცს; არამედ თქვენი სიტყვა იყოს: ჰო, ჰო, და არა, არა, რათა არ ჩაცვივდეთ განსაკითხველში.

13. უჭირს რომელიმე თქვენთაგანს? ილოცოს; ხარობს ვინმე? ფსალმუნნი იგალობოს.

14. ავადმყოფობს რომელიმე თქვენგანი? ეკლესიის ხუცესთ მოუხმოს, რათა ილოცონ მისთვის და ზეთი სცხონ უფლის სახელით.

15. და რწმენის ლოცვა იხსნის სულს, და აღადგენს მას უფალი; და თუ ცოდვები აქვს ჩადენილი, მიეტევება მას.

16. აღიარეთ ერთმანეთის წინაშე თქვენი ცოდვები, და ილოცეთ ერთმანეთის გამო ,რათა განიკურნოთ, ვინაიდან ბევრი რამ ძალუძს მართლის გულმოდგინე ლოცვას.

17. ელია ჩვენნაირი კაცი იყო, და ლოცვით ილოცა, რომ არ ეწვიმა, და სამი წლისა და ექვსი თვის მანძილზე წვეთი არ დასცემია მიწას.

18. და კვლავ ილოცა, და მისცა ცამ წვიმა, და მიწამაც აღმოაცენა ნაყოფი თვისი.

19. ძმანო, თუ რომელიმე თქვენგანი გადაუხვევს ჭეშმარიტებას, და თუ ვიხმე მოაქცევს მას,

20. იცოდეს, რომ ცოდვილის მოქცევა მცდარი გზიდან სიკვდილისაგან იხსნის სულს, და დაჩრდილავს უამრავ ცოდვას.

პირველი პეტრესი

თავი პირველი

1. პეტრე, მოციქული იესო ქრისტესი, პონტოსა და გალატიაში, კაპადოკიასა, ასიასა და ბითვინიაში განთესილ ხიზნებს,

2. უფლის წინასწარცოდნითა და სულის სიწმიდით რჩეულთ მორჩილებისა და იესო ქრისტეს სისხლის პკურებისათვის, — მადლი და მშვიდობა გიმრავლოთ!

3. კურთხეულია ღმერთი და მამა უფლის ჩვენის იესო ქრისტესი, რომელმაც, თავისი მრავალმოწყალებისამებრ, ხელახლა გვშობა ჩვენ ცოცხალი სასოებისთვის, იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომით,

4. უხრწნელი, წმიდა, უჭკნობელი და ცაში ჩვენთვის განკუთვნილი სამკვიდრებლისთვის;

5. ჩვენთვის, ვინც ღმერთის ძალითა და რწმენის წყალობით, დაცულნი ვართ ცხონებისათვის, რომელიც მზად არის გამოსაჩინებლად უკანასკნელ ჟამს,

6. და რომელსაც შეჰხარით, ამჟამად (თუკი საჭიროა), ცოტა არ იყოს, შეჭირვებულნი სხვადასხვაგვარი საცთუნებელით,

7. რათა თქვენი რწმენის გამოცდა, შეუდარებლად უფრო ძვირფასი, ვიდრე გამოცდა ოქროსი, რომელიც ლღვება და მაინც ცეცხლით არის ნაცადი, — საქებ-სადიდებელი და სასახელო აღმოჩნდეს თქვენთვის, როცა გამოგეცხადებათ იესო ქრისტე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. რომელსაც არ იცნობთ და გიყვართ, და რომელსაც აწ ვერ ხედავთ და გწამთ, და გიხარიათ გამოუთქმელი და დიადი სიხარულით.

9. რადგანაც ამით აღწევთ თქვენი რწმენის საბოლოო მიზანს: სულების ხსნას.

10. სწორედ ამ ხსნას იკვლევდნენ და იძიებდნენ წინასწარმეტყველნი, რომლებიც გიწინასწარმეტყველებდნენ თქვენთვის განკუთვნილ მადლს.

11. და არკვევდნენ, რა დროს და რა ვითარებას მიანიშნებდა მათში დამკვიდრებული სული ქრისტესი, როცა წინასწარ უმოწმებდა მათ ქრისტეს ვნებათ და ვნებათა შემდგომ დიდებას.

12. მათთვის გამოცხადებულ იქნა, რომ მათ კი არა, არამედ თქვენ გმსახურებდათ ის, რაც ამჟამად გეუწყათ მახარებელთაგან, ზეცით მოვლენილი სულის წმიდის მიერ, და რისი წვდომაც სურთ ანგელოზებს.

13. მაშ, მოისარტყლეთ თქვენი გონების წელი, იფხიზლეთ და სრული სასოება გქონდეთ იესო ქრისტეს გამოცხადებით თქვენს თავს მოწევნადი მადლის მიმართ.

14. როგორც შვილნი მორჩილებისა, ნუ მიეცემით თქვენს უწინდელ, უმეცრების დროინდელ ვნებებს,

15. არამედ როგორც წმიდაა თქვენი მხმობელი, თქვენც წმიდანი იყავით ყოველი თქვენი ქცევისას.

16. ვინაიდან დაწერილია: წმიდანი იყავით, რადგან მე წმიდა ვარ.

17. და თუ მამას უწოდებთ მას, ვინც, მათი საქმისამებრ, პირუთვნელად სჯის ყველას, შიშით გალიეთ თქვენი ხიზნობის ყავლი.

18. იცოდეთ, რომ არა ხრწნადი საფასით, ოქროთი თუ ვერცხლითა ხართ გამოსყიდულნი, მამათა მიერ მოცემული ამაო ცხოვრებისაგან,

19. არამედ, როგორც უბიწო და უმანკო ტარიგის, ქრისტეს უძვირფასესი სისხლით,

20. ქრისტესი, ჯერ კიდევ ქვეყნის შექმნამდე წინასწარგანჩინებულის, მაგრამ თქვენთვის მხოლოდ უკანასკნელ ხანს გამოჩენილის,

21. თქვენთვის, რომელთაც მის მიერ გწამთ ღმერთი, ვინც მკვდრეთით აღადგინა იგი, და მისცა მას დიდება, რათა გქონდეთ რწმენა და სასოება ღმრთის მიმართ.

22. განიწმიდეთ თქვენი სულები ჭეშმარიტებისადმი მორჩილებით, უძწიკვლო ძმათმოყვარეობისათვის, და წმიდა გულით მხურვალედ გიყვარდეთ ერთმანეთი,

23. როგორც არა ხრწნადი, არამედ უხრწნელი თესლის, — ღმერთის ცოცხალი და მარადიული სიტყვის მიერ ხელახლა შობილთ.

24. ვინაიდან ყოველი ხორცი — როგორც ბალახი, და ყოველი დიდება კაცისა — როგორც მინდვრის ყვავილი; გადახმება მინდორი და დაჭკნება მისი ყვავილი.

25. ხოლო ღმერთის სიტყვა მარადის მყოფია; და ეს არის სიტყვა, რომელიც გეხარათ თქვენ.

თავი მეორე

1. მაშ, განიშორეთ ყოველგვარი უკეთურება, და ყოველგვარი ზაკვა, პირმოთნეობა, შური და ყოველგვარი ავსიტყვაობა.

2. როგორც ახალშობილმა ყრმებმა, შეიყვარეთ წმიდა სიტყვიერი რძე, რათა იზარდოთ მისით.

3. ვინაიდან იგემეთ, რომ ტკბილია უფალი;

4. რომელსაც მიეახლეთ, როგორც ცოცხალ ლოდს კაცთაგან უარყოფილს, მაგრამ ღმრთის მიერ რჩეულსა და ფასდაუდებელს.

5. და თვითონაც, როგორც ცოცხალმა ქვებმა, თქვენით ააშენეთ სულიერი სახლი, წმიდა სამღვდელოება, რათა შესწიროთ სულიერი მსხვერპლი, რომელიც იესო ქრისტეს მიერ სასურველად უჩანს ღმერთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ვინაიდან წერილი იტყვის: აჰა, მე დავდებ სიონში საკიდურ ლოდს, რჩეულსა და ფასდაუდებელს; და მის მიმართ მორწმუნე თავს არ შეირცხვენს.

7. ამრიგად, ის თქვენთვის, მორწმუნეთათვის, ფასდაუდებელია, ხოლო ურწმუნოთათვის — ქვა, რომელიც დაიწუნეს მშენებლებმა, მაგრამ კუთხის თავად დაიდვა; ქვა ფეხწამოსაკრავი და კლდე საცთური.

8. მათთვის, რომელნიც ურჩობენ სიტყვის მიმართ, და რომელნიც მასზევე არიან დატოვებულნი.

9. ხოლო თქვენა ხართ რჩეული მოდგმა, სამეუფო სამღვდელოება, წმიდა ერი, ხალხი წილხვედრი, რათა აუწყოთ ყველას მისი სათნოება, ვინც ბნელიდან გამოგიხმოთ, რათა გეხილათ მისი საოცარი ნათელი.

10. ოდესღაც არა ხალხი, ხოლო აწ ღმერთის ხალხი; ოდესღაც არა შეწყალებულნი, ხოლო აწ შეიწყალენით.

11. საყვარელნო, გემუდარებით, როგორც მწირთა და როგორც მსხემთ, თავი შეიკავოთ ხორციელ გულისთქმათაგან, რომელნიც აღიძვრიან სულის წინააღმდეგ;

12. და სიკეთის გზით იაროთ წარმართთა შორის, რათა, ნაცვლად იმისა, რომ ბოროტმოქმედებად გსახავდნენ და დრტვინავდნენ თქვენზე, თქვენი კეთილი საქმის ხილვისას, ადიდონ ღმერთი მოხილვის დღეს.

13. მაშ ღმრთის გულისათვის, დაემორჩილეთ კაცთა ყოველგვარ ხელმწიფებას: გინდა მეფეს, როგორც უზენაეს მბრძანებელს;

14. გინდაც მთავართ, როგორც მის მიერ წარმოგზავნილთ ბოროტმოქმედთა დასასჯელად და კეთილმოქმედთა საქებრად.

15. რადგან ასე ინება ღმერთმა, რომ კეთილი საქმით ავუკრათ პირი უგუნურ კაცთა უმეცრებას;

16. როგორც იქცევიან თავისუფალნი, მაგრამ არა როგორც თავისუფლების საფარველით ბოროტების შემფარავნი, არამედ როგორც ძნელნი ღმრთისა.

17. პატივი ეცით ყველას; გიყვარდეთ ძმობა; გეშინოდეთ ღმერთის; პატივი მიაგეთ მეფეს.

18. მონებო, მთელი მოშიშებით დაემორჩილეთ თქვენს ბატონებს, არა მარტო კეთილთა და თვინიერთ, არამედ მკაცრთაც.

19. რადგან ესაა მადლიერება, თუკი ვინმე, სინიდისით ღმერთს მინდობილი ითმენს კირთებას, უსამართლოდ ტახჯული.

20. ვინაიდან რა საქებია, თუკი თქვენი ცოდვებისთვის გცემენ და ითმენთ? ხოლო თუ კეთილის ქმნისთვის იტანჯებით და ითმენთ, ეს მადლია ღმრთის წინაშე.

21. რადგანაც ამისთვის ხართ ხმობილნი, ვინაიდან ქრისტეც ჩვენთვის ევნო, და დაგიტოვათ ნიმუში, რათა მისდიოთ მის კვალს.

22. არ შეუცოდავს, და არ დასჩენია ზაკვა მის ბაგეს,

23. ვისაც აგინებდნენ, და სანაცვლოდ არ იგინებოდა; სტანჯავდნენ და არ იმუქრებოდა, არამედ მართალ მსაჯულს ანდობდა ნაცვლისგებას;

24. ვინც ჩვენი ცოდვები თავისი სხეულით აზიდა ძელზე, რათა ცოდვებისგან თავდახსნილთ სიმართლით გეცხოვრათ; და ვისი წყალობითაც განიკურნეთ.

25. ვინაიდან იყავით, როგორც დაკარგული ცხვრები, ახლა კი დაუბრუნდით თქვენი სულების მწყემსსა და მცველს.

თავი მესამე

1. აგრეთვე ქალებიც დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, რათა ზოგი მათგანი, რომლებიც არ ემორჩილებიან სიტყვას, თავიანთი ცოლების ცხოვრებით შეძენილ იქნენ სიტყვის გარეშე,

2. როცა იხილავენ თქვენს უბიწო, ღმრთისმოშიშ ცხოვრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაე, თქვენი სამშვენისი იყოს არა გარეგნული თმაწნულობა, არა ოქროს სამკაული, არა სამოსის მორთულობა და მოკაზმულობა,

4. არამედ დაფარული გულის კაცი, თვინიერი და მშვიდი სულის უხრწნელი მშვენებით, რაც ყველაზე ძვირფასია ღმერთის წინაშე.

5. ასევე იმკობდნენ ოდესღაც თავს წმიდა, ღმრთის მიმართ მსასოოვარი ქალებიც, რომლებიც ემორჩილებოდნენ თავიანთ ქმრებს.

6. ასე სარა ემორჩილებოდა აბრაამს და ბატონს უწოდებდა მას. თქვენ მისი შვილები ხართ, თუკი კეთილს იქმთ, და არა გაქვთ არაფრის შიში.

7. ასევე თქვენც, ქმრებო, სათუთად მოეპყარით ცოლებს, როგორც უმყიფეს ჭურჭელს, პატივი ეცით მათ, როგორც მადლმოსილ ცხოვრებაში თქვენს თანამემკვიდრეთ, რათა ხელი არ შეგეშალოთ თქვენი ლოცვისას.

8. და ბოლოს, ყველანი თანამზრახველნი, თანალმობნი, ძმათმოყვარენი, შემწყნარებელნი, თავმდაბალნი იყავით.

9. ნუ მიაგებთ ბოროტს ბოროტის წილ, ნურც გინებას გინების წილ, არამედ აკურთხევდეთ წინააღმდგომს და იცოდეთ, რომ იმისთვის ხართ ხმობილნი, რათა დაიმკვიდროთ **კურთხევა.**

10. რადგან ვისაც სურს უყვარდეს სიცოცხლე და იხილოს კეთილდღეობა, დაიცხროს თავისი ენა ბოროტისაგან, და მისი ბაგენი ნუ იტყვიან ზაკვას.

11. განერიდე ბოროტს, ქმენი კეთილი, მოიძიე მშვიდობა, და მისდიე მას.

12. ვინაიდან თვალი უფლისა მიპყრობილია მართალთა მიმართ, და მისი ყური მათი ლოცვა-ვედრების მიმართ, ხოლო მისი სახე რისხვით დაჰყურებს ბოროტმოქმედთ.

13. ანდა ვინ შეგამთხვევთ ბოროტს, თუკი კეთილის მიმდევარნი იქნებით?

14. მაგრამ კიდევაც რომ ევნოთ სიმართლისათვის, ნეტარნი ხართ; მაშ, ნუ შიშობთ მათი შიშით, და ნურც ძრწით.

15. არამედ უფალი ღმერთი წმიდა ყავით თქვენს გულში, მზად იყავით ყოველთვის, რათა თვინიერად და ღმრთისმოშიშებით მიუგოთ ყველას, ვინცა გთხოვთ თქვენი სასოების ახსნას.

16. წრფელი იყოს თქვენი სინიდისი, რათა იქ, სადაც ბოროტი სიტყვით გახსენებენ, როგორც ბოროტმოქმედთ, შერცხვენილნი დარჩნენ ისინი, ვინც გმობენ თქვენს კეთილ ცხოვრებას ქრისტეში.

17. რადგან, თუ ნებავს ღმერთს, უმჯობესია კეთილ საქმეთათვის ევნოთ, ვიდრე ბოროტთათვის.

18. ვინაიდან ერთხელ ქრისტეც ჩვენი ცოდვებისათვის ევნო, მართალი არამართალთათვის, რათა მივეყვანეთ ღმერთთან; მოკვდა ხორცით და ცოცხალ იქმნა სულით,

19. რომლითაც მივიდა დილეგში მყოფ სულებთან, და იქადაგა.

20; მათთვის, რომელნიც ურჩნი იყვნენ უკვე, როცა ნოეს დროს მოელოდნენ ღმერთის დიდსულოვნებას, ვიდრე იგებოდა კიდობანი, რომლითაც ცოტა, ესე იგი, მხოლოდ რვა სული გადურჩა წარღვნას.

21. ეს იყო ხატება ნათლისღებისა, რაიც ამჟამად გვიხსნის ჩვენ (არა ჭუჭყის ჩამორეცხვა ხორცისგან, არამედ წრფელი სინიდისით სიყვარული ღმრთის მიმართ) იესო ქრისტეს აღდგომით,

22. ვინც ამაღლდა ზეცად, დაჯდა მამის მხარმარჯვნივ, და ვისაც დაემორჩილნენ ანგელოსნი, ხელმწიფებანი და ძალნი.

თავი მეოთხე

1. ამრიგად, როგორც ქრისტე ევნო ჩვენთვის ხორცით, თქვენც აღიჭურვეთ იმავე აზრით, ვინაიდან ხორცით ვნებული აღარა სცოდავს.

2. რათა არა კაცთა გულისთქმით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ ღმრთის ნებისამებრ გალიოთ ხორციელი სიცოცხლის დარჩენილი დღენი.

3. ვინაიდან თქვენთვის ისიც კმარა, რომ წარსულ სიცოცხლეში წარმართთა ნებისმიერ იქცეოდით, უწმინდურებას, ბილწ გულისთქმათ, მემთვრალეობას, ნაყროვანებას, განცხრომასა და უკეთურ კერპთმსახურებას თავმიცემულნი.

4. ამიტომაც უკვირთ, რომ არ მონაწილეობთ იმავე უწმინდურებაში, და გგმობენ თქვენ.

5. ისინი პასუხს აგებენ მის წინაშე ვინც მალე განიკითხავს ცოცხალთაც და მკვდართაც.

6. მკვდრებსაც სწორედ იმიტომ ეხარათ, რომ განსჯილიყვნენ, როგორც კაცნი, ხორცით და ეცოცხლათ, როგორც ღმერთს, სულით.

7. ხოლო ახლოა ყოვლის აღსასრული; მაშ, იყავით კეთილგონიერნი და იფხიზლეთ ლოცვებისათვის.

8. უწინარეს ყოვლისა, გულითადად გიყვარდეთ ერთმანეთი, რადგან სიყვარული ფარავს ცოდვათა სიმრავლეს.

9. ერთურთის მიმართ სტუმართმოყვარენი იყავით უდრტვინველად.

10. ემსახურეთ ერთმანეთს იმ წყალობით, რომელიც მიუღია თითოეულ თქვენგანს, როგორც ღმერთის მრავალფერი მადლის კეთილი მნენი.

11. ლაპარაკობს ვინმე? ილაპარაკოს, როგორც ღმრთის სიტყვით; მსახურებს ვინმე? იმსახუროს, როგორც ღმრთის მიერ ბოძებული ძალით, რათა სრულიად იდიდებოდეს ღმერთი იესო ქრისტეს მიერ, ვისიცაა დიდება და ძალმოსილება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

12. საყვარელნო, ნუ იუცხოვებთ თქვენდამი გამოსაცდელად მოვლენილ ცეცხლოვან განსაცდელს, როგორც თქვენთვის უჩვეულო რასმე.

13. არამედ, როგორც ქრისტეს ვნებათა თანამოზიარენი, ხარობდეთ, რათა მისი დიდების გამოცხადებითაც იხარებდეთ და ილხენდეთ.

14. თუ ქრისტეს სახელისათვის იგმობით, ნეტარნი ხართ, ვინაიდან სული დიდებისა და სული ღმრთისა [illegible] ნებს თქვენზე. მათ მიერ იგმობა იგი, თქვენს მიერ იდიდება.

15. მხოლოდ ნურა ევნება რა ნურცერთ თქვენგანს, როგორც კაცისმკვლელს, გინდა მპარავს, გინდა ბოროტმოქმედს, გინდა სხვისი საკუთრების ხელმყოფს.

16. ხოლო თუ ევნება, როგორც ქრისტიანს, ნუ შერცხვება, არამედ ადიდოს ღმერთი ამ ხვედრის გამო.

17. ვინაიდან დროა, რომ დაიწყოს განსჯა ღმერთის სახლიდან; ხოლო თუ თავდაპირველად ჩვენგან დაიწყება, რა აღსასრული ელით ღმერთის სახარების ურჩთ?

18. და თუ მართალი ძლივსძლივობითა ცხონდება, უკეთური და ცოდვილი სადღა იყოს?

19. მაშ, ღმრთის ნებით ვნებულთ, დაე, კეთილი საქმით შეავედრონ მას, როგორც სარწმუნო შემოქმედს, თავიანთი სული.

თავი მეხუთე

1. ხოლო ვინც ხუცესია თქვენს შორის, ვთხოვ, როგორც თანახუცესი და ქრისტეს ვნებათა მოწმე, როგორც თანამოზიარე დიდებისა, რომელიც უნდა გაცხადდეს:

2. მწყემსეთ თქვენთვის მობარებული ღმრთის სამწყსო; მიხედეთ მას, არა იძულებით, არამედ ნებსით, არა ბილწი ანგარებით, არამედ გულმოდგინედ.

3. და ნუკი ეუფლებით ღმრთის სამკვიდრებელს, არამედ მაგალითი მიეცით სამწყსოს.

4. და როდესაც მოვა სარქალი, მიიღებთ დიდების უჭკნობ გვირგვინს.

5. ასევე უმრწემესნი დაემორჩილეთ უხუცესთ; და ყველამ, ურთიერთმორჩილებით, შეიმოსეთ სიმდაბლე; ვინაიდან ქედმაღალთ ჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთ მადლს ანიჭებს.

6. მაშ, დამდაბლდით ღმერთის მტკიცე ხელის ქვეშ, და აგამაღლებთ თქვენ თავის დროს.

7. ყოველი თქვენი საზრუნავი მიანდეთ მას, ვინაიდან ის ზრუნავს თქვენთვის.

8. იფხიზლეთ, იღვიძეთ, ვინაიდან თქვენი მტერი ეშმაკი დაძრწის, როგორც მბრდღვინავი ლომი, და ეძებს მსხვერპლს.

9. წინ აღუდექით მას მტკიცე რწმენით; იცოდეთ, რომ იგივე ვნებები ემუქრება თქვენს ძმობას ყველგან.

10. ხოლო ღმერთმა ყოველი მადლისა, რომელმაც გიხმოთ თავისდა საიდიდებლად იესო ქრისტეს მიერ, თქვენს ხანმოკლე ტანჯვაში თავად სრულგქმნათ, განგამტკიცოთ, დაგაძლიერებ, ვიდროთ, გაგაძლიეროთ და გაგამყარეროთ.

11. დიდება მას და ძალმოსილება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

12. სილვანუსის, ჩემის აზრით, თქვენი სანდო ძმის მიერ, მოკლედ მოგწერეთ; განუგეშეთ და გიმოწმეთ, რომ ეს არის ღმრთის ჭეშმარიტი მადლი, რომლითაც დგახართ.

13. მოგიკითხავთ თქვენებრ რჩეული ეკლესია ბაბილონისა, და მარკოზი, ჩემი ძე.

14. სიყვარულის ამბორით მოიკითხეთ ერთმანეთი. მშვიდობა თქვენდა, ყველას, ვინცა ხართ ქრისტე იესოს მიერ. ამინ.

მეორე პეტრესი

თავი პირველი

1. სიმონ პეტრე, მონა და მოციქული იესო ქრისტესი, ჩვენთან ერთად თანაბრად ძვირფასი სარწმუნოების მიმღებთ ღმერთის ჩვენისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს სიმართლით,

2. მადლი და მშვიდობა გიმრავლოთ ღმრთისა და უფლის ჩვენის იესოს შემეცნებით.

3. რაკი მისი საღმრთო ძალით მოგვენიჭა ყველაფერი საცხოვრებლად და საღვთისმოსაოდ, ვინც თავისი შემეცნების გზით მიგვიხმო თავისივე დიდებისა და სათნოების მიმართ.

4. რომელთაგანაც გვებოძა დიადი და ფასდაუდებელი აღთქმანი, რათა, ამ ქვეყნად გულისთქმის ხრწნილებისგან განრიდებულნი, საღმრთო ბუნების თანამოზიარენი განხდეთ, —

5. ამიტომ თქვენც ასევე გულმოდგინედ ისწრაფეთ ყოველივე ამის მიმართ, და მიუსართეთ თქვენს რწმენას სათნოება, ხოლო სათნოებას — შემეცნება,

6. და შემეცნებას — თავშეკავება, თავშეკავებას — მოთმინება, ხოლო მოთმინებას — ღვთისმოსაობა,

7. და ღვთისმოსაობას — ძმათმოყვარეობა, ხოლო ძმათმოყვარეობას — სიყვარული.

8. თუ ყოველივე ეს თქვენშია და მრავლდება, უქმად და უნაყოფოდ არ დარჩებით უფლის ჩვენის იესო ქრისტეს შემეცნებისას.

9. ხოლო ვისშიც არ არის ეს, ბრმაა იგი და ბეცი, ვინაიდან დაივიწყა უწინდელ ცოდვათაგან განწმენდა თვისი.

10. ამიტომ, ძმანო, უფრო გულმოდგინედ ეცადეთ, რათა კეთილი საქმით განამტკიცოთ თქვენი წოდება და რჩეულება; ვინაიდან ამის მოქმედნი არასოდეს წაიფორხილებთ.

11. რადგან ამრიგად ფართოდ გაიღება თქვენს წინაშე შესასვლელი უფლის ჩვენისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს საუკუნო სასუფევლისა.

12. ამიტომაც დაუზარებლად შეგახსენებთ ამას, თუმცაღა იცით ეს და მტკიცედ ადგახართ აწინდელ ჭეშმარიტებას.

13. ხოლო სამართლიანად მიმაჩნია, სანამ ვარ ამ კარავში, შეხსენებით გამოგაფხიზლოთ,

14. რადგანაც ვიცი, რომ მალე უნდა დავუტოვო ჩემი კარავი, როგორც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მაუწყა მე.

15. მაშ, გულმოდგინედ ვეცდები, რათა თვითეული თქვენგანი, ჩემი გარდასვლის შემდეგაც იხსენებდეს ამას.

16. ვინაიდან თავშესაქცევი ზღაპრებით როდი გამცნეთ უფლის ჩვენის იესო ქრისტეს ძალა და მოსვლა, არამედ როგორც მისი სიდიადის თვითმხილველებმა.

17. ვინაიდან მამა ღმერთისაგან მიიღო პატივი და დიდება, როცა მისწვდა ესოდენ დიდებულ ხმა: ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელშიაც კეთილად გამოვჩნდი მე.

18. და ეს ხმა, ზეცით ჩამოსული, ჩაგვესმა ჩვენ, როცა მასთან ერთად ვიყავით წმიდა მთაზე.

19. და გვაქვს ჩვენ უმტკიცესი საწინასწარმეტყველო სიტყვა, და კარგად იქცევით, რომ ესწრაფვით მას, როგორც წყვდიადში მანათობელ სანთელს, სანამ ირიჟრაჟებდეს დღე და ვარსკვლავი ცისკრისა ამობრწყინდებოდეს თქვენს გულებში.

20. ესეც იცოდეთ თავდაპირველად, რომ წერილის არცერთი წინასწარმეტყველება თავისთავად არ განიმარტება.

21. ვინაიდან წინასწარმეტყველება არასოდეს კაცის ნებით არ წარმოთქმულა, არამედ სულის წმიდის შთაგონებით წარმოსთქვამდნენ მას ღმრთის წმიდა კაცნი.

თავი მეორე

1. იყვნენ ცრუწინასწარმეტყველნიც ხალხში, ისევე როგორც თქვენ გეყოლებათ ცრუმოძღვარნი, რომელნიც შემოიღებენ წარსაწყმედელ მწვალებლობას, უარყოფენ მათ გამომსყიდველ უფალს, და თვითონვე [illegible] მსწრაფულ წარწყმედას თავზე.

2. და მრავალნი გაჰყვებიან მათს ხრწნილებას, და მათი წყალობით დაიგმობა ჭეშმარიტების გზა.

3. და ანგარების გამო ცრუ სიტყვებით მოგისყიდიან თქვენ; მაგრამ არ დაახანებს მათი სასჯელი, და არ სძინავს წარწყმედას მათსას.

4. რადგან თუ ღმერთმა არ დაინდო შემცოდე ანგელოზები, არამედ ბნელეთის ბორკილებით შეკრა და ჯოჯოხეთში ჩაყარა ისინი განკითხვამდე დასამარხავად;

5. და თუ არ დაინდო ძველი ქვეყანა, არამედ დაიხსნა ნოე, სიმართლის ქადაგი, რვა სულთან ერთად, როცა წარღვნა მოუვლინა უკეთურთა ქვეყანას;

6. და თუ გასწირა სოდომისა და გომორის ქალაქები, ფერფლად აქცია და მომავალ უღმერთოთა ნიმუშად დადო ისინი,

7. ხოლო მართალი ლოტი, უკეთურთა უგვანი ქცევით გაწამებული, იხსნა;

8. (ვინაიდან მათ შორის მცხოვრები ეს მართალი ყოველდღე იტანჯებოდა თავისი მართალი სულით, როცა ხედავდა და ისმენდა მათ ბილწ საქმეებს), —

9. მაშასადამე, იცის უფალმა, როგორ დაიხსნას ღვთისმოსავნი ცთუნებისაგან, ხოლო უკეთურნი განკითხვის დღისთვის შემოინახოს განსასჯელად,

10. უპირატესად კი ისინი, რომელნიც მისდევენ ბილწ ხორციელ ვნებებს, შეურაცხყოფენ უფლებას, თავხედნი არიან, კადნიერნი და დიდებათა უშიშრად მგმობნი.

11. მაშინ როდესაც თვით ანგელოზნი, რომელნიც ძალითა და ძლიერებით უმეტესნი არიან, ვიდრე ისინი, არ მოაწევენ მათ თავზე უფლის მიერ სასჯელს გმობისას.

12. ხოლო ისინი, როგორც უგონო პირუტყვნი, ბუნებრივ მიდრეკილებებს აყოლილნი, გასაწყვეტად და გასახრწნელად შობილნი, ჰგმობენ მას, რაც არ

ესმით, და თავიანთი ხრწნილებით განიხრწებიან;

13. და მიიღებენ თავიანთი უსამართლობის საზღაურს, რაკი განცხრომად დაუსახავთ სიამე დღისა; შესვრილნი და შებილწულნი, ისინი ტკბებიან თავიანთი სიცრუით, როცა ილხენენ თქვენთან ერთად.

14. მათი თვალები სავსენი არიან სიმრუშითა და დაუცხრომელი ცოდვით, და აცთუნებენ უმტკიცო სულებს; ხოლო გულები გაწვრთნილი აქვთ ანგარებით, შვილებს წყევლისას.

15. წრფელი გზა რომ დაუტევეს, ისინი შეცდნენ და შეუდგნენ ბალაამის, ბოსორის ძის კვალს, რომელმაც შეიყვარა უსამართლობის საზღაური;

16. მაგრამ თავისი ურჯულოების მამხილებლად ექმნა უტყვი სახედარი, რომელიც კაცის ხმით ამეტყველდა და ალაგმა წინასწარმეტყველის სიშლეგე.

17. ისინი არიან უწყლო წყარონი, კვამლი და ღრუბელი, გრიგალით მიმოფანტულნი, რომელთათვისაც გამზადებულია საუკუნო ბნელეთის უკუნი.

18. ვინაიდან თავიანთი გაფუყული ფუჭსიტყვაობით ხორციელ გულისთქმათა სიბილწეში იტყუებენ მათ, რომელნიც ოდნავ ჩამორჩნენ საცთურში დანთქმულთ.

19. თავისუფლებას აღუთქვამენ მათ, თვითონ მონები ხრწნილებისა, ვინაიდან ვინც რისაგან არის ძლეული, მისივე მონაა.

20. რადგან თუ უფლისა და მაცხოვრის ჩვენის იესო ქრისტეს შემეცნების წყალობით, ამქვეყნიური ბილწებისაგან განრინებულნი კვლავ იმავე ბილწებით ისვრებიან და იძლევიან, მათთვის ეს უკანასკნელი ყოფა უწინდელზეც უარესია.

21. უჯობდათ საერთოდ არ შეეგნოთ გზა სიმართლისა, ვიდრე შეცნობის შემდეგ უკუქცეულიყვნენ მათთვის მიცემული წმიდა მცნებისგან.

22. მაგრამ მათთვის თქმულა მართალი ანდაზა: ძაღლი მიუბრუნდა თავის ნარწყევს, და დაბანილი ... თავის წუმპეში ჩაგორ...

თავი მესამე

1. ამას უკვე მეორე წერილსა გწერთ, საყვარელნო; ორივე'ში შეხსენებით ვაღვიძებ თქვენს წმიდა აზრს,

2. რათა გახსოვდეთ წმიდა წინასწარმეტყველთა მიერ პირველად თქმული სიტყვები, და უფლისა და მაცხოვრის მცნებანი, გადმოცემულნი თქვენი მოციქულების მიერ.

3. უწინარეს ყოვლისა, იცოდეთ, რომ უკანასკნელ დღეებში მოვლენ მგმობელნი, თავიანთი გულისთქმისამებრ მავალნი,

4. და იტყვიან: სად არის აღთქმა მისი მოსვლისა? ვინაიდან მას შემდეგ, რაც მამებმა მიიძინეს, ყველაფერი უცვლელად რჩება, შექმნის დასაბამიდან.

5. ვინაიდან ისინი ნებსით ივიწყებენ, რომ დასაბამიდან ცანი და მიწა წყლისაგან და წყლის მიერ შეიქმნენ ღმრთის სიტყვით.

6. ამიტომაც მაშინდელი სამყარო წყლით წაირღვნა და დაიღუპა.

7. ხოლო აწ ცანი და მიწა იმავე სიტყვით დაუნჯებულნი არიან, ცეცხლისათვის განკუთვნილნი განკითხვის დღისა და უკეთურ კაცთა წარწყმედისათვის.

8. არც ეს უნდა იყოს დაფარული თქვენთვის, საყვარელნო, რომ ერთი დღე უფლისათვის, როგორც ათასი წელი, და ათასი წელი, როგორც ერთი დღე.

9. არ აყოვნებს უფალი აღთქმის აღსრულებას, როგორც ზოგიერთს ჰგონია, რომ აყოვნებს; პირიქით, დიდსულოვანია თქვენს მიმართ, რადგან ვისმე წარწყმედა კი არა სურს, არამედ ყველას მოსვლა სინანულად.

10. ხოლო მოვა დღე უფლისა, როგორც მპარავი ღამით; და მაშინ ზათქით გარდავლენ ცანი, სტიქიონები მხურვალებით დაიშლებიან, მიწა და ყველა მიწიერი ქმნილება დაიბუგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ხოლო თუ ყოველივე ეს დაიშლება, როგორი უნდა იყოს თქვენი ყოფა წმიდა ქცევითა და ღვთისმოსაობით,

12. რაკი მოელით და ესწრაფვით ღმერთის დღის მოსვლას, როცა ცეცხლმოდებული ცანი დაიშლებიან, და აალებული სტიქიონები დადნებიან?

13. თუმცა ჩვენ, აღთქმისამებრ, მოველით ახალ ცათა და ახალ მიწას, რომლებზედაც მკვიდრობს სიმართლე.

14. ამიტომაც, საყვარელნო, ყოველივე ამის მოლოდინში, ეცადეთ, რომ მან მშვიდობით გპოვოთ, შეუსვრელნი და შეუბილწველნი.

15. და უფლის ჩვენის დიდსულოვნება დასახეთ ხსნად, როგორც ჩვენმა საყვარელმა ძმამ პავლემაც, მისთვის ბოძებული სიბრძნით, მოგწერათ თქვენ.

16. როგორც თავად ლაპარაკობს ყოველივე ამის გამო თავის წერილებში, რომლებშიაც არის რაღაც ძნელად გასაგები, რასაც უმეცარნი და უმტკიცონი სხვა წერილთა მსგავსად ბღალავენ თავისდა წარსაწყმედად.

17. ხოლო თქვენ, საყვარელნო, რაკი წინასწარ იცით ეს, ფრთხილად იყავით, რათა არ ჩაგითრიოთ უკეთურთა ცთომამ, და არ გიღალატოთ თქვენმა სიმტკიცემ.

18. არამედ იზარდეთ უფლისა და მაცხოვრის ჩვენის იესო ქრისტეს მადლითა და შემეცნებით, დიდება მას აწ და დღეს მარადისსა. ამინ.

პირველი იოანესი

თავი პირველი

1. რომელიც იყო თავდაპირველად, რომელიც ვისმინეთ და ჩვენი თვალით ვიხილეთ, რომელსაც ვჭვრეტდით, და ჩვენი ხელით ვეხებოდით სიცოცხლის სიტყვის.

2. (და სიცოცხლე ცხად იქმნა, და ჩვენ ვიხილეთ და ვმოწმობთ, და გაუწყებთ თქვენ საუკუნო სიცოცხლეს, რომელიც იყო მამასთან და გამოგვეცხადა ჩვენ).

3. მას, რომელიც ვისმინეთ და ვიხილეთ, გაუწყებთ თქვენ, რათა თქვენც თანაეზიაროთ ჩვენთან ერთად; ხოლო ჩვენ ვეზიარებით მამას და ძეს მისას იესო ქრისტეს.

4. და ამას გწერთ თქვენ, რათა სრულ იყოს თქვენი სიხარული.

5. და ეს არის აღთქმა, რომელიც ვისმინეთ მისგან, და გაუწყებთ თქვენ, რომ ღმერთი არის ნათელი, და არ არის მასში არავითარი ბნელი.

6. თუ ვიტყვით, რომ ვეზიარებით მას, და დავდივართ ბნელში, ვცრუობთ, და არა ვიქმთ ჭეშმარიტებას.

7. ხოლო თუ ნათელში დავდივართ, როგორც თვითონ არის ნათელში, მაშასადამე, ვეზიარებით ერთმანეთს, და მისი ძის, იესო ქრისტეს სისხლი ყოველი ცოდვისაგან გაგვწმენდს ჩვენ.

8. თუ ვიტყვით, რომ არა გვაქვს ცოდვა, ჩვენს თავს ვაცთუნებთ, და ჭეშმარიტება არ არის ჩვენში.

9. თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, სარწმუნოა და მართალი, რათა მოგვიტევოს ცოდვები და ყოველგვარი უსამართლობისაგან განგვწმინდოს ჩვენ.

10. თუ ვიტყვით, რომ არ შეგვიცოდავს, ცრუად ვსახავთ მას, და მისი სიტყვა არ არის ჩვენში.

თავი მეორე

1. შვილნო ჩემნო, ამას გწერთ თქვენ, რათა არ სცოდოთ, და თუ ვინმე სცოდავს, ქომაგი გვყავს მამის გვერდით, იესო ქრისტე მართალი.

2. იგია ჩვენი და არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი ქვეყნის ცოდვათა მიმტევებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. და ამით ვიცით, რომ შევიცნეთ იგი, თუკი ვიმარხავთ მის მცნებებს.

4. ვინც ამბობს, რომ შეიცნო იგი, მაგრამ არ იმარხავს მის მცნებებს, ცრუა, და ჭეშმარიტება არ არის მასში.

5. ხოლო თუ ვინმე იმარხავს მის სიტყვას, მასში ჭეშმარიტად აღსრულდა ღმრთის სიყვარული; ამით შევიცნობთ, რომ ჩვენ მასში ვართ.

6. ვინც ამბობს, რომ მასშია, უნდა იაროს ისე, როგორც იარებოდა იგი.

7. ძმანო, ახალ მცნებას კი არ გწერთ თქვენ, არამედ ძველ მცნებას, რომელიც გქონდათ დასაბამიდან. ძველი მცნება არის სიტყვა, რომელიც ისმინეთ დასაბამიდან.

8. და მაინც ახალ მცნებას გწერთ თქვენ, რომელიც არის ჭეშმარიტად მასში და თქვენში: ვინაიდან ბნელი გადადის, და ჭეშმარიტი ნათელი უკვე ნათობს.

9. ვინც ამბობს, ნათელში ვარო, მაგრამ სძულს თავისი ძმა, ბნელშია აქამდე.

10. ვისაც უყვარს თავის ძმა, ნათელში მკვიდრობს და საცთური არ არის მასში.

11. ხოლო ვისაც სძულს თავისი ძმა, ბნელშია, და ბნელში იარება, და არ იცის, საით მიდის, ვინაიდან ბნელმა დაუვსო თვალი.

12. ამას გწერთ თქვენ, შვილნო, ვინაიდან მისი სახელით მოგეტევათ თქვენი ცოდვანი.

13. ამას გწერთ თქვენ, მამანო, ვინაიდან შეიცანით დასაბამიდან მყოფი. ამას გწერთ, თქვენ, ჭაბუკნო, ვინაიდან სძლიეთ უკეთური. ამას გწერთ თქვენ, ყრმანო, ვინაიდან შეიცანით მამა.

14. ეს მოგწერეთ თქვენ, მამანო, ვინაიდან შეიცანით დასაბამიდან მყოფი. ეს მოგწერეთ თქვენ, ჭაბუკნო, ვინაიდან ძლიერნი ხართ, და სიტყვა ღმრთისა მკვიდრობს თქვენში, და ვინაიდან სძლიეთ უკეთური.

15. ნუ შეიყვარებთ ამ ქვეყანას, ნურც ამქვეყნიურს რასმე: ვისაც ეს ქვეყანა უყვარს, მამის სიყვარული — არ არის მასში.

16. ვინაიდან ამ ქვეყნად ყველაფერი — გულისთქმა ხორცის, გულისთქმა თვალის და სიამაყე არსებობისა, — მამისაგან კი არ არის, არამედ ამ ქვეყნისაგან.

17. ეს ქვეყანაც გარდავა, და მისი გულისთქმანიც, ხოლო ღმრთის ნებისმყოფელი წარუვალია უკუნისამდე.

18. ყრმანო, უკანასკნელი ჟამია! და როგორც გსმენიათ ,რომ ანტიქრისტე მოვა, აწ უკვე მოვიდა მრავალი ანტიქრისტე, საიდანაც ვიგებთ, რომ უკანასკნელი ჟამია.

19. ჩვენგან გამოვიდნენ, მაგრამ არ იყვნენ ჩვენგანნი, რადგან ჩვენგანნი რომ ყოფილიყვნენ, ჩვენთანვე დარჩებოდნენ; მაგრამ გამოვიდნენ, რათა გაცხადდეს, რომ ყველანი როდი არიან ჩვენგანნი.

20. ხოლო თქვენ ცხება გაქვთ წმიდისაგან, და იცით ყოველი.

21. იმიტომ კი არ მოგწერეთ, რომ არ იცით ჭეშმარიტება, არამედ იმიტომ, რომ იცით; და ისიც გესმით, რომ არცერთი სიცრუე ჭეშმარიტებისაგან არ არის.

22. ვინაა ცრუ, თუ არა ის, ვინც უარყოფს, რომ იესო არის ქრისტე? ესაა ანტიქრისტე, მამის და ძის უარმყოფელი.

23. ყველას, ვინც უარყოფს ძეს, აღარც მამა ჰყავს; და ვინც აღიარებს ძეს, მამაცა ჰყავს.

24. ამრიგად, რაც დასაბამიდან გსმენიათ, დე, დარჩეს თქვენში, რადგან თუ ის, რაც დასაბამიდან გსმენიათ, დარჩება თქვენში, თქვენც დარჩებით ძესა და მამაში.

25. ხოლო ეს არის აღთქმა, რომლითაც მან აღგვითქვა ჩვენ საუკუნო სიცოცხლე.

26. თქვენი მაცთუნებლების გამო მოგწერეთ ეს.

27. თუმცა ცხება, რომელიც მისგან მიიღეთ, კვლავ თქვენშია, და არ გჭირდებათ, რომ ვინმემ გასწავლოთ; არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ რაკი თვით ეს ცხება გასწავლით ყველაფერს, და ჭეშმარიტია და არა ყალბი, ამიტომ, რასაც გასწავლით, თქვენც მასშივე დარჩით.

28. და აწ, შვილნო, დარჩით მასში; რათა როდესაც გამოგვეცხადება, კადნიერება გვქონდეს და არ შევრცხვეთ მის წინაშე მისი მოსვლისას.

29. თუ კი იცით, რომ მართალია, ისიც იცოდეთ, რომ მის მიერ შობილია სიმართლის ყველა მოქმედი.

თავი მესამე

1. იხილეთ, როგორი სიყვარული მოგვცა ჩვენ მამამ, რათა ღმრთის შვილებად ვიწოდებოდეთ. ქვეყანა იმიტომ არ გიცნობთ თქვენ, რომ ვერ იცნო იგი.

2. საყვარელნო, აწ შვილნი ვართ ღმრთისა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გაცხადებულა, რანი ვიქნებით. ვიცით მხოლოდ, რომ, როცა გაცხადდება, მისივე მსგავსნი ვიქნებით, ვინაიდან ვიხილავთ, როგორია იგი.

3. და ყველა, ვისაც აქვს ეს სასოება მის მიმართ, თავის თავს განიწმენდს, ვინაიდან წმიდაა იგი.

4. ყველა, ვინც სჩადის ცოდვას, ურჯულოებასაც სჩადის; და ცოდვა არის ურჯულოება.

5. და იცით, რომ იმიტომ გამოჩნდა იგი, რათა ეტვირთა ჩვენი ცოდვები, და რომ მასში არ არის ცოდვა.

6. არავის, ვინც მკვიდრობს მასში, არ შეუცოდავს; არავის, ვინც სცოდა, არ უხილავს, არც შეუცვნია იგი.

7. შვილნო, დაე, ნურავინ გაცთუნებთ თქვენ! სიმართლის მოქმედი მართალია, როგორც იგი არის მართალი.

8. ვინაცა სცოდა, იგი ეშმაკისაგან არის, ვინაიდან დასაბამიდან ეშმაკი სცოდავს, იმიტომაც მოგვეცხადა ძე ღმრთისა, რათა დაერღვია ეშმაკის საქმენი.

9. ღმერთისაგან შობილი არავინ სცოდავს, ვინაიდან მასში რჩება იმისი თესლი; და მას არ შეუძლია სცოდოს, იმიტომ რომ ღმერთისაგან შობილი;

10. ამით იცნობიან შვილნი ღმრთისა და შვილნი ეშმაკისა; არავინ, ვინც არ იქმს სიმართლეს, და ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, არ არის ღმერთისაგან.

11. ვინაიდან ეს არის აღთქმა, რომელიც ისმინეთ დასაბამიდან, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი,

12. არა როგორც კაენს, რომელიც უკეთურისაგან იყო, და მოკლა თავისი ძმა; და მერე რისთვის მოკლა იგი? იმისთვის, რომ ბოროტი იყო მისი საქმე, ხოლო მისი ძმისა — მართალი.

13. ნუ გიკვირთ ძმანო ჩემნო, თუ ქვეყანას სძულხართ თქვენ.

14. ჩვენ ვიცით, რომ სიკვდილიდან გადავალთ სიცოცხლეში, რადგანაც გვიყვარს ძმები. ვისაც არ უყვარს ძმა, სიკვდილში მკვიდრობს.

15. ყველა, ვისაც სძულს თავისი ძმა, კაცისმკვლელია; ხოლო თქვენ იცით, რომ არცერთ კაცისმკვლელს არა აქვს საუკუნო სიცოცხლე, დამკვიდრებული მასში.

16. ამით შევიცნობთ სიყვარულს, რომ მან ჩვენთვის დადო თავისი სული; და ჩვენც გვმართებს ძმებისათვის სულის დადება.

17. ხოლო ვისაც აქვს სიმდიდრე ამ ქვეყნად, და ხედავს თავისი ძმის გაჭირვებას, მაგრამ გულს იხშობს მისთვის, როგორღა დაემკვიდრება მასში ღმრთის სიყვარული?

18. შვილნო ჩემნო, მოდით, გვიყვარდეს, მაგრამ არა სიტყვით და ენით, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებით.

19. და ამით შევიცნობთ, რომ ჭეშმარიტებისაგან ვართ, და მის წინაშე დავირწმუნებთ გულს.

20. რადგან თუ ჩვენი გული გვგმობს, ღმერთი ხომ ჩვენს გულზე უმეტესია, და იცის ყოველი?

21. საყვარელნო, და თუ გული არა გვგმობს ჩვენ, პირნათელნი ვართ ღმერთის მიმართ.

22. და რასაც ვითხოვთ, მივიღებთ

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

მისგან, ვინაიდან ვიმარხავთ მის მცნებებს, და ვყოფთ სათნოებას მის წინაშე.

23. ხოლო მისი მცნება ისაა, რომ გვწამდეს მისი ძის იესო ქრისტეს სახელით, და, როგორც გვამცნო, გვიყვარდეს ერთმანეთი.

24. და თუ ვიმარხავთ მის მცნებებს, ის ჩვენში მკვიდრობს, და ჩვენ კი მასში. ხოლო იმას, რომ ჩვენში მკვიდრობს, შევიცნობთ სულით, რომელიც მოგვცა ჩვენ.

თავი მეოთხე

1. საყვარელნო, ყველა სულს ნუკი ენდობით, არამედ გამოსცადეთ, ღმერთისაგან არიან თუ არა სულნი, იმიტომ რომ მომრავლდნენ ცრუწინასწარმეტყველნი ქვეყნად.

2. ამით იცნობთ ღმრთის სულს: ყოველი სული, რომელიც აღიარებს იესო ქრისტეს, ხორციელად მოსულს, ღმრთისაგან არის.

3. ხოლო ყოველი სული, რომელიც არ აღიარებს იესო ქრისტეს, ხორციელად მოსულს, ღმრთისაგან კი არ არის, არამედ ესაა ანტიქრისტეს სული, რომლისთვისაც გსმენიათ, მოვაო, და მოვიდა კიდეც ქვეყნად.

4. თქვენ ღმრთისაგან ხართ, შვილნო, და სძლიეთ ისინი; ვინაიდან ის, ვინც თქვენშია, უფრო მეტია მასზე, ვინც არის ქვეყნად.

5. ისინი ქვეყნისაგან არიან, ამიტომაც ქვეყნისას იტყვიან, და ქვეყანა უსმენს მათ.

6. ჩვენ ღმრთისაგან ვართ; ღმრთის მცოდნე გვისმენს ჩვენ; ხოლო ღმრთის არმცოდნე არ გვისმენს ჩვენ. ამით ვიცნობთ სულს ჭეშმარიტებისას და სულს ცდომისას.

7. საყვარელნო, გვიყვარდეს ერთმანეთი; ვინაიდან სიყვარული ღმერთისაგან არის, და ყველა, ვისაც უყვარს, ღმრთისაგან შობილია, და იცნობს ღმერთს.

8. ვისაც არ უყვარს, [illegible] ნო ღმერთი, იმიტომ, [illegible] ყვარულია.

9. ამით გამოცხადდა ღმერთის სიყვარული ჩვენში, რომ თვისი ძე მხოლოდშობილი ღმერთმა მოავლინა ქვეყნად, რათა მის მიერ ვცხონდეთ.

10. სიყვარული ისაა, რომ ჩვენ კი არ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ მან შეგვიყვარა ჩვენ, და მოავლინა თავისი ძე ჩვენი ცოდვების მალხინებლად.

11. საყვარელნო, თუკი ასე შეგვიყვარა ღმერთმა, ჩვენც უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი.

12. ღმერთი არავის არასოდეს უხილავს. თუ ერთმანეთი გვიყვარს, ღმერთი ჩვენში მკვიდრობს, და სიყვარული მისი აღსრულებულია ჩვენში.

13. იმით ვიცნობთ, რომ მასში ვმკვიდრობთ, ხოლო ის — ჩვენში, რომ თავისი სულისაგან მოგვცა ჩვენ.

14. და ჩვენ ვიხილეთ, და ვმოწმობთ, რომ მამამ მოავლინა ძე ქვეყნის მაცხოვრად.

15. ვინც აღიარებს, რომ იესო არის ძე ღმრთისა, მასში მკვიდრობს ღმერთი, ხოლო ის — ღმერთში.

16. და ჩვენც შევიცნეთ და ვიწამეთ სიყვარული, რომელიც აქვს ღმერთს ჩვენდა მომართ. ღმერთი სიყვარულია, და სიყვარულის მკვიდრი ღმერთში მკვიდრობს, ხოლო ღმერთი — მასში.

17. ამით აღესრულა სიყვარული ჩვენს შორის (რათა გულდანდობილნი ვიყოთ განკითხვის დღეს), რომ ისევე ვართ, როგორც ის არის ამ ქვეყნად.

18. სიყვარულში არ არის შიში, არამედ სრულქმნილი სიყვარული აძევებს შიშს; ვინაიდან შიშს თან ახლავს ტანჯვა, ხოლო მოშიში არასრულქმნილია სიყვარულში.

19. ჩვენ გვიყვარს იგი, ვინაიდან პირველად მან შეგვიყვარა ჩვენ.

20. თუ ვინმე იტყვის, რომ უყვარს ღმერთი, მაგრამ სძულს თავისი ძმა, ცრუა; რადგან თუ არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვარებს ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს?

21. და ეს მცნება გვაქვს მისგან: ვისაც უყვარს ღმერთი, უნდა უყვარდეს თავისი ძმაც.

თავი მეხუთე

1. ყველა, ვისაც სწამს, რომ იესო არის ქრისტე, ღმრთისაგან არის შობილი; და ყველას, ვისაც უყვარს მშობელი, მის მიერ შობილიც უყვარს.

2. ამით შევიცნობთ, რომ გვიყვარს ღმრთის შვილნი, როცა შევიყვარებთ ღმერთს, და დავიმარხავთ მის მცნებებს.

3. რადგან ესაა სიყვარული ღმრთის მიმართ, რომ ვიმარხავდეთ მის მცნებებს; და მისი მცნებები არ არის მძიმე.

4. რადგან ყველა, ღმერთის მიერ შობილი, სძლევს ქვეყანას; და ეს არის ძლევა, მთელი ქვეყნის მძლეველი, ჩვენი რწმენა.

5. ვინ სძლევს ქვეყანას, თუ არა ის, ვისაც სწამს, რომ იესო არის ძე ღმრთისა?

6. ეს არის, რომელიც მოვიდა წყლითა და სისხლით, იესო ქრისტე; არა მარტო წყლით, არამედ წყლითა და სისხლით; და სულია, რომელიც მოწმობს, ვინაიდან სული არის ჭეშმარიტება.

7. რადგან სამნი მოწმობენ ზეცად: მამა, სიტყვა და სული წმიდა; და ეს სამნი ერთი არიან.

8. და სამნი მოწმობენ მიწაზე: სული, წყალი და სისხლი; და ეს სამნი ერთის მიმართ არიან.

9. თუ კაცთა მოწმობას ვიღებთ, ღმრთის მოწმობა უმეტესია, ვინაიდან ეს არის საღმრთო მოწმობა, რომლითაც ღმერთმა იმოწმა თავისი ძისთვის.

10. ვისაც სწამს ძე ღმრთისა, თავის თავშივე აქვს მოწმობა; ვისაც არა სწამს ღმერთი, ცრუდ სახავს მას, ვინაიდან არა სწამს მოწმობა, რომელიც ღმერთმა იმოწმა თავისი ძისთვის.

11. და ეს არის მოწმობა, რომ საუკუნო სიცოცხლე მოგვცა ჩვენ ღმერთმა, და ეს სიცოცხლე არის მის ძეში.

12. ვისაც ჰყავს ძე, სიცოცხლე აქვს; ვისაც არა ჰყავს ძე, არც სიცოცხლე აქვს.

13. ეს მოგწერეთ თქვენ, ღმრთის ძის სახელით მორწმუნეთ, რათა იცოდეთ, რომ, ღმრთის ძის მიმართ რწმენით, გაქვთ საუკუნო სიცოცხლე.

14. და ისეთია ჩვენი კადნიერება მის მიმართ, რომ როცა მისი ნებისამებრ ვთხოვთ რასმე, შეისმენს ჩვენსას.

15. და რაკი ვიცით, რომ რაც უნდა ვთხოვოთ, შეისმენს ჩვენსას, ისიც ვიცით რომ მივიღებთ ყველაფერს, რაც ვთხოვეთ მას.

16. თუ ვინმე ხედავს თავის ძმას, რომელიც სცოდავს არა მომაკვდინებელი ცოდვით, ითხოვოს და მისცემს მას სიცოცხლეს, ესე იგი, მას, ვინც სცოდავს, მაგრამ არა მომაკვდინებელი ცოდვით. არის მომაკვდინებელი ცოდვა; მისთვის როდი ვამბობ, ითხოვოს-მეთქი.

17. ყოველგვარი უსამართლობა ცოდვაა; მაგრამ არის არა მომაკვდინებელი ცოდვა.

18. ვიცით, რომ ღმრთისაგან შობილი არავინ სცოდავს; არამედ ღმრთისაგან შობილი თავის თავს იცავს, და უკეთური ვერ ეკარება მას.

19. ვიცით, რომ ღმრთისაგან ვართ, და რომ მთელი ქვეყანა ბოროტებაშია დანთქმული.

20. ისიც ვიცით, რომ ძე ღმრთისა მოვიდა, და მოგვცა ჩვენ გონება, რათა შევიცნოთ ჭეშმარიტი, და ვიყოთ ჭეშმარიტში, რომელიც არის მისი ძე იესო ქრისტე. ეს არის ჭეშმარიტი ღმერთი და საუკუნო სიცოცხლე.

21. შვილნო, დაიცავით თქვენი თავი კერპთაგან. ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე იოანესი

თავი პირველი

1. ხუცესი — რჩეულ დედოფალს და მის შვილებს, რომლებიც მე მიყვარს ჭეშმარიტებით და არა მარტო მე, არამედ ყველას, ვინც შეიცნო ჭეშმარიტება.

2. ჭეშმარიტების გულისთვის, რომელიც მკვიდრობს ჩვენში, და იქნება ჩვენთან უკუნისამდე;

3. დე, იყოს თქვენთან მადლი, წყალობა და მშვიდობა მამა ღმერთისა და უფლის იესო ქრისტეს, მამის ძის მიერ, ჭეშმარიტებით და სიყვარულით.

4. დიდად გავიხარე, როცა ვპოვე შენი შვილები ჭეშმარიტებით მოარულნი, როგორც მიგვიღია მცნება მამისგან.

5. და ახლა გთხოვ, დედოფალო, არა ისე, თითქოს ახალ მცნებას გწერდე, არამედ იმას, რომელიც გვაქვს დასაბამიდან, რათა გვიყვარდეს ერთმანეთი.

6. სიყვარული კი ისაა, რომ მისი მცნებისამებრ ვიარებოდეთ. ხოლო ეს არის მცნება, როგორც გსმენიათ დასაბამიდან, რომ მასში ვიდოდეთ.

7. რადგან მომრავლდნენ მაცთურნი ქვეყნად, რომელნიც არ აღიარებენ იესო ქრისტეს, ხორციელად მოსულს; ეს არის მაცთური და ანტიქრისტე.

8. გაუფრთხილდით თქვენს თავს, რათა არ დავკარგოთ ის, რისი გულისთვისაც ვიღვწოდით, არამედ რათა მივიღოთ სრული საზღაური.

9. არავის, ვინც გადადის ქრისტეს მოძღვრებას და არ მკვიდრობს მასში, არა ჰყავს ღმერთი; ხოლო ვინც მკვიდრობს ქრისტეს მოძღვრებაში, მამაცა ჰყავს და ძეც.

10. ვინც მოდის თქვენთან, მაგრამ არ მოაქვს ეს მოძღვრება, ნუ მიიღებთ მას სახლში, ნურც მოიკითხავთ.

11. რადგან ვინც მას მოიკითხავს, თანაზიარია მისი უკეთური საქმისა.

12. ბევრი რამ მაქვს თქვენთვის მოსაწერი, მაგრამ არ ვისურვე ქაღალდითა და მელნით; არამედ იმედი მაქვს, გეწვევით, და პირისპირ გესაუბრებით, რათა სრული იყოს ჩვენი სიხარული.

13. მოგიკითხავენ შენი რჩეული დის შვილნი. ამინ.

მესამე იოანესი

თავი პირველი

1. ხუცესი — საყვარელ გაიუსს, რომელიც მე მიყვარს ჭეშმარიტებით.

2. საყვარელო, ვლოცულობ, რათა კეთილად გეევლოს და კარგად იყო, როგორც კეთილად ვალს შენი სული.

3. ვინაიდან დიდად გავიხარე, როცა მოვიდნენ ძმები და გვიმოწმეს შენი ჭეშმარიტებისათვის, როგორც შენ თავად დადიხარ ჭეშმარიტებით.

4. იმაზე დიდი სიხარული არ გამაჩნია, როცა მესმის ჩემი შვილების ჭეშმარიტებით სიარული.

5. საყვარელო, სარწმუნოდ იქმ, რასაც იქმ ძმათა და უცხოთათვის,

6. რომელთაც ეკლესიის წინაშე დაგვიმოწმეს შენი სიყვარული; კარგს იზამ, თუ ღირსეულად წარგზავნი მათ, ღმრთის გულისათვის.

7. ვინაიდან მისი სახელისათვის გამოვიდნენ, და არაფერი წამოუღიათ წარმართთაგან.

8. ხოლო ჩვენ გვმართებს ამნაირთა შეწყნარება, რათა შევეწიოთ ჭეშმარიტებას.

9. მივწერე ეს ეკლესიას, მაგრამ დიოტრეფე, რომელიც პირველობას იჩემებს მათ შორის, არ გვიღებს ჩვენ.

10. ამიტომ, თუ მოვალ, შევახსენებ მის საქმეებს, რომელთაც სჩადის; ბოროტი სიტყვით გვგმობს, და ამასაც არ სჯერდება, არამედ არც თვითონ იწყნარებს ძმებს და ვისაც მათი შეწყნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება სურს, იმათაც უკრძალავს და ეკლესიიდან აძევებს.

11. საყვარელო, ნუ ჰბაძავ ბოროტს, არამედ კეთილს მიჰბაძე; ვინაიდან კეთილისმოქმედი ღმრთისაგან არის, ხოლო ბოროტმოქმედს არ უხილავს ღმერთი.

12. დიმიტრისათვის გვიმოწმა ყველამ, და თვით ჭეშმარიტებამაც; და ჩვენც ვმოწმობთ და იცით, რომ ჭეშმარიტია მოწმობა ჩვენი.

13. ბევრი რამ მაქვს მოსაწერი, მაგრამ არ მინდა მელნითა და კალმით მოგწერო,

14. ვინაიდან იმედი მაქვს, რომ მალე გნახავ, და პირისპირ ვილაპარაკებთ.

15. მშვიდობა შენდა. მოგიკითხავენ მეგობრები. სათითაოდ მოგვიკითხე მეგობრები. ამინ.

იუდასი

თავი პირველი

1. იუდა, იესო ქრისტეს მონა, იაკობის ძმა, — ხმობილთ, რომელნიც განწმენდილნი არიან მამა ღმრთისაგან და დაცულნი იესო ქრისტეს მიერ;

2. წყალობა თქვენდა და მშვიდობა და სიყვარული გიმრავლოთ!

3. საყვარელნო, რაკი მთელი გულმოდგინებით ვცდილობ მოგწეროთ საერთო ხსნის გამო, საჭიროდ ვცანი მომეწერა შეგონება: იღვწოდეთ წმიდათა მიმართ ერთხელ მიცემული რწმენისათვის.

4. ვინაიდან შემოგვეპარნენ ზოგიერთნი, რომელთაც იმთავითვე ეწერათ ეს სასჯელი; უღმერთონი, **რომელნიც** ღმერთის ჩვენის მადლს **გახრწნილ**ების საბაბად აქცევენ, და ერთმფლობელ ღმერთსა და უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს უარყოფენ.

5. მინდა შეგახსენოთ, თუმცაღა ყველაფერი იცით, რომ ღმერთმა თავისი ხალხი ეგვიპტის ქვეყნიდან იხსნა, მაგრამ შემდეგ შემუსრა ურწმუნონი.

6. ხოლო ანგელოზნი, რომელთაც არ დაიცვეს თავიანთი დასაბამი, არამედ დაუტოვეს თავიანთი სავანე, სამარადისოდ ბორკილებით შეკრულნი, წყვდიადის ქვეშ დაასამარა, რათა განსჯილიყვნენ დიად დღეს.

7. ისევე, როგორც სოდომი და გომორი, და მათი მოსაზღვრე ქალაქები, მათებრ მემრუშენი და უცხო ხორცს ადევნებულნი, მარადიული ცეცხლით იქნენ დასჯილნი და ნიმუშად დადებულნი.

8. იგივე ელით ამ მეოცნებეთაც, რომელნიც ბილწავენ ხორცს, უარყოფენ მთავრობათ და დიდებათ ჰგმობენ.

9. როდესაც ეშმაკს ეპაექრებოდა და მოსეს სხეულისათვის დაობდა, მიქაელ მთავარანგელოზმა ვერ გაბედა გმობის სასჯელი მოეწია მასზე, არამედ თქვა: შეგრისხოს შენ უფალმა!

10. ისინი კი ჰგმობენ იმას, რაც არ იციან; ხოლო რაც ბუნებით, როგორც უგონო პირუტყვებმა, იციან, იმით თავიანთ თავსავე ხრწნიან.

11. ვაი მათ, ვინაიდან კაენის გზით მიდიან, ბალაამის საზღაურის საცთურს აჰყოლიან, და კორეს ურჩობით იღუპებიან.

12. ესენი არიან, თქვენი სიყვარულის სერობათა შემბილწველნი, დაურიდებლად რომ ილხენენ თქვენთან ერთად, და თავიანთ თავს მასპინძლობენ; უწყლო ღრუბელნი, ქარის მიერ მიმოფანტულნი; შემოდგომის უნაყოფო ხენი, ორგზის გამხმარნი, ფესვებითურთ ამოძირკვულნი;

13. ზღვის მძვინვარე ტალღები, თავიანთივე სირცხვილით აქაფებულნი; ცთომილი ვარსკვლავნი, რომელთათვისაც საუკუნოდ გამზადებულია ბნელის უკუნი.

14. მათთვის იწინასწარმეტყველა ენოქმა, მეშვიდემ ადამის შემდეგ, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

.მელმაც თქვა: აჰა, მოვიდა უფალი, მისივე წმიდათა სიმრავლით,

15. რათა განსაჯოს ყველანი, და ამხილოს უღმერთონი მათ შორის, მათივე უღმერთოების ყველა საქმისა და ყველა იმ ღვთისმგმობი სიტყვის გამო, რასაც მის მიმართ იტყოდნენ უღმრთო ცოდვილნი.

16. ესენი არიან მდრტვინავნი, მოშუღარნი, თავიანთი გულისთქმისამებრ მავალნი, მაღალფარდოვნად მოუბარნი, და ანგარების გამო პირმოთნედ მაოცარნი.

17. ხოლო თქვენ, საყვარელნო, გახსოვდეთ სიტყვები, უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მოციქულთა მიერ წინასწარ თქმული.

18. ისინი გეუბნებოდნენ, რომ უკანასკნელ ჟამს მოვლენ მკრეხელნი, თავიანთი უკეთური გულისთქმისამებრ მავალნი.

19. ესენი არიან თავიანთი თავისგანვე განდგომილნი, მშვიდობიანი სულის არმქონენი.

20. ხოლო თქვენ, საყვარელნო, თქვენივე უწმიდესი სარწმუნოებით დაიმკვიდრეთ თქვენი თავი, ილოცეთ სულით წმიდით,

21. ღმერთის სიყვარულით დაიცავით თქვენი თავი, და ელოდეთ უფლის ჩვენის იესო ქრისტეს წყალობას საუკუნო სიცოცხლისათვის.

22. ზოგიერთს სწყალობდეთ გამორჩევით,

32. ზოგიერთი კი შიშით იხსენით, ცეცხლს გამოსტაცეთ; გძულდეთ ხორცისგან შებღალული თვით სამოსელიც.

24. ხოლო მას, ვისაც ძალუძს დაცემისაგან გიხსნათ თქვენ, და უმწიკვლოდ დაგადგინოთ თავისი დიდების წინაშე სიხარულით,

25. ღმერთს, ერთსა და ბრძენს, მაცხოვარს ჩვენსას, დიდება და სიდიადე, ძალა და ხელმწიფება, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

პავლე მოციქულის ეპისტოლენი

რომაელთა მიმართ

თავი პირველი

1. პავლე, იესო ქრისტეს მონა, ხმობილი მოციქული და რჩეული ღმრთის სახარებისთვის,

2. რომელიც წინასწარ აღგვითქვა თავის წინასწარმეტყველთა მიერ, წმიდა წერილში,

3. დავითის თესლისაგან ხორციელად შობილი თავისი ძის, —

4. ძალით, სიწმიდის სულითა და მკვდრეთით აღდგომით ღმერთის ძედ გამოჩენილი უფლის ჩვენის იესო ქრისტესათვის,

5. ვისგანაც მივიღეთ მადლი და მოციქულობა, რათა, მისი სახელით, სარწმუნოებას დავუმორჩილოთ ყოველი ხალხი,

6. რომელთა შორის ხართ თქვენც, იესო ქრისტეს ხმობილნი, —

7. ყველას, ვინცა ხართ რომში, საყვარელთ ღმრთისას და წმიდა ხმობილთ: მადლი თქვენდა და მშვიდობა ღმერთის, მამის ჩვენისა და უფლის იესო ქრისტესაგან.

8. პირველად ყველა თქვენგანისათვის ვმადლობ ჩემს ღმერთს იესო ქრისტეს მეოხებით, ვინაიდან თქვენი რწმენა იუწყება მთელს ქვეყანაზე.

9. მოწმედ მყავს ღმერთი, რომელსაც ვემსახურები ჩემი სულით მისი ძის სახარებაში, რომ გამუდმებით გიგონებთ თქვენ;

10. დღენიადაგ ვევედრები ჩემს ლოცვებში, ეგებ როგორმე შემეწიოს ნება ღმრთისა, რათა მოვიდე თქვენთან.

11. ვინაიდან მსურს თქვენი ხილვა, რათა გადმოგცეთ ერთგვარი სულიერი მადლი, თქვენდა განსამტკიცებლად,

12. ანუ, რაც იგივეა, ჩვენდა სანუგეშებლად, თქვენი და ჩემი საერთო რწმენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. მინდა იცოდეთ, ძმანო, რომ მრავალგზის დავაპირე თქვენთან მოსვლა (მაგრამ აქამდე დავბრკოლდი), რათა თქვენშიაც მქონოდა ნაყოფი, როგორც სხვა ხალხთა შორის.

14. ბერძენთა და ბარბაროსთა, ბრძენთა და უგუნურთა მოვალე ვარ.

15. ჩემდა თავად კი, ვისწრაფვი, გახაროთ თქვენაც, რომელნიცა ხართ რომში.

16. ვინაიდან არა მრცხვენია ქრისტეს სახარების გამო; რადგან იგია ძალა ღმრთისა, ყველა მორწმუნის მხსნელი, პირველად იუდეველისა, შემდეგ კი ბერძნის.

17. ვინაიდან მასში ცხადდება სიმართლე ღმრთისა, სარწმუნოებიდან სარწმუნოებაში; როგორც დაწერილა: მართალი სარწმუნოებით იცოცხლებს.

18. რადგანაც რისხვა ღმრთისა ცხადდება ზეცით ყოველგვარი უღმერთოებისა თუ უსამართლობის მოქმედ კაცთა მიმართ, რომელნიც უმართლობით ახშობენ ჭეშმარიტებას.

19. ვინაიდან რაც შეიძლება იცოდე ღმერთზე, ცხადია მათთვის, იმიტომ რომ ღმერთმა გამოუცხადა მათ;

20. რადგან ის, რაც უხილავია მასში, მარადიული ძალა და ღვთაებრიობა მისი, სამყაროს შექმნიდან მისსავ ქმნილებებში ცნაურდება და ხილული ხდება; ასე რომ, არ შეუძლიათ თავის მართლება.

21. და რაკი შეიცნეს ღმერთი, მაგრამ არ ადიდეს, როგორც ღმერთი, და არც მადლი შესწირეს, არამედ ამაონი იქმნენ თავიანთი ზრახვით, და დაბნელდა მათი უგონო გული;

22. ბრძენკაცებად მოჰქონდათ თავი, და შლეგებად იქცნენ;

23. და უხრწნელი ღმერთის დიდება ხრწნადი კაცის, ფრინველთა თუ ქვეწარმავალთა ხატებაზე გაცვალეს,

24. ამიტომაც მისცა ისინი ღმერთმა მათსავე გულისთქმათა უწმინდურებას, ასე რომ, შებილწეს თავიანთი სხეულნი;

25. სიცრუეზე გაცვალეს ჭეშმარიტება ღმრთისა, და ჰმსახურებდნენ შექმნილსა და არა შემოქმედს, რომელიც კურთხეულია უკუნისამდე. ამინ.

26. ამიტომაც მისცა ისინი ღმერთმა საგინებელ ვნებებს, ვინაიდან ქალებმა მათი ბუნების წესი არაბუნებითით შეცვალეს;

27. ასევე კაცებმა დაუტევეს ქალებთან ბუნებრივი ცხოვრების წესი, და გულისთქმით გახურებულნი აღერივნენ ერთმანეთს, მამრი მამრთან იქმოდა სარცხვინელს, და თვითონვე იღებდნენ თავიანთი ცთომის საკადრის სასჯელს.

28. და რაკი იუკადრისეს გონებით ღმერთის წვდომა, ამიტომაც უჯერო საქმეთა საქმნელად მისცა ღმერთმა ისინი უკეღმართ ვნებას,

29. ასე რომ აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით: სიძვით, უკეთურებით, ანგარებით, ბოროტებით; სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ზაკვით, ბოროტი ჩვევით;

30. ავსიტყვანი, ცილისმწამებელნი, ღმრთისმოძულენი, ქედმაღალნი, ცუდმედიდნი, ბოროტების წყარონი, დედამამის ურჩნი,

31. უგულისხმონი, უნდონი, უყვარულნი, უწყალონი,

32. რომელთაც იციან ღმრთის სამართალი, რომ ამნაირ საქმეთა ჩამდენნი სიკვდილის ღირსნი არიან; მაგრამ არა მარტო თვითონ სჩადიან, არამედ ჩამდენთაც თანაუგრძნობენ.

თავი მეორე

1. ამიტომ თავს ვერ იმართლებ, ვინც უნდა იყო, კაცო, რომელიც განსჯი; ვინაიდან მსჯავრით, რომლითაც სხვას განსჯი, შენსავე თავს განსჯი; რადგანაც იმასვე სჩადიხარ, რისთვისაც განსჯი.

2. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ არის მსჯავრი ღმრთისა, ჭეშმარიტებისამებრ, ყველა ამგვარი საქმის მოქმედთა მიმართ.

3. იქნებ გგონია, კაცო, რომ თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააღწევ ღმრთის მსჯავრს, რაკიღა განსჯი ყველა ამგვარი საქმის მოქმედს, და თვითონ კი მასვე სჩადიხარ?

4. ან იქნებ უგულებელყოფ მისი სიკეთის, თვინიერებისა და დიდსულოვნების სიუხვეს, და არ კი გესმის, რომ სიკეთეს ღმრთისას სიხარულისაკენ მიჰყავხარ შენ?

5. მაგრამ, შენი სიკერპისა და უსინანულო გულის გამო, თვითონვე იუნჯებ რისხვას რისხვისა და ღმრთის მართალი მსჯავრის გამოცხადების დღისთვის,

6. როდესაც იგი მათი საქმისამებრ მიაგებს ყველას:

7. მათ, ვინც კეთილი საქმის ერთგულებით დიდებას, პატივსა და უხრწნელებას მიელტვიან, — საუკუნო სიცოცხლეს;

8. ხოლო მათ, რომელნიც ურჩობენ და არ ემორჩილებიან ჭეშმარიტებას, არამედ უსამართლობას ჰმორჩილებენ, — გულისწყრომას და რისხვას.

9. ჭირი და ვიწროება ყველა ბოროტმოქმედი კაცის სულს, ჯერ იუდეველისას, შემდეგ ბერძნისას.

10. დიდება, პატივი და მშვიდობა ყველა კეთილისმოქმედს, ჯერ იუდეველს, შემდეგ კი ბერძენს.

11. რადგანაც მიკერძოება უცხოა ღმრთისათვის.

12. ისინი, რომელთაც ურჯულოდ სცოდეს, ურჯულოდვე წაწყმდებიან; ხოლო რომელთაც რჯულით სცოდეს, რჯულითვე განისჯებიან.

13. იმიტომ, რომ რჯულის მსმენელნი კი არ არიან მართალნი ღმერთის წინაშე, არამედ რჯულის აღმსრულებელნი გამართლდებიან.

14. ვინაიდან როცა რჯულის არმქონე წარმართნი ბუნებრივად ასრულებენ რჯულს, მაშინ, რჯულის არმქონენიც თვითონვე არიან თავიანთი თავის რჯული.

15. ისინი გვიჩვენებენ, რომ რჯულის საქმე გულის ფიცარზე უწერიათ, რასაც მოწმობენ მათი სინდისი და მათი აზრები, რომლებიც ხან ბრალს დებენ, ხან კი ამართლებენ ერთიმეორეს.

16. საიმდღისოდ, როცა, ჩემი სახარებისამებრ, ღმერთი განსჯის კაცთა ფარულ საქმეებს იესო ქრისტეს მიერ.

17. აჰა, შენ იუდეველად იწოდები, და თავს იმშვიდებ რჯულით, და იქადი ღმერთს,

18. და იცი მისი ნება, და გესმის უკეთესი, რჯულით განსწავლულს,

19. და თვითმრწმენს გგონია, რომ შენა ხარ ბრმათა მეგზური და ნათელი ბნელში მყოფთათვის,

20. უგუნურთა მასწავლებელი და ყრმათა მოძღვარი, რომელსაც გაქვს შემეცნებისა და ჭეშმარიტების ნიმუში რჯულში;

21. კი მაგრამ, სხვებს რომ ასწავლი, რად არ ასწავლი შენსავე თავს?

22. ქადაგებ: არა იპარო, და იპარავ? ამბობ? არა იმრუშო, და მრუშობ? კერპები გძაგს, და მკრეხელობ?

23. რჯულს იქადი, და რჯულის დარღვევით ღმერთს შეურაცხყოფ?

24. ვინაიდან, როგორც დაიწერა, თქვენს გამო იგმობა ღმრთის სახელი წარმართთა შორის.

25. წინადაცვეთილობა სარგოა, თუ რჯულს ასრულებ; ხოლო თუ რჯულს გადადიხარ, შენი წინადაცვეთილობა წინადაუცვეთელობად იქცევა.

26 და თუ წინადაუცვეთელი რჯულის მართლწესებს იცავს, განა მისი წინადაუცვეთელობა წინადაცვეთილობად არ შეერაცხება?

27. და მერე, ბუნებით წინადაუცვეთელი, რომელიც ასრულებს რჯულს, განა არ განგსჯის შენ, რომელიც, წერილისა და წინადაცვეთილობის მიუხედავად, რჯულის დამრღვევი ხარ?

28. ვინაიდან იუდეველი ის კი არაა, ვინც გარეგნულადაა იუდეველი; არც ისაა წინადაცვეთა, რომელიც გარეგნულია და ხორციელი.

29. არამედ იუდეველი ისაა, ვინც შინაგანადაა იუდეველი; და წინადაცვეთაც ისაა, რომელიც გულისა და სულისმიერია და არა ასოსმიერი. და კაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაგან კი არ იქება იგი, არამედ ღმერთისაგან.

თავი მესამე

1. მაშ, რა უპირატესობა აბლავს იუდეველობას, და რა სარგებელი წინადაცვეთას?

2. დიდი უპირატესობა ყოველმბრივ; უწინარეს ყოვლისა კი იმდენად, რამდენადაც მათ მინდობილი აქვთ ღმერთის სიტყვა.

3. მერედა რა? თუკი ზოგიერთნი ურწმუნო იქმნა, განა მათი ურწმუნოება განაქარებს ღმერთის სარწმუნოებას?

4. არამც და არამც. ღმერთი ჭეშმარიტია, და ყოველი კაცი — ცრუ, როგორც დაიწერა: რათა გამართლდე შენი სიტყვებით ,და იმძლავრო, როდესაც განისჯები.

5. ხოლო თუ ჩვენი უსამართლობა გზას უხსნის ღმერთის სამართლიანობას, რას ვიტყვით? განა უსამართლო არ იქნება ღმერთი, როდესაც გვრისხავს? კაცურად ვმსჯელობ.

6. არამც და არამც. მაშ, როგორ განსაჯოს ღმერთმა ქვეყანა?

7. რადგან თუ ღმერთის ჭეშმარიტება ჩემი სიცრუით მაღლდება მისდა სადიდებლად, რატომღა განვისჯები, როგორც ცოდვილი?

8. კი მაგრამ, იქნებ ბოროტი უნდა ვქმნათ, რათა გამოვიდეს კეთილი, როგორც გვგმობენ ზოგიერთნი და ამბობენ, რომ ამას ვამტკიცებთ? სამართლიანია მათთვის სასჯელი.

9. მერედა რა? გვაქვს კი რაიმე უპირატესობა? არავითარი; ვინაიდან, უკვე დავამტკიცეთ, რომ ყველანი, იუდეველებიცა და ბერძნებიც ,ცოდვის ქვეშა ვართ.

10. როგორც დაწერილია: მართალი არ არის არავინ;

11. არავინ არის გულისხმისმყოფელი; არავინ ეძიებს ღმერთს.

12. ყველა გზას ასცდა; ერთობლივად უმაქნისნი გახდნენ; არ არის სიკეთის მქმნელი, არ არის არავინ.

13. პირაშკმული სამარეა მათი ყელი; ენით ზაკვას იტყვიან; ასპიტთა გესლი სცხიათ ბაგეზე.

14. პირი წყევლითა და სიმწრით აქვთ სავსე.

15. ფეხმარდნი არიან სისხლის სათხევად.

16. ნგრევა და ვარამია მათ გზაზე.

17. ვერ უცვნიათ მშვიდობის გზა.

18. არ არის შიში ღმერთისა მათ თვალწინ.

19. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ რასაც რჯული ამბობს, რჯულის ქვეშევრდომთათვის ამბობს, რათა შეიკრას ყოველი პირი, და მთელი ქვეყანა დაექვემდებაროს ღმერთის სამართალს.

20. ვინაიდან რჯულის საქმით ვერცერთი ხორციელი ვერ გამართლდება მის წინაშე, რადგანაც რჯულით შეიმეცნება ცოდვა.

21. არამედ აწ, გარდა რჯულისა, გამოჩნდა ღმერთის სიმართლე, რასაც მოწმობენ წინასწარმეტყველნი და რჯული.

22. ხოლო სიმართლე ღმერთისა იესო ქრისტეს რწმენის მეოხებით ყველასთვის და ყველა მორწმუნის მიმართ, ვინაიდან არ არსებობს განსხვავება;

23. რაკიღა ყველამ სცოდა და მოაკლდა დიდებას ღმერთისას;

24. ხოლო ყველა უსასყიდლოდ გამართლდება მისი მადლითა და გამოსყიდვით იესო ქრისტეს მიერ,

25. რომელიც ღმერთმა წინასწარ დასახა მალხინებლად რწმენის მიერ, მისივე სისხლით; რათა ეჩვენებინა მისი სიმართლე, უწინდელ ცოდვათა მიტევების გზით,

26. რომელნიც სულგრძელად მოითმინა ღმერთმა, რათა წარმოჩენილიყო მისი სიმართლე აწინდელ დროში, და ყოფილიყო იგი მართალი და იესოსადმი მორწმუნის გამამართლებელი.

27. მაშ, სადღაა სიქადული? განქარებულა. კი მაგრამ, რომელი რჯუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით? საქმეთა რჯულით? არა, არამედ რწმენის რჯულით.

28. ვინაიდან ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რწმენით მართლდება კაცი, რჯულის საქმეთა მიუხედავად.

29. ნუთუ ღმერთი მხოლოდ იუდეველებისაა, და არა წარმართებისაც? რა თქმა უნდა, წარმართებისაც.

30. ვინაიდან ერთია ღმერთი, რომელიც რწმენით გაამართლებს წინადაცვეთილთ, და წინადაუცვეთელთ — რწმენის მიერ.

31. მაშ, ჩვენ რწმენით ვაქარწყლებთ რჯულს? არამც და არამც. არამედ ვამტკიცებთ რჯულს.

თავი მეოთხე

1. რას ვიტყვით, რა შეიძინა მამამ ჩვენმა აბრაამმა ხორციელად?

2. თუ აბრაამი საქმეთაგან გამართლდა, დიახაც აქვს სასიქადულო, მაგრამ არა ღმერთის წინაშე.

3. რადგანაც რას ამბობს წერილი? ერწმუნა აბრაამი ღმერთს, და შეერაცხა მას სიმართლედ.

4. ხოლო მოქმედს საზღაური მადლით კი არ შეერაცხება, არამედ ვალით.

5. მაშინ როდესაც არამოქმედს, მაგრამ მორწმუნეს მის მიმართ, ვინც ამართლებს უღმერთოს, მისი რწმენა სიმართლედ შეერაცხება.

6. ასე დავითიც ნეტარს უწოდებს კაცს, რომელსაც ღმერთი, საქმეთა მიუხედავად, შეურაცხავს სიმართლეს:

7. ნეტარ არიან, რომელთაც მიეტევათ ურჯულოებანი, და დაეფარათ ცოდვანი.

8. ნეტარ არს კაცი, რომელსაც უფალი არ შეურაცხავს ცოდვას.

9. მაგრამ ეს ნეტარება წინადაცვეთილობას ეკუთვნის თუ წინადაუცვეთელობასაც? ვინაიდან ჩვენ ვამბობთ, რომ აბრაამს სიმართლედ შეერაცხა რწმენა.

10. როდის შეერაცხა? წინადაცვეთილობამდე თუ წინადაცვეთის შემდეგ? არა წინადაცვეთილობაში, არამედ წინადაუცვეთელს.

11. და მიიღო წინადაცვეთის ნიშანი, როგორც ბეჭედი რწმენის სიმართლისა, რომელიც წინადაუცვეთელობაში ჰქონდა, რათა ყოფილიყო ყოველი წინადაუცვეთელი მორწმუნის მამა, და მათაც შერაცხოდათ სიმართლედ. —

12. და მამა წინადაცვეთილებისა: არა მარტო იმათი, რომელთაც მიიღეს წინადაცვეთა, არამედ იმათაც, რომელნიც მისდევენ კვალს მამის ჩვენის აბრაამის რწმენისას, რაც მას წინადაუცვეთელობაში ჰქონდა.

13. ვინაიდან რჯულით როდი მიეცა აბრაამს, თუ თესლს მისას, აღთქმა, — ყოფილიყო ქვეყნის მემკვიდრე, არამედ რწმენის სიმართლით.

14. რადგან თუ რჯულისაგან არიან მემკვიდრენი, ამაოა რწმენა და ფუჭია აღთქმა.

15. ვინაიდან რჯული შეიქმს რისხვას; ხოლო სადაც არაა რჯული, იქ არც დარღვევაა.

16. მაშასადამე, რწმენისაგან, რათა მადლით მტკიცე იყოს აღთქმა მთელი მოდგმის მიმართ; არა მარტო რჯულით, არამედ რწმენითაც აბრაამისა, რომელიც არის ყოველი ჩვენგანის მამა.

17. როგორც დაიწერა: მე დაგადგინე შენ მრავალი ხალხის მამად; ღმერთის წინაშე, რომელსაც ერწმუნა იგი, და რომელიც არის მკვდართა ცხოველმყოფელი და არაარსის არსად მწოდებელი;

18. უსასოო სასოებით ერწმუნა, რათა გამხდარიყო მრავალი ხალხის მამა; როგორც ითქვა: ასე იქნება შენი მოდგმა.

19. და არ დაუძლურებულა რწმენით, არც უფიქრია, რომ მისი, ას წელს მიტანებული ბერიკაცის სხეული უკვე სიკვდილად იყო მიწურვილი, და რომ კვდებოდა საშოც სარასი;

20. არც შემდრკალა, არ შერყევია რწმენა ღმრთის აღთქმის მიმართ, არამედ გაძლიერდა რწმენით, და დიდება მიაგო ღმერთს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. და გულსავსედ სწამდა, რომ ღმერთს ძალუძს თავისი აღთქმის აღსრულება.

22. ამიტომაც შეერაცხა მას სიმართლედ.

23. თუმცა მარტო მისთვის როდი დაიწერა, რომ შეერაცხა,

24. არამედ ჩვენთვისაც; შეგვერეცხება ჩვენც, რომელთაც გვწამს იგი, ვინც მკვდრეთით აღადგინა უფალი ჩვენი იესო ქრისტე,

25. რომელიც გაცემულ იქნა ჩვენი ცოდვების გამო, და აღდგა ჩვენს გასამართლებლად.

თავი მეხუთე

1. ამრიგად, რწმენით გამართლებულთ გვაქვს მშვიდობა ღმერთთან უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მეოხებით,

2. ვის მიერაც რწმენით მივემთხვიეთ იმ მადლს, რომელშიაც ვდგავართ, და ღმრთის დიდების სასოებით ვიქადით,

3. და არა მარტო ამით, არამედ შეჭირვებითაც, რადგანაც ვიცით, რომ შეჭირვება შეიქმს მოთმინებას,

4. მოთმინება — გამოცდილებას, გამოცდილება — სასოებას,

5. ხოლო სასოება არ გვარცხვენს, ვინაიდან ღმრთის სიყვარული ჩაღვარა ჩვენს გულებში სულის წმიდის მიერ, რომელიც მოგვცა ჩვენ.

6. ვინაიდან, ჯერ კიდევ ჩვენი უძლურებისას, ქრისტე უღმერთოთათვის მოკვდა, თავის დროს.

7. რადგან ძნელად თუ ვინმე მოკვდება მართლისათვის; მხოლოდ კეთილმოქმედისთვის თუ შეიძლება ვინმემ გაბედოს სიკვდილი.

8. ხოლო ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენს მიმართ იმით გვიმჟღავნებს, რომ ქრისტე ჩვენი გულისთვის მოკვდა, როცა ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით.

9. მით უმეტეს, ამჟამად, მისი სისხლით გამართლებულნი, მისივე მეოხებით თავს დავაღწევთ რისხვას.

10. რადგანაც, თუ მტრები ვიყავით, და მისი ძის სიკვდილით დავუბრუნდით ღმერთს, მით უმეტეს, დაზავებულნი ვცხონდებით მისი სიცოცხლით.

11. და არა მარტო ამით, არამედ ვიქადით ღმერთითაც უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მიერ, ვისი წყალობითაც ამჟამად მივიღეთ ზავი.

12. ვინაიდან როგორც ერთი კაცის მიერ შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად, და ცოდვის მიერ — სიკვდილი, ისე სიკვდილიც გადავიდა ყველა კაცში მის მიერ, ვისითაც ყველამ სცოდა.

13. რადგანაც ცოდვა რჯულამდეც იყო ქვეყნად; მაგრამ ცოდვა არ შეერაცხება, როცა არ არის რჯული.

14. არამედ ადამიდან მოსემდე სიკვდილი სუფევდა მათზედაც, რომელთაც არ შეუცოდავთ ადამის შეცოდებისამებრ, რომელიც არის მერმისის ხატი.

15. მაგრამ მადლი არა როგორც შეცოდება, რადგან თუ ერთის შეცოდებით მრავალნი მოკვდნენ, მით უმეტეს, მადლი ღმრთისა და ნიჭი, ერთი კაცის იესო ქრისტეს მადლით, მრავალსაც მოსჭარბდა სიუხვით.

16. და ნიჭი არა როგორც მსჯავრი ერთი შემცოდის გამო; ვინაიდან მსჯავრი ერთი შეცოდებისთვის — შესაჩვენებლად, ხოლო მადლი — მრავალი შეცოდების გასამართლებლად.

17. რადგან თუ ერთის შეცოდებით სიკვდილი სუფევდა ერთის მიერ, მით უმეტეს მადლისა და სიმართლის ნიჭის უხვად მიმღებნი უნდა სუფევდნენ სიცოცხლეში ერთის — იესო ქრისტეს მიერ.

18. ამიტომ, როგორც ერთის შეცოდებისაგან ყველა კაცის თავზე მოიწია სასჯელი, ასევე ერთის სიმართლისაგან ყველა კაცი გამართლდება სიცოცხლისათვის.

19. ვინაიდან, როგორც ერთი კაცის ურჩობით მრავალი გახდა ცოდვილი, ასევე ერთი კაცის მორჩილებით მრავალნი გახდებიან მართალნი.

20. ხოლო რჯული შემდეგ შემოვიდა, რათა ემრავლა ცოდვას, ხოლო რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა იმრავლა ცოდვამ, მით უფრო მომრავლდა მადლი.

21. რათა, როგორც ცოდვა სუფევდა სიკვდილში, ასევე იყოს მადლის სუფევა სიმართლის მეოხებით საუკუნო სიცოცხლისათვის, უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მიერ.

თავი მეექვსე

1. რას ვიტყვით? დავრჩეთ ცოდვაში, რათა გამრავლდეს მადლი? არამც და არამც.

2. ჩვენ, რომელნიც მოვკვდით ცოდვისათვის, კვლავ როგორღა ვიცხოვრებთ მასში?

3. ან, იქნებ, არ იცით, რომ ვინც ნათელ ვიღეთ იესო ქრისტეს მიერ, მის სიკვდილში ნათელ ვიღეთ?

4. და მასთან ერთად დავიმარხეთ სიკვდილში ნათლისღებით; რათა, როგორც ქრისტე აღდგა მკვდრეთით, მამის დიდების მიერ, ასევე ჩვენც განახლებულ სიცოცხლეში ვიარებოდეთ.

5. რადგან თუ სიკვდილის მსგავსებით თანშეზრდილნი ვართ მასთან, აღდგომითაც მას ვემსგავსებით.

6. რაკილა ვიცით, რომ ჩვენი ძველი კაცი ჯვარს ეცვა მასთან ერთად, რათა გადაგებულიყო ცოდვის სხეული, და აღარასოდეს დავმონებოდით ცოდვას.

7. რადგანაც მკვდარი ცოდვისაგან თავდახსნილია.

8. ხოლო თუ ქრისტესთან ერთად მოვკვდით, გვწამს, რომ სიცოცხლითაც ერთად ვიცოცხლებთ,

9. რადგანაც ვიცით, რომ ქრისტე, მკვდრეთით აღმდგარი, აღარა კვდება: სიკვდილი ვეღარ უფლობს მასზე.

10. რადგანაც, თუ მოკვდა, ცოდვისთვის მოკვდა ერთხელ, ხოლო რაკი ცოცხლობს, ღმერთისთვის ცოცხლობს.

11. ასევე თქვენც მკვდრებად შერაცხეთ თქვენი თავი ცოდვისათვის, და ცოცხლებად — ღმრთისათვის, უფლის ჩვენის ქრისტე იესოს მიერ.

12. მაშ, ნუ იქნება ცოდვის სუფევა თქვენს მოკვდავ სხეულში, ნუ დაემორჩილებით მის სურვილებს.

13. ნუ მისცემთ ცოდვას თქვენს ასოებს უსამართლობის საჭურვლად, არამედ, როგორც მკვდრეთით აღმდგარმა, უძღვენით თავი ღმერთს, ხოლო თქვენი ასოები საჭურვლად—ღმერთის სიმართლეს.

14. ვეღარ გეუფლოთ ცოდვა, ვინაიდან რჯულის ქვეშ კი არა ხართ, არამედ მადლის ქვეშ.

15. მერედა რა? ვცოდოთ, რადგან რჯულის ქვეშ კი არა ვართ, არამედ მადლის ქვეშ? არამც და არამც.

16. ნუთუ არ იცით, რომ ვისაც თავს უმონებთ მორჩილებისთვის, მისივე მონები ხართ, ვისაც ჰმორჩილებთ: ან ცოდვის მონები სიკვდილისათვის, ან მორჩილების მონები სიმართლისათვის.

17. მადლობა ღმერთს, რომ, უწინ ცოდვის მონები, გულის მიერ იმ მოძღვრების მორჩილნი გახლდით, რომელსაც უძღვენით თავი.

18. ხოლო ცოდვისაგან თავდახსნილნი სიმართლეს დაემონეთ.

19. ისე ვმსჯელობ, როგორც მსჯელობენ კაცნი, თქვენი ხორცის უძლურების გამო; მსგავსად იმისა, როგორც ურჯულოებისათვის დაუმონეთ თქვენი ასონი უწმინდურებას და ურჯულოებას, ახლა სიწმინდისათვის დაუმონეთ თქვენი ასონი სიმართლეს.

20. ვინაიდან, როცა ცოდვის მონები იყავით, თავისუფალნი იყავით სიმართლისაგან.

21. კი მაგრამ, რა იყო მაშინ თქვენი ნაყოფი? ის, რისიც ამჟამად გრცხვენიათ, ვინაიდან მისი დასასრული არის სიკვდილი.

22. ხოლო ამჟამად, როცა ცოდვისაგან განთავისუფლდით და ღმერთს დაემონეთ, თქვენი ნაყოფი სიწმინდეა, დასასრული კი — საუკუნო სიცოცხლე.

23. ვინაიდან ცოდვის საზღაური არის სიკვდილი, ხოლო ღმრთის ნიჭი — საუკუნო სიცოცხლე უფლის ჩვენის ქრისტე იესოს მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეშვიდე

1. ან, იქნებ, არ იცით, ძმანო (ვინაიდან რჯულის მცოდნეთ მივმართავ), რომ კანონი მბრძანებლობს კაცზე, სანამ ცოცხალია იგი.

2. ვინაიდან გათხოვილი ქალი ქმრის სიცოცხლეში მასთან შეკრულია რჯულით ,ხოლო თუ ქმარი მოკვდა, განთავისუფლებულია ცოლ-ქმრობის რჯულისაგან.

3. ამიტომაც, თუ ქმრის სიცოცხლეში სხვას გაჰყვება, მეძავად იწოდება; ხოლო თუ ქმარი მოუკვდა, განთავისუფლებულია რჯულის მიერ, და სხვას რომ გაჰყვეს, აღარ იწოდება მეძავად.

4. ასევე თქვენც, ძმანო ჩემნო, მოკვდით რჯულისათვის ქრისტეს სხეულის მეოხებით, რათა ეკუთვნოდეთ სხვას, მკვდრეთით აღმდგარს, და, ამრიგად, გამოვუღოთ ნაყოფი ღმერთს.

5. რადგანაც, სანამ ხორციელად ვცოცხლობდით ,ცოდვის ვნებანი, რჯულის მიერ გამჟღავნებულნი, მოქმედებდნენ ჩვენს ასოებში, რათა გამოგვეღო სიკვდილის ნაყოფი.

6. ხოლო აწ რჯულისთვის მკვდარნი, რომლითაც შეკრულნი ვიყავით, გავთავისუფლდით მისგან, რათა ვმონობდეთ ღმერთს სულის სიახლით და არა ასოს სიძველით.

7. მერედა, რას ვიტყვით? ნუთუ რჯული ცოდვაა: არამც და არამც. მაგრამ მე მხოლოდ რჯულით შევიცან ცოდვა, და სურვილსაც ვერ შევიცნობდი, რჯული რომ არ ამბობდეს: ნუ გსურს.

8. მაგრამ ცოდვამ საბაბი მიიღო მცნებისაგან, და ჩამინერგა ყველა სურვილი: ვინაიდან რჯულის გარეშე ცოდვა მკვდარია.

9. ხოლო მე ოდესღაც ვცხოვრობდი რჯულის გარეშე, და როდესაც მოიწია მცნება, ცოდვა გაცოცხლდა,

10. ხოლო მე მოვკვდი, და, ამრიგად, სასიცოცხლოდ მოცემული მცნება სასიკვდილოდ მოექცა.

11.რადგანაც ცოდვამ, საბაბი რომ მიიღო მცნებისაგან, მაცდუნა მე და მის მიერ მომკლა.

12. ასე რომ, რჯული წმიდაა, და მცნებაც წმიდაა, მართალი და კეთილი.

13. და ნუთუ კეთილი სიკვდილად მექცა? არამც და არამც; არამედ ცოდვამ, ცოდვად რომ ჩანდეს, კეთილის მიერ მოგაგო სიკვდილი, რათა ცოდვა უცოდვილესი გახდეს მცნების მიერ.

14. რადგანაც ვიცით, რომ რჯული სულიერია, ხოლო მე ხორციელი ვარ და ცოდვას მიყიდული,

15. ვინაიდან არ მესმის რას ვაკეთებ: იმიტომ, რომ იმას კი არ ვაკეთებ, რაც მსურს, არამედ იმას, რაც მძულს.

16. ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არა მსურს, მაშასადამე, ვეთანხმები რჯულს, როგორც კეთილს.

17. და აწ უკვე მე კი არ ვაკეთებ მას, არამედ ცოდვა, რომელიც მკვიდრობს ჩემში.

18. რადგანაც ვიცი, რომ არ მკვიდრობს ჩემში, ესე იგი, ჩემს ხორცში, კეთილი; ვინაიდან არის ჩემში კეთილის ნდომა, მაგრამ არ ვიცი, როგორ აღვასრულო იგი.

19. რადგანაც კეთილს კი არ ვაკეთებ, რომელიც მსურს, არამედ ბოროტს, რომელიც არ მსურს.

20. ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არა მსურს, მე კი არ ვაკეთებ მას, არამედ ცოდვა, რომელიც მკვიდრობს ჩემში.

21. და ვპოულობ ამ რჯულს: კეთილის ქმნა მსურს, მაგრამ ბოროტი კი მიძევს წინ.

22. რადგანაც შინაგანი კაცისამებრ, მხოლოდ ღმრთის რჯულით ვტკბები,

23. მაგრამ ჩემს ასოებში სხვა რჯულსა ვხედავ, რომელიც ეურჩება ჩემი გონების რჯულს, და იმ ცოდვილი რჯულის ტყვედ მაქცევს, რომელიც არის ჩემს ასოებში.

24. ვაიმე ბედკრულს! ვინ დამიხსნის სიკვდილის ამ სხეულისაგან?

25. ვმადლობ ღმერთს, უფლის ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის იესო ქრისტეს მიერ. ამრიგად მე, ერთი და იგივე კაცი, გონებით ღმრთის რჯულს ვმონებ, ხორცით კი ცოდვის რჯულს.

თავი მერვე

1. ხოლო აწ არ არის არავითარი სასჯელი მათ მიმართ, რომელნიც არიან ქრისტე იესოში, და ხორცისამებრ კი არ დადიან, არამედ სულისამებრ.

2. რადგანაც სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში ცოდვისა და სიკვდილის რჯულისაგან გამათავისუფლა მე.

3. რაკიღა რჯული, ხორცის მიერ შესუსტებული, უძლური იყო, ღმერთმა მოავლინა თავისი ძე ცოდვილი ხორცის მსგავსებით, ცოდვისვე გამო, და განსაჯა ხორციელი ცოდვა,

4. რათა სიმართლე რჯულისა აღსრულდეს ჩვენში, რომელნიც ხორცისამებრ კი არ დავდივართ, არამედ სულისამებრ.

5. რადგანაც ხორციელნი ხორცისას იზრახავენ, ხოლო სულიერნი — სულისას.

6. ვინაიდან ხორცის ზრახვა სიკვდილია, ხოლო სულის ზრახვა — სიცოცხლე და მშვიდობა,

7. იმიტომ რომ ხორცის ზრახვა ღმრთის მტრობაა, რადგან არ ემორჩილება, და ვერც დაემორჩილება, ღმრთის სჯულს.

8. ამიტომაც ხორცისამებრ მოარულნი ვერ ესათნოებიან ღმერთს.

9. ხოლო თქვენ ხორციელად მყოფნი კი არა ხართ; არამედ სულიერად, თუკი სული ღმრთისა დამკვიდრებულია თქვენში. მაგრამ ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, იგი არც არის მისი.

10. ხოლო თუ ქრისტე თქვენშია, ხორცი მკვდარია ცოდვისათვის, სული კი ცოცხალია სიმართლისათვის.

11. ხოლო თუ მისი სული, ვინც მკვდრეთით აღადგინა იესო, დამკვიდრებულია თქვენში, ქრისტეს მკვდრეთით აღმდგენი თქვენ [illegible] ლებსაც გააცოცხლებს თავისი სულით, რომელიც მკვიდრობს თქვენში.

12. ამრიგად, ძმანო, ხორცის მოვალენი როდი ვართ, რომ ხორცისამებრ ვიცხოვროთ.

13. რადგანაც თუ ხორცისამებრ ცხოვრობთ, სიკვდილი გელით, ხოლო თუ სულით მოაკვდინებთ სხეულის საქმეს, ცოცხალნი იქნებით.

14. ვინაიდან ყველა, ვისაც ღმერთის სული წარმართავს, ღმერთის ძეა.

15. რადგანაც მონობის სული როდი მიგიღიათ, რომ კვლავინდებურად გეშინოდეთ, არამედ მიიღეთ ძეობის სული, რომლითაც ვღაღადებთ: აბბა, მამაო!

16. იგივე სული უმოწმებს ჩვენს სულს, რომ ღმრთის შვილნი ვართ.

17. ხოლო თუ შვილნი ვართ, მემკვიდრენიცა ვართ, ღმერთის მემკვიდრენი და ქრისტეს თანამემკვიდრენი, თუკი მასთან ერთად ვევნებით, რათა მასთან ერთად ვიდიდოთ.

18. რადგანაც ვფიქრობ, რომ აწინდელი ვნებანი ვერ შეედრებიან მომავალ დიდებას, რომელიც გაგვიცხადდება ჩვენ.

19. ვინაიდან ქმნილების სურვილი სასოებით მოელის ღმრთის ძეთა გამოცხადებას,

20. იმიტომ, რომ ქმნილება დაემორჩილა ამაოებას, მაგრამ არა ნებსით, არამედ მის მიერ, ვინც ამაოებას დაუმორჩილა იგი, იმის იმედით,

21. რომ თვით ქმნილებაც განთავისუფლდებოდა ხრწნილების მონობისაგან, ღმრთის შვილთა დიდების თავისუფლებისათვის.

22. რადგანაც ვიცით, რომ მთელი ქმნილება ერთობლივად გმინავს და წვალობს აქამდე.

23. და არა მარტო ის, არამედ ჩვენც, სულის პირველნაყოფის მქონენი, თვითონ ჩვენც ვგმინავთ ჩვენსავე თავში, და მოველით ღმრთის ძეებად შერაცხვას, და გამოხსნას ჩვენი სხეულის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. ვინაიდან ჩვენ ხსნილნი ვართ სასოებით; ხოლო ხილული სასოება არ არის სასოება: ვინაიდან რა სასოება უნდა გქონდეს იმის მიმართ, რასაც ხედავ?

25. ხოლო იმის მიმართ მსასოოვარნი, რასაც ვერ ვხედავთ, მოთმინებით მოველით მას.

26. ასევე სულიც შეეწევა ჩვენს უძლურებას, ვინაიდან არ ვიცით, რისთვის ან როგორ ვილოცოთ; მაგრამ თვით სულია ჩვენი მეოხი უთქმელი ოხვრით.

27. ხოლო გულების მცდელმა იცის, როგორია ზრახვა სულისა, ვინაიდან იგია წმიდათა მეოხი ღმრთის ნებისამებრ.

28. ჩვენ ვიცით, რომ ღმერთის მოყვარეთ, რომელნიც მისი ბრძანებით არიან ხმობილნი, ყველაფერი შეეწევა სასიკეთოდ.

29. რადგან, რომელნიც წინასწარ სცნო, წინასწარვე აირჩია თავისი ძის ხატის თანამსგავსებად, რათა იგი ყოფილიყო პირმშო მრავალ ძმას შორის.

30. ხოლო რომელნიც წინასწარ აირჩია, იგივენი იხმო, და რომელნიც იხმო, იგივენი გაამართლა, და რომელნიც გაამართლა, იგივენი განადიდა.

31. მერედა, რას ვიტყვით ამის გამო? თუკი ღმერთი ჩვენს მხარესაა, მაშ, ვინღაა ჩვენს წინააღმდეგ?

32. ის, ვინც თავისი ძეც არ დაინდო, არამედ ყველა ჩვენგანისათვის გასწირა იგი, როგორღა არ მოგვანიჭებს მასთან ერთად ყოველივეს?

33. ვინ დასდებს ბრალს ღმერთის რჩეულთ? თვით ღმერთი ამართლებს მათ.

34. ან ვინ არის განმსჯელი? ქრისტე მოკვდა, მაგრამ აღდგა კიდეც: იგია ღმრთის მარჯვნივ, იგია მეოხი ჩვენი.

35. ვინ განგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს: ურვა თუ ვიწროება, დევნა თუ შიმშილი, სიშიშვლე თუ საფრთხე, გინდაც მახვილი?

36. (როგორც დაიწერა: შენთვის გვხოცავენ ყოველდღე; ცხვრებად გვთვლიან, დასაკლავად განწირულ ბად).

37. მაგრამ ყოველივე ამას ვძლევთ მისი წყალობით, რომელმაც შეგვიყვარა ჩვენ.

38. რადგანაც მწამს, რომ ვერც სიკვდილი, ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზნი, ვერც მთავრობანი, ვერც ძალნი, ვერც აწმყო, ვერც მომავალი,

39. ვერც სიმაღლე, ვერც სიღრმე, ვერც რაიმე სხვა ქმნილება ვერ განგვაშორებს სიყვარულს ღმრთისას უფლის ჩვენის ქრისტე იესოს მიერ.

თავი მეცხრე

1. ჭეშმარიტებას ვამბობ ქრისტეში, არა ვცრუობ, მემოწმება ჩემი სინიდისი სულის წმიდის მიერ,

2. რომ დიდია ჩემი მწუხარება, და დაუმცხრალია ტკივილი ჩემი გულისა;

3. ასე რომ, ვისურვებდი თავად ვყოფილიყავ შეჩვენებული ქრისტეს მიერ ჩემი ძმების, ჩემი სისხლის და ხორცის გამო,

4. რომლებიც არიან ისრაელიტნი, და რომლებსაც ეკუთვნით ძეობა და დიდება, მცნებანი და რჯულისდება, ღმრთისმსახურება და აღთქმანი;

5. მათნივე არიან მამანი, რომელთაგან ხორციელად არის ქრისტე, ღმერთი, ყველაზე ამაღლებული, კურთხეული უკუნისამდე, ამინ.

6. მაგრამ არა ისე, თითქოს გაცუდდა სიტყვა ღმრთისა, ვინაიდან ყველანი როდი არიან ისრაელიტნი, რომელნიც არიან ისრაელისგან;

7. არც შვილნი არიან ყველანი, რომელნიც არიან აბრაამის თესლისაგან; არამედ ითქვა: ისააკის მიერ იწოდება შენი თესლი.

8. ესე იგი, არა ხორციელი შვილნი არიან შვილნი ღმრთისა, არამედ აღთქმის შვილნი შეირაცხებიან თესლად.

9. ხოლო აღთქმის სიტყვა ასეთია: ამავე დროს მოვალ, და ეყოლება სარას ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. და არა მარტო ეს; არამედ რებეკასაც მამის ჩვენის ისააკისაგან ერთდროულად ეყოლა ორი ძე;

11. მაგრამ ჯერ კიდევ არ შობილიყვნენ, და არც ექმნათ რაიმე, კეთილი, გინდა ბოროტი (რათა ღმერთის წინასწარი არჩევანი ასრულებულიყო.

12. არა საქმეთაგან, არამედ მხმობელის მიერ), რომ ეუწყა ქალს: უფროსი დაემონება უმცროსს.

13. როგორც დაიწერა: იაკობი შევიყვარე, ხოლო ესავი მოვიძულე.

14. რას ვიტყვით? ნუთუ უსამართლობაა ღმერთში? არამც და არამც.

15. რადგანაც ეუბნება მოსეს: შევიწყალებ მას, ვისაც შევიწყალებ, და შევიწყნარებ მას, ვისაც შევიწყნარებ.

16. მაშასადამე, არა მას, ვისაც სურს, არა მას, ვინაც რბის, არამედ მას, ვინც ეწყალვის ღმერთს.

17. რადგანაც წერილი ეტყვის ფარაონს: სწორედ იმისთვის დაგადგინე შენ, რათა ვაჩვენო ჩემი ძალა შენზე, და რათა განითქვას ჩემი სახელი მთელს ქვეყანაზე.

18. ამრიგად, ვინც სურს, მას შეიწყალებს, და ვინცა სურს, მას განაფიცხებს.

19. შენ მეტყვი: მაშ, რაღად სდებს ბრალს? რადგან ვინ აღუდგება წინ მის ნებას?

20. კი მაგრამ, შენ ვინა ხარ, კაცო, რომ ედავები ღმერთს? განა ნახელავი ეტყვის ხელოსანს: რატომ შემქმენი ასე?

21. ან, იქნებ, არ შეუძლია მეთუნეს, რომ მის მიერ მოზელილი ერთი და იმავე თიხისგან ძვირფასი ჭურჭელიც შექმნას და უფასურიც?

22. მაგრამ თუ ღმერთს სურდა ეჩვენებინა რისხვა და ეუწყებინა თავისი ძალა, და მთელი დიდსულოვნებით კი ზოგავდა წარსაწყმედად გამზადებულ ჭურჭლებს რისხვისას,

23. რათა ეუწყებინა თავისი დიდების სიუხვე წყალობის ჭურჭელთა მიმართ, რომელნიც წინასწარ განამზადა დიდებისათვის,

24. ანუ ჩვენდა მომართ, რომელნიც გვიხმო არა მარტო იუდეველთაგან, არამედ წარმართთაგანაც?

25. როგორც ოსეში ამბობს: არა ჩემს ხალხს ჩემს ხალხად ვუხმობ, და არა საყვარელს — საყვარლად.

26. და იმ ადგილას, სადაც მათ მიმართ ითქვა: თქვენ არა ხართ ჩემი ხალხი, იქვე ცოცხალი ღმრთის ძეებად იწოდებიან.

27. ხოლო ესაია ღაღადებს ისრაელისთვის: ისრაელის ძეთა რიცხვი იმდენიც რომ იყოს, რამდენიც ქვიშაა ზღვაში ,მხოლოდ ნაშთი ცხოვნდება.

28. ვინაიდან სიტყვას ასრულებს და მალე გადაწყვეტს, გადამწყვეტ სიტყვას ალასრულებს უფალი ქვეყნად.

29. და როგორც იწინასწარმეტყველა ესაიამ: უფალ საბაოთს რომ არ დაეტოვებინა ჩვენთვის თესლი, ვიქნებოდით როგორც სოდომი, და გომორას ვემსგავსებოდით.

30. რას ვიტყვით? წარმართნი, რომელნიც არ ეძებდნენ სიმართლეს, ეწიენ სიმართლეს, სიმართლეს რწმენის მიერ.

31. ხოლო ისრაელი, რომელიც ეძებდა სიმართლის რჯულს, სიმართლის რჯულს ვერ მისწვდა.

32. რატომ? იმიტომ რომ ეძებდნენ არა რწმენის მიერ, არამედ რჯულის საქმეთა მიერ. რადგანაც წაიფორხილეს ფეხწამოსაკრავ ქვაზე,

33. როგორც დაიწერა: აჰა, მე დავდებ სიონში ქვას ფეხწამოსაკრავს და კლდეს საცდურისას, და მის მიმართ მორწმუნე თავს არ შეირცხვენს.

თავი მეათე

1. ძმანო, ნდომა ჩემი გულისა და ჩემი ვედრება ღმერთის მიმართ ისრაელისთვის არის, მისდა სახსნელად.

2. ვუმოწმებ მათ, რომ აქვთ სალმრთო შური, მაგრამ არა ცოდნით.

3. ვინაიდან, რაკი არ იცოდნენ ღმერთის სიმართლე და თავიანთი სიმართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის დამტკიცებას ცდილობდნენ, არ დაემორჩილნენ სიმართლეს ღმრთისას.

4. იმიტომ რომ რჯულის დასასრული ქრისტეა, ყველა მორწმუნის სიმართლისათვის.

5. მოსე წერს რჯულის სიმართლისათვის: მისი აღმსრულებელი კაცი მისითვე ცხონდება.

6. ხოლო რწმენის სიმართლე ასე ამბობს: ნუ იტყვი შენს გულში: ვინ ამაღლდება ზეცად? ესე იგი, ქრისტეს ჩამოსაყვანად.

7. ანდა ვინ ჩავა უფსკრულში? ესე იგი, ქრისტეს ამოსაყვანად მკვდრეთით.

8. მაგრამ რას ამბობს წერილი? — ახლოა შენთან სიტყვა, შენს ბაგეზეა და შენს გულშია: ეს არის რწმენის სიტყვა, რომელსაც ვქადაგებთ.

9. რადგან, თუ შენი ბაგეებით უფლად აღიარებ იესოს, ხოლო შენც გულში იწამებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, — ცხონდები.

10. ვინაიდან გულითა სწამთ სიმართლისათვის, ხოლო ბაგით აღიარებენ ცხონებისათვის.

11. რადგანაც წერილი ამბობს: არავინ შერცხვება, ვისაც სწამს იგი.

12. რადგან არ არის განსხვავება იუდეველსა და ბერძენს შორის, ვინაიდან ერთია ყველას უფალი, გულუხვი ყველა მისი მხმობელის მიმართ.

13. რადგანაც ყველა, ვინც უხმობს უფლის სახელს, ცხონდება.

14. მაგრამ როგორ უხმობენ მას, ვინც არ ირწმუნეს? ან როგორ ირწმუნონ იგი, ვინც არ სმენიათ? ანდა როგორ ისმინონ უქადაგებლად?

15. ან როგორ იქადაგონ, თუკი არ წარიგზავნებიან? როგორც დაიწერა: რა მშვენიერნი არიან მშვიდობის მახარებელთა, სიკეთის მახარებელთა ფეხნი!

16. მაგრამ ყველა როდი ერწმუნა სახარებას. რადგანაც ესაია ამბობს: უფალო, ვინ ერწმუნა იმას, რაც ჩვენგან ისმინეს?

17. ამრიგად, რწმენა სმენისაგან, ხოლო სმენა ღმრთის სიტყვისაგან.

18. მაგრამ ვამბობ: ნუთუ ვერ მინეს? პირიქით ,მთელს დედამიწაზე გაისმა მათი ხმა, და ქვეყნის კიდეს უწია მათმა სიტყვამ.

19. კვლავ ვამბობ: ნუთუ ვერ შეიცნო ისრაელმა? მაგრამ პირველად მოსე ამბობს: მე ავღძრავ თქვენს შურს არა ხალხის მიერ, უგულისხმო ხალხით განგარისხებთ თქვენ.

20. ხოლო ესაია კადნიერდება და ამბობს: ვეპოვნინე მათ, რომელნიც არ მეძებდნენ, და გამოვეცხადე მათ, რომელნიც არ მკითხულობდნენ.

21. ისრაელისთვის კი ამბობს: მთელ დღეს ვიწვდიდი ხელებს ურჩი და უჯიათი ხალხის მიმართ.

თავი მეთერთმეტე

1. ამრიგად, ვამბობ: ნუთუ ღმერთმა განიშორა თავისი ხალხი? არამც და არამც რადგან მეც ისრაელიტი ვარ, აბრაამის თესლისა და ბენიამინის ტომისაგან.

2. არ განუშორებია ღმერთს თავისი ხალხი, რომელიც წინასწარ იცნო. ან, იქნებ, არ იცით, რას ამბობს წერილი ელიასათვის? როგორ შესჩივის იგი ღმერთს ისრაელის გამო:

3. უფალო, შენი წინასწარმეტყველნი მოკლეს და შენი საკურთხეველნი დაანგრიეს; მელა დავრჩი, და ეძიებენ ჩემს სულს.

4. მაგრამ რას ეუბნება მას პასუხი ღმრთისა? — მე დავიტოვე შვიდი ათასი კაცი, რომლებსაც არ მოუყრიათ მუხლი ბაალის წინაშე.

5. ასე ამჟამადაც მადლისმიერი არჩევანით გადარჩა ნაშთი.

6. მაგრამ თუ მადლის მიერ, უკვე არა საქმეთა მიერ, თორემ მადლი აღარ იქნებოდა მადლი, ხოლო თუ საქმეთა მიერ, უკვე აღარ არის მადლი, თორემ საქმე აღარ არის საქმე.

7. მერედა რა? რასაც ეძებდა ისრაელი ,მას ვერ ეწია; ხოლო რჩეულნი ეწიენ; დანარჩენებს კი დაევსოთ თვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. როგორც დაიწერა: მისცა მათ ღმერთმა მთვლემარე სული, თვალნი, რომელნიც ვერ ხედავენ და ყურნი, რომელნიც ვერ ისმენენ.

9. ხოლო დავითი ამბობს: დე, ექცეთ ტაბლა მახედ, ბადედ, საცდურად და სანაცვლოდ მათდა.

10. დაე, დაეკვლოთ თვალნი, რათა ვერ იხილონ, და მოდრიკე მათი ზურგი სამარადისოდ.

11. მე კი ვამბობ: ნუთუ წაიფორთხილეს, რათა დაეცნენ? არამც და არამც, არამედ მათი დაცემისგან არის წარმართთა ხსნა, რათა აღძრას მათში საღმრთო შური.

12. ხოლო თუ მათი დაცემა ქვეყნის სიმდიდრეა, და მათი სიმწირე — წარმართთა სიმდიდრე, რამდენად უფრო მეტი იქნება სავსება მათი?

13. თქვენ გეუბნებით, წარმართნო: რამდენადაც წარმართთა მოციქული ვარ, ვადიდებ მსახურებას ჩემსას.

14. იქნება ასე მაინც შევძლო საღმრთო შური აღვძრა ჩემსავ თვისტომთა შორის, და ვიხსნა ზოგიერთი მათგანი.

15. რადგან თუ მათი განშორება ქვეყნის დაზავებაა, რაღა იქნება მათი შეწყნარება, თუ არა სიცოცხლე მკვდართაგან?

16. ხოლო თუ პირველ ნაყოფი წმიდაა ,ასევე ცომიც; და თუკი ფესვი წმიდაა, ასევე რტონიც.

17. მაგრამ თუ რტოთაგან ზოგი მოტყდა, და შენ, ველური ზეთისხილი, მათ ადგილას დაემყენ, და ფესვებისა და ზეთისხილის წვენის თანაზიარად იქეც,

18. ნუ იქადი რტოთა წინაშე; ხოლო თუ იქადი, გახსოვდეს, რომ შენ კი არ გიტვირთავს ფესვი, არამედ ფესვმა გიტვირთა შენ.

19. იტყვი: რტონი გადატყდნენ, რათა მე დავმყნილიყავი.

20. კეთილი, ისინი ურწმუნოებით გადატყდნენ, ხოლო შენ რწმენით დგახარ. ნუ ქედმაღლობ, არამედ გეშინოდეს.

21. რადგან თუ ღმერთმა ბუნებრივი რტონი არ დაინდო, [illegible] დობს.

22. ხომ ხედავ სიკეთეს და სიმკაცრეს ღმრთისას: სიმკაცრე — დაცემულთა, ხოლო სიკეთე — შენს მიმართ, თუკი მისი სიკეთით მკვიდრობ; არა და, შენც მოიკვეთები.

23. მაგრამ ისინიც, თუკი არ დარჩებიან ურწმუნოებაში, — დაემყნებიან, ვინაიდან ღმერთს ძალუძს კვლავ-ინდებურად დამყნობა მათი.

24. რადგანაც ,თუ შენ მოიკვეთე ბუნებით ველური ზეთისხილისგან და არაბუნებრივად დაემყნე შინაურ ზეთისხილს, მით უმეტეს ბუნებრივი რტონი დაემყნობიან თავის ზეთისხილს.

25. ვინაიდან არ მინდა, ძმანო, არ იცოდეთ ეს საიდუმლო (რათა თქვენსავე განსჯას არ დაეყრდნოთ), რომ ისრაელის სიბრმავე ნაწილობრივია, დროებითი, ვიდრე არ შემოვა წარმართთა მთელი სიმრავლე.

26. და ასე მთელი ისრაელი ცხონდება, როგორც დაიწერა: მოვა სიონით მხსნელი, და მიაქცევს ულმერთოებას იაკობისგან.

27. და ეს არის ჩემმიერი აღთქმა მათ მიმართ, როდესაც წარვხოც მათ ცოდვებს.

28. სახარების მიხედვით, ისინი მტრები არიან თქვენს გამო, ხოლო არჩევის მიხედვით, საყვარელნი მამათა გამო.

29. რადგან ღმრთის ნიჭნი და მოწოდება უცვალებელნი არიან.

30. ვინაიდან როგორც თქვენ ოდესღაც ეურჩეთ ღმერთს, ხოლო აწ შეწყალებული ხართ მათი ურჩობის გამო,

31. ასევე ახლა ისინიც ურჩნი არიან თქვენი შეწყალებისთვის, რათა თავადაც შეწყალებულ იქმნენ.

32. რადგანაც ღმერთმა ყველანი ურჩობაში მოამწყვდია, რათა ყველანი შეიწყალოს.

33. ეჰა, ღმერთის სიუხვის, სიბრძნისა და ცოდნის სიღრმე! რაოდენ გონება მიუწვდომელნი არიან მისი მსჯავრნი და გამოუკვლეველნი მისი გზანი!

34. რადგან ვინ შეიცნო უფლის გონება, ან ვინ იყო მისი თანამზრახველი?

35. ან ვინ მისცა მას წინასწარ, რათა კვლად მიეგოს მას?

36. რადგანაც მისგან და მის მიერ და მის მიმართაა ყოველი. დიდება მას უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

თავი მეთოთრმეტე

1. გემუდარებით, ძმანო, ღმრთის მოწყალებით. ცოცხალ. წმიდა, კეთილსასურველ მსხვერპლად უძღვენით თქვენი სხეულნი ღმერთს, რათა გონივრული იყოს თქვენი ღმრთისმსახურება.

2. და ნუ ემსგავსებით ამ ქვეყანას, არამედ გარდაიქმენით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ნება ღმრთისა, კეთილი, სათნო და სრული.

3. ჩემთვის მოცემული მადლით შივმართავ ყველა თქვენგანს: ნურავინ იფიქრებს თავის თავზე უფრო მეტს, ვიდრე მართებს იფიქროს; არამედ იფიქროს ზომიერად, ღმერთის მიერ თვითეულისათვის მიგებული რწმენის თანახმად.

4. რადგან, როგორც ერთ სხეულს ჩვენსას მრავალი ასო აქვს, მაგრამ ყველა ასოს ერთი და იგივე საქმე როდი აქვს.

5. ასევე ჩვენც, მრავალნი, ერთი სხეული ვართ ქრისტეს მიერ, ხოლო ცალცალკე ერთმანეთის ასოები ვართ.

6. და რაკი ჩვენთვის მოცემული მადლისამებრ სხვადასხვა ნიჭი გვაქვს, ამიტომ, თუ წინასწარმეტყველების ნიჭი გებოძა, იწინასწარმეტყველე. თანახმად შენივე რწმენისა;

7. თუ მსახურებისა — იმსახურე, თუ მოძღვრისა — დამოძღვრე;

8. თუ შემგონებლისა — შეაგონე, თუ მოწყალების გამცემისა — უშურველად გაეცი, თუ წინამძღვრისა — გულმოდგინედ იწინამძღვრე. თუ ქველმოქმედებისა — სიხარულით. ალბა- რულე სიქველის საქმე.

9. დე, უორგულო იყოს სიყვარული; განეშორეთ ბოროტს, მიეახლეთ კეთილს.

10. ძმური სიყვარულით გიყვარდეთ ერთმანეთი; ერთიმეორეს ასწრებდეთ ურთიერთპატივისცემას.

11. გულმოდგინება ნუ დაგზარდებათ; სულით მდუღარენი იყავით; ჰმონებდეთ უფალს.

12. გიხაროდეთ სასოებით; მომთმენნი იყავით ჭირში, ხოლო ლოცვისას — მოუღლელნი.

13. შეეწიეთ წმიდათა გასაჭირს; სტუმართმოყვარეობა გქონდეთ წესად.

14. აკურთხეთ თქვენი მდევნელნი; ნუკი სწყევლით, არამედ აკურთხეთ.

15. გიხაროდეთ მათთან ერთად, რომელნიც ხარობენ, და ტიროდეთ მათთან ერთად, რომელნიც ტირიან.

16. ერთმანეთის თანამოზიარენი იყავით; მაღლად მხედობას ნუკი ცდილობთ, არამედ ემსგავსეთ მდაბალს; ბრძენკაცებად ნუ მოგაქვთ თავი.

17. ბოროტის წილ ნურავის მიაგებთ ბოროტს; ყოველი კაცის წინაშე იზრუნეთ სიკეთისათვის.

18. თუკი შესაძლოა, თქვენის მხრივ, მშვიდობისმყოფელნი იყავით ყოველი კაცის მიმართ.

19. თქვენი თავისთვის ნუ იძიებთ შურს, საყვარელნო, არამედ მიეცით ადგილი ღმრთის რისხვას. ვინაიდან დაწერილია: ჩემია შურისგება, და მე მივაგებ, იტყვის უფალი.

20. ამრიგად, თუ შენი მტერი მშიერია, დააპურე იგი; თუ მწყურვალია, წყალი ასვი მას: რადგან ამით მოგიზგიზე ნაკვერცხლებს აგროვებ მის თავზე.

21. ნუ იძლევი ბოროტისაგან, არამედ კეთილით სძლიე ბოროტი.

თავი მეცამეტე

1. დაე, ყოველი სული უზენაეს ხელმწიფებას დაემორჩილოს, ვინაიდან არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღმრთისაგან; დიახ, ყოველი ხელმწიფება ღმრთის მიერ დადგენილია.

2. ამიტომ, ვინც ეწინააღმდეგება ხელმწიფებას, ღმრთის განჩინებას ეწინააღმდეგება; ხოლო წინააღმდგომნი თვითონვე მოიწევენ თავიანთ თავზე სასჯელს.

3. ვინაიდან მთავარნი კეთილის მოქმედთათვის კი არა, ბოროტმოქმედთათვის არიან საშიშნი. შენ გინდა არ გეშინოდეს ხელმწიფებისა? კეთილი ჰქმენ, და იქები მისგან.

4. რადგანაც იგი ღმრთის მსახურია, შენდა სასიკეთოდ; მაგრამ თუ ბოროტს სჩადიხარ ,გეშინოდეს, ვინაიდან ტყუილად როდი არტყია ხმალი: იმისთვის, რომ ღმრთის მსახურია, რისხვით შურისმგებელი ბოროტმოქმედთა მიმართ.

5. ამიტომაც გვმართებს მორჩილება არა მარტო სასჯელის შიშით, არამედ სინიდისითაც.

6. სწორედ იმიტომ იხდით ხარკს, რომ ღმრთის მსახურნი არიან ,ამ საქმეზე გადაგებულნი.

7. ამრიგად, ყველას მიაგეთ კუთვნილი: ვისაც ხარკი ეგება — ხარკი, ვისაც ბაჟი — ბაჟი; საშიშარს — შიში; პატივსაცემს — პატივისცემა.

8. არაფერი გემართოთ არავისი, გარდა ურთიერთ სიყვარულისა, რადგან ვისაც უყვარს მოყვასი, მან აღასრულა რჯული.

9. ვინაიდან: არა იმრუშო, არა კაცჰკლა, არა იპარო, არა ცილი სწამო, არა ისურვო, და თუა კიდევ სხვა მცნება, ყველა ამ სიტყვებშია მოქცეული: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

10. სიყვარული ბოროტს არ უზამს მოყვასს; რჯულის აღსრულება სიყვარულია.

11. და ასე ჰყავთ, ვინაიდან იცით დრო, რადგანაც მოახლოვდა ძილისგან ჩვენი გამოფხიზლების ჟამი; ვინაიდან ახლა უფრო ახლოა ჩვენთან ხსნა, ვიდრე მაშინ, როცა ვირწმუნეთ.

12. ღამე მიიწურა და მოახლოვდა დღე: მაშ, განვიშოროთ ბნელის საქმენი და შევიმოსოთ ნათლის საჭურვლით.

13. და როგორც დღისით, ღირსეულად ვიაროთ, არა ღორმუცელობითა და სიმთვრალით, არა სიმრუშითა და სიბილწით, არა შუღლითა და შურით,

14. არამედ შეიმოსეთ უფალი იესო ქრისტე, და ხორცისთვის ზრუნვას ნუ აქცევთ ავხორცობად.

თავი მეთოთხმეტე

1. შეიწყნარე რწმენით უძლური, მაგრამ არა საცილობლად და საკამათოდ.

2. რადგან ზოგს ჰგონია, რომ შეიძლება ჭამო ყველაფერი, ხოლო უძლური მხალეულს ჭამს.

3. მჭამელი ნუ შეურაცხყოფს არამჭამელს, ხოლო არამჭამელი ნუ განსჯის მჭამელს, ვინაიდან ღმერთმა შეიწყნარა იგი.

4. შენ ვინა ხარ, რომ განსჯი სხვის მონას? თავისი უფლის წინაშე დგას იგი თუ ეცემა; მაგრამ დადგება, რადგანაც ღმერთს ძალუძს დადგენა მისი.

5. ზოგი ერთ დღეს მეორისაგან ასხვავებს, ზოგისთვის კი ყველა დღე ერთნაირია. ყოველი კაცი თავისივე გონებით იყოს სრული.

6. ვინც ფიქრობს დღეზე, უფლისთვის ფიქრობს, და ვინც არ ფიქრობს დღეზე, უფლისთვისვე არ ფიქრობს; ვინც ჭამს, უფლისთვის ჭამს, რადგანაც ჰმადლობს ღმერთს, და ვინც არა ჭამს, უფლისთვისვე არა ჭამს, და ჰმადლობს ღმერთს.

7. რადგან არცერთი ჩვენგანი თავისთვის არ ცოცხლობს, და არც არავინ კვდება თავისთვის.

8. არამედ, თუ ვცოცხლობთ, უფლისთვის ვცოცხლობთ, ხოლო თუ ვკვდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, უფლისთვის ვკვდებით, და ამიტომ, ვცოცხლობთ თუ ვკვდებით, უფლისანი ვართ.

9. რადგანაც ქრისტე იმისთვის მოკვდა და აღდგა და ცხონდა, რათა იყოს უფალი ცოცხლებისაც და მკვდრებისაც.

10. ხოლო შენ რად განსჯი შენსავე ძმას? ან შენ რაღად შეურაცხყოფ შენსავე ძმას? რადგანაც ყველანი წარვსდგებით ქრისტეს მსჯავრის წინაშე.

11. ვინაიდან დაწერილია: ცოცხლობ მე, ამბობს უფალი, და ჩემს წინაშე მოიყრება ყოველი მუხლი, და ყოველი ენა აღიარებს ღმერთს.

12. ამრიგად, ყოველი ჩვენგანი თავის ანგარიშს ჩააბარებს ღმერთს.

13. მაშ, ნუ განსვჯით ერთიმეორეს; არამედ უმეტესად იმისთვის საჯეთ, რათა არ დაუგოთ ძმას ფეხწამოსაკრავი ანდა საცდური.

4. ვიცი და მწამს უფლის იესოს მიერ, რომ თავისთავად არაფერია უწმინდური; არამედ უწმინდურია მხოლოდ მისთვის, ვისაც უწმინდური ჰგონია იგი.

15. ხოლო თუ საჭმლისთვის წუხს შენი ძმა, უკვე აღარ დადიხარ სიყვარულის გზით. შენი საჭმლით ნუ დაღუპავ მას, ვისთვისაც ქრისტე მოკვდა.

16. ნუმც დაიგმობა თქვენი სიკეთე.

17. რადგანაც ღმერთის სასუფეველი სასმელ-საჭმელი კი არაა, არამედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულით წმიდით.

18. ხოლო ვინც ამით მსახურებს ქრისტეს, სათნოა ღმრთისთვის და საქებარი კაცთა მიერ.

19. მაშ, მივსდიოთ მშვიდობის საქმეს და იმას, რითაც დავმოძღვრავთ ერთიმეორეს.

20. საჭმლის გულისთვის ნუ დაარღვევ ღმრთის საქმეს. ყველაფერი წმიდაა, მაგრამ ბოროტია კაცისთვის, რომელიც ცდუნების გამო ჭამს.

21. უმჯობესია არ ჭამო ხორცი, არა სვა ღვინო, და არა ქმნა არაფერი, რაზედაც შენი ძმა წაიფორხილებს, ან თაც შეცდება ან დაუძლურდება.

22. რწმენა გაქვს? შენთვის გქონდეს ღმერთის წინაშე. ნეტარია, ვინც არ განისჯის თავს იმით, რასაც აირჩევს.

23. ხოლო მეჭველი, თუკი ჭამს, განისჯება, ვინაიდან რწმენით როდი ჭამს; ხოლო ყოველივე ის, რაც რწმენით არ არის, ცოდვაა.

თავი მეთხუთმეტე

1. ხოლო ჩვენ, ძლიერთ, გვმართებს, ვითმენდეთ უძლურთა უმწეობას, მაგრამ არ უნდა ვეძებდეთ საკუთარ სიამოვნებას.

2. ყოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს აამოს მხოლოდ მოყვასს, მისდა სასიკეთოდ და დასამოძღვრავად.

3. რადგან ქრისტეც თავის სიამოვნებას კი არ ეძებდა, არამედ, როგორც დაიწერა: შენი მაგინებლების გინება დამატყდა თავს.

4. ხოლო ყველაფერი, რაც უწინ დაიწერა, ჩვენდა სამოძღვრებლად დაიწერა, რათა მოთმინებითა და წერილისმიერი ნუგეშისცემით სასოება გვქონდეს.

5. მოთმინებისა და ნუგეშისცემის ღმერთმა კი .დაე, მოგცეთ იმისი ნიჭი, რომ ერთმანეთს შორის თანამოაზრენი იყოთ ქრისტეს იესოს მიერ;

6. რათა ერთსულოვნად და ერთხმად ადიდებდეთ ღმერთსა და მამას უფლის ჩვენის იესო ქრისტესას.

7. ამიტომაც შეიწყნარეთ ერთმანეთი, როგორც ქრისტემ შეგიწყნარათ თქვენ, ღმრთის სადიდებლად.

8. ვამბობ, რომ იესო ქრისტე წინადაცვეთილთა მსახური გახდა ღმერთის ჭეშმარიტებისათვის, რათა დაემტკიცებინა მამათა აღთქმა,

9. ხოლო წარმართთა მსახური — წყალობისათვის, რათა ედიდებინა ღმერთი, როგორც დაიწერა: ამისთვის გაღიარებ შენ წარმართთა შორის, და ვუგალობ შენს სახელს.

10. ისიც ითქვა: გიხაროდეთ, წარმართნო, მის ხალხთან ერთად.

11. და კიდევ: აქოს უფალი ყველა წარმართმა, და ადიდოს იგი ყოველმა ხალხმა.

12. ხოლო ესაია ამბობს: იქნება ფესვი იესესი, რომელიც აღდგება წარმართთა მთავრად და სასოებად მათდა.

13. ხოლო სასოების ღმერთმა, დაე აგავსოთ თქვენ ყოველგვარი სიხარულითა და მშვიდობით რწმენის მიერ, რათა უხვად გქონდეთ სასოება სულის წმიდის ძალით.

14. ხოლო მე, ძმანო ჩემნო, მწამს თქვენთვის, რომ თავადაც სავსენი ხართ სიკეთით, აღვსილნი ყოველგვარი ცოდნით, და შემძლენი იმისა, რომ ასწავლოთ ერთიმეორეს;

15. მაგრამ, ცოტა არ იყოს, კადნიერად მოგწერეთ, ძმანო, თითქოს იმიტომ, რომ შემეხსენებინა თქვენთვის იმ მადლით, რომელიც მომეცა ღმერთის მიერ,

16. რათა ვიყო იესო ქრისტეს მსახური წარმართთა მიმართ და ღმერთის სახარების მღვდელმოღვაწე, რათა წარმართთა შენაწირი, კეთილსასურველი იყოს ღმრთისათვის, განწმენდილი სულის წმიდის მიერ,

17. ამრიგად ,მაქვს სიქადული იესო ქრისტეში ღმრთის მიმართ.

18. რადგან ვერ ვბედავ რაიმე ისეთის თქმას, რაც არ უქმნია ქრისტეს ჩემს მიერ, წარმართთა დასამორჩილებლად, სიტყვით თუ საქმით,

19. სასწაულებისა და ნიშების ძალით ,ღმრთის სულის ძალით, ასე რომ იერუსალემიდან მოყოლებული მთელს გარეშემო მხარეში ვიდრე ილირიკონამდე გავავრცელე სახარება ქრისტესი.

20. თანაც ვცდილობდი ისე დამეცვა ჩემი ღირსება, რომ არ მეხარებინა იქ, სადაც ცნობილი იყო ქრისტეს სახელი, რათა სხვის საძირკველზე არ მეშენებინა.

21. არამედ, როგორც დაიწერა: ვისაც არ უწყებია, ისინი იხილავენ და ვისაც არ სმენია, ისინი შეისმენენ.

22. სწორედ ამან მრავალგზის შემიშალა ხელი თქვენთა მოსვლაში.

23. ხოლო აწ, რაკი ამ მხარეში აღარა მაქვს ამნაირი ადგილი, და დიდიხანია მსურს თქვენთან მოსვლა,

24. ამიტომ, ესპანეთს გავემგზავრები თუ არა, თქვენთანაც მოვალ, რადგანაც იმედი მაქვს, რომ გავლით გიხილავთ და კიდეც გამაცილებთ, როგორც კი დავტკბები თქვენთან ცოტა ხანს ყოფნით.

25. ჯერხანობით კი ერუსალემს მივდივარ, რათა ვემსახურო წმიდათ.

26. ვინაიდან მაკედონიამ და აქაიამ კეთილინებეს ეროგვარი შემწეობა აღმოეჩინათ ღატაკთათვის, რომელნიც არიან წმიდათა შორის იერუსალემს;

27. კეთილინებეს და მოვალენიც არიან, რადგან თუ წარმართნი სულიერად მათი თანაზიარნი გახდნენ, თავის მხრივ, მართებთ ხორციელად დაეხმარონ მათ.

28. ამას რომ აღვასრულებ და ჩავბარებ მათი გულმოდგინების ნაყოფს, გინახულებთ და ესპანეთს წავალ.

29. ვიცი, რომ თქვენთან მოსვლისას, ქრისტეს სახარებისმიერი კურთხევის სავსებით მოვალ.

30. ხოლო გევედრებით თქვენ, ძმანო, უფლის ჩვენის იესო ქრისტესა და სულის სიყვარულით, ჩემთან ერთად იღვაწეთ ლოცვებში ჩემთვის და ღმრთის მიმართ.

31. რათა გადავურჩე ურწმუნოებს იუდეაში, და რათა ჩემი მსახურება იერუსალემისათვის კეთილად შეიწყნარონ წმიდათ,

32. რათა, ღმრთის ნებით, სიხარულით მოვიდე და დავისვენო თქვენთან ერთად.

33. ხოლო ღმერთი მშვიდობისა, დე, იყოს ყველა თქვენგანთან. ამინ.

თავი მეთექვსმეტე

1. შეგავედრებთ დას ჩვენსას, ფებეს, კენქრეას ეკლესიის მსახურს,

2. რათა შეიწყნაროთ იგი უფლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ, როგორც ეკადრება წმიდათ, და შეეწიოთ ყველაფერში, რაც დასჭირდება თქვენგან, ვინაიდან თვითონაც შეეწია მრავალს, და, მათ შორის, მეც.

3. მოიკითხეთ პრისკილა და აკვილა, ჩემი თანაშემწენი, ქრისტე იესოს მიერ,

4. (რომელნიც თავს დებდნენ ჩემი სულისთვის, და რომელთაც არა მარტო მე ვმადლობ, არამედ წარმართთა ყველა ეკლესიაც) და ეკლესია, რომელიც არის მათს სახლში.

5. მოიკითხეთ ჩემი ძვირფასი ეპენეტოსი, რომელიც არის პირველ ნაყოფი აქაიის მოქცევისა ქრისტეს მიმართ.

6. მოიკითხეთ მარიამი, რომელიც დიდად გაისარჯა ჩვენთვის.

7. მოიკითხეთ ანდრონიკე და იუნია, ჩემი ნათესავები და თანატყვენი, რომელნიც არიან სახელგანთქმულნი მოციქულთა შორის, და რომელნიც ჩემამდეც იყვნენ ქრისტეში.

8. მოიკითხეთ ამპლიასი, ჩემთვის ძვირფასი უფალში.

9. მოიკითხეთ ურბანუსი, ჩვენი თანამოღვაწე ქრისტეში, და ჩემი ძვირფასი სტაქისი.

10. მოიკითხეთ აპელესი, რჩეული ქრისტეში. მოიკითხეთ არისტობულეს სახლეულნი.

11. მოიკითხეთ ჰეროდიონი, ჩემი ნათესავი. მოიკითხეთ ნარცისის სახლეულთაგან ისინი, რომელნიც არიან უფალში.

12. მოიკითხეთ ტრიფენა და ტრიფოსა, მაშვრალნი უფალში. მოიკითხეთ საყვარელი პერსიდა, რომელიც დიდად დაშვრა უფალში.

13. მოიკითხეთ რუფუსი, რჩეული უფალში, და დედა მისი და ჩემი.

14. მოიკითხეთ ასინკრიტოსი, ფლეგონი, ჰერმასი, პატრობასი, ჰერმესი და მათთან სხვა ძმანიც.

15. მოიკითხეთ ფილოლოტოსი და იულია, ნერეასი და მისი და, ოლიმპასი, და მათთან ერთად ყველა წმიდა.

16. მოიკითხეთ ერთმანეთი წმიდა ამბორით. მოკითხვას გითვლით ქრისტეს ყველა ეკლესია.

17. გემუდარებით, ძმანო ერიდეთ განხეთქილებისა და საცდურის მოქმედთ, წინააღმდეგთ მოძღვრებისა, რომლითაც განსწავლულხართ, და განეშორეთ მათ .

18. რადგან ამნაირნი უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს კი არ მსახურებენ, არამედ თავიანთ მუცელს, და ტკბილმეტყველებითა და შემპარავი სიტყვით აცდუნებენ უმანკოთა გულებს.

19. ხოლო თქვენი მორჩილება ყველასათვის ცნობილია; ამიტომაც ვხარობ თქვენს გამო, მაგრამ მსურს, რომ ბრძენნი იყოთ სიკეთისათვის და უმანკონი ბოროტისათვის.

20. ხოლო ღმერთი მშვიდობისა მალე შემუსრავს სატანას თქვენს ფეხქვეშ. მადლი უფლის ჩვენის იესო ქრისტესი თქვენთან. ამინ.

21. მოგიკითხავენ ტიმოთე, შემწე ჩემი, და ლუკიოსი, იასონი და სოსიპატროსი, ნათესავნი ჩემნი.

22. მოგიკითხავთ მე, ტერციუსი, რომელმაც დავწერე ეს წერილი უფალში.

23. მოგიკითხავთ თქვენ გაიუსი, ჩემი და მთელი ეკლესიის მესტუმრე; მოგიკითხავთ თქვენ ერასტოსი, ქალაქის მნე, და კვარტუსი, ძმა.

24. მადლი უფლის ჩვენის იესო ქრისტესი ყველა თქვენგანთან. ამინ.

25. ხოლო მას, ვისაც ძალუძს განგამტკიცოთ თქვენ ,ჩემი სახარებისა და იესო ქრისტეს ქადაგებისამებრ, დაფარული საიდუმლოს გამოცხადებით, რომლის გამოც დუმდნენ საუკუნენი,

26. და რომელიც აწ გამოცხადდა ,საწინასწარმეტყველო წიგნთაგან, მარადიული ღმერთის ბრძანებით, და რწმენისადმი დასამორჩილებლად ეუწყა ყველა ხალხს, —

27. ღმერთს, ერთსა და ბრძენს, იესო ქრისტეს მიერ, დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

თარგმანი ძველბერძნულიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია სტურუა

ციკლიდან „აპოკალიფსი"

მწვანე სიტყვა

გათავდა სივრცე, მეტი აღარაა,
აყვავებული ხეები შემომესივნენ,
ერთმანეთს ფეხს აბიჯებენ,
ერთ გოჯ მიწაში სიცოცხლეს მივცემდი,
რომ ყველას თავთავისი ადგილი მივუჩინო...
ხეებს კიდევ რაღაც ეშველება,
სახლში შევიყვან,
მაგრამ მთები, დარბაისელი, მონუმენტური
მთები, ზოგს რომ ტყეები უჭირავს ხელში,
ზოგს — ჩიტის ბუდესავით ქოხები,
ზოგს — საკუთარი თოვლისფერი თავი:
— ჯანდაბას, ჩვენ დავინგრევით,
მაგრამ ამათ რა ვუყოთო,
ამ თოთო სიცოცხლეებს?
რა ვქნა, ჩემი შვილებიც ასე არ არიან?
ყაყაჩოების სისხლში დგანან მუხლებამდე,
თავზე შხამიანი წვიმები აწვიმთ,
შაბიამნის სილურჯე ენატრებათ
მოკლულ ვენახებს,
მარილის ბროლი ცეცხლმა ალოკა,
ხვატმა შეჭამა ბალახოვანი მინდვრები
რადგან მზე სხივმოსილი მნათობი კი აღარაა,
არამედ ჟანგისფერი ცეცხლი,
რომელსაც წყლით კი ჩააქრობდი,
მაგრამ წყალი ბუნებაში აღარ არსებობს,
მარტო ცხრაწყაროზე, მარტო უკვდავების,
უკვდავების წყალი კი მოყვარულ ხელებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დანებდება.
მწარედ და ერთგულად მოყვარულს,
და ასეთი კაციც აღარ მეგულება ბუნებაში...
სიყვარულის და ერთგულების ჯილდოდ
მხოლოდ ძაღლებს და ცხენებს გამოესახათ ფრთები
და ცაში გაფრინდნენ.
იქნებ, ჩემი შვილებიც დააფრთიანო, ღმერთო,
ხეებზე ვაცხოვრებ,
ცის ნამს დავალევინებ,
ჩემს გულ-ღვიძლს შევაჭმევ
და, თუ გინდა, ელვით დააბრმავე,
მეხით მოკალი, ოღონდ ქვეყნის დასასრულს
ნუ დაანახებ —
დედამიწის გამომშრალ ჟანგიან ხახას,
რომელსაც სიტყვები გაუთავდა
ის უკანასკნელიც, სასტიკი და ცივი,
მაგრამ სამოთხის ყვავილებით
შემკული სიტყვები...

განელეგული სიტყვა

ვიღაცის ხელი მაწვდის დღეს —
რძიან ჭიქას,
არც ტკბილია იგი და არც მდუღარე,
როგორც გუშინ,
ნოყიერებას გამჭვირვალება ჯობნის,
სიტყვას — მისი ჩრდილი, ჩურჩული...
ბროწეულის ცეცხლში ელფერებს ვარჩევ,
ყველაზე მძაფრს, აბრეშუმის კივილს,
პირქვე დამხობილი შალით ვანელებ,
მშვიდია და თანაბარი მისი სითბო,
ამ სითბოში თუ გაყუჩდება ჩემი სევდა,
ალესილი სამართებელი, ერთ დროს,
რომელიც ყველას ზაფრავდა,
ვინც კი შეეხებოდა,
ისე ცხარედ, რომ მზეს ხედავდნენ
ტკივილის ბოლოში...
ახლა ჩემი ტკივილის მწვერვალი
თეთრი ზამბახია — ელფერების ღმერთი,
ხოლო სევდა
ბრდღვიალა დღეში გამოდგმულ
რძიან ჭიქას დაემგვანა,
ცივს და უტკბილოს,
რომელიც ადრე სულ ცეცხლზე იდგა,
დუღდა, ცახცახებდა,
შაქრისსახიან ქვემდებარეს ეტრფოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იყო სიტყვა, მოქმედების გამომხატველი,
ახლანდელ ნახევარ სიტყვასთან შედარებით,
რომელიც ჩრდილია მისი
და ჩემს ჩრდილს დასდევს
ელფერების, ჩურჩულის, ნახევარტონების,
და ნახევარი სიმართლეების სამეფოში...

ტკბილი სიტყვა

მე ახლა თითოეულით რბილი ბალერი მეჭირდება.
ყვავილებით მოჩითული ნიავი —
ქარი კი არა, მფრინავი ხალიჩა,
სიზმრის ხალვა, ცხადის შხამში არეული,
ისე, რომ ტკბილმა აჯობოს,
რადგან ჭინჭრიან, ციებ-ცხელებიან ასაკს
ხავერდოვანი უნდა მოყვეს,
ღამის ფხიზელ ყურში,
თუ მაინცდამაინც, ჭრიჭინობელა ჩაიხრახნოს
და არა მანქანების დგანდგარი,
მკერდს რომ გადაგიხსნის
და შიგ ძრავას ჩაგიყენებს,
რომელსაც შენი სისხლი უნდა ასვა,
ნერვები აჭამო და ძვლები მიაფშვნა,
ამას არ ჯობდა, თუ სიმშვიდე, მაინც,
არ გელირსა,
ერთი ეკლიანი ასკილის ბუჩქი
გეხარებინა მკერდში,
რომელიც გულს რომ გაგიგლეჯდა
და ყვავილებად გამოიტანდა,
შენს შვილს, მაინც, დაანახებდი,
რომ სასწაული ჯერ კიდევ არსებობს
ამ ბნელ, საპყარ, უზნეო წუთისოფელში,
ხოლო ცის მყარზე შემოქმედი ზის
და, გაცილებით, მეტი წვალებით
და ვაი-ვაგლახით, ვიდრე ოდესღაც,
გვიბერავს ტანში
ძველებურად ლურჯ, ვარსკვლავიან სულებს...

სიტყვა მხატვარზე

ცუდად არის შენი საქმე, მხატვარო,
შუშები გაიმეჭვარტლა,
სინათლეს აღარ უშვებენ სხვენში,
შენი საუკეთესო ნახატები გამოვიდნენ ჩარჩოებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცაში გაფრინდნენ.
ახლა ყოველღამე მათს სილუეტებს ხედავ,
ხოლო, დილით, ცარიელ ჩარჩოებს
და ავადმყოფობაზე უფრო მწარედ განიცდი მარტოობას...
მაგრამ, ბედზე, ყველა ნახატი
არ წასულა, ზოგი მათგანი,
რომელიც არ გამოგივიდა
და ამიტომ, უფრო გიყვარდა,
მახინჯი და ავადმყოფი შვილებივით,
იატაკზე ყრია.
შენ კი, მომაკვდავი წევხარ სხვენში,
და ტანით გრძნობ საკუთარ ნახატებს,
როგორც ბალახს იგრძნობდი,
მიწაზე რომ იწვე...

ჰარმონია

ნეტა, როგორ ახერხებდნენ,
მეომარი და ვნებიანი ხორცების,
ღვთისმოსავი სულებისა და ურწმუნო გონების
ერთმანეთზე შეხლა-შემოხლის დროს,
მთავარი სიტყვა ჰქონოდათ ჰარმონია?
როგორ აღწევდნენ შეთანხმებას სამყაროსთან
და, მითუმეტეს, საკუთარ თავთან?
იქნებ, ასეთ ანბანს სწავლობდნენ ბავშვობაში:
აი მიწა, აი ია, აი ნერვები
მშვენიერი ია, ალისფერი ნერვები,
მათი მომრიგებელი მიწა...
ალბათ, ამიტომ გამოსდიოდა
სპილოს ძვალზე ვარდების გამობმა,
სილამაზის აღწერისას ბრმას,
ხოლო უმძიმეს ცოდვილს გზის ბოლოში
სარკის ნატეხივით კრიალა კათარზისი ელოდა.
რაც უფრო მეწამული და მტანჯველი
იყო ტკივილი,
სარკე, მით უფრო, უმწვერვალესი
და ღმერთი სუფევდა მასში,
დაგლეჯილი ნერვების
მზისფერი ზეთით დამარბილებელი,
იის ღეროსთან გოლიათის
მისადაგების დიდოსტატი —
აი, სად იყო ჰარმონია,
ყველაზე სანატრელი რამ ჩემთვის
და მიუწვდომელი,
რადგან ტანით მანქანას ვარ მიხორცებული,
თვალით — სიმახინჯეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურწმუნო და ნერვიული მოქალაქე,
რომელსაც სპილოს ძვალზე გამობმული
ვარდი თუ დამანახეს.
შეიძლება, სულაც, დავბრმავდე
და უფსკრულში გადავიჩეხო,
ღმერთი თუ ვერ შევიცანი ამ ალისფერში...

ჯანსაღი სიტყვა (ეგოისტური)

ცხრა მთას იქით მდინარეა ერთი,
მდინარეში წყალი ცხოვრობს,
წყალში თევზი,
თევზში ჩემი სულია ჩაფიქრებული,
მაგრამ ფიქრს ვინ დააცლის
თვითნებობას და ზღაპართან სიახლოვეს,
ყველა ნაკადულს დანად აქცევენ
თევზების გასაფატრავად
და როცა ჩემი სული ჩემივე ტანში
შემოღწევას შეეცდება
პირში ბურთს კი არ ჩამჩრიან,
რადგან ეს უხეში ძალადობაა,
არამედ მრგვალ და მშვენიერ ვაშლს
დამახატავენ ტუჩებზე
და ალარც პირი იარსებებს,
სიტყვების კორიანტელის დამყენებელი,
ხორხიც ამოიქოლება,
მუსიკის ჩამდები სიტყვაში,
ასევე ჩავალ სამარეში,
ტუჩებზე დახატული ვაშლით
და ხე ამომივა პირიდან,
რომელზედაც ფარშავანგები შემოსხდებიან,
ჩემი ფიქრის ბოლო განხორციელება...
— ლამაზი კია, მაგრამ სად გაგონილა
ჩიტმა ვარსკვლავიანი ცა დაიმხოს თავზე
და ქუჩებში ატაროს!
და შეჩვეული ბეღურა გვირჩევნიაო —
ქოთქოთებენ ჭირისუფლები,
ხოლო ჩემს ზღაპარს,
ფარშავანგივით ჭრელს და მშვენივრს,
მაინც მოახერხებენ და კეთილი ბოლოთი
თავისკენ შემოაბრუნებენ:
ლხინი აქა, ჭირი იქაო,
ჭირი იქაო —
ნაცარს შეაყრიან ვარსკვლავიან ცას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპოკალიფსი

სუნთქავს ქალაქი,
ჩაწიკწიკებულ ბლოკის სახლებს აჩენს,
ბენზინის სუნი ამოსდის პირიდან.
სახლებში ადამიანები ბუდობენ:
გამბედავები და იდეებით გატენილები
ხმამაღლა მოქმედებენ.
მფრთხალები დროშებს გულში იფრიალებენ,
ზოგი არსებობის პურზე ფიქრობს.
ზოგი — სიმართლის ელვარე ყინულზე,
ზოგს აყვავებული ტოტი მოუშინაურებია,
ძაღლივით ეფერება.
და, ზოგჯერ, ახერხებს, კიდეც,
რომ ბედნიერი იყოს.
ზოგს დარდი მკვდარივით უსვენია სახლში,
დაუმარხავი მკვდარივით,
რადგან დარდი კაცი ხომ არ არის,
საფლავში ჩააწვინო
და უმისოდ იცხოვრო.
იგი მთელ მინდორს მოითხოვს, ყვავილებიანს,
პეპლებიანს, მზისკენ სახემიტრიალებულს,
ადამიანს, დაბრმავებულს ამ სიკეთეთი,
რომ უფრო მწარედ უკბინოს,
უფრო შავად შეუღებოს მზე,
მორიელები ჩაასახლოს ყვავილების გულებში
და თაფლის შესაძლებლობა
მოუსპოს ქვეყანას...
მახინჯი სახლები, მახინჯი ადამიანები,
დაკარგული სიტკბო,
ბავშვები, ხსენით გაზრდილები
და ცხოველები, რომლებიც, მხოლოდ,
მწარე ბალახს, აბზინდას, ძოვენ
ჩიტებიც, ადრე რომ სინათლეს კენკავდნენ
და ცას ქმნიდნენ უამინდობაში,
სადღაც გადაიკარგნენ.
იქნებ, სამოთხის ბაღებში გაფრინდნენ,
ქალწულობადაკარგულ ცნობადის ხეზე
დაიბუდეს
და ვაშლებს გვიყრიან იქიდან,
დამშეული ხალხის და საქონლის დასაპურებლად...
და ვერავინ ვერ ამჩნევს
ამ წითელ-ყვითელ ხორციანობაში,
რომ ერთადერთი ჭიანჭამი ვაშლიდან
შავი წერტილივით კაცი გამოდის,
ხელში შავი ალამი უჭირავს
და შავი სიტყვა იცის ერთი:
აპოკალიფსი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტეფანე კასრაძე

თარი-არალე

რომანი

მეორე ნაწილი

ზაფხული იდგა. ოთხი თვე, ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ, ელავდა. ელვა დგებოდა ცაზე დიდხანს და მაშინ ნათდებოდნენ ცაზე აღძრული შავი ღრუბლები, რომელნიც მიილტვოდნენ; ნათდებოდა აგრეთვე სოლომონ ფერეულის ბაღი და თუმცა ელვაზე, მოხუცი ფერეული ვერ ასწრებდა ბაღისათვის ერთობ თვალი მოევლო (ეს მას არც ჰსურდა) მაგრამ მუდამ, თავისი სურვილის წინააღმდეგ, გონებაში აღიდგენდა რიგს ყვავილებისა და ხეების ელვაზე, ბაღის სიღრმეში იწყებდა კვილს ჭოტი.

იგი ჰკიოდა ისე, თითქოს დაიჭირეს და მისი ხმით, შეიძლებოდა წარმოდგენა, მისივე უმწეოდ ფრთების ფართხუნისა. რა ელვა ჰქრებოდა, დგებოდა წყვდიადი და დუმილი.

გარემოს დუმილს მოხუცი ფერეული მუდამ უაზროდ სთვლიდა და რომ დუმილისათვის შინაარსი მიეცა, ჯერ მან გონებაში სთქვა:

„ირირია!" და გონებაშივე, სიტყვას მოჰყვა წარმოდგენები.

ირირია, ისეთივე ღმერთი იყო ძველად, როგორც არალე, მაგრამ გაცილებით პატარა; უთუოდ იგი სცხოვრობდა გამოქვაბულში, ხოლო ამჟამად, ის იყო რომ დასდევდა ჭოტს დასაჭერად და ჭოტი ჰკიოდა.

ყოველივე ეს, შესაძლებელია მართლა ასე ყოფილიყო, მხოლოდ ღმერთის სახელი იყო სასაცილო: ირირია!

ეს კი, ნამდვილია, რაც ბოლშევიკები შემოვიდნენ, ადამიანს სიმღერა არ გაუგონია: — არალუი — არალო...

მოხუცმა, გახსენებაზე სიმღერა წამოიწყო გონებაში, მაგრამ ხელათვე შესწყვიტა. იგი წამოდგა და ელვის ნათელზე, გაემართა თავის სამუშაო მაგიდისაკენ. მან სრულებით ვერ შენიშნა, რომ ელვა მოახლოვდა და ჰაერი ოდნავ აგრილდა; სადღაც უთუოდ სწვიმდა და წვიმაც ახლოვდებოდა.

კვირაზე მეტია, იდგა გვალვა და მწველი მზე, თითქო მარტო სანაპირო ქალაქს დასწოლოდა და ჰაერი ამოეხრუკა.

სიცხით მოთენთილი სოლომონ ფერეული, ასეთ დღეებში, კოტესთან ერთად ყანას ამუშავებდა; მოხუც სოლომონს ძალიან გაუჭირდა. კოტემ მამა ხის ძირას დასვა და რათა სული გადაეყოლებია, სთხოვა წარმოედგინა გრილი ამინდი. მამა გასწყრა და კოტეს უთხრა:

— შენ იცინი და ჰკრეჭ თეთრ კბილებს! —

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 5.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

შემდეგ სოლომონმა მართლა სცადა წარმოედგინა სიგრილე. მაგრამ ამაოდ; არ ჰყოფნიდა ჰაერი და ეშინოდა ოდნავი შერხევისა, რადგან ოფლი სწვავდა კისერს, იღლიას. სიცხე ღამითაც გრძელდებოდა.

უეცრად მოხუცმა ფერეულმა შენიშნა, რომ ასე კარგად მას დიდი ხანია არ უფიქრია. იგი სამუშაო მაგიდას მიადგა, თუთუნს ძებნა დაუწყო და რადგან ვერ იპოვა, იქვე ელექტრონი აანთო. ოთახი იისფრად განათდა.

მოხუცმა გაშლილი ხელის გული სინათლეზე მიიტანა და მარჩიელივით, ხელის გულზე ხაზებს დააკვირდა. შემდეგ ოდნავ გაიღიმა.

იგი, ამ დროს ჰფიქრობდა ასე:

„კარგად ვფიქრობ იმიტომ, რომ ძარღვებში ისევ-ისე მოძრაობს სისხლი — ხელი კიდევ გაშლილი ჰქონდა, მაგიდაზე რომ თვალი შეაფეთა თავის მეუღლის სურათს. სოლომონმა სურათს თვალი აარიდა.

სქელ წიგნების ქვეშ, წნევისათვის შემოედოთ კარგად დახვეული თუთუნის ფოთლები. ეს იყო სუხუმის ცნობილი თამბაქო, რომელსაც ახალი ხელისუფლება ხელფასის მაგივრად ურიგებდა სამოქალაქო დაწესებულებათა მოხელეთ.

სოლომონმა თუთუნი დასჭრა, ხელის გულზე დასრისა და ჩიბუხი გამართა.

სინათლე ჩააქრო, ისევ ლია ფანჯარასთან დაჯდა.

სადაცაა უნდა გაწვიმებულიყო.

წვიმის მოლოდინში სწუხდა გარემო. რამდენჯერმე სულ — ახლოს იგრგვინა და როგორც იქნა წამოვიდა წვიმა. წვიმა იყო სულ-დათქმული, ჟუჟუნა და ხმაურობდა ფოთლებში. წვიმაზე, გახურებულ მიწას ჯერ ბუღი ასდიოდა (სოლომონს ბაღიდან ასეთი სუნი ეცა), შემდეგ ელვაზე სჩანდა: ბალახი და ყოველი მცენარე ისე ირხეოდა თითქოს სულიერი იყო და მაღლა ილტოდა.

სოლომონი წამოდგა. რაღაც სიხარული მოიტანა წვიმამ. უთუოდ მართალი იყვნენ მისი ბავშვები, რომელნიც ყველაფერზე ახერხებდნენ სიცილს. სოლომონი ვერ ახერხებდა; მას [illegible] მხოლოდ დუმილი.

თუმცა რა სიცილი იყო ახალგაზრდა ფერეულების სიცილი: მოვლენებზე და ადამიანებზე ორიოდე შენიშვნა, უბრალო გახუმრება და მაშინ, როდესაც ახალგაზრდობის ძალით უნდა ატეხილიყო ხარხარი სოლომონისანი, კოტე, ლევანი, მანანა — სდუმდებოდნენ.

ოჯახი იყო მგლოვიარედ.

რამდენიმე თვე-ღა გასულიყო მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ფერეულის მეუღლე მატა და სახლში ჯერ კიდევ ტრიალებდა იმისი სითბო. ახალგაზრდებს ჰსურდათ ეფიქრათ, რომ დედა მეორე ოთახშია.

ამის მოგონების მაგივრად, სოლომონს ერჩია, სულ არაფერზე ეფიქრა — რადგან, ჩემო ხელმწიფევ, ყველაფერი არაფერია! ამჟამად გრილა, ხოლო ერთი მყისის წინ ცხელოდა და ეხლა, ადამიანმა რომ ისურვოს გავლილი სიცხით სარგებლობა, ვერ შესძლებს.

ვინ მოსთვლის ამ ქვეყნად რამდენჯერ გამძლარა კაცი, მაგრამ განვლილი გაძლომის აღდგენაც არ შეიძლება და ქვეყანა სიმშილობს.

ეს გახლავთ დიდი შეუსაბამობა, ეს გახლავთ დიდი უარობა ჩემო ხელმწიფევ! —

ქვეყანა მართლა სიმშილობდა.

მთავრობა თავის მოხელეებს ურიგებდა ცოტაოდენ სურსათს: ბრინჯს, ლობიოს, ტარანს. ამას ერქვა „ულუფა“. ურიგებდა ფულსაც („ბონებს“), მაგრამ ბონებით ყიდვა რამესი ძნელი იყო (არაფერი იშოვებოდა!) და რადგან ფულის ნიშანი მილიარდობით ითვლებოდა; ამიტომ ფული დაჰქონდათ კალათით.

სოლომონმა სამსახურს თავი დაანება.

მსახურობდა მარტო ლევანი და მას მოჰქონდა თუთუნი და ტარანი, მოჰქონდა რამდენიმე თაბახი ბონი — უფრო იშვიათად პურის ფქვილი.

ლევანი თუთუნის საქმეში დახელოვნდა, ის ლაბავდა ფოთლებს, ჰკეცდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისე სჭრიდა სამართებლით, როგორც მანქანა. თუთუნის მოსაწევ ქაღალდად ხმარობდნენ ძველ ჟურნალებსა და წიგნებს.

ყოველივე ამაზე ახალგაზრდები იცინოდნენ, სოლომონი არა.

მას არ ჰსურდა ეცნო ახალი არაფერი. არც შემოკლებული უცხო სიტყვები, სახელწოდებანი ახალ დაწესებულებათა: სოც-დაზღვევა, რემედასი და სხვა, არც ხალხი ჰსურდა ეცნო ახალი, რომელნიც სანაპირო ქალაქში, ისე ვით ყოველგან, ცდილობდნენ ყველაფერში დაუდევარნი ყოფილიყვნენ (გარდა კონტრ-რევოლუციის დევნისა) ჩაცმაში, ხალხთან ერთიერთობაში. უთუოდ ამითი, უნდა დაცულიყო მუშური ელფერი. ეს გამოდიოდა უხეში. შემდეგ ახალგაზრდები იცინოდნენ, „შაბათებზე“.

ყოველ შაბათს, მთავრობას გამოჰყავდა ყოფილი მდიდრები: ვაჭრები, მოხელეები, მაღალი გვარეულობის შთამომავალნი და მათ უნდა დაეგავათ ქუჩები.

ისინი ჰგვიდნენ.

მოხუცი ფერეული შაბათებს გადარჩა, რადგან ჯერ ერთი, მგლოვიარედ იყო, ხოლო შემდეგ ცნობილი შეიქნა, რომ იგი შეუდგა ყანის დამუშავებას.

შაბათებზე გაჰყავდათ ყასაბი ზაქარიაც. მანანას სიტყვით ზაქარია, მანამდე მსუქანი კაცი, გამხდარიყო და მუშაობის დროს ცდილობდა მტვერი არ შეესუნთქა; ამიტომ იგი თავს მაღლა იშვერდა, რათა ბუღისათვის ცხვირი აერიდებია. „აი, ამ გვარადო“, მანანა ამბობდა და იწყებდა ფრუტუნს.

სასაცილო ის იყო, რომ მანანას მიერ წარმოდგენილი ზაქარია, სრულებით არ იყო სასაცილო.

ქალბატონ მატას გარდაცვალების შემდეგ, სოლომონის ოჯახში სცხოვრობდა ბიცოლა ნინო; იგი თითქოს ყურს არ უგდებდა მანანას ხუმრობას, მხოლოდ შემდეგ იცოდა შენიშვნა:

— ვაი, რა სულელი ხარ მანანა! — ბიცოლა ნინო ამ გვარად ამყოლავნებდა სიყვარულს და ამას გრძნობდნენ.

ბატონი სოლომონი შეეჩვია, თვალი რამ არ სცოდნოდა, ან სცოდნოდა ნაწილობრივ. მაგალითად მან ვერ გაიგო, რა სამსახური ჰქონდა ლევანს ისეთი, რომელიც ნებას რთავდა წარა-მარა ტფილისში ევლო, ან ტფილისში რას აკეთებდა. სადღაც, ქალაქის საათმა იწყო რეკა. წვიმაში ზარის ხმა ისმოდა შორიდან.

ერთჯერ, ეს იყო ძველად, ბატონმა სოლომონმა ასეთი საუბარი ჩამოუგდო ახალ ჯვარდაწერილ მატას. (მატამ ვერ გაიგო მაშინ ახალგაზრდა სოლომონის წარმოდგენათა თამაში და ამ ვერ გაგებაზე სოლომონს გაეცინა. მატამ ვერც ეს სიცილი გაიგო და შესწუხდა; სოლომონმა ხუმრობა შესწყვიტა და აი, ეხლა აგრძელებდა იმ შეწყვეტილ წარმოდგენასა თუ ხუმრობას, მაგრამ აგრძელებდა რაღაც მოდუნებული, წინაღმდეგ თავის სურვილისა).

— დიახ ჩემო ხელმწიფე — ამბობდა სოლომონი — ეს ზარის ხმა, ფერად უნდა იყოს დასაწყისში წითელი, ხოლო შემდეგ, როდესაც ილევა, იისფერი და ის უნდა ჰგავდეს მთვარეულ ბავშვებს, რომელნიც დადიან თვალებდაჩუჭული — სოლომონი ცუდ გუნებაზე დადგა.

მან აღმოაჩინა, რომ თავის—თავს ებუტბუტებოდა; გარდა ამისა, ამ ძველი ამბის მოგონება ერთობ უადგილო იყო; ასეთი უკმაყოფილება იმას ნიშნავდა, რომ სოლომონს მოაგონდა და ჰსურდა თავის-თავისათვის დაემალა, რომ ამას წინად, ხელის გულზე დაიხედა; ერთი სიტყვით, სოლომონი უნდა დაწოლილიყო და მან სინათლე აანთო. „რა დროს ხელის გულია? რა დროს ტრფიალზე ფიქრია! უნდა გცხვენოდეს“. —

დერეფანში ვიღაც შემოვიდა. ნაბიჯებზე, სოლომონმა კოტე იცნო და არ იცოდა მოსუცმა, იამებოდა თუ არა, მასთან რომ ეხლა კოტე შემოსულიყო. კარზე ფრიხილად დააკაკუნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.

კოტე. ანუ კონსტანტინე სოლომონის ძე ფერეული, ქართული ჯარის ყოფილი ლეიტენანტი, ამჟამად თავისუფალი მოქალაქე, ჰფიქრობდა მარტივად:

— მთავარია გამძლეობა! კაცმა უნდა აიტანო! —

მან წითელ ჯარში სამსახურზე უარი განაცხადა, უთუოდ ამ გვარადვე მოიქცნენ მისი ყოფილი ჯარის ამხანაგები, რომელნიც სხვა-დასხვა ქალაქებსა და სოფლებში მიმოფანტულნი, როგორც ერთმანეთს ხმები მიაწოდეს, დადიოდნენ თავისუფალ მოქალაქეებად.

კოტემ რამდენჯერმე ნახა შაბათები. აქ გამოჰყავდათ უმთავრესად ხანში შესული მამები, რომელთათვისაც ხნოვანების მიხედვით პატივი უნდა ეცათ, მეშაბათენი, მუშაობის დროს ხუმრობდნენ, რადგან მათი მუშაობა იყო ერთგვარი დასჯა წარსული კეთილდღეობის გამო და ეს დასჯა, ვიღაცას უნდა სიამოვნებოდა. იყვნენ ისეთებიც, რომელნიც მდუმარენი, უხერხულად მუშაობდნენ, უთუოდ გამოუცდელობის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ მათ რცხვენოდათ, რადგან გამვლელნი შეჰყურებდნენ; შესაძლებელია არც სცხვენოდათ, მხოლოდ ახსოვდათ, რომ ეს შედეგია უცხო ძალისა და ნების.

კოტე გულში ბობოქრობდა:

— ნეტავი მათი ყანა, ამ ხალხის თვალწინ, ამ ქუჩაზე ყოფილიყო! რა იყო ამაში სათაკილო? —

ყოველ დილას, განთიადზე, სოლომონი და კოტე სამუშაოდ მიდიოდნენ, არც სოლომონმა, არც კოტემ არაფერი იცოდა მუშაობის.

მუშაობა აღმოჩნდა ძნელი, მუშაობა გაჭირდა; რომ სიჯიუტე არა, ყანას თავს მიანებებდნენ, როგორც იქნა შეეჩვიენ.

მთელი დღე მუშაობის შემდეგ, რა მზე დასავლეთით გადაიხრებოდა, მამა და შვილი ბრუნდებოდნენ სახლში. მამა ძალიან იღლებოდა და სახლში დაბრუნებული, მუდამ მდუმარე, ეძინა და სიმშვიდეს. კოტეც იღლებოდა, მხოლოდ დასვენების მაგიერ, იგი გარბოდა გარეთ. სასიამოვნო იყო ხალხთან შეხვედრა, ახალ ამბების გაგება

სიცხეების გამო და კიდევ იმიტომ, რომ მოქალაქეებს საზრუნავი არაფერი ჰქონდათ, ხალხი შუაღამემდი დასეირნობდა ხეივანში, რომელიც მთავარ ქუჩას მიჰყვებოდა და დასეირნობდა აგრეთვე პატარა ბაღში, მდინარის პირად რომ იყო. საზრუნავი იმიტომ არ ჰქონდათ მოქალაქეებს, რომ გამორკვეული იყო; არ იშოვება საზრდო, არც ჩასაცმელ-დასახურავი.

ხალხი იყო გამხდარი, მაგრამ არა დაღვრემილი. არავის სჯეროდა ახალი წეს-წყობის ხანგრძლივობა და ხშირად, პოლიტიკური საუბარი იმაზე ტრიალებდა, გასძლებდა კიდევ ხელისუფლება სამს თვეს თუ არა. ასეთ საუბარში ვრცელდებოდა ჭორები, ხშირად განსაცვიფრებელი თავისი შეუსაბამობით და გაისმოდა სიტყვები: ულტიმატუმი, ანტანტა, აჯანყება, დესანტი; ჭორები სჯეროდათ, ჭორები ჰსურდათ დაეჯერებიათ, რადგან ხელისუფლება იყო გაუპარსავი, საკინძ-მოგლეჯილი, მდაბიო და ყოველივეს, რასაც იგი აკეთებდა მოქალაქენი უცქეროდნენ უნდობლად.

სოლომონ ფერეულმა, სიცხის გამო შეწუხებულმა, ერთჯერ უსაყვედურა კოტეს: — შენ ჰკრეჭ თეთრ კბილებსო! —

მართალი იყო, კოტე ხშირად იღიმოდა და მზეზე გაშავებულს, ზანგივით უელვარებდა კბილები.

იყო რაღაც მიმზიდველი კადნიერება მასში, რომ მთავრობა იყო გაუპარსავი და ყველას მიმართავდა ასე: ამხანაგო!

ძველი სიდარბაისლე არ განარჩევდა მდაბიოს და იგი იქცეოდა ძველებურად: — დილა მშვიდობის, ბატონო! —

ამაზე მთავრობა უპასუხებდა:

— ამხანაგო, ბატონები არ არსებობენ! ბატონები დასცურავენ ზღვაზე! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.

ასეთი გაუგებრობით ცხოვრება აივსო და ახალგაზრდა კოტე იცინოდა. დღესაც. მიმწუხრზე რომ სახლიდან გამოვიდა და ერთ მანდილოსანს გამოელაპარაკა. კოტეს უკრთოდა კბილები.

— არ მეგონაო — ამბობდა კოტე — თუ მეგრელის ქალსაც უნდოდა ჭამა; ისიც. ასეთ კარგ ქალს...

ქალი კოტეს ღიმილს შეჰყურებდა და თვითონაც გაიღიმა.

ცხელოდა. მოქალაქეთ ოფლი სდიოდათ. ქალს შიშველ ფეხზე ეცვა რაღაც ხისა, რაიც მიაგავდა სანდლებს და რასაც მაშინ ყველა ატარებდა.

ქალს თევზი ეყიდა. მომცრო კიფლები ცოცხლები იყვნენ და ქაღალდში გახვეულნი ფრთხიალებდნენ.

— გინდა გაჭამო, ფერეულის ბიჭო? მშიერი იქნები! წამწყმედს შენი ცოდვა — სთქვა ქალმა. მან ეს სთქვა ნელი ხმით და იგი იმზირებოდა ისეთი თვალებით, რომელთაც ბინდი დაჰკროდათ და კარგად ვერ ხედავენ.

გრძელი, შავგვრემანი პირისახე შვენოდა ქალს; ტუჩები ჰქონდა სავსე და უხვივე, მოსჩანდა ღარიბ სამოსში მკერდი. ეს ის ქალი იყო, რომელმაც გასულ ბზობას, რამდენჯერმე ჩაუქრო კოტეს სანთელი.

— შენი ქმარი მომკლავს — ისევ გაიღიმა კოტემ.

— სადაა ქმარი. სიმინდის საშოვრადაა წასული.

კოტეს მაშინ ძალიან გაეხარდა. ყოველივე ეს იყო მოულოდნელი.

ქალი წავიდა. როდესაც ცოტათი დაბნელდა, კოტეც წავიდა. ქუჩაში შეხვედრისას ქალი (მას ერქვა მაია) იყო წრფელი, ვით ცხოველი თავისი-თავის წინაშე. სახლში კოტეს იგი დახვდა ცოტათი ჯიუტი. სახლში ბნელოდა; მხოლოდ დრო-გამოშვებით ფანჯარას ადგებოდა ელვა და ელვაზე მაია თითქოს სრულიად ჰკარგავდა თვალებს. იგი ახერხებდა ბუტბუტს:

— დედაია, დედაია, არ გცხვენია, ფერეულის ბიჭო... მაია [illegible] მეტად მკაცრი კაცი [illegible] თვალა. ის სოფლებში წასულიყო სიმინდის საშოვრად.

მაიას სახლიდან წამოსული კოტე ისევ ქალაქის ხეივანში გამოვიდა. დახუთული ჰაერი იდგა; დღის სიცხე კიდევ არ შენელებულიყო და თუმცა ელავდა, მას კერ მოეტანა შვება და შეწუხებული მოქალაქენი გარედ ეფინენ.

კოტე მიდიოდა მსუბუქად. მართალია ის იყო დამშვიდებული და არაეთარი საყვედური მასში არ იბადებოდა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ის იყო უმადური მეტის-მეტი სიცხისა, და როდესაც დაუძახეს:

— კოტე, კოტე! — იგი გამოერკვა; თურმე თავის-თავთან ყოფილიყო გართული. ჯანმრთელი კოტე სიცხეს ნაკლებად გრძნობდა. ხოლო უკმაყოფილების საგანი ის იყო: რომ არ აროს კარგი ადამიანის ნდობის გაძარცვა, რომ ადამიანის გაპირებით კაცმა არ უნდა ისარგებლოს; მას თვალ წინ უდგა ცალ-თვალა მეეტლე, ვაჟკაცი მერაბი, რომელსაც ნდობისა და გაპირვების გამო ცოლი მარტო დაუტოვებია.

4

კოტეს ეძახდნენ ახალგაზრდები. ესენი იყვნენ უნივერსიტეტის მოსწავლენი, ყოფილი მხედრები და მათ შორის ვანო უთნელიძე. ისინი ხმა მაღლა ლაპარაკობდნენ. ქალაქის ხეივანში, ცაცხვებისა და ჭადრების ირგვლივ მორთული იყო საჯდომები. იდგა პატარა შენობა. წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების სავაჭრო ხულა და მოქალაქეებს, მიუხედავად იმისა, რომ ხეივნის უკან ჰყვაოდა ქალაქის მშვენიერი ბაღი, უყვარდათ ხულასთან თავის მოყრა და კამათი. მოსეირნენი დგებოდნენ და საუბარს ისმენდნენ. ხშირად საუბარშიაც ერეოდნენ. ეს იყო მიღებული. კოტე ახალგაზრდებთან მივიდა. საუბარი არ შეწყვეტილა, ისე აცნობეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბავი: მათ საუბარს ისმენდა „წყალქვეშა ნავი“.

(ცნობილია წყალქვეშა ნავი; ეს იყო ქერა წვერებიანი, ბებერი კაცი, წელში ძალიან მოხრილი და ამის გამო გრძელ ხელებიანი; იგი კომუნისტების შემოსვლის შემდეგ გაჩნდა სანაპირო ქალაქში; ატარებდა რევოლვერს და ყოველ მოლაპარაკე ჯგუფს აყურადებდა, ხოლო როდესაც მას შენიშნავდნენ, უხმოდ შორდებოდა იქაურობას. უთუოდ ეს იყო ჩეკის მოენე და მას დაერქვა „წყალქვეშა“).

წყალქვეშა საუბარს ისმენდა. ერთ ახალგაზრდას ვერ მოეთმინა და დაეძახნა:

— ბიძია, ჩვენ ვაგინებთ ხელისუფლებას! მოდი ჩვენთან და გვითხარი: შენ რა აზრის ხარ! — ყველას, ვისაც ეს გაეგონა, სიცილი დაეწყოთ. წყალქვეშა იქაურობას გასცლოდა.

იცინოდნენ ახალგაზრდები. მათ სიცილში იყო მხიარულება ჯანმრთელ, ახალგაზრდა სხეულის და რაღაც აგზნება იმის გამო, რომ არსებობს წყალქვეშა, რომ არსებობს მრავალი წყალქვეშა და მათი მთავრობა, რომელთაც უნდა ებრძოლონ.

ეს იყო გამორკვეული.

ორიოდე თვეა ეს გამოირკვა და ამის გამოსარკვევად დასხდნენ საქართველოს პოლიტიკური პარტიები და გამართეს ბჭობა; ბჭობის საგანი იყო თუ როგორ მოვიქცეთ!? უმნიშვნელო ჯგუფმა სთქვა: დავმორჩილდეთ!

მეორე უმნიშვნელო ჯგუფმა სთქვა: წავწვეთ, დროს ვუცადოთ!

შემდეგ გადასწყვიტეს: დამორჩილება არ შეიძლება: ცდა არ შეიძლება! საჭიროა ბრძოლა და მზადება!

პარტიებმა ლეგალი არსებობა შესწყვიტეს და გაჩაღდა ფარული მუშაობა.

ახალგაზრდები იცინოდნენ. აგრილდა. ელვა ჭკვეთდა შავ ღრუბლებს. ხეივნის პირდაპირ, სავაჭროების ფილაქანზე გაიარა ოთხმა შეიარაღებულმა კაცმა. ესენი იყვნენ საგანგებო კომისიის თანამშრომელნი და მიდიოდნენ ჩქარი ნაბიჯით.

ახალგაზრდებმა დაიწყეს ხუმრობა:

— ეჰე, დაიძრა იონა თავაძის ბრიგადა —

— დაჭერებია!

— კოტემ, რომელიც ამდენ ხანს ჩუმად იყო, წამოიძახა: — უთნელიძის ბიჭო, სახლში! —

კოტე მაიაზე ფიქრობდა და როგორც მაია იძახდა: ფერეულის ბიჭო! იმ გვარადვე დაიძახა კოტემ.

ვანო წამოდგა:

— დიახ კოტე! — სთქვა მან. სრულიად არ უნდოდა ვანოს, ჯერ სახლში წასვლა. სადაც იყო გაწვიმდებოდა და ვანოს ჰსურდა, წვიმის დროს, ხეებ ქვეშ დარჩენილიყო და ცოტათი დასველებულიყო. ეს უქადდა გაურკვევ სიამოვნებას. და მის ბავშვურ სულს წინასწარ უხაროდა, რომ იყო უქუდოდ და წვიმა დაალტობდა.

ყოველივე ეს იყო ძვირფასი, მაგრამ კოტე ფერეული იყო კიდევ უფრო ძვირფასი და საზოგადოდ, ყველა ფერეულები იყვნენ რაღაც განსაკუთრებით ძვირფასები. გარდა ამისა, კოტე ფერეული თუ ვანო უთნელიძის მეგობრობას ისურვებდა, ვანოს უყოყმანოდ უნდა შეესრულებია ყოველივე რასაც მეგობრობა მოითხოვდა, რადგან კოტე იყო მხნე მეომარი (და დიდი), 26 წლის კაცი, ხოლო ვანო უთნელიძე, (მართალია) მეომარი იყო, მაგრამ (რა დასამალავია — იყო) ბავშვი!

ჭაბუკ უთნელიძის ასეთი აზრები რომ კოტეს სცოდნოდა, უთუოდ ბევრს იცინებდა.

კოტე და ვანო ხეივნით მიდიოდნენ. კოტე ხუმრობდა, ყბედობდა, არა რაიმე გარკვეულზე, არამედ ყველაფერზე, როგორც იციან ახალგაზრდებმა, და რაიც მათში იწვევს ღიმილს, ხშირად სიცილსაც. (ხნიერთათვის, რომელთაც დაჰვიწყებიათ მშვენიერება უაზრო ლაპარაკისა, ასეთი უბედობა გაუგებარი რჩება).

— აი, თქვენ ხართ მხატვარი — ამ-

ბობდა კოტე და ვანო იღიმოდა — და რადგან შესაძლებელია მალე გაწვიმდეს, ამიტომ თქვენ დროზე უნდა იყოთ სახლში, მით უმეტეს, რომ ხვალ დილას, მე ადრე უნდა ავდგე და ყანაში სამუშაოდ წავიდე... —

ხეივნის დასასრულ, ბნელოში ვიღაც იდგა და პაპიროსს ეწეოდა. იგი აღმოჩნდა იონა თავაძე.

— წამოდით ჩემთან ყმაწვილებო! — სთქვა მან და გაუკითხავად იმისა, მიჰყვებიან თუ არა ყმაწვილები, გაემართა სამიკიტნო დუქნებისაკენ. მას უხალისოდ გაჰყვნენ.

იონა თავაძე ბავშვობის მეგობარი იყო კოტე და ლევანისა. რამდენჯერ უთევზავიათ ერთად! კოტესა და ლევანს ის ჰხიბლავდა ბავშვობაში, რომ იონა იყო მათზე უფროსი და თევზაობაში დიდათ დახელოვნებული. იონას, თავის მხრივ ჰხიბლავდა შეძლებულ ფერეულების მეგობრობა.

მაგრამ ამჟამად, სანაპირო ქალაქში იონა თავაძე თავმჯდომარეობდა საგანგებო კომისიას (ჩეკას) და მასთან ურთიერთობა ჩათვლილი იყო სათაკილოდ. ქალაქში ხმები დადიოდა, თითქოს თავაძის მშობლებს, რომელნიც ულარიბესნი იყვნენ მოქალაქეთა შორის, შვილი სახლიდან დაეთხოვოსთ. იონა სცხოვრობდა ჩამორთმეულ ბინაზე.

— სად მიგყევართ შენ, ეი ბიძია, ხომ არ გვატუსაღებ! —

სამიკიტნოები დაკეტილი იყო. ცარიელ ქუჩაში შეიარაღებული მილიციელი იდგა.

— ჰო, გატუსაღებთ ერთი საათით! —

იონა თავაძის კილო იყო მეტად მეგობრული, რაშიაც იგულისხმებოდა ბავშვური ურთიერთობის გაგრძელება. ეს იყო მოულოდნელი.

იონა თავაძემ ყმაწვილები ერთ სამიკიტნოს ეზოში შეიყვანა. ეზოში იდგა დაბალი, ვაზის ფოთლებით დაბურული ტალავერი. შიგ დასხდნენ.

გაჩნდა ნავთის სანათური; გაჩნდა სამიკიტნოს მსახური. შუახნის კაცი, რომელსაც ეძახდნეს: ტყვია! —

ტყვია ამბობდა, რომ მას არაფერი აქვს. არის მარტო კაი შენწვარი ნორჩი კიფლები, ცოტაოდენი ყველი, თბილი ვენა, კიტრი და ღვინო.

ნავთის სანათური ჰბოლავდა; მისი შუქი თრთოდა და შუქზე იქაურობა ბარბაცებდა. ეს ჩვეულებრივი მოვლენა ვანოსთვის უჩვეულო იყო და სიხარულით ავსილი, ვანო ათვალიერებდა იქაურობას.

ვანოს აზრით, ტყვია უნდა ყოფილიყო ბუნებით მხიარული და ოხუნჯი კაცი, მაგრამ ამჟამად რატომღაც უკმაყოფილო და უთუოდ ამიტომ უსიტყვო.

ტალავერი ერთი ალაბით იდგა მიწაზე და ამის გამო, როდესაც ტყვია შემოდიოდა, ჯერ შუქზე გამოჩნდებოდა ტყვიას თავი, ნაკლებ თმიანი, შემდეგ თავი იკარგებოდა და მოდიოდნენ მხოლოდ ორი ხელები, რომელთაც მოჰქონდათ თეთრი საინები. მშვენიერი სანახაობა იყო, დაუჯერებელი და სასაცილო, მაგრამ ფერეულსა და თავაძეს არ ეცალათ. — კარგად იცი შენ — ამბობდა თავაძე — რომ საქართველოში შემოვიდა არა უცხო სახელმწიფო, არამედ იდეა.

თავაძე იდაყვით მაგიდას დაჰყრდნობოდა და შუქზე ასე სჩანდა, თითქოს მოუთმენლად ჰბორგავდა იმაზედ, რომ მას, არ ეთანხმებოდნენ, რომ პირიქით, ის ვინც უნდა დასთანხმებოდა, თავისუფლად იჯდა და საჭმლის მოლოდინში, ორიოდეს ამბობდა დროგამოშვებით და არც ზრუნავდა გამოთქმების შერჩევას, კოტემ სთქვა:

— არა ბიძია, საქართველოში შემოვიდა რუსეთი! ანუ უკეთ, საქართველო დაიპყრო რუსეთმა — ვანოსთვის უცნაური იყო, თუ რა აკამათებდა კოტეს. იონა თავაძე უთუოდ აზრს არ გამოიცვლიდა, მხოლოდ შეიძლებოდა იმისი გაბრაზება და უფრო გაბოროტება; მაგრამ რაც უმთავრესია, მოკამათეებს გამოეპარათ ბუნების სანახაობანი და წვიმა ისე დაიწყო, რომ მათ ეს არ შეეხებია.

წვიმის დაწყებაში ვანო თითქოს მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილეობდა და როგორც აღფრთოვანების დროს იცოდა, იგი იჯდა სულგანაბული და არაფერი ეპარებოდა.

ბაბილო იზნიქებოდა წვიმაში და ირგვლივ იდგა წვიმის ხმაური, სუფრა აივსო საჭმელ-სასმელით, ღვინო ჰქონდათ თეთრი, სურნელოვანი და ისროდა შხეფს.

კოტე და იონა სჭამდნენ, კამათობდნენ და ორივეში იჩენდნენ სიცხარეს.

— ხელოვნებაში საჭიროა თვალი, საჭიროა დანახვა! — ასე ჰფიქრობდა ვანო უთნელიძე, რომელსაც მესამე ჭიქამ ოდნავ თავბრუ შეჰყარა. იგი ნელ-ნელა ითრობოდა, ამავე დროს ერთობოდა საგნების ჭვრეტით და საგნები ღებულობდნენ ბუნდოვან ელფერს, თან მის სმენას დრო გამოშვებით წვდებოდა მოკამათეთა ხმა; თავაძემ სთქვა:

— თქვენ ეღობებით იდეას; ჩვენ ვიბრძვით მსოფლიო მასშტაბით და გახსოვდეთ, რომ ისტორიის წინაშე თქვენ იქნებით პასუხისმგებელი! ხომ ხედავთ რა ხდება ევროპაში, აიღეთ რუმინეთი, გერმანეთი, იტალია... რევოლუციები — კოტემ გაიცინა:

— ჰა-ჰა-ჰა! —

შემდეგ კოტემ გამოიჩინა სიფიცხე და ბევრი ილაპარაკა.

— შენთვის დამილოცნია ისტორია იონა თავაძე და თუ შენ, მართლა ისტორიაზე ფიქრობ როდესაც ამ ქვეყნად ცოდვილობ და გინდა ეს ვიღაცას დაამადლო, მაშინ შენ ყოფილხარ სასაცილო! ჰო, ჩემო კარგო მეგობარო!

მაინც, რა არის ისტორია!

ხომ გახსოვს იგავი „მკვდარი ლომისა და ცოცხალი კატის“, რა უფრო ძვირფასია! ისტორია არის მკვდარი ლომი; მკვდარი ლომია მაკედონელი, ჩინგის-ყაენი, ლანგ-თემური და ნეტავი ვის მოუვა გონებაში გაასამართლოს ის კაცი, რომელიც ამათ გზაზედ ეღობებოდა და რომც გაასამართლო, მერე მაკედონელს, ან მის მოწინააღმდეგეს რაი!? —

ერთი წუთი იყო, კიდეც გაბრაზდა ფერეული, აიღო მუშტი და მაგიდაზე უნდა დაერტყა; არ ჰქონა, [illegible] კბილს-კბილზე აჭერდა [illegible] პარაკობდა:

— ან როგორ უნდა გავიგო მე, ვინ არის მართალი! მე თუ შენ! შენი მე არ მჯერა, მესამესი მე არ მჯერა! ამიტომ მე ვქმნი ჩემს ისტორიას ისე, როგორც ვამჯობინებ და როგორც შენ მიბრძანე ამას წინად და მე გამეცინა, ეხლა მე გეუბნები: ასე ვიქცევი სამართლიანობისა და გონიერების ძალით! მე ვერ დავიხევ, ან მე, ან შენ! —

ი.ონამ იკითხა:

— მაშ ომი! —

— დიახ! — და კოტეს დასტურზე იონა თავაძემ გააგრძელა:

— კარგი, ჯერ არაფერს ვიტყვი, მაგრამ ვაი თქვენი ბრალი, კოტე ფერეულო, თუ იარაღზე ხელი წაგიცდათ, ჰოჰოჰო რა დღეს დაგაყენებთ! —

იონამ რამდენჯერმე გაიმეორა: „რა დღეს დაგაყენებთ! და ამ დროს იგი იჩენდა მოუთმენლობას და სიამოვნების სურვილს.

ასეთი კამათი, მეგობრული განწყობილება თითქოს არ დარღვეულა. ღვინო დალიეს. მოკამათენი ცოტათი დასცხრენ და წვიმასაც მიაქციეს ყურადღება; ამ დროს ისინი, იმგვარადვე მხიარულობდნენ, როგორც ვანო, იონამ წვიმას ხელი მიუშვირა. წამოდგნენ.

ვანომ ჭიქა ხელთ აიღო:

— თქვენის ნებართვით. — სთქვა ვანომ — მე უნდა დავლიო კარგ მოვლენათა სადღეგრძელო. პირველად, ვადღეგრძელებ ამ მშვენიერ წვიმას, მერე ვადღეგრძელებ იმ გარემოებას, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიები გაერთიანდნენ და ერთი-მეორეს აღარ ებრძვიან...

ვანო, რომელიც იშვიათად სვამდა, დამთვრალიყო, თუმცა მას იმის ნახევარიც არ დაელია, რაც კოტესა და იონას.

შეზარხოშებულებმა დასტოვეს ტალავერი. საზოგადოდ, ნაღვვინევმა კაცებმა იციან ერთმანეთისათვის, პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობების

გამოცხადება, მაგრამ იმ საღამოს, ურთ-ერთისათვის, არავის არაფერი უთქვამს.

5

ნაღვინევი კოტე, სახლში მივიდა სოველი და რა შენიშნა მამას სინათლე ენთო, კარებზე დაუკაკუნა.

მამამ ნება დართო.

კოტემ, მამის ოთახში შეიტანა სისველე და რაღაც ისეთი სიცილისდაგვარი განწყობილება, რაიც იყო სიმხნევისა და არ ჰგულისხმობდა ძილსა თუ დასვენებას.

ჯერ კოტე შესწუხდა:

— ო მამა, შენ თურმე დაწოლას აპირებ, უკაცრავად — შემდეგ ხელათვე გაიცინა: იჰიჰიჰი! — და უნდოდა სოველი ხალათი და შარვალი ხელით ჩამოეფერთხა; მამის ოთახს მოერიდა. ამის მაგივრად ისევ გაიცინა:

— ო მამა, როგორ გამოგილანძღე იონა თავაძე! სულ ტყავი გავაძვრე! — მამა შეკრთა, საყვედური სთქვა:

— შვილო რატომ არ ერიდები იმ კაცს! უნდა მოერიდო, სწორედ უმადური ვარ.

კოტეს არა მხედრული, უბრალო ხალათი ეცვა და სოლომონს ეს ეჩოთირებოდა. კოტემ რამდენჯერმე სთქვა, რომ ის ეხლა დასაძინებლად მიდის, მაგრამ რამდენიც სთქვა, ყოველთვის დარჩა, რათა რაიმე ეთქვა ან ეკითხა:

— ლევანი არ ჩამოსულა!? — შემდეგ: — დარდი ნუ გაქვს მამა, რაკი ღმერთმა ჩვენთვის იზრუნვა და წვიმა გვაახლა, ხვალ არ ვიზარმაცებ და ადრე ავდგები — ბოლოს კოტე დაჯდა და მამას, მისთვის უნდა გაეკეთებია თუთუნი, რადგან მამამ შენიშნა, რომ კოტე ნასვამი იყო.

მამას მოაგონდა, რომ სისხლი მართალია მას უთამაშებს, მაგრამ საჭიროა იყოს ასეთი, როგორც კოტე. ასეთი არ არის და უცნაურია, ამაზედ მამას გული არ დასწყვეტია. კოტე დასცქეროდა დედის სურათს, მამას, რომ სამუშაო მაგიდაზე ედვა და გულში ჰფიქრობდა:

— ჩემო ძვირფასო დედილო!

ოჯახში, ყველაზე უფრო კოტე იყო „დარწმუნებული“ დედის გარდაცვალებაში და ამაზე კოტე ჰფიქრობდა მუდამ მღელვარებით აღსავსე, რაშიაც სრულებით არ ერია ნაღველი, არამედ რაღაც ისეთი, რაიც სიხარულსა თუ აღფრთოვანებას ჰგავდა; აღფრთოვანებას იმის გამო, რომ დედა იყო კეთილი და სავსე სიყვარულით, რომ კოტე მას, ეხლაც ცხადად ჰხედავდა იმდენად კარგად იცხოვრა დედამ და როდესაც დედას ჰხედავდა, კოტე იღიმოდა.

ამ დროს მამა კოტეს შესცქეროდა. ძალიან ჰსურდა მამას და კინაღამ სურვილს აჰყვა, კოტესთვის თმაში ხელი ჩაევლო და ისე დაეწეწა, ვით დაუწეწავენ ბავშვებს. მამას ეს არ უქნია, მხოლოდ გულში ამბობდა:

— ოჰ-ჰო-ჰო, ჩემი ბიჭი! —

კოტეს სუფთად ქონდა კისერი ამოპარსული და ისე, ვით ლევანს, თმა ჰქონდა შავი, ყურყუმა. მამამ შეხვეული თუთუნი გადასცა კოტეს და სთქვა:

— წადი, დაწექი!

ამ დროს ლევან ფერეული ტფილისიდან მომავალ მატარებელში იჯდა. რონოდაში ტევა არ იყო და მიუხედავად იმისა, რომ მოჰქროდა ქარი და წვიმის შხეფებსაც ისროდა, რონოდაში იდგა დახშული, მხურვალე ჰაერი.

ლევანი მოთავსებული იყო მაღლა თაროზე, რომელიც გათვალისწინებულია ნივთებისათვის და რომელზედაც ეხლა ხალხი წვებოდა და იძინებდა. მაგრამ ლევანის თაროზე იმდენი ნივთი შემოეწყოთ, რომ ლევანი შეევიწროებიათ და აქ დაძინება გაჭირდებოდა.

ლევანს ეს არ ადარდებდა; პირიქით, მას მიზეზი ჰქონდა ამისი მადლიერი ყოფილიყო.

რონოდაში ბნელოდა. მგზავრები საუბრობდნენ, ეწეოდნენ თუთუნს და ყველაფერზე ეტყობოდათ, რომ ეს მგზავრობა იყო ძნელი და ამ სიძნელეს იტანდნენ.

ბორბლების გაბმულ ხმაურში, ხანდა-ხან უცნაური სიცხადით მოისმოდა რონოდის მეორე განყოფილებიდან ჩონგურის ჰანგები და მკვეთრი, სუფთა ხმა, რომელიც ჩონგურს დაჰმღეროდა. „უბედურო მარტის თვეო...“

ამას მღეროდა ბრმა მეჩონგურე. იგი მცხეთაში შემოჯდა. მართალია რონოდაში ადგილი არ იყო. მაგრამ მგზავრმა გლეხებმა ფანჯრიდან შემოიტანეს იგი. მაშინ მეჩონგურე იღიმოდა, რადგან ხალხის სიყვარულს გრძნობდა და წამწამებზე, რაიც ჩამქრალ თვალებს დაჰკროდნენ, მოსდგომოდა ცრემლისდაგვარი რამ. სახე ჰქონდა ნაყვავილევი.

— გაიზარდენით ბიჭებო, გაიხარენით ბიჭებო! — გაჰკიოდა უსინათლო და საითაც უნდა ხელი გაეშვირა, ხელსავე მიაშველებდნენ დიდნი თუ პატარანი, ქალი თუ კაცი. ჩონგური როს დაუკრა, ხალხი სმენად იქცა. მეჩონგურე დაჰმღეროდა:

— წაეთრიე, უბედურო მარტის თვეო.

ქვეყანამ იცოდა, რომ მარტის თვე, რომელსაც უსინათლო სიმღერით ედაებოდა. იყო რუსეთი. იცოდნენ აგრეთვე, რომ ასე იმღერებდა მეჩონგურე ქ. გორამდე, ხოლო გორიდან ისევ უკანვე, ტფილისში დაბრუნდებოდა.

მეორეჯერ მგზავრობდა ლევან ფერეული ტფილისში მას შემდეგ, რაც საქართველოში ბოლშევიკები შემოვიდნენ და როგორც პირველად, ისევე ეხლა, ტფილისიდან იგი ბრუნდებოდა ნაღვლით სავსე.

ტფილისი იყო დაღვრემილი, დაღარიბებული, ავსილი უცხო ხალხით და მათ შორის ლევანი მიმოდიოდა გაბოროტებული და ამაყი. ფიქრიც არ შეიძლებოდა მხიარულ შეხვედრებზე ნაცნობებთან.

სახლის ძველი პატრონი, ძია ვალოდია გოევი, ჯერ ლევანი რომ პირველად ტფილისში ჩავიდა, მაშინაც ავად იყო.

ძიას ლევანის ნახვა იამა. უეჭველია ლევანს იგი ვაუკაცობაში ეჯიბრებოდა. თორემ თვალთ რომ ცრემლები ადგა, არ დამალავდა. მოხუცს ხელფეხი დაჰსივებოდა და თავი უთრთოდა. მან სთქვა, რომ ვიღაც ვიგინდარებს, ლევანის ოთახის ჩამორთმევა უნდოდათ, მაგრამ ძია ვალოდია განრისხებულიყო:

— თქვენ იცით — ეყვირა მას — აქა სცხოვრობს ქართველი სტუდენტი და მე მის ბინას თქვენ ვერ დაგანებებთ...

ამბის მოყოლის დროს ძია ჯავრობდა და საზოგადოდ მას ემჩნეოდა ჭირვეულობა. ლევანმა რომ ძია ვალოდია ავად ნახა, სცადა დანუგეშება; მართალია ლევანი სანუგეშოს ვერაფერს ჰხედავდა, მაგრამ მიღებულია ადამიანის გამხნევება. ძია ვალოდიამ ხელი ჩააქნია და გაჯავრებით სთქვა:

— რას ამბობ რასა...

იგი გამოიყურებოდა უსიცოცხლო თვალებით, ხოლო ცალი თვალი გასჩერებოდა.

ლევანის მეორე მისვლაზე, ძია ვალოდია იწვა. გასივებულ თითებში მას ეჭირა ალვის ხის ტოტი და ბუზებს იგერიებდა. მაგიდაზე ედგა რაღაც სალოკავი საეჭვო ფერისა, სიმინდის ფქვილითა და სახარინით შემზადებული და ძია გულდაკოდილი ამბობდა:

— იქით გახედვა მეზარება, არა თუ ჭამა...

თავის ქალიშვილზე, როდესაც ლევანმა იკითხა, ძიამ არა უპასუხა რა. მოხუცი ნაწყენი იყო, რადგან თამარი ბოლშევიკებთან მემანქანედ მსახურობდა.

ისევე ელვარე და შავგვრემანი იყო თამარი, მხოლოდ სოველსა და მშფოთვარე, გაუმაძღარ ტუჩებს ემჩნეოდათ დაოკება.

ქალბატონმა გოევმა, შიშით (რათა ძია ვალოდიას არ გაეგონა) უთხრა ლევანს, რომ თამარს ვიღაც რუსი მხედარი ასდევნებია.

თამარი გამხდარიყო.

დედა გოევიც გამხდარიყო. იგი მუდამ შემკრთალი შემოდიოდა ძიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში. სიცხის გამო ქალბატონი გოევი უმწეოდ ჰქელავდა.

ლევანი ვერ სძლებდა გოევის სახლში. იგი გამოდიოდა მამა-დავითის შეფერდებაზე, სადაც სცხოვრობდა გოგია კოკოსაძე და სადაც თავს იყრიდნენ ტფილისში დარჩენილი სტუდენტები, ციხიდან გამოშვებული ტუსაღები და სადაც ხშირად შემოდიოდა აგრეთვე მეწაღე ნიკალა, რომელიც ოხვრით ამბობდა, რომ მას გული არ უდგას, სული ეხუთება!

ეს იყო ხნიერი. მას ხშირად მოჰქონდა ღვინო და მშფოთვარე ამბობდა:

— ახალგაზრდებო, თქვენი სიყმის ჭირიმე, მასვით თქვენთან ერთად ღვინო.

ტფილისში იდგა სევდა. სევდა იპყრობდა ადამიანს.

ნიკო თელიას სახლში დაბანაკებულიყო რუსის ჯარი. (ეზოში, ახალგაზრდა ჯარისკაცები პერანგის ამარა, ხარხარით გაურბოდნენ ერთ მაღალს, გამხდარ ცხენს, რომელიც კბილებ-დახრჩენილი დასდევდა მათ, რადგან ნედლი ბალახი მისთვის პირთან მიჰქონდათ, მაგრამ ჰმევისწილ, ნესტოებში სულს უბერავდნენ).

ანიკო ბადრიძის ბიძის სახლში ჯარის ნაწილები იდგა.

დამშეული მოქალაქენი, ბეჩავად ჩაცმულნი, დალასლასებდნენ ქუჩებში. რადგან გაზეთები არ გამოდიოდა, ხელისუფლება მოედნებზე აკრავდა, დიდრონ ასოებით დაწერილ ქვეყნის ამბებს. ეს იყო სხვა-დასხვა სააგენტოს ცნობები, უმთავრესად შესახებ იმისა, თუ რომელ ქვეყანაში დაიწყო რევოლუცია.

ამ ცნობებისა ხალხს არა სჯეროდა და მას დაერქვა: ცრუ-კავროსტა. რამდენიმე ეკლესია დაეკეტათ. ჰკეტდნენ კიდევ. დაკეტილ გუმბათებზე აემართათ წითელი დროშები.

6

— ხომ არ შეიშალე! ხანა, რომელშიაც ვცხოვრობთ არის მშვენიერი, არის იშვიათი..! — ამ[illegible] ვან ფერეულმა გოგია კოკოსაძის ოთახში.

ცხელოდა. თუმცა მზე დიდი ხანია ჩასულიყო და მიმწუხრი ეშვებოდა. კოკოსაძის ოთახში თავი მოეყარათ ახალგაზრდებს. ისინი იჯდნენ, იწვნენ, აბოლებდნენ თამბაქოს. მხოლოდ აღსანიშნავი იყო არა ის, რომ ყოველივე ამაში ოთახის პატრონს არა ეკითხებოდა რა, არამედ ის, რომ მათ ჰშიოდათ. ამის გამო იყო ერთმა სთქვა:

— რა მურდალ დროს გავჩენილვართ, პური არ იშოვება და კაცი იძულებული ხარ, ლუკმა პურისათვის ნადირივით დაძრწოდე... ეს დამამცირებელია! — სამაგიეროდ ჩვენ ვსუნთქავთ დიდი ჰაერით! იცით თქვენ რაზე საუბრობდნენ ძველად ოჯახებში?! ჩაცმულობაზე და დროის ტარებაზე. ეს უფრო დამამცირებელია...

საუბარი ხშირად იცვლიდა საგანს და თუმცა ახალგაზრდები უმხიარულონი იყვნენ, დრო-გამოშვებით მაინც იბადებოდა ხუმრობა და სიცილი.

— ეხ, ათი მილიონი რომ ვიყოთ!...

— ბარემ გენატრა. მთელ დედამიწაზე რომ ქართველები ვიყოთო! აბა წარმოიდგინე, ივარგებდა!?

გაიცინეს. გოგია კოკოსაძემ დაიწყო პარსვა, თან გამოსთქვამდა უცნაურ აზრებს და იყო რაღაც შეუსაბამობა მის აზრებსა, ხმასა და გარეგნობაში. საზოგადოდ იგი იყურებოდა აღმა-დაღმა და სიარული ჰქონდა ისეთი, თითქოს დაღლილია, თავი სძალავს და სადაცაა წაიქცევაო. ასეთ კაცს ეძახიან დოყლაპიას, მაგრამ გოგიას, თვალები ჰქონდა შავი და პაწია, რომელნიც ჰქმნიდნენ საოცარ შთაბეჭდილებას სულიერი ძალისა და გონიერების. იგი იყო პატარა, ჯუჯა ტანის კაცი, ხმა ჰქონდა მსხვილი და ლაპარაკობდა თითქოს გულუბრყვილოდ. მითი იწვევდა თავისადმი სიყვარულს.

ლევან ფერეულსაც უყვარდა გოგია კოკოსაძე და მას უსმენდა ღიმილით.

— არ არსებობენ საგნები თავისთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად, არამედ არსებობენ ადამიანთა განწყობილებანი, რომელნიც ყველაფერს შინაარს აძლევენ. ამიტომაა, ადამიანი ხედავს იმას, რაც მას ჰსურს და ხედავს ისე, როგორც ჰსურს. როდესაც ეს არ შეიძლება, მაშინ ადამიანი იწყებს ბრძოლას. აი, მაგალითად მე, არ მსურს ჩემი თავი დავინახო პირუტყვად (მადლობა ღმერთს, კარგად ხედავთ გაუპარსავი რას ვგევარ!) ამიტომ ვიპარსები... ლევანმა გაიცინა:

— იმიტომ აგრეთვე, რომ უნდა მოვიდეს ქსენია — ახალგაზრდებმაც გაიცინეს. გოგია არ მალავდა, რომ ქსენია ადამიანთა შორის უმშვენიერესია, ხოლო მუშაკი — იშვიათი. „მუშაკი" ჰგულისხმობდა არალეგალ მომუშავეს, მებრძოლს.

ალაპარაკდნენ და სანამ გოგია სიტყვას დაიბრუნებდა, აღიძრა საკითხი: რა მიზეზია რომ, „ივანეს" მაინც-დამაინც თამარი იტაცებს და არა ქეთევანი.

— ეს მე ვიცი — გამოაცხადა ერთმა — ადამიანები, ისე ვით პირუტყვები, უთუოდ სხეულიდან გამოვავლენთ სხივებისდაგვარ ტალღებს, რაიც უთუოდ იმ გვარ მოვლენას იწვევს, როგორიცაა ელექტრობა! უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ ეს მოვლენა ძველთაგანვე შეუმჩნევიათ, შედეგი ამისა გახლავთ ყოველგვარი ყელსაბამები, ამულეტები. ასე რომ, ჩვენი ველური წინაპრები არცა სცდებოდნენ და არც სტყუოდნენ; და თუ ოდესმე მეცნიერებამ დაინახა ადამიანის მიერ გამოვლენილი სხივები, მაშინ აღმოჩნდება კიდეც თუ რა ვართ ადამიანები, მგლები თუ მართლა კაცები.

— გოგიამ სთქვა:

— მგლები ბატონო, მგლები! განა ვერ ვხედავთ! დროა ეს მივიღოთ! ამდენ ხანს ცხოვრებას ვქმნიდით ისე, როგორც ჩვენი წარმოდგენით შეეფერებოდა ისეთ ადამიანს, როგორიც ჩვენ გვსურდა ვყოფილიყავით და თავისთავს ვარწმუნებდით: სწორედ ისეთი ვართ, როგორიც გვსურსო. ეს ტყუილი აღმოჩნდა. ნამდვილი ადამიანი — არის, რომელსაც ქრისტე ებრძოდა. ეს აშკარაა! ამიტომ ცხოვრება უნდა მოეწყოს ადამიანის ნამდვილი ბუნების მიხედვით, იმ ბუნებისა, რომელიც მართალია საძაგელია, დამამცირებელია და ამიტომ დღეს-დღეობით უარყოფილი, მაგრამ რა გაეწყობა — არის უცვლელი და ურყევი! ეს გახლავთ მტაცებლობა, შური, მტრობა, ჩაგვრა, მრისხანება, მცონარება. ადამიანი არის ნაწილი ბუნებისა და მას არავითარი მოვალეობა, არავითარი მოწოდება არა აქვს ეძიოს და ამყაროს რაღაც კანონზომიერება ადამიანებში, გინდა სამყაროში; ეს მას არც შეუძლია, რადგან ადამიანის დასაწყისი და დასასრული არის არარაობა!

გოგია ლაპარაკობდა რაღაც გაბოროტებული, თითქოს თავისი თავის წინააღმდეგ და ლევანმა მას ჰკითხა:

— მაშ, გოგია, დავიშალოთ! ჩაუსაფრდეთ ერთიმეორეს თავისი ნიჭისა და უნარის მიხედვით! ასეთი კაცობრიობა არსებობდა უწინ; მან ბევრი იხეტიალა, ბოლოს ხეტიალი მოსწყინდა და მოვიდა დღემდე.

—ერთი ეს შემატყობინეთ, როდის ახერხებთ ფიქრს ასეთ საგნებზე?! — იკითხა ერთმა. ეს იყო ბუნებისმეტყველი, რომელმაც ამას წინად ინატრა, ნეტავ ათი მილიონი ვიყოთო. ის იყო წყნარი ადამიანი, თუმცა ფიქრობდნენ რომ უნდა ყოფილიყო ჩუმი ეშმაკი და როცა ასე იკითხა, კილოში არ ისმოდა უხუმრად ამბობდა თუ მოსაუბრეებს დასცინოდა და გოგიამ მიუგო:

— ღამით, როდესაც დავწვები, მაშინ ვფიქრობ ასეთ საგნებზე...

ღამდებოდა. მხურვალე ჰაერი უმოძრაოდ იდგა. სჭირდა სუნთქვა. სჭირდა მოძრაობა. რამდენჯერმე კისერში მოდენილი ოფლი, ცხვირსახოცით ამოიწმინდა ლევანმა; ეს იყო ძარღვების ამშლელი.

აგონდებოდა ამ დროს ზღვა და საზოგადოდ, საბარბიელო არაფერი იყო ამჟამად ტფილისში. უეცრად ლევან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერეულმა გოგია კოკოსაძეს რევოლ-
ვერი მოსთხოვა:

— მომეცი რევოლვერი!

ახალგაზრდებმა ყურები სცქვიტეს. არავის არაფერი უთქვამს. გოგიამ ჰოლანდური ღუმელი გამოაღო და ქაღალდში შეხვეული რევოლვერი გამოიტანა. ლევანმა გამომეტყველებით ჰკითხა: დატენილია?

გოგიამ თავი დაუქნია. ლევანი წაჯიდა. ბუნების მეტყველმა სთქვა:

— ხალხი არ დახოცოს, რათ უნდა ნეტავი!?

თუ რათ უნდოდა ლევანს რევოლვერი, არავინ იცოდა.

7

— გოგია კოკოსაძეს, ჩვენს ძვირფას გოგია კოკოსაძეს უეჭველია ქსენია უყვარს. ქსნიამ კი სთქვა: როგორ გინდათ თქვენ გოგია მიყვარდეს, ჯერ მარტო მისი სიარული რათ ჰღირს!?

ამიტომ ქსენია, გოგიას მხოლოდ პატივს სცემდა, დიდ პატივს სცემდა. ეს არ იყო საკმარისი და გოგიას დასჩემდა უცნაურობანი; მაგალითად ცხარე საუბრის დროს ფიქრებით განმარტოვდებოდა, ან დაჟინებით იწყებდა რაიმე ისეთის მტკიცებას, რის წინააღმდეგ თვითონ იბრძოდა; შემდეგ, საუბრის დასასრულ გამოაცხადებდა: — რა ვიცი მე. შესაძლებელია კიდეც ვცდები!

— თავისუფალ ადამიანს არაფერი არ უნდა უყვარდეს; ეს იქნებოდა მეტად კარგი! თორემ ბიძის სახლში, ნიკო თელიას რომ რუსის ჯარები დაბანაკებულიყო, ამისი დანახვა იყო შეურაცხმყოფელი! მაგრამ რა გამოვიდა, ის მასხარა ცხენი ისე კბილებ დაჩრჭენილი დასდევდა ჯარისკაცებს და ჭაბუკი რუსებიც, ისეთი გულითადი ხმებით იცინოდნენ, რომ ლევანს გაეღიმა, მაშასადამე მონაწილეობა მიიღო!

„გიყვარს ლევან ტფილისი!?"

„ჰო, ძალიან!"

„რატომ გიყვარს ლევან ტფილისი!?"

„არ ვიცი!" — ასე [illegible] ვის გულსა და გონებას ლევან ფერეული, როდესაც მამა-დავითის მთიდან ალექსანდრეს ბაღისაკენ დაეშვა და რადგან ახალგაზრდა კაცი გამვლელთ სჭვრეტდა, ხოლო გამვლელთა შორის ანიკო არ სჩანდა, ამიტომ ისე ისმოდნენ ეს სიტყვები: გიყვარს, გიყვარს!, თითქოს ყვავები სჩხაოდნენ: — ყვა, ყვა, ყვა! —

ლევან ფერეულმა ბაღი გადასჭრა და პუშკინის სამკითხველოს მახლობლად, ქუჩაში ლოდინი დაიწყო. ბნელოდა. ლევანი იყო მშვიდად, მხოლოდ ხან-დახან როდესაც გული ძლიერ უწყებდა ცემას, იგი გონებაში იმეორებდა იმ თავის დასაცავ სიტყვას, რომელიც ხელისუფლების წინაშე უნდა წარმოეთქვა, თუ ჩავარდებოდა. ლევანი ამბობდა:

— მე გავძარცვე, რადგან მშიოდა! მართალია ამითი კანონი დავარღვიე, მაგრამ კანონი პირველად დაარღვიეთ თქვენ! — ნეტავ ამაზე რას უპასუხებდნენ?

დაატუსაღებდნენ უეჭველია, მაგრამ ეს არ იქნებოდა ურიგო, რადგან კაცი, რომელსაც მთავრობა არ სდევნიდა, იყო საეჭვო.

რამდენიმე წუთის წინად, შხუილით შემოიჭრა ბაღში ფრინველთა გუნდი და ხეებში დაბუდდა. ლევანი ხის ძირას, ჩრდილში იდგა. ბნელოდა, როგორც იცის გაავდრების წინ. დროგამოშვებით, დასავლეთით ელავდა.

რამდენჯერ ასე მდგარა ლევანი, როდესაც ქუჩაში შემთხვევით მუსიკა მოუსმენია. ანიკო თამაშობდა აგრეთვე მშვენივრად. ლევანს მეხსიერებაში ჩარჩენოდა რომელიღაც ზაფხულის წვიმიანი ღამე. თუ ღამეები, როდესაც ქუჩაში, ღია ფანჯრის წინ, ხის ძირას უმოძრაოდ დარჩენილა და მუსიკა განაგებდა როგორც მის გრძნობებს, აგრეთვე გარემოს.

უთუოდ ანიკო ეხლა სადღაც არსებობდა; ლევანს ჰსურდა და არ ძალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძდა დაენახა იგი ეს იყო რაღაც გაუგებრობა, შეუსაბამობა.

უეცრად ლევანი ვიღაც მომავალ კაცს გადაეღობა და ყოველივე მოხდა სწრაფად და უბრალოდ.

— გაჩერდი! ფული, ვალუტა!!!

უცნობმა დააპირა თუ შეასრულა კიდეც ხელები უმწეოდ გაეშალა, მაგრამ დაინახა ლევანის რევოლვერი, უცნობი სიმწრით გმინავდა; მან მარცხენა ხელით გულის-ჯიბიდან ამოიღო საფულე, გახსნა.

ლევანს სჭიროდა რამდენიმე ოსმალური ლირა ან ორი დოლარი!

უცნობი შეფრთხიალდა, რაღაც იგრძნო, რაღაც მიხვდა და იგი ალაპარაკდა ვით კეთილი ნაცნობი:

— ბატონო, მეტი ინებეთ, მე მაქვს!

მას დაავიწყდა შიში და ლევანმა გაბოროტებით, კბილების ხრჭენით სთქვა:

— ხმა!

ამის შემდეგ უცნობი ზურგშექცეული უნდა მდგარიყო ადგილას და ლევანი წავიდა.

8

გოგია კოკოსაძისას იგივე ხალხი დახვდა ლევან ფერეულს, მხოლოდ მის გამოჩენაზე დამხვდურთ საუბარი შესწყვიტეს და ლევანი მიხვდა, რომ მას, სახეზე ემჩნეოდა მღელვარება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ გადასინჯა საბუთები, რის გამო, ის უნდა ყოფილიყო უდარდელად.

„ბოლოს და ბოლოს მე მსურს გავაკეთილშობილო ავაზაკობა! როგორ! ნუთუ მართლა დედამიწის ტრიალმა იცის გარჩევა ბოროტისა და სიკეთის! ნუთუ დედამიწა, რომელსაც მე ვთვლი უსულოდ და უტვინოდ (და თუ რამ შინაარსი გააჩნია, იგი მიმიცია მე, ადამიანს) ნუთუ დედამიწა ჩემი უფროსი და მასწავლებელია!? არა, ეს აღზრდისა და წინაპრების ბრალია, რომელთაც სისხლით გადმომცეს ასი-ათასი ცრუმორწმუნეობა, თორემ არავითარი უპირატესობა არა აქვს სიკეთეს ბოროტის წინაშე! ეს არის მხოლოდ, ადამიანი გამოცდილებით მივიდა და ეს არის შეცდომა, თითქოს ურთიერთობისათვის ასე სჯობდეს და მოხდა აბრეშუმის ჭიის ამბავი. ეხლა პარკის გარღვევა ძნელია და აი მე, პარკში მოქცეული, რომელიც მომხრე ვარ პარკის გარღვევისა, ვღელავ და ვოხრავ, თითქოს ქვეყანა ინგრეოდეს“.

მიუხედავად ასეთი ფიქრებისა, ლევან ფერეულს არაფერი უჭამია. მან ორი დოლარი, ყოფილ მიკიტანს გადასცა, რომელიც ამჟამად ფარულად ვაჭრობდა და მოვიდა სასმელ-საჭმელი: ღვინო ხელადებით, მახობელა პური, მოხარშული ლობიო, ყველი და მწვანილი.

მოშივებული ახალგაზრდები საჭმელს დააცხრნენ. დიდხანს უხმოდ სჭამდნენ და სვამდნენ. ისმოდა მათი ქშენა, თითქოს იბრძოდნენ, მხოლოდ შემდეგ, როდესაც მოსულიერდნენ, ერთმა სთქვა:

— ბიჭო, ბიჭო, გიშველა ღმერთმა!

მეორემ იკითხა:

— კაცო, საიდან ეგა!?

მესამემ შენიშნა:

— შენ არაფერს სჭამ, კაცო!

საჭმელი ბევრი არაფერი დარჩენილიყო, ცოტაოდენი პური, მწვანილი და ღვინო იდგა კიდევ ხელადაში, რაიც გათვალისწინებული იყო ნიკალასათვის, რომელიც უეჭველი მოდიოდა, რადგან დაბლა კიბეზე უკვე ისმოდა მისი ნაბიჯები. დაღვრემილი ლევანი, ახალგაზრდებს სახეს არიდებდა და გამოდიოდა ისე, თითქოს იგი თვალებს მგელივით აბრიალებდა, ხოლო ეს იმისი იყო, რომ მასში მრისხანება ებრძოდა მამა-პაპეულ ლმობიერებას.

მან რაღაც გადალახა ისეთი, რაც უეჭველია არ ექნებოდათ გადალახული მის წინაპართ და არა თუ გადალახული, დადგენილ მიჯნის პატივისცემაც კი, არ ექნებოდათ მათ შებღალული!

ეს იყო სულმოკლეობა! ვერ გასძლო და ჩაიდინა, თუნდაც ცნობისმოყვარეობით! ხოლო ვაჟკაცი ადამიანები, ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველგვარ ცდუნებას უძლებენ და არ სჩადიან!

ეს აღძრავდა გულის ტკივილს.

დედა იტყოდა: ყველაზე ადვილი არის აკაცობა! კაცური კაცი, პატივს უნდა სცემდეს სიძნელეს.

შენ კი შვილო მეტის-მეტად შფოთავ; დასცხრი ლევანის — ჭირიმე, ცოტა დასცხრი!

9

ახალგაზრდებს რომ ეგონათ ნიკალა მოდისო, ქსენია აღმოჩნდა; მთელ მამაკაცივით დადიოდა ქსენია; დიდი, გაჩეჩილი თავი ჰქონდა, პაპიროსს ეწეოდა და როგორც გარეგნობით, ისე საქციელით იგი ჰგავდა ახალგაზრდა კაცს. შემოსვლისას მან დაიძახა:

— ყმაწვილებო, ამ საღამოს მიდიხართ!

ეს ეხებოდა ლევანსა და გოგიას. ქსენიამ სუფრას თვალი მიაქცია: ყოჩაღ-ო! ერთი სთქვა და შეუდგა ჭამას, თან დაუცხრომლად ამბობდა: მისი ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ სტამბა, რომელიც ლევანს სანაპირო ქალაქში უნდა წაეღო, უკვე მატარებელში იყო. ასოთამწყობად მიდიოდა გოგია კოკოსაძე; მხოლოდ გზაზე ლევანსა და გოგიას, უფროსი ამხანაგები სიფრთხილისათვის ურჩევდნენ ერთმანეთთან ერთი-ერთობა არ ჰქონოდათ.

— აბა მოემზადეთ!

მზად იყვნენ. კოკოსაძის ოთახში ისევე დარჩნენ სტუმრები, როგორც იყვნენ მანამდე. მათი საუბრის საგანი იყო ახალი ამბავი: ინგლისის დესანტი შავი ზღვის სანაპიროებზე და დამშეულთა მღელვარებანი რუსეთში.

სადგური ხალხით სავსე იყო. ხალხში მიმოდიოდნენ ჩეკის მსახურნი, რომელნიც ყველასა და ყვალაფერს იჭვით ათვალიერებდნენ, თან ისე აშკარად და უბოდიშოდ, თითქოს ხალხი ყოფილიყო ღირსება გაძარცული და პატივ-აყრილი. ხალხი გუგუნებდა. ქსენიამ ლევანი ერთ მუშა-კაცს გადასცა.

მუშა-კაცმა ლევანი ფანჯრიდან შეიყვანა რონოდაში, ადგილი და ნივთი უჩვენა და წავიდა. წასვლისას ლევანს მან უთხრა:

— აბა, ბედნიერად, ჩემო ბიძია! — უბრალოდ ხელი გაუწოდა, მაგრამ მის ხელის ჩამორთმევაში, ღიმილსა თუ ლაპარაკში გამოსჭვიოდა ის გარემოება, რომ ლევანთან მას აკავშირებდა ნდობა, იმედი და სიყვარული.

მატარებელი დაიძრა.

მცხეთაში გლეხებმა ფანჯრიდან შემოიყვანეს ბრმა მეჩონგურე. იგი ხმამაღლა გაჰკიოდა:

— ღმერთმა გაგიმარჯოთ, ქართველებო! გაიზარდენით! გაიხარენით!

დაიწყო წვიმა. გორში მეჩონგურე დაეშვა.

როდესაც მატარებელი სამტრედიაში მივიდა, ღამე გატეხილიყო და ნისლში იშვებოდა დღე. არ სწვიმდა. რონოდაში ხალხი ნაკლები იყო. ორთქლმავალი, სადღაც ქშენით მიმოდიოდა და ვიღაცამ სთქვა :წყალს იღებსო.

ყველაფერზე ემჩნეოდა, რომ მატარებელი აქ შეიგვიანებდა. იქვე, მეორე ხაზზე იდგა ბათუმიდან ტფილისში მიმავალი მატარებელი.

ლევანი თავის ბუნაგიდან დაეშვა. მას, შემდეგ აგონდებოდა, რომ უცემდა გული და ძალიან ჩქარობდა დაეთვალიერებია ბათუმის მატარებელი, რომელიც უთუოდ მალე წავიდოდა — ისე მხნედ ორთქლავდა მანქანა და ისეთი დაიმედებული მოლოდინით მომდგარიყვნენ ფანჯრებზე ბათუმის მგზავრები.

ერთ ფანჯარასთან, მრავალთა შორის იდგა პავლე ბადრიძე. ლევანი გაეშურა. ლევანი რაღაცას თავდავიწყებით ლაპარაკობდა. უთუოდ პავლე ბადრიძე ლევანს მიესალმა, რადგან გაიღიმა და ხელიც აიშვირა. რონოდის სილრმეში გამოჩნდნენ ქალების სახეები, ქალბატონი ბარბალე და ანიკო.

მაშინ ლევანი ფანჯარას მოეჭიდა და მიუხედავად მგზავრების წყრომისა და აყაყანებისა, ფანჯრის რაფაზე მოექცა. ლევანი ამბობდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენად მოხარული ვარ თქვენი ნახვით! როგორ ბრძანდებით, როგორ გიკითხოთ! — ამბობდა არა იმიტომ, რომ პასუხი მიეღო.

მგზავრები ჰყვიროდნენ:

— ჰეი, მოქალაქე, ჩადი დაბლა, ჩვენ აქ ძლივს ვეტევით — უთუოდ მატარებელი დაიძრა. პავლე ბადრიძე შემკრთალი სთხოვდა ლევანს რაღაცას. ქალები, ბარბალე და ანიკო, სჩანდნენ გამხდრები და დასუსტებულნი და ისინიც ლევანის გამო შფოთავდნენ, იმიტომ რომ მატარებელი მიდიოდა და ლევანი ეკიდა ფანჯარაზე. ერთი გაიფიქრა ლევანმა: ნეტავ სტამბა არ მქონდესო, მაგრამ ამის ნაცვლად ანიკოს შეჰხედა:

— ნახვამდის — სთქვა, შემდეგ დაუმატა — ბედნიერად. მატარებელს მოსწყდა, ხრამში ჩაიმუხლა და ოდეს აიხედა, მატარებელი იყო შორს.

10

ქალაქ-ბაღთა სანაპირო ქალაქი.

ყოველ სახლს გააჩნია მოვლილი ეზო, ბოსტანი.

უთნელიძეთა ბაღი ნაწვიმარზე ახალშობილს ჰგავდა; ბალახი, ვარდ ყვავილთა ბუჩქები თუ ჭაბუკი კვიპაროსები ამართულიყვნენ ნოყიერებით აღსავსენი და მათ შორის, დილა-ადრიან ამდგარი ვანო უთნელიძე მიმოდიოდა ვით ადამიანი, რომელსაც ეკუთვნის ყოველივე ეს და აგრეთვე ბევრი რამ სხვა.

ვანო იყო პერანგის ამარა და ტიტველ ფეხთ ეცვა ფლოსტები, რომელნიც აღუებულ მიწაში იფლებოდნენ და ვანოს კიდეც სცივოდა ფეხებსა და გაღეღილ გულმკერდზე და კიდეც მოხარული იყო სიცივისა. მხოლოდ ვანო ცდილობდა არ შეემჩნია სიცივე, არც სიხარული.

წუხელის მან იქეიფა კოტე და იონა თავაძესთან; ორივე დიდი კაცი იყო, ხოლო დიდ კაცებთან, ვანო პირველად იყო წუხელის თანასწორად მიღებული. ახალგაზრდა უთნელიძე ცდილობდა არც ამისი სიხარული შეემჩნია. ასეთ თავდაჭერას მისთვის, მისივე თვალში უნდა შეექმნა მოწიფული კაცის წონა და ღირსება.

ვანოსთან ერთად ამდგარიყო მისი ძაღლი, შავი — პატარა გელეშა, რომელიც ბოსტნის ღობეს მომდგარი, მთელი სხეულით იკლაკნებოდა, თრთოდა და გაბმით წკმუტუნებდა, რათა დრო-გამოშვებით აღმოხდენოდა ვედრებით სავსე ყეფა. ეს ყეფა იყო უადგილო. ამას გაიგონებდა დედა და რომც არაფერი ეთქვა, გამოხედვით იგულისხმებოდა:

— შვილო, არ გაცივდე...

ვანო გაჯავრებული გაექანა ძაღლის დასატუქსად, მაგრამ მოაგონდა რომ ერთჯერ გელეშას მანანა მიეფარა:

— რა მშვენიერია, არ იკბინება? — იკითხა მანანამ და რა ვანომ უპასუხა — არ იკბინებაო! — მანანამ გელეშას ყურში ხელი ჩაავლო და დრუნჩზე აკოცა, თუმცა ხელათვე ტუჩები ცხვირსახოცით მოიწმინდა, თან დაბნეულად იცინოდა.

არ შეიძლებოდა გელეშას დასჯა და, რათა ძაღლს ყეფა შეეწყვიტა, ვანო შემოტრიალდა და ნელი სირბილით ბაღის სიღრმისაკენ წავიდა.

მაღალ კვიპაროსების შუა-გულში იდგა ძველი ტალავერი, შემოსილი ხშირი სუროთი. აქ მოდიოდა რამდენიმე კლაკნილი ბილიკი და ტალავერის ირგვლივ ჰხარობდნენ ყვავილები და ვარდები. ეს კუთხე, თითქოს შემთხვევით წარმოშობილიყო და ჰგავდა ველურს. აქ იყო მანანამ რომ წამოიძახა:

აჰ! — და შესდგა.

ვანო მაშინ, აღელვების გამო თუმცა ვერაფერს ჰხედავდა, მაგრამ უდავოდ, მანანას გაჰგანიერებოდა თვალები, რომელნიც უბრწყინავდნენ. ასეთი ბრწყინვალე თვალებით მანანამ შეჰხედა ვანოს, შემდეგ ყვავილებს დაჰხედა და რაღაც ქალური სინაზით ყვავილებისაკენ დაიხარა. არა პირდაპირ, არა-

(მედ გვერდით ჩაუჩოქდა ყვავილებს შორი-ახლო მიუალერსა და არც ერთი არ მოუწყვეტია. მანანას ახლდნენ ტოლები. მათ თაიგულები დაჰკრიფეს; ისინი მანანას დასცინოდნენ, მაგრამ მორიდებულად, რადგან დაბრუნებულიყვნენ სასაფლაოდან, სადაც მანანას დედის საფლავზე ბევრი ეტირა. ოდნავ დასწითლებოდა მანანას თვალები; იგი ვანოს დედას ბავშვური სითამამით და მშობლიური ნდობით მკლავთ ეკვროდა.

ამ დროს ვანოს დედა იყო დინჯი და უეჭველად ბედნიერი.

ვანო მადლობელი იყო მანანასი.

არც ვანოს, არც დედას მანანასთვის ყვავილები არ მიუწოდებიათ.

ვანოს ერთი უცნაური შემთხვევა ახსოვდა: ვანო და მანანა, მდინარის პირად ხეივანში ისხდნენ. გამოჩნდნენ დოდიკო და კოტიკო, რომელთაც მოჰყვებოდა მათი დედა. ბავშვებმა იყვირეს.

— დეიდა მანანა! — და სირბილით გამოიქცნენ. დოდიკოს ხელთ ეჭირა ვარდის თაიგული, რომელიც მანანას აჩუქა. რა ბავშვები და მათი დედა წავიდნენ, მანანამ თაიგული იყნოსა და სრულიად მოულოდნელად შესწყვიტა სიცილი, თაიგული ხელიდან გაუვარდა და დაიწყო ტირილი.

ვანო ძლიერ შესწუხდა. დაიბნა. მან აიღო თაიგული, რომელიც იყო ჩვეულებრივი ვარდების კონა და გამოსცემდა საამურ სუნს.

— რა არის მანანა, რა! — ჰკითხულობდა ვანო.

მანანა ტირილით უპასუხებდა, რომ: ეს არის სისულელე და მალე გაივლის. შემდეგ უპასუხებდა, რაღაც მოაგონდა, რისი გადმოცემა მას არ შეუძლია, მხოლოდ ვანოს სთხოვდა დამშვიდებულიყო.

მანანა ამბობდა მართალს.

დედის გარდაცვალების მეორე დღესვე, მკურნალს, ძია ალექსის გამოეგზავნა „დეზინფიკატორი", რომელმაც დედას ოთახში რაღაც თეთრი სითხე მოასხურა და ფანჯრები და კარები ... ახშო, დაჰთეგა. ოთახი ერთი კვირის შემდეგ გააღეს. წამალს იქაურობა დაეთეთრებია, თითქოს გაეხრწნა და ყველაფერი იწვევდა ტირილს.

კიდეც სტიროდნენ. ამ დროს, პაწია მაგიდის ყუთიდან შემთხვევით გადმოვარდა პაწია შუშა, რომელიც გატყდა; შიგ მდგარიყო ვარდის სუნნელი; სუნნელი მანანას ეჩვენა არა საამური, არამედ მძაფრი და კიდევ უარესი ვიდრე მძაფრი, რომელიც ერთბაშად იწვევდა მთელ სურათს გარდაცვლილი დედის ცხედრისა.

ეს სურათი ეხლაც აღდგა მანანას წარმოდგენაში.

ვანომ ეს არ იცოდა. არც შემდეგ გაუგია, მხოლოდ ალღო, აიღო, რომ მანანა ერიდებოდა ვარდებსა და ყვავილებს.

ვანო ტალავერში შევიდა. უეცრად მას რაღაც მოაგონდა და წარბები შეიკრა. (ქალაქის საათი რეკავდა ამ დროს დილის შვიდსა თუ რვას.) წუხელის ახალგაზრდა უთნელიძემ იგრძნო შიში. კამათობდნენ კოტე და იონა. მთელი პატივისცემა, სიყვარულიც კოტეს მხარეზე იყო, რადგან კოტე ჰღელავდა; ის ჰკვეთდა სიტყვებს და დროგამოშვებით თითქოს იონას ათამაშებდა.

იონა ღელავდა. ის ჩქარობდა შეეგნოთ მისი ჰეშმარიტება, მაგრამ ამ სიჩქარეში უპირატესობას ჰპოულობდა არა კეთილი სურვილი, არამედ მოუთმენლობა სწრაფი სულისა და მოუთმენლობასთან ერთად მუქარა. იონამ სთქვა:

— ვაი თქვენი ბრალი, ხელი თუ იარაღზე წაგიცდათ!...

ეს ისე სთქვა, თითქოს ნატრობდა, ხელი წასცდენოდათ. შემდეგ, მოკამათენი ერთმანეთს თვალებში ჩასცქეროდნენ, მრისხანებით აღსავსენი: ამისი დანახვა იყო მძიმე; მათ სძულდათ ერთი-მეორე, მათ შეეძლოთ ერთი-მეორე მოეკლათ. მაშინ ვანომ დალია ღვინო, რადგან იგრძნო შიში თუ სიცივე. შიში არა იმიტომ, რომ მას მოელოდა ვნება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ იწყებდა ჩენას რაღაც სიავე რაიც თურმე ადამიანთა ურთიერთობაში ყოფილა შესაძლებელი.

იქნებ მართალი იყო ის კაციც, რომელიც წვერ-ულვაშ გაპარსული, უკვე ხნიერი, კათოლიკური სასულიერო პირსა ჰგავდა და ვანოსთან და ვანოს მამასთან ერთად, ორთვალაზე იჯდა. ის კაცი ისე ლაპარაკობდა თითქოს ჰქადაგებდა, მაგრამ ხშირად იცინოდა და როგორც ვანოს ეჩვენა, იცინოდა უადგილოდ.

ორთვალაში ებათ ორი ცხენი. ცხენთ ებათ ეჟვნები და იმ წვერ-ულვაშ მოპარსულ კაცის სიცილი ჰგავდა ეჟვნების ჟღარუნს: მრავალ-ხმოვანი, არა საამური.

ის კაცი ამბობდა:

— თქვენ იცით მგლის ორმოები, რომელთაც ზევიდან ჟვეროებით ჰფარავენ. აი, თურმე ცხოვრება აღსავსე ყოფილა ასეთი ორმოებით. ბოლშევიკებმა ორმოები გამოაჩინეს და ჩვენ, თავზარდაცემულნი შევყურებთ მათ და ნაბიჯი ვერ გადაგვიდგამს. ასეთივე ფარული ორმოები აღმოჩნდა ჩვენს სულიერ ცხოვრებაშიაც, რომლის საფუძველი გვეგონა მყარი და ჰარმონიული. აჰა, ამიტომ იყო ამდენ ხანს, ცხოვრება მიდიოდა დინჯად და ხალხი თვის ურთიერთობას, რაღაც დღესასწაულებრივი სიდარბაისლით აღასრულებდა! უყურეთ აწი რა მოხდეს!

წვერ-გაპარსული კაცი თითს ზევით იშვერდა და ისეთი კმაყოფილებით იცინოდა, რომ უეჭველია, თვითვე მოსწონდა თავისი ნათქმი.

შესაძლებელია ის ყოფილიყო მართალი, მაგრამ ვანოს მისი ნათქვამი არ მოეწონა.

ვანო მუშაობდა „აგიტ-პროპ"-ში — აგიტაცია-პროპაგანდა მას აძლევდნენ შეკვეთებს პოლიტიკურ თემებზე და ის ხატავდა პლაკატებს. ხოლო როდესაც მისცეს თემა: სჯამს ის, ვინც მუშაობს!, ვანოს მოაგონდა წვერ-ულვაშ მოპარსული კაცი. გამოდიოდა, რომ ადამიანს შეეძლო, ადამიანივე სიმშილით მოეკლა და როგორც უთნელიძეს ეხსნა, აგიტ-პროპი მისგან მოითხოვდა გაეტარებია სწორედ ასეთი სიკვდილის მუქარა.

ვანომ ეს არ ჰქნა. პლაკატი დასწერა დაახლოებით ისეთი როგორიცაა ზარმაცი მოსწავლის უსადილოდ დატოვება. ეს გამოვიდა სასაცილო და რაღაც ბავშვური. აგიტ-პროპის გამგემ, ხელოვნების მოყვარულმა და მფარველმა, ჯერ სათვალით უყურა პლაკატს, შემდეგ სათვალე მოიხსნა:

— ჰა შე კონტრ-რევოლუციონერო! — სთქვა მან და გაიცინა. პლაკატი მოწონებულ იქნა. გამგემ შემდეგ უთხრა ვანოს:

— ამხანაგო უთნელიძე, თქვენ გინდათ ეს ხუმრობად გადააქციოთ, მაგრამ ეს არაა ხუმრობა! ესაა სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა!

ასეთ სიტყვებს სიმძაფრე დაჰკარგოდათ და ისინი, ვერავის შიშს ვერ ჰგვრიდნენ. გამგე ამბობდა აგრეთვე:

— ნიჭიერი ხართ ამხანაგო უთნელიძე! ჩვენ, თქვენ უნდა მიგავლინოთ მოსკოვის სამხედრო აკადემიაში.

დღეს, რამდენიმე დღეა უკვე, ვანოს უნდა დაეწერა პლაკატი: „კომსომოლი აფეთქებს ღმერთს".

ვანო ყოყმანობდა. შეიტყობდა დედა, მამა. სანაპირო ქალაქი პატარაა; ყოველი მორწმუნე ადამიანი შეიტყობდა და დასწყევლიდა ვანოს.

ჯერ პირველადვე მამას, დედისათვის საყვედური ეთქვა: თურმე ვანო კომუნისტებს ჰშველისო! — დედას როგორღაც დაემშვიდებია. ვანოსათვის კი, არაფერი უკადრებია მამას.

ის ვითარება, რომ მორწმუნენი ვანოს აუმხედრდებოდნენ, ცოტათი სახალისოც იყო და ვანოს, აღიზიანებდა და სამოქმედოდ იწვევდა:

— ბოლოს-დაბოლოს ვანოს რომ არ დაეწერა, სხვა შეასრულებდა. — მაგრამ საქმე იმაშია, რომ უთნელიძის განკარგულებაში იყო მხოლოდ მასალა: ეკლესია, რომელსაც ანგრევენ და ხალხი, რომელიც ეკლესიას ანგრევს; ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალა ვანო უთნელიძემ ვერ მოაწესრიგა, ვერ დაიმორჩილა, ვერც მისცა შინაარსი.

ხშირია შემთხვევა, ახალგაზრდები, როდესაც რაიმე სასწავლებელს ამთავრებენ, ერთი-მეორის მიბაძვით, განა გავლენით ირჩევენ ერთსა და იმავე ასპარეზს. ასე მოხდა სანაპირო ქალაქშიაც შარშან, როდესაც ვანომ გიმნაზია დაასრულა. მასთან ერთად, ხუთიოდე ახალგაზრდა აღმოჩნდა მხატვრობით გატაცებული.

ხუთივენი ვანოს უპირატესობას ანიჭებდნენ, ხუთივენი ვანოსთან მუშაობდნენ და რადგან პლაკატი დღეს უნდა დაწერილიყო, ვანომ გადასწყვიტა მათთვის მიენდო მისი შესრულება.

ასეთ ფიქრებში გართულ ვანოს, მუხლთ დაეძგერა გელეში. ძაღლი საყვედურითა და სიყვარულით ჰყეფდა და ცდილობდა რაც შეიძლება მაღლა ამხტარიყო, რომ დაეკოცნა პატრონი.

— ნეტა ვინ შემოუშვა! — გაიფიქრა ვანომ.

კვიპაროსებში გამოჩნდა მომავალი მამა. იგი აუჩქარებლად მოდიოდა. სულ ახლოს იყო ტალავერთან მურზა უთნელიძე, როდესაც დაამთქნარა და ძველი ჩვეულების მიხედვით პირჯვარი გადაიწერა:

— დიდება შენ, ღმერთო!

11

სოლომონ ფერეულის ყანა მდებარეობდა ქალაქს გარედ, მდინარის პირად. მზე იწყებდა ამოსვლას, როდესაც მამა და შვილი მუშაობას შეუდგნენ. კოტე მუშაობდა მდუმარედ. მამაც იძულებული იყო მდუმარედ ყოფილიყო. თოხით მუშაობდნენ. სიმინდს მარგლავდნენ. ეს იყო ადვილი და საამური სამუშაო; საამური მითი აგრეთვე, რომ ყანაში ნორჩი სიმინდის სუნი ტრიალებდა. სოლომონმა ამაზე ერთჯერ სთქვა:

— დიდებულია სწორედ, ბატონო! — ხოლო სუნნელება სიმინდისა არ უხსენებია, რადგან ჯერ ერთი არ იყო დარწმუნებული, სიმინდი მართლა სუნნელოვანი თუ იყო, გარდა ამისა, სუნნელოვნების განცხადება იქნებოდა რაღაც დიდკაცური, არა შესაფერისი ადგილისა და გარემოების. მუშაობაში მამა ხშირად დგებოდა და თვალს აკლებდა გარემოს: ნაწვიმარზე ძალ-ღონით ავსილ ყანას მუქი ფერი დაჰკროდა, თითქმის გაშავებულიყო.

ყანიდან მოსჩანდა მდინარე. იგი იყო ადიდებული; მუქი და მღვრიე სწრაფად ილტოდა, მოჰქონდა გაშავებული ხეები და ღმუოდა.

შორს, მდინარე სადაც უხვევდა, წამით გამოკრთა მომცრო ნავი და მიიმალა. შემდეგ მოისმა სტვენა და სტვენას მოჰყვა ძახილი:

— ეჰე-ჰეიი — ნავიდან იძახდნენ. ძახილზე კოტე გამოეხმაურა; მუშაობას თავი ანება და ნაპირისაკენ გაემართა.

მამა განაგრძობდა მუშაობას. მას არ გამოუჩენია ცნობის მოყვარეობა. მოხუცი შეეჩვია — ბევრი რამ არ დაენახა, ბევრი რამ არ სცოდნოდა, რადგან გრძნობდა, რომ აქ იყო, რაღაც საიდუმლოება, რომელსაც შვილები, მამა იმედოვნებდა, არ დაუმალავდნენ საჭირო რომ ყოფილიყო.

კოტე დაბრუნდა უცნობი გლეხის თანხლებით. გლეხი იყო ხნიერი და რადგან ნავში იჯდა, უთუოდ მიტომ ფეხთ არაფერი ეცვა. იგი ათვალიერებდა ყანას. ყანა მას მოსწონებოდა და ეს მოწონება უსიტყვოდ გამოამჟღავნა; როდესაც სოლომონს მდაბლად მიესალმა:

— დილა მშვიდობისა, ჩემო ბატონო!

სოლომონმა უპასუხა:

— ღმერთმა გადღეგრძელოს, ჩემო ბატონო!

გლეხები ხშირად მოდიოდნენ ყანაში. ესენი იყვნენ კოტეს ნაცნობები და ყოველ მოსვლაზე, კოტე მათთან საიდუმლო ბჭობას მართავდა. მამა ამჩნევდა, რომ ამ ბჭობას განაგებდა თვით კოტე.

ერთჯერ, ბოლშევიკები ახალი შემოსული იყვნენ საქართველოში, კოტეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვდა ხნიერი ქართველი მუშა. ეს კაცი იყო წარმომადგენელი მუშათა პარტიის და სანაპირო ქალაქში ცნობილი იყო თავისი გონიერებით.

კოტეს იგი მოესალმა ძველი ნაცნობივით და მიუხედავად იმისა, რომ დარი იდგა კარგი და ასეთ დროს იწყებენ შორიდან და ახსენებენ დარსაც, ნაცვლად ამისა, მან პირდაპირ მოსჭრა:

— კოტე ფერეულო! მე თქვენთან საქმე მაქვს. ჩვენს ქვეყანას დღეს უჭირს! არ არის ბევრი ლაპარაკი საჭირო. ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას და შენც გამოგიარეთ. თუ რომ შემცდარი ვართ. გამოგვიცხადე!

კოტემ უპასუხა:

— არ შემცდარხართ!

ამის შემდეგ მოდიოდნენ გლეხები. რამდენჯერმე ახალგაზრდა გლეხებმა მამა და შვილს მუშაობაშიაც უშველეს და მაშინ, სოლომონმა თავისი თავი წარმოიდგინა დაბერებულ კაცად, ისეთად, როგორიც იგი ნამდვილად იყო სხვათა თვალში და მას იამა, რომ უფროსი ბიჭი მოესწრო და ყველაფერზე ზრუნავს.

გლეხი მალე წავიდა. წასვლის წინ გლეხმა კიდევ ჰკითხა კოტეს:

— მაშ თომას კარავში არა!

— ჰო, მაგრამ ფრთხილად თუ კაცი ხარ!

— კი შენი ჭირიმე.

ნავი სწრაფი სრბოლით აჰყვა მდინარეს; ნავს გადაჰქონდა ცოტაოდენი საომარი იარაღი: თოფები და ვაზნები.

ამის შემდეგ, მართალია კოტე განაგრძობდა დუმილს, მაგრამ ემჩნეოდა რაღაც მხიარულება. მან წამოიძახა:

— აბა, ბატონო სოლომონ!

ეს იყო ოჯახური გახუმრება, დადგენილი ჯერ კიდევ კოტეს ბავშვობის დროიდან და წარმოადგენდა სურვილს მამის გაჯავრებისა.

ამ გახუმრებაზე მამას მუდამ ეღიმებოდა და ეზლაც გაეღიმა. ცოტათი იყო დასანანი, რომ მამას არ შერჩა უპირატესობა ხუმრობისა თუ ლაპარაკის დაწყების და როცა ის ლაპარაკს იწყებდა ,მას ხშირად არ ეხმაურებოდნენ, მაგრამ „ჩემო ხელმწიფევ დროს ბასს შვრება!"

ამჟამად კოტეს წამოძახილი: აბა ბატონო სოლომონ! — იმას ნიშნავდა, რომ ყანას დღეს მორჩებოდნენ, დაძლეული იყო ამდენი სიძნელე და ამის შემდეგ, შეეძლოთ დამშვიდებით ეცადათ სანამ სიმინდი დამწიფდებოდა.

კოტე იცინოდა და გაშავებულ სახეზე სდიოდა ოფლი.

— ო შე ქაჯო, შეხედეთ ნეტავ რას გავს... — ბუტბუტებდა ამ დროს მამა. მამა ილიმოდა თავმომწონედ, რადგან იცოდა კოტეს მუშაობაში ვერ გაუმკლავდებოდა მიუხედავად იმისა, რომ ეს კოტე იყო ის ბავშვი, რომელიც ერთჯერ მამამ მოატყვილა.

ეს იყო ძველად. ბუხრის წინ, სადაც ცეცხლი ენთო, კოტე თამაშობდა.

მამამ სთხოვა:

— მომაწოდე შვილო ნაკვერცხალი!

ბავშვმა მაშა ვერ ნახა. მამამ გაახალისა:

— არ გცხვენია, ხელით მოიტა! — კოტე გაბრიყვდა; და მხოლოდ იმითი დაიწვა ბავშვური სათუთი ხელი, რომ თითები ნაკვერცხალთან ახლო მიიტანა. მაშინ პატარა კოტემ მამას შეჰხედა დიდი საყვედურითა და უნდობლობით და თუმცა თვალთ ცრემლები არ გაიმეტა. დედას ოთახისაკენ გაბაჯბაჯდა და რა დაინახა დედა, მხოლოდ მაშინ იწყო ტირილი. მამა ბავშვს დაედევნა:

— ბატონო კოტე, ბატონო კოტე!

თავს დასტრიალებდა მტირალ ბავშვს მამა, რომელსაც მართლა გული ეტკინა, ბავშვი იყო დედის კალთაში და რადგან მამა არ ეშვებოდა და უეჭველია (ბავშვს ასე ეგონა) დასცინოდა, ბავშვმა უეცრად მამას გაჯავრებით დაუყვირა:

— ბატონო სოლომონ!

ამისი დავიწყება ბატონმა სოლომონმა არ ისურვა. ის ხარხარებდა ვით გიჟი და ბავშვს ჰკოცნიდა. შემდეგ ნაცნობებს მოუთხრობდა და მაშინაც გიჟივით იცინოდა.

ბატონი სოლომონი და ბატონი კოტე, მუშაობით მდინარის პირად გავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ. მდინარეს მოჰქონდა ქაფი და მრავალი, კალიას დაგვარი მწერი, რომელთაც დაღლილობის გამო ფრენის უნარი წართმეოდათ და უმწეოდ ჰფარფატებდნენ და ცვიოდნენ მდინარეში. მათ ჰყლაპავდნენ ღლავები, რომელთა დაღებული, შავი და ლორწიანი ლაყუჩი აქა-იქ ჩნდებოდა მდინარის ზედაპირზე.

მდინარე იყო ბინძური და კოტე ფიქრობდა:

— შეუძლებელია დღეს ბანაობა, დაისვრები!

იგი ყოველ დღე ბანაობდა და მამა უცქეროდა ნაპირიდან.

მამა ჰფიქრობდა:

— აი, დგას ადამიანი ჰაერში დედამიწაზე დაბჯენილი და მიმოდის და ცხოვრობს; ღლავს ეს არ შეუძლია და საზოგადოდ განსაცვიფრებელია, რომ ადამიანს შეუქმნია მრავალი ისეთი მანქანა, რომელიც ძალ-ღონითაც აღემატება ადამიანს და გამძლეობითაც! — ასე გაიფიქრა სოლომონმა მაშინ, როდესაც მეორე ნაპირზე გამოჩნდა ტფილისის მატარებელი.

მატარებელი მოჰქროდა ნორჩ თხემლნარში, ქალაქს მოახლოვებული ჰკიოდა და კვამლი მანქანისა ეფინებოდა მიდამოს.

თუმცა ყოველივე ეს ჩვეულებრივი სანახაობა იყო, სოლომონს მოეჩვენა, თითქოს ყოფილიყო აღსავსე მშვენიერებით, რომელსაც პირველად ჰხვდებოდა.

ეს იყო განსაცვიფრებელი, რომ ყოველივეს პირველად ხედავდა! ასე ჯერ არასოდეს არ ეფიქრა და რადგან იგი, არავის წინაშე არ იყო ვალდებული თავის ფიქრებში ყოფილიყო მწყობრი, ამიტომ მან გააგრძელა ფიქრი იმ მშვენიერებათა შესახებ, რომელთა შორის იგი ტრიალებდა, რომელთა აზრს, დღეს თავისებურად სწვდებოდა და მარტავდა, თუმცა სიტყვით გადმოცემულნი ხდებოდნენ სასაცილონი, როგორც მაგალითად: დედამიწაზე დაბჯენილი ადამიანი ,რომელიც დგას ჰაერში!

კოტე გამოეხმაურა, მაგრამ:

— უთუოდ ლევანი გეკითხება, მამა!

სოლომონ ფერეული იყო განცვიფრებული და მოხიბლული.

12

ბადრიძეების ნახვით აღელვებული ლევანი დაბრუნდა სადგურში. სადგურს ეხვია დილის ნისლი, ყველაფერი მოწყენილი, ღარიბი, ხალხი, რომელიც უმთავრესად შემოსილი იყო ძველი და დახეული მხედრული სამოსით, ჰგავდა ლტოლვილს.

მზე ამოვიდა და მატარებელი დაიძრა.

რონოდაში ხალხი ნაკლები იყო. ლევანი იჯდა და სთვლემდა; ნამდვილად კი, სმენად ქცეული, მილულული თვალებით გასცქეროდა შემოსასვლელ კარებს, საიდანაც შესაძლებელი იყო შემოსულიყვნენ ჩეკის მოხელენი, რომელნიც ხშირად სჩხრეკდნენ მგზავრებს. ლევანმა არ იცოდა როგორ მოიქცეოდა ჩხრეკა რომ მომხდარიყო, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ მგზავრებს წინასწარ ვინმე გააფრთხილებდა და გადასწყვეტდა მაშინ.

ჩხრეკა არ მომხდარა და დილის ათზე, ტფილისის მატარებელი მოვიდა სანაპირო ქალაქის სადგურში.

სადგური იყო უხმაურო. ლევანმა რონოდაში შეიცადა სანამ მგზავრები მატარებლიდან დაეშვებოდნენ; საეჭვო არაფერი სჩანდა; სამიოდე ჩეკის მოხელემ, რომელნიც უთუოდ ამავე მატარებლით მოვიდნენ, ჩქარი ნაბიჯით ჩაიარეს ბაქანი; არაჩვეულებრივი ამაში არაფერი იყო, რადგან ისინი ყოველ მატარებელს დაჰყვებოდნენ და ყოველ სადგურზე ჰქონდათ თავისი განყოფილება. ჩაიარა, თავისი ალმა-დალმა სიარულით გოგია კოკოსაძემაც და ლევანი დაეშვა დაბლა. ლევანს ხელთ ეჭირა კალათი, რომელსაც იგი ცდილობდა და კიდეც ატარებდა მსუბუქად. კალათში ორად შეხვეული ეწყო ასოები, დაახლოებით ოცდახუთი კილოგრამი, ხოლო ზევიდან ყურთ-ბალიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზავრებთან ერთად ლევანმა გაიარა ხიდი. ხალხი შეჰყურებდა ადიდებულ მდინარეს. ხიდი არ ჰქონდა გავლილი ლევანს, რომ შენიშნა სადგურიდან მომავალი ორი ჩეკისტი. არც ეს იყო არაჩვეულებრივი, მაგრამ ლევანმა ოდნავ აუჩქარა. შესახვევს რა მიეფარა, ლევანი წავიდა სწრაფად და რა მოიხედა, თითქოს შემთხვევით, აღმოჩნდა, რომ ის არ იყო იმდენად დაწინაურებული ჩეკისტებისაგან, როგორც უნდა ყოფილიყო. მაშასადამე მოსდევდნენ! შესაძლებელია არც მოსდევდნენ, არამედ ეს ყოფილიყო უბრალო შემთხვევა, მაგრამ ახალგაზრდა კაცს მართებდა სიფრთხილე.

ამის შემდეგ ის მიდიოდა ისე, როგორც ადამიანი, რომელიც სახლში მიიჩქარის. პაპიროსიც მოსწია გზაზე და როდესაც ასანთს გაჰკრა, ოდნავ შესდგა, რათა მისი მოქმედება ყოფილიყო აუღელვებელი და არა საეჭვო.

ქალაქში გავიდნენ. ქუჩები იყო ცარიელი. ჩეკისტები ისევ მოდიოდნენ; ისინი მოაბიჯებდნენ მდუმარედ და უთუოდ იცოდნენ, რა უნდა ექნათ.

ლევანმა მათი განზრახვა არ იცოდა. დარწმუნებული რომ ყოფილიყო მას მოსდევენ, ლევანი რომელიმე ოჯახში შევიდოდა, თუნდაც უცნობი ყოფილიყო იგი და ასოების დამალვას მოასწრებდა. მაგრამ ტყუილ-უბრალოდ მღელვარების გამოჩენა არ ვარგოდა.

ამრიგად ლევანი მიუახლოვდა ქალაქის ხეივანს, სადაც ყოფილ სავაჭროებში თავსდებოდა სხვა-დასხვა დაწესებულებანი და მათ შორის აგიტ-პროპი. აგიტ-პროპის მოგონებაზე ლევანი სიხარულით კინაღამ შეხტა. მას დაებადა აზრი და ამის შემდეგ, მანაც იცოდა რა უნდა ექნა.

ლევანი აგიტ-პროპის განყოფილებაში შევიდა. ფართე დარბაზში, სამი ახალგაზრდა კაცი ფუსფუსებდა; მათ განაგებდა ვანო უთნელიძე. ახალგაზრდებს იატაკზე გაეფინათ ვეებერთელა ქაღალდი, სადაც ნახშირით დაეწერათ სურათის გეგმა. მათ ყალმები ეჭირათ და სურათს ფერადებით ასრულებდნენ.

ლევანმა თვალი მოჰკრა სურათზე ვაკლესიის გუმბათს, რომელსაც ჯვარი ჰქონდა მოტეხილი; აღნიშნა აგრეთვე ლევანმა რამდენიმე სათლი, სხვ-დასხვა ფერის საღებავით სავსე. ყმაწვილებმა რა ლევანი დაინახეს, მუშაობას თავი ანებეს და მხიარული გაკვირვებით წამოიშალნენ. მაგრამ ლევანმა ანიშნა ჩუმად ყოფილიყვნენ; მან სასწრაფოდ გახსნა კალათი, ორი, ქაღალდში შეხვეული რაღაც ამოიღო და ერთი, ერთს სათლში ჩასძირა, მეორე მეორეში. ჩეკისტები მოვიდნენ. როდესაც ისინი კარებში გამოჩნდნენ, საქმე გათავებული იყო და ლევანი მხატვრებს ხელს ართმევდა და სიცილით ამბობდა:

— გამარჯვებათ თქვენი ბიჭებო, გამარჯვებათ!

ჩეკისტებმა ჯერ იქაურობას მოავლეს თვალი, შემდეგ ერთმა მიმართა ლევანს:

— წამოდი ჩვენთან ამხანაგო!

ლევანი გაკვირდა:

— მე-ე? კეთილი, მაგრამ თქვენ უთუოდ ცდებით; მე მქვია ლევან ფერეული, თქვენ ვის ეძებთ?!

საუბარი სწარმოებდა რუსულად. ლევანს უპასუხეს მკაცრად:

— არ არის საჭირო დროს დაკარგვა ამხანაგო. წამოდით!

წავიდნენ. თან წაიღეს კალათი. მხატვრები ჩუმად იცინოდნენ. ვანომ იხუმრა:

— ბიჭებო, ნამდვილად ყუმბარებია! არ აგვაფეთქოს მაგ ოხერმა ლევან ფერეულმა.

13

საგანგებო კომისია თავსდებოდა ძველსა და ვეებერთელა, ორსართულიან ხის შენობაში. შენობა იყო ჩამორთმეული; უმხიარულო, დაღვრემილი შენობა.

ჩეკისტებმა ლევანი ჯერ პაწია საგუშაგოში დასტოვეს, შემდეგ ეზოში გაიყვანეს და საკანში მოათავსეს.

— დაისვენეთ ამხანაგო ფერეულო!

— სთქვა ჩეკისტმა, რა ლევანმა საკანში ფეხი შესდგა.

ლევანი აენთო, დაიყვირა: ბრიყვო! კარები გადარაზეს და ლევანს ესმოდა, როგორ გაშორდა იქაურობას ჩეკის მოხელე და როგორ მიმოდიოდა ამის შემდეგ გუშაგი. მეტისმეტად ვიწრო საკანი, სადაც ლევანი მოექცა, უთუოდ ერთი კაცისათვის იყო გათვალისწინებული. შიგ ბნელოდა. მხოლოდ მაღლიდან, სადაც სარკმელზე აეჭედებიათ ფიცრები, ჭუჭრუტანიდან ოდნავ აღწევდა ცოტაოდენი სინათლე. დასაჯდომი არ იყო და ლევანი იტაკზე დაჯდა.

ყველაფერი ეს იყო უჩვეულო.

ახალგაზრდა ფერეულმა მუხლებზე ხელები შემოიჭდო. მალე თვალები სიბნელეს შეეჩვიენ, ლევანი მხარ-თეძოზე წამოწვა და ახალგაზრდა კაცს დაუბრუნდა ჩვეულებრივი განწყობილება; მალე იგი სრულიად გამხიარულდა, იცინოდა, ფეხზე წამოდგა და ისევ დაჯდა: მას ბევრი რამ აგონდებოდა და ერთსა და იმავე დროს, სხვა-დასხვა ნაირად აღელვებდა:

— თუ ერთობ ღმერთი არ გასწყრა, ასოები გადარჩენილია და იმ ასოებს ღმერთმა გაუმარჯოს! მაგრამ კაცი რომ ავკაცობას ჩაიდენ და ბაღში მოქალაქეს გასძარცვავ, ტყუილია, არ შეგრჩება და სხვაგან გამოგიწევს! — ლევანი ამაზე იცინოდა.

ლევანი ცდილობდა წარმოედგინა, თუ ვინ როგორ შეხვდებოდა მისი დაჭერის ამბავს: ასეთი წარმოდგენა იყო სასიხარულო და ტკბილი;

მამა — ჯერ უთუოდ ხელებს გაშლიდა და განრისხების წინ, გაუგებრობაში მყოფი ასე დაიწყებდა:

— მაგრამ ჩემო ხელმწიფევ, რისთვის...

ნათლად სჩანდნენ მანანასი და ბიცოლა ნინოს სახეებიც; შესაძლებელია ანიკოსაც გაეგო და ყმაწვილ კაცს წარმოუდგა მშვენიერებითა და მწუხარებით აღსავსე ჭაბუკი ქალი, მხოლოდ ლევანმა ვერ მიაგნო, ... ეს ... და:

ასეთ ფიქრებში გართულ ლევანს მოესმა კედელზე კაკუნი და ჩურჩული:

— ვინა ხარ კაცო, მარტო ხარ!?

უეჭველია ლევანს გამოელაპარაკნენ და მან უპასუხა: — ლევან ფერეული. ვარ მარტო.

ხმა კარგად ისმოდა, რადგან მეორე მხრივ, საერთო საკნის ტუსაღებს კედელი გამოეხვრიტათ.

— რა საქმეზე დაგიჭირეს!

ლევანმა უპასუხა: კაცი გავძარცვე! — და დაიწყო სიცილი. საერთო საკანში ეს ჩასთვალეს ხუმრობად და გაიცინეს.

ეს საერთო საკანი უმთავრესად შესდგება 26 მაისის ტუსაღებისაგან.

26 მაისი, დღე საქართველოს დამოუკიდებლობისა, მთავრობამ იდღესასწაულა, მხოლოდ მიტინგი ხელთ — ჩაიგდო ისეთმა ხალხმა, რომელმაც მთავრობას შეუტია:

— მოღალატენი! დამპყრობნი! გამცემნი!!

მაშინ მთავრობამ მოინდომა მიტინგის დაშლა; ხალხი არ დაიშალა. ჩაერია ჯარი, გაიმართა ცემა-ტყეპა, მიტინგი დაშალეს და მრავალი დაატუსაღეს.

— ყოჩაღად იყავ ფერეულო!

გაამხნევა საერთო საკანმა ლევანი. მალე საკანმა სიმღერა წამოიწყო: „ბერი კაცი ვარ ნუ მომკლავ...“

სიმღერამ ლევანი უფრო ააღელვა. შესაძლებელია ამ სიმღერით, ტუსაღები ლევანისადმი პატივისცემას გამოჰხატავდნენ, რადგან განსაკუთრებულ საკანში კაცი უბრალოდ არ მიჰყავთ, ხოლო როდესაც მიჰყავთ უბრალო ტუსაღები მას პატივსა სცემენ. კრინით დაწყებული სიმღერა მალე გაძლიერდა და მაღლიდან მოისმა იატაკზე განრისხებული ფეხის ცემა. ვიღაც გაჯავრებული, ხმამაღლა ლაპარაკით, უთუოდ ლანძღვით დაბლა ჩამოვიდა (იგი ჩამორბოდა ხის კიბეზე) და საერთო საკნის კარები გაიღო:

— ვინ მღეროდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერა შესწყდა. გაჯავრებულ ხმას, ვილაცამ დამშვიდებით მიუგო, რომ არავინ არ მღეროდა და მღეროდა ყველა.

მეორე ხმამ იმავე კილოთი გააგრძელა:

— და თუ სიმღერას აგვიკრძალავთ, უთხარით მოქალაქე თავაძეს, რომ ჩვენც აუკრძალავთ მას სიმღერას, როდესაც ის გვეყოლება დატუსაღებული!

ლევანს სიცილი წასკდა; მხოლოდ საერთო საკანმა დაიმსახურა რისხვა; ჩეკის მოხელემ დაიწყო გინება და ტუსაღებს დაემუქრა:

— „კარგი! დღეს და ხვალ თქვენ არ გექნებათ „გადაცემა", აბა ვნახოთ როგორ იმღერებთ! — ეს სასჯელი საგრძნობი იყო, მაგრამ საერთო საკანმა, სადაც უმრავლესობა, როგორც ხმებზე ეტყობოდათ ახალგაზრდები იყვნენ — ასტეხა ხარხარი.

14

ნაშუადღევის სამზე, ვანო უთნელიძემ და მისმა სამმა თანაშემწემ, დასრულებული პლაკატი ქუჩაში გამოსაფენად გამოიტანეს.

პლაკატი წარწერით: ახალგაზრდათა კომ-კავშირი აფეთქებს ღმერთს! შესრულებული იყო ფერადებით, სადაც სჭარბობდა შავი.

ხეივანში მყოფი ხალხი, გულგრილად შეჰყურებდა შორიდან, ახალგაზრდა მხატვრების ფუსფუსს. არავის არ ჰგვრიდა სიამოვნებას ასეთ რამების ხილვა, მაგრამ ხალხის თავდაჰერაში მეღავნდებოდა წინასწარი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა დაენახა გინდ მოესმინა, თავი არ გამოეჩინა, რადგან ყოველივე რაც ხდებოდა იყო წარმავალი.

მხოლოდ ერთმა ხნე-კაცმა საყვედური სთქვა:

— რა მართლა! თუ კი ეს აუცილებელია, განა რუსეთმა უნდა მასწავლოს აგი!? ხნე-კაცი არავის არ მიმართავდა, მან გული იჯერა.

ვანო უთნელიძის ჯგუფს „წყალქვეშამ" ჩაუარა; წელში ძლიერ მოხრილი იგი უთუოდ მიდიოდა სათევზაოდ; ბამბუკის ტარებზე გაწყობილი ანკესები, იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი. სურათს მან ცალი თვალით აჰხედა, ფეხი შეითრია, რათა ჩიბუხი აებოლებია და წავიდა.

სურათი გააკრეს. რამდენიმე ხანში, ორ ამხანაგის თანხლებით, ვანო შინისაკენ მიდიოდა. ახალგაზრდებს, მცველად დახვეული სამხატვრო ქაღალდები მიჰქონდათ, ხოლო ქაღალდში ედოთ ის რაღაც მძიმე, ლევანმა რომ დასტოვა.

ვანო უთნელიძის მშობლები სადილობდნენ.

ვანოს სკამზე იჯდა გელეშა. მურზა უთნელიძეს ეს არ მოსწონდა და საზოგადოდ მას ჰსურდა, ვანო გამოსულიყო დარბაისელი და დარდიმანდი კაცი და არა ისეთი, როგორიც ის უთუოდ გამოვიდოდა თუ ასე ივლიდა.

ერთი რომ, მუშაობის დროს ვანომ იცოდა დაუსრულებელი სტვენა და ხშირად, როდესაც მარტო იყო, თავისთავს ულიმოდა; როგორც სჩანს ბავშვს, ე. ი. ვანოს გულადობა არ აკლდა: იომა და დაიჭრა, მაგრამ ამ ბოლშევიკებთან დამეგობრება და მათთან სამსახური ვერაფერი სახარბიელო იყო; მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ მურზას არავისთვის არ შეეძლო ამ თავისი იჭვების გაზიარება.

მამასა და შვილს შორის დამკვიდრებულიყო მორიდება და პატივისცემა, ხოლო დედას ვანო ისე უყვარდა, რომ ვერ წარმოედგინა იგი სხვა-გვარად ვიდრე იყო. ამის გამო, მურზა ნელი ამოოხვრით ჰფიქრობდა:

„ასეა ბატონო, გვგონია შვილს ზრდი, საკუთარ ბავშვს... და გამოდის სხვა კაცი".

გელეში აყეფდა და სკამიდან ისკუპა. ვანო მოდიოდა ამხანაგების თანხლებით.

— უიმე, რაღა ვაჭამოთ ბავშვებს! — წამოიძახა დედამ. მამამ სთქვა:

— რაც ღმერთმა მოგვცა.

დაუწყეს ლოდინი. ახალგაზრდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგვიანებდნენ; ბოლოს მშობლებმა დაინახეს, რომ ისინი ისევ უკან მიდიოდნენ და დედა მათ დაედევნა.

დედას ვერ წარმოედგინა: კაცი სახლში მიხვიდე და უსადილ-ოდ ბრუნდებოდე! თავის მხრივ, ვერც ვანოს წარმოედგინა, თუ როგორ შეიძლებოდა სადილზე ფიქრი ასეთ დროს, როდესაც საკეთებელი იყო ამდენი საქმე.

— მე არ მინდა სადილი — სთქვა ვანომ — თუ ყმაწვილებს სურთ, ისინი ისადილებენ.

ვანო წავიდა. ამხანაგებიც წავიდნენ. დედას ეს ისე ეწყინა, რომ მხოლოდ შემდეგ მოაგონდა, თუ როგორ დაავიწყდა, ვანოს ამხანაგებისათვის მაინც ეთხოვა სადილად დარჩენა.

15

ვანო მიდიოდა ლევან ფერეულის სახლში.

ნაწვიმარზე, მეტად ცხელოდა და ახალგაზრდა კაცი ცდილობდა ჩრდილში ევლო, თუმცა ის იმდენად აგზნებული იყო, რომ მხოლოდ დრო-გამოშვებით ჰგრძნობდა შუადღის მხურვალებას, ჩრდილსა, თუ სუნნელებას აყვავებულ ხეებისა, რომელნიც ეზოებში გაშლილნი, ფილაქანსაც ეფინებოდნენ;

ყმაწვილი კაცის წარმოდგენით ყველაფერი უნდა მომხდარიყო მარტივად: ის მივიდოდა სოლომონისას და იკითხავდა მანანას. ვანო და მანანა მესამე დღეა ერთი-მეორეს ემდურიდნენ და მანანა, უეჭველია მედიდურად თუ არა, გაკვირვებით მაინც შეეგებებოდა ვანოს; მაშინ ვანო იტყოდა: „ჩემო ბატონო, საქმეა ასე და ასე...“ მანანას თავზარი დაეცემოდა და უთუოდ წამოიძახებდა: ვანოს სწადდა სწორედ ასე წამოეძახა მანანას: ვანო გენაცვალე!

დამდურების დღეს, იგი ეუბნებოდა მანანას:

— მანანა, ჩემო მანანა! შენ ისე იცინი თითქოს ვხედავდე აყვავებულ ატმის ხეს, რომელიც გაზაფხულზე აყვავებულა და ყვავილებს არხევს ქარი!

მანანა, როგორც სახეზე ეტყობოდა, გულში ფიქრობდა: გაბარეული!, ხოლოდ ჰფიქრობდა მფარველობითა და მზრუნველობით, აგრეთვე იცინოდა:

— ღმერთო, საიდან მოსძებნით მუდამ ისეთ ხეებს, რომელნიც უსათუოდ აყვავებულია!

ისინი ხშირად აზრს გამოხატავდნენ არა სრულიად, არამედ დაახლოებით.

მაგალითად მანანამ სთქვა:

— რა უწეს-რიგოდ მღერი?!

ვანომ უპასუხა:

— მე ასე მიყვარს წარმოიდგინე.

ასეთი დაახლოებითი ლაპარაკი, ვანომ მანანას შენიშნა და მოეწონა.

— აი, აქ შევიდეთ, საკმაოდ ჰყვავა!

ბაღში, სადაც ისინი შევიდნენ, მუქმწვანე მაგნოლიის ფოთლებში ჰყვაოდნენ ვეება თეთრი ყვავილები, რომელნიც გამოსცემდნენ მძაფრ სუნნელებას.

— ასე მგონია — ამბობდა ვანო — ეს არის არა მარტო სუნნელება, არამედ სუნნელება, რომელიც ჰყვირის; აგრეთვე ჩემი აზრით, ფოთლები ისეთი მაგარი ფერისაა, რომ ადამიანს პირდაპირ ეხებიან! ხოლო ყვავილები, ისეა გაშლილი ვით სულგრძელობანი.

ასეთ ლაყბობაში იყო რაღაც ძალდაუტანელი მშვენიერება, რაღაც აღტაცება და ყოველივე, მანანას მიზეზით. მანანა ამას გრძნობდა.

როდესაც ქალაქის საათმა სამის ნახევარი დარეკა, ისინი მდინარის პირად სეირნობდნენ, მანანა სახლში უნდა წასულიყო და ვანოს მან ხელი გაუწოდა.

— დარჩი! — სთხოვა ვანომ.

მანანამ გააჯავრა: დარჩი მანანა!

კარგად ესმოდა ვანოს, რომ მას არ დასცინოდნენ და არა ამ მიზეზით აღელდა იგი და მგზნებარემ, იწყო სამდურავების ლაპარაკი:

— უნდა წახვიდე! სადილი დაგიგვიანდება და ასეთი მსხვერპლი მე არ დამიმსახურებია! რა თქმა უნდა, გიცდიან! ეს ქალაქის საათიც სტყუის. აი, თუ არ გჯერა. ნახე...!?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანომ ხალათის გულ-ჯიბიდან მაჯის პატარა საათი ამოიღო. მანანას ჯერ თავ-დაუჭერელი სიცილი წასკდა, შემდეგ ოდნავ შეკრთომა დაეტყო, ხოლო როდესაც მან, ვანოსთან ერთად საათს დაჰხედა და აღმოჩნდა სამის ნახევარი და ამით გაჯავრებულმა ვანომ საათი მოიქნია და მდინარეში გადაისროლა, მანანამ ხმა გაკმიდა.

— რატომ ეს — ერთი წამოიძახა.

პირველად მანანას ძლიერ ეწყინა, მაგრამ იმავ წუთში, იგი მოიცვა ისეთმა სიხარულმა და სიტკბოებამ, რომლის მზგავსი ჯერ არ განეცადა და რომელიც, ალღო აიძულებდა, არ უნდა გამოემჟღავნებია.

ვანო იდგა დაბნეული; სახეზე გაწითლებულიყო. ლოყაზე აჩნდა ხალი.

მანანა, ეს მდიდრული ქალწული უხმოდ შემობრუნდა და წავიდა. ესე იგი არ ჰსურდა მანანას; მანანას ჰსურდა რაღაც სხვა: ჰსურდა მიჰფერებოდა ვანოს, ლოყაზე ხალს ალერსით შეჰხებოდა და ყველაფერი რაც ჰსურდა, იყო გაურკვეველი ვით სიზმარი.

— ნეტავ, ძალიან დავაშავე? — ტანჯვით ფიქრობდა ვანო.

გულმა გამალებით იწყო ძგერა, რა ვანო მიუახლოვდა სოლომონ ფერეულის სახლს. იგი შორიდანვე თვალებით დაეძებდა მანანას, მაგრამ ეზოს კარები ისე შეაღო რომ არავინ დაუნახავს.

მოისმა ბიცოლა ნინოს ხმა მაღალი ლაპარაკი; ალბათ ბავშვებს სტუქსავდა და ვანომ დაინახა ონისიმე ფერეულის მეუღლე ედუ. ედუმაც დაინახა ვანო და გაჰკვირდა. ვანოსა და მანანას მეგობრობა, ქალაქში, ახლობელთა შორის ცნობილი იყო და ამ მეგობრობას შეჰყურებდნენ მფარველობით. როგორც ბავშვების ურთ-ერთით გატაცებას. ამ მფარველობას ვანოც გრძნობდა; გარდა ამისა იგი კარგად იცნობდა ონისიმეს მეუღლეს, მაგრამ იმდენად მოულოდნელი იყო იმისი შეხვედრა (ხანა დარწმუნებული იყო მანანასა შესახებ ბოდა!) რომ ვანო, რა მანდილოსანს მიესალმა, დაბნეული შესდგა და ხმას არ იღებდა. შემდეგ ერთბაშად დაიწყო მობოდიშება, მაგრამ ისეთი თავგამოდებით, რომ აღემატებოდა თავაზიანობას:

— უკაცრავათ ვარ, ბოდიშს ვითხოვ, გთხოვთ მაპატიოთ...!

იმავ წუთში, ეზოს სიღრმეში გამოჩნდნენ ედუს ბავშვები ლალო და თინა. ისინი, თითქმის შიშველნი გაურბოდნენ ბიცოლა ნინოს, რომელიც მოჰყვიროდა:

— დამიჭირეთ ვინმემ ეს მოჯალაბენი, არ გაუშვათ! არ გაუშვათ!

ბიცოლა ნინოს ხელთ ეჭირა პირსახოცი და ბავშვები, თავზარდაცემულნი ჰკიოდნენ ბედნიერებით ალსავსენი მითი, რომ ბიცოლას გაექცნენ და დედა დაინახეს. გამოჩნდა მანანაც. ვანოს დანახვით გაკვირვებული, იგი შესდგა და მხოლოდ შემდეგ სახე გაუბრწყინდა და დაიწყო ღიმილი. ვანომ ეს დაინახა და იგი მოიცვა სიხარულმა.

ბიცოლა ნინომაც დაინახა სტუმარი და სახლში მიიწვია:

— მობრძანდი შვილო სახლში.

ბავშვები დედას მოეხვიენ. ისინი სასაცილოდ მოთხვრილიყვნენ და თინა ელუღლუღებოდა დედას: დედა, უთხარი დიდედას, პირსახოცი თავზე არ წამიჯიკავოს...

ვანო გამხნევდა; არც გრძნობდა თუ გამხნევდა, მხოლოდ თავისუფლად, ვით მამაკაცი ქალებში. მიდიოდა მათთან ერთად და შესაფერისად აღელვებული, მოუთხრობდა ლევანის დატუსაღების ამბავს, არაფერი უთქვამს სტამბისა.

ქალები შფოთავდნენ. ნინომ დაიწყო მათი წყევა, ვინაც ქვეყანა არია. ასეთი შფოთვით, ქალებმა მოამზადეს ლევანის გადასაცემად სადილი, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც წაიღეს მანანამ და ვანომ.

— მანანა, მანანა! ჩემო ძვირფასო მანანა!

ვანოს ისეთი ხმა ჰქონდა, ვით მთვრალს. რამდენჯერმე მანანამ, დაბლიდან, ცალი თვალით აჰხედა ვანოს; ასეთი ცქერით, ოდეს იგი იღიმოდა აგრეთვე, მანანა ვანოს ანიჭებდა უპირატესობას.

— მემდური? — ისევ მთვრალი ხმით იკითხა ვანომ. მანანამ მას თვალი გაუსწორა და გაიღიმა. იმდენი თავ-ბრუ დამხვევი სიტკბოება ჰპოვა ყმაწვილმა კაცმა ამ ღიმილიში, რომ სწორედ ჰღირდა ამისათვის ტანჯვა, ამ სამი დღის დამდურების განმავლობაში.

ჩეკაში სადილი მიიღეს.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა ჩიტიშვილი

დარდად გამყვება

შენ — მუხა,
ჩვენ ვართ ტოტები,
მომხდურს გარიდებთ გესლიანს,
ჩვენ უნდა ქარმა გვამტვრიოს,
შენ უნდა დარჩე, წესია.
ალგეთს გეზრდება ლეკვები,
ორბობენ შენი ბარტყებიც,
მოვკვდები, დარდად გამყვება, —
გატკენ, როს ჩამოგატყდები.

საღამოობით

სივრცეს გასწვივის
დაცალებული გედი,
მოდის საღამო
სატევარივით ცივად...
რა უმწეო ხარ
საღამოობით, დედი,
საქმეს მოილევ,
პირუტყვს მიუყრი თივას.
ცეცხლთან გაღეჭავ
სულ ორიოდე ლუკმას,
მაწონს მოიდგამ
პირმომტვრეული ჭიქით,
და ბზუის ჯარა
შუალამეთა უკან
და გორგალივით
მძიმედ ეხვევა ფიქრი.
ჩუმად ჩურჩულებს
ძველ კრამიტებზე წვიმა,
რა თავგანწირვით
სწიე ცხოვრების ღვედი,
ერთად გიხსენეთ
იმ დღეს სამივე შვილმა
და ჩამომჯდარი
ვერ გაგიხსენეთ, დედი.
დღისით ყოველი
ითხოვს მზრუნველს და პატრონს,
შენც ალმა-დალმა
დახვალ ღამისფერ თავშლით,
ჩამობინდდება,
ცეცხლთან მიჯდები მარტო
და დარდიანად
მკლავებს კალთაში ჩაშლი.
რა უმწეო ხარ,
საღამოობით, დედი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალავანს ვივლეგ

ლექსებს კი არ ვწერ,
თითქოს მაღალ გალავანს ვივლებ,
რომ სხვათა მზერას,
უცხოთა თვალს გარიდებულმა
სიცილ-ხარხარით
მალაყი კი არ ვჭიმო თოკზე,
ჩუმი წკმუტუნით
ჭრილობები ვილოკო, ანდა
მრავალძარღვა და ჭინჭრის დედა
დავიდო წყლულზე.

ჯვრის ულელტეხილზე

ძირს ნახატივით
    დავტოვეთ მლეთა,
მყინვარი —
    ხევში ჩამდნარი ვერცხლი...
წყაროსთან
    თავშლით შებუდნულ ქალებს,
მთიულის ქალებს
    უნთიათ ცეცხლი.

და თოვლი,
    როგორც თეთრი ქალწული,
წევს შორიახლოს,
    უცხოდ და ურჩად,
და მყინვარწვერი —
    ქათქათა ძუძუ,
ნისლის უნაზეს
    პერანგში უჩანს.

სატევარივით წარსული ელავს

მეც, როგორც მრავალს,
მიწვიმს და მითოვს,
ქარს მიაქვს რტო და
სიმწვანე ფოთლის...
ხანდახან განა
სიმღერა თვითონ,
მარტო სიმღერის
სურვილიც მყოფნის.

სიზმრებში ჯერაც
სხვა ცეცხლით ვღელავ,
დღე ყურს ვარიდებ
ნიავის ლიკლიკს,
სატევარივით
წარსული ელავს.
სატევარივით
მპირდება სიკვდილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიგი სულაკაური

ნაპრალი

რადგან
მისალმება და დამშვიდობება
უკვე დიდი პროგრესია,
ამიტომ
ჩემო ძველო ნაცნობო
მოდი მანამდე დავიშალოთ
ვიდრე ორივეს
გაუცხოვების
არნახული გრძნობა შეგვიპყრობს.
აბა რაზე ვილაპარაკოთ...
(ორივე უკვე გონიერი,
გამოცდილი,
სევდაგაუმტარი არსებები ვართ.
თან ამ ობობა-მეხსიერებას
კარგად ახსოვს —
ჩვენი ბებრული სიყვარული
თავის მღელვარე წარსულით
და უფრო მძაფრი მომავალით
აღარ არსებობს —
ისე სწრაფად გადმოიღვარა
რომელიღაც ესთეტური ნაპრალიდან
და ისე სწრაფად შეისრუტა
ტანჯულმა მიწამ,
რომ ამ ნაპრალის
მოკუმვაც კი ვერ მოვასწარით...)
ჩვენს დასაწყისს უკეთესი ჰქონდა
ნიშნები,
მაგრამ
მშვიდობით,
ჩემო კარგო ნაცნობო!
ვემშვიდობები
შენს გამოუსწორებელ ღიმილს.
ვემშვიდობები
და არა მშურს შენი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზისავარ თურმანაული

პირიმზე

პირიმზედ დაბადებულსა
ამისხავ ნათლის ტანიო,
ფესვით კლდეს ჩაკიდებულსა
მლოკავს სულეთის წყალიო,
ისევ პირაღმე მაბრუნებს
დაბლით ნაბერი ქარიო.
წუთისოფლისა წისქვილზე
ვიფქვები ბროლის კანიო,
ბროწეულისა ბარძიმსა
მზის მიდგას პირსაბანიო,
შავსევდის ცოხედ დავმჯდარვარ,
ზედ მიბავ ცეცხლის კარიო,
იმ კარის შემომღებელი
უშენო არვინ არიო,
სანთელო სახატობოო,
კაი ყმად შეგიცანიო,
ჩემ ცრემლზემც ჩამაიშლება
შენი ამბორის ბანიო.
ჩაშლილი ქვეყნის წყლულშია,
წუთისოფლისა მარილო,
უშენოდ ჩემი სიცოცხლე
წყვდიადის კალო არიო,
დელგმისა მიგავ ლოგინი,
მხრიან ცრემლისა ცანიო,
შენი და ჩემი სიშორე
ჯავრის ბეღელად მდგარიო,
უფლისა დაკურთხებული,
ძირი აქვს შეუძრავიო,
სხივიც ვერ ჩაპარება
ისე ნაგები არიო.

თოვლი ყვავილობისჟამს

შენ დამიჯერებ, განკრძალულო,
რომ სინათლისა და თოვლის განი,
შორია ფშავი...
რკალად ხრის ალბათ იქ ხეხილის
წყნარ ყვავილობას
თოვლი უგრილეს და კეთილ რისხვით,
შორია ფშავი.
შორია ფშავი
თვალთა ჩვენთა დიდი მფარველი,
ხოლო სულთათვის წმინდა და ზენა
მოძრაობის
მომნიჭებელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარული

გ. მ-ს

დაჩქარებულო თაფლის სანთელო,
უახლოესი შენ მეყოლები,
შენ, ვინაც ვიცი აროდეს მეტყვი,
რომ ჯვარს გაგიკრეს ყოფნა ნათელი;
შენ, ვინაც ვიცი, აროდეს მეტყვი,
რომ ბნელისაგან ნათლის დამბსნელნი,
სანთლების უთბეს ქუთუთოთა ქვეშ
გაგისათუთდნენ ლოცვებიც, წლებიც...
დაჩოქებულო თაფლის სანთელო,
ჩვენი გამოხსნის მე ვარ მხილველი.

საყდარი

შენ ხარ საყდარი მტრედებით სავსე
თოვლიან მთაზე დაყუდებული,
შენ ხარ სადგური სასოებისა,
ქამში დახრილი და დაწვენილი;
ნათლით განბანილ ხელისგულებით,
ჩამოქნილი ხარ საყდარი სრული,
ეს შენ ხარ, გრილთა ჰაერთა შინა,
შვება, ჩემს სულზედ გარდამოსული.

დაგვადეგა

შენ ამომივსე მაჯები სველი
სანთლების ჩქამით — მყავ სულიერი..
შემმოსე შობით და სასოებით
უსრულ ქამთაგან გამოღწეული.
შენ გარდააცვი საუკუნეებს,
ვით სამოსელი, ნათელი შენი, —
შენ დამაუნჯე ამ სიმყიფეში
სინათლის ჩქამით — მყავ სულიერი.

მიძინება

ვუძღვნი ჩემი პედაგოგის ქუქუნა ჯანიაშვილის ხსოვნას.

გადაივიწყეთ სუყველა წყენა,
დრო, — სივრცეებით დამძიმებული,
ღმერთს მიაბარეთ სხვა სინათლეში
თანამგრძნობელი და სათნო სული,
ვით მთვარით სავსე საყდრის სარკმლები
გულს დაიკრიფეთ ხელნი ნათელნი,
და ვანგვეშორეთ, გარდაისახეთ
ისე უნებურ, ისე დათმენით,
რომ ვეღარ გეტყვით, მწვერვალთა
შორის
ვით წვება ღვთიურ ქამების ჩრდილი,—
ვართ თქვენი წმინდა მჩუმარებისთვის
ჩვენც უხილავნი და გარდაცვლილნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თქვენს სასთუმალთან დამწიფდება თავთავი სანთლის —
წაგგვარათ ღმერთმა ქუთუთოთა აწევის ძალი,
ვერ შეძლებთ ხშირი დასიზმრებით მოსდრიკოთ ცანი,
ვერ დაიღლებით, ვერ შეიძლებთ მოგწყურდეთ წყალი.
თქვენ დაივიწყებთ, რომ ვღმერთდებით ყვავილობისჟამს,
თქვენი არყოფნა იციმციმებს უჟამო ჟამში, —
სანთლების ჩქამში იძირება თქვენი სხეული,
თქვენ მიიძინეთ, თქვენ ხართ გრილი და შეუძრავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

ნ ო ვ ე ლ ე ბ ი

ქირურგი

გუშინ ვიღაცამ მითხრა, მგონი შენ მითხარი, ორმოცი წელი თუ ქირურგად მუშაობ, ადამიანის ჭრა-კერვას და სიკვდილსაც კი, ალბათ, შეგუებული ხარ. კაცის იმქვეყნად წასვლას ისე განიცდი, როგორც ბოსტანში ხახვის მოთხრასო. მთელი ღამე ვფიქრობდი წუხელის ამაზე. პროფესიული მიჩვევა არსებობს, რასაკვირველია, ახლა სისხლის და ჩირქის დანახვაზე გული მიმდის მეთქი, რომ გითხრა, არ ვიქნები მართალი, მაგრამ სიკვდილის შეჩვევა არ არსებობს. ნამდვილი ექიმი სიკვდილს ვერასოდეს შეეგუება. არ დაიჯერებ და ახლაც ისე ვნერვიულობ ოპერაციის დაწყების წინ, როგორც მაშინ ვნერვიულობდი, პირველად რომ მანდეს დასტაქრის დანა. თუ ცოტა რთული ოპერაციაა, პირველ სამ დღეს მაინც ავადმყოფის პალატიდან არ გამოვდივარ. ჩვენი სტერილურობის გადამკიდე, რა ვიცი, რა მოხდება, ყოველ წუთს შეიძლება შეიცვალოს მდგომარეობა.

ხდება, როგორ არ ხდება, ხან საოპერაციო მაგიდაზეც კი რჩება ავადმყოფი. გული ვერ გაუძლებს, ან ისეა მოდებული ის უბედური სენი, რომ გაჭრა და ატმოსფეროს ჰაერთან რეაგირება კატასტროფულად აჩქარებს სიკვდილს. ხან, მტრისას და ავისას, სწრაფი პერიტონიტი ვითარდება და ვერ ვშველით. ყველაზე ძნელი მაგ დროს ავადმყოფის ჭირისუფალთან შეხვედრაა. როგორი სათქმელია „შემომაკვდა". შემოკვდომაა, აბა, რა არის. რა კარგადაც უნდა შეგხვდეს, რა შემზადებულიც უნდა იყოს წინასწარ მოსალოდნელი ცუდი შედეგისთვის, იგი მაინც იმედით შემოგყურებს, სიკვდილის კარზე მოდგომას ასე ადვილად ვერ იჯერებს გონება. და როცა გამოუცხადებ, გარდაიცვალაო, გულმოსულზე მეტი რჩება შენზე, მაინც ჰგონია, რომ რაღაც დააკელი, თორემ მის ახლობელს სასიკვდილო არაფერი სჭირდა.

ერთ ამბავს გიამბობ. ყველას ამას ვუყვები. ჩემთვის მაგალითად, შთამბეჭდავი კი არა, სულისშემძვრელი ამბავია. სხვამ, შეიძლება, გულგრილადაც კი მოისმინოს. სხვა სხვის ომშიო... ხომ გაგიგონია.

საგანგებო და რთული ოპერაცია რომ ყოფილიყო, ვინ მამაძაღლი გაიგიჟებდა თავს, ვეტყოდი წინასწარ ჭირისუფალს. ოფიციალურად აკრძალულია. მაგრამ ხელწერილსაც დავაწერინებდი. რა იყო სახელწერილო, სრულიად უბრალო ოპერაცია იყო: ბიჭს მაჯის ზემოთ, იდაყვთან, ხელი ჰქონდა მოტეხილი. ძვალი — დამსხვრეული. თორმეტი წლის ბავშვის ძვლების შეზრდა არაა პრობლემა. სურათმა ცოტა შეგვაფიქრიანა. პირდაპირ შეიძლებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაბაშირში ჩასმა, მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივა მეთქი და მშობლებს ვურჩიე: გავხსნით ხელს, ოპერაციას გავუკეთებ, ძვლებს თავის ადგილას ჩავალაგებ და ამით დამთავრდება ყველაფერი. ორ-სამ კვირაში თქვენი ბიჭი, ვითომც არაფერი. ისევ ისე ირბენს მეთქი. სულაკაძის ბიჭი იყო ავადმყოფი, კიტა სულაკაძე შეიძლება გაგიგონია, ჩვენს ქალაქში „ძველი ბიჭის" სახელი ჰქონდა. ორჯერ უკვე მოესწრო ჩაჯდომა ქურდობაზე და ხულიგნობაზე, კი ბატონოვო, კიტამ, თქვენი საქმე თქვენ იცითო, რაც შეიძლება ყურადღებით გაუკეთეთ და მე ვიცი თქვენი პატივისცემაო.

ხუთნი ვიყავით საოპერაციოში. მენარკოზე. მე — მთავარი ქირურგი, ჩემი ასისტენტი და ორი ექთანი. მენარკოზე ძველი სპეციალისტი იყო. ორმოცდაათს გადაცილებული კაცი — საკანდელიძე. მაშინ ნემსსაც აკეთებდნენ, მაგრამ რატომღაც საკანდელიძემ ნარკოზის ნიღბით დაძინება არჩია.

დაადო ნიღაბი, რაღაცას გვიყვება, ეტყობა გადააცილა დროს, თუ ვერ მოზომა ბავშვის დოზა, რა ვიცი, ასეთი რამ გამოცდილ მენარკოზეს უნდა მოგვიდეს? დავბედე. მკვდარია ბავშვი. არიქა, დავტრიალდით ყველანი. რა სულის ბერვა რა ხელოვნური სუნთქვა, რა სისხლის გადასხმა, რა არ ვცადეთ, რა არ ვიღონეთ, მაგრამ არ ამუშავდა გული.

არ გინდა ახლა საოპერაციოდან გამოსვლა? სიკვდილს ვინ ელის, სასიკვდილო რა ჭირდა ხელმოტეხილ ბავშვს. თანაც მამამისი. გითხარი, მისი არ იყოს, უბედურნახევარი, რუსები „გალავარეზს" რომ ეძახიან ისეთი კაცი, კარებთან გველოდება.

„არ დამღუპოთო" საკანდელიძემ, ადამიანის ფერი აღარ ადევს. როცა კაცი საოპერაციოში იღუპება, დანაშაული მთავარ ქირურგს ედება, მაგრამ თოფი რომ დამაბჯინოს სულაკაძემ ახლა გულზე. მაინც არ გავამხელ ამხანაგს, კოლეგას, ექიმებს ხელი დაწერეს, რელი კანონი გვაქვს.

პირველი მე გამოვედი დაკიტას და მის ცოლს გავუჩერდი წინ. კიტას მხარზე დავადე ხელი. ორივენი გაყინული სახით თვალებში შემომცქერიან. ხელი ჩავიქნიე და ჩქარი ნაბიჯით გავყევი დერეფანს. უბედური დედის კივილი კიბეზე ჩამავალს დამეწია.

ხუთ დღეს სამსახურში არ გავსულვარ. სიკვდილის აქტი საკანდელიძემ შინ მომიტანა ხელმოსაწერად. ვითომ, ბავშვს გულის მანკის დასაწყისი სტადია ჰქონდა და გულმა ვერ გაუძლო. უხმოდ მოვაწერე ხელი.

ვფიქრობ, ეტყობა კიტა დაასაფლავებს ბავშვს და მერე მოგვივლის ჩვენ მეთქი. ეჭვი არ მეპარება, რომ პირველს მე ამიგებს წესს და, გითხრა სიმართლე, ისე მალე შევეჩვიე ამ აზრს, რომ მე თვითონ გამიკვირდა. უკვე სიკვდილისაც აღარ მეშინია.

გასვენების წინა დღეს მოვიდა. შინ შემოსვლაზე უარი მითხრა. თუ შეიძლება, ქვევით, ეზოში ჩავიდეთო. განახევრებულია კაცი. ჩავყევი, რაც მომივა, მომიეიდეს. მერე ქუჩას გავყევით. წინ მიდის. მივყვები. რიონის პირას, ხიდქვეშ ჩავედით. შინ მაინც დამებარებინა. წერილი მაინც დამეწერა, აქ რომ მომკლას და წყალში გადამაგდოს, ჩემს ცხედარსაც ვერ იპოვიან.

ახი კია ჩემზე. ქირურგი ოპერაციის მეთაური ხარ, არ უნდა ენდო ბრმად ნარკოზისტს. უნდა შეამოწმო, შეახსენო. გააკონტროლო.

ჩამოჯდა ქვაზე სულაკაძე. „რატომ დამღუპეთ, რომელს გჭირდათ ჩემი ქინი, ანდრო ბატონოვო?" „რა ვქნა მეთქი, მე შენზე უფრო ვიტანჯები მეთქი. ამდენი ხნის ქირურგი ვარ და ჯერ ასეთი რამ არ დამმართია მეთქი, ვერ გაუძლო გულმა, ჩვენც ვერ ვუსაშველეთ დროზე, მეთქი, თორმე არ შეიძლებოდა მისთვის ოპერაცია მეთქი". დიდხანს, ფეხზეწამოუდგმელად, ეჭვიანად შემომცქეროდა თვალებში, ასეთი დაჟინე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით ჩემთვის არასოდეს არავის შემოუხედავს. მიწა გამხეთქოდა და ჩავეტანე. ის მერჩია. ბოლოს, ჩანს, ნერვებმა მიმტყუნა და ლამის ყვირილით ვუთხარი: „მორჩი და გაათავე! მე თვითონ არ ვაპატიებ ჩემს თავს ამ შეცდომას მეთქი". წამოდგა, ხელი მომკიდა მკლავზე; „შენ რა შუაში ხარ, ბატონო ანდრო, ძალათი ხომ არ მოკლავდი ბავშვსო. ალბათ, ასე ეწერა მაგ უბედურსო. ერთს გთხოვ, ხალხის ჭორმა ნერვები დამიგლიჯა, მოდი ხვალ, თუ კაცი ხარ, დასაფლავებაზე, მინდა, ყველამ ირწმუნოს, რომ ჩვენს შორის არასოდეს მტრობა არ ყოფილაო".

მივედი, რასაკვირველია, მეორე დღეს დასაფლავებაზე და პატარა სულაკაძე საკუთარი შვილივით ვიტირე.

ამის შემდეგ ათი წელი გავიდა. სულაკაძე ადრე მხვდებოდა და მოწიწებით მესალმებოდა. ბოლო ხუთი წელი აღარ შემხვედრია და მეც გადამავიწყდა. როგორც შემდეგ შევიტყვე. დაეჭირათ და თორმეტწლიანზე იჯდა.

ერთ დღეს, შუალამისას მირეკავენ საავადმყოფოდან, სასწრაფო ოპერაციაო, გავვარდი. პირდაპირ, როგორც ვიყავი ჩაცმული, საოპერაციოში შევრბივარ. კარებთან მარცხნივ, ოთხი კაცი ლოყებდახოკილ, შაოსან ქალს ძლივს ამაგრებს. მიშველე ექიმოვო, მომაძახა განწირულის ხმით. შევიხედე, მეცნო. მაგრამ ახლა ამის დროა? ხელები გადავიბანე. ხელთათმანები გავიკეთე. ხალათი. ქუდი და პირბადე ასისტენტ-ექთნებმა მომაშველეს. ბევრი სისხლი აქვს დაკარგული. საეჭვოა გადარჩენაო. მორიგე ექიმმა.

დავათვალიერე ავადმყოფი. თექვსმეტი წლის ბიჭია. მუცელში დანით ღრმადაა დაჭრილი. სისხლისგან დაცლილი. თითქმის უგონოდ წევს. პირდაპირ. ყოველგვარი სისხლის ანალიზისა და სხვა მოსამზადებელი პროცედურის გარეშე. შევუდექი ოპერაციას.

დანას ნაწლავები დაუჭრია, და ბევრმოთ, ელენთამდე მიუღწევია. გვერდულად ღვიძლსაც აქვს ჭრილობა, ლამის ფილტვებამდე დასერილია ყმაწვილი. როგორც ოპერაციის მსვლელობის პროცესში მაცნობეს ხიდან ჩამოვარდნილა და წელზე ჩამოკიდებულ სანადირო დანას გვერდით დარჭობია. ეს საღამოს მომხდარა და სამი საათის შემდეგღა უპოვიათ ნახევრადმკვდარი.

დაზიანებული ნაწლავები ამოვჭერი და შევაერთე, ელენთა ამოვიღე, ღვიძლი გავკერე, მოკლედ, რომ იტყვიან, თერძივით ვნემსე კაცი. ხუთ საათს გაგრძელდა ოპერაცია და რომ დავამთავრე, მე თვითონ ოფლში გაბვითქული და გასავათებული იქვე მივესვენე საკაცეზე.

რომ არ დაგიმალო, ხუთი დღე ავადმყოფის საწოლს არ მოვშორებივარ. სიკვდილს გამოვგლიჯე ხელიდან.

ვინ იყო, იცი? კიტა სულაკაძის უმცროსი ბიჭი. მეტი არც ჰყოლია. ის უფროსი ხომ ასე ბრმად დაიღუპა, ამ უკანასკნელი იმედის ოპერაციაც მე შემახვედრა განგებამ.

ჭკუას დავკარგავდი, რომ ვერ გადამერჩინა.

ქმარი ციხეში იჯდა, დედა ყოველ გამოხედვაზე ხელებს მიკოცნიდა. ეს იყო მისი თხოვნაც, ხვეწნაც და მუდარაც.

გადავარჩინე უმცროსი სულაკაძე. მაგრამ მე თვითონ ნერვიულობამ ორ კვირას ისე ჩამაგდო ლოგინად, რომ კინაღამ წერილი წავიღე.

რატომ მოგიყევი ახლა ეს? ჰო, სიკვდილთან ექიმის დამოკიდებულებაზე.

სიკვდილს თუ შეეგუე, სიკვდილი თუ სულს არ გიფორიაქებს და ჭკუიდან არ გშლის. შენ ექიმი არა ხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოფი

ახლა მაინც ხომ დარწმუნდით, ბატონო, რა ხდება ჩვენს თავს. ამიტომ მოვიკალი თავი თქვენს მოსაყვანად. მინდოდა თვალი შეგეცლოთ და წარმოდგენა გქონოდათ ყველაზე ერთად — მკვლელებზეც, მოსამართლეებზეც და იმათზეც, ვინ დარბაზში მაყურებლად ზის.

დააკვირდებოდით, რასაკვირველია, ერთ მხარეს ჩვენ ვზივართ — დაზარალებულები. მეორე მხარეს — მკვლელების მეზობელ-ნათესავები. ხომ ნახეთ, რა საცოდავები, ილაჯგაწყვეტილები, გალახულ-დაზაფრულები, აწიოკებულ-ატირებულები ვყრივართ ჩვენ და რა ქორივით შემართულები, თავაწეულები, ნახტომისთვის გამზადებულ აფთრებს ჰგვანან ისინი. მრცხვენია ჩემიანებს რომ გადავხედავ. რამ დაგვასაწყლა და დაგვადედლა ასე. რა მოხდა ჩვენს ხასიათში ისეთი, რომ თავის დაცვის უნარიც დაგვიკარგავს. ჩვენს ქალაქში, ჩვენს ქუჩაზე ჩვენი მოსამართლე და პროკურორი ასამართლებს გადამთიელ მკვლელებს, ასამართლებს მერე როგორი დანაშაულისთვის, რა სადისტური მკვლელობისთვის და მკვლელებიც და მათი გულშემატკივრებიც ყინჩად სხედან. ხანდახან მოსამართლესაც ერევიან ლაპარაკში, წამოძახილებით ირგვლივ ყველას აგრძნობინებენ, რომ არაფრისა და არავისი ეშინიათ.

ადამიანის უსვინდისობას, თურმე, საზღვრები არა ჰქონია. იმის მაგივრად რომ თავჩაქინდრულები, შეწუხებულები ისხდნენ, თავს მაღლა სწევენ და გაფაციცებულიც კი არიან. ე, მანდ „სიმართლე“ არ დაგვეკარგოსო.

იქნება გცოდავ, ღმერთო, მაგრამ რა ვქნა, მეჩვენება, რომ სწორედ ჩვენიანებისაგან არიან გულმიცემულნი. ხომ ნახეთ, წამდაუწუმ ეკითხებიან და ოქმშიც სწერენ — მაშ, მთვრალები იყავით და არა გახსოვთ რაო? მაშ წინასწარგანზრახვით არ მოგიკლავთო? რა დიდი მიხვედრა უნდა, საითაც უკაკუნებს ეგ კითხვები. მე ამათი სამართლის დიდი იმედი აღარა მაქვს. იქნება ცოდოს ჩავდივარ და მეჩვენება, იქნებ სულაც არ მოხდეს ისე, როგორც მე ვეჭვობ, ამიტომაც სანამ განაჩენს არ გამოაცხადებენ, ჩუმად ვარ. თუ სამართალმა პური არა სჭამა, მერე მე ვიცოდე და ჩემმა კაცობამ. მე თვით გავუჩენ სამართალს ჩემს დატანჯულ ძმასა.

აშკარად დარიგებულები არიან და ხომ ხედავთ, რა პასუხებს იძლევიან; მთვრალები ვიყავით და არა გვახსოვს რაო. ახლა ისიც კი „მაიფიქრეს“ არ ვიცოდით, რა რჯულის კაცსა ვკლავდითო, ხმა არ ამოუღია და ჩვენ, აბა, საიდან მივხვდებოდითო.

პირველ ჩვენებებში და საგამომძიებლო დასკვნაშიც ყველაფერი სწორად ეწერა. მერე და მერე ცვალეს ჩვენებები და დასკვნაც შესაფერი დაიწერა. პირველ აღიარებაში ასე იყო ეგ ამბავი: ექვსნი იყვნენ. ოთხი ტყეში კოცონთან დარჩა, ორი ავაზაკი მოტოციკლით სოფლისკენ წამოვიდა. ახალშებინდებული იყო. სახლიდან ათი წუთის გამოსულ ჩემს ძმას წააწყდნენ ქუჩაში. დაიჭირეს, გათოკეს, მოტოციკლეტზე შეაგდეს და წაიყვანეს. ტყეში კოცონთან პირდაღმა დააგდეს. ღორივით დაკლეს, ცხედარი ნაჭერ-ნაჭერად აქნეს და დაწვეს. თავი კი იმ მაღალმა, ახლა რომ ყველაფერს იბრალებს, ტომარაში ჩაადო და შინ წაიღო, როგორც რელიქვია. შესანახავად. აი, ასე მოხდა სინამდვილეში. როცა ჩვენთან დაპირისპირებისას გამომძიებელმა ჰკითხა, თუ იცნობდით მოკლულს ადრეო ექვსივემ (მაშინ ექვსი იყო დაპატიმრებული) იუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა. პირველად ვნახეთო. ჩვენთვის სულ ერთი იყო, ვინ იქნებოდა. პირველივე შემხვედრი უნდა მოგვეკლაო.

მერე იდინა, იდინა საქმემ და აქამდე ასე მოვიდა: სამი ავაზაკი გაათავისუფლეს, ეგენი ადრე წამოსულან და არც რა უნახავთო. დარჩენილი სამიდან კიდევ. ერთი იბრალებს დანაშაულს და სხვებზე ამბობს. ეგენი იქვე იყვნენ, მაგრამ მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღიათ. პირიქით, მეხვეწებოდნენ: ეგ ურიგო კაცი არ არი, ნუ მოჰკლავო, ვინ დაიჯერებს ამას შენი კვნესამე. თეთრი ძაფითაა ნაკერი ეს ყოველივე. ჯერ ერთი, სად წავიდა ის პირველი ჩვენება, სადაც ეწერა სოფლიდან მოტოციკლეტით წამავიყვანეთო. ახლა რომ ამბობენ, ტყეში. ფარეხთან. კოცონიდან თხუთმეტიოდე მეტრში ვნახეთ. ხელში მოპარული ცხვარი ეჭირაო, რატომ არავინ ეუბნება. უნამუსოდ სტყუითო? ჩემი ძმა სამოცდახუთი წლის კაცი იყო. ცალთვალა. მეორე თვალში კიდე მხედველობა ოცი პროცენტი ჰქონდა. საწყალს ცეროზი სჭირდა. ჯიბეში ედო პოლიკლინიკის ქაღალდი. დღე-დღეზე საავადმყოფოში უნდა დაგვეწვინა. ჯოხით დადიოდა, დილით და დაწოლის წინ ცოტა ფეხით უნდა გაევლო, რომ ღვიძლის ტკივილს არ შეეწუხებინა. სახლს ვერ ცილდებოდა. იქვე, ქუჩაში დადიოდა, დიდი-დიდი, ასი, ორასი მეტრი იქეთ-აქეთ. შეეძლო ჩემს ავადმყოფ ძმას სახლიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით, ტყეში, ცხვრის მოსაპარავად წასულიყო? ჯერ ერთი ხმელზე ძლივს დადიოდა და წელამდე წყალში როგორ გასტოპა? მეორეც ცხვარი როგორ აიყვანა ხელში, როცა დოქით წყალსაც ძლივსა სწევდა. მისთვის მძიმის აწევა არ შეიძლებოდა. ცეროზი, მოგეხსენებათ.

ვთქვათ, მოხდა სასწაული და მივიდა ჩემი ავადმყოფი ძმა იმ სიშორეზე ცხვრის მოსაპარავად, ის როგორღა მოხდა. რომ ძაღლებმა ასე ახლოს მიუშვეს? ჩვენებაში ეკვსივეს ეწერა: ანჩალი ძაღლი გვყავდაო. კარგი. თვითონ მთვრალები იყვნენ. ძაღლებიც ხომ არ იყვნენ მთვრალები?

სინამდვილეში არაფერიც მთვრალები არა ჰყოფილან. ძალიანაც ფხიზლები იყვნენ და მშვენივრადაც იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ.

სამი ხომ გაუშვეს. ახლა ორის გამოყოფაც უნდათ მკვლელობიდან. რანაირად კაცო?! თუ ის ორი წინააღმდეგი იყო მოკვლისა, რას უყურებდნენ. სანამ იმ ერთმა გაკოჭა კაცი, მოიყვანა. დაკლა ღორივით. ცეცხლს შეუკეთა. დაჭრა კაცი ნაწილ-ნაწილად, ცეცხლზე შემოდო კუნძებივით, ამ ხნის განმავლობაში ის ორი იჯდა და ჩუმად ტუქსავდა, არა გრცხვენია, რას ჩადიხარო? გჯერათ თქვენ ეგ ამბავი? თუ შველა უნდოდათ, რატომ არ ეცნენ ხელში, ან მიცვალებულის დაჩეხვა მაინც როგორღა დაანებეს?

იქნებ ჩვენ უარესის ღირსიცა ვართ, ახლა რომ ვუკვირდები, ჩვენი ბრალია ყველაფერი. გადამთიელს მიწა მივეცით და გვერდით დავისახლეთ. სიკეთეს კიდე ეგრე გვიხდიან. მამა-პაპის ანდერძი რომ დავივიწყეთ და სულელურმა ხელგაშლილობამ დაგვაცვევინა. ახია ჩვენზე.

სხვამ თავისი საქმე იცის. მაგრამ თუ სამართალმა არ სჯამა პური, როგორც ზემოთ გითხარ, მე თვითონ გავაჩენ სამართალსა. ჩემი ფიქრით მკვლელები უნდა დაიხვრიტონ და მოსამართლემ კერძო განჩინებაც უნდა გამოიტანოს, რომ ჩვენი კეთილმეზობლურად ყოფნა აწი აღარ შეიძლება და ეგენი დედაბუდიანად უნდა აიყარონ, თავის მთებს დაუბრუნდნენ.

თუ ასე არ მოხდა, მე ხომ ჩემსას ვიზამ; სახლ-წულიანად გადავწვავ ჩემი ძმის მკვლელებს, სოფელი კიდე თავის განაჩენს გამოუტანს მაგათა. არც ეგრეა საქმე, როგორც ზოგსა ჰგონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფლავს მოსხურებული ღვინო

საფლავის ქვას „სოსო შაორიძე“ აწერია. მეტი არაფერი, არც დაბადების თარიღი უზის, არც გარდაცვალების. საფლავთან თეთრკვართიანი, ინტელიგენტური გარეგნობის კაცი დახრილა ხელთ ჭიქა უჭირავს. იქვე შამპანურის ახლადგახსნილი ბოთლი დევს, დავაკვირდი. ვიცანი, პროფესორი შიო ბადალაშვილია. საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი-მელიორატორი, ტელევიზორში ხშირად მომისმენია. რიხიანი, ვაჟკაცური გამოსვლა იცის. პირადად არ ვიცნობ, ნამდვილად ის არის, საფლავს ღვინო რომ მოასხა და წამოიმართა, გავბედე გამოლაპარაკება.

— ბატონო, შიო.

შემომხედა, მაგრამ რომ ვერ მიცნო, უხერხულად გაიღიმა.

— მაპატიეთ!

— ბოდიშს ვიხდი, მყუდროება დაგირღვიეთ, ხომ ბატონო შიო ბადალაშვილი ბრძანდებით.

— დიახ.

—სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. მე მურუსიძე გახლავართ ფიზკულტურის ინსტიტუტიდან. აქეთ სტუდენტები გვყავს. ყურძნის კრეფაზე. ქვემოთ მუშაობენ ხაშმის ზვრებში. სასაფლაოზე გავლა მიყვარს, ჩვეულებად მექცა. რა ვიცი, რა მიზეზია. შეიძლება აქ რომ ვართ ბოლოს ყველა მოსასვლელი იმიტომ.

— ჯვარი გწერიათ აქ მოსასვლელად... მერე, კი,... ალბათ, ასი წლის მერე...

— ეგ ვინ იცის. ჩვენი სიკვდილის აჩრდილი რომ იტყვიან, თან დაგვდევს, თქვენ, თუ არ ვცდები, აქაური ბრძანდებით.

— დიახ, აქვე მეზობელი სოფლიდან გახლავართ. გიორგიწმინდა, თუ გაგიგონიათ?

— გიორგიწმინდა?

— ხევს გადაღმაა, პირველივე სოფელი.

— იქეთ, ორჯონიკიძესთან.

— სწორედ მაგ „ორჯონიკიძეს“ ერქვა გიორგიწმინდა. მე მგონი არ იყო ურიგო სახელი. ჩვენ მაინც გიორგიწმინდას ვეძახით. არ გამცეთ და წერილს რომ ვაგზავნი ჩემიანებთან, კონვერტს გიორგიწმინდას ვაწერ. დავსვით ახლა საკითხი. შეიძლება დავუბრუნოთ სოფელს ძველი სახელი.

ხელები გაიფერთხა, ჭიქა შამპანურს ჩამოამხო, პიჯაკი მოიხურა, საფლავის კარი გამოიკეტა.

— მაპატიეთ, მიცვალებული? — ვკითხე.

— ჩემი არაფერი არ არის. ჩვენი სასაფლაო ხევს გაღმაა. იქეთ. ეს ბიჭი ოცდათერთმეტი წლისა დაიღუპა. კარგა ოცდაათი წლის ამბავია. აქეთ მოდიხართ?

— დიახ, — გვერდით მოვყვები. სასაფლაოს გასასვლელისაკენ მოვაბიჯებთ.

— გიამბოთ, თუ გაინტერესებთ. მილიციის უფროსი გამომძიებელი გახლდათ. უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. მე რომ შევხვდი, ოცდაცხრა წლის იყო. ორი წლის შემდეგ დაიღუპა. ბრმად, ავტოკატასტროფაში მოჰყვა. გუშინდელივით მახსოვს მისი დასაფლავება, მთელი გარეკახეთი დასტიროდა. დიდებული ვაჟკაცი იყო. ჩიტის გული ჰქონდა. საწყალმა ცოლის შერთვაც ვერ მოასწრო.

გაგიკვირდებათ და მე ამ სოსო შაორიძისგან მთელი ჩემი ცხოვრებით ვარ დავალებული. ამიტომაც, როცა აქეთ მოვდივარ ამ სასაფლაოს არასოდეს ჩავუვლი. შემოვალ, ჭიქას წავუქცევ. რა ვიცი, ჩემს პატივისცემას გამოვხატავ. მას ახლა სხვა აღარაფერი სჭირდება. ყველაფერი დამთავრებულია ამ საცოდავისთვის.

აი, რა კაცი იყო. ჩვიდმეტისა გახლდით, სკოლა დავამთავრე და ჩვენი რაიონის ტექნიკუმში დავაპირე სწავლის გაგრძელება. ქალაქს წასვლის საშუალება არ მქონდა. მამა ადრე გარდამეცვალა და მარტოხელა დედას ჩემი უმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცროსი და-ძმების (ოთხნი ვიყავით) ამარა ვერ დავაგდებდი. მივედი ტექნიკუმში, მაშინ მექრთამეობა აყვავების ზენიტში იყო. ჩავაბარე საბუთები და კაცი გამომყვა: შვილოსა, ტყუილად თავს ნუ გაიწვალებ, თუ ორიათასი მანეთი არა გაქვს, არაფერი გამოგივაო, არ გეგონოს, ჩემთვის ვცდილობდე. შენ თვითონ მიუტანე დირექტორს. ამასაც შენი სიობლის ხათრით გეუბნებით, თორემ, საერთოდ, აქ მოწყობას სამი ათასი უნდაო.

წამოველ. დაღონებულმა ეს ამბავი ჩემს მეზობელს შაქრო ხმიადაძეს შევჩივლე. აცხონოს ღმერთმა. შარშან გარდაიცვალა, ოთხმოცდაერთი წლისა. შაქროს მაშინ შანსიანი კაცის სახელი ჰქონდა. მგონი, ერთი-ორჯერ ხელმრუდობისთვის ნასამართლევიც იყო. ორმოცდაათს გაბლდათ მიტანებული. „ეჰ, შვილო, მართალი უთქვამთო, ფრიადებზეც რომ იცოდე, უფულოდ ამ ჩვენს ტექნიკუმში არ გაგაჭაჭანებს ბზრიალაძეო. ბზრიალაძე დირექტორი იყო. „ორი ათასი მანეთი სად უნდა ვიშოვო, დიდი დიდი დედაჩემმა ღორ-ქათამი რომ დაჰყიდოს, ხუთას მანეთს მოუყაროს მეთქი თავი.

„რას იზამ, ეგრეაო", შაქრომ. მერე ვენახის ბოლოს გამიყვანა და საიდუმლოდ გამანდო. „მინდოდა ამ საქმითვინ თავი გამენებებინა, მაგრამ შენმა სიბრალულმა გული დამწვაო. წავიდეთ ამაღამ. კოლმეურნეობის საზამთრო დავკრიფოთ, დილით ბაზარს წავიღოთ და ერთი კარგი ურემი ეყოფა შენს გაჭირვებასა, თუ არ ეყო ერთი გზობაც დავურტყათ და ეგ იქნებაო. საზამთრო ახალი შემოსულია და კარგი მაზანდა ექნებაო".

სიგლახეზე გიყვებით, მაგრამ იმდენად დიდი იყო სწავლის წყურვილი რომ, წარმოიდგინეთ, დავთანხმდი. შუაღამეგადასულზე გავიპარე სახლიდან, შაქრო ურმით სოფლის ბოლოს მელოდებოდა.

შევიპარეთ კოლმეურნეობის ბაღში. ღამის გავავსეთ ურემი და დაგვადგნენ კიდეც თავზე ეს სოსო შაბურიძე ორი მილიციელი. დაგვიჭირეს და წამოგვიყვანეს საგარეჯოში. ფაქტზე ვართ დაჭერილები. ჩვენს საქმეს წყალი არ გაუვა.

შაორიძემ შაქრო. რასაკვირველია, მაშინვე იცნო. მე კიდე რომ გამომკითხა და გაიგო ვინც ვიყავ. შაქროს უსაყვედურა: ეე ბალღი მაინც რაზე დაღუპე, რას ერჩოდი, შე ოხერტიალოო.

პირიქით, მე დავღუპე შაქრო ძია, ჩემი გულისთვის წამოვიდა. თორემ არ უნდოდა საზამთროს მოპარვა, მე ძალად წამოვიყვანე მეთქი.

გაეცინა.

რაღა გავაგრძელო, პირველივე დაკითხვაზე ასე დამიწყო:

— ხომ არ იცოდი, რომ შაქროს საზამთროს მოსაპარავად მოჰყავდიო.

— როგორ არ ვიცოდი მეთქი.

— შენაო, ხომ არ ჩასულხარ ბაღში შენ ხომ წყლისპირას ხარებს უდექი, რომ არ წასულიყვნენო. შენ ხომ სათევზაოდ წამოგიყვანა შაქრომ და გზაში გითხრა. აქვე, ახლოს საზამთრო მითესია და რამდენიმე ცალს წამოვიღებო. ხომ ეგრე იყოო.

სასტიკად ვიუარე. როგორ გეკადრებათ მეთქი. საზამთროს მოსაპარავად წამოვედით. ტექნიკუმში ორი ათასი მანეთი მომთხოვეს და უნდა შეგვექუჩებინა მეთქი.

ქაღალდები დამიდო წინ. რასაც მე გიკარნახებ ის დაწერე, ბევრს ნუ ლაპარაკობ.

გავჯიუტდი. როგორც იყო ყველაფერს ეგრე დავწერ მეთქი.

შემეხვეწა. თუ ძმა ხარ დამიჯერე. ჯერ პატარა ბიჭი ხარ. არ მინდა ცხოვრება გაგიფუჭდეს. იმათ მიეცა შენი ცოდო. ვინც სწავლაში ორიათასი მანეთი მოგთხოვეთ, შენ რა გინდა ციხეში. საციხე ისინი არიანო.

სულ ტირილით და მუჯლუგუნით მაწერინა ჩვენება. მერე გავიგე, თურმე შაქროსაც ეგრე დააწერინა: მოვატყუე ბალღი. ეგონა სათევზაოდ მიმყავდაო.

„კარგი ბალღი მე ვიყავი. ჩვიდმეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლისას ჭკუა ხომ უნდა მქონოდა, მაგრამ ახლა აქედან ყველაფრის განსჯა ადვილია. იმ ასაკში და ჩემს მდგომარეობაში როგორ მოიქცეოდა სხვა? ალბათ ასიდან ოთხმოცი მაინც დაყაბულდებოდა შაქროს წინადადებას. ამის შემდეგ ყოველთვის წინააღმდეგი ვარ მოზარდების დაპატიმრებისა.

რაღა გავაგრძელო. მე მაშინვე გამათავისუფლეს, შაქროს კი ორი წელი მისცეს. თქვენ გგონიათ, ყველაფერი ამით დამთავრდა?

სოსოს დაუბარებია ტექნიკუმის დირექტორი და უთქვამს; რასაც მანდ მაიმუნობთ ჩვენთვის ცნობილია, ახლა თუ არ გინდა ამოგატრიალოთ თევზივით, შინ ბადალაშვილი უნდა მიიღოთ სასწავლებელშიო.

ჩემი სწავლის საქმე ხომ მომმარაგა. შაქროსთვისაც მიწერა გააკეთებინა და ექვს თვეში სახლში გამოაშვებინა.

ასეთი კაცი იყო ცხონებული.

მე რომ მაშინ ოთხ კედელშუა აღმოვჩენილიყავი, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ჩემი მომავალი.

ამიტომ გითხარით, ამ კაცისგან ცხოვრებით ვარ მეთქი დავალებული.

მაშინ, ჩვიდმეტი წლის ბიჭს ოცდაცხრა წლის კაცი დიდი მეგონა. ახლა, რომ ვუფიქრდები, თითქმის ესეც ჩემსავით ბავშვი ყოფილა.

საიდან ჰქონდა ოცდაცხრა წლის ბიჭს ამოდენა გამოცდილება და წინდახედულება.

კაცი იყო, კაცი.

შხამი

საექსპორტო ჯგუფის უფროსი გიორგი მესაბლიშვილი იჯდა და კედელზე მ. გორბაჩოვის სურათს შეჰყურებდა. გენერალური მდივანი ამ სურათზე უფრო ახალგაზრდა და გამხდარი ჩანდა.

ერის დამშოშინებელი კომისიის თავმჯდომარე, კაბინეტში ზურგზეხელებდაწყობილი, მიმოდიოდა, ხანდახან შეჩერდებოდა, ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად გიორგისკენ თითს გამოიშვერდა, წინადადებას ერთხელ კიდევ გაიმეორებდა და კვლავ განაგრძობდა გზას ფარდაგზე, რომელსაც წითელი ყაყაჩოები ეხატა.

— ასეა საჭირო, დამიჯერეთ გიორგი. შენ მაინც მიცნობ, მე არც არავისი მეშინია და არც კომისიის თავმჯდომარეობა მიღირს დიდად. ხალხისთვისაა ასე საჭირო. რას მისცემს ხალხს იმის გაგება, რომ ჯარმა ქიმიური იარაღი გამოიყენა. დახოცილებს ხომ ვერ გავაცოცხლებთ. ხალხს კი დარდსა და ბოლმას მოვუმატებთ. რატომ გაგვწირეს, რა დავაშავეთ ასეთიო, იტყვიან. ქვეყანა მგლოვიარეა. ხალხის განწყობილება ჩემზე უკეთ იცი. არ არის ჩვენი სისტემის სასარგებლოდ მომართული. ამ დროს ჩვენ დარდს დარდი მივუმატოთ? ჩქარობენ შენი ექსპერტები. მანდ „ჩერიომუხას“ გარდა სხვა კვალი არ ჩანს. „ჩერიომუხა“ ცრემლდენი, უსაფრთხო გაზია. ჩვენ რომ ზედმეტი კრიკიტი დავიწყოთ და ფანტაზიას გასაქანი მივცეთ, შორს წავალთ, ნერვული მოვლენები რაც ზოგიერთ მოწამლულს ეტყობა, იმდენად ინტოქსიკაციის ბრალი არ არის, რამდენადაც იმ ღამის შიშის ზაფრისა, სტრესული მოვლენებია და ორგანული არაფერი შეინიშნება. დავფიქრდეთ კარგად, რას მისცემს ხალხს ის, რისკენაც შენი ჯგუფის წევრებს მიჰყავთ საქმე? ჯარისკაცებს არავინ დასჯის, ხომ მართალია? ხალხს ტყუილად გავაღიზიანებთ და ისევ ჩვენს ზურგზე გადატყდება ჯოხი.

— კი მაგრამ, მოწამლვის საშუალებების დადგენა თუნდაც იმისთვისაა საჭირო, რომ მკურნალობის სწორ გზას დავადგეთ.

— მე მითხრეს, რომ ზუსტი ანტიტოქსი საჭირო იყო მოწამლვის პირველ დღეს. ახლა იგი ეფექტური ვერ იქნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა. ასე რომ, უნდა დამიჯერო. ცრემლსადენის გარდა სხვა რამით მოწამლვა არ აღინიშნება. ასე სჯობია ხალხისთვის. შენ ჭკვიანი კაცი ხარ და გამიგებ, უნდა გამიგო. ჩვენი ერი ახლა დიდი განსაცდელის და დიდი სულიერი გამოცდის წინაშე დგას. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ხალხის დაშოშმინებისა და გადარჩენისთვის. აბა, შენ იცი, წინასწარ გიხდი მადლობას.

გიორგის საპასუხოდ არაფერი უთქვამს. გულდამძიმებული ჩამოვიდა კიბეზე. მანქანა რომ გააღო და ჩაჯდა, მერე დაუწყო გასაღებს ჯიბეში ძებნა, ჩანთაშიც რომ ვერ აღმოაჩინა, სასოწარკვეთას მიეცა. უეცრად მოისაზრა; უგასაღებოდ მანქანაში როგორ აღმოჩნდიო, გადმოვიდა, კარს გასაღები გამოაძრო და თავს გაუჯავრდა, რამ დამაბნიაო.

თავდაღმართზე შხუილით დაუშვა მანქანა. ვაკეს რომ გამოცდა, მხოლოდ მაშინ მოეგო გონს და ქუჩას გახედა.

ორჯონიკიძის შერყვნილ ძეგლს მილიციის მუშაკები ბენზინიანი ჯაგრისებით გულმოდგინედ სწმენდნენ.

იქვე, ახლომახლო, მშვიდობიანი მოქალაქენი იდგნენ და ამ სანახაობას, ღმერთო შეგცოდე, კმაყოფილი სახეებით შესცქეროდნენ.

გიორგიმ ქავთარაძის ქუჩისკენ გაუხვია და საავადმყოფოსთან შეაჩერა მანქანა.

შესასვლელთან ხალხი ბუზივით ირეოდა. მილიციელები მსურველთ, როგორც მესაბლიშვილმა შეატყო, ასაკობრივი პრინციპით და სოლიდური, საქმიანი კაცის შესახედაობის მიხედვით ატარებდნენ. ეს გარემოება ახალგაზრდობის უკმაყოფილებას იწვევდა. წესრიგის დამცველებთან ერთ ადგილას კამათიც კი გაემართათ. წვეროსანი ბიჭი ყურებამდე გაწითლებულ უმცროს სერჟანტს ჰელსინკის საერთაშორისო ხელშეკრულებას მოაგონებდა და განუმარტავდა; „ამ ზედმეტმა აკრძალვებმა და არშეშვებებმაც გამოიწვია ცხრა აპრილიო“, „არ შეიძლება გენაცვალე. ავადმყოფებს აღიზიანებთ ამ...ხველი. ეს ლონისძიება ავადმყოფების სურვილით კეთდება, თორემ ჩვენ სულ არ გვეხალისება აქ დგომა და ენის ტარტარიო“. მერამდენჯერ იმეორებდა სერჟანტი, მაგრამ მისი „სიმართლის“ გაგება ირგვლივ შემოჯარულთაგან არავის სურდა.

კარს გრძელთმიანი, შავზონარწყაკრული, მაღალი ბიჭი მიუახლოვდა და შესვლის მსურველთა ზურგებს მიემატა. იგი ვილაცამ შენიშნა და მილიციელებს უთხრა.

— გაატარეთ, მოშიმშილეა.

ყველამ მაღალი ბიჭისკენ მიიხედა. დერეფანი სწრაფად გაკეთდა და მოშიმშილე მოწიწებით გაატარეს. გიორგიმ იმ დერეფნითვე ისარგებლა და მილიციელებმა გზა რომ გადაუღობეს, ჩუმად ჩაილაპარაკა:

— საექსპერტო კომისია.

— საბუთი? — ჰკითხა სერჟანტმა. აშკარად ჩანდა, რომ იგი სხვადასხვა კომისიების და არაფორმალური გაერთიანებების დასახელებას მიჩვეული იყო.

გიორგიმ საბუთი უჩვენა.

ჯერ მეშვიდე სართულზე ავიდა, მორიგე ექიმი მოძებნა და უთხრა — ესა და ეს კაცი ვარ, თუ შეიძლება რამდენიმე ტიპიურ ავადმყოფთან შემიძეხითო.

მორიგე ექიმი ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა იყო. ნატო ერქვა. დაღლილი იერი და სუსტი, გაბზარული ხმა მას კიდევ უფრო ნაზსა და ქალურს ჰხდიდა.

პალატისკენ რომ მიაბიჯებდნენ, გიორგიმ ჰკითხა:

— რა მდგომარეობაა?

— ძველებური.

— უკეთესობა არ შეინიშნება?

— როგორ გითხრათ. ერთ საათს რომ კარგად არიან და თვითონაც გაიხარებენ, მეორე საათს გონების დაბინდვა ეწყებათ, მეხსიერების დაქვეითება, ზოგს სრული გამოთიშვაც კი.

— ყველას ემართება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თითქმის, მეტნაკლებად.

შვიდასმეცხრე პალატაში ორნი იწვნენ. ვაჟები. ერთი მათგანი საწოლზე წამომჯდარიყო, ხელში ქილა ეჭირა და დიდი კოვზით ტყემლის კომპოტს ჭამდა. სტუმრები რომ დაინახა, ერთი გახედა, მობრძანდითო თქვა, მაგრამ ჭამა არ შეუწყვეტია. მეორე, ქერათმიანი, გამხდარი ბიჭი პირაღმა იწვა, ჭერს შესცქეროდა და რაღაცას ბუტბუტებდა.

— როგორა ხართ, ბიჭებო? — მცირე პაუზის შემდეგ იკითხა გიორგიმ.

— კარგად, პატივცემულო, ხომ ხედავთ კომპოტს ვჭამთ, — ბიჭმა კოვზი ქილაში ჩააგდო და კარადისკენ გააცურა — ცოტა კაკი ვერ არის დღეს კარგად — მეგობარს გახედა.

კაკი ჭერს შესცქეროდა და ბუტბუტებდა. აშკარად ჩანდა, რომ ექიმის და მისი თანმხლების შემოსვლა არც გაუგია.

— კარგი ბიჭები არიან, — დეკლარაციულად უთხრა ნატომ სტუმარს, მერე ხმას დაუწია — გერას ძილი არა აქვს. ღამით სედუქსენით ვაძინებთ. ჭამის აჩემება აქვს. სიმაძღრეს ვერ გებულობს. გაუთავებლად ჭამს. კოკი უფრო ცუდად არის.

ამასობაში კოკიმ შუბლზე მუშტი მოისვა და საბანი ფეხებშორის შეიკეცა.

— როგორა ხარ, კოკი? — ჩაჰკითხა ნატომ.

კოკიმ უაზრო თვალებით ამოხედა.

— ვა, გათენდა? — იკითხა მან და საწოლზე წამოჯდა — რომ არ მძინებია? როგორ გათენდა — ნატოს მაჯაზე წაავლო ხელი — თქვენთან რომელია?

— ოთხია კოკი, როგორ გათენდებოდა, როცა ჯერ არც კი დაღამებულა.

— ჰო სულ დამავიწყდა, რომ გათენდეს, ხომ უნდა დაღამდეს, ხომ უნდა დაღამებულიყო. აბა, ისე როგორ გათენდებოდა, რომ დაღამებულიყო. სინათლეს ჩააქრობდნენ. არ მძინებია, ესეიგი არ დაღამებულა. ხომ უნდა მეძინებოდეს... გუშინ დამეძინა... დღეს აღარ მეძინება... იმიტომ [illegible] ღამებულა...

კოკიმ ერთი ამოხედა უაზრო თვალებით სტუმრებს, კედლისკენ შეტრიალდა და განაგრძო ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ფიქრსშერჩენილი საუბარი თავის თავთან, თავის აჩრდილებთან.

მეექვსე სართულზე. ექვსასრვა პალატაში, ერთი ავადმყოფი იწვა — მანანა ნავერიანი. მიტკლის ფერი დასდებოდა. მარჯვენა მკლავზე წვეთოვანი ჰქონდა შეერთებული. თავი გადაეგდო და ღია თვალებით ჭერს შესცქეროდა.

— როგორ არის? — ჩურჩულით ჰკითხა გიორგიმ ავადმყოფის ფერხთით, თეთრ სკამზე ჩამომჯდარ ხელებში თავჩარგულ ყმაწვილს.

სანამ ყმაწვილი წამოდგებოდა, ნატო ალაპარაკდა:

— ვერ არის კარგად. მეშვიდე დღეა წვეთოვანზე გვყავს. შხამისგან საყლაპავი მილი აქვს დაზიანებული. დეპრესიაშია, ნერვულ სისტემას როგორმე მოვუწესრიგებთ. საყლაპავი მილის მდგომარეობა გვაფიქრებს. წვეთოვანზე დიდხანს ყოფნა არ შეიძლება. საჭმლის მომნელებელი ორგანოები ფუნქციას ჰკარგავენ და მწყობრიდან გამოდიან, — ეს სიტყვები ნატომ ჩურჩულით თქვა.

— თქვენ რა ხართ ავადმყოფის? — ნატოს მიჩერებულ ყმაწვილს ჰკითხა გიორგიმ.

— ქმარი.

— თქვენ იქ არ ყოფილხართ, იმ ღამით?

— წარმოიდგინეთ, რომ არა, პატარა ბავშვი გვყავს, ერთი წლის. მორიგეობით — დავდიოდით მიტინგზე. ცხრა აპრილს ღამის ორ საათზე დავბრუნდი და მეუღლე გავგზავნე. ბავშვის წაყვანაც გვინდოდა, მაგრამ ცოდოა, არ გაღვიძოო. წავალ, დავხედავ და დავბრუნდებიო, ამ უბედურმა, იმ საშინელ წუთებში პიონერთა სასახლის ღობესთან მდგარა.

. . .

„1989 წლის ცხრა აპრილს მიტინგის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბევისას სასანგრე ნიჩბების და ხელკეტების გარდა შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებმა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენეს ხუთი სახეობის ქიმიური იარაღი. მათგან ოთხი უკვე გაშიფრულია. მეხუთეს — ფსიქიკაზე ხანგრძლივი ზემოქმედების შხამის სახელწოდებას, გულმოდგინეთ მალავენ არმიის წარმომადგენლები.

ოფიციალურად არა ომის მდგომარეობაში, ხალხის დასაცავად მოწოდებულ ჯარისკაცთაგან საკუთარი ხალხის ფიზიკურ-ფიზიკური განადგურებისთვის მრისხანე ქიმიური იარაღის გამოყენება ლამის უპრეცენდენტოა მსოფლიოში.

გამომდინარე ზემოთთქმულიდან საექსპერტო კომისია ბრალს სდებს..."

გიორგი მესაბლიშვილი წერდა საექსპერტო კომისიის დასკვნას. სწერდა ხელაკანკალებული, ტუჩებმოკუმული, ცრემლგამშრალი.

ლ უ კ ა

მდგომარეობა, როგორც დიპლომატები იტყვიან ხოლმე, ექსტრემალური იყო. უსანქციო მიტინგიც უმართავ პროცესში გადაიზარდა. მესამე დღე იყო გუგუნებდა კონსტიტუციის მოედანი. ორატორები ერთმანეთს სცვლიდნენ. მარიონეტული მთავრობის წევრები თავიანთ კაბინეტებში შემკრთალ-შეწუხებულნი დააბიჯებდნენ, ფანჯრიდან დასცქეროდნენ რუსთაველის პროსპექტზე შეკრებილთ და მწვავედ განიცდიდნენ, რომ ასეთ ძნელ დროს მოუწიათ ქვეყნის მართვა-გამგეობამ. წესრიგის დაცვის სამსახურის უფროსებს კაბინეტები მიეტოვებინათ და ქუჩაში იდგნენ, ნერვიულად იმტვრევდნენ თითებს და ზოგჯერ იმედის თვალს მიაპყრობდნენ ქუჩის მთელს გაყოლებაზე ჩამწკრივებული ტანკებიდან და ავტობუსებიდან მომზირალ ჯარისკაცთა შეშინებულ სახეებს.

„ლუკას უხმეთ, ლუკამ მიმართოს ახალგაზრდობას", გაიცა ზემოდან განკარგულება. ლუკა ჭყოიძე, სამოცსგადაშორებული ყოფილი დისიდენტი, მთავრობაზე ბევრჯერ გამწყრალი და ბევრჯერ შერიგებული, ხალხში ჯერ კიდევ სარგებლობდა ძველი ავტორიტეტით. შუა ხანს რომ გადაშორდა, პოლიტიკურ ბრძოლაზე უარი თქვა, სამსახურში შევიდა და მშვიდ ცხოვრებას მიჰყო ხელი, მაგრამ პატიოსანი კაცი იყო და ბოლომდე ვერ დაარბილდააუთავეს. ხანდახან დარბაზიდან ისეთ დროს წამოიძახებდა — „არ არის სწორიო", რომ მთელს პრეზიდიუმს ტანში გააციებდა. ლუკასთვის მაღალი რანგის მოხელე საშიშროებას არ წარმოადგენდა, რაც არ მოეწონებოდა, „მაღალი ხელმძღვანელის" ნათქვამში, იქვე წამოდგებოდა და სახალხოდ უარყოფდა. ამიტომაც ბევრს ჰქონდა წარმოდგენა ლუკაზე, როგორც შეუვალ და პრინციპულ კაცზე. ნაწილობრივ მართლაც იყო ლუკა მართალი და გაბედული. მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ. ბევრჯერ ჭკუანასწავლს და ყურანაწევს გამომუშავებული ჰქონდა ოქროს შუალედური პოზიცია, ეშმაკი იყო. ისეთს არაფერს იტყოდა, რომ ხელისუფლების რისხვა გამოეწვია, მაგრამ არც ისეთს ამბობდა რამეს, ესტვინათ და ტრიბუნიდან ჩამოეგდოთ. ალბათ, ყველაზე აუტანელი ასეთი, ჭკუანასწავლი, ყოფილი მეამბოხეა, ჩემო მკითხველო.

რაკიღა ლუკას ჯერ კიდევ უსმენდნენ, გასაჭირის დროს მთავრობის წარმომადგენლები ხშირად მიმართავდნენ საშველად „ყოფილ ოტელოს". მიტინგი საშიშ მიმართულებას რომ დაადგებოდა, უხმობდნენ ლუკას და ჩვენი გმირიც თავისი ხავერდოვანი ხმით არ დაიშურებდა მამაშვილურ დარიგებებს: „თქვენი ჯანმრთელობა, შვილებო, საქართველოს სჭირდებაო. თქვენაო, ჩვენი მომავალი ხართო. ე მანდ სისულე-

ლე არაფერი ჩაიდინოთ, ჯერ ადრეა ქვის სროლა, ახლა ქვების შეგროვების პერიოდიაო. ჩემს თაობას მძიმე დღეები გამოუვლია და არ გვინდა, თქვენც იმავე მეთოდებით ჭკუის სწავლების ობიექტებად იქცეთო" და ა. შ. ვერ გეტყვით, რა ზემოქმედებას ახდენდა ლუკას აბატური ღაღადებანი ახალგაზრდებზე. ეს კი ცხადია, რომ მომიტინგენი ლუკას გამოსვლიდან კარგა ხნის შემდეგ მშვიდობიანად იშლებოდნენ, ხოლო „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" ეგონათ, რომ ეს, ყოველივე ლუკას „ცეცხლოვანი" სიტყვის წყალობა იყო.

ეძებეს, ეძებეს და, როგორც იქნა, მიაკვლიეს ლუკა ჭყოიძეს. იგი იქვე, ტრიბუნის უკან, ვიღაც უბერეტო, თავმოტვლეპილ კაცს ელაპარაკებოდა და, რასაკვირველია, გამოსვლას არ აპირებდა.

ჯერ მამულიშვილური ვალი მოაგონეს, მერე მის ავტორიტეტს გაუსვეს ხაზი, ბოლოს იმ „ამხანაგის" სახელიც უხსენეს და, რა თქმა უნდა, დაიყოლიეს ლუკა გამოსვლაზე.

სამმა „თანამშრომელმა" გაუკვალა გზა მიკროფონისკენ. მიიყვანეს, ტრიბუნაზე შეიყვანეს და გამოშორდნენ. ორი ორატორიც და მიკროფონში ლუკას მგზნებარე ხმა გაისმა:

„ძვირფასო მეგობრებო!

მე ბევრჯერ გამოვსულვარ თქვენს წინაშე და ბევრჯერ ჭკუის დამრიგებლის როლშიც ვყოფილვარ.

ახლა მე ბოდიში უნდა მოგიხადოთ ყველა ჩემი წინა გამოსვლისათვის.

ჩემი სამოცი წელი სრულებითაც არ მაძლევს იმის უფლებას, რომ გუთავებლად გაშინოთ წარსულით, გაგაფრთხილოთ მომავალ სიძნელეთა გამო და ბრძოლის გზას აგაცდინოთ.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თქვენ მართალი ხართ.

ადრე, სახლში რომ ვბრუნდებოდი, ვფიქრობდი, რა კარგი საქმე გავაკეთე, ხალხს მოთმინებისკენ მოვუწოდე მეთქი.

გადიოდა თვეები, წლები და ამ ჩვენს მოთმინებას ვერაფერი ვიკეთებ. [illegible] ნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათანობით უფსკრულისკენ მივექანებით, ლამის მეწყერზე ვზივართ და რა პირით გიქადაგოთ ახლა მე თქვენ უკან დახევა, სათნოება, კეთილგონიერება და მოთმინება.

ჩვენ ამ აუხსნელი სიფრთხილით ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ.

ჩვენს გვერდით მცხოვრებმა ერებმა თავი გადაირჩინეს, ჩვენ კი პირდაღებული შემოგვყურებს ისტორიის ვეშაპი. მშვიდობიანად, უსისხლოდ გვიპყრობენ და რიყეზე ამოყრილი თევზებივით სულს ვღაფავთ.

ჩვენი ათასწლოვანი სიკეთე უმადურობად და ლანძღვად დაგვიბრუნდა.

ჩვენს ეროვნულ სხეულზე ხავსად მოდებული გადამთიელი ჩვენს მიწას გვედავება.

ჩვენი პატრონი არავინ აღმოჩნდა. ყველამ თავისი კარიერული მიზნები შეისრულა დაჩოქებისკენ ჩვენი მოწოდებით, მერე გადაგვაბიჯა და თავის გზას ეწია.

როგორც ჩანს, ჩვენს თავს ჩვენ უნდა ვუშველოთ და არავის ვათქმევინოთ, რომ ამ მიწის პატრონად აღარ ვვარგივართ.

ახლა ენერგიული, გადამწყვეტი მოქმედების დროა.

თქვენ, ახალგაზრდებმა უკვე დაამტკიცეთ, რომ გმირ წინაპართა გენი სწორედ თქვენში ფეთქავს და გაბედულების, თავგანწირვის დიდებული მაგალითები არაერთხელ მოგვეცით სწორედ ახლა, ამ ბოლო წლებში.

თქვენ მართალი ხართ!

მიდით და მოგყვებით, ძვირფასო ახალგაზრდებო!"

კიდევ რაღაც თქვა ლუკამ, მაგრამ მიკროფონი გამოუერთეს.

რაკიღა იგრძნო, მიკროფონი გამომირთესო, მუშტშემართვით ორიოდე ლოზუნგი გადმოისროლა და ტაშის გრიალში ტრიბუნას მოშორდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივენი და ოფელია

მეოთხეჯერ რომ შევიდა ბატისჭუკის-ფერთმიანი ინგლისელი და საკუთარ მაჯის საათზე თითის კაკუნით აგრძნობინა, როდემდე უნდა ვიდგეთ აქო, საბაჟოს მორიგემ სელექტორს ჩასძახა:

— რა ჭქენით მანქანების!

— მოგახსენებთ, — უპასუხა ახალგაზრდულმა, მორჩილმა ხმამ და ორიოდე წუთში მორიგის მაგიდასთან სამი პირტიტველა ჯარისკაცი იდგა. ისინი სათითაოდ მიდიოდნენ ფანჯრის რაფას მიყრდნობილ ჩინოვნიკთან და რაღაცას დაბეჯითებით უმტკიცებდნენ. ინგლისელი ატყობდა, რომ საუბარი მის ტვირთს შეეხებოდა. კაცმა რომ თქვას, რა დიდი შეტყობა უნდოდა, ჯარისკაცი ჯერ სტუმარს შეხედავდა და მერეც, საბაჟოს მორიგეს რომ ყურში უჩურჩულებდა, ინგლისელს თვალს არ აცილებდა, ხომ არაფერს ხვდებაო.

— იქნება მართლა დეკორაციებია? — მცირე პაუზის შემდეგ თქვა მორიგემ, დაჯდა და ტყავის საქაღალდეზე თითები აატყაპუნა.

— იეს, იეს, დეკორეიშენ! — გამოცოცხლდა სტუმარი.

სამში ყველაზე დაბალი, ცხვირპაჭუა ჯარისკაცი კიდევ ერთხელ დაიხარა და ახლა უკვე ისე ჩუმად ალაპარაკდა, რომ მორიგესაც ძლივს ესმოდა.

— რანაირად? — ლუნაჩარსკის სურათს ახედა საბაჟოს პასუხისმგებელმა პირმა.

ჯარისკაცი დაიხარა და ყურთან ტუჩები აუმოძრავა.

— რომ ეწყინოთ? — ფეხები მაგიდის ქვეშ გამართა და ხელები გაშლილი თითებით საქაღალდეს დააწყო მასპინძელმა.

ჯარისკაცმა კიდევ ერთხელ მომართა ტუჩები.

საბაჟოს მორიგე ტელეფონს დაწვდა და ორიოდე წუთის შემდეგ ოთხივენი უხსნიდნენ ინგლისის ნაციონალური თეატრის წარმომადგენელს, რომ დეკორაციების ინგლისური მარკის მანქანებიდან საბჭოთა მარკის მანქანებზე გადატვირთვა თვით ინგლისის მხარის ინტერესებისათვის იყო საჭირო. წინაღმდეგ შემთხვევაში დეკორაცია — კოსტიუმები ადგილზე ვერ ჩააღწევდა, რაკიღა კავკასიონის ქედზე გამავალი სამხედრო გზა ალაგ-ალაგ ისეთი ვიწრო იყო, რომ „ოჰიუს-8 კორპორეიშენის" გიგანტ მანქანებს მანევრირება გაუჭირდებოდათ.

თეატრის ტექნიკური მენეჯერი მაიკლ შერვუდი ყელგაწვდილი ეხვეწებოდა საბაჟოს მესვეურებს, დეკორაციების სხვა მანქანებზე გადატვირთვა, ძალიან ძნელია, საგანგებოდ გვაქვს შეფუთულ-შეხვეულიო, მაგრამ მოგეხსენებათ, თუ რაიმე არ გადის ჩვენი საზღვრის გუშაგებთან, ეს სწორედ ხვეწნა გახლავთ და რაც უფრო მეტს იხვეწებოდა უცხოელი, ჩვენს მხარეს უფროდაუფრო იპყრობდა ეჭვი იმის შესახებ, რომ ამ ორ უზარმაზარ მანქანას მხოლოდ ისეთი უწყინარი ტვირთი როდი შემოჰქონდა საბჭოეთის ტერიტორიაზე, როგორიც „ჰამლეტის" დეკორაციები და კოსტიუმ-რეკვიზიტი გახლდათ.

ბოლოსდაბოლოს შერვუდიც მიხვდა, რომ თხოვნა არ გაუვიდოდა და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, მაგრამ იქვე განაცხადა, თეატრის დასი ...ა ხელმძღვანელობა, მოგეხსენებათ, გუშინ გამოფრინდა ლონდონიდან და უკვე თბილისში არიან, მე ტრანსპორტისა და გადატვირთვის ხარჯებს შეფის გარეშე ვერ გავიღებ, ამიტომაც, კეთილი ინებეთ და, თეატრის დირექტორთან — ტიმ ჯეკსონთან მალაპარაკეთო.

გადატვირთვით ჩვენვე გადავტვირთავთ, ხარჯებზე ნუ იდარდებთ, მასპინძელი ქვეყანა ჩვენა ვართ და უფასოდ მოგემსახურებით, მთლად ისე კი არაა საქმე, როგორც იქეთ, კაპიტალისტურ სამყაროში გეჩვენებათო, საბაჟოს მორიგემ სმენაზე გაჭიმულ სამ ჯარისკაცს ამაყად გადახედა.

შერვუდმა მადლობით მიიღო შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავაზებული „უფასო მომსახურება“, მაგრამ მაინც გაჭირვეულდა; დირექტორთან საუბრის გარეშე ვერ დაგყაბულდებითო.

გაიცა განკარგულება და ორიოდე წუთში ორი ინგლისელი „გუდ მორნინგებითა“ და „აი ანდერსტენდებით“ ეჭიკჭიკებოდა ერთმანეთს. დირექტორი სასტუმროში არ აღმოჩნდა და მცხეთისკენ მიმავალ ინტურისტის მანქანაში მისცეს ხელთ ყურმილი.

საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა და ბოლოს შერვუდმა ყურმილის დაუდებლად, დატანჯული სახით მიმართა საბაჟოს მორიგეს, დირექტორი თანახმაა, თუ იმის გარანტიას მოგვცემთ, რომ დეკორაციები არ გაფუჭდება და ჩვენი ბარგი ზეგ, თერთმეტ საათზე თბილისში აღმოჩნდება, რადგანაც მაზეგ, 3 ივნისს სპექტაკლი დანიშნულია; აფიშები გაკრულია და ბილეთები გაყიდულიაო.

ჩვენმა მხარემ გარანტია დაუფიქრებლად შეაგება, რის შემდეგაც მაიკლმა რამდენიმე ნაღვლიანი ფრაზა ჩასძახა ყურმილში და იმ პაციენტის თვალებით მიაჩერდა მორიგეს, რომელიც საოპერაციოდ გაამზადეს და ვეღარაფერს შეცვლის, თუმცა ღრმადაა დარწმუნებული, რომ საოპერაციო არა სჭირს რა.

ნასადილევს მოლოტოვის სახელობის ქარხნის ორი დანჯღრეული საბარგო მანქანა, „სოიუზტრანსის“ ერთი თექვსმეტკაციანი ავტობუსი და „კამაზის“ სისტემის ორი ტრაილერი რომ მიაყენეს ინგლისურ მანქანებს, შერვუდმა და მძღოლებმა შეიცხადეს და „ნოუ, ნოუს“ ძახილით მორიგესთან შეცვივდნენ, მაგრამ მათს პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია. მტვირთავთა „ოცეული“, სანამ მოლაპარაკება გრძელდებოდა, საქმეს შეუდგა. სტუმრები იძულებული გახდნენ საბაჟოს პასუხმგებელ პირთან ურთიერთობის ფუჭი გარკვევა შეეწყვიტათ და მკლავჩახვეულნი, ჰირისუფლებივით დადგომოდნენ თავზე არც თუ უცნობისმოყვარეო მტვირთავებს.

ოცეული ისე ენერგიულად შრომობდა, როგორც შეიძლება შრომობდეს ადამიანთა ჯგუფი, [illegible] საქმეში კაპიკს არ უხდიან და ყველაზე ფაქიზად გადმოტვირთვის შემთხვევაშიც კი მადლობას არავინ ეტყვის. რაკილა დაატყვეს ინგლისელებმა, რომ პირტიტველა მტვირთავები დეკორაციებს ასატანზე უფრო უხეშად ეპყრობოდნენ, კაბინიდან ზურგჩანთა გადმოათრიეს და „საქმეში გაუშვეს“ სუვენირები, სიგარეტები, საღეჭი რეზინები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჰალსტუხის სამაგრებიც კი. მტვირთავებმა სუვენირების გამოძალვის ტაქტიკა ფიცხლივ შეიმუშავეს. ყუთებს ბრახუნით რომ დააგდებდნენ, ან რეკვიზიტს გაუფრთხილებლად შეისროდნენ მანქანიდან მანქანაზე, ეს კი იმის ნიშანი იყო რომ სტუმრებს სიგარეტებისა და საღეჭი რეზინების ხელახალი ჩამორიგება მოუწევდათ.

მტვირთავებს შორის პიწკად დააბიჯებდა ჩვენი ნაცნობი სამი ხელჯოხიანი ჯარისკაცი და, აქაოდა გადმოტვირთვის დროს ხომ არაფერი დაზიანდაო, გულმოდგინედ იცქირებოდა ყუთებში და, ღმერთო შეგცოდე, განსაკუთრებით ყუთების ფსკერზე მდებარე მუყაოს ქაღალდების სისქე აინტერესებდათ.

გამთენიის სამ საათსა და თორმეტ წუთზე გადატვირთვა-ჩხრეკა დამთავრდა. მორიგეს გულწრფელად სწყინდა, რომ ინგლისური თეატრის ბარგში არ აღმოჩნდა საიდუმლო რუკები, მიკრო ჩამწერ-გადამცემები, მასობრივი მოწამლვის საშუალებანი, ან თუნდაც ნარკოტიკები. უხალისოდ შეადგინა საბაჟოს ოქმი და დილის რვა საათზე ისე წავიდა შინ, რომ ცარიელ მანქანებში ძილად მიგდებულ სტუმრებს კი არა, თავის კოლეგებსაც არ დამშვიდობებია.

ბრესტის ლეგენდარული ციხე-სიმაგრის შემოგარენში ნელა, სვენებ-სვენებით თენდებოდა.

ხელისგულისოდენა ტბიდან შურდულივით ავარდნილი იხვი თუ დაარღვევდა საზღვრისპირა სოფლის გუშაგთა ყურადღებას, თორემ სხვა მხრივ სამარისებული სიჩუმე იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხვისთვის, და საერთოდ, ნადირ-ფრინველთათვის, მოგეხსენებათ, საზღვარი არ არსებობს, ისინი თავიანთი ანგარიშმიუცემელი ქცევით, ცოტა საზრუნავს როდი უჩენენ სიჩუმესმიჭიჭინებულ მესაზღვრეებს.

სანამ სტუმრები ჩვენს ჩამოწერილ თუ ჩამოსაწერ მანქანებს ირგვლივ უვლიდნენ და ხელებს ასავსავებდნენ, საბაჟოს სათათბირო ოთახში აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა გაიმართა.

საბაჟოს ახალი მორიგე, რომელმაც ამ დილით შეცვალა ძველი მორიგე, დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ დეკორაციების გადატვირთვის ოპერაცია შეცდომა იყო და საერთაშორისო ურთიერთობაზე ჯანსაღ გავლენას როდი მოახდენდა. ჯერ ერთი, ინგლისელები განა ისე მიამიტი ხალხია, ვერ მიხვდნენ, რისთვის გავითამაშეთ ჩვენ ეს სპექტაკლი და მეორეც, იმან რომ ქუდი დაიხურა და წავიდა, მე რანაირად გავაგებინო ამ პატიოსან ხალხს, რომ ისევ ინგლისურ მანქანებს უნდა ავკიდოთ ინგლისური ტვირთიო. მალე საბაჟოს ეზოში ახალთახალი ვილისი შემოგრიალდა. სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი ორი დიდმესაზღვრე გულმოდგინედ გაეცნო „შექმნილ ვითარებას". წუხანდელი მორიგის საქციელი „სიფრთხილეს თავი არა სტკივას" მოხდენილი ანდაზით გაამართლეს და თავის მხრივ, წინადადება დააყენეს: კაცმა რომ თქვას, მართლაც, რა მოხდება ჩვენი მანქანებით ჩავიტანოთ ბარგი თბილისშიო. საბჭოთა მანქანების ტექნიკური დათვალიერებისას გაირკვა, რომ დარიალის ვიწროებში და ჯვრის უღელტეხილის ოღრო-ჩოღრო გზებზე ეს მონჯღრეული მანქანები სამამულო ინდუსტრიას ერთხელ და სამუდამოდ მოჭრიდნენ თავს. „რაკი ასეა შეხედულებისამებრ იმოქმედეთო", უბრძანეს პასუხისმგებელმა პირებმა საბაჟოს მორიგეს და იქაურობას ისეთივე სერიოზული სახეებით გაეცალნენ, როგორი სერიოზული სახეებითაც მოვიდნენ.

ცოდვას ვერ დავიდებ, მაიკლ შერვუდს არ შეუცხადებია, როცა ბარგის „ოჰიუ—8" კორპორეიშენის" მანქანებზე ხელახალი გადატვირთვა ინგლისის ნაციონალური თეატრის პატივისცემისა და ინტერესების გამოა აუცილებელიო. დაახლოებით მსგავს გადაწყვეტილებას ელოდა თეატრის ტექნიკური ხელმძღვანელი, მაგრამ გულისჯიბიდან ამოწეულ საათზე წამდაუწუმ ორი თითის კაკუნით აგრძნობინებდა მასპინძლებს, რომ დრო არ ითმენდა, ხვალ, თერთმეტ საათზე ბარგი ადგილზე უნდა ყოფილიყო.

საბაჟოში ფაციფუცი ატყდა. გუშინდელი ოცეული საწვრთნელ იერიშზე წაეყვანათ და საღამომდე არ მობრუნდებოდა. სახელდახელოდ შეაქუჩეს აქტივისტი მოქალაქეებისაგან დამხმარე რაზმი და სამხედრო-პატრიოტული მოვალეობა რომ ხმამაღლა მოაგონეს, მერე ხმადაბლა სთხოვეს, გვიჭირს და მანქანების გადატვირთვაში გვიშველეთო. მოქალაქეები მცირე ყოყმანის შემდეგ დათანხმდნენ, მაგრამ ვითარებას რომ გაეცვნენ, განაცხადეს, გადატვირთვის ღონისძიების დროულად და ხარისხიანად ჩატარებისათვის საჭიროა, მანქანები დავუახლოვოთ ერთმანეთსო. ეს უკანასკნელი ღონისძიება დიდ სიძნელეს როდი წარმოადგენდა, მაგრამ უხერხულობას ის ჰქმნიდა, რომ საბჭოთა მძღოლები შინ წასულიყვნენ, ხოლო თავიანთი მანქანები ცხვირით ისე მიედგათ ერთმანეთთან (ვინ იცის, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ) რომ ინგლისური გიგანტები ახლოსაც ვერ უდგებოდნენ.

დაახლოებით კი არა, ზუსტად ოთხ საათზე თითქმის ყველაფერი მოგვარდა. მობილიზაციის წესით მოყვანილი მძღოლები თავს იმართლებდნენ: ჩვენ გვითხრეს, მანქანები დააყენეთ და თავისუფალი ხართო, ჩვენც გავთავისუფლდით და, განრიგის მიხედვით, ზეგ ვაპირებდით სამსახურში გამოცხადებასო.

გადატვირთვა გადმოტვირთვაზე ძნელი აღმოჩნდა. მოქალაქეთა რაზმი ჭირვეულობდა, არც სუვენირებს იღებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხალისით. ჩვენ ჩვენი გასაჭირი გვყოფნის. რა უფლება აქვთ. ბოლოს-დაბოლოს გამთენიამდე ვირებივით რომ გვამუშავებენო. წეღანდელმა პატრიოტულმა აღტკინებამ გადმომტვირთავ-მოიერიშე ჯგუფს მალე გაუარა და ვერც გაამტყუნებდი.

ცა კარგად გამტრედისფერებულიყო საქმეს რომ მორჩნენ. ინგლისელმა მძღოლებმა შერვუდს დემონსტრაციულად განუცხადეს: სამი საათი მაინც თუ არ წავუძინეთ. კაცებად აღარ ვვარგივართ. ფეხსაც ვერ გავადგამთო.

შერვუდი. სანამ მძღოლები გაიღვიძებდნენ. საბაჟოს ეზოში დამჟავებული სახით და არც თუ მთლად სასიამოვნო ინგლისური ჩიფჩიფით დააბიჯებდა.

საღამოვდებოდა პროცესია კავკასიონის მთავარი ქედის მიმართულებით რომ დაიძრა. ვლადიკავკაზში საწვავი შემოელიათ და ჩვენი ბენზინი ჩაისხეს. ჩვენი ბენზინი თავისთავად ურიგო როდია. მაგრამ ინგლისურ კარბურატორს ვერ შეეგუა და ვლადიკავკაზიდან სტეფანწმინდის ვიწროებამდე ეს ამოდენა მანქანები საწყალობელი ხველებითა და ქშენა-ჩიქჩიქით ძლივს ამოვიდნენ. სტეფანწმინდასთან კი ვიწრო მოსახვევში (რომელიც „ოჰიუს—8 კორპორეიშენის" ტიპის გიგანტებისთვის არ იყო გათვალისწინებული) წინმავალი მანქანა ველარ მობრუნდა და ისე საიმედოდ გაიჭედა, რომ დილამდე. სამსახურმა კლდე არ ... გზა არ გააფართოვა. ინგლისელებიც და უკან მომყოლი ქართველი მძღოლებიც კოცონს უსხდნენ და ტკბილი მასლაათით ათენებდნენ.

* * *

...მესამე ზარის შემდეგ. ავანსცენაზე თეატრის დირექტორი სახედაღარული, კაფანდარა, აწოწილი მოხუცი გამოვიდა და მაყურებელს მიმართა:

— ძვირფასო თბილისელებო. იმათ. ვისაც ჩვენი დეკორაციების კოსტუმების და რეკვიზიტის დროულად ჩამოტანა უნდა უზრუნველეყო. თქვენი მდიდარი ფანტაზიის და სულგრძელობის იმედად დაგვაგდეს. ჩვენ ვითამაშებთ „ჰამლეტს". მაგრამ ეს რასაკვირველია ის „ჰამლეტი" ვერ იქნება. რითაც თქვენთან თავმოწონების იმედი გვქონდა.

სპექტაკლი დაიწყო. სცენაზე დაშლიგინებდნენ ჯინსიანი ჰამლეტი და ბანანისშარვლიანი ოფელია. ხოლო რეკვიზიტს და დეკორაციის მაგიერ გამოყენებულ დეტალებს დაკვირვებული მაყურებელი გამოიცნობდა: ინგლისის ნაციონალურ თეატრს ჩვენი „ანზორის", „ღალატის" და „კახაბრის ხმლის" მხატვრულ-ტექნიკური გაფორმებით უხვად ესარგებლა.

ᲛᲘᲕᲓᲘᲕᲐᲠ

„აირია ქვეყანა".

იქნებ არეული აქამდე იყო და ახლა დაწყობის ფუსფუსია. მე რომ ქვეყნის არევად მეჩვენება.

მე მაინც არ უნდა მოვსწრებოდი.

ვწელე. ვწელე ეს წუთისოფელი და აი. ამ დრომდე მოვედი.

ბედნიერები როგორ არ არიან ისინი. ვინც ადრე წავიდა.

საფლავში არ მომასვენებს. თუ ახლა დავიჯერე. რომ რასაც სამოცდაათი წელი ვემსახურე. სიყალბე და სიმახინჯე იყო.

ღმერთო, ყველა დაიფარე სიბერეში ამგვარი სიმართლისაგან.

მოსულიყო ახალი ცხოვრება. მაგრამ იმდენი პატივი მაინც ეცა ჩვენთვის. რომ ისტორიის ჯვარზე არ გავეკარით და საქვეყნოდ არ შევერცხვინეთ.

ახალი გაზეთის გაშლის შიში დამჩემდა ამ ბოლო დროს და ტელევიზორსაც ვუფრთხი. ვაი თუ. სტალინის სიკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვდილით დამწუხრებულ მილიონებში ჩემი სახეც გაკრთეს ეკრანზე და დიქტორმა უმოწყალოდ დამცინოს: — შეხედეთ ამ უბედურს, ამ მოტყუებულ-გაცურებულ კაცსო.

რა გვიქნია, რა სიავენი ჩაგვიდენია.

ლამის ისიც დასწერონ; სამამულო ომის მოგებაც შეცდომა იყო, რომ წაგვეგო. შეიძლება. უკეთ წასულიყო ჩვენი ცხოვრებაო.

მემკვიდრე პირველგამსვლელის შეცდომას რომ უკეთ ხედავს, ამას რა კამათი უნდა. მაგრამ თუ ჩაუთვლიათ ვინმესთვის კარგ ბიჭობად, საკუთარი მამის გმობა და წინაპართა საფლავებზე გუთნით გადავლა?

ეს რომ არ გვექნა, წინ ვერ წავიდოდითო.

იქნებ მართალიცაა. მაგრამ მე რა ვქნა, მე? რა ნუგეშს მაძლევ, ოთხმოცდაშვიდი წლის ბერიკაცს: ჩემი ნაშენები სიმაგრე ბაბილონის გოდოლად რომ გამომიცხადე და ჩემი ნაფიქრ-ნაგვირისტალი მტკნარ სისულელედ?

არ გეშინია, რომ ულმობელი ისტორია, დრო მოვა და შენც გაგასამართლებს?

რა მოწიწებით შემინახავს მადლობები და სიგელები, ჩემი ფიქრით, პატიოსანი, ერთგული შრომისთვის დამსახურებული.

რა სათუთად დამიბნევია ხავერდის ბალიშებზე ბრძოლაში თუ „შრომის ფრონტებზე" მიღებული ორდენები და მედლები.

ნუთუ, ეს ყველაფერი გამასხარავებული კაცის მოტყუების და დაცინვის ფორმები იყო და სხვა არაფერი?

ნუთუ საპნის ბუშტივით გასკდა და უკვალოდ განიბანა ჰაერში ის ჩვენი აღლუმი, ის ჩვენი შემართებანი, ის ფეხაწყობილი ტკაპატკუპი უახლესი ისტორიის ფართო მაგისტრალზე?

ვინ ვართ ჩვენ?

დამნაშავეთა ამქარი და ამიტომ თვითონაც დამნაშავენი გზის სიმცდარე რომ იმთავითვე ვერ შეგვინიშნავს და ცრუპოლიტიკოსებს ცხვრებივით ... ყოლივართ განუკითხაობის ჭაობისაკენ?

თურმე ჩვენი ანგარიშმიუცემელი ჯაჯგურით, რა ცუდი სამსახური გაგვიწევია ქვეყნისთვის, რამდენი თავსატეხი გაგვიჩენია მომავალ თაობათათვის.

ყველაფერი ჩვენ დაგვბრალდა და ისე დაგვაქციეს თავზე ჭერი, ხმა არ ამოგვაღებინეს.

თავის მართლების საშუალება არ მოგვცეს.

ვარგა ასე?

შეიძლება კაცს დანაშაულად ჩაუთვალო; რატომ დაიბადე ათას ცხრაას ორ წელს და ათას ცხრაას ორმოც წელს რატომ არ დაიბადეო?

გუშინ გუნდრუკს გვიკმევდით, შეხვედრებს გვიწყობდით და ხელისგულზე გვატარებდით; „ჩვენი მამები, ჩვენი ბოლშევიკები, პირველი გაწვევის კომკავშირელები, ვეტერანი ოქტომბრელებიო".

ახლა ერთბაშად დაგვივიწყეთ.

არა, კი არ დაგვივიწყეთ (ნეტავ დაგვიწყებოდით) მოგვდექით და ტყავს გვაძრობთ, როგორ დაუშვით ვოროშილოვის და მოლოტოვის პარპაში კრემლშიო.

რევოლუციურ წარსულს თავი რომ გავანებოთ, მსოფლიო ომის მონაწილენი ცოტანიღა დავრჩით და ჩვენც კი გვრცხვენია ვეტერანთა შეკრებებზე და ტრიბუნებზე გამოჩენა.

იმდენჯერ და ისე უმოწყალოდ დასცინეთ ჩვენს რწმენას, რომ ხმა აღარ ამოგვველება, ასე გვგონია, დანაშაული მიგვიძღოდეს თქვენს წინაშე. ვზივარ ახლა მე, გარდასული კაცი, შენს წინ, დაწყობილი მაქვს ერთმანეთზე ჩემი ნაჯაფი, დაღლილი ხელები, ვერ ვმართავ მარილებით დაზრულ ხერხემალს, მტეხავს ისტორიის სანგრებში ნაგდები ნეკრესის ქარებისგან დაჭმული სახსრები...

ვზივარ და თვალებში შემოგყურებ.

რა პასუხს მაძლევ?

ის, რაც შენ ახლა შეცდომად და ბავშვურ თამაშობად გეჩვენება, ჩემი ცხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრება იყო. გესმის თუ არა. ჩემი ცხოვრება.

ერთი წუთით შეგიძლია წარმოიდგინო? შენი სიცოცხლის მიმწუხრზე დაჯარდნენ შვილები და გაგასამართლონ; უარს ვამბობთ შენზე, მამაჩვენო, რადგანაც არაფერი საწალმართო შენ არ გაგიკეთებიაო.

ვინ იცხოვრა შეუმცდარად?

თუ დამისახელებ ისტორიის რომელიმე მონაკვეთს, რომლის მიმართაც პრეტენზიის წამოყენების უამრავი საბუთები არ ჰქონოდა შთამომავლობას?

აბა, მე რას მერჩი, შე კაი კაცო, რატომ გინდა, შემიძულო სიკვდილის წინ, ის, რასაც სიცოცხლე შევწირე? რატომ გინდა, ზიზღით ვუცქერდე ჩემი ძველი ალბომის ფოტოსურათებს კონუსისქუდიანი და წითელვარსკვლავიანი, მაღაროელისკასკიანი და ხელტრანსპარანტიანი ბიჭი რომ ვიმზირები წარსულიდან დღევანდელ დღეში?

ჩემი გულუბრყვილო სახე და ჯიუტი მზერა ნუ გაგაკვირვებს. შენც ასე გამოჩნდები ოცდამეერთე საუკუნის კაცის თვალში შენი გარდაქმნის ხარაჩოებიდან.

გული მატკინე, ბაბაია, წამავალ კაცს.

ის პატარა იმედის სხივიც არ წამატანე, ცივ სამარეში ცოტა ხანს მაინც რომ გამათბობდა.

ღმერთმა გაშოროს, შენმა მემკვიდრეებმა ისეთივე განაჩენი გამოგიტანონ როგორიც მე მარგუნე.

მივდივარ.

ჩემი ფილტვები ცოტა ხანს კიდევ დაჰბერავდნენ ძველი საბერველივით და გულიც, ალბათ, კიდევ შეძლებდა ბებერი სხეულის სისხლით გათბობას, მაგრამ მეყოფა.

ჩემს წასვლას ორი მიზეზი აქვს:

ჯერ ერთი, დავიღალე ჩემი და ჩემი თაობის ლანძღვა-გინების მოსმენით და მეორეც, ნიავს უსიამო ამბები მოაქვს და არ მინდა დავრწმუნდე, რომ ვერც შენ შესძელი დროისთვის შესაფერი ჯილა დაგედგა.

მგონი, ვერც შენ უშველიხარ ბედ-ცურებულ ქვეყანას.

მშვიდობით!"

* * *

ათას ცხრაასა ოთხმოცდაცხრა წლის ჩვიდმეტი მარტის საღამო იყო.

ნასესხებს თავისი გაეტანა. თოვლგარეულად წვიმდა.

დასავლეთის ცივი, უსიამო ქარი ქროდა.

ნინოშვილის ქუჩის დასაწყისთან, ნომერ ოთხ სასურსათო მაღაზიაში „ტალონებზე" ნახევარ კილოგრამ აქოთებულ ყველს არიგებდნენ.

მაღაზიასთან გრძელი რიგი იდგა.

მოქალაქენი შეგუებოდნენ იმ აზრს, რომ აშენებული სოციალიზმის ქვეყანაში ბარათებით ყველის, კარაქის, შაქრის და ხორცის გაცემა, ცოტა არ იყოს, უხერხული რომ გახლავთ. შეგუებოდნენ და უკვე კამათითაც აღარ კამათობდნენ. მართლაც და სანამ შეიძლება იკამათო იმაზე, რასაც ვერავითარი კამათი ვერ შველის.

უეცრად იქვე, მაღაზიასთან ახლოს, რომელიღაც ქუჩისპირა სახლში თოფმა იქუხა.

რიგში მდგომთა თავები მეყვსეულ იქეთ შებრუნდნენ, საიდანაც თოფმა იქუხა.

წამიც და მაღაზიიდან მარცხნივ, მესამე სახლში კივილი მოისმა.

— დომენტი ხელაძისასაა?!

— კი.

— სისულელე ხვარაფერი ჩაიდინა ბერიკაცმა?!

— არ უნდა ლაპარაკი.

— ამღვრეულ ხასიათზე იყო ეს დღეები...

ოთახში შესულთ მძიმე სურათი წარმოუდგათ. საფეთქელგახვრეტილი დომენტი ხელაძე იატაკზე ეგდო, ღია თვალებით ჭერს შესცქეროდა და მარცხენა ფეხს ნელა უსვამდა ფარდაგს. თოფი სამხედრო წესით იღლიასთან ეჭირა, თავზე ბუდიონის ცხენოსანი კავალერიის გაცვეთილი, ყურებიანი ქუდი ეხურა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი ჩარკვიანი

* * *

რეაქტიული მარტოობა,
დაძაბული,
გამოუთქმელი შიში შეხების,
საგნებთან,
საყვარელთან
გაქრა.
რომანტიული ბილიკის,
რითმის ბოლოა.
შელამაზების,
ვაზისყურება ქალიშვილების,
ირმისთვალური სევდა,
სოც-რომანტიზმის
ცისფერთვალება ლმობიერება
გაქრა.
ვარდს გაეფურჩქნა
ატომური სოკო.

რკინაბეტონის ჯუნგლებში,
დაკაცდა მაუგლი
პარაბელუმით ხელში.
დადგა დრო,
გამოთხოვებისა ტყესთან,
დრო უბრალო,
მართალ ფერთა ხელჩაკიდების,
დრო წითლად ხატვის,
წითელ ქაღალდზე,
დრო გაქონილი,
მთვრალი თვალების,
განათხოვარი სმაზე კაცების,
მაშინებელი,
დაუნდობელი,
როგორც ყოველი მართალი
დრო.

* * *

მე აქ ვარ დედა!
პოეტებო აქაურობის,
ჩემო ცოლებო,
ნუ მიმატოვებთ,
დასრულდა დოღი?
რატომ იქეცით ფილმის გმირებად
და როდის ჩართეს ამ დარბაზში სხვა
პროექტორი?
გამარჯვებაა სულისა ხორცზე,
გაზაფხულდება,
თუ ეკრანს იქით დნება თოვლი?
რატომ ვეღარ ვგრძნობ თქვენ შეხებას,
წყენას და სითბოს,

მე მხოლოდ გხედავთ
გაბვეულებს ბენზინის ქარში.
ჩაცმულებს ბოლში.
არა, არ მოვკვდი,
თქვენ არ ხართ სწორი.
სწორია ცარა.
ცასავით სწორი.
მე აქ ვარ დედა,
ბავშვობაში გაგარინელი,
არგაფრენილი.
ბროლის ჭაღივით დაკიდებული,
ჩაშტერებული ყავის ჭიქებს,
თამბაქოს კვამლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მომღიმარი,
სკაფანდრიანი ღმერთი მწამდა
შავ-თეთრი პორნოგრაფიული
იდუმალებისა
და იმავე უჯრაში დამწყვდეული
სოლჟენიცინის.
გალოთდა,
მერე აფეთქდა ჩემი ღმერთი.

მე კი ვისწავლე ალბათ უფრთოდ
ფრენა,
დაკიდებულმა ფეხებით ჰერს,
ბროლის ჭაღივით ჩაშტერებულმა
შენს მკითხაობას
და ფერფლის ზღვას.
გამარჯვებაა სულისა ხორცზე.
გაზაფხულდება
და ეკრანს იქით დნება თოვლი.

• • •

გაუგებარი,
საუბარი,
ბაღში:
მზე უფრო მრგვალია,
ვიდრე მთვარე.
ჩემი ხმა — ხელია
გამოწვდილი მოსახმარებლად.
შენი ქმარი? ვიცი.
რადიაცია მატულობს ყოველი წამით.
ატომურია სადგური,
გარდაუვალი ნელი სიკვდილი,
თუ აფეთქება?
შენი სარკოფაგის ტყვეობაში,
გამიჯნურება სიჩუმესთან
და მძიმე როკი.
გადაუდგმელი ნაბიჯების
გავყვეთ ნაკვალევს,
მაშინაც ამ ფერის თვალები გქონდა?
დაშტერებული მიწას,
დაკარცხებული.
როგორც ფოთოლცვენა,
თუ დღეს ხარ ცუდად?

დაღლილი უთქმელი სიტყვების
ზიდვით.
შენი ტოტები დატეხა შენივე
სეტყვამ
არღირსებულმა ტროტუარებს...
გადმოდგი ნაბიჯი,
ეპიზოდური სიამოვნების ჭრელია
რუკა,
წამო დავლიოთ,
არდასეტყვილი ვაზის სინაზე,
მერე ვიმღეროთ მძიმე როკი,
ანგელოზური ხმით.
აღარავისი გწამს,
დაემხო შენი ცა,
ტროლეიბუსის რჭებს.
გაუგებარი,
საუბარი,
ბაღში:
მზე უფრო მრგვალია,
ვიდრე მთვარე.
ჩემი ხმა — გველია,
მოცოცებული მოსაფერებლად.

• • •

კაფეების დაღლილ შვილს,
გაცვეთილი ცოლის,
ღალატის სურნელი
ასდის ლოყაზე.
ცოლს სძულს მოცარტი,
ქმრის პალტო,
ატონალობა,
აპოკალიფსისი...
და გაუშვა ქაღალდის გემი
ბორდიურის ნავსადგურში
ღამის სათევად.
პალტო. საოვალე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ცალი ამერიკული სიგარეტი,
ჩატეხილი უბის წიგნაკში,
ტელეფონის ნომერთან ერთად,
ამხანაგის ნომრისა,
რომელიც მოკვდა.
ყველაფერი კარგია, რაც არ მთავრდება.
თვალები გაახილა,
ბედნიერებაა.
როცა პალტოთი შეგიძლია სუნთქვა,
ბროლის თასივით გამჭვირვალე ხარ,
ყველასია ის, რაც ხარ,
ვეღარ სძულხარ ცოლს,
შეუძლებელია გძულდეს ჰაერი,
შორია მთვარე,
ამიტომ რჩება მოცარტი,
    პალტო,
    ატონალობა,
    აპოკალიფსისი.
ქალი ქალია — ამბობს ფოსტალიონი.
არეულობის დედოფალი,
შეშლილი ღმერთი,
განათხოვარი მთელ კაცთა მოდგმაზე,
დაქვრივებული.
მებრძოლი უჩინართან,
პომადიანი კოცნა
გეთსიმანის ბაღში.

კაფე დღეს ვეღარ სუნთქავს
მომღიმარი წყვილების კვამლით
აღარავის უნდა სიმღერა,
    სიბრალული,
სულის ქურდობას მოყვება ომი,
    ფალოსური,
    ბალისტიური,
    არგამოხატული,
    ატომური შური,
    მაკვდინებელი,
გნომთა გონორით დამუხტული,
მილიარდ ახლადშობილს,
მშობიარეს დამიზნებული,
    დაუკმაყოფილებელი,
    ზიზღიანი,
    ხარაკირი,
ტელერეკლამა.
ცოლს სჯერა მსუქანი სიკეთის,
ძლიერებიო ამა ქვეყნისა.
კარგად ერკვევა ხორციან კერძებში,
ჩხუბობს;
ხორცის ყიდვა ვერ უნდა ისწავლო?
ვერა — პასუხობს ქმარი,
იცვამს პალტოს,
ბორდიურების გასწვრივ მიცურავს
    ქაღალდის გემი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ბარჯაძე

ღრუბელი — საზღვარი

ღრუბლის ფსკერზე
მარგალიტი მოჩანს,
ღრუბლის ზევით
ბუდეს აგებს ჩიტი.
ღრუბლის ფსკერზე —
ვარსკვლავების ხონჩა,
სიყვარული —
ლურჯი ღრუბლის იქით!

ჭადრის ფოთოლს მოაგორებს ქარი,
შეაჩერებს ისევ ღრუბლის ზევით.
ღრუბლის ფსკერზე — გველის ჭრელი
კანი,
ცარიელი გაბრძოლება სულის!..

ღრუბლის ფსკერზე
მარგალიტი მოჩანს,
ღრუბლის ზევით
ბუდეს აგებს ჩიტი...

* * *

მოწყალებისთვის
ეს ხელიც კმარა —
უღონო, როგორც ბებიას წყევლა...
ასე, ხელგაწვდით
მოვლილი ქალაქს
და თითო ცრემლი ჩამიგდეთ ყველამ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოემბერი — 1988

ღრუბლის ფერი შეგვახსენეს...
სანთელივით თრთოდა წმინდა ჰაერი.
ყველაფერი,
ყველაფერი,
მაგრამ მზეკ? —
მზეს ხომ სხივს ვერ გაუშრობ...
კი!
ჩვენთან არს მაღლით ღმერთი,
დაილოცოს მისი წმინდა საუფლო!..
და მამული გრძნობდა დიდ გულს
და ნოემბრის ქარი ძარღვებს ათბობდა...
იხსენებდნენ:
დავითს,
დიდგორს...
მოქნეულ ხმალს,
ადიდებულ არაგვს...
არაფერი,
არაფერი
არ სტკიოდა ცერზე დამდგარ ქალაქს.
ჯერ ასეთი
არ მქონია მკლავში ძალა,
სისხლი მქონდა —
ძარღვებისთვის უჩვევი
და ფოთოლი.
სულ ორი დღის მაწანწალა,
ორაზროვნად გაფენილი ბუჩქები
თითქოს გრძნობდნენ
გაუმხელელ ნეტარებას! —
დიდ ქალაქში სიყვარულმა იფეთქა...
სამშვიდობოს,
როგორც ნოეს კიდობანი
გადასცურავს დიდი სული
ი ბ ე რ თ ა!!!

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა

თავგადასავალი ლევან გოთუასი

1940 წელიც მშვიდობიანად გადავაგორეთ, ლევანის თქმისა არ იყოს, ის მეტად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი აღმოჩნდა მისთვის. სავსე იყო მოგზაურობებით, ახალი შემოქმედებითი ძიებებით და ყოველ მხრივ დადებითი ემოციებით.

1941 წელიც წარმატებებით დაიწყო. გაზაფხულზე ლევანის ცხოვრებაში მოხდა ღირსშესანიშნავი მოვლენა. ის მწერალთა კავშირის წევრი გახდა. ძლივს გაიხარა ლევანმა, ვხარობდით ჩვენც.

მისი დრამა „მეფე ერეკლე" მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო საბჭომ მიიღო დასადგმელად და კულტურის სამინისტროშიც ეს საკითხი დადებითად გადაწყდა.

ლევანმა დრამა „მეფე ერეკლეს" დამდგმელი რეჟისორი — ვახტანგ ტაბლიაშვილი გაიცნო და პირველი შთაბეჭდილებით მეტად კმაყოფილი დარჩა. მერე კი მას დაუმეგობრდა კიდეც. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა.

1941 წლის 22/VI სრულიად მოულოდნელად საბჭოთა კავშირში დაიწყო ომი. დაიწყო ხალხის მასობრივი გაწვევა ჯარში. საქართველოს მოსახლეობა არაფერს იშურებდა იმისათვის, რომ ფრონტს ჰქონოდა საკმარისად საბრძოლველი იარაღი, სურსათი, ტანსაცმელი, პოლიტიკური თუ მორალური შემართება. ომი საზარელი საშინელებაა, მოაქვს აურაცხელი მსხვერპლი, ნგრევა და მოსპობა, უზომო ზარალი, ხღვა ცრემლი, ნამება, და ფსიქიკის შეცვლაც კი უმძიმესი შიშის, გამძაფრებული განცდისა და ნერვიული სისტემის გამო. თბილისში დაიძაბა მდგომარეობა. შემცირდა სურსათი, გაძვირდა ბაზარი, გაძლიერდა შიში და შიმშილი, გაჩნდა სასურსათო წიგნაკები.

მტრის ჯარი იმდენად მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვნად შეიარაღებული აღმოჩნდა საბრძოლო ტექნიკით, რომ პირდაპირ მარშით მოიწევდა წინ. დაიპყრო საბჭოთა კავშირის უშველებელი ტერიტორია. პირველ ხანებში ჯარი მას ვერ უწევდა წინააღმდეგობას, სულ უკან იხევდა, გერმანელებმა ხელთ იგდეს უამრავი ქალაქი და სოფელი, ტყვედ წაიყვანეს ათასობით მშვიდობიანი მოსახლეობა. უამრავი ხალხი აწვალეს და აწამეს საკონცენტრაციო ბანაკებში.

ასე მძიმედ გავიდა რამდენიმე წელი, გამარჯვების იმედი არ ჩანდა. პირიქით, მტერი განლაგდა მოსკოვის, სტალინგრადის, ლენინგრადის და ჩრდილოკავკასიის მიმართულებით. მზადდებოდა საბოლოო, ძლიერი დარტყმა. 1943 წელს მოხდა სასწაული. გერმანელებმა უკანასკნელი დარტყმა ვერ შესძლეს. პირიქით, ჩვენმა ჯარმა დაიწყო მძლავრი შეტევები და მტრის უკუგდება.

ომის ქარცეცხლი ჩვენ ოჯახსაც შეეხო. 1943 წლის მაისში თამარი გაიწვიეს ჯარში ქირურგად, მოხვდა 714 № 1 ხაზის საველე ჰოსპიტალში, ჩრდილო-კავკასიის ფრონტზე. მე-18 სადესანტო არმიაში სადაც მხედართმთავარი ჩვენი თანამემამულე გენერალი კონსტანტინე ლესელიძე იყო. თამარმა ფრონტთან ერთად გაიარა მთელი ომი გამარჯვებამდე.

ლევანს მწერალთა კავშირიდან სასურსათო წიგნაკები მისცეს, ამიტომ პური და სანოვაგე მოგვემატა, მაინც კვირადღეს მთელი ჩვენი ოჯახის შემოსავლით მარტო წიწილის მეოთხედის ყიდვა შეგვეძლო. თინას სამსახურში ლობიოს წვენს ურიგებდნენ და იმას დიდი სიხარულით მივირთმევდით. ომის გამოცხადებისთანავე სანდროს ჯავშანი მისცეს. ის განაგრძობდა მცირე ელექტროსადგურების მშენებლობას და თბილისში დატოვეს.

გაგრძელება... იხ. „ნიადაგი", № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევანი საერთოდ არ გამოუძახებიათ, ვინაიდან სამხედრო წიგნაკი არ მისცეს.

პირველ ხანებში ომმა შეაფერხა თეატრების მუშაობა. შემდეგ კი მტრის უკუგდებასთან და გამარჯვებებთან დაკავშირებით თეატრმა პატრიოტულ თემაზე შექმნილი პიესების დადგმა დაიწყო. ლევანის პიესა „მეფე ერეკლე" პატრიოტული გამარჯვების სულისკვეთებით იყო ალსავსე. ამიტომ განახლდა ამ პიესის ირგვლივ შემოქმედებითი მუშაობა. მთელი დასი აღფრთოვანებით შეხვდა პიესას. დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, როლების განაწილება.

რეჟისორი ტაბლიაშვილი თითქმის ყველა დეტალს უთანხმებდა ლევანს. რითაც ლევანი ძალიან კმაყოფილი იყო. ტაბლიაშვილის ნიჭსა და უნარს ძალიან აფასებდა.

— ჩვენ თითქოს ამა თუ იმ მოვლენაზე ერთნაირად ვაზროვნობთ, ერთად ვეწევით შემოქმედებით მუშაობას, — უკვირდა ლევანს, ასე მგონია ტაბლიაშვილი გულთმისანია, ყველა ჩემს მოსაზრებას სწრაფად ულებს ალღოს.

სპექტაკლს აფორმებდა ახალგაზრდა დეკორატორი, მხატვარი ჭუბაბრია, რომელმაც ლევანიც ჩართო თავის საქმიანობაში, ამიტომ კოსტუმები, მხატვრობა და მიზანსცენები მისი მონაწილეობით იხვეწებოდა და უმჯობესდებოდა. ლევანი დღედაღამე თეატრში იყო, იმდენად მიეჩვია იქ ყოფნას, რომ შინ უკვე ვეღარ დგებოდა, ყველა კარგად გაიცნო და დაუმეგობრდა კიდეც. კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე სულ ჩვენთან იყო სახლში, თავისი შესანიშნავი ახალ-ახალი მელოდიების შექმნით ატკბობდა ლევანს. ხშირად თავადვე მღეროდა, კიდეც. მოკლედ, ლევანი აღფრთოვანებული იყო არჩილით, მთელმა ოჯახმა ის გულით შეიყვარა.

ჩვენი სახლი მსახიობთა სალონად გადაიქცა. ვინ არ მოდიოდა ჩვენთან, ყველას ვერ გავიხსენებ, განსაკუთრებით კი სერგო ზაქარიაძე, ვასო გოძიაშვილი, რომელიც სანდროს მეგობარიც იყო, სკოლაში ერთად სწავლობდნენ. გრიგოლ კოსტავა, გიორგი შავგულიძე, შალვა ღამბაშიძე, ომიაძე, კვანტალიანი და ბევრი სხვა. იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, სადაც აქტიურად ქალებიც მონაწილეობდნენ — ვერიკო ანჯაფარიძე, ნატო ჯაჩნაძე, ირინა დონჟანელი, მ. ქორელი, სულხანიშვილი, თამარ თეთრაძე და სხვები.

ამ პერიოდში ლევანის გარშემო ძალიან ბევრი ამხანაგი და მეგობარი ტრიალებდა, მწერლები, მსახიობები, სტუდენტობა, ნათესავ-ნაცნობები, მაგრამ ლევანი მაინც უპირატესობას მეგობრობას აძლევდა და ძალიან ახლოს იყო ალეკი ბელიაშვილთან, სერგო ზაქარიაძესთან და ალიოშა ჯაფარიძესთან.

1943 წელს თინა წავიდა სამუშაოდ ქარელის რაიონში. ის დაინიშნა ექიმად სოფელ ხვედურეთში. ეს ლამაზი ქართლის სოფელი ბაღ-ვენახებშია ჩაფლული, ამიტომ ოჯახის გამოკვება და თავის გატანა ძალიანაც რომ გაჭირდეს, აქ მარტო ხილითაც შეიძლება.

1945 წ. დამთავრდა სამამულო ომი, თამარი ჯანმრთელი და უვნებელი დაბრუნდა, ოჯახმა გაიხარა, ყველა ერთად ვიყავით. ომისგან გაწვალებული-გალატაკებული ხალხი ხარობდა. ცხოვრება თითქოს კალაპოტში დგებოდა. ყველაფერი მონესრიგდა, მაგრამ დახეთ სეირს. ხალხმა ვერ მოასწრო ომის უბედურების გადატანა და ახალი უბედურება დაატყდა თავს, ისევ დაპატიმრება და გადასახლება გამწვავდა. მიზეზიც უცბად მოინახა: რატომ თავი არ მოიკალი და ტყვედ ჩავარდიო. ასახლებდნენ შორეულ ბანაკებში. თუ ვინმეს ნათესავი აღმოაჩნდა საზღვარგარეთ, მოგვარე თუგინდ უცნობი, მტრისას, იმ ოჯახს ეჭვის თვალით უყურებდნენ. სრულიად უდანაშაულო ხალხს იჭერდნენ და ასახლებდნენ. ჩეკაში თხზავდნენ ომის პერიოდში სამშობლოს მოღალატეთა მოქმედ ჯგუფებს, რომლებიც ტაშ-ფანდურით შეხვდებოდნენ გერმანელებს. აბა, რომელი ქართველი წავიდოდა ამაზე. მამა-პაპურ მიწა-წყალს და დედა-კერას დაჰკარგავდა და საქართველოში გერმანელებს გაამეფებდა და შეითვისტომებდა. აგრეთვე აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ გარდა ქართველებისა სხვა ერის ხალხს, რომლებიც მთელი თავისი ცხოვრება აქ ცხოვრობდნენ და შესისხლხორცებული იყვნენ საქართველოსთან. მოკლედ ომის შემდეგ ხალხმა ვერა და ვერ ამოისუნთქა, ჩეკამ დაუნდობლად დაიწყო ისევ ოჯახების აწიოკება, დგებოდა გასახლებულთა უშველებელი სიები. სადგურზე მდგარი იყო გრძელი ეშელონები. გამკითხავი და ხალხის კეთილი პატრონი კი არსაიდან არ სჩანდა. ომი აღარ იყო, მაგრამ უბედურება არ ილეოდა.

რასაკვირველია, ლევანის საქმეც არ იყო კარგად. ჯაშუშები ამ ბოლო ხანებში უფრო გათავხედდნენ და ლევანს საშველს არ აძლევდნენ, სიცოცხლეს უმწარებდნენ. ლევანმა ისიც შეამჩნია, რომ თეატრში და საჯარო ბიბლიოთეკაშიც ჩეკას მიერ მიჩენილი ჰყავდა მზვერავები.

ლევანი ცდილობდა ზედმეტად ხალხს არ შეხვედროდა, საჯარო ბიბლიოთეკაშიც კი მოითხოვა ცალკე სამუშაო ადგილი, ხშირად წიგნებს და ჩანაწერებს განგებ სტოვებდა, რომ ენახათ რაზე მუშაობდა და ეჭვი გაეფანტათ. მოკლედ ლევანს აუტანელი პირობები შეექმნა, არადა შემოქმედებითი მუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობა ძალას იკრეფდა, გარეგნულად თავს სათანადოდ მხნედ იჭერდა, შინაგანად კი ცეცხლი ეკიდებოდა. მისი განწყობილება ჩვენზედაც გადმოდიოდა. ყველანი აფორიაქებული ვიყავით, ლევანი ჩვენს დაწყნარებას ცდილობდა. სანამ ჩემი პიესები თეატრში კარგად მიდის და ჩემგან სახელმწიფოს დიდი შემოსავალი აქვს, მე ალბათ ხელს არ მახლებენ. მერე კი რა ვქნა, რაც იქნება იქნებაო.

ამასობაში მარჯანიშვილის თეატრში ძალიან აქტიური მზადება მიმდინარეობდა. „დავით აღმაშენებელს" დგამდნენ. ეს უკვე ლევანის მესამე პიესა იყო. დაინიშნა კიდეც გენერალური რეპეტიცია, იმ დღეს ჩვენ ყველა დიდი ღელვითა და შინაგანი კრთოლვით ისევ ჩვენს ადგილებზე ვისხედით.

მეორე დღეს ლევანი საშინლად აღელვებული დაბრუნდა თეატრიდან. წარმოდგენა საერთოდ მოხსნესო. ჩემთან ერთად მთელი დასი და ადმინისტრაციაც არა ნაკლებ განიცდისო. არავინ იცის მოხსნის მიზეზი, თეატრის უფროსები, აღშფოთებულნი, კანდიდ ჩარკვიანთან წავიდნენო. ძალიან დიდ აქტიურობას და მონდომებას სპექტაკლის აღდგენაში იჩენდა თეატრის დირექტორი ი. გვინჩიძე.

სადღეისოდ, როდესაც „დავით აღმაშენებლის" ირგვლივ მასალებს ვაგროვებდი, მე და ქალბატონმა მაია კვანტალიანმა მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმში ბევრი ვეძიეთ, გვინდოდა დაგვედგინა იმ წელს წარმოდგენის მოხსნის მიზეზი. სათანადო ჟურნალებშიც და წიგნებშიც ამის ამსახველი ჩანაწერები არ აღმოჩნდა.

დრამა „დავით აღმაშენებელი" რამდენიმე ხნის შემდეგ მაინც გავიდა.

„დავით აღმაშენებლის" ერთ-ერთი წარმოდგენის შემდეგ ლევანი საშინლად აღშფოთებული მოვიდა სახლში.

სპექტაკლის დამთავრებას მაყურებელი ტაშით შეხვდა, მოგვიყვა ლევანი. მსახიობებმა სცენაზე თითქმის ძალით გამომიყვანეს. მართალი გითხრათ ძალიან მოხარული და გულმომთბარი შევეგებე ხალხს, აბა ასეთი გამარჯვება და აღიარება ვის არ გაეხარდებოდა, ეს ხომ ჩუნებრივი ამბავია.

სრულიად მოულოდნელად ჰარტერის წინა რიგში მჯდომი ზედმეტად აღფრთოვანებული კაცი დავინახე, იმანაც თვალი თვალში გამიყარა, ჩემდაუნებურად შინაგანი კრთომა ვიგრძენი, ფრუანტელმა დამიარა და ცივმა ოფლმა დამასხა. იმ წუთში ჩემთვის ყველაფერი დაკარგული იყო, სცენა სწრაფად დავტოვე. — თუ მიხვდით, ვინ ყოფილა ეს კაცი, გვმართა ჩვენ ლევანმა, მაგრამ თვითონ სიტყვის ამოღების საშუალება არ მოგვცა, აღშფოთებით წარმოსთქვა — ის ჯაშუში, რომელიც უკანასკნელ პერიოდში ასე უმოწყალოდ დამდევს, დახე იმის თავხედობას, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, თვალთმაქცურად, დიდი აღფრთოვანებით, გაბრწყინებული თვალებით ტაშს მიკრავდა და რაც მთავარია, ჩემი ყურადღების მიქცევა უნდოდა. მიიქცია კიდეც, კულისებში თავი შევიმაგრე, უბრალოდ შიში კი არ მომერია, მის თავხედობაზე სასტიკად გავბრაზდი. ისევ გავბედე სცენაზე მტკიცე ნაბიჯით გასვლა. ვფიქრობდი იქით აღარ გამეხედა. — ო, რა ყოფილა თვალები, ისინი მალულად ჩემდაუნებურად იქითკენ თვითონ გაიქცნენ. სკამი თავისუფალი იყო, ნამდვილად გამეხარდა, თავისუფლად ამოვისუნთქე. ასე, რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, რას მოვიმოქმედებდი, ისე გამიჭირა საქმე ჯაშუშმა. იმ წუთშივე გადავწყვიტე გზაში, რომ ამეკიდოს უსათუოდ ლაზათიანად გავტყეპავ მეთქი. სახლში მსახიობებმა მანქანით წამომიყვანეს, თორემ ჩემს გადაწყვეტილებას უსათუოდ შევასრულებდი. ასე ვფიქრობდი, საბოლოოდ ჯავრს ჯაშუშზე მაინც ვიყრი მეთქი.

— ლევან! ძალიან შეწუხებით წამოიძახა დედამ, ხომ შეიძლება, რომ ჯაშუშსაც შენმა წარმოდგენამ სადღაც ადამიანური გრძნობა გაუღვიძა, ის შენი ნიჭის მოტრფიალე გახდეს.

— მე ეს სრულებით არ მამშვიდებს და არც მჯერა მისი კარგი კაცობის, ის ნამდვილი ჯაშუშია. მხოლოდ ხალხის წინაშე თვალთმაქცობს. ასეთი ადამიანები საზოგადოებისათვის უფრო საშიშნიც არიან.

გავიდა ხანი, ჯაშუში არ გამოჩენილა და ლევანიც უფრო თავისუფლად დაბიჯებდა თბილისის ქუჩებში. ცოტახანში შეამჩნია, რომ მასზე მეთვალყურეობა გრძელდებოდა. გული საშინლად ეტკინა, თეატრში და საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც ის ხშირად მუშაობდა მეთვალყურეთ იქაური თანამშრომლები ჰყავდა მიმაგრებული. ამჯერად ისინი შეუცვლიათ. ყველაზე მძიმედ იმას განიცდიდა ლევანი, ამ ორივესაც ძალიან კარგად იცნობდა თითქოს მეგობრობდა კიდეც.

— ნუთუ ხალხი ისე დაკნინდა და გაფუჭდა, გულისტკივილით ყვებოდა ლევანი. — ცუდი საქმეც, შიშმა გააკეთებინა და ყველაზე საშინელიც ის არის, რომ ვერ დაემდურები.

1945 წლის ბოლოსათვის ოჯახი წელში გაიმართა. დედამ ძალიან გაიხარა, ოჯახში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრული კეთილდღეობა და ბედნიერება სუფევდა. ყველა შვილები ჯანმრთელად და კარგად ვიყავით. სანდრო და თინა ფეხზე უკვე მყარად იდგნენ. თამარი უვნებლად დაბრუნდა სამამულო ომიდან და დაიწყო მუშაობა. მზია უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობდა. მართალია დედას სიბერე შემოეპარა, მაგრამ მომავალს მაინც იმედის თვალით უყურებდა, მხნეობდა, ძველებურად ყველაფერი აინტერესებდა, მთავარი კი ის იყო, რომ ლევანის მწერლურმა ნიჭმა იფეთქა და იგი გამოვიდა საყოველთაო ასპარეზზე. მისი სამი დრამა „მეფე ერეკლე", „უძლეველი", „დავით აღმაშენებელი" და მეოთხე კომედია „სამი პატარძალი" დიდი მონონებით და ოვაციებით მიდიოდა თეატრებში.

ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გამოკეთდა ოჯახის მორალური და ეკონომიური მდგომარეობაც. ყველასათვის ისევ გაიღო ჩვენი სახლის კარი, ლევანთან მოდიოდნენ მწერლები, მსახიობები, მეგობარ-ნაცნობები, ნათესავები, იმართებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ლიტერატურული საღამოები. ლევანის ახალ ნაწარმოებთა წაკითხვა.

მერე, რაც მთავარია, სანდრო დაოჯახდა. დედა და ოჯახის წევრები ლევანის დაოჯახებასაც ვუცდიდით. ლევანი ამაზე თანახმა იყო, საცოლე გაგვაცნო კიდეც. ჩვენ ყველას ძალიან მოგვეწონა მისი არჩეული ცხოვრების მეგობარი. ქორწილი შემოდგომისათვის დაინიშნა. აქაც მისი ბედი უკუღმართად დატრიალდა დაპატიმრების გამო, ყველაფერი აირია.

მეხივით დაგვეცა თავს ლევანის დაპატიმრება. ეს კი ასე მოხდა.

1946 წ. ზაფხულში ლევანმა დააპირა მესხეთ-ჯავახეთის, უფრო სწორედ სამცხეს ცხოვრების შესახებ ისტორიული რომანის დაწერა. ამისათვის გადაწყვიტა მესხეთ-ჯავახეთში მოგზაურობა და მასალების შეგროვება. თინა სულ იმას ეუბნებოდა — ლევან, იქითკენ ნუღარ წახვალ, ისევ რამე არ შეგემთხვესო. ეს მხარე შენ ცუდად გაქვს დაცდილი, ორჯერ იქედან იძულებით წამოგიყვანეს და არ გასამდესო. ლევანი იღიმებოდა და ყველას გვაწყნარებდა.

მოგვიანებით გვიამბო:

ვარძიის ხილვით გული რომ ვიჯერე, მერე ასპინძის ნაბრძოლებ ადგილებს დავუარე, ბრძოლების სიმძაფრე და სისასტიკე ყაყაჩოების სიმრავლით შევიგრძენი. საითკენაც გულმა გამწია იქით წავედი. მარტო ხეტიალში დავიღალე და შემომაღამდა კიდეც. ეს ანუშშიაც არ ჩავაგდე. აქ ხომ ყველგან ... რთველოა, სადაც დამიღამდა, იქვე მივწექი.

დილას ხერთვისის ციხისაკენ გავწიე. კეთილი განწყობით გალალებულმა უეცრად მტკვრის გადაღმა რაღაც მანქანას მოვკარი თვალი, შიგ რატომღაც ჩემი ჯაშუში შევიცანი. გულში ელდამ გამკრა. იქნებ თბილისში მოვასწრო ჩასვლა, — გავიფიქრე ელვისებურად. სირაქლემასავით ხან ტყეს შევაფარე თავი, ხან კი ჭალებში გადავედი, საუბედუროდ დავრწმუნდი, რომ მანქანა მე მომდევდა. სხვა გზა არ მქონდა, ავედი ხერთვისის ციხეში, საიდანაც მეორე გზით ვაპირებდი უკან თბილისში დაბრუნებას, მდევრებისაგან თავის დაღწევას.

ხერთვისის ციხის გარშემო დიდი ჟრიამული დამხვდა. პიონერთა სასახლიდან, სამოგზაუროდ მზია ერისთავს ბავშვები და მათი პედაგოგები წამოეყვანა. ბევრ ნაცნობს შევხვდი, ბავშვები სიყვარულით შემომეგებნენ. ვისაუბრეთ და სურათიც ერთად გადავიღეთ. მე საშინელ საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი. საცაა ჩემი სულთამხუთავები აქ გაჩნდებოდნენ. ჩემი აქ გაჩერება დროის დაკარგვას ნიშნავდა და არ იყო გამართლებული. ექიმ-მთამსვლელს გოგი ცისკარაშვილს ჩემი საიდუმლოება გავანდე. ზურგჩანთა დავუტოვე და შევეხვეწე, დაპატიმრების შემთხვევაში ოჯახს დროულად აცნობე-მეთქი. ბავშვებს თავი მოვარიდე და ხერთვისის ციხის უკან მიუვალ ბილიკზე გადავედი. სწრაფად დავეშვი. რატომღაც თბილისში ადრე ჩამოსვლა თავის შველა მეგონა. ხერთვისის ციხის დაბურული ადგილები მშვიდობით გავიარე, ვფიქრობდი, რომ ჩეკისტებს თავი კარგად მოვარიდე. დრო მოსაგები მქონდა, მაინც შარაზე უნდა ჩავსულიყავი და მტკვარი გადამეკვეთა, სხვანაირად სამშვიდობოზე ვერ გავიდოდი. ეს მძიმე მონაკვეთი კი, რომელიც მე მქონდა გასავლელი სახიფათო ზონა იყო. მარტო აქ შეიძლებოდა ჩემი დაჭერა. ისევ საგონებელში ჩავვარდი, როგორ მოვქცეულიყავი ვერ ვსაზღვრავდი. მაინც გადავწყვიტე ამ უბნის გადალახვა. სწორედ აქ მიმტყუნა ბედმა. გზა შარაზე სირბილით ჩავიარე, მტკვარშიაც ჩავტოპე და მეორე მხარეს გავედი. მანქანა არ ჩანდა, ვიფიქრე მეშველა-მეთქი, მაგრამ გვიან შევნიშნე როგორ ქურდულად მომდევდა მანქანა, ისინი შემობრუნდნენ. გზას შემოუარეს და წინ გადამიდგნენ, 4 კაცი მანქანიდან ერთდროულად გადმოხტა.

— ჩვენთან ნამობრძანდითო, — ისეთი მეგობრული ტონითა და მოპატიჟებით მითხრეს თავაზიანად, რომ თუ არა ნაცნობი ჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუში, ნამდვილად სუფრაზე მოპატიჟება მეგონებოდა კეთილ მსურველებთან. არავითარი წინააღმდეგობა აღარ შეიძლებოდა. ეს არც ღირსეული იქნებოდა.

— მკერდში უჩვეულო სიმძიმე ვიგრძენი. ეხლა კი ნამდვილად მივხვდი, რომ რაღაცა საშინელი მელოდებოდა, ამის გამო წუთიერად მთელი ტანის ტანჯვა და ტკივილი ვიგრძენი. მტკვარს დავეწაფე, გამშრალი ხახა გავისველე და გავარვარებული თავი გავიგრილე.

მთელი გზა ღრმა ფიქრებში ვიყავი წასული, ამდენ ხანს ჯაშუშები რომ დამდევენ, კიდევ კარგი დამაცალეს. მართალია, ყოველი დღე მძიმედ გადასატანი და ღამე მოგებულად მიმაჩნდა. ჩემთვის უჩუმრად სულ იმაზე ვდარდობდი — სადმე არ „გადამჩეხონ" ან „ჩამჩხირონ" მეთქი და აი, სად მიპოვნეს.

დასამალი მე არაფერი მაქვს. ჩემი სინდისი სამშობლოს წინაშე პატიოსანი და უღალატოა. იქ ჩეკაში ყოველთვის ჩემი ერის მოღალატედ გამოვყავდით, ესეც ჩემი ბედის დაცინვა იყო.

თავად განსაჯეთ — რა შუაშია ქართველი ერი და საქართველო, თუ პარტია და წყობა არ ვარგა? ერს ვერაფერს დაუმალავ, გაიგებს. ერს ვერ მოატყუებ. ერი თუ გენდო, ყოველთვის შენი იმედი ექნება. ახლა საშინელი დროა, ერი იმდენად დააკნინეს, რომ უბრალო განძრევისაც ეშინია, ბრძოლის უნარიანობაზე კი საერთოდ ნურაფერს ვიტყვით, გარშემო იმდენი უბედურებაა, რომ უმრავლესობას თავი მწუხარებაში აქვს ჩაფლული.

— ზურგჩანთა ხერთვისში მაქვს დატოვებული და წამოვიღოთ.

— თქვენ ამაზე ნუ იდარდებთ, აგერ თქვენი ზურგჩანთაო, — ბავშვებმა თუ გაიგეს ჩემი ამბავი-მეთქი. შევეკითხე.

— ჩვენ იქ მყოფებს ვუთხარით, დილიდან ვეძებთ, ქვევით დიდი სუფრა გვაქვს გაშლილი და საქეიფოდ უნდა წავიყვანოთო.

ამ ტყუილს ვინ დაუჯერებდა, ყველა ხერთვისში მყოფმა, უფროსებმა, თუ ბავშვებმა. გაიგო ლევანის დაპატიმრება.

გოგი ცისკარიშვილმა მეორე დღესვე შეგვატყობინა ყველაფერი. მაგრამ ყველაფერი უკვე გვიანი აღმოჩნდა.

იმ მძიმე დროს თინა საგურამოში ისვენებდა, მწერალთა დასასვენებელ სახლში, ლევანშა უშოვა საგზური. იქ ისვენებდნენ კარლო კალაძე, თამარ აბაკელია, რაჟდენ გვეტაძე თავისი ოჯახით და ბევრი სხვა მწერალი. ასე, დღის 5 საათი იქნებოდა როდესაც კარლომ მითხრა, — ჯერ ... აგერ მანქანა არისო, — იგონებს თინა.

— რა მოხდა, — შეეკითხე შეშინებული, — მგონი სახლში თქვენთან ჩხრეკა ყოფილაო. თინა გულგახეთქილი სახლში წამოვიდა. გზაში სანდროს შეხვდა, რომელიც ახალციხეში მიდიოდა, — მინდა იქ დაწვრილებით გავიგო ლევანის დაპატიმრების ამბავი, მალე დავბრუნდებიო.

თინა სახლში რომ შემოვიდა, უცებ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ისეთი სურათი დახვდა. ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა, ჩვენ ყველა გაშეშებული ვიყავით.

— ეს რა უქნიათ მაგ ურჯულოებს, როგორ დაურბევიათ ჩვენი სახლი, როგორ უნდა ვიცხოვროთ? არაფერი მთელი აღარ შეგვრჩა?

ჩვენ თინას მოვუყევით თუ როგორ მოხდა ყოველივე. ჩვენ ახალი ამდგარი ვიყავით, დილა ადრიან გოგი ცისკარიშვილი მოგვადგა და ლევანის დაპატიმრების ამბავი გვიამბო. დედა, მე და მზია ისე დავიბენით და გავშრით, რომ პირდაპირ გავშეშდით. სასწრაფოდ სანდრო გამოვიძახეთ. რა უნდა გაგვეკეთებინა, უცებ ვერ წარმოვიდგინეთ. მერე კი გადავწყვიტეთ ლევანის ნაწერების გადარჩენა, მაგრამ უკვე გვიან იყო: ხუთი ჩეკისტი თავზე დაგვადგა. ჩხრეკა საშინელებაა. მძიმედ დაგვარბიეს, თავმოყვარეობა შეგვილახეს, ყველაფერი დაგლიჯეს. ავეჯი დაამტვრიეს, გააფუჭეს, გატეხეს, არცერთი სკამი აღარ დაგვრჩა, წიგნები სათითაოდ დაფურცლეს, დაგლიჯეს და იატაკზე დაყარეს. ჩხრეკას ვერ გადაურჩა ლეიბი, საბანი თუ ბალიში, ყველაფერი დაიჭრა და დაიყარა.

— ნეტავი ვიცოდე, რას ეძებთ ამისთანას, — შეწუხებული ეკითხებოდა დედა. — თქვენ ბარბაროსები ხართ, რას ერჩით ნივთებს, ავეჯს და წიგნებს. ლევანს არავითარი ბრალი არ მიუძღვის, ის პატიოსანი კაცია! — ჩეკისტებმა წიგნებში, ნაწერებში და საერთოდ სახლში ჩხრეკის დროს ვერაფერი რომ ვერ იპოვეს ხელწამოსაკრავი და საეჭვო, ლევანის ნაწარმოებებს დაეძგერენ, ხელნაწერებს გლეჯდნენ და ყრიდნენ. განა ამის ატანა შეიძლებოდა; ჩვენ საშინელი ჩხუბი და ყვირილი ვავუმართეთ ჩეკისტებს. ისინი არ მოელოდნენ ამას.

შეწუხებულები, დაღლილ-დაქანცულები, ანერვიულებულები და დარბეულები მშივრები გარეთ თავს ველარ ვყოფდით, გვეშინოდა. არც არავინ ჩვენთან არ შემოსულა. ყველას შიშის ზარი ეცა.

შემდეგ სახლში ჩეკა ჩაგვისახლდა, ყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე მოდიოდენ და ლევანის ნაწერებში იქექებოდნენ, სულ სხვადასხვა ხალხი ურევდა ხელს, რაღაცას ეძებდნენ და ეძებდნენ. ხშირად ტელეფონის ზარიც ირეკებოდა. — „რა აქვთ კარგი, რისი წამოღება შეიძლებაო", — მაგ გლახაკებს ახალი არაფერი აქვთ, ყველაფერი ძველიაო. ბევრის წამოღება არ შეიძლებაო, რასაც შევარჩევთ წამოვიღებთო — პასუხობდნენ ჩეკისტები ყოველგვარი სირცხვილისა და სინდისის ქენჯნის გარეშე.

ამრიგად სახლში მძიმე ვითარება დამკვიდრდა. თბილისში კი, ლევანის დაპატიმრებასთან დაკავშირებით, რა ჭორები არ დაირხა. განსაკუთრებით ვილაცა ავრცელებდა ხმას, რომ ლევანი საზღვარგარეთ გადიოდა და საზღვარზე დაიჭირესო. ბევრმა ეს ტყუილი დაიჯერა კიდეც და გაამტყუნა ლევანი.

— ასეთი კარგი სახელი პქონდა ლევანს, ასეთი ნარმატება დრამატურგიაში, დიდი შემოსავალი, მეტი რაღა უნდოდა იმ მამაცხონებულსო, — მერე კი, როცა გაიგეს სიმართლე ძალიან შეწუხდენ.

თბილისში დაჭერები გრძელდებოდა — დააპატიმრეს ის ხალხი, ვინც ლევანთან მეგობრობდა. ჯერ მთამსვლელები კოტე ჯავრიშვილი და გრიშა გიორგობიანი დააპატიმრეს, მერე ილია სარჯველაძე, ბონდო ემხვარი, მაყვალა რამიშვილი, გოგი ლომთათიძე, ვალოდია ვაშაკიძე, ბესო ვაშაკიძის ძმა, რომელიც წინათ ლევანთან ერთად იყო გადასახლებაში, ვახტანგ ბეწუკელი, ნინო ყარანგოზიშვილი, გვერდწითელი და სხვები, საუბედუროდ მათი გვარები ველარ გავარკვიეთ. შემდეგ დააპატიმრეს ჩვენი ნათესავი სპირიდონ ჭყონია, მეტად განათლებული იუმორით სავსე. უაღრესად კეთილი კაცი, რომელიც პოლიტიკაში არასდროს არ ერეოდა, დაპატიმრებულებს აბრალებდნენ რაღაც საშინელ ჯგუფურ დანაშაულს. გამკითხავი კი არავინ იყო, პირიქით, დღითიდღე მწვავდებოდა ყველაფერი. არც გადაცემას ღებულობდნენ, ვერ გავიგეთ მის შესახებ რაიმე და გამოძიებაც უსაშველოდ გრძელდებოდა.

ამ პერიოდში საქართველოში ცხოვრება უფრო გაართულა მუცლის ტიფის ეპიდემიამ. იღუპებოდა უამრავი ხალხი, განსაკუთრებით კი ბავშვები. ამიტომ პედიატრ ექიმები რაიონებში მივლინებებით მიდიოდნენ და ბავშვებს დახმარებას ადგილზე უწევდნენ. თინასაც მოუხდა წალკის რაიონში წასელა, საიდანაც რამდენიმე ხნის შემდეგ ტიფით მძიმე ავადმყოფი ძღვს ჩამოვიყვანეთ. ის ქალაქის პირველ საავადმყოფოში მოვათავსეთ, აქ კი პროფესორმა, ქალბატონმა მარიამ უგრელიძემ უაღრესად „კეთილშობილმა, სწავლულმა და გულკეთილმა" ექიმმა, თავის ასისტენტს თავადვე უმკურნალა და მოუარა. ამით მან ჩვენს ოჯახს დიდი სულიერი, მორალური და მატერიალური დახმარება გაუწია.

ამრიგად ოჯახს მეორე უბედურება დაატყდა თავს. ძალიან გაგვიჭირდა როგორც ლევანის ნინა დაპატიმრებისას, ისევე ახლაც ჩვენი ოჯახის ორი შვილის ყოფნა არყოფნის საკითხი დადგა. ორივეს სჭირდებოდა ზომაზე მეტი მზრუნველობა, თანადგომა, და, რაც მთავარია, მორალური და მატერიალური დახმარება.

თინას მძიმე მდგომარეობის გამო მე, მზია და მარო დღე და ღამე საავადმყოფოში ვიყავით. სანდრო ლევანის საქმეებზე დარბოდა. ლევანის შესახებ ჯერ არაფერი ისმოდა. ჩეკაში არაფერს გვეუბნებოდნენ. გადაცემის საკითხიც ძველებურად რჩებოდა, ყოველთვის უშედეგოდ, რას იძიებდნენ ამდენხანს, წარმოუდგენელი იყო.

თინა ტიფს გადაურჩა, ექვსჯერ შეაბრუნა, უმძიმესი გართულებებით. გრძნობაზე რომ მოვიდა, სახლში წაყვანა მოითხოვა. შიშით ლევანზე არაფერს გვეკითხებოდა, პასუხის ეშინოდა და მეტად დარდობდა. მერე ჩვენ თვითონ მოვუყევით რაც ვიცოდით. იმანაც მტკივნეულად განიცადა, რომ ავადმყოფი ვერაფერში გვეხმარებოდა. თინა სახლში წამოვიყვანეთ. სახლში ავადმყოფობა ისევ შეუბრუნდა, ძალიან დასუსტდა და დაუძლურდა. ამ პერიოდში დედაც ავადმყოფობდა.

ლევანის ირგვლივ ერთ დღეს თბილისში საზარელი ხმა დაირხა, ყველა საიდუმლოდ, აღშფოთებით და დიდი მწუხარებით რაღაცაზე ჩურჩულებდა, ვიშვიშებდა და ცრემლად იღვრებოდა. ჩვენ არაფერი ვიცოდით, მოირბინეს შეწუხებულმა ნათესავებმა, მეგობრებმა, მსახიობებმა. ყველა გულისტკივილით შემოგვცქეროდა. ბოლოს ერთმა ხანშიშესულმა ნათესავმა ჩვენთან სახლში შემოსელისთანავე დედას მიატირა — საწყალი ლევანი დალუპულაო. იქაურ წამებას ვერ გაუძლო, თავი მოუკლავსო, ჩეკამ მაინც მიიყვანა თვითმკვლელობამდეო. დედა გაშეშდა. აუწერელი ტრაგედია დატრიალდა ჩვენს სახლში. უცებ დედამ საშინელი კივილ-ყვირილი მოართო და მის გარშემო შეყრილი ხალხი გარეთ გაყარა.

— გლოვა შეჩერდეს. — გაპკიოდა ის, — ლევანი მტკიცე ნებისყოფისაა, თავს არ მოიკლავდა და არ შეაკლავდა ამ ჯაშუშებს. ლევანი რომ ცოცხალია მჯერა და ამაზე მეტი არც ლაპარაკი და არც ჭორი აღარ გავიგონო. მართალია, ლევანის თქმისა არ იყოს, ციხეებში უკანასკნელ პერიოდში ნამებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხეში და ბარბაროსული მეთოდებია შემოღებული, მაგრამ ლევანი ჩემი შვილი არ არის? გაუძლებს ყველაფერს. ეს თბილისში ისევ ვიღაცის მიერ გავრცელებული ჭორია, როგორც მისი დაპატიმრების დროს მოჩმახული საზღვარგარეთ გაქცევის და საზღვარზე დაპატიმრების ამბავი. სად ხერთვისის ციხე და სად თურქეთის საზღვარი. ვიღაცა განგებ ავრცელებს ამისთანა ჭორებს ლევანზე, ეს მას ხელს აძლევს ალბათ. მეტი ამისთანა ამბავი აღარ გამაგონოთ, — ჯავრობდა დედა. ყველა წავიდ-წამოვიდა შემკრთალი. ჩვენც გავიკმინდეთ, მაგრამ შინაგანად ცეცხლი გვეკიდებოდა. საჭირო იყო სინამდვილის გაგება. როგორ, საიდან? მე ჩემი სკოლის ამხანაგის ძმას, ვალოდია მიხაილოვს მივაკითხე. იქ მუშაობდა კარგ თანამდებობაზე. ვალოდია ძალიან ახოვანი ვაჟკაცი იყო, კეთილშობილი. ყოველთვის მახსოვდა მამის ნათქვამი, ნათელ სახეში კეთილი გული ეძიეო. სწორედ ნათელი სახე ჰქონდა ვალოდიას და მისი გულკეთილობაც ვიცოდით ყველამ, მისი დის ანიკოს ამხანაგებმა.

მე და თინა შევხვდით ვალოდიას. შევეხვეწეთ, შეევედრეთ ლევანის ამბის სიმართლე გაეგო, რანაირიც მწარე არ უნდა ყოფილიყო. ვალოდია შეწუხდა: — თქვენ არ იცით: იქაური მუშაობის ამბავიო, ლევანის შესახებ მე ვერავის ვერაფერს ვერ ვკითხავ, ეს არაა სასურველია და საეჭვოც. ამიწერეთ მისი უტყუარი ნიშნები, თუ ცოცხალია, შეიძლება დილით ეზოში გამოყვანის დროს მე თვითონ დავინახოო. დაწვრილებით ავუწერე ლევანის გარეგნობა, მან სურათი მოგვთხოვა. ისიც ვაჩვენეთ. ვალოდია დაგვპირდა — მეორე დღეს ყველაფერს შეძლებისდაგვარად გაარკვევდა.

მთელი ღამე თეთრად გავათენეთ გარინდებულებმა და გაშეშებულებმა. ამასობაში ლევანის თვითმკვლელობის ჭორი თბილისში ძლიერ ღვივდებოდა. ვინ რას არ უმატებდა, ვინ რას არ ამტკიცებდა! ტელეფონის ყურმილს აღარ ვიღებდით, დედამ აგვიკრძალა.

დანიშნულ დროს დიდად შემკრთალნი, შიშითა და ღელვით ვალოდიას შევხვდით. მან დანახვისთანავე შემოგვძახა — ნუ გეშინიათ, ცოცხალია, კარგად არის, დაწყნარდით, მე თვითონ ვნახეო. ჩვენ გადავკოცნეთ ვალოდია თვალცრემლიანებმა.

— ხუჭუჭი ქოჩორა სადღაა, გაუპარსიათ, — განაგრძო მან, — ცხვირი ნამდვილად თქვენი აქვს და აღნაგობაც, რატომ არ მითხარით, რომ ერთერთ ტერფზე თითები ჰკლებია, მე სწორედ ამით განვასხვავე. მაგრაა დაბეჟილი, ფეხებგასიებული და ჩალურჯებული, ძლივს დადის.

— მაინც რა მოხდა, რატომ დაიჭრა ეს ჭორი, — შეეკითხა თინა.

— ვერ დაგიმალავთ, მცდელობა თვითმკვლელობისა ნამდვილად ყოფილა. როდესაც ლევანი დაკითხვიდან გამოიყვანეს, იმდენად აღგზნებული ყოფილა, რომ მეოთხე სართულის კიბის ბაქნიდან გადმომხტარა. პირველი სართულის ბადემ შეაკავა, თორემ ნამდვილად დაიღუპებოდა. მაგარი ვაჟკაცი ყოფილა, რომ დღეს სიარული შესძლო. ვინც ეს ამბავი გაიგო, რას წარმოიდგენდა, რომ ლევანი გადარჩებოდა, იმწუთშივე ყველა სართულის კიბეების ბაქნებს უშველებელი ბადეები ააკრეს.

დიდი მადლიერების გრძნობით დავშორდით ვალოდიას, სულ ფრენით მივედით შინ.

დედამ რომ გაიგო ლევანის კარგად ყოფნა, სწორედ მაშინ ნახდა. ძალიან შეგვაშინა, გული წაუვიდა.

ყველა ჩვენს ნათესავს ვაცნობეთ ეს ამბავი.

დილა-უთენია მოულოდნელად ტელეფონის ზარმა ყველა გაგვაღვიძა და აგვაღელვა. ტელეფონთან შეშინებული მზია მივიდა, ყურმილში ვიღაც უცნობმა მამაკაცმა იკითხა ნამდვილად ჩვენი ბინა იყო თუ არა, შემდეგ კი შეგვატყობინა:

— ლევანი გუშინღამე ციხეში გადაიყვანეს. გათავდა მისი ტანჯვა და წამება, სრულიად დაუმსახურებლად სასჯელიც აჰკიდეს (მოსკოვის „სამეული") მაგრამ რას იზამ, ეხლა კაცუნები მეფობენ, ანადგურებენ საქართველოს ნიჭიერ ახალგაზრდობას. ამ უკანასკნელ წლებში ლევანი მეტად პოპულარული გახდა, ვინ უმტრო არ ვიცი, აქ კი ამ საძაგელმა უნდობლობა გამოუცხადეს, შეთხზეს და შექმნეს ზღაპრები.

— ვინ ბრძანდებით ასეთი კეთილი კაცი, — აკანკალებული ხმით შეეკითხა მზია. — რომ გითხრათ კიდეც ჩემი ვინაობა, არ მიცნობთ. მე ლევან გოთუას, როგორც მწერალს, უაღრესად ნიჭიერს, განათლებულ ვაჟკაცს და საზოგადო მოღვაწეს დიდ პატივს ვცემ და როგორც პატრიოტი კაცი დიდად ვაფასებ. მართალია დიდხანს ვსდიე მას და კარგადაც გავიცანი. მისმა „მეფე ერეკლემ" გამაგიჟა, ასჯერ ვიყავი წარმოდგენაზე, მე თქვენი ოჯახის კეთილმოსურნე ვარ, თუმცა ლევანს თავის დროზე ბევრჯერ ნერვები ავუშალე. მეწდეთ, ეს ჩემი სურვილი კი არ.ა, ჩემი სამსახური იყო და სხვანაირად არ შეიძლებოდა. დადგება დრო და მეც გამოვჩნდები. ლევანი კი მიხვდება ყველაფერს. ეხლა მიხედეთ ციხეში ლევანს, თორემ შეიძლება ეტაპს ისე გააყოლონ თქვენ ვერა გაიგოთ რა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაოგნებული მზია ხმაჩაკმენდილი იდგა ტელეფონთან.

— ვინ იყო? — შევეკითხეთ ყველა ერთდროულად... მართლაც ვინ იყო ეს კეთილი კაცი? ნუ გაგიკვირდებათ! ცხოვრებაში ბევრი რამ საკვირველი ხდება. წარმოიდგინეთ, ეს კაცი გაიხსენა ლევანმა: ჩემი პირველი ჯაშუში იყო, რომელიც ჩრდილივით დამდევდა და საშველს არ მაძლევდა. ჩემი პიესის პრემიერაზეც გამალებით ტაშს მიკრავდაო. მისი დანახვა „ჩეკაში" არ მესიამოვნა, გავბრაზდი კიდეც, მისი დამოკიდებულება ჩემდამი მე ჯერ უნდობლად მივიღე, მაგრამ შემდგომ ყოველდღიურ ურთიერთობაში გავერკვიეთ. აბა, როგორი წარმოსადგენია? ჯერ ისევ მოგზავნილი ჯაშუში მეგონა, მერე კი მივხვდი მის ორმხრივ სამსახურს, იმ წვალებაში დამეხმარა და არა მარტო მე, ბევრ ჩემისთანასაც. სწორედ მას ვთხოვე ეცნობებინა ჩემი ამბავი. გადასახლებაში უთქვენოთ წასვლა გამიჭირდებოდა. თურმე იქაც ყოფილა კეთილი ხალხი. ეს რომ არ იყოს, ჩვენი საქმე უფრო ცუდად წარიმართებოდაო.

ამრიგად 15/XII ლევანი ციხეში გადაიყვანეს. გათავდა მისი ტანჯვა და წამება. ლევანი გადასახლებაში მიდიოდა, დახმარება სჭირდებოდა. მატერიალურად გვიჭირდა, მაგრამ ამას ვინ უყურებდა. ვალებში ჩავვარდით. სახლიდან გატანილი ფასიანი ნივთებიც გაუფასურდნენ.

მეორე დღეს, დილა-უთენია შეძლებისდაგვარად დატვირთული საგზალითა და თბილი ტანსაცმლით ციხის ალაყაფის კარებს ავეყუდეთ.

ჩვენ გარდა აქ უამრავი ხალხი შეგროვილიყო, გულმოკლული, მწუხარე და მღელვარე. ზოგს თოთო ბავშვებიც მოეყვანა, განსაკუთრებით გულმომკვლელნი იყვნენ დაპატიმრებულთა მოხუცი მშობლები, ალაყაფის კარების წინ ქუჩა გაივსო. თურმე რამდენი გაჭირვებული ხალხი ყოფილა, ვინ მოსთვლის! პატიმართა პატრონები ყველა ერთ ტაფაში ვიწვებოდით. ყველას ერთი უბედურება გვაერთიანებდა.

შევიტყვეთ, რომ ციხეში თურმე ქურდები, ბანდიტები, მკვლელები და პოლიტიკური პატიმრები, ყველა ერთად იჯდა.

— ეს პატიოსანი კაცისათვის სწორედ ყველაზე მძიმე ასატანი სასჯელია, — წუხდა ვიღაც სათნო მოხუცი.

ჩვენ იმ წუთში თვალწინ ლევანი წარმოგვიდგა, ვშიშობდით ისეთსავე მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო, როგორც სალოვკებში და კიდევ არ ჩაედინა რამე.

რიგით 8ნ6 ვიყავით, საღამოს 6 საათზე მოგვიწია ფანჯარასთან მისვლა, მაგრამ უშედეგოდ: გადაცემა არ მიიღეს, ამბავის გასაგებად მეორე დღისათვის დაგვიბარეს. დიდი ღელვითა და განცდით სახლში დავბრუნდით. ეს საშინელი გრძნობაა, მტერსაც კი არ ვუსურვებ ამას. ორი დღე და ღამე ციხის კარებთან ვიყავით ატუზულები რიგრიგობით.

ღამის თევა ქუჩაში ციხის კედელთან საშიში არ იყო. აქ უამრავი ხალხი ირეოდა და მათ შორის ბევრი ნაცნობიც. საჭირო იყო მხოლოდ ჩუმად, აურზაურის გარეშე ყოფნა, ასე გაგვაფრთხილეს ციხის გუშაგებმა — ხმა კრინტს ან აურზაურს თუ გავიგებთ, იცოდეთ გაგყრით აქედან და გესვრით კიდეცო. შეშინებულ, გასაცოდავებულ ხალხს სად ჰქონდა აურზაურის თავი. ციოდა, ამიტომ უმრავლესობას საბნები, ქურქები და თბილი შალები ჰქონდათ შემოხვეული. საწოლად ფიცრები, გასაშლელი საწოლები და სკამსაწოლები ჰქონდათ წამოღებული, მჭიდროდ ერთმანეთზე მიყრდნობილები ბევრი ზეზეულად ვთვლემდით. ღამის 12 საათზე ჩაგვიქრეს ქუჩის შუქი და ყველა დავრჩით სიბნელეში. ღამის წყვდიადში. ღამემ თავისი მაინც გაიტანა, ვთვლემდით მჭიდროდ ერთმანეთზე მიკრული. ასე დავიღამეთ და გავითენეთ.

დილის 11 საათზე ძლივს გაიღო ციხის ალაყაფის კარები და „ჟრიამულით" ეზოში შევცვივდით. დავიტანჯეთ ნანახითა და გაგონილით, ხალხის საცოდაობით. რამდენი მწუხარებისა, გაჭირვებისა და ცრემლის გადატანა შეუძლია თურმე ადამიანს! ზოგის გადაცემა არ მიიღეს, რადგან პატრონთა გაუფრთხილებლად ეტაპით გაამგზავრეს, ზოგი საავადმყოფოში გადაეყვანათ. ატყდა წიოკობა, ტირილი, სად იყო ნუგეში?! ლევანის ბედი გვაღელვებდა და გული გვისკდებოდა, აღარავის აღარ ვაქცევდით ყურადღებას.

ორი დღე-ღამის წვალების შემდეგ ლევანის გადაცემა მიიღეს და ჩვენ გულის ფანცქალით ვუცდიდით მისგან საპასუხო პატარა ბარათს. ბარათიც გადმოგვცეს, ლევანმა დაგვიდასტურა ყველაფრის მიღება, მეტი არაფერი არ ეწერა, მაგრამ ამ პატარა ქაღალდის ნაგლეჯმა დიდი სიხარული მოგვიტანა.

ყოველი ღამე რიგრიგობით ვიდექით რიგში მე და მზია, რომ ლევანისათვის გადაგვეცა თბილი ტანსაცმელი, ფული და საკვები. ვერასგზით ვერ გავიგეთ მისი გადასახლების დღე — ამაზე იქ არაფერს გვეუბნებოდნენ. ასე სასოწარკვეთილნი დღე და ღამე ციხის კარებთან ვიდექით.

ერთ დღეს მოხდა სასწაული. ჩემი თანაფრონტელი ნოდარი ლაპარტყავა დავინახე ფორმაში გამოწყობილი. ჩვენ ძალიან გულთბილად შევხვდით ერთმანეთს, თურმე ის ციხეში მუშაობდა დიდ თანამდებობაზე. ჩემი მძიმე მდგომარეობა გაიგო თუ არა, იმწუთშივე გადაწყვიტა ჩემთვის დახმარება გაეწია. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწერე განცხადება და ლევანს შეგახვედრებო. ეს წარმოუდგენელი, დიდად დაუჯერებელი ამბავი იყო. იმავე წუთში დავწერე განცხადება და მას გადავეცი. უარყოფითი პასუხის მძიმე მოლოდინში ნახევარი საათი გავიდა, რაც მე მთელი საუკუნე მეგონა, და უცებ ლევანთან შესახვედრად გამომიძახეს.

გვერდით პატარა ოთახში შემიყვანეს, სადაც შუაში რკინის ბადე იყო ჩამოშვებული. ბადის იქით ლევანი იჯდა და მიცდიდა.

ლევანი წამოხდა და ბადეში ხელი გამომიწოდა, მე შევიგრძენი მისი მტკიცე ხელი. ვდუმდი, აღელვებისაგან ცრემლად ვიღვრებოდი. ლევანი, პირიქით, ლაპარაკად იყო გადაქცეული, ყველაფერი აინტერესებდა. პირველი, რაც მითხრა — ძალიან მიკვირს, როგორ შეგვახვედრეს. იმდენად მკაცრ რეჟიმში ვარ ჩავარდნილიო. დარდობდა, ჩემთან ერთად ახლობლების მთელი ჯგუფი დააპატიმრესო. შინსახკომში ყოფნისას მათ შესახებ არაფერი იცოდა, ისინი არც დაუპირისპირებიათ და არც რაიმე უთქვამთ მისთვის. როგორ დაუკავშირეს მას სხვები, ვერ წარმოედგინა. ყველაფერი ვახტანგ ბეწუკელისაგან გაეგო, რომელიც როსტოვიდან დაებრუნებინათ და ციხეში შეხვდა ლევანს.

შინაგან ციხეში ჯალათებმა ძალიან ბევრი მაწვალეს, კინაღამ თავი მომაკვლევინეს, მაგრამ საბოლოოდ არც მე დავაკელი ლანძღვა და გინება, სულ მტარვალები, მატყუარები და საქმის მომჩმახველები ვუძახე. შემდეგ ისიც მივაყოლე, რომ — უსათუოდ დრო მოვა და თქვენ ყველაფერზე აგებთ პასუხს და ამ სკამზე თქვენ დაჯდებით, ვნახავ როგორი ვაჟკაცები იქნებით, გგონიათ რომ შეგრჩებათ უმიზეზოდ ამდენი ხალხის წვალება?! მოულოდნელობით გაოგნებული რაფავა სკამიდან წამოხტა და შეშინებულმა დაიბღავლა — ეს არასდროს არ მოხდება, ნაიყვანეთ აქედანო!

— ხო შეგეშინდათ?! ნახეთ თუ ასე არ იქნება! — რაც ძალი და ღონე მქონდა ისტერიულად ვღრიალებდი მე ყველას გასაგონად და ვებრძოდი ოთხ კაცს, რომლებიც გამალებით მირტყამდნენ და უნდოდათ ჩემთვის ხმა ჩაეკმინდათ.

ლევანი ცოტახნით შეჩერდა. მე დრო ვიხელთე და ვკითხე — მაინც რას გერჩოდნენ ეს ურჯულოები?

— სასაცილოა, — პირდაპირ მიპასუხა ლევანმა. — ვიღაცას თითქოს სია შეუდგენია და გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში მე საქართველოს პრეზიდენტად დავუნიშნივარ, ეხლა გავიგე ჩემს გარშემო თურმე ჯგუფიც არსებობდა. ამის შესახებ მე არაფერი ვიცოდი, არც მჯერა, ვფიქრობ ჩეკამ შეთხზა ყოველივე. მე რა თქმა უნდა ყველაფერი უარვყავი, ხელი არაფერზე მოვაწერე, და სასტიკად გავჯავრდი კიდეც. [illegible] ლადობისა, დახვრეტით მუქარისა, წამებისა და ცემისა, ვერ მომტეხეს. მერე კი მაგ გლახაკებმა, ვერაფერს რომ ვერ გახდნენ, ცუდი წარსული გაქვსო — უნდობლობა გამომიცხადეს.

ვიფიქრე დასაკარგავი უკვე აღარაფერი მაქვს, ჩემი ბედი გადაწყვეტილი ჰქონიათ-მეთქი, ის კი მახსოვდა ჩემი ყვირილი როგორ ბასრი იარაღივით გულში ხვდებოდათ, ამიტომ რაც ძალი და ღონე მქონდა ვყვიროდი — ჩემი წარსულით ვამაყობ, როგორც სხვა ბევრი, თქვენგან დაჩაგრული და წამებული, საქართველოს ნამდვილი შვილი. თქვენ კი გარეწარები, სკამის კაცუნები და ამქვეყნის არარაოები ხართ, ნახეთ მომავალში რა დაგემართოთ, ღმერთო ასრულდეს ჩემი ვედრება. მოკლედ ცოცხალ-მკვდარი ძლივს გამომათრიეს იქედან. ისე ვიყავი გაცოფებული ნამდვილად შევიკლავდი ვინმეს და მეც შევაკვდებოდი.

გულისტკივილით ლაპარაკობდა ლევანი თავის უკულმართი ბედის ტრიალზე, უსამართლობაზე, რომელიც მის გარშემო ასე უმოწყალოდ ტრიალებდა, დამხმარე ან საქმის გამრჩევი კი არსაიდან ჩანდა.

კანდიდ ჩარკვიანმაც მიღალატა, ამას კი სულ არ მოველოდი, განაგრძო ლევანმა გულდაწყვეტით. ის ჩემთან საკანშიაც კი მოვიდა, ვიფიქრე მეშველა-თქო, თურმე როგორ მოვტყუვდი. ბევრი ვუმტკიცე ჩემი უდანაშაულობა, დახმარებაც ვთხოვე. მაგრამ ამაოდ, ჩარკვიანი დაჟინებით მოითხოვდა წაყენებულ ბრალდებაზე ჩემი ხელის მოწერას, მხოლოდ ამის შემდეგ მპირდებოდა განთავისუფლებას. აბა მე ასეთ ბრალდებას ხელს როგორ მოვანერდი, სიკვდილი მერჩია. საწყალმა ლევანმა უნებლიედ მძიმედ ამოიოხრა, ეს ოხვრა-კვნესა ჩემთვის ყველაფრის მთქმელი იყო. აქვე გვინდა ავღნიშნოთ, ასეთი ბრალდებით იმ პერიოდში ბევრი უდანაშაულოდ დააპატიმრეს და მძიმედ დასაჯეს, პევრმა ჩეკაში ცემა-ტყეპას და წვალებას ვერ გაუძლო და ყველაფერზე ხელიც კი მოაწერა. იყვნენ ისეთებიც ვინც შემთხვევით გადაურჩა ამას. 1948 წ. გერონტი ქიქოძე თვით ჩარკვიანმა გამოიძახა და რაფავას თანდასწრებით მას ისეთივე ბრალდება წაუყენა და ლევანსაც კი დაუკავშირა. (გერონტი ქიქოძე, მნათობი № 1, 1989 წ. გვ. 3).

უცებ მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა. ლევანმა თავი გაიქნია, თითქოს განდევნა მძიმე ფიქრები და უცებ ოჯახის ამბავზე გადავიდა. მას აწუხებდა თინას ავადმყოფობა, დედის მდგომარეობა და ის, თუ როგორ გაგვაწვალა ყველა... მე, განაგრძობდა ის, ლიტერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურული მუშაობით ვიყავი გატაცებული და ბარე რამდენიმე პიესას კიდევ დავწერდი. ვიღაცას ეს ხელს არ აძლევდა და გამწირა! ლევანი თითქოს ბოდიშობდა კიდეც თავის მდგომარეობის გამო. ძალიან შემეცოდა, მინდოდა მენუგეშებინა, დამეწყნარებინა.

— ლევან, შენ ჯანმრთელად იყავი, გაუძელი დუხჭირს, მთავარია სიცოცხლე. სიცოცხლე შეინარჩუნე, ჩვენ კი ყველა, როგორც ერთი, ყოველთვის შენთან ვიქნებით! ცრემლები ღაპაღუპით მცვიოდა. ლევანმა გაიღიმა. მერე აქეთ დამამშვიდა: თქვენ კარგად დამხვდით, მე კი ვეცდები საქართველოში დავბრუნდე და ჩემი სიმართლე დავამტკიცო, თუ არ მომკლეს. მეტი მე არაფერი დამრჩენია! ასე დასრულდა პაემანი. ჩვენ ერთმანეთს ისევ ხელი გავუწოდეთ, მე ლევანს ხელში ფული ჩავუდე. ზედამხედველმა ალბათ დაინახა; მაგრამ ხმა არ ამოიღო. ფული მასაც გავუწოდე. მან არ აიღო. ნოდარი გადავკოცნე დიდი მადლიერების გრძნობით. შევეხვეწე, თუ შესაძლებლობა იქნებოდა, მეორე დღეს სანდრო და მზია შეეხვედრებინა ლევანისათვის, რაზედაც ის დამთანხმდა.

მეორე დილას ყველა მივედით ციხეში. ძალიან იოლად გადავეცით საგზალი, თბილი ტანსაცმელი და ფული. მოვემზადეთ ლევანთან პაემანზე შესასვლელად, რადგან გამოგვიცხადეს — ცოტა ხანში შეგახვედრებთო. აქ უცებ ისევ ლევანის უკუღმართი ბედი დატრიალდა. სრულიად მოულოდნელად ეზოში ჩოჩქოლი და ხმაური ატყდა, გამოცვივდნენ უფროსი რანგის ჩეკისტები და გაიქცნენ ციხის ჭიშკრისაკენ, რომელსაც მთავრობის რამდენიმე შავი მანქანა მოადგა. ეზოში დიდი ამბით შემოვიდნენ ჩეკას გაყოყოჩებული მაღალი რანგის თანამშრომლები. ხალხმა უცებ იცნო რაფავა, წერეთელი და ნიბლაძე. ხალხისათვის მოულოდნელი იყო მათი დანახვა, ზედმეტი აღელვების, შიშისა და შეძრწუნების გამო ყველა გაშრა, დამუნჯდა, მერე კი, უცებ ყველა აყვირდა, აყაყანდა, რამდენიმე ქალი ჯგუფს მოსწყდა და შეტევით მათკენ გაიწიეს. გაშმაგებულები ძლივს დაიკავეს. ლანძღვა, გინება იქაურობას აყრუებდა. მათ ხალხიც აჰყვა, მოკლედ, ჩეკისტებს გამწარებულმა ხალხმა ცუდი დღე აყარეს.

ჩვენ იმ წუთშივე მივხვდით, რომ მათი აქ მოსვლა კარგის მომტანი არ იყო. მართლაც ასე მოხდა, გამოგვიცხადეს, რომ პოლიტიკური პატიმრების ნახვა, ფულისა და საკვების გადაცემა აიკრძალა და ტყუილად ნუ გაჩერდებით, ეზო გაანთავისუფლეთო. ყველა გარეთ ქუჩაში გამოგვყარეს. ატყდა საშინელი აურ-ზაური, ყვირილ-ტირილი, ლანძღვა-გინება.

მეორე დღეს მაინც ციხის კარებთან ავიტუზეთ. მაგრამ უშედეგოდ. ნოდარი ვერ ნახეს. ის აღელვებული შემხვდა — ეს ვინ ყოფილა შენი ძმა, რომ აქ ამდენი უფროსი მოვიდა, ეს ძალიან იშვიათი ამბავია, განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება ხოლმე! ახლა არაფრის დახმარება აღარ შემიძლია, რომ შეგახვედრე, იმაზედაც ძალიან დიდი საყვედური მივიღე. ძლივს გადავრჩი. ხომ იცი ჩემი ამბავი, ყველაფერს გაგიკეთებდი, მაგრამ ახლა ხელფეხი შეკრული მაქვსო. ნოდარს ძალიან შევეხვეწე — მხოლოდ ლევანის ეტაპში წასვლის დღე შეეტყობინებინა, მეტს არაფერს ვთხოვდი. ბევრი ხვეწნის შემდეგ მითხრა: კარგი, ვეცდებიო.

მართლაც, ორი დღის შემდეგ ტელეფონით დაგვირეკა — 23/XII დილის 6 საათზე ხორცის მანქანა გავაო. სანდრო, მე და მზია თბილი ტანსაცმლით, ფულითა და საკვებით დატვირთულები მივადექით ციხეს. მე და მზია თავიდან ფეხებამდე შალში გავეხვიეთ, რომ არავის ვეცნეთ, ძალიან გვეშინოდა, რომ ლევანისათვის ეს გადაცემა ისევ არ ჩაშლილიყო. ისეთ ადგილას შევიკუჭეთ, რომ ციხიდან გამომავალი ყველა მანქანა კარგად დაგვენახა. სანდრო კი მეორე მხარეზე მანქანით შეჩერდა. ჯერ კიდევ ღამის წყვდიადი იყო, როდესაც ციხიდან დაიწყეს მანქანებმა გამოსვლა.

საშინელი ღელვით, გულის ფანცქალით შევცქეროდით ციხიდან გამოსულ მანქანებს. დრო მიიზლაზნებოდა, მანქანა კი არსად ჩანდა, სულ იმის შიშში ვიყავით, რამე ხომ არ შეიცვალა. კარგად გათენებული იყო, როდესაც ციხიდან მანქანა გამოვიდა. გვერდებზე დიდი ასოებით ეწერა „МЯСО". ჩვენი მანქანით მას გავსდიეთ. მანქანა ცენტრალური სადგურის მიმართულებით წავიდა. მანქანა ვაგზლის მარჯვენა გვერდით ასასვლელ კიბეებთან შეჩერდა. ჩვენ შორიახლოდან თვალყურს ვადევნებდით, პატიმრების გადაბარებას, ზედამხედველების ცვლას და პატიმრების მომზადებას ვაგონში ასაყვანად. ჩვენ გვირჩიეს მოლაპარაკება ეტაპის ზედამხედველებთან, მათთვის წინასწარ მომზადებული გვქონდა ფული, არაყი და თამბაქო. მე და მზიამ დავტაცეთ ხელი ბარგს და სირბილით ცენტრალური შესასვლელიდან პერონზე გავედით. სანდრო შორიახლოს პატიმრებს მიჰყვებოდა. სწორედ სულზე მივუსწარით, პატიმრები კიბეზე აჰყავდათ, ლევანმა ჩვენ თვალი მოგვკრა და ხელი დაგვიქნია. პატიმრები მეორე ლიანდაგზე გადაიყვანეს და ფანჯრებზე რკინის ბადე აკრულ ვაგონში აიყვანეს. იმ წუთშივე სანდროც გამოჩნდა. ჩვენ იმ ვაგონს მივუახლოვდით, ფანჯარაში რკინის ბადის იქით ლევანი დავინახეთ. მან გამყოლზე მიგვითითა, რომელიც იმწუთშივე ჩვენთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩნდა. ყველაფერი გადავეცით გამყოლს ლევანისათვის. ზედამხედველსაც შესაფერისი პატივი ვეცით.

ცოტახანში ლევანი თბილ ტანსაცმელში გამოწყობილი ფანჯარაში გამოგვეცხადა. მადლობას გვიხდიდა მუნჯურად. მერე ზედამხედველი ჩვენი შიკრიკი გახდა, გადაჰქონდა წერილები ლევანსა და ჩვენს შორის, ჩვენ კი რაც ძალი და ღონე გვქონდა, ყვირილით ვაგებინებდით, რომ ჯანმრთელად ყოფილიყო და თავისი მომავალი ცხოვრების შესახებ ყველაფერი დაწვრილებით მოეწერა.

თამარ!

მე მივალ ბაქოში — იქიდან სად წავალ არ ვიცი, კარგად ვარ! არა მიშავს რა! მინდობილობა დავტოვე ციხის უფროსთან, ბათუმიდან ფული მაქვს მისაღები, იქნებ რამე გამოვიდეს, დანარჩენს მერე მოგწერთ.

იყავით კარგად.

თინას ჯავრი წამყვა — როგორ არის?

გკოცნით ყველას! მოკითხვა ვისაც ვახსოვარ. მოუარეთ დედას და თქვენ თავს.

ლევანი

თუ არის ახლოს მიყიდეთ თამბაქო და გაზეთები.

გკოცნით.

სანდრომ იმ წუთშივე გააჩინა თამბაქო და გაზეთები და შეუგზავნა.

სანდრო!

დიდი მადლობა ყველაფრისათვის! მე კარგად ვარ, ბაქოს იქით არ ვიცი საითკენ მივალ.

ილია სარჯველაძე როგორც ეტყობა დარჩა იქ ჯერჯერობით ციხეში № 1 ვგონებ საავადმყოფოში. კიდევ კარგი გოგი ლომთათიძე გაუნთავისუფლებიათ. ბეწუკელი კი დაუბრუნებიათ როსტოვიდან, მან მითხრა ახლობლების დაპატიმრების ამბავი. მე მათ შესახებ არაფერი ვიცოდი. საწყალ ქალებს რაღას ერჩოდნენ, ეს ყველაფერი დიდი ბარბაროსობაა.

გკოცნით ყველას, თავს მოუარეთ.

ლევანი.

ცოტახანში პატიმრების ვაგონი მიაბეს ბაქოსაკენ მიმავალ მატარებელს, ბადრაგმა მისგან წერილი გადმოგვცა.

წავიდა საწყალი ლევანი დასევდიანებული, გულჩათხრობილი, თვალზე ცრემლშემშრალი, უკულმართი ბედის მომდურავი.

„ჩემო კარგებო, ჩემი ბედი და ცხოვრების ბორბალი ისევ უკულმართად დატრიალდა, ისევ შორეული მხარე და მარტოობა, თითქოს განგებ ეს შემოწერილი მაქვს. რა ვქნა, რა გზას დავადგე. ვერაფერი ვერ შევძელი, რაც არის არის. მე ჯანმრთელად ვარ, იმედი მაქვს მალე გაიფანტება ჩემს ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა და მეც მომეცემა უფლება საქართველოში ჩამოსვლა. ყველა შემთხვევაში მე ამ იმედით ვცოცხლობ და ძნელ პირობებს შევეგუები.

გარეთ ალბათ ათასგვარი ჭორებია შექმნილი და შეთხზული ჩემი დაპატიმრების გამო, ეს სიმართლეს არ შეეფერება. თქვენ ნუ აჰყვებით ჭორებს, დინჯად და წყნარად იცხოვრეთ, ერთმანეთს მოუარეთ.

დიდი ძმური მადლობა ყველას, რომ რაც თქვენს ძალაში იყო, თუ არ იყო მე არაფერი დამაკელით, ეს მე მეტად მამხნევებდა უმძიმეს წუთებში, ასეთები კი ბლომად იყო.

ახლა მომავალზე, მე ჯერ ბაქოში მივდივარ, მერე სად წავალ, არ ვიცი. ეს არ იცის არც ჩვენმა ბადრაგმა.

მე მაშასადამე, მისჯილი მაქვს — 10 წელი შრომა-გამასწორებელ ბანაკში.ვადა ითვლება 1/VIII, 46 წლიდან, 58 — 10-11 მუხლით. მისჯილი მაქვს მოსკოვის მიერ (Особое совещание) რატომ, მე თვითონვე მიკვირს 58 მუხლი გაპიროვნებულია მძიმე დანაშაულისათვის, გულისხმობს სამშობლოს ღალატს სამხედრო ძლიერების დიდ ზიანს და ბევრ ამისთანა დანაშაულს.

58 მუხლი ძალიან გაფართოებულია. 14 ქვემუხლისგან შესდგება. იწყება უბრალო დასჯიდან დამთავრებული დახვრეტით, 58 მუხლს უსჯიან, როგორც სისხლის სამართლის, ასევე პოლიტიკურ დამნაშავეებს. მე-10 ქვემუხლი ნიშნავს სსრ დამხობას პროპაგანდისა და აგიტაციის განევის გზით.

მე-11 ქვემუხლი კი გულისხმობს ორგანიზაციის ან ჯგუფის შექმნას, მის წევრობას ან ხელმძღვანელობას. შინსახკომში ნამდვილი ჯალათებია რაფავა, წერეთელი, ნიბლაძე, მალანია და ბევრი სხვა. მათ თავის სკამის დაკარგვისა ეშინიათ, ისინი ცრუ ვაჟკაცები არიან, არც საქართველოს მომავალზე შესტკივათ გული და არც მისი კეთილი მომავალი ენაღვლებათ.

მოკლედ ჩემს მიმართ შეთხზეს დიდი საქმე, მაგრამ ვერაფერი ვერ დამიმტკიცეს და ვერავინ ვერ დამიპირისპირეს. სავალალოა, რომ ეს ყოველივე შინსახკომისათვის არაფერს ნიშნავს. პირიქით ჩემდა საბედნიეროდ, მოსკოვმა ჩემს მიმართ ადამიანობა გამოიჩინა დახვრეტა შემიცვალა და 10 წელი ამკიდა მძიმე გამასწორებელ ბანაკში — გადასახლებით. როგორც გამოუსწორებელ, მძლავრ პოლიტიკურ მოღვაწეს.

ჩემი სულისკვეთებისათვის ყველაფერი ნამდვილად მართებულიც იქნებოდა, მაგრამ ის ხომ ჩემი ოცნება იყო და ღრმად მქონდა არსებაში ჩამჯდარი, მე ამ წყობის მოწინააღმდეგე ვარ და ყოველთვის ვიქნები, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ, საიდან სადაო, სად ჩემი დაპატიმრება, ბრალდება, დაუმტკიცებელი სულისკვეთება და სად მოსკოვი. რისთვის??

კონფისკაცია არა მაქვს. ასე, რომ ბინა არ უნდა ჩამოგართვან. მით უფრო მე იქ დროებით ვიყავი ჩაწერილი. ეხლა თქვენ იცით, მე რაც შემეძლო ბევრი ვეცადე, მივწერე რაფავას და ჩარკვიანს. მაგრამ უშედეგოდ, არაფერი არ გამოვიდა.

— ჩემი ხელნაწერები და მასალები შეინახეთ, მოუარეთ. ეს მომავალი წიგნები.ა

— ჩემ უჯრაში შემნახველი სალაროს წიგნაკია, იქ 5000 მანეთი მაქვს, ბათუმის ხელოვნების სამმართველოდან მისაღები მქონდა 6000 მანეთი „უძლეველის" ანგარიშში.

— ჩემი დრამები 10 ფორმა არის „საბჭოთა წიგნის" გამომცემლობაში, 8 ფორმა, გაზეთ კომუნისტის გამომცემლობაში. გამოიტანეთ და შეინახეთ. ჩემი წიგნი „გაუვალ ჭალებში" არის საბლიტგამში, ისიც გამოართვით. კინოსაც მიაიკთხეთ, იქ სცენარია „უშბის სიმღერა" სადღეისოდ, ალბათ საეჭვოა ამ სცენარის ბედიც.

რაც შეეხება ლიბრეტოს „არმაზის ციხე" მუსიკის ავტორს ალიკო მაჭავარიანს როგორც უნდა ისე დაარქვას გადააკეთოს და თავისი სახელით გაუშვას.

ჩემი ჯავახეთ-სამცხეს შთაბეჭდილებები — ეს მასალა მომავალი წიგნი იყო. იქნებ რვეული არ დაიკარგოს. დაპატიმრების დროს ჩამომართვეს, ნიბლაძესთან არისო, იქნებ დაგიბრუნონ. მე დამპირდა მალანია. თამარის ნაჩუქარ ჩანთაშია ჩადებული. ჩემი ციხეში გადაყვანის დროს მალანია იქ არ იყო. ვერ მომცეს. იქნებ მომატყუეს. როგორც ყოველთვის? მე სახლის გაჩხრეკის ოქმი არ მინახია და არ ვიცი რა წაიღეს. თუმცა საეჭვო იქ არაფერი იყო. სპირიდონის და სხვა პატიმრების ბედისა არაფერი ვიცოდი. არ მინახავს, მათი დაპატიმრებაც გვიან, ციხეში გავიგე. ასევე კოტე და გრიშაც არ მინახია, მათი ბედიც არ ვიცოდი და არც დაპატიმრება ვიცოდი.

თქვენ როგორ ხართ? დედა როგორ არის? დევი დიდი ბიჭი იქნება უკვე. თინა როგორ არის?

თქვენ! სანდრო, თინა, თამრიკო და მზია დიდი წვალება და განცდა მოგაყენეთ. მაგრამ ეს ყველაფერი ნამდვილად ჩემდაუნებურად მოხდა. უდანაშაულო მსხვერპლი ვარ. არაფერზე ხელი არ მომიწერია, ამიტომაც ასე სასტიკად დავისაჯე.

მოკითხვა ყველას ვისაც ვახსოვარ.

ჩემი დარდი ნუ გექნებათ, ვნანობ, რომ რამდენი წიგნი დამრჩა დასაწერი, რამდენი მიზანი და საშვილიშვილო საქმე შეუსრულებელი. ვის დასჭირდა ჩემი გაძევება ან რატომ? მალე წავა მატარებელი და უმოწყალოდ გამაშორებს საყვარელ სამშობლოსაქართველოს. ძნელია ეტაპში წასვლა, მაგრამ რას ვიზამთ? ასეთ საშინელ გარემოცვაში ვართ, სადაც სიმართლე არ ფასობს!

აბა, კარგად იყავით, კარგად

ლევანი".

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ დაიხურა გაზეთი „დროება“

1885 წლის 17 სექტემბერს მთავარმართებლის ა. მ. დონდუკოვ—კორსაკოვის განკარგულებით თბილისში ქართულ ენაზე გამომავალი გაზეთ „დროების“ გამოცემა აიკრძალა. მტკივნეულად განიცადა ქართველმა საზოგადოებამ ამ ერთადერთი და მეტად პოპულარული საპოლიტიკო—სალიტერატურო გაზეთის დახურვა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მისი დაარსებიდან (1866 წელი), ეს გაზეთი იყო ქართველი მკითხველი საზოგადოებისთვის როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო, ასევე პოლიტიკური ინფორმაციის საუკეთესო წყარო.

ჩვენს მიერ რუსულიდან თარგმნილი საარქივო მასალებიდან (კონფიდენციალური მიმოწერიდან) ნათლად ჩანს, თუ რა ანტიეროვნულ პოლიტიკას აწარმოებდა მეფის რუსეთის სახელმწიფო აპარატი საქართველოს წინააღმდეგ, როგორ ახშობდა ქართული სულის გამოღვიძების პროცესს, ემტერებოდა ეროვნულ მოძრაობას, რასაც ჩვენი სასიქადულო მამულიშვილები ედგნენ სათავეში.

ნელი გოსტაშვილი

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მოხსენება გაზეთ „დროებას“ რედაქტორობიდან თავად მაჩაბლის გადაყენების შესახებ.

დან. 23 თებერვ. 1885 წ.
დამთ. 27 ხექტ. 1885 წ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო
კავკასიის საცენზურო კომიტეტი
21 თებერ. 1885 წ.
№ 368
ქ. თბილისი

ბატონ კავკასიის სამოქალაქო
საქმეთა მთავარმართებელს

აზნაურ ქართველოვის მიერ ქ. თბილისში გამომავალი ყოველდღიური გაზეთი „დროება“, რომლის რედაქტორია თავადი მაჩაბელი, გამუდმებით იქცევს ცენზურის ყურადღებას ტენდენციური სეპარატისტული მიმართულებით. განსახილველად წარმოდგენილი სტატიები ამ გაზეთისთვის, აღსავსეა მეტად მძაფრი თავდასხმებით მთავრობის ღონისძიებებზე, რომლებიც უპირატესად ეხება სასულიერო და სასწავლო უწყებების სფეროებს. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის ასეთი მიმართულება სისტემატურად იდევნება ცენზურის მიერ და ზემოხსენებული შინაარსის ყველა სტატია ჩერდება ყოველგვარი ლმობიერებისა და შემწყნარებლობის გარეშე, გაზეთის რედაქცია აშკარა სიჯიუტითა და დაჟინებით აგრძელებს ასეთივე ხასიათის სტატიების ცენზურისთვის განსახილველად წარდგენას, რითაც სრულიად უგულველყოფს ცენზურის მიერ მისთვის მიცემულ მითითებებს. ცენზორის ანდა კომიტეტის მიერ რედაქციისადმი მიმართული სხვადასხვა სახის კანონიერი მოთხოვნები, რომლებიც ეხებიან გამოცემებს, არ სრულდება, ხანდახან უპასუხოდაც რჩება, ან ისეც ხდება, რომ კომიტეტის კანცელარიაში ცხადდება პირადად რედაქტორი თავადი მაჩაბელი, რომელიც აკეთებს ამა თუ იმ სიტყვიერ განცხადებას მეტად უწესო და თავხედური ფორმით. ამა წლის 18 თებერვალს ოლქის სასწავლებლის მზრუნველი, უთითებდა რა საერთოდ იმ ცუდ ზეგავლენაზე, რომელიც შეიძლება მოახდინოს „დროებამ“ მოსწავლე ახალგაზრდობაზე სასწავლებლების ხელმძღვანელთა განკარგულებების არასწორი ახსნა-განმარტებით და მისმა სწრაფვამ დაუკარგოს ნდობა მოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლეებს სასწავლებლებში დაკანონებული წესებისადმი. გვაცნობა, სხვათა შორის, რომ ამ გაზეთის რედაქცია აგზავნის თავის გამოცემას ბონის სამასწავლებლო სემინარიაში, გარკუთრებული ბანდეროლით სემინარიის ქართველ მოსწავლეთა სახელზე (მზრუნველის მოხსენებას თან ერთის ბანდეროლიც) ამის საფუძველზე საიდუმლო მრჩეველი ივანოვსკი თხოულობს, რომ არ დაუშვან „დროებაში“ დასაბეჭდად სტატიები, რომლებშიც მოთავსებული იქნება არასწორი ინფორმაცია ოლქის სასწავლებლების შესახებ და აეკრძალოს რედაქციას გაზეთის გავრცელება სასწავლო დაწესებულებების აღსაზრდელებს შორის.

პირველ საკითხთან დაკავშირებით კომიტეტმა გასცა განკარგულება, რომ არცერთი სტატია, რომელიც შეეხება სასწავლებელთა უწყებებს და რომელიც გაზეთ „დროებისათვის“ იქნება განკუთვნილი, არ იქნას გაშვებული ისე, თუ წინასწარ არ გააცნობენ სასწავლებელთა ხელმძღვანელობას. რაც შეეხება ამ გაზეთის უკანონო გავრცელებას სასწავლებლებში, ამ შემთხვევაში კომიტეტს არა აქვს შესაძლებლობა არა თუ მიიღოს ზომები მისი გავრცელების აღსაკვეთად, არამედ გაზეთის დაგზავნის თვალყურის დევნებაც არ შეუძლიან, რადგან კანონით არ არის დაშვებული ცენზურის არანაირი კონტროლი ხელმომწერლებისათვის გამოცემების გაგზავნაზე. დარწმუნებული ვართ, რომ რედაქციის მიერ „დროება“ იგზავნება არა მარტო ბონის სემინარიაში, არამედ ქვეყნის სხვა დაწესებულებებშიც და უეჭველია, რომ კომიტეტს გინდაც მიეცა წინადადება რედაქციისთვის შეეწყვიტა დაგზავნა, ამ განკარგულებას არავითარი შედეგი არ მოპყვებოდა. ამის დამადასტურებლად საკმარისია ის გარემოება, რომ კომიტეტმა მიიღო რა მზრუნველის ხსენებული მოხსენება, შეკითხვით მიმართა რედაქციას, თუ ვისი მოთხოვნით იგზავნება „დროება“ ბონის სემინარიაში, ხოლო თუკი სემინარია ასეთ მოთხოვნას არ წარმოადგენს, მაშ რის საფუძველზე კეთდებოდა ეს, რაზედაც რედაქციამ გვიპასუხა, რომ გაზეთების დაგზავნის ოპერაცია წარმოადგენს საქმის სახპეკულაციო ნაწილს და წიგნების ვაჭრობით იწარმოება, რომელიც კომერციული საიდუმლოებაა და მათ შესახებ ცნობების მიღება შეიძლება მოითხოვონ მხოლოდ სასამართლოს წარმომადგენლებმა, ისიც ისეთ შემთხვევებში, რომელიც სრულიად არ ესადაგება ამ გარემოებას.

იღებს რა მხედველობაში, რომ არც საცენზურო კომიტეტს, არც რომელიმე სხვა ძალას არა აქვს შესაძლებლობა შემოიღოს რაიმე აღრიცხვა გაზეთების გავრცელებისა და გაყიდვის საქმეში და იცის რა თავად მაჩაბლის მრწამსის საერთო მიმართულება და მისი ეურნალისტური საქმიანობის ხასიათი, კომიტეტს შეუძლია დაბეჯითებით თქვას, რომ ვიდრე თავადი მაჩაბელი უდგას რედაქციას სათავეში, გაზეთი არ შეცვლის არც თავის მიმართულებას, არც იმ მეხოდებს, რომლებსაც ამჟამად იყენებს.

ამის საფუძველზე იმსჯელა რა საცენზურო კომიტეტმა იმ ზომებზე, რომლებიც შესაძლებელია მიიღოს ამ შემთხვევაში, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უეჭველად საჭიროა თავად მაჩაბლის გადაყენება გაზეთ „დროების“ რედაქტორობიდან და ამიტომ დაადგინა: შევიდეს მოხსენებით ბატონ კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებელთან და კავკასიის მხარის სამმართველოს 89 და 90 სტატიის ტ. II, 1885 წ. კანონთა კრებულის საფუძველზე სთხოვოს მის ბრწყინვალებას, რომ ნება დართოს გაზეთ „დროებას“ გამომცემელს აზნაურ ქართველოვს ამ გაზეთის რედაქტორად აირჩიოს სხვა უფრო საიმედო პირი თავად მაჩაბლის მაგივრად, რისთვისაც მიეცეს მას შვიდი დღე იმ პირობით, რომ თუ ამ დროის განმავლობაში ასეთ პირს ვერ შეარჩევს, გაზეთის გამოცემა შეწყდეს იქამდე, ვიდრე ახალ რედაქტორს არ აირჩევენ, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ იქნება დამტკიცებული, თუ ქართველოვი მისთვის მიცემულ ამ ვადაში ასეთ პირს დაასახელებს, რომელსაც კომიტეტის აზრით შეიძლება ენდოს გაზეთ „დროებას“ რედაქტორობა, ნება დაერთოს კომიტეტს დაუშვას ასეთი პირი რედაქტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლად და იმავდროულად შევიდეს თხოვნით მისი რედაქტორად დამტკიცების შესახებ.

კომიტეტის ასეთი დადგენილების შესახებ, ნება მიბოძეთ მოვახსენო თქვენს ბრწყინვალებას, და დაველოდოთ თქვენს შემდგომ მიმითითებებს.

კომიტეტის თავმჯდომარე
მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის
საცენზიერო კომიტეტის
თავმჯდომარე
22 თებერვ. 1885 წელი
№ 382
თბილისში

კონფიდენციალურად

მოწყალეო ხელმწიფევ
ალექსანდრე ალექსანდრეს ძევ

ა. წ. 21 თებერვლის № 368 საცენზურო კომიტეტის მოხსენებასთან დაკავშირებით თავად მაჩაბლის გაზეთ „დროების“ რედაქტორობიდან განთავისუფლების თაობაზე საჭიროდ ვთვლი დამატებით განვმარტო, რომ კომიტეტის მიერ მოთხოვნილი ზომების მიღება კანონით არ არის გათვალისწინებული, როგორც ცალკე და დამოუკიდებელი სახელი. უმაღლესით დამტკიცებული 1882 წ. 27 აგვისტოს წესდება — პერიოდულ გამოცემაზე დროებითი ზომების მიღების შესახებ, ადგენს, რომ პერიოდული გამოცემის შეჩერებასთან ერთად უნდა აეკრძალოს მის რედაქტორს და გამომცემელს შემდეგში სხვა რომელიმე პერიოდული გამოცემის რედაქტირება და გამოცემა, ამასთან ერთად ეს ზომები მიიღება განსაკუთრებული გადაწყვეტილების უმაღლესი განკარგულებით. რომელიც აქ არის მიჩითებული. გაზეთ „დროების“ გამოცემის თუნდაც სულ მცირე დროით შეჩერების შესახებ შუამდგომლობა კომიტეტმა არ სცნო საჭიროდ იმის გამო, რომ ეს წარმოადგენს მეტად სერიოზულ ზომას და არ შეესაბამება იმ ნაკლებ მნიშვნელობას, როგორსაც ეს ორგანო წარმოადგენს. ამასთან ერთად კი ამ ზომამ შეიძლება მოახდინოს ცნობილი სენსაცია საზოგადოებაში, რაც მეტად არასასურველია. გარდა ამისა, იმის მიუხედავად, რომ ტფილისში არსებობს ორი ყოველდღიური გამოცემა ქართულ ენაზე, დღესდღეობით გამოდის მხოლოდ ერთი „დროება“ და ამიტომ მისი შეწყვეტით ქართველი მკითხველი საზოგადოება სრულიად უგაზეთოდ დარჩება. დაბოლოს, „დროების“ გამომცემელს ქართველოვან ჯერჯერობით თავისი მოღვაწეობის ამ სფეროში თავი ცუდად არ წარმოუჩენია და ამიტომ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თუ „დროების“ რედაქტირება გადაეცემა ვინმე უფრო საიმედო ხელს, ეს გაზეთი კანონის ფარგლებში მოექცევა, მით უმეტეს, რომ თუ გამოცემა სხვის ხელში გადავა, კომიტეტს განზრახული აქვს უსათუოდ მოსთხოვოს რედაქციას იმ ავტორთა ვინაობა, რომლებიც გაზეთისთვის სტატიებს შეადგენენ. ეს მეტად ბუნებრივი ზომაა და ბეჭდვითი საქმის მთავარი ხამმართველოს მითითებით შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგრამ „დროება“ ამ ზომის გამოყენებას იმსახურებს, თუნდაც იმიტომ, რომ ერთხანს ამ გაზეთს აუცილებლად მოძთვინიერებს.

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ჩემი გულწრფელი პატივისცემა და ერთგულება.

თქვენი მონამორჩილი კ. იანიმოვი [?].

მთავარმმართებლისგან
№ 163
1 მარტი 1885 წ.

კონფიდენციალურად

ბატონ შინაგან საქმეთა
მინისტრს

კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარემ მაცნობა, რომ აზნაურ ქართველოვის მიერ ქართულ ენაზე გამომავალი ყოველდღიური გაზეთი „დროება“, რომლის რედაქტორია თავადი მაჩაბელი, გამუდმებით იქცევს ყურადღებას ტენდენციური სეპარატისტული მიმართულებით. ამ გაზეთისთვის, განსახილველად წარმოდგენილი სტატიები აღსავსეა მეტად მძაფრი თავდასხმებით მთავრობის ღონისძიებებზე, რომლებიც უპირატესად ეხება სასულიერო და სასწავლო უწყებების სფეროებს. მიუხედავად იმისა რომ გაზეთის ასეთი მიმართულება სისტემატურად იდევნება ცენზურის მიერ და ზემოხსენებული შინარსის ყველა სტატია ჩერდება ყოველგვარი ლმობიერებისა და შემწყნარებლობის გარეშე, გაზეთის რედაქცია აშკარა სიჯიუტით და დაჟინებით, აგრძელებს ასეთი ხასიათის სტატიების ცენზურისთვის განსახილველად წარდგენას. რითაც სრულიად უგულებელყოფს ცენზურის მიერ მისთვის მიცემულ მითითებებს. ცენზორის ანდა კომიტეტის მიერ რედაქციისადმი მიმართული სხვადასხვა სახის კანონიერი მოთხოვნები, რომლებიც ეხებიან გამოცემებს, არ სრულდება, ხანდახან უპასუხოდაც რჩება, ან ისეც ბდება, რომ კომიტეტის კანცელარიაში ცხადდება პირადად რედაქტორი თავადი მაჩაბელი, რომელიც ჭკეთებს ამა თუ იმ სიტყვიერ განცხადებას მეტად უდიერი და თავხედური ფორმით.

ამა წლის 18 თებერვალს ოლქის ხასწავლებლის მზრუნველი, უთითებდა რა ხელოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ცუდ ზეგავლენაზე, რომელიც შეიძლება მოახდინოს „დროებამ“ მოსწავლე ახალგაზრდობაზე სასწავლებლების ხელმძღვანელთა განკარგულებების არასწორი ახსნა-განმარტებით და მისმა სწრაფვამ დაუკარგოს ნდობა მოსწავლეებს სასწავლებლებში დაკანონებული წესებისადმი, გვაცნობა სხვათა შორის, რომ ამ გაზეთის რედაქცია აგზავნის თავის გამოცემას ხონის სამასწავლებლო სემინარიაში განსაკუთრებული ბანდეროლით სემინარიის ქართველ მოსწავლეთა სახელზე (მზრუნველის მოხსენებას თან ერთვის ბანდეროლიც). ამის საფუძველზე საიდუმლო მრჩეველი იანოვსკი თხოულობს, რომ არ დაუშვან „დროებაში“ დასაბეჭდად სტატიები, რომლებშიც მოთავსებული იქნება არასწორი ინფორმაცია ოლქის სასწავლებლების შესახებ და აეკრძალოს რედაქციას გაზეთის გავრცელება სასწავლო დაწესებულებების აღსაზრდელებს შორის.

პირველ საკითხთან დაკავშირებით კომიტეტმა გასცა განკარგულება, რომ არცერთი სტატია, რომელიც შეეხება სასწავლებელთა უწყებებს და რომელიც გაზეთ „დროებისთვის“ იქნება განკუთვნილი, არ იქნას გაშვებული ისე, თუ წინასწარ არ გაეცნობენ სასწავლებელთა ხელმძღვანელობას. რაც შეეხება ამ გაზეთის უკანონო გავრცელებას სასწავლებლებში, ამ შემთხვევაში კომიტეტს არა აქვს შესაძლებლობა არა თუ მიიღოს ზომები მისი გავრცელების აღსაკვეთად, არამედ გაზეთის დაგზავნის თვალყურის დევნებაც არ შეუძლიან, რადგან კანონით არ არის დაშვებული ცენზურის არანაირი კონტროლი ხელმომწერებისთვის გამოცემების გაგზავნაზე. ამასთან დაკავშირებით საცენზურო კომიტეტი აცხადებს, რომ უეჭველია რედაქციის მიერ „დროება“ იგზავნება არა მარტო ხონის სემინარიაში, არამედ მხარის სხვა დაწესებულებებშიც და დარწმუნებულია, რომ კომიტეტს გინდაც მიეცა წინადადება რედაქციისთვის შეეწყვიტა დაგზავნა, ამ განკარგულებას არავითარი შედეგი არ მოჰყვებოდა. ამის დამადასტურებლად კომიტეტს მაგალითად მოჰყავს ის გარემოება, რომ მიიღო რა მზრუნველის ხსენებული მოხსენება, კომიტეტმა შეკითხვით მიმართა რედაქციას, თუ ვინი მოითხოვნით იგზავნება „დროება“ ხონის სემინარიაში, და თუკი ასეთ მოთხოვნას სემინარია არ წარმოადგენს, რის საფუძველზე კეთდება ეს? ამაზე რედაქციამ გვიპასუხა, რომ გაზეთების დაგზავნის ოპერაცია წარმოადგენს საქმის სასპეკულაციო ნაწილს და წიგნების ვაჭრობა იწარმოება, რომელიც კომერციული საიდუმლოებაა და მათ შესახებ ცნობების მიღება შეიძლება მოითხოვონ მხოლოდ სასამართლოს წარმომადგენლებმა, ისიც ისეთ შემთხვევებში რომლებიც სრულიად არ ესადაგება ამ გარემოებას.

იღებს რა მხედველობაში, რომ არც საცენზურო კომიტეტს, არც რომელიმე სხვა ძალას არა აქვს შესაძლებლობა შემოიღოს რაიმე აღრიცხვა გაზეთების გავრცელებისა და გაყიდვის საქმეში და იცის რა თავად მაჩაბლის მრწამსის საერთო მიმართულება და მისი ეურნალისტური საქმიანობის ხასიათი, კომიტეტს შეუძლია მთელი დამაჯერებლობით თქვას, რომ ვიდრე თავადი მაჩაბელი უდგას რედაქციას ხათავეში, გაზეთი არ შეცვლის არც თავის მიმართულებას, არც იმ მეთოდებს, რომლებსაც ამჟამად იყენებს და ამიტომ გარდაუვალ აუცილებლობად თვლის თავად მაჩაბლის მოხსნას გაზეთ „დროების“ რედაქტორობიდან, რის შესახებაც შემოვიდა ჩემთან მოხსენებით (კავკასიის მხარის სამმართველოს 89 და 90 სტ. ტ. II, ნაწ. II, 1883), სადაც ითხოვს ნებართვას რომ მიეცეს წინადადება გაზეთ „დროების“ გამომცემელს აზნაურ ქართველოვს შვიდი დღის განმავლობაში შეარჩიოს ამ გაზეთის რედაქტორად ვინმე უფრო კეთილსაიმედო პირი, თავად მაჩაბლის მაგივრად და თუ ამ ვადაში ასეთი პიროვნება იქნება დასახელებული, რომელსაც კომიტეტის აზრით შეიძლება გაზეთ „დროების“ რედაქტორობა ენდოს, მაშინ ნება დაერთოს იგი დაუშვან რედაქტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლად და იმავე დროს დადგენილი წესით წარსდგეს მოხსენებით მისი რედაქტორად დამტკიცების თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ ქართველოვი დანიშნულ დროში ასეთ პირს ვერ შეარჩევს, გაზეთის გამოცემა შეწყდეს იქამდე, ვიდრე არ იქნება არჩეული და დამტკიცებული ახალი რედაქტორი.

მთლიანად ვიზიარებ რა საცენზურო კომიტეტის მიერ წარმოდგენილ დასკვნას, ვერ ვხედავ იმის საჭიროებას, რომ ეს ჩვეულებისამებრ თხოულობდეს ჩემი უფლებამოსილებისაგან დაუყოვნებელი განკარგულების გაცემას.

ამიტომაც ვაცნობებ რა ყოველივე ამას თქვენს ბრწყინვალებას მაქვს პატივი უმორჩილესად გთხოვოთ დართოთ ნება მიიღონ ის ზომები, გაზეთ „დროების“ მიმართ, რომელსაც ითხოვს კავკასიის საცენზურო კომიტეტი, რასაც მე აუცილებლობად ვთვლი შემდეგი მოსაზრებების გამო.

მართალია ასეთი ზომები კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ პერიოდული გამოცემის მავნე მიმართულების გამო, კანონი ითვალისწინებს ასეთის დროებით შეჩერებას ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სულაც შეწყვეტას, მაგრამ გაზეთ „დროების" მიმართ ამ კანონის განმორეულება თუნდაც სულ მცირე დროით, მე სრულებით არ მიმაჩნია სასურველად არა [illegible] რომ ასეთი ზომები მეტად სერიოზული და შეუფერებელია ისეთი უმნიშვნელო ორგანოს მიმართ, როგორსაც იგი წარმოადგენს, არამედ იმიტომაც, რომ აღნიშნული გამოცემის შეჩერებამ თუნდაც სულ მცირე დროით, შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული სენსაცია საზოგადოებაში, რაც სრულებითაც არ არის სასურველი. ამასთან ერთად არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ გაზეთ „დროების" გამოცემის შეწყვეტით ქართველი მკითხველი საზოგადოება უგაზეთოდ დარჩება, რადგანაც თბილისში ქართულ ენაზე გამომავალი ორი ყოველდღიური გაზეთიდან ამჟამად გამოდის მხოლოდ ერთი „დროება" და რომ მის გამომცემელს აზნაურ ქართველოვს ამ მოღვაწეობაში ჯერ არ შეურცხვენია თავი და ამიტომ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ თუ „დროების" რედაქტირება გადაეცემა საიმედო პირს, ეს გაზეთი კანონიერ ფარგლებში მოექცევა.

პატივი მეცით თქვენო ბრწყინვალებავ და კეთილინებეთ შედეგები შემატყობინოთ.

23 თებერვალი 1885 წ.

შ. ს. ს.
გამომცემლობების
მთავარი სამმართველო
6 აპრილი 1885 წელი
№ 1213

ბატონ კავკასიის
სამოქალაქო საქმეთა
მთავარმართებელს

თქვენს № 163 მომართვაში, თქვენო ბრწყინვალებავ, კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მოხსენების საფუძველზე, ინებეთ აზრის გამოხატვა იმის თაობაზე, რომ რადგან გაზეთი „დროება" სისტემატურად უგულებელყოფს ცენზურის მოთხოვნებს, აუცილებელია გამომცემელ ბ. ქართველოს მიეცეს წინადადება, რათა მან შვიდი დღის განმავლობაში ამოირჩიოს ამ გაზეთის რედაქტორად ვინმე უფრო საიმედო პირი თავად მაჩაბლის მაგივრად, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გამოცემა შეწყდეს იქამდე, ვიდრე არჩეულ და დამტკიცებულ არ იქნება ახალი რედაქტორი.

ამასთან დაკავშირებით მაქვს პატივი ვაცნობო თქვენს ბრწყინვალებას , რომ კანონი შინაგან საქმეთა მინისტრს არ აძლევს უფლებას მოითხოვოს დამტკიცებული რედაქტორის შეცვლა სხვა პირით, იმ გამონაკლის შემთხვევათა გარდა, რომლებიც პირდაპირ მითითებულია სტ. 81, დამატ. სტ. 4, ცენზ. დადგ., 1876 წ. ამის გარდა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ერთი პირის შეცვლა მეორეთი თითქმის არასდროს არ იძლევა სასურველ შედეგს, რადგან ახალი პირი შეიძლება მხოლოდ შემოჩეჩებული, ფიქტიური რედაქტორი იყოს, სინამდვილეში კი გამოცემას ისევ ის პირი უხელმძღვანელებს, რომელიც ამ მოვალეობიდან გაანთავისუფლეს.

გაზეთებში რომ არ იქნას დაშვებული მავნე ტენდენციების გამომჟღავნება, მით უმეტეს მთავრობის ღონისძიებებზე აშკარა თავდასხმა, ჩემი აზრით, წინასწარ ცენზურას აქვს ამის სრული შესაძლებლობა ისე, რომ არავითარ განსაკუთრებულ ზომებს არ მიმართოს. ამისათვის აუცილებელია მხოლოდდამხოლოდ განხილული სტატიებისადმი ცენზორების მკაცრი და ყურადღებიანი მოპყრობა. ისეთ გამოცემაში როგორიც „დროებაა" ცენზურის მიერ არ უნდა იქნეს მოწონებული არა მხოლოდ ის სტატიები, რომლებშიც მძაფრად ეხმიან თავს მთავრობის ქმედებებს და ღონისძიებებს, არამედ საერთოდ მისი შეხედულებების და განზრახვის შეუფერებელი სტატიებიც. ცენზურის ასეთი პირდაპირი ზემოქმედება მის მიერ განსახილველ გამოცემაზე, აუცილებლად აიძულებს გამომცემელს, იმისათვის, რომ მან დიდი ზარალი არ ნახოს, ან, სრულიად ხელი აიღოს თავისი მოღვაწეობის გაგრძელებაზე, ანდა შეცვალოს რედაქციის პირადი შემადგენლობა. უკანასკნელ წლებში ყველასათვის მნიშვნელოვნად შესამჩნევი მთავრობის ღონისძიებების მიმართ გამომწვევი და არაკეთილისმსურველი ტონის დაცემა დედაქალაქის უცენზურო გაზეთებისა, მოხდა არა პირადი შემადგენლობის შეცვლით, არამედ ცენზურის ნათელი და მკვეთრად გამოხატული მოთხოვნების საფუძველზე. ასეთივე სასიკეთო რეზულტატის მიღწევა ცენზურის მეთვალყურეობით გამოცემულ გაზეთებზე გაცილებით იოლია, რადგანაც მათში არც ერთი სტატია არ უნდა გამოქვეყნდეს წინასწარი განხილვის გარეშე. აკრძალული სტატიების შესახებ არც ცენზორი და არც კომიტეტი არ არის ვალდებული რაიმე ანგარიში ჩააბაროს რედაქტორს. იმ შემთხვევაში თუკი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეთ „დროებას“ რედაქტორი თავს ნებას მისცემს დაბეჭდოს რამე, რომელიც ცენზორმა ერ არ იყო ნებადართული. ეს გამოცემა უნდა აიკრძალოს, რის უფლებასაც იძლევა სტ. 69 ცენზ. დადგ. ე. ი. ვერ გამოვა იქამდე, ვიდრე თვითოეულ დაბეჭდილ ნომერზე, არ მიიღებს გამოსაშვებ ბილეთს იმავე დადგენილების 68 სტატიის თანახმად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველი
სახელმწიფო მდივანი
საქმეთაწარმოების გამგე, საბჭოს წევრი.

კანცელარიიდან
№ 3925
21 აპრილი 1885 წ.
საქმე 1885 წ. № 40

ბატონ კავკასიის საცენზურო
კომიტეტის თავმჯდომარეს

ამა წლის 21 თებერვლის № 367, თქვენი აღმატებულების მომართვის საფუძველზე, რომელიც კავკასიის საცენზურო კომიტეტის დადგენილებას ეურდნობოდა, ბატონმა მთავარმართებელმა გაუგზავნა მიმართვა შინაგან საქმეთა მინისტრს იმის შესახებ, რომ რადგან გაზეთი „დროება“ სისტემატურად უგულებელჰყოფს ცენზურის მოთხოვნებს, აუცილებელია გამომცემელ ბ. ქართველოვს მიეცეს წინადადება, რათა მან შვიდი დღის განმავლობაში ამოირჩიოს ამ გაზეთის რედაქტორად ვინმე უფრო ხაიმედო პირი თავად მაჩაბლის მაგივრად წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გამოცემა შეწყდეს იქამდე, ვიდრე არჩეული და დამტკიცებული არ იქნება ახალი რედაქტორი.

ამეამად მიღებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველის 6 აპრილის № 1218 მომართვაში გათვალისწინებულია, რომ რადგანაც კანონი შინაგან საქმეთა მინისტრს დამტკიცებული რედაქტორის ახალი პირით შეცვლის მოთხოვნის უფლებას არ აძლევს, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რომელიც მითითებულია სტ. 31, დამატ. სტ. 4 ცენზ. დადგ. 1876 წ გაგრძელება, ამიტომ სახელმწიფო მდივანი დურნოვო შეუძლებლად თვლის დააკმაყოფილოს კავკასიის საცენზურო კომიტეტის შუამდგომლობა და თვლის, რომ თუ გაზეთ „დროების“ რედაქტორი თავს უფლებას მისცემს დაბეჭდოს ის რაც ცენზურით არ არის დაშვებული, მაშინ ეს გამოცემა უნდა აიკრძალოს, რაც მოცემულია სტ. 69 ცენზ. დადგ., ე. ი. არა აქვს უფლება გამოსვლისა, ვიდრე არ მიიღებს თვითოეულ დაბეჭდილ ნომერზე გამოსაშვებ ბილეთს, თანახმად იმავე დადგენილების 68 სტ.

თქვენი აღნიშნული № 368 მომართვის პასუხად მთავარმართებლის კანცელარიას აქვს პატივი ამის შესახებ აცნობოს თქვენს აღმატებულებას, რასაც თან ერთვის ასლები და ხელნაბული მომართვა № 1218.

ცენზურის წესდების 1876 წ. გაგრძელების დანართი კან. კრ. ტ. XIV.

სტ. 49. თუკი რომელიმე პერიოდულ ორგანოს, რომელიც წინასწარ ცენზურას ექვემდებარება, ექნება მავნე მიმართულება, შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება ეძლევა შეწყვიტოს ყველა ასეთი გამოცემა არა უმეტეს რვა თვისა. სტ. 52 თუკი მესამე გაფრთხილების შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრი საჭიროდ ცნობს, პერიოდული გამოცემის გარკვეული ვადით წინასწარი შეჩერების მიუხედავად, საერთოდ შეწყვიტოს ეს გამოცემა, მაშინ იგი ამის თაობაზე წინადადებით მიმართავს პირველი დეპარტამენტის სენატის გამგეობას.

დანართი. სტ 52. (1876 წ. გაგრძ.) შენიშვნა.

მინისტრთა კომიტეტის 1882 წლის დებულებით დადგენილია: დროებითი გამოცემების სრული გაუქმების საკითხები (სახელმწიფო და ხასწავლო დაწესებულებებიდან იჯარით აღებულთა ჩათვლით), რომლებიც გამოდიან როგორც წინასწარი ცენზურით ისე მის გარეშე, ანდა მათი შეჩერება ვადის დაუდგენლად რედაქტორებისა და მათი გამომცემლებისთვის შემღეგშიც რომელიმე პერიოდული ორგანოს რედაქტორობის და გამოცემის აკრძალვის ჩათვლით, ენიჭება ერთობლივი მსჯელობის შედეგად მინისტრებს: შინაგან საქმეთა, სახალხო განათლების, იუსტიციის და წმინდა სინოდის ობერ პროკურორს. ამათ გარდა მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ მინისტრებმა და ცალკეული ნაწილების მთავარმართებლებმა, რომლებმაც აღძრეს ეს საკითხები. ასეთი საქმეთა გადაწყვეტილებების თანმიმდევრობა ექვემდებარება კოლეგიალური დაწესებულებების საერთო საფუძველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენზორ ისარლოვის მიერ შეტყობინებული ცნობები

თბილისში გამომავალი ქართული გაზეთი „დროება", რომლის რედაქტორია თავადი მაჩაბელი, გამუდმებით იქცევდა ცენზურის ყურადღებას თავისი ტენდენციური და სეპარატისტული მიმართულებით. ამ გაზეთისთვის წარმოდგენილი სტატიები გაჟღენთილია რუსეთის მიმართ მტრული განწყობილებით, მთავრობის განკარგულებებზე მწვავე თავდასხმებით და ადგილობრივი პოლიციის, სამღვდელოების და სასწავლო დაწესებულებების ღონისძიებების უგულებელყოფით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სტატიები განუწყვეტლად სისტემატურად იდევნება ცენზურის მიერ და იკრძალება დასაბეჭდად, გაზეთის რედაქცია მაინც ჯიუტად აგრძელებს ცენზურისთვის განსახილველად წარმოდგენას იმავე სახის და მიმართულების სტატიებს, უყურადღებოდ სტოვებს ცენზურის შენიშვნებსა და მითითებებს.

„დროების" ის სტატიები, რომლებიც ცენზურამ დააკავა და აკრძალა დასაბეჭდად და ცენზურის კომიტეტის საქმეები დაერთო:

1884 წელს — 59;

24 ივლისიდან 1885 წლამდე — 32.

ამისდა მიუხედავად თითქმის ყოველდღე ხდებოდა ცენზურის მიერ ნებადართული სტატიებიდან იმ მნიშვნელოვანი ნაწილების ამოგდება, რომლებიც ცენზურის წესდებით არ შეიძლებოდა ნებადართული ყოფილიყო დასაბეჭდად.

მიუხედავად მუდმივი მეთვალყურეობისა და საცენზურო კომიტეტის შენიშვნებისა, ამ გაზეთის მთავრობის საწინააღმდეგო არსი და მავნე მიმართულება შეამჩნია, როგორც საქართველოს ეგზარქოსმა, ისე კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იმ სტატიებით, რომლებიც შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულარული განკარგულებების საფუძველზე 1881 წ. 31 მაისს № 19, 1882 წ. აპრილს საცენზურო კომიტეტი გზავნიდა მათთან წინასწარი დასკვნის გასაკეთებლად და რომლებიც აგრეთვე აკრძალულ იქნა დასაბეჭდად.

თავად მაჩაბლის შესახებ საცენზურო კომიტეტმა მოახსენა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს ოფილ უფროსს 1882 წლის 7 აპრილის № 331[1] და მისი ბრწყინვალეების მთავარმართებლის კომიტეტის თავმჯდომარეს ამავ წლის 21 თებერვალს № 368[1].

„დროების" ზემოხსენებული ზოგიერთი სტატიის შინაარსი, რომელიც აკრძალა კომიტეტმა:

1884 წელს:

1) სათაურით — „რა დროს ბოდიშია?" მიმართულია ქართველი თავადაზნაურობის გაღალიზიანებლად გლეხთა ფენების წინააღმდეგ (აკრძალულია 1884 წ. 25 თებერვალს).

2) სეპარატისტული მიმართულების მოწინავე სტატია, რომელიც მსჯელობს იმაზე, რომ მხოლოდ ახლაღა შევიგნეთ ხალხის ძალა (აკრძალულია 8 აგვისტოს).

3) იმავე მიმართულების მოწინავე სტატია, რომელიც მოუწოდებს შეერთებას, ერთმანეთის ხელიხელ მიცემას (აკრძალულია 28 ნოემბერს).

4) ლექსი სათაურით: „№ ქალწულს", სადაც რუსეთი წარმოდგენილია ჩრდილოელ ცივ ქალწულად, რომელსაც წინადადება ეძლევა ჩამოშორდეს, გამოეყოს ამ ქვეყანას (აკრძალულია 1884 წ. 18 დეკემბერს).

1885 წელს:

5)ვარსკვლავებით აღნიშნულ ლექსში ქართველ ხალხს მოუწოდებენ აჯანყებისაკენ (აკრძალულია 2 იანვარს).

6) მოწინავე წერილი უველაფერი ქართულის შესწავლის შესახებ, რათა აღსდგეს ქართული ეროვნულობა (აკრძალულია 9 იანვარს).

7. მოწინავე სტატია: „მიუმხრობელი ქვეყნების მართვის სხვადასხვა სისტემა", რომელიც მიმართულია მთავრობის საწინააღმდეგოდ საქართველოსთან დაკავშირებით (აკრძალულია 16 იანვარს).

8. ლექსები „მწყემსი", სადაც უხამსადაა აღწერილი მეფე და მისი მახლობლები (აკრძალულია 30 იანვარს).

9. სტატია „ჩვენი, რონელიც ჩვენთვის არ არის განკუთვნილი" — მიმართულია ხახალხო განათლების წინააღმდეგ (აკრძალულია 13 მარტს).

10. „სიმღერა", რომელიც იწყება სიტყვებით „ვინა თქვა საქართველოზე, რომ ეს ლომის ბოკვერი კვდებაო", რომელიც მოუწოდებს უველას, რომ შეერთდნენ და იარაღი აიხსნან მტრის წინააღმდეგ (აკრძალულია 24 აპრილს).

11. სტატიაში სათაურით: „გორის მაზრის ხატრაპები" ურიგო ფორმით არის აღწერილი მაზრის უფროსი და მისი მოხელეები და მათი მოქმედება (აკრძალულა 17 ივლისს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარმართებლისგან
6 აგვისტო 1885 წელი
№ 7892
ქ. ყარსში

ბატონ შინაგან საქმეთა
სამინისტროს მმართველს

თქვენი ა. წ. 1 მარტის № 163 მომართვის საფუძველზე, სამინისტროს მივაწოდე ცნობა თავად მაჩაბელის რედაქტორობით გამომავალი ქართულ გაზეთ „დროების“ სეპარატისტული და ტენდენციური მიმართულების შესახებ და ვიოხოვდი ამ უკანასკნელის ამ გაზეთის რედაქტორობიდან განთავისუფლებას, როგორც მთავრობის შეხედულებებისათვის შეუსაბამო პიროვნებისა, როგორც თავისი საერთო რწმენით, ისე ეურნალისტიკური საქმიანობის ხასიათით, მის გამომცემელ აზნაურ ქართველოვს კი, რომელსაც ჯერჯერობით აქამდე თავისი მოღვაწეობის ამ სფეროში შემჩნევა არ ჰქონია მიღებული, აერჩია რედაქტორად სხვა უფრო საიმედო პირი. ამ ღონისძიების გატარება მე აუცილებლად მივიჩნიე იმ მოსაზრებითაც, რომ არ მომესპო ქართველი მკითხველი საზოგადოებისთვის ეს ერთადერთი ყოველდღიური ქართული გაზეთი, მაგრამ თქვენო აღმატებულებავ (6 აპრილის № 1213 მომართვა), არ ინებეთ საჭიროდ გეცნოთ ამ ზომების გატარება, როგორც კანონით გაუთვალისწინებელი ამ დროს, როგორც მაცნობეს, გაზეთ „დრების“ რედაქტორი თავადი მაჩაბელი არ წყვეტს ცენზურაში ისეთი სტატიების წარდგენას ამ გაზეთში გამოსაქვეყნებლად, რომლებიც მთავრობისადმი მტრულად განწყობილი სულითაა გაჯერებული, სადაც აშკარად ჰკიცხავს ადგილობრივ ადმინისტრაციულ, სასულიერო და სასწავლო ხელმძღვანელთა განკარგულებებს და მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სტატიები ცენზურის მიერ იდევნება და იკრძალება დასაბეჭდად, ამ ხასიათის სტატიები მაინც ხვდება გაზეთში გადატანითი მნიშვნელობით და ამდენად ცენზურით დაშვებული ფორმით და გარკვეულ ადგილებში და გარკვეულ მოსახლეობაში ახდენს რედაქციისთვის სასურველ მეტად გამაღიზიანებელ და სახიფათო შთაბეჭდილებას. ასე მაგალითად: გაზეთ „დროების“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში გამოჩნდა ფელეტონი გურიის ცხოვრებიდან, სადაც მეტად თავხედური დაცინვის ფორმით ინსინუირებულია ადგილობრივი უფროსი და მისი თანაშემწე სპარსი ხოჯასა და მოლას სახით, ეს ფელეტონი მეტად უგვანო და შეურაცხმყოფელი სახით წარმოგვიდგენს მაზრის უმაღლეს თანამდებობის პირთ, ჰკიცხავს საზოგადოების განაჩენთ, მხარის უმაღლესი ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციული ზომებით უწესო პირთა გასახლებას, ავრცელებს განუვითარებელ, მაგრამ ადვილად ამყოლ ადგილობრივ მოსახლეობაში ცრუ ცნობებს, რომლებიც ძირს უთხრიან ხელისუფლებისადმი ნდობას და პატივისცემას, გადმოგვცემს ისეთ ამბებს, სადაც ადგილობრივი უფროსი ეაჩაღებსა და ლაქიებს შორის ფიგურირებს და ბოლოს მასხარად იგდებს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის საგანგებო შუამდგომლობის საფუძველზე ადგილობრივი უფროსისთვის ჩემს მიერ გამოცხადებულ მადლობას, რომელიც მან სახალხო განათლების გავრცელების სამაგალითო მოღვაწეობისათვის მიიღო.

გაზეთ „დროების“ ასეთი ხასიათის მოქმედება და მიმართულება, რომლის მიზანია ჩემთვის მონდობილი მხარის მკვიდრ მოსახლეობაში უკმაყოფილების გაღვივება და მთავრობის და ხელისუფლების განკარგულებებისადმი უნდობლობა, მაიძულებს გთხოვოთ ამ გაზეთის გამოცემის შეწყვეტა.

თუ რამდენადაა გაღვივებული გაზეთ „დროებაში“ მთავრობის საწინააღმდეგო სული და მავნე მიმართულება, კარგად ჩანს იმ სტატიების ჩამოთვლით, რომლებიც მომიტანა კავკასიის საცენზურო კომიტეტმა და რომლებიც სხვადასხვა დროს წარდგენილი იყო ამ გაზეთში გამოსაქვეყნებლად, მაგრამ ცენზურის მიერ არ იყო დაშვებული:

ა) სახელწოდებით: „რა დროს ბოდიშია“, მიმართულია ქართველ თავადაზნაურთა გასაღიზიანებლად გლეხთა ფენების წინააღმდეგ.

ბ) სეპარატისტული ხასიათის მოწინავე წერილი, რომელიც მოუწოდებს, რომ ხელები ჩახვიდონ ერთმანეთს.

გ) ლექსი სათაურით „№ ქალწულს“, სადაც რუსეთი წარმოდგენილია ჩრდილოეთის ცივი ქალწულის სახით, რომელსაც წინადადება ეძლევა ჩამოშორდეს, მოსცილდეს ჩვენს ქვეყანას (საქართველოს).

გ) ვარსკვლავებით აღნიშნული ლექსი მოუწოდებს ქართველ ხალხს აჯანყებისაკენ.

დ). მოწინავე წერილი უველაფერი ქართულის აუცილებელი შესწავლის შესახებ, რათა აღსდგეს ეროვნულობა.

ე) სტატია „შეერთებული ქვეყნების მმართველობის სხვადასხვა სისტემა", [illegible] რობის წინააღმდეგ საქართველოსთან ურთიერთობაში.
ვ). ლექსები „მწყემსი", რომელშიც ურიგოდაა აღწერილი მეფე და მისი დამჭაშები.
ზ). სიმღერა: „ვინა სთქვა საქართველოზე, რომ ეს ლომის ბოკერი უკვე კვდებაო", მოუწოდებს ყველას შეერთებისა და მტრის წინააღმდეგ იარაღის ასხმისაკენ.
თ). სტატიაში: „გორის მაზრის სატრაპები", ურიგოდაა აღწერილი მაზრის უფროსის და მისი ქვეშევრდომი მოხელეების მოქმედება.

ვაცნობებ რა თქვენს აღმატებულებას ყველაფერს ამას და ვიღებ რა მხედველობაში, რომ აღნიშნული ამოღებული სტატიების ჩამოთვლაც კი საკმარისად მოწმობს გაზეთ „დროების" რედაქციის მთავრობისადმი მტრულ და პოლიტიკურად არაკეთილგანმზრახველ ხასიათს, რომლისგან გადახვევას, როგორც ჩანს, არც აპირებს, იძულებულს მხდის უმორჩილესად ვთხოვო თქვენს აღმატებულებას მიიღოს გაზეთ „დროების" მიმართ 1882 წლის უზენაესით დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დებულება (ტ. XIV, ცენზ დადგ. გაგრძ. 1883 წ. 52 სტ. დამატ. შენიშვნა),ე.ი. ამ გამოცემის შეწყვეტა განუსაზღვრელი ვადით და რომ მის გამომცემელს აზნაურ ქართველოვს და რედაქტორს თავად მაჩაბელს აეკრძალოთ შემდეგშიც სხვა რომელიმე პერიოდული ორგანოს გამოცემა და რედაქტორობა.

ამასთან ერთად ზედმეტი არ იქნება დავაზუსტო, რომ ვშუამდგომლობ რა გაზეთ „დროების" მიმართ სწორედ ამ ზომების გატარების შესახებ და არა მის დროებით შეჩერებას თავად მაჩაბლისა და აზნაურ ქართველოვისთვის შემდეგშიც ეურნალისტიკური მოღვაწეობის უფლების დატოვებით, მე ვხელმძღვანელობდი ქვემოთჩამოთვლილი მოსაზრებებით: „დროების" ხასიათი და მიმართულება ნათლად ამტკიცებს, რომ ამ ორგანოს ხელმძღვანელები ოპოზიციაში ჩაუდგნენ როგორც მთავრობას, ისე განსაკუთრებულად მხარის ადმინისტრაციას. არასოდეს და არც ერთ შემთხვევაში გაზეთი არ წარმოადგენდა პატიოსან და კეთილსინდისიერ შემსრულებელს მთავრობის თუ ადმინისტრაციის ამა თუ იმ ღონისძიებისა, პირიქით, ყოველთვის და არაჩვეულებრივი სიჯიუტით იგი ისწრაფვოდა გაეკრიტიკებინა და დაეცინა ყველაფრისთვის, რაც ქართველი ხალხის სასარგებლოდ კეთდებოდა, სამწუხაროდ, სხვა უფრო კეთილი განზრახვის ორგანო ქართულ ენაზე ამ მხარეში არ არსებობს, რის გამოც „დროების" ყოველი ცრუ მსჯელობა ანდა ტენდენციური ცნობები ამავე ენაზე კრიტიკის თუ უარყოფის გარეშე რჩება, ამიტომ არსებითად საჭიროა და უსათუოდ აუცილებელი, რომ ქართულ ენაზე გამომავალი ბეჭდვითი ორგანო იმყოფებოდეს მთავრობის და მისი მიზნების ერთგულ პირთა და არა მისი პირდაპირი მტრების ხელში, როგორებსაც წარმოადგენენ გაზეთ „დროების" დღევანდელი რედაქტორი და გამომცემელი.

ხელმოწერა: გენერალ ადიუტანტი თავადი დონდუკოვ-ქორსაკოვი;
სწორია: საქმის მწარმოებელი ა. სამოილენკოვი.

მის ბრწყინვალებას, ბატონ კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებელს, გენერალ-ადიუტანტ თავად ალექსანდრე მიხეილის ძე დონდუკოვ—კორსაკოვს

ქარ[illegible]ულ გაზეთ „დროების" გამომცემელის
გიორგი დავითის ძე ქარ[illegible]ველოვის

განცხადება

იმის გამო, რომ ჩემს მიერ გამომავალი ქართულ გაზეთ „დროების" პასუხისმგებელი რედაქტორი, ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა კანდიდატი, თავადი ივანე გიორგის ძე მაჩაბელი თავიდან იხსნის ამ წოდებას, — მაქვს პატივი უმორჩილესად ვთხოვო თქვენს ბრწყინვალებას შუამდგომლობა, რათა გაზეთ „დროების" რედაქტორად დამტკიცდეს თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, რომელიც ამჟამად გამომავალი ყოველთვიურ ეურნალ „ივერიას" რედაქტორ—გამომცემელს წარმოადგენს.

ამასთან ერთად მაქვს პატივი განვაცხადო, რომ ამის თაობაზე უკვე წარდგენილია განცხადება ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოში ამავე თარიღით.

გიორგი დავითის ძე ქარ[illegible]ველოვი
22 აგვისტო 1885 წ.
ქ. თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის საცენზურო
კომიტეტის თავმჯდომარე
28-29 აგვისტო 1885 წელი
თბილისში
№ 1811

კონფიდენციალურად

მოწყალეო ხელმწიფევ, ვლადიმერ პეტრეს ძევ. მიმდინარე აგვისტოს 22 რიცხვში საცენზურო კომიტეტში შემოვიდა ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს სახელზე, ქართულ გაზეთ „დროების“ გამომცემელ ბ. ქარ(თველოვის, ამ გაზეთის რედაქტორის თავ. მაჩაბლის და ქართული ყოველთვიური ეურნალ „ივერიას“ რედაქტორ-გამომცემლის თავ. ჭავჭავაძის განცხადებები, სადაც ისინი შუამდგომლობენ, რათა „დროების“ რედაქტირება თავ. მაჩაბლიდან გადაეცეს თავად ჭავჭავაძეს.

იმასთან დაკავშირებით, რომ თავადმა მთავარმართებელმა ინება „დროების“ გამოცემის შეწყვეტის შესახებ საკითხის დაყენება, ქართველოვისა და თავად მაჩაბლისთვის პერიოდული ორგანოს გამოცემის უფლების ჩამორთმევით, მე უხერხულად ვთვლი, რომ ამ განცხადებებს მივცე მსვლელობა და ვალდებულად ვთვლი თავს გადმოგიგზავნოთ თქვენ, რათა მოახსენოთ მის ბრწყინვალებას.

ჩემი მხრიდან აუცილებლად ვთვლი შეგატყობინოთ, რომ თავად ჭავჭავაძისთვის „დროების“ გადაცემა სრულებით არ არის სასურველი შემდეგი მოსაზრებების გამო. თუმცა თავადი ჭავჭავაძე წარმოადგენს „ივერიის“ რედაქტორ გამომცემელს, მაგრამ როგორც ცენზურისთვის არის ცნობილი, თავ. მაჩაბელს ამ ეურნალის გამოცემაში იმდენად დიდი წვლილი მიუძღვის, რომ „დროების“ და „ივერიის“ ტონი და მიმართულება მთლიანად ანალოგიურია. თუკი „ივერიას“ დასაძრახი არაფერი გაუკეთებია, როგორც „დროებას“, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თავ. ჭავჭავაძეს არასოდეს მიუმართავს ისეთი უკადრისი საქციელისათვის, რომლის უფლებასაც „დროება“ აძლევს თავს და ყოველთვის ცენზურის მოთხოვნებს და მითითებებს ემორჩილებოდა, მაგრამ ეჭვი არ არის იმაში, რომ იგი თავ. მაჩაბელს არ წაართმევს გაზეთ „დროების“ გამგეობაში უახლოესი მონაწილეობის უფლებას და ჩვენს მიერ განზრახული გადაცემა არსებითად იქნება სრულიად ფიქტიური: საქმის ბატონ-პატრონი წინანდებურად ისევ თავ. მაჩაბელი იქნება.

იმის საბაბიც კი არ გვაქვს დავუშვათ, რომ თავ. ჭავჭავაძე მიიღებს რაიმე ზომებს გაზეთ „დროების“ მიმართულების შესაცვლელად. პირიქით, მათი თანამშრომლობა მემამულეთა სამიწათმოქმედო ბანკში, რომლის თავმჯდომარესაც თავ. ჭავჭავაძე წარმოადგენს, ხოლო თავ. მაჩაბელი გამგეობის წევრია, ნათელჰყოფს, რომ მათი ინტერესები საერთოა არა მარტო ეურნალისტურ საქმიანობაში და რა თქმა უნდა ისინი არ დაუშვებენ ურთიერთ სოლიდარობის დარღვევას.

ვურთავ რა ზემოხსენებულ ბ. ქართველოვის, თავ. ჭავჭავაძის და მაჩაბლის განცხადებებს ამ მოხსენებას, ნება მიბოძეთ უმორჩილესად გთხოვოთ, მოწყალეო ხელმწიფევ, ერწმუნოთ თქვენდამი ჩემს სრულ პატივისცემას და ერთგულებას.

თქვენი მონამორჩილი კ. იანიმოვი.

№ 1842 მთავარმართებლის კანცელარია 16 IX
საიმპერატორო ტელეგრაფი
ტფილისი

ტელეგრამა № 102822
პეტერბურგში გადაცემულია 1885 წ. 2 ს. 30 წ.
თბილისში მიღებულია 1885 წ. 6. 15 წ.
ტფილისი

კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავამართებელს,
1883 წ. 52 სტატიის დამატების 4 ფურც. საცენზ. დადგ. შენიშვნის საფუძველზე გაზეთ „დროების“ გამოცემა საერთოდ შეწყვეტილია. გთხოვთ, გასცეთ შესაბამისი განკარგულება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველი:
სახელმწიფო მდივანი დურნოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანცელარიიდან
№ 9115
16 სექტემბერი 1885 წ.
საქმე № 40-85
85 წ.

ბატონ კავკასიის
საცენზურო კომიტეტის თავჯდომარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველმა ბ. მთავარმართებლის № 7892 განვლილი აგვისტოს 6 რიცხვის მოხსენების საფუძველზე ქართულ გაზეთ „დროების“ გამოცემის შეჩერების შესახებ ვადის დაუდგენლად და გამომცემელ აზნაურ ქართველოვისთვის და რედაქტორ თავად მაჩაბლისთვის შემდეგშიც რომელიმე პერიოდული გამოცემის რედაქტორობის და გამოცემის აკრძალვის თაობაზე — მისი ბრწყინვალების სახელზე მიმდინარე 14 სექტემბრის რიცხვით გამოგზავნილი დეპეშით გვაცნობა, რომ 52 სტატიის შენიშვნის საფუძველზე, 4 სტ. დამატ. ტ. XIV, 1883 წლის ცენზ. დადგ. გაგრძელებით, გაზეთ „დროების“ გამოცემა საერთოდ შეწყვეტილია.

მთავარმართებლის ბრძანებით კანცელარიას აქვს პატივი ამის შესახებ აცნობოს თქვენს აღმატებულებას შესაბამისი განკარგულების გასაცემად.

კანცელარიიდან
№ 9116
16 სექტ. 1885 წ.
საქმე № 40-85

გაზეთ „კავკაზის“ რედაქციას

მთავარმართებლის განკარგულებით, კანცელარიას აქვს პატივი უმორჩილესად სთხოვოს გაზეთ „კავკაზის“ რედაქციას, რომ გაზეთ „კავკაზის“ ხვალინდელი ნომრის პირველ ფურცელზე, მის ოფიციალურ ნაწილში დაბეჭდოს თან ხლებული განცხადება ქართულ გაზეთ „დროების“ გამოცემის შეწყვეტის შესახებ.

დირექტორის მაგიერ ვიცე დირექტორი.

№ 1842
1742

შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველმა ა. წ. 14 სექტემბრის თარიღით აცნობა ბატონ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს, რომ 1883 წ. ტ. XIV საცენზ. კომიტ. დებულ. სტ. 52, 4 სტ. დამატების საფუძველზე ქართულ გაზეთ „დროებას“ გამოცემა საერთოდ შეწყდეს.

სწორია: საქმეთმწარმოებლის თანაშემწე ა. სიმოინენკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერი ჭელიძე

„მკვდრის მზის“ ფილოსოფიური საზრისი

გიორგი შატბერაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავი

თანამედროვეობის ყველაზე ძნელ საკითხებზე მწერლის მხრივ პასუხისძიება, კვლევა იმისა, თუ რა არის ადამიანის ცხოვრების საზრისი, რაში მდგომარეობს თავისუფლება და პასუხისმგებლობა, როგორ ვლინდება ადამიანის შინაგანი გაორება კეთილისა და ბოროტის, კარგისა და ავის დაპირისპირების სახით, რა გზით მიემართება ამორჩევის აუცილებლობა, როგორ შეუძლია ადამიანს გამოიმუშაოს საკუთარი არსების გარდაქმნის უნარი, და ბოლოს, რა არის ის მიზანი, რომელშიც მისი არსებაცა ჩანს, თავისუფალი არჩევანიც, იმედიცა და პასუხისმგებლობაც, — ყოველივე ეს თანამედროვე ექსისტენციალიზმის თავსატეხ პრობლემებს ემთხვევა და რა საამაყოა, რომ 60-იანი წლებიდან ჩვენს ქართულ მწერლობაში თავი იჩინა მათი გააზრებისა და მხატვრულ სახეებში წარმოსახვის ნიმუშებმა.

ერთ-ერთი პირველთაგანი კი გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზე“ იყო, ჩვენში ფრიად აღიარებული პროზაული ნაწარმოები. მასში საკმაოდ მარტივი სიუჟეტის ფონზე მთელი სიგრძე-სიგანით დგას ზევით ჩამოთვლილი რთული საკითხები და მათი თავისებური გადაწყვეტაცაა მოძებნილი. შემთხვევითი არ არის ამ მოთხრობის სათაურშივე ფილოსოფიური შინაარსით დატვირთული მეტად საგულისხმო გაგრძელება — „ამბავი წუთისოფლის დიდი დღისა“.

„მკვდრის მზე“ გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების აპოთეოზიც იყო და თავისებური გედის სიმღერაც. ეს ბუნებრივადაც მოხდა, რადგან, თუ ჰეგელს დავუჯერებთ, „მინერვას ბოტი მწუხრის ჟამს გამოდის“, ე. ი. ფილოსოფიური რეფლექსიები ჭარმაგობის ხანაში იწყება.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ე. წ. სოციალისტური რეალიზმის მარწუხების პირობებში მოთხრობა „მკვდრის მზეში“ გიორგი შატბერაშვილი „ანონიმურ ექსისტენციალისტად“ მოგვევლინა, რადგან იგი ეძებდა ცხოვრების იმ გზას, რომლის მიკვლევას თუმცა ყოველი ფილოსოფოსი ცდილობდა, მაგრამ მისი აღმოჩენისათვის ყველაზე მეტ შედეგიანობას ადამიანის ყოფიერების საზრისის შემსწავლელმა მიმართულებამ — ექსისტენციალიზმმა მიაღწია. საქმე ეხება, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ცხოვრების საზრისს, მისი სიცოცხლის მუდმივი თანამდევის — სიკვდილის სიკვდილითვე დათრგუნვის შესაძლებლობის განსაზღვრას.

რა არის ცხოვრების მიზანი? რა აძლევს საზრისს ადამიანის ყოფიერებას?

ამ კითხვებზე პასუხი გ. შატბერაშვილის მიხედვით, ალტერნატიულია შესაბამისად იმისა, მომხმარებლური ყოფიერების ადამიანთან გვაქვს საქმე, რომელიც უტილიტარული, პრაგმატული სიცოცხლით ცხოვრობს, თუ ადამიანთან, რომელიც ცოცხლობს უმაღლესი ადამიანური მიზნის მიხედვით და რომლის ცხოვრების საზრისი ის გამხდარა, რომ აამაღლოს წინა თაობის ნაღვაწი, გადააჭარბოს თავის წინაპრებს უმაღლეს ღირებულებათა შექმნაში, გაიმარჯვოს მასობრივთან, მდაბალ ადამიანურ მისწრაფებებთან ჭიდილში, ემსახუროს უმაღლესი ადამიანური იდეალების განხორციელებას.

გ. შატბერაშვილის საჯილდაო ლოდი სიმბოლოა ცხოვრებისეული ჭიდილის იმ ასპარე-

ზისა, სადაც ადამიანები თავიანთ შინაგან მრწამსს აელენენ, სადაც ავანსცენაზე დგებიან გმირული სულის პიროვნებანი. მასობრივ ცნობიერებაზე ამაღლებულნი და თავისი შეუპოვარი მისწრაფებით ცდილობენ, გადალახონ ძველი დიდების საფეხურები. ისინი უკვე მიღწეულზე ამაღლებას ესწრაფვიან, იღვწიან იმისათვის, რაიმე ახალი მისცენ საზოგადოებას, ერს, მშობლიურ ხალხს. მეორენი კი, მასობრივი ყოფის ადამიანები, მისგან ანირონიული შეძახილებით, ანდა შიშით განზე დგებიან და მალვით თუ აშკარად მათთვის ჩვეული უზრუნველი ცხოვრების მშვიდობიან, უვნებელ გზას მიჰყვებიან.

საჯილდაო ლოდი გმირული სულის ადამიანთა ბედისწერაა. ასეთ პიროვნებას სხვაგვარად არსებობა არ შეუძლია, თუ არა მასთან ჭიდილში ცხოვრება. იგი ცხოვრების ის უდიდესი საზრისია, რომელთან ჭიდილში შეიძლება დამარცხდე, მაგრამ მასშია გამოსახული უპირველესი ცხოვრებისეული მიზანი, რომელმაც აზრი მისცა „მკვდრის მზის" მთავარ გმირებს — ხიზამბარელისა და თენგოს სიცოცხლეს. გ. შატბერაშვილის ეს პერსონაჟები ყოველდღიურობაზე, კონფორმისტულ ცხოვრებაზე ამაღლდნენ. მწერლის დახასიათებით, ხიზამბარელმა, თუმცა რაც არ გააჩნდა, ყველაფერი იშოვა, — ცხენიც, ბევრი ვერცხლიც, — მაგრამ მისი ცხოვრების საზრისი სხვაა, მან უნდა სძლიოს საჯილდაო ქვას. ამით უნდა გაეჯიბროს თავის წინაპრებს, მათ სახელოვან საქმეებზე მეტი უნდა გააკეთოს. სოფლის თვალია ახალგაზრდა თენგო. მას ცხოვრებამ თითქოს ყველაფერი მისცა, — ტკბილი ოჯახი, სატრფო, შვილის შეძენის დიდი სიხარული. მაგრამ მთელი მისი არსება სხვაგანაა მიმართული, მისი ცხოვრების მიზნად მარტო ის საბედისწერო ქვა ქცეულა, რომელიც ცხენის ზურგზეც გადაატარა და ახლა თავზევით უნდა გადაიგდოს. გადაიგდო კიდეც. მიზანს ეწია, მაგრამ იგი ტრაგიკული გმირია და იღუპება. დატოვა მემკვიდრე, რომელიც ასევე გააგრძელებს ამგვარსავე ცხოვრებას.

გამორჩეული სულის ადამიანის ცხოვრება, კონფორმისტული ადამიანის თვალით დანახული, მართლაც, თავისებური ტრაგედიაა, რადგან მას არ შეუძლია მასობრივი ადამიანივით იცხოვროს, მას აქვს იდეალები და ყველაფერს სწირავს მათი განხორციელებისათვის. ამიტომ ასეთი ადამიანები ისევე არ კვდებიან, როგორც მასობრივი ადამიანი; მათი ცხოვრება უთუოდ უნდა გაგრძელდეს და ეს ხდება ისტორიულ მეხსიერებაშიც და რეალობაშიც.

გმირული სულის ადამიანი თავისი გამორჩეულობით რჩება თაობიდან თაობის ისტორიულ ცნობიერებაში, მეხსიერებაში, როგორც „სიკვდილითა სიკვდილსა ძლევენ და უკვდავებაში დამკვიდრებენ". ეს ისე ხდება, როგორც კაცობრიობის განვითარებაში უმაღლესი იდეალებისადმი ადამიანთა სწრაფვის უსასრულობა. ამისი გარანტია ის არის, რომ კაცობრიობა არ შეიძლება მომხმარებლურ ადამიანთა ნახევრად პირუტყვულ ყოფიერებად გადაგვარდეს, რომ ისტორიის დიდ სცენაზე კვლავ და კვლავ გამოვლენ ახალი გმირები და ნამდვილი საზრისისეული ყოფის ადამიანებს შორის კიდევაც გაგრძელდება აუცილებელი სულიერი კავშირი.

გ. შატბერაშვილის გმირებს, ხიზამბარელსა და თენგოს შორის, ასეთი შინაგანი სულიერი მემკვიდრეობითი კავშირია და ეს მათში თავისებურ სულიერ ნუბილსაც იწვევდა, მაგრამ ამავე დროს ასაზრდოებდა და აკეთილშობილებდა მათ ყოფიერებას. მწერლის მიერ მეტად ძუნწად მოხაზული შტრიხებიდან უკვე ჩანს, რომ თენგოს ბიჭიც მათი სულიერი მემკვიდრე, მათივე იდეალების მსახური იქნება და უთუოდ გააგრძელებს საჯილდაო ლოდის ძლევას.

ადამიანის ცხოვრების საზრისის წვდომისათვის მომხმარებლური ცნობიერების დაგმობაა საჭირო. კონფორმიზმიდან გამოსვლა, გმირული სულის ზიარება. ადამიანის არსების გაგებისათვის თანამედროვე ექსისტენციალიზმი ეძებს ახალ-ახალ გზებსა და მეთოდებს. ალბერ კამიუსათვის გმირული სულის ადამიანი მარადიული მოჯანყეა. მან სიზიფოსის მითის მოდერნიზაციით მოჯანყე სულის ადამიანი ღმერთსაც დაუპირისპირა და ღმერთის მიერ დასჯილ იმ მორჩილ ადამიანებსაც, რომელნიც თავისი ყოფიერებით ლოდზე არიან მუდმივ მიჯაჭვულნი და ამიტომ ცდილობენ ერთგულად მოიხადონ სასჯელი. მათ მუდმივ ზევით ააქვთ ლოდი, რომელიც მთის წვერზე ატანისთანავე ღმერთის ნებით უმალ უკანვე დაგორდება ხოლმე. ეს ლოდი სიზიფოსის ბედია, მან ტრაგედიად აქცია ადამიანის სიცოცხლე. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კამიუს ადამიანი ტრაგიკულია, იგი არ გოდებს, შეწუალებას არ ითხოვს და წაყენებულ სასჯელს აქტიური შრომით პასუხობს, თუმცა იცის, რომ მისი შრომა უაზრო და უშედეგოა. ამიტომ არის კამიუს სიზიფოსი აბსურდის გმირი და აბსურდულ ყოფიერებაში კი ბედნიერება, რაიმე პროგრესი შეუძლებელია.

კამიუს სიზიფოსს თუმცა მოჯანყე სული აქვს, მაგრამ ეს ფაქტიურად სხვა არაფერში არ გამოიხატება, თუ არა აბსურდული ყოფიერების აღიარებაში და მასთან შეურიგებლობის გაცნობიერებაში, რასაც პრაქტიკულად არავითარი შედეგი არ მოსდევს. საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ კამიუს ადამიანის მოჯანყე სული ბედთან შერიგების გადაწყვეტილებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღებს, რადგან მას სრულიადაც აღარა აქვს იმედი ამ აბსურდულ სამყაროზე გამარჯვებისა. ამიტომ ჯიუტად ჩასჭიდებია სიცოცხლისათვის ბრძოლას, მორჩილად აღარ დანებდება სიკვდილს და ცხოვრების ქაოსურ დინებას აედევნება.

ბევრი რამ არის საერთო კამიუს სიზიფოსი მითში ლოდთან შებმულ ადამიანსა და გ. შატბერაშვილის საჯილდაო ქვასთან შეჭიდებულ გმირებს შორის, მაგრამ დიდი განსხვავებაცაა. კამიუს მოჯანყე ადამიანი ვერ იმარჯვებს, იგი ფარხმალს ჰყრის, ეგუება ჩვეულებრივ ყოფას და ფილოსოფოსი ხაბოლოოდ უიმედობის, აბსურდული ყოფიერების გამართლებამდე მიდის. გ. შატბერაშვილის „მკვდრის მზეშიც“ ადამიანის ბედის საზომი საჯილდაო ლოდი გახდა, მაგრამ მასთან ჭიდილი უარყოფაა როგორც აბსურდული, პასიური ყოფიერების, ისე უტილიტარული ყოფის, ქამა-სმისა და პომპეზურობის აპოლოგიისა. მასთან ეს ჭიდილი არის გარდაქმნა ძველისა ახლად. ჭიდილი წარსულთან წინაპრების მონაპოვართან შედარებით უფრო უკეთესის მიღწევისათვის, უფრო მაღალ საფეხურზე ამაღლებისათვის.

საჯილდაო ქვის ძლევა ცხოვრების გმირის მიერ გზის გაკვალვაა ახლისაკენ, ეს არის სახელის დამკვიდრება და ამიტომ სიკვდილის დამარცხება ხდება სახელისა და საქმის გაგრძელების, მისი მარადიულობის აუცილებლობის დადასტურებით. რუტინასთან შეურიგებლობა, პატიოსანი შრომითა და ბრძოლით ახლის მოპოვება, „სიკვდილითა სიკვდილის“ დათრგუნვა, — ასეთია მწერლის გაგებით ადამიანის ცხოვრების საზრისი და ამიტომ მისი გმირებისათვის ლაჩრული სიცოცხლე, შემრიგებლობა, სასომიხდილი სიკვდილი სამარცხვინოა; გმირული სულის ადამიანები მოქმედებენ დევიზით: „სირცხვილ არს სიკვდილი“.

მწერალმა კარგად იცის, რომ ადამიანი შინაგანად გაორებულია და ამიტომ არის იგი ძალზე რთული არსება; დიდი ხნის განმავლობაში ფილოსოფოსები უმეტეს წილად მხოლოდ მოაზროვნეს, რაციონალისტს, მარტო გონების ადამიანს ხედავდნენ, რომელიც გადაწყვეტილებას ძირითადად იღებს იმ კრიტერიუმის მიხედვით, თუ რა უფრო მეტად სასარგებლო და რაციონალური იქნება მისთვის. ადამიანის ჭეშმარიტი არსების მინიშნება მხოლოდ ექსისტენციალიზმში მოხდა და გ. შატბერაშვილთან ადამიანის შინაგანი გაორების მხატვრულად წარმოსახვა, ამ ფილოსოფიურ პოზიციასთან მისი დაახლოების კიდევ ერთი მანიშნებელია.

მწერალმა პიროვნების გაორება გააანალიზა, როგორც საკუთარ თავში შინაგანი დაპირისპირება მოშხმარებლურ ადამიანად. „ავ“ და დადებით გმირად, გმირულ სულად ასე გაორდა ნაწარმოების გმირი გიორგი და ამ თა დიალოგი ორეულებს შორის. „კეთილ“ გიორგისა თავის ანტიპოდთან „ავგიორგისთან“. ერთ სულში, ერთ პიროვნულ არსებაში არიან გასხეულებული ორი გიორგი თავისი საპირისპირო ცხოვრებისეული საზრისით. ავგიორგისათვის ეს საზრისი უალრესად მარტივია. დაზოგილი ცხოვრება, ხანგრძლივი სიცოცხლე. მისთვის ბეჩავი, სასომიხდილი სიკვდილი სირცხვილი არ არის. მისი მრწამსით ღონისაც ისეთივე დაზოგვა უნდა, როგორც ვერცხლსა და სიმდიდრეს. მთელი სიცოცხლის სამყოფი ძალა ერთბაშად არ უნდა დახარჯო, რადგან ვინც ერთბაშად დაიხარჯება, ცეცხლი წაეკიდება და ბურბუშელასავით დაიწვის.

გიორგის გმირული სულისათვის კი დაზოგილი სიცოცხლე ცხოვრება არ არის: „რათ უნდა დავზოგო? იმისთვის, რომ ცოცხალი მერჭვას და ახ წელიწადს ულონოდ მივათრევდე ლეშსა?!“ „დაზოგილი ღონით ნატვრა ვის შესრულებია... თუ ერთბაშად არ დაიხარჯე, თუ ერთბაშად არ მოიქნიე ფრთა, ერთხელაც ვერ აფრინდები არწივივით“.

თუნდაც ერთბაშად დახარჯული სასიცოცხლო ძალით ადამიანს ცეცხლი წაეკიდოს, ბურბუშელასავით დაიწვას! სწორედ ის არის ცხოვრების საზრისი, რომ პროგრესია მიღწეული, ზეაღსვლაა, პროგრესი კი ცხოვრების სინათლეა, „სინათლეს სწორედ ის ცეცხლი აჩენს... მერე სინათლე სხვას უშუქებს გზასა“...

მწერალმა ბრწყინვალედ გადაწყვიტა ურთულესი პრობლემა: ადამიანი უნდა იღვწოდეს არა ხანგრძლივი, დაზოგილი სიცოცხლისათვის, არამედ სახელოვანი, ნაყოფიერი, ერისა და ხალხისათვის სიკეთის მომტანი ცხოვრებისათვის. ცხოვრების გმირი ის არის, ვინც საზოგადოებრივ პროგრესს ემსახურება, ვისი სახელიც ნათელ სვეტად, გზის გამკვლევად რჩება მომავალი თაობებისათვის.

„მკვდრის მზეში“ გ. შატბერაშვილი დროის გაგების მეტად საინტერესო კონცეფციას ანვითარებს. დრო წარმოდგენილია მითოსურ მარადიულობად, რომელიც დგას, უძრავია სივრცესავით, „უსახო და უსხეულო მდუმარეა, რომელსაც ხანდახან ჩვენი... ძახილი არღვევს“. მასში ჩვენისთანები მიდიან და მოდიან, ღრუბლებივით გაიკროლებენ და გაქრებიან. ამ მარადიულობაშია ჩვენი საკუთარი დრო, ჩვენი მოსვლა და წასვლა, ჩვენი განცდები, ჩვენი არსებობა, ის დრო, რითაც ჩვენი სიცოცხლე იზომება და რაც მთავრდება ჩვენი მზის ჩასვენებით.

...და არის მკვდრის მზე, მარადიული სიცოცხლის ტრიალი, ხსოვნის, მუდმივი სახელისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხსოვნის სიმბოლო. მკვდრის მზე სიკვდილის დამარცხებაა, რადგან იგი როგორც არ უნდა გაფერმკრთალდეს, როგორც არ უნდა გაჭოელიოს ძალღონე, ის „ძლევის ქედზე დანთებული ჩამავალი მზის ის მოღლილი შუქია", რომელიც ხელახლა მოევლინება ქვეყანას თავისი ცხოველი სინათლით. მკვდრის მზე მარადიულობის ზიარებაა, სახელის უკვდავყოფაა, გმირის ხვედრია.

გ. შატბერაშვილისათვის მკვდრის მზე გმირული სულის ადამიანის აღსასრულია და არა დასასრული. მზის ჩასვენება ადამიანის არსებობის ის მომენტია, როცა ძალღონე გამოლეულს წინააღმდეგობის ძალა დაუკარგავს; მკვდრის მზეს ფერდაკარგული შუქი აქვს, „უმცირესი კენჭებიც კი ესვრიან გრძელ ჩრდილებს". ასეთ მზეს თვალს ადვილად ვუსწორებთ, თამამად ვუყურებთ, იგი თვალს აღარა სჭრის. მთავარი ისაა, რომ მკვდრის მზე სიცოცხლის უკვდავების განსახიერებაა.

მკვდრის მზე ყველა მოკვდავთათვის როდი ამოდის, ეს „დაღლილი მზე" იმათთვის აშუქებს, ვინც ღირსეულად კვდება. ადამიანი, ვინც სახელი და დიდება მოიპოვა თავისი მზით, მკვდრის მზით აშუქებს. [illegible] ხელის უკვდავება მემკვიდრეობაში, თაობებში, კაცობრიობაში, ისტორიულ ხსოვნაში.

მწერალმა ამგვარად მკაცრი ზღვარით გამიჯნა ერთმანეთისაგან სიცოცხლის პათოსით შეპყრობილი, გმირული სულის ადამიანის ცხოვრება პასიური ინდივიდის გაცრეცილი სიცოცხლისა და სასომიხდილი სიკვდილისაგან.

გიორგი შატბერაშვილმა „ცხოვრა თავისი სათაყვანებელი გმირების ჰეროიკული სულიერი პათოსით შეპყრობილმა. მას საკუთარი ცხოვრების საზრისად არ გაუხდია კონფორმისტული, დაზიგილი, უზრუნველყოფილი ცხოვრება. იგი თავისი მთავარი გმირებივით ერთბაშად დაიხარჯა, შემოქმედებით ცეცხლში დაიფერფლა და თავის შემდეგ დატოვა მადლიანი ქართულით ნათქვამი მართალი და ბრძნული აზრი, — მან თითქოს თავისთავზე თქვა:

„სირცხვილ არს სიკვდილი", თუ ვერ შესძელი „სიკვდილითა სიკვდილის" დათრგუნვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ კოსტავა

გალაკტიონი

გალაკტიონ ტაბიძეს განსაკუთრებული ინტიმი აბსიათებს ლიუციფერისადმი, რაც არა მარტო იმ ლექსებში იგრძნობა, რომლებშიც იგი უშუალოდ ლიუციფერს მიმართავს ან აზსენებს, არამედ ლექსების განწყობილებებშიც. ლიუციფერთან მიმართებაში იკვეთება მისი ეთოსიც, მაგრამ ეთოსი სავსებით განსაკუთრებული და უცნაური. ამ არსებასთან ადრეც ჰქონიათ შეხება მსოფლიოს უდიდეს პოეტებს: ბაირონს, შელლის, ბოდლერს, ლერმონტოვს, რილკეს და სხვებს, მაგრამ ასე მრავალმხრივად და ღრმად ჯერ არც ერთ მათგანს არ წარმოუჩენია მისი ხახე. იგი ისე ღრმად არის დაკავშირებული მასთან, როგორც საკუთარ ბედისწერასთან. პოეტი უძველესი ხანიდან არის ამ არსებასთან დაკავშირებული.

„წვიმა და თოვლი...
რა მხარეები გიცდის სიბერის!
შენ გესიზმრება შენი სამშობლო,
სამშობლო შავი, ლიუციფერის.
სამშობლო ძველი...
გზა, დაფენილი მსხვერპლით, ცხედრებით
და სისხლით სველი,
გზა სასოკვდილო გადათეთრებით.
სამშობლო შავი ლიუციფერის,
შენ მწუხარებამ დაგაძმობილა
ჩვენ მწუხარებამ დაგვიძმობილა
ღამის ტყე-ველი,
არასდროს ჩვენთან იქ არ ყოფილა
ნაზარეველი.“

რომელ სამშობლოზე საუბრობს აქ გალაკტიონ ტაბიძე? რომ სამშობლო იგი არის ძველი, სისხლიანი, მსხვერპლითა და ცხედრებით მოფენილი გზა, სად არასოდეს არ ყოფილა ნაზარეველი, ე. ი. იესო ქრისტე. მაშასადამე, აქ საუბარია კაცობრიობის განვითარების გზაზე დასაბამიდან ქრისტეს განკაცებამდე. ლექსი ერთთავად სუნთქავს ბიბლიის დასაწყისში წარმოდგენილი კოსმიური დრამის შედეგებით. აქ წარმოჩნდა თავდაპირველად ასპარეზზე გველთან გაიგივებული ლიუციფერი, რომელმაც ცოდნის ხეს აზიარა ხატად ღვთისად შექმნილი კაცობრიობა. მაშინ „თქუა ღმერთმან: აბა ადამ იქმნა ვითარცა ერთი ჩუენთაგანი, მეცნიერნი კეთილისა და ბოროტისა“. მაგრამ ცოდნის ხის მიღებისთანავე კაცობრიობამ დაკარგა ედემში ცხოვრების ხე და განიდევნა სამოთხიდან. ლიუციფერმა თუმცა კი სიბრძნე და დამოუკიდებლობა მიანიჭა ადამიანს, მაგრამ, ამავე დროს, მოკვდავყო მისი ბუნება. აქედან გამომდინარე მისი ჩარევის შედეგია მეორე, უკვე სოციალური ხასიათის ცოდვა, კაენის მიერ აბელის მოკვლა.

სულიერი, ანუ უსხეულო საუფლოდან ადამიანის განდევნაში ბიბლია გულისხმობს მის შთასვლას გამკვრივებული ფიზიკური ფორმების საუფლოში, სადაც ოდითგან სულიერ მდგომარეობაში მყოფი მისი სხეულის ფორმაც გამკვრივდა და მოკვდავი ანუ წარმავალი გახდა. ცნობიერების და დამოუკიდებლობის გზაზე კაცობრიობამ დაკარგა პირველადი უმანკოების ზეციური ყვავილი და ინტენსიურად იწყო ჩაძირვა ცოდვათა მორევში.

ბაბილონის გოდოლის დამსხვრევა, ენათა აღრევა, კაცობრიობის ეროვნებებად დაყოფა, ეგოიზმის გამოკვეთა ადამიანებში, ყოველგვარი ჯიბრი და ომი ერთა შორის, ცალკეულ პირთა თუ საპირისპირო სქესთა შორის, ყველანაირი მკვლელობა, მზაკვრობა, სულმოკლეობა და შეუბრალებლობა, რომლებიც ბიბლიაში თუ სხვა ძველი ხალხების მითოლოგიასა და ისტორიაშია წარმოჩენილი, ლიუციფერის ზემოხსენებული ჩარევის შედეგია. ამიტომ უწოდებს გალაკტიონ ტაბიძე გოლგოთის მისტერიამდელ ყოფას შავი ლიუციფერის სამშობლოს. განა ცხედრებით დაფარული სისხლიანი გზა არ არის მთლიანად ჰომერეოსის „ილიადა“, სადაც მისი გმირები, ეს მკვეთრად გამოვლენილი ინდივიდუალობანი, სიმამაცესთან ერთად არნახულ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიზმს, სიხარბეს, მზაკვრობასა და შეუწყნარებლობას ავლენენ. იმეამად მართლაც არ იმყოფებოდა მათთან ნაზარეველი.

ლაუციფერის ეპითეტი — ბნელი — მის დაცემულ მდგომარეობაზე, ოდესღაც ზეციურა ნათლის სფეროებიდან მის გადმოგდებაზე მიგვითითებს. მწუხარების გამო ღამის ტყე-ველთან ადამიანების დაძმობილება კი სინათლის იმ პირველწყაროსთან განშორების შედეგია, რომლისთვისაც იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „და სიტყვაი იგი იყო ნათელ კაცთა, და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია". ამ დასაბამისეულ ნათელს იოანე ღვთისმეტყველი ქრისტეს უწოდებს. („მე ვარ ნათელი სოფლისა"), ხოლო ბნელსა შინა ნათელის წარმოჩენას კი მის განკაცებად მიიჩნევს. „იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად. სოფელსა შინა იყო და სოფელი მის მიერ შეიქმნა და სოფელმან იგი ვერ იცნა". კინაიდან ქრისტე თავად იყო ნათელი, ცხადია, მის განკაცებამდე ქვეყნად წყვდიადი და მწუხარება იმეფებდა. სწორედ ამ განწყობილებაზე მიგვითითებს გალაკტიონ ტაბიძე ლექსში „ხამშობლო შავი ლაუციფერისა".

მაგრამ საკრალურ წერილთა გადმოცემით ქრისტეს განკაცებამდე წყვდიადი სუფევდა არა მარტო ფიზიკურ პლანზე, არამედ თვით მიცვალებულთა, აჩრდილთა სამყაროშიც, რომელსაც ძველი ბერძნები ჰადესს უწოდებდნენ. ძველი ხალხების წარმოდგენით, ფიზიკურ სამყაროსთან ურთიერთობაში შეძენილი ლტოლვები, ვნებები და მისწრაფებანი სულიერ სამყაროშიც გადაჰყვებოდნენ ხოლმე ადამიანს სიკვდილის შემდგომ. ბერძნებს განსაკუთრებული სიყვარული გააჩნდათ ფიზიკური სამყაროსი. ამიტომ ბერძნული მითები და მთელი რიგი პოეტური ქმნილებები ცხადყოფენ მათ მძიმე მდგომარეობას ჰადესში, ცნობიერების სინდისუნგესა და სულიერ სამყაროში გარკვევისა და გარჩევის უუნარობას. ზემოხსენებულ სფეროს ქრისტიანული თეოლოგია ჯოჯოხეთს უწოდებს. ხოლო თანამედროვე სულიერი მეცნიერების მამამთავარი, რუდოლფ შტაინერი — მშვინვიერი სამყაროს ყველაზე დაბალ, გულისთქმათა ცეცხლის სფეროს.

ძველი ხალხების წარმოდგენით მიცვალებული გარდაცვალების შემდგომაც ვერ იცხრობდა შურისგების გრძნობას და სულიერი სამყაროდან მოკმედებდა მტრების წინააღმდეგ. მაგალითად, მომაკვდავი აქილევსის შეძახილმა, „სიკვდილის შემდეგაც თქვენი შურისმგებელი ვიქნები", შიშის ზარი დასცა და გააქცია ტროელები, რადგან მათ სწამდათ, მისი რისხვა სიკვდილის შემდგომაც რომ არ მოასვენებდა მათ. პლუტარქეს იულიუს კეისრის ბიოგრაფიაში აღწერილი აქვს, თუ ერთ წელიწადში როგორ აღიგავა პირისაგან მიწისა კეისრის „კალმეფ-ბის ყველა მონაწილე. ან ორგანი [illegible] მოეცხადა კარავში ბრუტუსს შურისმგებელი კეისრის მჭმუნვარე აჩრდილი და მიმართა მას: „მე შენი ბოროტი სული ვარ, ბრუტიუს, შენ მე ფილიპთან მიბილავ". ავისმომასწავებელ წინათგრძნობად მიიჩნია ბრუტუსმა ეს ჩვენება, და მართლაც, ფილიპთან დაიღუპა იგი კეისრის მომხრეებთან ბრძოლაში. ასე, რომ წარმართულ წყაროთა ცნობით სიკვდილის შემდგომაც კი ეძნელებოდათ ადამიანებს შენდობა მტრისა. კლასიკურად არის აღწერილი ეს ვითარება პლატონის „ფედონში": სიკვდილის საუფლოში მკვლელი ძრწის მოკლულის წინაშე". მისი აღმასვლა სულიერ სამყაროში, მოკლულის შენდობაზეა დამოკიდებული და გულის დაცხრომა ძნელად თუ ეღირსება დიდი ხნის მოლოდინისა და ტანჯვა-წამების შემდგომ. ასე, რომ, შურისძიების გრძნობა, ფიზიკურ სხეულზე მიჯაჭვულობა, ძველი ხალხების გადმოცემით, უმძიმეს მდგომარეობაში აგდებდა ადამიანს გარდაცვალების შემდგომ. დიახაც, მწუხარეა გარდაცვლილი აქილევსის სიტყვები ჰადესში ცოცხლად ჩასული ოდისევსისადმი: „სჯობს მათხოვარი, იყო ცოცხალთა სამყაროში, ვიდრე ხელმწიფე მკვდართა საუფლოში". გარდაცვლილთა საუფლოს ეს გოლგოთის მისტერიამდელი სიბნელე სუფევს გალაკტიონის ლექსში „ლურჯა ცხენები":

„როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და ძიუსაფარი მდუმარების გარეშე.
მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში.
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა";

ეს ცხოვრებისმიღმისეული სურათი სავსებით შეესაბამება ხანუთოროს სურათს „ხამშობლო შავი ლაუციფერისა". „მსხვერპლით, ცხელდრეკით მოფენილ გზაზე" მგუნვარედ მავალს სამუდამო მხარეშიც მხოლოდ მწუხარება ელის. თუ იმ გზაზე ნაზარეველი არასოდეს ყოფილა მასთან, ნაზარეველი არ გაუნათებს სამუდამო მხარეშიც, რადგან გოლგოთის მისტერიის შემდეგ ნათელი აღმოუბრწყინდა არა მარტო სოფელს, არამედ მიცვალებულთა საუფლოსაც: სოფელს მისი განკაცებით, სულეთს კი მისი ჯოჯოხეთში შთასვლით და მკვდრეთით აღდგომით. „ერი, რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი, და რომელნი სხდეს სოფელსა და აჩრდილთა სიკვდილისათა, ნათელი აღმოუბრწყინდა მათ". — ბრძანებს სახარება. ყოველივე ეს ქრისტესმიერი ცხოვრების მხოლოდ მოქმედებაში გაგტარებელთ შეეხება, რადგან ქრისტე გულმოწყალებას სახავდა როგორც სოფლის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე მიცვალებულთა საუფლოს გაბანთების საწინდრად. გულმოწყალებას შურისგების წილ. „გულმოწყალება მნებავს და არა მსხვერპლი". „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალენ". — მიმართავდა იგი ადამიანებს და ჩვენთა თანანადებთა მოტევებას ითხოვდა უფლისაგან იმდენად, რამდენადაც „ჩუენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა". გულმოწყალება და სიყვარული თავად არის დაუშრეტელი მზე სოციალური და კოსმიური მარმონიის თაური გამანათებელი საწუთროსიც, საიქიოსიც. გალაკტიონის „ლურჯა ცხენებში" კი ნაზარეველი არ არის არც ბილმა მხარეში. ამიტომ ვერ ჰპოვა იქ ავტორმა დანაპირები, ვერაფერი ჰპოვა მდუმარების, სიცივისა და სიმწუხრის გარდა და დაბთა ბნელში, როგორც ნარმართი ფილოსოფოსები დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში".

მაგრამ რას აგულისხმობს გალაკტიონი ლურჯა ცხენებში? რად ნარმოადგენენ ისინი მისი შემოქმედების ერთ-ერთ ლაიტმოტივს?

მართლაც, თუკი მის სხვა ლექსებსაც გადავხედავთ, ვიხილავთ, ლურჯა ცხენებს, როგორც ლიუციფერის ერთ-ერთ ასპექტს. თავად გალაკტიონი არ გახლავთ ამ ცხენების მომნუსხავი, ისევე, როგორც; იგი არ არის მოვარდნილი ლექსის დამსადაგებელი. ლექსის ტალღები თავად მიაქანებენ პოეტს ფანტასტიურ ზმანებაში მისგანვე ხილული ბედაურებით. მას არ ძალუძს მათი მონუსხვა. ნების მარნუხებში მომწყვდევა, როგორც წმინდა გიორგის ძალუმ მარჯვენას. მაგრამ არც გაქეშმეტულ ცხენებს ძალუძთ ზურგიდან მისი აგლეჯა, მიწაზე დაკვეთება, უშიშარია იგი აქ. როგორც გიორგის შეგირდი. მისი ლურჯა ცხენები ბორგავენ „როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი". ბარათაშვილის მერანივით ბედის სამზღვრისკენ მიაქანებენ მხედარს; ქაოსს მბადებენ და ამ ქაოსში გამძვინვარებულ, ყოვლისწამლეკავ ხატს უბმობენ სისხლსრბანი ანგელოზისას. ეს ის დოსნისური მღელვარებაა, რითაც გალაკტიონი თავისი შემოქმედების ერთ-ერთი განტოტებით მსგავსად ბეთჰოვენისა, უკავშირდება რეკონსტრუქციას უფრო განწყობილებით, ვიდრე ამ სიტყვის ხსენებით; ასეთია მისი ლექსები — „ლურჯა ცხენები", „როგორ ებრძოდნენ ზარების ზარები", „ეფემერა". აქ გალაკტიონი ბუნტარია. როგორც ბეთჰოვენი ანასიონატში. მათი დინამიკისა და ემოციის მსგავსება გასაოცარია. დადასტურდა — პირველი ბუნტარის — ლიუციფერის ტვიფარით. აქედან კავშირები: ანასიონატა — ლენინი, გალაკტიონი — ლენინი. დაუნდობლობისა და საშინელი ნგრევის მრუმე ახრდილი ასლაბძენა აქ ცელალმართული.

„ვინ ვარ? ეს მე ვარ? ეს მე ვარ, ქაოსი,
გარეული ქაოსი, გამოდეთ ჩქარა!
მე მომდევს ცოცი საშინელება,
მე მომდევს ჩემი ცოდიელი ...
ჩემთვის უცხოა სითეთრის რკალი
და ნათელივით არის აშკარა,
იუდას სახე, ყაენის ღანდი
და ლაძეების შავი გუგუნი.
მოდის ზამთარი, მოდის სიცივე,
მოდის სიკვდილი... ჰე, ლურჯა რაშო,
მედგრად, კიბილით მოედე ტყეებს...
უსწორო იყოს შენი ავდარი.
. . . . . .
დაეცა კოშმარი და საფოტებად
იქცა წარსულთა ტანჯვის მიხეხი
მე ვალმოხდილი ისევე ველი,
როგორ მოპყეება ავდარს ავდარი".

უდავოა: ქართან, ავდართან გაიგივებული ლურჯა რაში აქ რევოლუციის დამანგრეველი ძალაა: „ტახტი დაეცა და იმედთ ქაოს"-ზე დგება: თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება". („ათრობდა ხალხთა მწუხარება"), ხოლო სხვაგან, პოეტი ამბობს: „წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს, ქაოსი".[1] დიახ, ეს ის ლიუციფერული ქაოსია, რომელიც თავის მოვალეობად მიიჩნევს ავდარს ავდარი მოადევნოს. და „მსოფლიო ნგრევათა" კვლავ მოწმედ გვაქციოს. სიმძაფრეს ამ სულისკვეთებისას არცერთ ლექსში არ მიუღწევია იმ კოსმიური მასშტაბებისათვის, როგორც გალაკტიონის „ეფემერაში". აქაც „ლურჯა ცხენები ჰქრიან ეფემერული და ფერადი ქარებით". თითქოს თავად ლიუციფერი ლაპარაკობს ავტორის პირით. იგი უკვე მთელს პლანეტას ემუქრება, ფანტასტიურ მკვლელობებს ისვრის სავსე პეშვებით და მღვრიე მშვენებათათვის ძეგლების აღმართვას მპირდება კაცობრიობას. მაგრამ რას ნიშნავს წინასწარმეტყველება?!

„სადაც ახლა ჯვარია და გვიანი მტევნები
იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება".

როგორმა მაგიამ უნდა შესცვალოს ჯვარი და გვიანი მტევნები, ჯვარი და ვენახი, ქრისტიანობის ეს ძირეული სიმბოლოები? ქრისტია-

---

1. ქაოსი, მართლაც, წმიდაა, როგორც მასალა ფორმადაქმნისათვის. მთავარია, ვისი ხელი შეეხება მას, ვინ გამოძერწავს ამ ფორმებს სოციალური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. თუ როგორ გამართლდა ჩვენში ამ ქაოსზე დამდგარი იმედი, ამაზე გალაკტიონის შიშის ქვეშ, დეპრესიულ მდგომარეობაში დაწერილი ლექსები კი არ ღაღადებენ, რაც მას ტოტალიტარულმა სახელმწიფომ სიცოცხლის ფასად მოსთხოვა, არამედ ისეთი წიგნები, როგორიცაა ა. სოლჟენიცინის „არქიპელაგ გულაგი", ამარლიკის „1949 წელი", სახაროვის „ქვეყნისა და მსოფლიოს შესახებ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობის აღზევების, მისი გამოვლენის უფრო მაღალ ფორმას წარმოადგენს იგი, თუ საპირისპირო მოვლენას? არსებულის სასურველ მეტამორფოზას, თუ იავარქმნას საწინააღმდეგო საწყისთან მოძალებით? მაგია ძალაა ზემოქმედი და გარდამქმნელი, ქველმოქმედის ხელში სიკეთის მაასკეცებელი, ბოროტისაში — ბოროტების მამრავლებელი. ქრისტიანული სიმბოლოების ნაცვლად — ქმედითი ძალა, ჯვრის ნაცვლად — საკუთრივ ჯვარზე გასვლა. მზის თვალით აელვარებული გვიანი მტევნების ნაცვლად, სიბრძნით დაუნჯებული, ცნობასრული ადამიანი, რამეთუ ცნობიერება თავად მზეა წუთისოფლის წყვდიადით მოხილ გზებზე. — აი, რა უნდა იგულისხმებოდეს, ჩვენის აზრით, ამ უკვდავი მაგიის ქვეშ. ეს გახლავთ ეზოტერული ქრისტიანობა. ამ სიტყვებით გალაკტიონი წინასწარმეტყველებს მომავალს, რომლის აღიარებაც უკვე დაწყებულია. თუმცა თავად იგი ჯერ არ არის გამოსული ლიუციფერის ტყვეობიდან, იგი აშკარად მიმართავს დედას ღვთისას, თავის ლექსში — „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ", რომ განსასვენებელ ზიარებაზე მასთან არ მოვა მისი ხსენება, რომ მას სამარისკენ გაჰყანებენ მხოლოდ ლურჯა ცხენები. სხვა ლექსში კი იგი ასე მიმართავს რანგითა დასულისკვეთებით თანაგვარ პოეტებს:

„მოკვდებით, ბნელი იქნება თოვა,
რომ თქვენი გრძნობა ვერ შეიფერეს
და სამარესთან ვიხვ კრძალვით მოვა,
იქნება ლანდი ლიუციფერის".

აშკარა ხდება, რომ „ლურჯა ცხენები" სხვა არაფერია, თუ არ ლიუციფერის სინონიმი, კერძოდ, ლიუციფერისა და კოსმიური ქმედების ასპექტში.

ახლა განვიხილოთ, როგორ ვლინდება გალაკტიონის პოეზიაში ლიუციფერი მიკროკოსმოსში, ადამიანის ნიაღში. როგორც საკრალური წერილები და დღევანდელი სულიერი მეცნიერება გვამცნობს, ლიუციფერმა გარკვეული როლი ითამაშა ადამიანის კოსმოსიდან გამოყოფაში, მისი ეგოიზმის, ანუ პიროვნული მეხანგანვითარებაში. ადამიანი ჩაძირა მატერიაში. იგი გაეთიშა სულიერ სამყაროსაც და თავის თანამოძმეებსაც. მის ნინაშე გადაიშალა ამქვეყნიური დიდების რომელ საგანსაც არ გამოუდგა ადამიანი, ყოველი მათგანი დაუსხლტა ხელიდან, როგორც მოჩვენება, როგორც ილუზია. ყოველივე ამსოფლიური იყო ფუჭი და წარმავალი, იგი იდგა მკვდარი მატერიისა და სიკვდილის ალეზილ ცელს შუა. დადგა სულიერი კრიზისის ეპოქა. სურვილმა, რომელსაც „მფრინავი მოლანდიელის" უთავეგამო ჯანღელვით თავი მოაბეზრა, არავითარი ნაფელი პერსპექტივა არ ჩანდა. ამ მდგომარეობამ თვითმკვლელობამდე, ან თვითმკვლელობის სურვილამდე მიიყვანა მსოფლიოს მრავალი დიდი ადამიანი. ამისი კლასიკური მაგალითი დრამაშია ჰამლეტის ეოფნა-არეოფნის მონოლოგი. პროზაში — „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი", ცხოვრებისეულ დაკვირვებათა თეორეტიზაციაში — ლევ ტოლსტოის წიგნი „როგორ გავხდი მორწმუნე". ხოლო ცხოვრების პრაქტიკაში — ცნობილი გერმანელი დრამატურგის, არტურ ლანსტის თვითმკვლელობა და მრავალი სხვა. ეს განწყობილება მე-20 საუკუნის ლიტერატურაშიც შემოიჭრა. გიხსენეთ ჯ. გამსახურდიას რომანის, „დიონისოს ღიმილის" მთავარი გმირის, კონსტანტინე სავარსამიძის მოშხამული სიტყვები თავისი მზრდელისადმი: „ტაია შელიავ, ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე შემომაღალმდა". ეს სამსალა არც გალაკტიონტაბიძეს დარჩა დაულეველი ასეთი განწყობილება სუფევს მის მრავალ ქმნილებაში, განსაკუთრებით კი ლექსში „ლურჯა. შვიდი წლის ბავშვი". ამ ლექსში სხარტად და მაღალმხატვრულად არის მოთხრობილი ახალგაზრდა კაცის ევოლუციის გზა, რომელიც მთელი კაცობრიობის ევოლუციას შეიძლება შეედაროს. პირველი შვიდი წელი ბავშვის ცხოვრებისა ზეცათა ლაჟვარდში ცხოვრებას მიაგავს. ოქროსფერი ნავით მცურავი ბავშვი აქ თავად არის ძალი, მინდორი. ჩიტი. იგი ჯერ კიდევ გვაგონებს იმ ძველ კაცობრიობას, რომელიც შეზრდილი იყო ბუნების წიაღთან და არ იყო კოსმოსიდან გამოყოფილი. მეორე შვიდწლეული მეხსიერების გაღვიძებისა და პირველი მხატვრული შთაბეჭდილების წლებია. „მოცარტი, შუბი, შელი, — მოზვავდნენ ახალი ზვავით". მეხსიერების გაღვივებით დაიწყო მიკროკოსმოსის ჩამოყალიბება. ადამიანს უკვე საკუთარი თავის შიგნით გააჩნდა წარმოსახვა, არა მარტო განცდა, არამედ ამ განცდისაგან აღძრული მეხსიერება. დაიწყო მისი გამოყოფა მაკროკოსმოსიდან. შემდგომ შვიდწლეულში ნავი გეშების ნუებამ შესცვალა, ხოლო მერმე გეშების ნუებაც დაიმსხვრა და ბრძოლებისა და ცხოვრების ოროტორიალში დაღლილი ბავშვი ზღვის მღელვარე ტალღებმა წაიღეს.

„დაიმსხვრა გეშების ნუებაც
ხიდი ქუჩადა ბოლოსში ბავშ.
ტალღებმა გაიბეს ქვეფა
ტალღებმა წაიღეს ბავშვი
ბოძოლისგან დაღლილი სახე
და ტყვეა ჩაეყდარი თავში,
მე თავად დაჭრილი ვნახე
ალეზა, შვიდი წლის ბავშვი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვის ეს ისტორია გვაგონებს კაცობრიობის ევოლუციის გზას სამოთხიდან კრიზისულ პერიოდამდე, ანუ გოლგოთის მისტერიამდე, სანამდე მას მხსნელი, ანუ ქრისტე მოევლინებოდა და გაუხსნიდა გზას სულიერი სამყაროსაკენ. მაშ რისთვის არის საჭირო ამსოფლად ყოველმოსახვეველი, ყოველგვარი შრომა და გარჯა, თუკი ერთ მშვენიერ დღეს უმოწყალო სიკვდილი წარგტაცებს, ფიქრობდა ადამიანი და სულ უფრო მეტ სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. მაგრამ იესო ქრისტემ კაცობრიობას ყველაზე კრიზისულ მომენტში, თავისი განკაცებითა და მკვდრეთით აღდგომით მომავალი უკვდავების პერსპექტივა დაუსახა. გოლგოთის მისტერიამდელი განწყობილებების მშობელი კი ლაუციფერი გახლდათ და ეს განწყობილება, შესაძლოა, დღესაც გააჩნდეს ადამიანს, სანამ იგი უშუალოდ ეზიარებოდეს ქრისტეს ნათელს. აი, როგორ გამოააშკარავა გ. ტაბიძემ თვითმკვლელობათა მიზეზის, ლაუციფერის სახე.

ჩახმახის წუთი. ბნელ სივრცეში აშლილ-
ბოლი,
შავი ყვავილის სამუდამოდ მკვდარი
ფოთოლი.

ლაუციფერი: —
ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი
ასეთი ცისფერი?

მაგრამ ტაბიძე ამ არსების საბოლოო მსხვერპლად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, თუ მარტოოდენ ზემოთმოყვანილ ლექსებს მივიღებთ მხედველობაში, მაგრამ გ. ტაბიძემ მთლიანად დაუკავშირა თავისი ბედი ლაუციფერს, არა მარტო დაცემულს, არამედ აღდგომილ ლაუციფერსაც. როგორც ადრე ვიხილეთ, სულიერი მეცნიერება გვამცნობს,, რომ სულიწმინდის მადლი, სულიწმინდის გარდამოსვლა, რომელიც აღდგომიდან 40 დღის შემდგომად მოხდა, ლაუციფერის აღდგომასთან არის დაკავშირებული. თუკი ლაუციფერმა აცდუნა პირველი ქალი და ხე ცნობადის ნაყოფის გემო ახილვინა ევას, სულიწმინდის გარდამოსვლისას კი მოციქულებს შუაში კვლავ ქალი, ღვთისმშობელი მარიამი უდგა. ასე აღბეჭდა იგი იკონოგრაფიის ტრადიციამ, როგორც სულიწმინდის გარდამოსვლასთან დაკავშირებული ცენტრალური ფიგურა. აი, როგორ გამოხატა სული წმინდა იაკობ ბალომემ ,,ისე ვით მაშიდან და ძიდან გამოდის სულიწმინდა და წარმოადგენს მყოფად სახეს ღმერთში და მოქმედებს მამის წიაღში, ასევე შენი გულის ძალთაგან, შენი კუნთებიდან და ტვინიდან გამომდინარეობს ძალა, რომელიც მოძრაობს მთელს შენს სხეულში. შენი გვამის ნათლიდან, რომელსაც შენი თვალის განმარტებელობა განსაზღვრავს, იმავე ძალას უერთდება გონი, აზრი, ხელოვნება და სიბრძნე როგორც მთელი სხეულის წარსამართავად. ასევე იმის გასარჩევად, რაც სხეულის გარეთ [illegible] ნი გონების ხელში ეს ორივე რამ არის მთლიანობა, ანუ სული შენი, და იგი მოასწავებს სულიწმინდას", ეს აზრი კიდევ უფრო განიმარტება, თუკი მას რამდენიმე სხვა აზრით განვამტკიცებთ. მოკ..გონოთ პავლე მოციქულის სიტყვები იმის შესახებ, თუ როგორ ექნება მომავალში ადამიანს თავად ქრისტეს გონება, მაშინ იგი შესძლებს ნათლად დაინახოს ყოველივე ის, რასაც ამჟამად მხოლოდ ბუნდოვნად ხედავს. ეს სიტყვები სავსებით ესადაგება მაცხოვრის წარმონათქვამს, რომელიც განუმარტავს თავის მოწაფეებს, რომ მხოლოდ ჭვარცმისა და აღდგომის (ანუ ღმერთის წიაღში) შემდგომად ძალუძს მას გამოგზავნა მშველელის, რომელიც იგავებით კი აღარ ელაპარაკება მათ, არამედ პირდაპირ განუმარტავს ყველა საიდუმლოს. და ეს მშველელი სხვა არავინ არის, თუ არ სული წმინდა, რომელიც დედამიწის ევოლუციის მანძილზე თანდათან განანათლებს ადამიანებს ღვთაებრივი სიბრძნით. აქ უკვე მისტერიათა ღვთაებრივი სიბრძნე ოზის სოფიაა, სული წმინდასთან გაიგივებული და ოზის სოფიას მიწიერი განსხეულება სხვა არავინაა, თუ არ ღვთისმშობელი მარიამი, რომელიც დგას მოციქულებს შორის, როგორც ცენტრალური ფიგურა სულიწმინდის გარდამოსვლის ჟამს ჩვენ გვაახსოვს, რომ სწორედ მას მიმართა გალაკტიონმა შემდეგი სიტყვებით:

„განსასვენებელ ზიარებაზე
ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!
დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით
გამაქანებენ სწრაფი ცხენები,
ღამენათევი და ნამთვრალევი
ჩემს სამარეში ჩავესვენები".

გალაკტიონისათვის კი, როგორც ვუწყით, ცხენები ლაუციფერული ქაოსია, რომელსაც მან მიმართა შემდეგი სიტყვებით: „წმინდა არს, წმინდა არს ქაოსი". ქაოსი კი არის სიბნელე, წუკდიადი, სადაც ვარდებს მაისობა უკრეფათ და რომელსაც ბერამეს ტრისმეგისტოს მარადიულ არცოდნასაც უწოდებს, რაც სულიწმინდის სრული ანტიპოდია. მართალია, გენიალურად არის დაწერილი გალაკტიონის ის ლექსები, რომლებშიაც დემონი ლაპარაკობს, ნიცშეს თქმისა არ იყოს, სისხლით არის დაწერილი, მაგრამ ამ სისხლს შხამიც ურევია. და განა თავისი სისხლით არ მოაწერა ხელი ახალი, ფაუსტური ეპოქის ადამიანმა ხელშეკრულებას მეფისტოფელისას? და გალაკტიონ ტაბიძე ამ ლაუციფერული არსების საბოლოო მსხვერპლი შეიქნებოდა, თავად ლაუციფერს რომ არ ჰქონდეს აღდგომის პერსპექტივა, როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული. ეთოსი გალაკტიონისა, მისი მორალური ფანტაზია ორგანულად ერწყმის ამ ხაზს ლაუციფერის აღდგომისას. ამით უკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირდება პოეტი მაცხოვარს, მას აწვალებს მაცხოვრის უმანკო, ნათელი მზერა და ელის სასწაულს, რომელიც დაცემიდან კვლავ აღადგენს ლუციფერს და ძველ, ანგელოსურ სახეს დაუბრუნებს მას:

„შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელ-
ცოდვილს
ლუციფერს, ჩემს სულში ავობით
შძვინვარეს,
ლუციფერს, მრისხანე ვეფხვივით
დაკოდილს
და ეხლა მძინარეს.
შეუნდე, შეუნდე ჯოჯოხეთს — ჩემს
თავლებს,
შეუნდე ჩემს ხელებს, ბოროტად
დადაღულს,
მე შენი უმანკო ნათელი მაწვალებს
მე ველი სასწაულს".

აქ გალაკტიონ ტაბიძე თავის სულთან, უფრო სწორად სამშვინველთან აიგივებს ამ არსებას. იგი მასში ცხოვრობს. ეს იგივე არსებაა, რომელსაც ბარათაშვილი მიმართავდა ოდესაც: „სულო ბოროტო, ვინ მოგიბმო ჩემად წინამძღვრად", ან კიდევ „მარქვი რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი, რად მომიხიბლე აღმრიე წრფელი ზრახვანი? სულო აღმშფოთო მიპასუხე, ნუ იმალები, რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები".

გალაკტიონ ტაბიძე აქ ბოროტი სულის ეგზორცისტული წესით განდევნას კი არ ეკიდრება მაცხოვარს თავისი ნიაღიდან, არამედ თავად ამ დემონისათვის ლოცულობს და შენდობას თბოულობს, რადგან ბედისწერით არის მასთან დაკავშირებული. პავლე მოციქული ამბობს, რომ დემონებსაც კი ეპატიებათ, ოდეს ისინი შეინანებენო. მით უმეტეს ლუციფერული არსებობის კანონზომიერმა მხარემ ოდი, თგანვე გადადგა ნაბიჯი მაცხოვრისაკენ, რადგან მათ კარგად უწყიან, რომ ქრისტეს ყოველთვის ახსოვს მისი დაცემული ძმა.

„დაჰქრიან უდაბნოს ქარები,
მტანჯავენ და ვიცი: გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!"

ბოლოსთვის შემოვინახეთ გალაკტიონის ლექსი „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა", იშვიათია ისეთი მხატვრული ქმნილება, რომელიც ასეთ მცირე ფორმაში იტევდეს უღრმეს სიდუმლოებას, როგორც ეს ლექსი:

„ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა
და ყვავილები გაიადონა.
შენთვის გაეკრა ჯვარზე იესო,
სულო, ქაობზე უსოტიესო,
იდუმალია შენი სერაფიმი
და ღამეების ალმაცერობა
რომ ოცნებები ცეცხლით გალესო,
სულო, იმ ცეცხლზე უმხურვალესო,
დღეთა სინათლეს ედება კორძი...
ესე არს სისხლი, ესე არს ხორცი,
და იდუმალი ლოცვა ბაგისა
სულო, ლაქვარდზე უსპეტაკესო,
ვარსკვლავი: იგი — ფიქრთა საგანი —
ერთი უმრავლეს ვარსკვლავთაგანი,
აელვარდება ცაზე როდესმე,
სულო, დედაზე უბოროტესო!"

აქ უკვე შეუფარველად არის ნათქვამი ის ულრმესი მისტერიული სიბრძნე, რომელიც გვამცნობს, რომ ქრისტე და ლუციფერი, უმაღლესი იერარქიის წარმომადგენლები, ოდესღაც ძმები იყვნენ. ქრისტემ მსხვერპლად შესწირა საკუთარი მეობა, საკუთარი ინდივიდუალობა კოსმიურ სიბრძნეს, ანუ მამის წიაღს და მიიღო იგი თავის თავში, ამ წმინდა მსხვერპლის მეოხებით იგი იქცა ძედ ღვთისად, რომლის შემდგომ მას ძალედვა თქმა: „მე და მამა ერთნი ვართ" ან კიდევ „ვინც მე მიხილა, მან მამაც ჩემი იხილა". ხოლო ლუციფერი კი, როგორც ვიცით, გამოეყო კოსმოსს და ჩაიკეტა საკუთარ თავში, ვითარცა ეგოისტური მეობა, იგი შეიპრა ადამიანის სამშვინველში, გამოიწვია მისი ინდივიდუალიზაცია, სულიერი კოსმოსიდან მისი გამოდევნა და მატერიაში ჩაძირვა. გამოხდა ხანი ანუ საუკუნეები, კოსმიური გაგებით, და დრო დადგა მათის პაემანისა. დრო, მთელი კოსმოსის ევოლუციისათვის გადამწყვეტი. მესსია თანდათან უახლოვდებოდა დედამიწას, რათა განკაცებულიყო — შემოეტანა ადამიანებში ცხოვრებისეული კოსმიური სიბრძნე, რომელიც მან მამის წიაღში მიიღო. დედამიწაზე მოელოდნენ მას და კაცობრიობის მცირე, მაგრამ რჩეულმა ნაწილმა თავის მისტერიებში იცოდა ქრისტეს მოახლოება და მისი განკაცების უამი დედამიწაზე. ამ ცოდნას ლუციფერის იმ განწმენდილი ასპექტის მეოხებით ღებულობდა კაცობრიობა, რომელმაც დედამიწაზე მომავალი პაემანის მოწყობისათვის გადასდო წინასწარ თავი:

„ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა
და ყვავილები გაიადონა.
შენთვის გაეკრა ჯვარზე იესო,
სულო, ქაობზე უსოტიესო".

ჩვენ ზემოთაც განვიხილეთ ნავისა და ხომალდის სიმბოლიკა. ეს გაბლავთ კოსმოსიდან გამოყოფილი ადამიანის სამშვინველი. მას ამუამად უკვე თოვლის მადონა, ანუ სულიწმინდის მადლი მიჰყვება. აქ უკვე პირდაპირ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათქვამი. რომ იესო — იმ სამშვინველთათვის ეკვნო, რომელიც ლუციფერმა აცდუნა ოდესღაც. იგი თვით ლუციფერის აღდგენისათვის ეკვნო:

„იდუმალია ჩვენი სერობა,
და ღამეების ალმაცერობა.
რომ ოცნებები ცეცხლით გალესო,
სულო, იმ ცეცხლზე უმხურვალესო,
დღეთა სინაზეს ედება კოროტი,
ესე არს სისხლი, ესე არს ბორკი,
და იდუმალი ლოცვა ბაგისა,
სულო, ლაჟვარდზე უსპეტაკესო".

და შედგა ეს პაემანი. იგი შედგა საიდუმლო სერობაზე. ოდეს იესომ აღიღო ბარძიმი, რომელიც ოდესღაც იმ ქვისგან იყო გაკეთებული, რომელიც ლუციფერს გაუვარდა გვირგვინიდან და თავის სისხლსა და ბორკს აზიარა მოწაფეები. ის ბარძიმი მეორე დღეს შემდგომ ჯვარცმიდან გადმოდენილი სისხლით გაივსო. ლუციფერის გვირგვინის ქვისაგან გაკეთებული ბარძიმი ქრისტეს სისხლით გაივსო. ეს იყო რეალობად ქცეული სიმბოლო, სიმბოლო, რომელიც თავად ცხოვრებას მოასწავებდა. ის მსხვერპლი, რომელიც ოდესღაც ქრისტემ გასწირა თავისი მეობის დათმობითა და კოსმიური ცხოვრების თავის თავში მიღებით, შთაიღვარა ლუციფერის მიერ ფორმირებულ ადამიანურ, სამშვინვილისეულ ჭურჭელში. მაგრამ ამისათვის საჭირო შეიქმნა იმ რჩეულ ადამიანებსაც მთლიანად დაეთმოთ ის ეგოიზმი, რომელიც მათ ლუციფერმა განუვითარა. ამიტომ სურდა ასე მაცხოვარს, რომ მისი მოწაფეები მას უკანასკნელ სამსხვერპლომდე, ჯვარცმამდე მიჰყოლოდნენ. მაგრამ ეს მხოლოდ მის მოწაფეებს შორის რჩეულებმა შესძლეს. მაგრამ ძირითადი მოსახდენი მაინც მოხდა. საიდუმლო სერობაზე ქრისტემ აღმართა ბარძიმი და მოწაფეებმა მიიღეს იქედან წმინდა ზიარება, კოსმიური ადამიანის სისხლი და ბორკი, ანუ იგივე კოსმოსი, ხოლო ვნების პარასკევს კი მისი სისხლით გაივსო იგივე ბარძიმი. ეს იყო უძველესი ეამიდან გაწმორებული კოსმიური არსებობის ნანატრი შეხვედრა, რომელმაც სამყაროს შემდგომი ევოლუცია განაპირობა. ლაჟვარდზე უსპეტაკესმა განწმენდილმა ზეციურმა ბუნებამ ლუციფერული სულისა მიიღო ქრისტეს მძლავრი იმპულსი. სულიწმინდის გარდამოსვლა გაგრძელდება მთელი დედამიწის ევოლუციის მანძილზე და თვით გამოუსწორებელ დემონურ ლუციფერულ არსებებსაც აქვთ შესაძლებლობა განწმენდისა და აღდგომისა. ამ არსებასთან დაკავშირებული პოეტი გრძნობს ამას და მისი ქვეცნობიერება არ სტყუის, როდესაც ამბობს:

„ვარსკვლავი იგი — ფიქრთა საგანი —
ერთი უმრავლეს ვარსკვლავთაგანი,
აელვარდება ცაზე ოდესმე,
სულო, დემონზე უბოროტესო".

ეს ვარსკვლავი ისეთი მდგომარეობაა ციური სხეულისა, რომელზედაც საბოლოოდ აღდგება ლუციფერული არსება. იგი უდავოდ გამობატავს კოსმოსის შემდეგ მდგომარეობას, რომელშიც ლუციფერის თვით ყველაზე დემონური ნაწილიც კი დაიბრუნებს თავის ზეციურ სიწმინდეს. ამით გალაკტიონ ტაბიძეს ქვეცნობიერად გამოთქვა წარსულში დაფარული მისტერიების ის ულრმესი სიბრძნე, რომელიც დღის სინათლეზე გამოიტანა ანთროპოსოფიამ, ანუ სიბრძნემ ადამიანის შესახებ. იგი გვასწავლის, რომ დაცემული ფერარქიული არსების, ლუციფერის აღდგომა უკვე დაწყებულია, მაგრამ მისი საბოლოო აღდგომა მოხდება დედამიწისა და კოსმოსის შემდგომ მეტამორფოზულ მდგომარეობებში. ეს იქნება უშორესი ვარსკვლავის ეამი, რომელიც ოდესმე ცაზე აელვარდება და ეზოტერული სიბრძნე მას უწოდებს სახელს — „ვენერას".

ამრიგად, ჩვენ მხოლოდ აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიამ მთლიანად მოიცვა ლუციფერული არსება. მისი დემონიური, დამანგრეველი, ქაოტური ძალის ასპექტიდან, რევოლუციური პერიპეტიებიდან, აგრეთვე მომხიბლავი, დამღუპველი, მღვრიე, სირინოზიული ჯადო-მშვენებებიდან მის აღდგენილ, ანგელოსურ, ბეშმარიტ ბუნებამდე. ერთი რამის თქმა კი გაგვიჭირდება აქ. ყოველივე ზემოთ თქმული, ჰქონდა თუ არა მას გაცნობიერებული, თუ ეს ბეშმარიტება ისევე გადმოიღვარა მისი ბაგეებიდან, როგორც ეს ხდებოდა სოკრატეს დროს, როდესაც პოეტებს ყველაზე ნაკლებად ესმოდათ ის უდიდესი სიბრძნე, რომელიც ღვთაებრივი ექსტაზის დროს უხვად გადმოსჩქეფდა მათი ქვეცნობიერების წიაღიდან, როგორც მუზათა მადლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე

მწერლობის მოთვინიერება

კი მაგრამ, რომელი ლიტერატურის გმირი არ არის ხიყვარული, კეთილშობილება, ნდობა, მოვალეობა, ხილამაზე, მშვენიერება, სიკეთე? დედამიწის ზურგზე არ არსებობს და არც არსებოდა მწერლობა, რომელიც ზემორემოხსენიებულ გრძნობებსა და თვისებებს არ უმღერის და არ უმღეროდა. თუ ასეა, მაშინ საბჭოთა ლიტერატურა რით განსხვავდება ადრინდელი მწერლობისაგან? რაღად სჭირდება ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი? ან სოციალისტური რეალიზმი რაღაა? უკვე აღარ იციან, რა თქვან. ამიტომ სიტყვით არც ერთი ქვეყნის ლიტერატურაში არ ებრძვიან ფორმალიზმს და აბსტრაქციონიზმს ისე, როგორც საბჭოურ ლიტერატურაში, ხოლო საქმით არც ერთი ქვეყნის ლიტერატურა არ არის ისე ფორმალისტური და აბსტრაქციული, როგორც საბჭოური.

ეს ბუნებრივიც არის. დღეს თეორიულად საბჭოური ლიტერატურა აღიარებს მწერლობის პარტიულობის პრინციპს, პრაქტიკულად კი ცდილობს, თავი აარიდოს, გაეკცეს მას.

თეორიისა და პრაქტიკის შეუსაბამობა-შეური გებლობამ დაბადა საბჭოური აბსტრაქციონიზმი.

V

პარტიული კონიუნქტურა და მისი ზედგები

პარტიული მწერლობა იოლი „შემოქმედებით" გადის ფონს. საკმარისია კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ან ინფორმაციის გარითმვა და ლექსიც მზად არის.

„ზვრების ბოლოს, მთების მწვანე უბეს
რაკეტების რაბში შეუხიზნავს...
რა ქნან... ზოგჯერ ააცდინეს ღრუბელს,
ახლა მაინც იდარაჯონ ფეიზლად.
ზვრები ისევ ბიბინებენ ლურჯად,
ვაზი მერქანს ისევ შემოერტყა,
წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს,
ოღონდ ცოტაც დაგვაცალოს სეტყვამ..."[1]

პრესამ შეგვატყობინა, რომ მდინარე ყვირილა გაიწმინდება. დაიდგა სათანადო მანქანები და მარგანეცით მდინარის წყალი აღარ გაჰუჰყიანდებაო. მაშინვე გაჩნდა ლექსიც.

„დრომ შენთვისაც მოიცალა ლიდ
საქმეთა სამკელად,
კოხტა ბიჭო, თეთრო ბიჭო,
გუშინდელო ზანგელა.
ბიჭო, თუ ყვირილია, ახლა უნდა ყვიროდე,
ახლა უნდა გრგვინავდე ფოთის
სახაპირომდე."[2]

ასევეა პროზაშიც. ვთქვათ, კომპარტიის ცკ-მა დაადგინა: უნდა ვებრძოლოთ ნეგატიურ მოვლენებს, ე. ი. უნდა ვებრძოლოთ სახელმწიფო ჟურნალებს, გამომცემლებს, მეკრთამეებს, კომბინატორებს და ამგვარი ჟურის ნაირ-ნაირ ავაზაკებს. რაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, იმ დღიდან სულ ნეგატიურ მოვლენებს ებრძვიან კომუნისტები, მაგრამ პოზიტიური მოვლენები სულ უფრო და უფრო უძლურდება და ნეგატიური სულ უფრო და უფრო ძლიერდება. არავინ უწყის, ბოლოს რა მასშტაბს მიაღწევს. იზრდება იმიტომ, რომ ნეგატიური მოვლენები სოციალიზმთან ერთად დაიბადა. მიხეილ ზოშჩენკოს მოთხრობა აქვს ერთი, „ძალღლის ყნოსვა" ჰქვია სახელად.

ერემია ბაბკინს ჟურკი მოპარეს. იჩივლა. მილიციელმა ძაღლი მოიყვანა. საერთო საცხოვრებლის ბინადარნი ეზოში გამოიყვანეს და გაამწკრივეს, ძაღლმა ჟურკის ძებნა დაიწყო, ძაღლი ჭერ თეკლე ბებიას ეცა. თეკლემ აღიარა, მართალია, ჟურკი არ მომიპარავს, მაგრამ

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 5.

1 გაზ. „კომუნისტი", 1974 წ., 11 აგვისტო.
2 გაზ. „კომუნისტი", 1981 წ., 10 თებერვალი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბუთი ვედრო საფუარი და აპარატი ჩემი აწყალნულიყო. მერე სახლმმართველს მივარდა ნაგაზი. სახლმმართველიც გამოტუდა: ჭურჭი არც მე მომიპარავს, მაგრამ წყლის ფული რომ ავკრიფე, ის კი მივითვისეო. მეშვიდე ოთახში მცხოვრებ მოქალაქესაც ეცა ძაღლი. ისიც იძულებული გახდა გამოტეხილიყო: ჭურჭი არ მომიპარავს, მაგრამ შრომის წიგნაკში თარიღი გადავასწორე და ერთი წლის სტაჟი მოვიმატეო. მერე ძაღლი თავად ერემია ბაბკინს მივარდა. ბაბკინმა გაამხილა საიდუმლო: ჭურჭი თვითონ მოვპარეო ძმას. ამის მნახავი შეშინებული ბალხი გაიქცა. მაგრამ ძაღლი მისდევდა და სათითაოდ იჭერდა. თურმე უველა დამნაშავე იყო. მილიციელის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: ერთად ამდენი ბოროტმოქმედი დაიჭირეო. მაგრამ მისი მხიარულება დიდხანს არ გაგრძელებულა. ბოლოს ძაღლი მასაც ეცა. მილიციელმა ძაღლს მოუბოდიშა: მოქალაქე ძაღლო, შენს შესანახად საჰ თუმანს მაძლევენ. მაგრამ ორს მე ვითვისებ და მხოლოდ ერთს ვხარჯავო შენზე. მიხ. ზოშჩენკო ასე ამთავრებს მოთხრობას — „მერე რა მოხდა, ვერ გეტყვით, რადგან მეც ფაცხა-ფუცხით მოვუსვიო იქიდან".

ეს მოთხრობა 1923 წელს დაიწერა. ოქტომბრის რევოლუციიდან ექვსი წელიც არ იქნებოდა გასული. მაგრამ ის მანკიერებანი, რასაც ვითომ ახლა ებრძვიან კომუნისტები, უკვე ტოტალურად ყოფილა გავრცელებული.

„— მე ჩემი თვალით შევნიშნე, ამხანაგებო, — განაგრძობდა ისევ კარპოვი, — როცა ერთმა ყაბალახით თავშეხვეულმა მუშამ, მორჩა სამუშაო თუ არა, გვერდზე მიიხედ-მოიხედა, ფრთხილად სახაზინო სატეხი ჯიბეში ჩაიდო და ზინისაკენ გზას გაუდგა... მეორემ სალაშინი გაპარა...

— ნუთუ? — ჩაილაპარაკეს ზოგიერთებმა და ისევ ერთმანეთს გადახედეს...

— სამწუხაროდ ეს ასე არის, ამხანაგებო, და მოგეხსენებათ, რომ ყოველად დაუშვებელია სახელმწიფო ავლადიდების ასე უთავბოლოდ გაწიოვება..."

ეს ნაწყვეტი პანტელეიმონ ჩხიკვაძის რომანიდან „სართულები" გახლავთ ამოწერილი (გვ. 83). რომანი კი ცალკე წიგნად 1934 წელს გამოიცა.

ამ რომანიდან კიდევ ერთ ამონაწერს გაგაცნობთ:

„რამდენი ქარხანა შენდება, რამდენი ახალი წარმოება-დაწესებულება იხსნება, რამდენი რა... მაგრამ უ ბ ი ნ ა ო ბ ა (ხაზი ჩემია — ა. ბ.) მაინც ვერ იქნა და ვერ ამოვფხარით..." (გვ. 18).

დღესაც ზუსტად ასე არ ლაპარაკობენ?

იციან, რომ ვერც ერთ მანკიერ მოვლენას ვერ აღმოფხვრიან, რამეთუ ისინი სოციალიზმ-კომუნიზმის თანდაყოლილი თვისებაა. მაგრამ ნაირ-ნაირ დადგენილებებს მაინც ილებენ. ბალხი უნდა მოიტყუონ: მანკიერ, [illegible] ვლენებს ვებრძვითო. და აი ამ დადგენილებათა შესაბამისი რომანებიც ცხვება.

პარტიულ ლიტერატურას ერთი ურყევი თვისება აქვს. უსაშველოდ ერთფეროვანია და არ ვითარდება. ვისი დაწერილიც უნდა იყოს, როდის დაწერილიც უნდა იყოს, ტუუპის ცალებივით ჰგვანან ერთმანეთს.

1926 წელს პროლეტარული პოეტი წერდა:

„მემანქანე! ჩამოასხი:
მე ლოთი ვარ, ზეთის ლოთი,
გეშინოდეს ჩემი რისხვის
და გიყვარდეს ეგ ხმის ქოთი!..
ზზი... წკრიინტ! მემანქანე,
გაფრთხილება გაგპარვია:
შენ ზეთი დამიგვიანე
და ქაღალდი გადიბზარა..."

1937 წელს მეორე პოეტი განაგრძობდა:

„აბის შეტევა. მანქანა
მთებში გუგუნებს ნიადაგ.
მოდის ხევი და... ბარაქა
ველად მოჰყვება ლიანდაგს.

. . .

ისევე ჰგლეჯენ დგრიალით
გვირაბებს ამონალები..."

1940 წელს მესამე პოეტი მღეროდა:

„ის ქარხანაა, შავი, მტვრიანი,
ყვამლის კრიალით მთებს რომ ედება,
ჰქმნის მანქანათა ჩქარის ტრიალით
ინდუსტრიალურ შემოქმედებას!

. . .

მაშ, იგრაგანეთ ყვლავ, მანქანებო,
გრიგალივით რომ დაზგებს დაჰხარით,
დასცხეთ, დაჰკარით, ამხანაგებო,
დასცხეთ — დაჰკარით, დაცხეთ,
დაჰკარით".

1955 წელს მეოთხე პოეტი მოუწოდებდა:

„აღმართულია ვოლგის პირას
ძლევამოსილად,
ბედნიერია კომუნიზმის მოახლოვებით...
ხე-ტყე.
ცემენტი,
ქვანახშირი,
აგური,
სილა...
ვოლგით,
ყოველდღე,
ყოველ მხრიდან
მოაქვთ
ყოველი, —
ვით კომუნიზმის ნაწილები..."

1978 წელს მეხუთე პოეტი იყო მშენებლობით შთაგონებული:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჰაერში გაკიდულ ფოლადის ბაგირებს
ჩამავალი მზე ელაციცება.
აქ დაღვრილ ოფლს თუ ეჭაშნაგირე,
გაგიტაცებენ გზნების კვიცები.
მოხეთქილია ლავა შენების
რკინით,
ფოლადით,
ღორღით,
ცემენტით,
ყინით,
შეტევით,
სწრაფვით,
ჭენებით,
გაჯიუტებით, ამოჩემებით“.

ამგვარი ლექსები, სამწუხაროდ, ყველას აქვს დაწერილი — ყველაზე ნიჭიერსაც და ყველაზე უნიჭოსაც. ზემორე ციტირებული ლექსები მოხმობილია მხოლოდ პარტიული პოეზიის თვალნათელი ილუსტრირებისათვის.

სხვადასხვა ნიჭის, სხვადასხვა ტემპერამენტის, სხვადასხვა დამოკიდებულების პოეტები, სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები და სრულიად ერთნაირი, ერთფეროვანი, ერთსახოვანი განწყობილება, პათოსი და შინაარსი! რატომ? იმიტომ, რომ პარტიულ მწერლობას ერთადერთი დანიშნულება აქვს: შექმნას ამა თუ იმ მშენებლობის (ან ღონისძიების) გარშემო ცრუ ენთუზიაზმსა და ცრუ აღტაცების ცრუ პათოსი. ამის გაკეთებას არ სჭირდება არავითარი აზრი. მისთვის საკმარისია პათეტიკური შეძახილების კორიანტელი — ფოლადი, კვამლი, ღორღი, ყინი, მტვერი, შეტევა, გუგუნი, ამონალი, გრაგანი, ჯახანი, დასცხეთ, დაბკარით, ზზიი..., წკრრიინტ..., დინამიტი, დაძგერება, ხეტყე, სილა, აგური, დენთი, ბურღი... და ცრუ შრომისა და ენთუზიაზმის ატმოსფეროც დახატულია.

ამგვარი ერზაცლიტერატურა მწერლობის მკვდარი ნაწილია. შეიძლება თქვან — რა მოხდა მერე, ლიტერატურას ყოველთვის ახლავს მაკულატურა. უამისოდ მწერლობა არ არსებულა. ეს მართალია, მაგრამ საბჭოური ლიტერატურის საქმიანობის დროს საშიში სხვა გარემოებაა: თავისუფალი ლიტერატურული შემოქმედების დროს მაკულატურა უნებლიეთ იქმნება. მართლაც, მწერალი ყოველთვის ხომ ვერ შექმნის შედევრს! მარცხი გულდასაწყვეტია, მაგრამ იგი გამოცდილებით აჯილდოებს მწერალს და ისიც ცდილობს ფეხი აღარ წაიკრას. საბჭოურ მწერლობაში კი ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი საგანგებოდ გეგმავს და ნერგავს მაკულატურას. მწერლობის პარტიულობის პრინციპს სურს შექმნას ერთგვარი ლიტერატურული ნარკოტიკი, რომელიც საზოგადოებას თუ პიროვნებას დროებით აღაგზნებს და აღატკინებს. როგორც ყოველგვარი ნარკოტიკი, ისე ლიტერატურული ნარკოტიკი [illegible] ადამიანს. ლიტერატურული ნარკოტიკი ყველაზე მძიმე ფორმის სენს იწვევს — გონებრივ გადაგვარებას, როგორც ცალკეული პიროვნების, ისე მთელი საზოგადოების.

პარტიული მწერლობა დანაშაულს ჩადის არა მარტო საზოგადოების წინაშე, არამედ თავისთავის მიმართაც.

პარტიული მწერლობა მსწრაფლწარმავალია. იგი მალე იკარგება. უცბათ ეძლევა დავიწყებას. დღეს ხალხს აღარ ახსოვს, აღარ აინტერესებს არა მარტო ზაჰესიადა ან სამგორიადა, არამედ საბჭოური ლიტერატურის ისეთი მძლავრი ნაკადიც, როგორიც არის ლენინიადა. პარტიული მწერლობის სიმძლავრე და შეტევა მოჩვენებითია. თუმცა გარკვეული მცირე დროის მანძილზე შეიძლება შთაბეჭდილება მოახდინოს, ბრბო გააოგნოს. მაგრამ, როგორც ითქვა, მალე ქრება. ამ თვისების გამო პარტიულ ლიტერატურაში მწერალი ამაოდ თანამშრომლობს. საკუთარ შრომას უნაყოფობისათვის წირავს. ეს ხომ პიროვნების უმოწყალო ძარცვაც არის და მთელი კულტურისაც. პარტიულ მწერლობას ხომ არავითარი ღირებულება არა აქვს მომავალი თაობების სულიერი ცხოვრებისათვის. ყოველი თაობის სულიერი ცხოვრება მარტო იმით არ იკვებება, რასაც თანამედროვენი ქმნიან. საზრდოობს იმითაც, რაც წინამორბედებს დაუტოვებიათ. რა იქნებოდა დღეს ქართველი კაცის სულიერი ცხოვრება, რომ იგი არ კითხულობდეს რუსთაველს, სულხან-საბას, გურამიშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვებს — ჩვენებურს თუ უცხოელს! ისინი ამდიდრებენ და აკეთილშობილებენ ჩვენს სულიერ სამყაროს, რადგან გველაპარაკებიან ადამიანზე, მის მარადიულ სიბარულსა და ტკივილზე, ზნეობრივ ამაღლებასა და დაცემაზე, მშვენიერებასა და სიმახინჯეზე.

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა გაღატაკა მწერლობა საერთოდ და მწერალი, კონკრეტულად. უნაყოფო გახადა მისი შრომა. ამ გაუგონარ ექსპერიმენტაციას მწერლობა მშვიდად ითმენს და პროტესტის ნიშნად დაკნავლებაც კი ეშინია.

ექსპლუატაცია ორგვარია — სოციალური და ინტელექტუალური. კომპარტია თითქოს თავგადადებული ებრძვის სოციალურ ექსპლოატაციას, ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის შრომის ნაყოფის მითვისებას. მაგრამ არაფერი გამოუვიდა, რამეთუ ჭიანჭველებივით მომრავლებული სახელმწიფო ჩურდები, კომბინატორები, მექრთამეები, გამომძალველები და ხალტურისტები ითვისებენ პატიოსანი ადამიანების ნაშრომს. ეწევიან მათ ჯერ გაუგონარ ყვლეფას. მართალია, კომპარტიამ სოციალური ექსპლოატაციის პრობლემას ვერ მოუარა, მაგრამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანაცვლოდ, ბეჭითად და მტკიცედ დაამკვიდრა ინტელექტუალური ექსპლუატაცია. როცა ადამიანს აიძულებენ ის ილაპარაკოს და წეროს, რაც მას არ სწამს და არ სჯერა, ეს არის შემზარავი ინტელექტუალური ექსპლუატაცია. საბჭოთა მოკალაქეობის ოთხმოცდაათი პროცენტი მაინც, თუ მეტი არა, იმას ლაპარაკობს და წერს, რაც არ სწამს და არ სჯერა. თუ ანტიკურ ეპოქაში არსებობდა სოციალური მონობის ინსტიტუტი, სოციალიზმის დროს შეიქმნა ინტელექტუალური მონობის ინსტიტუტი. ეს ძალიან საშიში მოვლენაა თვითონ სოციალიზმისათვის. მარქსისტ-ლენინისტი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომის იმპერია სოციალური მონობის არსებობამ დაანგრიაო. მონას აღარ აინტერესებდა შრომა. იგი აღარ ქმნიდა მატერიალურ დოვლათს. ამან შიგნიდან გამოლრღნა რომის იმპერია და საკმარისი აღმოჩნდა გარეგან ოდნავ ხელის კვრა, რომ იმპერია ბუზულასავით დაემხო. თუ სოციალურმა მონობამ ამგვარი რეზულტატი გამოიღო, წარმოიდგინეთ, რა შედეგს მოიტანს ინტელექტუალური მონობა. დღეს სსრკ-ში აღარავის სურს შრომა. ყველა ცდილობს ნაირ-ნაირი კომბინაცია-მაქინაციით დაუღვრეს საქმეს და თავი მუქთახორობით შეინახოს. ჭერკერობით გამოსდით ქიდენც ეს! ყველა მუქთახორა ბევრად უკეთ ცხოვრობს, ვიდრე გამრჯე, მშრომელი კაცი. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა კომუნისტებს ცარიელი პროპაგანდით უნდათ და მწერლობას აიძულებენ, შრომას უმღერონ. მაგრამ ასე უბრალოდ და ოდლად ამ პრობლემის გადაწყვეტა არ შეიძლება.

მართალია, ადამიანი გვალვასაც უნდა ებრძოდეს, ქარგი მოსავალიც უნდა მოაყვედეს, რკინაგზასაც უნდა აშენებდეს, ქარხანა-ფაბრიკებსაც უნდა აგებდეს და ბალ-ვენახებსაც უნდა უვლიდეს, მაგრამ ჯერ მკაფიოდ და ნათლად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული თავისთვისაც და სხვისთვისაც, ვინ არის იგი, როგორი ადამიანი, რა იდეალს ემსახურება. ამ საქმეში მას ხელოვნება და მწერლობა უნდა ეხმარებოდეს.

თუ მწერლობა ადამიანის ზნეობრივ ღირებულებას მხოლოდ იმით შემოფარგლავს, რომ მავანმა და მავანმა კაცმა გვალვას ჰკრა, დიდი ჭორნახული მიიღო, გიგანტური ქარხანა აშენა ან ქალაქი ამოაშრო, მაშინ ლიტერატურა ადამიანის სულიერ გამშვენიერებას, ამაღლებას ხელს ვერ შეუწყობს. პირიქით, დაკნინებს მას. ბორის ჩხეიძის რომანის „ფეროს" პერსონაჟი მელაშა ქარხანას აშენებს. დიდი აქტივისტიც არის, მაგრამ არც ეს რომანი და არც მისი პროტაგონისტი დღეს აღარავის ახსოვს. დღევანდელი ჩვენი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე არავითარ გავლენას არ ახდენენ. ილია ოთარაანთ ქვრივი არც საკოლწეურნეო მინდვრებზე მუშაობს, არც ქარხანას აშენებს. — მაგრამ ყოველი ადამიანი ერ საქაროზეც მოქმედებს. შრომასაც გვასწავლის და ქალობის ეტალონიც არის. ალბათ, მეტუკვით. აქ მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძისა და ბორის ჩხეიძის მწერლური ნიჭიერების სხვაობას აქვსო. მაგრამ, ჩემი აზრით, გადამწყვეტი ეს არ არის. გადამწყვეტია მწერლის ადამიანისადმი დამოკიდებულების პრინციპი. ბ. ჩხეიძეს, როგორც ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის მიმდევარს, არ აინტერესებს მელაშა-ადამიანი. იგი ცდილობს დაბატოს მელაშა-მშენებელი. ბ. ჩხეიძის და მსგავსი მწერლებისათვის უმთავრესია ქარხანა აშენდეს. ამიტომ მელაშას ზნეობრივი ფუნქცია შემოზღუდა და მკითხველს ხელთ საქმე შერჩა, რომელსაც ზემოქმედების ძალა არა აქვს. ილიასათვის კი მთავარია ადამიანი, მისი ტკივილითა და სიხარულით. ეს ტკივილი და სიხარული მკითხველზეც მოქმედებს და ოთარაანთ ქვრივის ემოციურ სამყაროში შეუყვანთ. ეს ემოციური სამყარო მკითხველის სულს ამდიდრებს, აფიქრებს, აკეთილშობილებს, ასწავლის სიყვარულსა და თანაგრძნობას. შეიძლება ვერც შევამჩნიოთ, მაგრამ „ოთარაანთ ქვრივის" წაკითხვის შემდეგ, ცოტად თუ ბევრად, ჩვენს სულში რაღაც იცვლება, სხვანაირი ვხდებით. ამ თითქოსდა შეუმჩნეველი კვალის დატოვებაა მწერლობის ფუნქცია. ეს კი მაშინ მოხდება, როცა მკითხველისა და პერსონაჟის სახით, ორი ადამიანი შეხვდება ერთმანეთს და მუდმივი კონტაქტი დამყარდება მათ შორის. პროპაგანდისტული მოდელის მიხედვით შექმნილ სქემასთან კი ამგვარი კონტაქტი არ მყარდება.

როცა ადამიანის ზნეობრივი ღირებულება ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობით (ისიც საეჭვო და არასანდო საქმიანობით) ფასდება და სხვა უფრო მაღალი კრიტერიუმი დაკარგული გვაქვს, როცა ადამიანი არ ფიქრობს სიცოცხლის, სიკვდილის, გონიერების, უგუნურების, პატიოსნების, უსინდისობის, სილამაზის, სიგონჯის და სხვა ამგვარ პრობლემაზე და მისი რეალური დაკავშირებულია მხოლოდ დროებითი და წარმავალი საკითხებით, იგი უზნეობის ჭაობში ეფლობა. უზნეობა კი ბადებს ყოველგვარ ბოროტებას.

როცა საბჭოთა საზოგადოება უზნეობის ჭაობში ჩაიძირა, მწერლობა გაუბედავად ალაპარაკდა სულიერ ფასეულობაზე. ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონის" პერსონაჟმა, სასიკვდილო სარეცელზე მწოლარემ, სიზმარში ქრისტე იხილა.

„...მაშინ დაეშვა მუხლებზე ბაჩანა, თაყვანი სცა ახალგაზრდას და უთხრა:

— გიბრძანე და გიწამე" (ბაზი ჩემი — ა. ბ.).

სასიკვდილოდ გადადებულ ბაჩანა რამეშვილს ლენინი არ ზმანებია. ქრისტე დაესიზმრა. ბუ-

ნებრივია, ადამიანის არსებობის უკანასკნელ წუთს ლენინს არ ძალუძს ნუგეშის ცემა. პირიქით, როცა ლენინი კვდებოდა, თვითონაც უთუოდ ღმერთს ევედრებოდა შველას. არც სოციალიზმისა და კომუნიზმის თეორია უშველის და შეეხიდება ადამიანს სულის ხორცთან განშორების ჟამს.

კაცის სულის მარქსიზმ-ლენინიზმმა ვერაფერი მისცა და ადამიანის დამშეული სამშვინველი[1] ისევ უკან, ქრისტიანობისაკენ მიბრუნდა. მწერლობაც იძულებულია, იქ ეძებოს ზნეობრივი იდეალი.

ეს მარქსიზმ-ლენინიზმის საბოლოო იდეოლოგიური მარცხია.

დღეს გულწრფელად მარქსიზმ-ლენინიზმის არც ერთ მოაზროვნე ადამიანს აღარ სჯერა. ამიტომ არის, რომ მას თეორეტიკოსი, რომელიც გააღრმავებს, წინ წასწევს, არც ერთ ქვეყანაში აღარ ჰყავს. კომუნისტური პარტიების ყრილობანი ყველგან, მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით სსრკ-ში, საწარმოო თათბირის ხასიათს ატარებს.

მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული განვითარება უკვე შეუძლებელია. მას არასოდეს ჰქონია ზნეობრივი ნაწილი. იგი ეყრდნობოდა პრიმიტიულ შეხედულებას: თუ მოგვარდება ეკონომიკური საკითხები, მოგვარდება სხვა დანარჩენი პრობლემებიც. ისტორიამ დაადასტურა, რომ ასე იოლად არ ყოფილა საქმე. ეკონომიკური პრობლემის მოგვარებით სხვა პრობლემებს თურმე არ ეშველება. მაგრამ რაღა დროს სხვა პრობლემებზეა ლაპარაკი, როცა ეკონომიკაც ვერ მოაწესრიგეს. ახლა განვითარებულ ქვეყნებს შორის ყველაზე ჩამორჩენილი სსრკ-ია, რა მდგომარეობაშია სსრკ-ში ეკონომიკა, ეს ნათლად მაღაზიებში ჩანს, საკითხის ღრმად შესწავლის გარეშეც. ეს ცარიელი მაღაზიები ბმამაღალმეტყველი საბუთებია, რომელთაც დემაგოგიური სიტყვით ვერ გაამართლებთ, თუმცა კი ცდილობენ.

„დაბალი ხელფასიო, ხორცის პრობლემაო?! ქარქილობენ სკეპტიკოსები, ცინიკოსები, ურწმუნო თომანი.

აქაც „დიახ" გვეთქმის. არსებობს ერთიც და მეორეც. არის კიდევ სხვა სიძნელეებიც. მაგრამ, ჯერ ერთი, ვინ თქვა, რომ სოციალიზმი მარტო ფუფუნებაა, რძის მდინარეები და კისელის ნაპირებია. ვინც ასე ფიქრობს, მარქსს ჯერ კიდევ ადრინდელ ნაშრომებს (მაგალითად, „18 ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა") ჩახედოს, ლენინს დაეკითხოს, ამხანაგ ბრეჟნევის მოსაზრებანი გაიხსენოს".[2]

ახლა აღარ არის სოციალიზმი ფუფუნება, მატერიალური კეთილდღეობა, გაძღომა, გარდა, სხვას არაფერს დაპირებია დამშეულ პროლეტარიატს სოციალიზმი და აქაც ჩაფლავდა. ამას ყველაზე მკაფიოდ თვითონ პროლეტარიატი ხედავს, თორემ სკკპ-ის „ვერხუშკა" თავის დახურულ მაღაზიებში ნადიმობს. ზემორე ციტირებული სტრიქონებიც იმ დახურულ მაღაზიაში გამძღარის დარიგებაა. დამშეულებმა გავიგეთ ეს დარიგება, როცა ხორცი არ არის, მარქსის „18 ბრიუმერი" უნდა წავიკითხოთ, როცა ყველი არ არის — ლენინის თხზულებანი, მაგრამ ერთი კითხვა მაინც დაგვრჩა: როცა ტუალეტის ქაღალდი არ არის, მაშინ მარქსიზმ-ლენინიზმის რომელი კლასიკოსი წავიკითხოთ?

მკითხველს უნდა გავახსენო, რომ, რასაც ჟურნალისტი წერს, ახალი არ არის. კომუნისტური საზოგადოების ნივთიერ ხელმოკლეობასა და გასაჭირს 30-იანი წლების დასაწყისში პოეტი ასე ამართლებდა:

„გადაუდებელ კომუნიზმის მშენებლობისთვის
გამოვიყენებთ წიგნაკების ციფრს და
კანონებს.
და ნურვინ იტყვის:
— რად ამქლავნებს ტემპი სიმკაცრესა?
ნურც მას:
— ბორაგი წიგნაკებზე რად დაყოფილა?
მილიონები ჩვენს შრომასთან ჯერ
დავაკაცდნენ,
შემდეგ გავიგებთ ეს ტემპები თუ რა
ყოფილა".[1]

ვერ გავიგეთ. ამ ლექსის გამოქვეყნებიდან ნახევარი საუკუნე გავიდა და ტემპებმა ვერ გვიშველეს. ბორაგი დღესაც წიგნაკებით (ტალონებით) რიგდება. ნახევარი საუკუნის მანძილზე კომუნისტური შრომის "გაუგონარმა გამარჯვებებმა და წარმატებებმა" ის შედეგი მოგვცეს, რომ შაქარი, კარაქი, ხორცი ტალონებით უნაწილდებათ რიგით მოქალაქეებს, ხოლო ყველი არც წიგნაკებით იშოვება, ხორცის ჭამა კი წელიწადში მხოლოდ სამჯერ არის ნებადართული — პირველ მაისს, შვიდ ნოემბერს და ახალ წელიწადს. ეს ყველაფერი საბჭოელი მოქალაქის ჯანმრთელობისათვის კეთდება. კომუნისტური ელიტა კი იმდენად არ უფრთხილდება თავისთავს და ისეა ხალხისთვის თავგანწირული, რომ ყოველდღე ჭამს დახურული მაღაზიებიდან გამოტანილ ყველსა და ხორცს.

მალე საბჭოელი მოქალაქე პურსაც წიგნაკით მიიღებს. ეს იქნება ვაჭრობის ყველაზე პროგრესული ფორმა. უნივერსიტეტის ერთმა დოცენტმა უკვე ბვარუაველა: „უწინ ხომ ასე იყო,

1 საშვინველი — душа.

2. გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1980 წ., 7 მარტი.

1 ეკურ. „პროლეტარული მწერლობა", 1931 წ., № 3, გვ. 28-29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სოფლად ოჯახი პურს კვირაში ერთხელ აცხობდა და ჩვენი ხალხი ძველი პურით იკვებებოდა. უნდა გავიხსოვდეს, რომ ბშირად ადამიანის კუჭის და მისი ჯანმრთელობის მოთხოვნილება არ შეესატყვისება ჩვენი პირის გემოს — პირს ეგემრიელება, კუჭს კი ემძიმება ახალგამომცხვარი, ცხელი ,,ქართული პური''.[1] მართლაც, არბაბული ალუვება გაუცდია ,,ქართულ ბეცნიერებას კომუნისტების მზრუნველობით.

ქვეყანაში, სადაც აზროვნება აკრძალულია, სადაც ბრმა მორჩილებაა თაყვანისცემის საგანი, არაფერი მოგკვრდება, არაფერი მოწესრიგდება. ცხადია, არც ეკონომიკის საკითხები. ეკონომიკას ყველაზე მეტად სჭირდება ჭკვიანი ადამიანი, თავისუფალი აზროვნება, თავისუფალი და შეუბღალავი საქმიანობა. სსრკ-ში კი სწორედ ამ ელემენტებს ებრძვიან.

ქრისტიანობის ზნეობრივი იდეალისაკენ მიბრუნების კიდევ ერთი ნიმუშის გახსენება შეიძლება.

1978 წლის 25 ივნისის ,,ლიტერატურულ საქართველოში'' კ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა ,,კოლხეთის ცისკრის'' ახალი თავი. ამ თავში ყულაკის, ბარნაბა საგანელიძის ქალიშვილი თალიკო სოფლის კომკავშირის უჯრედის მდივანს ბაჭუა ვარდოსანიძეს თხოვს — კომკავშირში მიმიღეთო. ბაჭუა თალიკოს შეჭმირდა ამ თხოვნის განხილვას. ოღონდ ულტიმატუმი წაუყენა — ,,თუ ჩვენთან ყოფნა გინდა, მაშინ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოშორდე იმ პირსისხლიან კაპიტალიზმს!'' თალიკო დაიბნა. ვერ მიხვდა, რა კავშირი ჰქონდა კაპიტალიზმთან და როგორ უნდა ჩამოშორებოდა მას. ამიტომ გაუბედავად ჰკითხა ბაჭუას ,,— მითხარი რაფერ და...'', რაზეც კომკავშირის უჯრედის მდივანმა მტკიცედ უპასუხა — ,,ბაბამენს უნდა გაეუაროს!'' თალიკომ თვალები დაჭყიტა და დაბნეულმა იკითხა — ,,ბაბაჩემი რა შუაშია?!'' გაბრაზებულმა ბაჭუა ვარდოსანიძემ განუმარტა:

,,— შუაშია არის, თავშიც და ბოლოშიც! შენ თუ ფიქრობ, კაპიტალიზმი მარტო ინგლისში არისო ძალიან შეშცდარხარ! აბა, ვინ არის, გოგო, ბაბაშენი, ბარნაბა საგანელიძე! ჩაგრულთა კლასის მუვლეფელი და სისხლის მწოველი ბობოლა! გაეკარე, გამოდი ჩვენს ხარიკადებზე და ბაჭუა ვარდოსანიძე მოგიკვდეს თუ შენი გახცადება ხელახლა არ განიხილოს ჩვენმა უჯრედმა''.

დაკვირდით, როგორ აქვს მწერალს აღწერილი თალიკოს რეაქცია ბაჭუას სიტყვებზე.

,,ბენქიძ თვალი მოიფანა, რა ნაშინელი სიხარულის ღიმილმა დაუგრიხა ტუჩ-პირი საგანელიძის ქალს. ეს რა უთხრა ამ ბიჭმა, ვისთანაც ერთად სკოლაში სწავლობდა, ვისაც ერთად ბსაც ერთად ამზადებდნენ, თამაშობდა ერთად თამაშობდნენ... ეს კი რას მეუბნება! ნუთუ შეიძლება ასეთი რამ გააგონო ადამიანის ყურს!''

ახლა თალიკოს პასუხიც მოისმინეთ:

,,— ენა რაფერ მოგიბრუნდა, ბაჭუა, ამის სათქმელად! შენ რომ იცოდე, მამაჩემს როგორ ვუუვარვარ. გავეურები კი არა, ქალამნის ძირად დავედები! არა ბაჭუა, ასო-ასოდ რომ ამკუწნო, მე მაგას ვერ ვიზამ! ესეც არ იყოს, ისეთი ადამიანი რად გინდათ, ბიჭო, მშობელ მამას რომ გადაუდგება! დღეს მამას გადაუდგა. ხვალ თქვენ გიღალატებთ! მამაზეციერს არ დაინდობს! კარგად ბრძანდებოდეთ''.

ასე ამბობ და დაამარცხა ზნეობრივად კულაკის ასულმა კომკავშირელი. მერედა, ვის რომანში მოხდა ეს? იმ მწერლის, რომელიც გვიმტკიცებდა — ,,მე ბოლშევიკის გარდა სხვა ვინმე არც მიმაჩნია ადამიანად''.

როგორ მოხდა ეს? რის შედეგია იგი? კომუნისტური იდეალის მარცხისა და ქრისტიანული იდეალისაკენ მობრუნების. თალიკოს პასუხში იგივეა ნათქვამი, რასაც იოანე მოციქული ამბობს: ,,უკეთუ ვინმემ თქუას, ვითარმედ მიუუარს ღმერთი და ძმაი თუისი სძულდეს, მტყუარ არს, რამეთუ რომელსა არ უუვარდეს ძმაი თუისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უც შეუვარებად?'' (იოანეს ეპისტოლე პირველი 4: 20). ამ მცნებას, თუ მეტი არა, ორი ათასი წელიწადი მაინც არის, რაც იცნობს კაცობრიობა და რატომ გაჩნდა იგი ,,კოლხეთის ცისკარში'' მხოლოდ 70-იან წლებში? იმიტომ, რომ ყველამ დაინახა, სად მიიყვანა სოციალიზმი უზნეობის პროპაგანდამ და მის გადასარჩენად ისევ ჩაებღაუჭენ კომუნისტების მიერ დაგმობილ ქრისტიანულ იდეალს.

შეადარეთ!

80-იანი წლების მოთხოვნა: ,,თინა საუცხოო ტიპია ბოლშევიკის, იცი რა მითხრა: ბაიაშვილი მამაჩემს მეგობრობს ძალიანო. მამაჩემი კი ფარული მენშევიკია და ჩვენი მტერიო'' (ს. თალაკვაძე — ,,გადასასვლელი'').

70-იანი წლების მოთხოვნა: ,,...ისეთი ადამიანი რად გინდათ, ბიჭო, მშობელ მამას რომ გადაუდგება! დღეს მამას გადაუდგა, ხვალ თქვენ გიღალატებთ! მამაზეციერს არ დაინდობს!'' (კ. ლორთქიფანიძე — ,,კოლხეთის ცისკარი'').

ასე შემობრუნდა მწერლობა კომუნისტური ზნეობიდან ქრისტიანული ზნეობისაკენ. ეს კი საერთოადამიანური, ჰუმანისტური გამარჯვებას მოწმობს და უარყოფს ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს.

ქრისტიანული იდეალის გახსენება და მისკენ მიბრუნება ლიტერატურის პარტიულობის პრი-

[1] კ. ლ. ,,ლიტერატურული საქართველო'', 1982 წ., 14 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნციპისაგან თავის დაღწევის ერთ-ერთი გზაა. მიმართავენ სხვა გზასაც.

როცა ნიჭიერი მწერალი გაურბის ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს, იგი ან ალეგორიას მიმართავს, ან მოქმედება წარსულში გადააქვს. სანიმუშოდ შეიძლება „დათა თუთაშხია" გავიხსენოთ.

ყველა დამეთანხმება, რომ „დათა თუთაშხიაში" ისტორიული ფონის არავითარი აუცილებლობა არ არსებობს. რომანში არ მოქმედებს არც ერთი ისტორიული პირი. არც მისი პრობლემატიკაა ისტორიით გაპირობებული. მაშინ რატომღა ამჯობინა ავტორმა რომანის მოქმედება წარსულში გადაეტანა?

დათა თუთაშხია შემთხვევით გახდა აბრაგი. მან მომაკვდინებლად დაჭრა ახლობელი კაცი ანდრიევსკი. ანდრიევსკი არაფერში დებდა ბრალს დათას და მის წინააღმდეგ რაიმე საქმის აღძვრის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მაგრამ პოლიცია მაინც დაეძებდა თუთაშხიას. იგი იძულებული გახდა, უაჩაღად გავარდნილიყო. რამდენიმე წელიწადი იაბრაგა დათამ, მაგრამ მაინც შეინარჩუნა მაღალი ზნეობა და კეთილკაცობა.

საბჭოელი მოქალაქისათვის ამგვარი ბედი წინასწარ გამორიცხულია. საბჭოელი მოქალაქე არ შეიძლება უაჩაღად გავარდეს. ქართულ საბჭოურ პროზაში მხოლოდ ნ. დუმბაძის მოთხრობებშია უაჩაღი დახატული, ისიც მეორე მსოფლიო ომის დროს. ისინი, როგორც წესი, დამნაშავენი და ბოროტმოქმედნი არიან. რაკი საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ არ სურთ ბრძოლა. სხვა შემთხვევა უაჩაღის პროტაგონისტად გამოყვანისა ქართულმა საბჭოურმა პროზამ არ იცის. არც შეიძლება იცოდეს, რამეთუ გაბრაგებული საბჭოელი მოქალაქე უთუოდ დამნაშავეა და უნდა დაისაჯოს. საბჭოელი მოქალაქე — უაჩაღი და ამავე დროს კეთილშობილი, ჩვენი არსენას მსგავსი, მაღალი ზნეობით აღჭურვილი, კეთილისმოქმედი და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი — შეუძლებელია, არსებობდეს. უაჩაღობა, როგორი სახითაც უნდა გამოვლინდეს იგი, სოციალური, პოლიტიკური, ეროვნული პროტესტია, საბჭოელ ადამიანს კი რა აქვს საპროტესტო? საბჭოთა ხელისუფლება მისი ხელისუფლებაა. საბჭოთა ხელისუფლება დაგჩაგრავს, ჩაგნიხლავს სოციალურად, პოლიტიკურად თუ ეროვნულად. მაინც საბჭოელი ხალხის ხელისუფლებაა. ჩაგვრა, ჩაწიხვლა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ფასების ზრდა, ხურსათ-სანოვაგის უკმარობა მხოლოდ საბჭოელი ხალხის კეთილდღეობისათვის არის. ამ კეთილდღეობისათვის ზრუნვის შედეგია. როგორღა შეიძლება პროტესტი გამოითქვას ხალხის ბედით ასე შეწუხებული ხელისუფლების წინააღმდეგ. ლოზუნგები ყოველ ნაბიჯზე გვარწმუნებენ — პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია. [illegible] თადერთი მიზანი აქვს — საბჭოელ ხალხზე ზრუნვა, პარტია და ხალხი განუყოფელია. ცხადია, ვინც ასეთი პარტიისა და ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრდება, ის ბოროტმოქმედი და დამნაშავეა. ამიტომ საბჭოელი დათა თუთაშხია არ შეიძლება არსებობდეს.

რომანის პერსონაჟები ელიზბარ კარიჭაშვილი, სანდრო კარიძე, დათა თუთაშხია, ნინო თავუფლაშვილი და სხვანი ეროვნულ საკითხებზე საუბრობენ, მსჯელობენ საქართველოს აწმყოს, წარსულსა და მომავალზე. საბჭოელი ქართველი ამ პრობლემებზე ვერ იმსჯელებს. კომუნისტურმა პარტიამ გვიბრძანა — ეროვნული საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტეთ და აღარაფერია საფიქრალი, სალაპარაკო და თავსატეხი.

სხვათა შორის, დამპყრობელი ერის შესახებ რომანში ნათქვამია:

„პყრობას, დაოკებას, წინააღმდეგობის ჩახშობას დიდი ძალისხმევა სჭირდება. ახი ხალხის პყრობას — ასჯერ მეტი ძალისხმევა. უსაზღვრო და ამოუწურავი მზისა ქვეშ არაფერია. მპყრობელი ერის ენერგიასაც აქვს თავისი საზღვარი. იღლება, იფიტება, ცხოველმოსილება უდუნდება. ჯერ პყრობის უნარს კარგავს, შემდეგ თავდაცვისას, მერე სხვა ერებში ითქვიფება და ბოლოს არსებობასაც წყვეტს".

აქ ზუსტად და ლოგიკურად არის აზრი ჩამოყალიბებული: რუსეთის ძლევამოსილებაც დაკნინდება, დაიღლება და გამოფიტება. მისი იმპერიაც დაშლება და იძულებული გახდება, დაპყრობილი ხალხები გაათავისუფლოს. ქართველობაც იქნება თავისუფალი ერი. მაგრამ საბჭოელი ქართველი ამ სიტყვებს ვერ იტყვის. ოფიციალური ინსტრუქციის თანახმად, რუსეთის იმპერია აღარ არსებობს. არის სსრკ. სსრკ-ში რუსეთს უფროსი ძმის ფუნქცია აქვს მინიჭებული და იგი ეროვნულად არავის ჩაგრავს. თუ ხანდახან თავში ჩაგიჩაჩუნებს და ჭიტლაუსაც გითავაზებს, ეს უფროსი ძმისგან არც უნდა გეწყინოს. მთავარია ძმობა და მეგობრობა, რომელიც საბჭოელ ხალხებს შორის არსებობს და მწერალიც მოვალეა „მეგობრობიადის" ცრუ, მოსაწყენ და ერთფეროვან სიმღერას ღნაოდეს.

სხვა ბევრი საჭირბოროტო პრობლემაც არის დასმული რომანში, მაგრამ ჩემი აზრის ნათელსაყოფად მოხმობილიც კმარა.

„დათა თუთაშხიას" პრობლემატიკა რომ დღესაც ცოცხალია და საზოგადოების მწვავე ინტერესს იწვევს, ამას რომანის პოპულარობაც ადასტურებს. მკვდარი და მხოლოდ წარსულში არსებული პრობლემატიკით დღევანდელ მკითხველს ვერ დაინტერესებ, რარიგ ოსტატურადაც უნდა აღიწეროს იგი. მკითხველს დღევანდელი ტკივილი იტაცებს. „დათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუთაშხიაშიც" ეს დღევანდელი ტკივილია და ასეც წაიკითხა რომანი მკითხველმა საზოგადოებამ. თუ რომანის მოქმედება წარსულში განვითარდა, ეს მოხდა იმიტომ, რომ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი არ იძლევა გულახდილი ლაპარაკის საშუალებას-უფლებას.

მნიშვნელობა არა აქვს იმას, ავტორმა რომანის მოქმედება წარსულში ცნობიერად გადაიტანა, თუ ქვეცნობიერად. თუ ეს ქვეცნობიერად მოხდა, კიდევ უფრო უარესი: ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს ისე ჩაუქედია ყველა მწერლის თავში ავტოცენზორი, რომ ისინი უკვე მექანიკურად მოქმედებენ.

ასე წაირ-ნაირი გზებით ცდილობს საბჭოელი მწერალი დააღწიოს თავი ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის მონობას.

„აზრი და სიტყვა — ერთიცა და მეორეც — ღვთიური ელემენტია ადამიანში და როგორც ასეთი თავისუფალია თავისთავად. თითქოს შეეძლოს ვისმე მიიჩნიოს აზრისა და სიტყვის თავისუფლება დანაშაულად" — ამბობს გრიგოლ რობაქიძე.

რა უნდა ქნას მწერლობამ, რომელსაც სურს, იბრძოლოს ადამიანის სულის გადარჩენისათვის და უჩიჩინებენ — სული არ არსებობს, ყველაფერი მატერიალურიაო?..

რა უნდა ქნას მწერლობამ, რომელსაც სურს, იბრძოლოს ეროვნული თავისუფლებისათვის და უჩიჩინებენ — ყველა ეროვნული პრობლემა სამუდამოდ მოგვარებულიაო?

რა უნდა ქნას მწერლობამ, რომელსაც სურს, იბრძოლოს სოციალური სამართლიანობისათვის და უჩიჩინებენ — ყველა სოციალური პრობლემა სამუდამოდ მოწესრიგებულიაო?

რა უნდა ქნას მწერლობამ, რომელსაც სურს იმსჯელოს ფილოსოფიურ საკითხებზე და უჩიჩინებენ — ყველა ფილოსოფიური საკითხი მარქსიზმ-ლენინიზმმა გადაწყვიტაო.

უნდა იბრძოლოს, არ დამორჩილდეს თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდეს. სხვა გზა არ არსებობს. ყველა სხვა გზა იმ მდგომარეობამდე მიიყვანს მწერალს, სანამდისაც ერთი პოეტი მივიდა, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე სიტყვებს ლექსად ამბობდა.

„შიშით ამიტომ შესაქერის რუკას
და გვიღრენს ძხეცი უოლ-სტრიტელი,
რომ ორი ფერი შერჩა ამ რუკას: —
მისი — შავი და ჩვენი — წითელი!
ეს ორი ფერი, ორი სამყარო,
ამ ქვეყანაზე ორი გზით მიდის, —
ჩვენი — ხალხისთვის კომუნიზმს აგებს,
მისი — თავის ხალხს ოქროზე

ეს კი ცოცხლად სიკვდილს ნიშნავს[1]

VI

საერთოადამიანური თუ კლასობრივ-პარტიული?

ადამიანი, რომელიც მწერლობის დაკვირვების, ყურადღების, შესწავლის, ასახვის ძირითადი საგანია, რა თქმა უნდა, ეკუთვნის ამა თუ იმ რასას, ერს, კლასს, პარტიას. აღიარებს ამა თუ იმ რელიგიას, ფილოსოფიურ მოძღვრებას, სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებას, ეწევა ამა თუ იმ საქმიანობას. ყველაფერი ეს გავლენას ახდენს პიროვნების ბუნებაზე, თვისებასა და ხასიათზე. მაგრამ, რაც მთავარია, არსებობს რაღაც საერთოადამიანური, რომელიც უცვლელია, ზედროულია, ზერასობრივია, ზეეროვნულია, ზეკლასობრივია, ზეპარტიულია. როცა დგება საკითხი ადამიანისა და კაცობრიობის, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობისა ძალიან ზშირად ადამიანში საერთადამიანური ეჯახება რასობრივს, რელიგიურს, ეროვნულს, პარტიულს, კლასობრივს. ადამიანს უპირს მოქმედების სწორი კრიტერიუმის გამოძებნა. არ იცის, როგორ მოიქცეს ამა თუ იმ სიტუაციაში. ეს მარადიული წინააღმდეგობაა და ერთ-ერთი ძირითადი საგანია სიტყვაკაზმული მწერლობისა.

ადამიანის სამშვინველში მომხდარ ბრძოლასა თუ პიროვნებასა და საზოგადოებას შორის არსებულ ყოველგვარ კონფლიქტს ყოველი დროისა და ყოველი ერის მწერლობა უყურებს საერთოადამიანურისა და ყველა სხვა დანარჩენი მოვლენის ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით. ამ ურთიერთდამოკიდებულების გარკვევისას ლიტერატურის ჰუმანისტური პრინციპი უპირატესობას საერთოადამიანურს ანიჭებს.

დავაკვირდეთ ზოგიერთ ნიმუშს.

ილია ჭავჭავაძე მოთხრობაში — „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი" — შემდეგს გვიამბობს:

ქართველები ყიზილბაშებს ებრძვიან. ერთმა მამაცმა ყიზილბაშმა რამდენიმე ქართველი ვაჟკაცი მოჰკლა. შეძრწუნდა ქართველობა: ნუთუ ამ ყიზილბაშის მოძრეკა ვერ უნდა ვიპოვოთო? გადაწყვიტეს ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი მოეძებნათ. იგი ცხარე ბრძოლიდან გამოიხმეს და თავიანთი უბედურება შესჩივლეს. აჩვენეს მამაცი ყიზილბაში, რომელიც ბრძოლის ველზე არსეიანად დანავარდობდა და ქართველებს მუსრს ავლებდა. მეტი რა გზა იყო, ნიკოლოზი უნდა შებრძოლებოდა მტერს. დაიწყო ორთარკენა.

---

1 „ცისკარი", 1949 წ., № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გოსტაშაბიშვილი ცხენ-და-ცხენ ეცა, წასწვდა, ერთიორი ღონივრად შეებერტყა და ცხენიდან ძირს დასცა, ასე რომ დაცემულს ფეხზედ ადგომა გაუძნელდა. ჩამოხტა ცხენიდან გოსტაშაბიშვილი, ააყენა ყიზილბაში ფეხზე და უთხრა:

— ნუ გეშინია, მე თავს არ მოგკვლი. შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიებია. ცოდვაა შენი გაფუჭება. წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცეს.

— მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანო, — უპასუხა ყიზილბაშმა, სალამი მისცა და წავიდა".[1]

როგორც ხედავთ, აქ ეროვნულს საერთოადამიანურმა სძლია. ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილმა ყიზილბაშის მამაცობაში დაინახა საერთოადამიანურის ის ხიბლი, რომელიც ყველა ერის კაცს აერთიანებს. ნიკოლოზი ვერ დაამარცხა ეროვნულმა შუღლმა. მას ბრძოლის დროსაც არ დაუჩლუნგდა კაცობრიობის ერთიანობის გრძნობა. ამით გოსტაშაბიშვილმა საკუთარი ადამიანური ბუნების სიდიადეც გამოავლინა და ჭეშმარიტი ვაჟკაცობაც აჩვენა. ამას ყიზილბაშიც მიხვდა. ისიც ისეთივე დიდბუნებოვანი ადამიანი აღმოჩნდა, როგორი ვაჟკაციც იყო. იგი მადლიერების ნიშნად ბრძოლის ველს გაეცალა. ასე დაჯაბნა კეთილმა ბოროტი, პატიების დიდმა გრძნობამ — შურისგების მათხოვრული გრძნობა, საერთაოდამიანურმა ეროვნული მტრობა.

ვიქტორ ჰიუგოს რომანში — „ოთხმოცდაცამეტი წელი" — ასეთი ამბის მოწმე ვხდებით:

რესპუბლიკისა და მეფის მომხრეთა ჯარებს შორის გააფთრებული ბრძოლაა. მეფის ერთგული მარკიზი დე ლანტენაკი დამარცხდა. რესპუბლიკის ჯარმა ალყა შემოარტყა მარკიზის ციხე-სიმაგრეს. მაგრამ რესპუბლიკელებმა დე ლანტენაკი მაინც ვერ ჩაიგდეს ხელში. იგი ერთგულმა ადამიანებმა საიდუმლო ხვრელით გააპარეს ციხე-სიმაგრიდან. ციხე-დარბაზში დარჩა მხოლოდ იმანუსი. იგი უკანასკნელ წინააღმდეგობას გაუწევდა მტერს, რომ ამით მარკიზს დრო მოეგო და უვნებელი გასულიყო ხამშვიდობოს.

იმანუსი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა რესპუბლიკელებს, სანამ იგი მტერმა სასიკვდილოდ არ გაფატრა. სიკვდილის წინ მან მოასწრო ჩირაღდნით ცეცხლი წაეკიდებინა ზონარისათვის. ცეცხლი ზონარს გაჰყვა და მალე მთელ ციხე-დარბაზს მოედო.

მარკიზი და ლენტენაკი უკვე გავიდა გვირაბიდან. იგი ტყეში იდგა და მას აღარაფერი ემუქრებოდა. რესპუბლიკელები ველარ დაეწეოდნენ. ამ დროს მარკიზს ქალის შემზარავი კივილი მოესმა. ჰკიოდა მეშელ ფლეშარი, მარკიზის მოახლე. მიშელ ფლეშარმა, რომელიც ციხე-დარბაზში ბრუნდებოდა, დაინახა ცეცხლმოკიდებული სასახლე. ციხე-დარბაზის ფანჯრები ღია იყო და გორაკზე მდგარმა დედამ თვალნათლივ გაარჩია: სასახლის ბიბლიოთეკის ოთახში უდრტვინველად ეძინა მის სამ შვილს. თავზარდაცემული ქალი მშველელს მოუხმობდა, მაგრამ არავის ძალუძდა დახმარება. რესპუბლიკელი ჯარისკაცები გაოგნებული იდგნენ. ციხე-დარბაზის რკინის კარები მტკიცედ იყო დაგმანული. ვერარა ძალა მას ვერ შეანგრევდა. ცეცხლი თანდათანობით ძლიერდებოდა. ბავშვებს გარდაუვალი დაღუპვა ემუქრებოდა. ირგვლივ კი მხოლოდ უძლურების გმინვა ისმოდა. მთელი არმია გულხელდაკრეფილი მისჩერებოდა ბავშვების საზარელ სიკვდილს.

ქალის კივილზე შემობრუნებულმა მარკიზმაც დაინახა ,რაც ხდებოდა. იგი ცოტა ხანს თავჩაქინდრული იდგა. მერე მოტრიალდა და საიდუმლო გვირაბში შებრუნდა. მარკიზმა დე ლანტენაკმა მშვიდად გაიარა ენაჩავარდნილი რესპუბლიკელი ჯარისკაცების წინ, ჯიბიდან კლიტე ამოიღო, რკინის კარები გააღო და აწობოკრებულ ცეცხლში შეაბიჯა. რამდენიმე წუთის შემდეგ მარკიზი ბიბლიოთეკის ფანჯარაში გამოჩნდა. ცეცხლის ენები უკვე ბიბლიოთეკის კედლებს ლოკავდნენ. დე ლანტენაკმა სარკმლიდან თოკის კიბე დაუშვა, ჯარისკაცები კიბეზე აცოცდნენ. მარკიზი სათითაოდ აძლევდა მათ მიშელ ფლეშარის შვილებს, როცა გადარჩენილი პაწიები გულწასულ დედას შემოეხვივნენ, მარკიზი ერთხანს კიდევ იდგა ზევით ჩაფიქრებული. მერე ისიც დაეშვა კიბით ძირს.

მარკიზი დე ლანტენაკი რესპუბლიკელებმა დააპატიმრეს.[1]

არისტოკრატი, როიალისტი უკან მობრუნდა და თავი გასწირა გლეხის ქალის შვილების გადასარჩენად. ეს იმიტომ, რომ საერთოადამიანური გაცილებით მაღლა დგას და ძლიერია ყოველგვარ კლასობრივ განსხვავებაზე. აქ საერთოადამიანური ამარცხებს კლასობრივ განსხვავებას, წინააღმდეგობას, შუღლს.

მეტად საგულისხმოა, რომ რომანის იმ თავს, სადაც ეს ამბავია აღწერილი, ეწოდება In daemone Deus (დემონში ღმერთია). კაცში საერთოადამიანურის გაღვიძება და გამოვლენა ნიშნავს ღვთაებრივი სულის აღორძინებას. რასობრივი, ეროვნული, რელიგიური, კლასობრივი, პარტიული მტრობა-შუღლი კი ეშმაურია ადამიანში. ამიტომ უნდა დაიძლიოს ისინი საერთოადამიანური სიყვარულით.

ალექსეი ტოლსტოის რომანში — „გზათა

1 ი. ჭავჭავაძე — თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1950 წ., გვ. 246-247.

1 ვ. ჰიუგო, თხზულებათა კრებული 15 ტომად (რუსული გამოცემა). ტ. II, 1956 წ., გვ. 320-40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან წანწალი[1] — ორიოლაცი შეხვდება ერთმანეთს — ვადიმ როშჩინი და ივანე ტელეგინი. მართალია, ისინი ჭკვისლები არიან, მაგრამ იმ დროს, როცა როსტოვის ვაგზალში მოულოდნელად შეიყარნენ, მტრები იყვნენ: როშჩინი თეთრი გვარდიის რიგებში იბრძოდა ბოლშევიკური რევოლუციის წინააღმდეგ. ტელეგინი კი წითელ არმიაში მსახურობდა.

როსტოვი თეთრგვარდიელებს ეკავათ. ტელეგინსაც თეთრგვარდიელი პოდპოლკოვნიკის ფორმა ეცვა. ცხადი იყო, იგი ქალაქში შემოეგზავნათ, როგორც მზვერავი. ასე რომ ვაგზალში, როშჩინის გვერდით, სკამლოგინზე იჯდა მტერი, დაუნდობელი და დაუძინებელი დუშმანი. თუ როშჩინი შეასრულებდა თეთრგვარდიელი ოფიცრის მოვალეობას, კლასობრივი მტრობის პრინციპს მაშინვე უნდა ემხილებინა ტელეგინი, გაეცა იგი და დაეპატიმრებინა. მართლაც, პირველი, რაც როშჩინს თავში მოუვიდა, იყო აზრი ტელეგინის დაჭერისა. მაგრამ მაშინვე გაუჩნდა საპირისპირო ფიქრიც. ტელეგინი მისი მოყვარეა, ჭკვისლია, თუ გაამხელს ტელეგინს, მას დახვრეტა არ ასცდება. მაშასადამე, უნდა ჰაიდინოს ღალატი მოყვასის მიმართ, ადამიანის მიმართ, საერთოადამიანურმა გაიმარჯვა და როშჩინმა არ დაასმინა ტელეგინი. ივანე ტელეგინი მშვიდობიანად გავიდა ვაგზლის შენობიდან და მიიმალა.[2]

შეგვიძლია ეს ეპიზოდი შებრუნებით წარმოვიდგინოთ — საბჭოთა ხელისუფლების ოფიცერი ტელეგინი არ დაასმენს, არ გასცემს თეთრგვარდიელ ოფიცერს როშჩინს, რომელიც მზვერავად არის შემოგზავნილი წითელ არმიაში? არ შეგვიძლია. როშჩინის საქციელს ვერ ჰაიდენს ტელეგინი. ტელეგინისათვის კლასობრივი მტრობის პრინციპი გაცილებით მაღლა დგას ადამიანურ სიყვარულსა და ღირსებაზე.

კომუნისტს უფლება არა აქვს კლასობრივი თუ პარტიული მტრის არათუ შებრალებისა, არამედ უოუძანისაც კი. კლასობრივ-პარტიული მტერი კომუნისტმა მაშინვე, დაუყოვნებლივ უნდა გაანადგუროს. ამას დაფიქრებაც არ სჭირდება.

ლევან მეტრეველის მოთხრობაში „ბოლშევიკი"[1] ერთმანეთს უპირისპირდება ბიჭვინეველი, სვიმონი და მენშევიკი ჩაჩანო.

ისინი ბავშვობის მეგობრები არიან. რევოლუციურ საქმიანობაშიც ერთად ჩაებნენ. ერთად გადაუტანიათ ბევრი გასაჭირი. ერთად დაულწევიათ თავი ბევრი საფრთხისათვის. ერთად უბრძოლიათ ცარიზმის წინააღმდეგ. მაგრამ მერე მათი გზები გაიყარა. სვიმონი ბოლშევიკი გახდა, ჩაჩანო — მენშევიკი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მენშევიკები დამარცხდნენ. ჩაჩანო ჯერ გაიქცა საქართველოდან. მერე დაბრუნდა და ბოლშევიკების წინააღმდეგ არალეგალური მუშაობა დაიწყო. ჩაჩანოს დასაჭერად ეძებენ ЧК-ისტები.

ერთხელ, შემთხვევით, მენახშირედ გადაცმული ჩაჩანო იმ ეზოში აღმოჩნდა, სადაც სვიმონი ცხოვრობს. სვიმონი მასთან ნახშირის საყიდლად მივიდა და უცბათ მენახშირეში ძველი მეგობარი და ახლანდელი მტერი იცნო. ცხადია, ჩაჩანომაც იცნო სვიმონი. გაქცევა უკვე შეუძლებელია. ჩაჩანო იძულებულია სვიმონს შინ შეჰყვეს.

საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა სვიმონი. არ იცის, რა ჰქნას — დაიჭიროს თუ არა ჩაჩანო, შეატყობინოს თუ არა ЧК-ს. რევოლუცია თუ მეგობარი? ასე იდგა, წერს ლ. მეტრეველი, დილემა სვიმონის წინაშე. სვიმონს ახსენდება: „მრავალი საიდუმლო საბუთი ქუჩაში რომ დაატყვევეს იგი, ვინ იცნა? ამ საბედისწერო ეამს განა ჩაჩანო არ იყო, თვითვე განსაცდელში მყოფი ჩაჩანო — რომ გადმოეშვა მეხივით, ორივე პოლიციელი სასიკვდილოდ დასჭრა და იცნა იგი უმძიმესი ხიფათისაგან? ან საზღვარგარეთ ვინ გააპარა? ვინ შეაგროვა გროშობით ფული? და თვით უცხოეთში სახოხარმკვლელ სიმშილის დროს განა ისევ ჩაჩანო არ ეკლინებოდა გაჭირვების ტალკვესად?..."

„როცა ჩაჩანო მინისტრის მოადგილე იყო მენშევიკობისას, განა მასთან არ იმალებოდა სვიმონი?.."

ყოყმანობს ბოლშევიკი სვიმონი. ეს შეამჩნია ჩაჩანომ. გავიდა სვიმონის ბინიდან, ეზოში ჩავიდა და ის-ის იყო ქუჩაში უნდა გასულიყო, რომ ЧК-ისტები გადაუდგნენ წინ და დააპატიმრეს. სვიმონს არ გაუცია ჩაჩანო. თურმე ЧК-ისტები მას გამუდმებით ადევნებდნენ თვალს, მისი ასავალ-დასავალი იცოდნენ და მიუსწრეს კიდეც. მაგრამ ჩაჩანოს სჯერა, რომ სვიმონმა გაუიდა იგი. როცა სვიმონი მეორე ოთახში გავიდა, ალბათ მაშინ დარეკაო ტელეფონით ЧК-ში. დაპატიმრებული ჩაჩანო ბეგმებს აწყობს, როგორ გადაუხადოს სამაგიერო გაცემისათვის სვიმონს. ჩაჩანო მოახერხებს და

---

1 ალ. ტოლსტოის რომანის სახელი Хождение по мукам ქართულად უნდა ითარგმნოს ასე — „გზათა უკან წანწალი", თედო სახოკიას განმარტებით, ეს ფრაზა ნიშნავს უთავბოლოდ, უგზო-უკვლოდ ხეტიალს, ტყუილად დროის კარგვას, ტანჯვას (იხ. „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი"). რაც ზუსტად გამოხატავს როგორც რომანის რუსული სათაურის აზრს, ისე მთელი წიგნის შინაარსს.

2 ა. ნ. ტოლსტოი, თხზულებათა სრული კრებული (რუსული გამოცემა), ტ. 7, 1947 წ., გვ. 537-539.

10. „ცხოვრობი", № 6.

1 ალმანახი „ალიფიონი", № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხიდან შეატყობინებს თავის პარტიულ ამხანაგებს, რაც მოხდა და მათ სვიმონის დასჯას სთხოვს.

არალეგალური მენშევიკები ჩუმად, ღამით სვიმონს გზაში დახვდებიან, დაიჭერენ და სარდაფში დამალავენ. მენშევიკები სვიმონს ემუქრებიან: თუ გინდა ცოცხალი დარჩე, „ჩამოთვალე ყველა ის მ[illegible]ნშევიკები, ვინც თქვენთან თანამშრომლობენ ჩუმად. აგრეთვე ვისგან ვინ არის გაცემული და ან რა საქმე", სვიმონი ამ მოთხოვნას არ შეასრულებს. ბოლშევიკ სვიმონს მენშევიკები მოკლავენ. სიკვდილის წინ სვიმონი დასწერს: „ბოლშევიკებს გამცემლობა არ ეხერხებათ. სიკვდილისა კი არ ეშინიათ".

როგორც ხედავთ ბოლშევიკ სვიმონს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. პირიქით, „მამაცურად მოკვდა. ოღონდ ოდნავ შეუყოყმანდა, როცა მეგობრის დაპატიმრების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. მართალია, ყოყმანობდა, მაგრამ დასკვნა მაინც მეგობრის დაჭერის სასარგებლოდ გააკეთა:

„თუ იმან ვერ მოასწრო ჩაჩანოს დაპატიმრება, განა ეს კარგია? ის ხომ მოვალე იყო გაეცა გამცემი და მოღალატე ამდენი მსხვერპლით მოპოვებულ მშრომელთა ხელისუფლებისა? რომ გაეშვა თავისუფლად, პირიქით, ეს იქნებოდა გამოუსყიდავი დანაშაული მშრომელი ბალხისა და ქვეყნის უნმინდეს მოვალეობისადმი".

ლ. მეტრეველს ეგონა უდრეკი ბოლშევიკი დავხატეო, მაგრამ მოტყუვდა. კომუნისტურ ლიტერატურულ კრიტიკას სვიმონი არ მოეწონა. პუბლიცისტი გრიგოლ მუშიშვილი წერდა:[1]

„მკითხველისათვის აშკარაა ავტორის მთელი უსუსურობა. მეგობრობა თუ რევოლუცია? რასაკვირველია, რევოლუცია. განა შეიძლება აქ ყოყმანი და ორჭოფობა? ბოლშევიკისათვის ეს საკითხი არ სდგას, ბოლშევიკმა საკითხის ასე დაყენება არ იცის. მეტრეველი ამ თემას ანვითარებს, აგრძელებს, აჭიანურებს. კითხულობ სვიმონის სენტიმენტალურ, არაბოლშევიკურ მონოლოგებს და ბრაზი მოგდის, რა საჭიროა ამდენი „უაზრო ხეტიალი?" მეგობრობის გრძნობა არყევს ბოლშევიკურ სიმტკიცეს... ბოლშევიკი სვიმონი ჰკარგავს ბოლშევიკურ გამბედაობას. „სიყრმის მეგობარი" მას უმზადებს ჯანყებას. სვიმონმა ყველაფერი იცის ეს, მაგრამ ბოლშევიკი რკალაენება ღვედივით, მას არ გააჩნია ბოლშევიკური ხერხემალი, არ აღმოაჩნდა აზრის სიმტკიცე. გაბედული მოქმედება. მეგობრობის მეშჩანური გრძნობა სამარცხვინოთ იმარჯვებს რევოლუციონურ გრძნობაზე! ჩვენც ვამბობთ პირდაპირ: სვიმონი ბოლშევიკის ტიპი [illegible] მუშიშვილს ეკუთვნის — [illegible] სვიმონი [illegible] თონ მეტრეველია და მას არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ბოლშევიკთან";

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის მოთხოვნას ნათლად და მკაფიოდ გამოთქვამს გრ. მუშიშვილი: მწერლობა უნდა ხატავდეს მექანიკურ ადამიანებს, ვინც უსიტყვოდ და დაუფიქრებლად შეასრულებს სკკ მოთხოვნებს და დადგენილებებს.

კიდევ რამდენიმე ნიმუში გავიხსენოთ, მაგალითად, ფილმი „მიჩმანი პანინი". პანინი ბოლშევიკებთან არის დაკავშირებული და მონაწილეობს სიკვდილმისჯილ 18 რევოლუციონერის გადარჩენაში. იგი მოახერხებს რევოლუციონერები ჩუმად სამხედრო გემზე აიყვანოს და უცხოეთში გააპაროს. რევოლუციონერების დამალვის დროს პანინი მკლავს გემის ბოცმანს. გემი მეგობრული ვიზიტით საფრანგეთში, ბავრში ჩავა და რევოლუციონერები გაიპარებიან.

გემის კაპიტანი ყველაფერს შეიტყობს. მან უნდა დააპატიმროს პანინი, მაგრამ იხიც იცის, რომ მიჩმანი კატორღას ვერ გადაურჩება. კაპიტანი პანინს ბოცმანის მკვლელობასაც აპატიებს და გაქცევის საშუალებასაც აძლევს. იგი ეუბნება პანინს — „მე მეზღვაური ვარ და არა ჟანდარმი".

აქაც ადამიანური ღირსება და სოლიდარობა დაუყენებულია კანონსა და მომავალზე მაღლა.

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საბჭოური გემის კაპიტანი, რომელიც ამბობს — „მე მეზღვაური ვარ და არა **КГВ**-ისტი და გაქცევის უცხოეთში დამალვის საშუალებას აძლევს მიჩმანს, რომელიც კომუნისტურ იდეოლოგიას არ იზიარებს. არა, არ შეგვიძლია. საბჭოური მწერლობა უფრო მაღლა აყენებს ფუნქციონერის მოვალეობას, ვიდრე ადამიანურ ღირსებას.

ქართულ ფილმში „წუთისოფელი" ასეთი ეპიზოდებია: ბოლშევიკი რევოლუციონერის დასაპატიმრებლად მენშევიკი გვარდიელები მოდიან. რევოლუციონერის დედამ არ იცის, როგორ იხსნას შვილი დაჭერისაგან და ბოლოს ამას მოიფიქრებს: ტანთ გაიხდის და ოთახში შიშველი გაჩერდება. იმედი აქვს: გვარდიელთა შორის არ აღმოჩნდება კაცი, რომელიც თავს დაიმცირებს, საკუთარ მამაკაცურ ღირსებას შეურაცხყოფს და ოთახში შევა, სადაც ტიტვლი ქალი დგას. დედის ვარაუდი გამართლდა. არ იკადრეს გვარდიელებმა უკადრისი და უკან გაბრუნდნენ. ბოლშევიკი რევოლუციონერი გადარჩა.

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ საბჭოთა მილიციელები ან **КГБ**-ისტები ვისმეს დასაპატიმრებლად იმ ოთახში არ შევიდნენ, სადაც

---

1 ეურ. „ცნობიერი", 1928 წ., №3, გვ. 224-225.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიტველი დედა იდგა? არა, არ შეგვიძლია. ისევ და ისევ იმავე მიზეზით: ფუნქციონერის მოვალეობა ადამიანურ ღირსებაზე მნიშვნელოვნად არის მიჩნეული.

საბჭოური ლიტერატურა კი ხატავს და უმღერის ეღირსებო ფუნქციონერს, რომელსაც დადებით გმირს ეძახის. ამით გამოუსწორებელ შეცდომას სრავდის, მაგრამ ეს არ ადარდებს.

სკკპ წამდაუწუმ და დაუნებლივ ითხოვს, საბჭოურმა მწერლობამ მისაბაძი გმირი დახატოს. მაგრამ შეიძლება, დასაშვებია ულირსებო ადამიანი მისაბაძი იყოს? ცხადია, არა. ღირსებას კი ადამიანი მაინც ინარჩუნებს, როცა მონა არ არის რასობრივის, ეროვნულის, რელიგიურის, კლასობრივის თუ პარტიულის. როცა საერთოადამიანურს სცემს პატივს და მისით ხელმძღვანელობს. საბჭოთა ადამიანმა კი ყველაფერზე მაღლა (საკუთარ ღირსებაზე) უნდა დაუყენოს კლასობრივ-პარტიული.

მისაბაძი შეიძლება იყოს ღირსებიანი ადამიანი, ღირსებიანი ადამიანი კი მაშინ იხატება, როცა მწერლობა კაცს, მის მდგომარეობას, საქციელს, მოქმედებას, თვისებას უყურებს და განიხილავს საერთოადამიანური თვალსაზრისით.

ადამიანი მრავალგვარი ხასიათის ლიტერატურას ქმნის — რელიგიურს, სოციალ-პოლიტიკურს, ფილოსოფიურს, იურიდიულს და ა. შ. მაგრამ არსად, ლიტერატურის არც ერთ სახეობაში არ ვლინდება საერთოადამიანური ისე სრულად, როგორც სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

რელიგიაც ქადაგებს ადამიანის სიყვარულს, მაგრამ იმ ადამიანისას, რომელიც მოცემულ რწმენას აღიარებს. ქრისტიანობისათვის მამამადიანია ურჯულო და მამამადიანისათვის — ქრისტიანი. ამ ნიადაგზე მათ შორის მძაფრი შელტრა, თუმცა ერთიცა და მეორეც თეორიულად ადამიანის სიყვარულისაკენ მოგვიწოდებს.

ქრისტიანობის ერთ-ერთი უპირველესი მცნებაა — არა კაც კვლა. — მაგრამ ამ სარწმუნოების გასავრცელებლად ზღვა სისხლი დაიღვარა. ასე იქცევა ყველა რელიგია.

ესა თუ ის სოციალ-პოლიტიკური მოძღვრება ადამიანისა და მთელი კაცობრიობის კეთილდღეობას ქადაგებს, მაგრამ ცეცხლითა და მახვილით ამკვიდრებს.

რუსული სოციალიზმი კაცობრიობას მპირდებოდა — „...შრომის სამეფო შეიძლება დამყარებულ იქნას თვით მშრომელთა ძალღონით, რომ შრომის სამეფო საჭიროა დამყარდეს ბრწყინვალე და არა ზეცაში“ მაგრამ ამ „შრომის სამეფოს“ დასამყარებლად მილიონობით უდანაშაულო მშრომელი აწამეს, ცხელ ჩაალპეს ციმბირის მიწაში.[1] სანიმუშო ციტატი საბუთად: „გამოააშკარავეს და დაგვანახეს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვის ხელი ურევია ბევრი უოვლად უდანაშაულო ადამიანის (ხაზი ჩემია — ა. ბ.). მათ შორის, აგრეთვე პარტიის და სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეების გაუელეტაში“.[2] ხოლო რაც გაკეთეს იაგოდამ, ეიოვმა, ბერიამ და სხვებმა, ყოველი საბჭოელი მოქალაქისათვის ცნობილია. ანტონ ანტონოვ-ოვსეენკოს სიტყვით, 1935-40 წლებში მხოლოდ ერთი ციხე ლუბიანკა გაიარა 18.840.000 კაცმა. აქედან დახვრეტილია შვიდი მილიონი, დანარჩენი ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკში გაწყდა.[3]

სხვათა შორის, რევოლუციური ფანატიზმის არსი სრულად არის მხილებული ანატოლ ფრანსის რომანში „ღმერთებს სწყურიათ“.

ტიულრის ბაღში საუბრობენ ევარისტ გამლენი და მისი საყვარელი ელოდი. ევარისტ გამლენი პროფესიით მხატვარია და პოლიტიკური რწმენით იაკობინელი. იგი რევოლუციური ტრიბუნალის მსაჯულია და ბევრი ადამიანი გაუგზავნია გილიოტინაზე თავწარსაკვეთად. რევოლუციის გადასარჩენად აუცილებლად მიიჩნდა ამგვარი სისასტიკე.

ქალ-ვაჟის საუბრის დროს, რვა-ცხრა წლის ბავშვი, რომელიც ბაღში სალტეს აგორებდა, თავს ვერ შეიკავებს და გამლენს ფეხებზე მიეხუტება. ევარისტი ბავშვს აიყვანს, მიუალერსებს, აკოცებს. დედა, რომელმაც ეს დაინახა, შეშინებული მივარდება და ბავშვს წაიყვანს. გამლენი ელოდის მიუბრუნდება და აღგზნებული ეტყვის — მე ვაკოცე იმ ბავშვს, მაგრამ შესაძლებელია დედამისი ეშაფოტზე გავგზავნო. მანამდე კი, ალერსის დროს, ევარისტი ბავშვს ეუბნებოდა — მე მძულხარ ვარ იმისათვის, რომ შენ იყო ბედნიერი, მე სასტიკი ვარ იმიტომ, რომ შენ იყო კეთილი.[4]

ასეა, ფანატიზმს მგონია, რომ, თუ ადამიანს რაღაც აბსტრაქტული რევოლუციური დოქტრინის გამო ამოუწყვიტავ დედ-მამას, ცოლ-შვილს, და-ძმას, მას ბედნიერს გახდი.

რას იზამთ, ადამიანურ სიბრიყვეს საზღვარი არა აქვს.

ესა თუ ის ფილოსოფიური მოძღვრებაც ადამიანის და კაცობრიობის სიკეთისათვის იქმნება

---

1 1939 წ. 20 იანვარი „ლიტერატურული საქართველოს“, სტალინის სიტყვა საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობაზე 1924 წლის 26 იანვარს ლენინის გარდაცვალების გამო.

1 სკკპ ეე-20, 21-ე ყრილობების მასალები.

2 სკკპ XXII ყრილობის მასალები, 1962 წ., გვ. 347.

3 ან. ანტონოვ-ოვსეენკო — „ტირანის პორტრეტი“ (რუსულად), 1980 წ., გვ. 261.

4 ა. ფრანსი, თხზულებათა კრებული 8 ტომად (რუსული გამოცემა), ტ. 6, 1963 წ., გვ. 671-672.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ აქაც დაუნდობელი წინააღმდეგობაა. იდეალისტს მატერიალისტი ჰგონია ქვეყნის დამაქცევარი და მატერიალისტ-იდეალისტი. ამიტომ მათი თვალსაზრისიც ცალმხრივია და ერთფეროვანი. მათ სურთ ეს უთვალავფერიანი სამყარო ერთფეროვნების, ერთსახოვნების ჩარჩოში ჩაეტევდონ და მერე ეს გამოაცხადონ ჭეშმარიტებად.

ყოველგვარი სახის მოძღვრება, იქნება იგი რელიგიური, ფილოსოფიური, სოციალ-პოლიტიკური თუ რომელიმე სხვა გვარეობისა, ადამიანს, ცხოვრებას, სამყაროს რომელიმე აკვიატებული დოქტრინის, დოგმატის თვალსაზრისით უყურებს. მხოლოდ ეს ამოჩემებული აზრი მიაჩნია ჭეშმარიტებად და ყველაფერს საწინააღმდეგოს უყურებს, მიიჩნევს სიცრუედ და სიყალბედ. ივიწყებს ჰერმან ჰესეს შეგონებას — „ყოველი ჭეშმარიტების საწინააღმდეგო მოსაზრებაც ჭეშმარიტია" („ზიდჰართა"), ამის დავიწყება არ გვმართებს.

კაცობრიობამ მისი გრძელი ისტორიის მანძილზე ნაირ-ნაირი „იზმების" კორიანტელი დაუყენა, მაგრამ არსებითად საზოგადოების მოწყობის ორ მოდელს თავი ვერ დაეღწია. თუ ამ ორ მოდელს სუფთა სახით წარმოვიდგენთ, დავინახავთ, რომ საზოგადოება რელიგიურად — ან თეისტურია ან ათეისტური, პოლიტიკურად — ან დემოკრატიული ან დიქტატორული, სოციალ-ეკონომიურად — ან კერძო საკუთრებას აღიარებს ან [illegible] კლასობრივია ან უკლასო[illegible] ან მატერიალიზმის მიმდევარია ან იდეალიზმის... ერთი სიტყვით, ორ მოდელს უტრიალებს გარშემო და ხან ერთს ამჯობინებს და ხან — მეორეს. ამ ორი მოდელის ბრძოლამ ზღვა სისხლი დაღვარა, მაგრამ უმთავრეს ვერ მიაღწია: ადამიანი ვერ გაათავისუფლა ვერც ბორციელი და ვერც მშვინვიერი ტყვეობისაგან, ვერც ზნეობრივად გააუკეთესა იგი. ადამიანს ისევ აწამებს ნაირ-ნაირი სენი, ისევ ეშინია სიკვდილის, ისევ მორჩილებს ამორალიზმს — სძულს, ქურდობს, მრუშობს, ძარცვავს, მკლავს, ფლანგავს, ახალტურებს, მეკრთამეობს...

ადამიანური საქმიანობის ერთადერთი დარგი მწერლობაა, ხელოვნებაა, რომელიც ცდილობს კაცი, ცხოვრება, სამყარო წარმოიდგინოს, დახატოს ისე მრავალფეროვნად და მრავალმხრივად, როგორიც სინამდვილეშია.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწერლობა არ ცდება და ყოველთვის უტყუარად ასრულებს თავის მისიას. საამწუხაროდ, ხშირად ცდება, ბრმად ემორჩილება ამა თუ იმ დოქტრინას, ხდება ამა თუ იმ გაბატონებული მოძღვრების ნების ამსრულებელი. ამით იგი თავისთავსაც ღალატობს და ფუნქციას კარგავს. თუ მწერლობას სურს დამოუკიდებელი ფუნქცია შეინარჩუნოს, ყველა მოვლენას საერთადამიანური თვალსაზრისით უნდა შეხედოს.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი სიხარულიძე

მჭევრმეტყველი

შტრიხები გრიგოლ რობაქიძის კორტრეტისათვის

„მისი სიტყვა არ არის არც უაილდის ბრილიანტი, არც ფლობერის ფოლადი, არც ნიცშეს ქინქლილი: იგი გულნადებია, გულს მოწყვეტილი...“

გრ. რობაქიძე

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მორიგი — ნახევარსაუკუნოვანი პერიოდი წიწამურში დასრულდა.

პირველ ქართველ დემოკრატთა ანდერძის ერთგულმა თაობამ მყოობადის სამსხვერპლოს შესწირა საუკეთესო მამულიშვილი.

სოციალურ ჭარტეხილში ობლად შთენილი ქართველობა ერთბანს ილია ჭავჭავაძის მბცოვან თანამესაგრეთა ომახით ინარჩუნებდა სულის სიმტკიცეს და თან არჩილ ჯორჯაძის ნათელ მზერას ელაციცებოდა, მაგრამ ერის იმედი უღვთოდ ჩაიფერფლა.

მრავალჭირნახული ქვეყანა ბედს ვერ შეურიგდებოდა. ცხრაასიანი წლების ტრაგედიათა შემდეგ ეროვნული გონი დაძაბულად მუშაობდა.

სოციალური, მასთან, ეროვნული წინააღმდეგობებით, სისხლისმღვრელი კონფლიქტებით აღგზნებული იმპერია სათუო გზაჯვარედინზე იდგა.

დაფიქრება, საკუთარ თავსა თუ წარსულში ჩაღრმავება ესაჭიროებოდა ერს, ისევე როგორც, დინჯი, საზრიანი, გამამხნევებელი სიტყვა.

სიტყვაც საქმეა, თუ ხალხის გულს დაეუფლა.

ახალგაზრდა მოღვაწეთა მთელი პლეადა ხალხისაკენ დაიძრა, საზოგადოებრიობა მზადყოფნით შეეგება მამულიშვილურ მოძრაობას.

გზა ჭეშმარიტებისაკენ, სამწუხაროდ, ნარეკლიანი აღმოჩნდა. გარეგან წინააღმდეგობებს შინაგანიც მრავლად დაერთო.

შემთხვევით როდი იმოწმებდა გაზეთი „თემი“ (1918. 25. IV.) არჩილ ჯორჯაძის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ეროვნულ აღორძინებას „ეხლა, როგორც ძველ დროშიაც... დაქსაქსული ძალა ეღობება. ეს არის გარეშე პოლიტიკური ძალა და შინაურობაში აღზრდილი კოსმოპოლიტური მიმართულების „წიწილები“.

სტრატეგიული თუ ტაქტიკური ხასიათის უთანხმოებათა შედეგად ერი ფსევდოდემოკრატიზმის სენით დაავადდა. ურთიერთგაგებისაკენ მისწრაფების ნაცვლად ვიწრო-პარტიული, ჯგუფური სულისკვეთება აღორძინდა. ერის საუკეთესო ძალები გათიშული აღმოჩნდა.

ეროვნული კონსოლიდაციის ამოცანა წვრილმანი კინკლაობით ვერ გადაწყდებოდა. ქართველი ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილს ღრმად ჰქონდა შეგნებული ეს ჭეშმარიტება. ხალხი დაძაბულად აკვირდებოდა მის ყოველ ნაბიჯს, გაფაციცებით აუურადებდა მის ყოველ სიტყვას და საკუთარ გულისცემას უსადაგებდა.

იმდროინდელ ვითარებას მკაფიოდ წარმოგვიდგენს „აკაკის სიტყვა რუსეთელ მოსწავლე ახალგაზრდობისადმი“, რომელიც 1918 წლის 4 თებერვალს გამოქვეყნდა იმავე „თემში“.

„ჩვენ რომ გზა ავირჩიეთ და გამოვედით მეხამოცე წლებში... მაშინ წრე მეტად პატარა იყო და თანამგრძნობიც მცირე ჰყავდა, — უთქვამს პოეტს მოსკოვში გამართულ ნადიმზე, — დღეს თქვენ მათ ადგილზე ათასობით ითვლებით და თანამგრძნობელადაც თუ არ მთელი საქართველო, ნახევარზე მეტი გყავსთ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალწარბში შემოგყურებენ... გამრავლებას ყოველთვის მოთან ჰყვება გაყოფა... თუ რომ ჩვენ მეხამოცე წლებში ცოტა ვიყავით და ერთი გზით მივდიოდით, დღეს ეს აღარ მოხერხდება: ბევრი ხართ, უნდა გაიყოთ, სხვა და სხვა გზით წახვიდეთ... თუ თქვენ იმ სხვა და სხვა გზას ერთი და იგივე მასალა ექნება უკვდავების წყარო და იმ სვლა-მისწრაფებასაც სიმართლე და გულწრფელობა ედება სარჩულად, ყველა გზა კარგი იქნება და მიტომაც სხვა და სხვა გზით მიმავალნი ერთი მეორეს ხელს არ უნდა უშლიდენ და მტრულის თვალით არ უნდა უყურებდენ. პირიქით, ერთმანეთს ხელსაც უნდა უწყობდენ საჭიროებისა და გვარად".

XX საუკუნის ახალგაზრდა საზოგადო მოღვაწეთაგან იშვიათად რგებია ვინმეს იმდენი პატივი და ხაყოველთაო აღიარება, რამდენიც გრიგოლ რობაქიძეს. პ. ინგოროყვას თქმით, იგი „იავიდანვე მიღებულ იქნა საქართველოში როგორც მოაზროვნე, როგორც ესთეტი, როგორც ორატორი..." (რუბიკონი, 1923, 18, 11).

მწერლის შემოქმედებით მემკვიდრეობაზე რომ არაფერი ვთქვათ, დღესაც შეუნელებელი ინტერესით იკითხება მისი საგაზეთო თუ საეურნალო წერილები, ესეები, სტატიები. მაგრამ გადაჭარბებული არ იქნება იმის აღნიშვნაც, რომ საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღებით მაინც „ცნობილი ლექტორის", ფილოსოფიურად განსწავლული მჭევრმეტყველის „ხახელგანთქმული ლექციები" სარგებლობდა.

„საქართველოში გერმანიიდან ჩამოვიდა ცნობილი ლექტორი, — იგონებდა შ. ნუცუბიძე, — როგორც ის აცხადებდა პირველსავე ხალექციო აფიშაში, გრიგოლ კავკასიელი (გრ. რობაქიძის ფსევდონიმია — გ. ს.), იტალიური კაზმულობის გვარით...

მისი ლექციების ირგვლივ დიდი ამბები დატრიალდა. ლექციებს ესწრებოდნენ ბრწყინვალე ნოდების ნარმომადგენლები, მუშები, მოწინავე ინტელიგენცია" (ქ. ნუცუბიძე. შალვა ნუცუბიძე, გვ. 17-18).

გრ. რობაქიძის საჯარო გამოსვლების ნარმატებას უთუოდ ისიც განაპირობებდა, რომ ორატორი არ იფარგლებოდა ხალიტერატურო პრობლემატიკით (მოთა რუსთაველი ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, უ. შეკსპირი, ო. უაილდი...), იგი ფილოსოფიური თვალსაზრისით განიხილავდა სინამდვილის მხატვრული ასახვის, სიყვარულის, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების საკითხებს. ამას მოწმობს გრ. რობაქიძის ლექციები: „ხელოვნება და სინამდვილე", „მარქსიზმი და პიროვნება", „ახალი მიმართულება რუსეთის აზრსა და სიტყვაში", „სქესი და სიყვარული", „ფრიდრიხ ნიცშე"...

1911 წელს აკაკი წერეთელი აღტაცებით აუწყებდა გაზეთ „თემის" მკითხველებს:

„ამ დღეებში გ. რობაქიძემ „საკარო ნაკითხა ლექცია ფრიდრიხ ნიცშეზე. ფილოსოფიურ ნაკითხ შესახებ, მეც დავესწარ და ამისრულდა წადილი, ვნახე ის ჩემის თვალით, რაც მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მენატრებოდა: „ქართველი ინტელიგენტი, თავისთავად მოაზრე და არა „საუცხოო გრამაფონი"!!! ცხადად იხედებოდა, რომ ყოველი მისი სიტყვა, მისივე საკუთარი იყო, გრძნობა-გონებაში ქართულად გამობრძმედული. ლექტორმა იჩინა თავი ჩემს თვალში, როგორც პირველმა მერცხალმა, გაზაფხულის მახარობელმა. ახლა კი ვხედავ, რომ ქართველ ინტელიგენციას უდგება, ხანგრძლივ ზამთრის შემდეგ გაზაფხული. და მეც, მეშვიდე ცამდე აფრენილი, ვამბობ სიხარულით: კურთხეულ იყოს მომავალი!"

მსმენელს უმალ იპყრობდა, თითქოს აჯადოებდა გრ. რობაქიძის უზადო ქართული, ფართო ერუდიცია, თბრობის შეუვალი, უკომპრომისო კილო, ლექციის წარმართვის უჩვეულო მანერა, შიგადაშიგ „მხატვრული გადმოცემით" გაჯერებული. ორატორი მკაცრად ილაშქრებდა ეროვნულ ცხოვრებაში განკერძოებულობის, სექტანტობის, დოგმატურობის წინააღმდეგ. მას მტკიცედ სწამდა, რომ ერის მომავალი უნდა განაგონ „სხვაგვარი მოდგმის ადამიანებმა, რომელთაც არ მოუწამლავთ სული სიძულვილისა და უპატივცემლობის პარტიული დოგმით ყოველივესადმი, რაც არ არის ნაკარნახევი მათი სექტანტური პროგრამით..." ერის მერმისი უნდა აშენონ დამოუკიდებელმა, თავისუფალმა, შემოქმედებითმა, „დადებითი იდეალების ადამიანებმა" და არა მედროვეებმა, პოლიტიკურმა ავანტურისტებმა, ათასი ჯურის ნაძირალებმა, „ვინც ოდნავადაც არ უწევს ანგარიშს ეროვნული ორგანიზმის მგრძნობიარე, ფაქიზ ნერვულ სისტემას, მის იდუმალ დიად ფიქრებსა და გრძნობებს..." (ზაკავკაზიე. 1909, 7, 111).

დღეს — მეოცე საუკუნის მიწურულს უთუოდ აქტუალურად ეღერს ახსნლეულის გარიჟრაჟზე გამოთქმული გრ. რობაქიძის ეს მოსაზრება.

1905-1907 წლების რევოლუციის შემდგომ პერიოდში საჯარო გამოსვლების ორგანიზება არაერთ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. ხელისუფლება აქტიურად ერეოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პოლიცია და ცენზურა ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდნენ ლექციათა ქართულ ენაზე წარმართვას. 1908 წელს ეურნალი „მნათობი" (№ 2 გვ. 6) იუწყებოდა, რომ გრ. რობაქიძისათვის აუკრძალავთ ქართულად გამოსვლა აკაკი წერეთლის პოეზიის შესახებ. ეს ხავსებით მოსალოდნელი იყო. ამით მნიშვნელოვნად იოლდებოდა ლექციების ცენზურა. ხელისუფლების უარყოფითი, ასიმილატორული დამოკიდებულება ქართული ენისადმი მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნიდა ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალიტერატურო ენის განვითარების გზაზე. „ტუზემნის" სტატუსი დიდად აფერხებდა ენის ნაირსახეობათა (ყოფითი, ოფიციალური, სამეცნიერო...) ჩამოყალიბებასაც. ხაქმეს ართულებდა მოძალებული ბარბარიზმი, რომელიც ადგილობრივი პრესის საშუალებით აღწევდა ხალხური მეტყველებისა თუ სალიტერატურო ენის წიაღში. მწვავედ იდგა არა მარტო პროფესიული ტერმინოლოგიის (სტილის ლექსიკის), არამედ — რაც განსაკუთრებით ხავალალოა — სინტაქსის პრობლემებიც.

ეს ხაკითხი დღეხაც უაღრესად აქტუალურია. ქართული ენის განვითარების ხახელმწიფო პროგრამისა და შესაბამისი დადგენილების მიღება, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს პრობლემის გადაწყვეტას.

ნათლისღებით მხოლოდ იწყება გაქრისტიანება.

აუცილებელი ხდება ხათანადო ატმოსფეროს შექმნაც: ეროვნული თავისთავადობის შეგნება — გააზრება, უწინარესად, თვით ქართველთა მიერ.

სიტყვათა გარკვეული მარაგის ფლობა საკმაო როდია ეთნოგენური ანარატის ახამოქმედებლად — ქართულად ლაპარაკისა და აზროვნებისათვის, თუ მეტყველება უცხოურ ყაიდაზე, არაქართული სინტაქსური კონსტრუქციებითაა გამართული. მეტიც, ეს დიდ ხიფათს უქმნის ენას: ეროვნულ ხამოსელგადაცმული ლინგვოდიერსანტი კარგს არაფერს უქადის სალიტერატურო ქართულს. ამ ვითარებაში ქართული ენის სწავლება ისევე (თუ მეტად არა) აუცილებელი ჩანს ქართველთათვის, როგორც არაქართული მოსახლეობისათვის. სამწუხაროა, რომ დღესდღეობით ეს მარტივი ჭეშმარიტება სრულებით უგულებელყოფილია.

განა დამშვიდების უფლებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ ქართველთა ერთი ნაწილი ტრადიციულ ხაღვთო სჯულს დაუბრუნდა. ხამოცდაათწლიანმა ბრძოლამ ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ კანონზომიერი შედეგი გამოიღო: „ნაშობი დედითა და მამითა ქრისტიანეთაჲ" გახაქრისტიანებელია.

ამ და მსგავსი ხასიათის სხვა მოვლენათა მიზეზები, შესაძლოა, უფრო ღრმადაც ძევს — იქნებ იმავე ცხრაასიან წლებში. ყოველ შემთხვევაში, ქართული ენის დღევანდელი სატკივარი ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ეპოქაში იჩენდა თავს. ხაქმე იქამდეც მიდიოდა, რომ ზოგიერთი ინფორმატორი ხათუოდ ხდიდა ქართული ენის შესაძლებლობებს (ზაკავკაზიე. 1908. 28. X.).

„გადაგვარების გზაზე დამდგარ ინტელიგენციას ვერ წარმოედგინა, თუ ქართულ ენაზე შესაძლებელი იქნებოდა ლექციების კითხვა. — წერდა დავით კლდიაშვილი, — ხაჯაროდ ქართულ ენაზე ლაპარაკს ათასში ერთი თუ გაბედავდა. მრავალი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქართულ ენაზე ხამეცნიერო შრომის დაწერა, ლექციების გადაცემა და სიტყვის წარმოთქმაც შეუძლებელიაო" (დ. კლდიაშვილი. ჩემი ცხოვრების გზაზე. გვ. 212).

მსგავსი „არგუმენტების" მოშველიება გარობაქიძის ლექციათა სირთულის ახახსნელად უვიცობის, ან იქნებ, ცუდად შენიღბული უზნეობის შედეგი იყო; შესაძლოა, ერთიცა და მეორეც. საფიქრებელია, სწორედ ამ საფუძველზე მიმდინარეობდა ე. წ. „გაორებული ცნობიერების" ჩამოყალიბება, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნიდა ეროვნული აღორძინების გზაზე. ძნელია სხვა ახსნა მოეძებნოს „ზაკავკაზიეს" ანონიმი კორესპონდენტის ხეფსისს, მით უფრო, რომ იგი ხავსებით მკაფიოდ მიუთითებს: ლექციაში წამოჭრილი ხაკითხები (და არა ენა) უცხო იყო ინტელიგენციის დიდი ნაწილისათვის, რომელსაც თვითონვე უწოდებს „ცუდად განსწავლულს, ხაძაგლად აღზრდილსა და... სხვისი ჭკუით მცხოვრებს". ამ მოსაზრებას თითქოს მხარს უჭერს „ბატუმსკიე ნოვოსტიც" (1909. 4. IV). გაზეთი ცდილობს, გაამხნევოს ახალგაზრდა ავტორი და იმედოვნებს, რომ „მას არ შეეშინდება ჩვენი საზოგადოების ინერტულობისა და გაბედული ნაბიჯით ივლის ჩვენი ახალი ცხოვრების ეკლიანი გზით".

გრ. რობაქიძის ლექცია თავისუფალია „მიტინგური ზედაპირულობისაგან", დასძენს „ზაკავკაზიე" (1909. 28. X.), სწორედ ამის გამოა იგი გაუგებარი მათთვის, „ვინც უკვე გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი ჩვენს წარსულთან, ჩვენს საუკუნოვან კულტურასთან..."

ეთნიკურ ფესვებს მოწყვეტილ კოსმოპოლიტს, რა თქმა უნდა, არ ძალუძს მშობელი ხალხის ტკივილთა გაზიარება, მისი გულისხმის აღქმა. მეტიც, იგი ყოველმხრივ უშლის ხელს ეროვნული აღორძინების ობიექტურ პროცესს. „მსოფლიო მოქალაქე" ივიწყებს საკუთარ ეროვნებას, მშობლიურ ენას. ცნობილია კოსმოპოლიტის კიდევ უფრო ამაზრზენი, ყოვლად უზნეო ნაირსახეობა, როცა მანქურტის ეროვნება და მშობლიური ენა არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ იგი ღამურობის მოსურნე თაგუნასავით უნიათო როდია, რომელსაც აღარც ყოფილი და არც შეძენილი თვისტომი ცნობს. მანქურტი ძლევამოსილია. მისი სარბიელი სიხხლით არის მორწყული. ისტორია, საზოგადოდ, და მეოცე საუკუნის ტრაგიკული დასაწყისი, კერძოდ, ამ შავბნელი აჩრდილის ბებიაქალი და მწუხარე მოწმეა.

მეორე მხრივ, სწორედ ცხრაასიანი წლები იყო მშობელი სიტყვისა და აზრის მანამდე არნახული თავისუფლებისა, რომელიც — უთუო შეზღუდულობის მიუხედავად — ჩვენს დროშიც კი, ასწლეულის დამლევს მიუწვდომელ მაგალითად რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბოლოს, ამავე — XX საუკუნის დასაწყისში დასრულდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მორიგი ეტაპი და ხანმოკლე — გარდამავალი მონაკვეთის შემდეგ — საფუძველი ჩაეყარა კიდევ უფრო ხანგრძლივ პერიოდს.

„წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი!...“ — რის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო ამ სტრიქონების ავტორის მოწამებრივი აღსასრული ორმოცდაათიანი წლების დამლევს, ე. წ. „დათბობის პერიოდში“? რა იყო ეს — ისტორიული პროცესის მიუდგომელი ანალიზი თუ გენიალური წინასწარხედვა? საფიქრებელია, ერთიცა და მეორეც.

იქნებ ისტორია მართლაც მეორდება?

სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის სიძნელეთა მიუხედავად, საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველო აღმავლობის გზაზე იდგა. და თუმცა თავსმოხვეული ხელისუფლება, ისევე როგორც, მისგან მომდინარე ოფიციოზის მისწრაფება ერის სასიცოცხლო ძალთა დასაწევრებისაკენ მკვეთრად უპირისპირდებოდა ხალხის სულისკვეთებას, ქართველი საზოგადოებრიობა მაინც ახერხებდა წინააღმდეგობათა დაძლევას.

ქართული კულტურის საკვანძო პრობლემებისადმი მიძღვნილ რუსულენოვან ლექციას, ჩვეულებრივ, მისი დედანი მოსდევდა.

ჟურნალი „მწყემსი“ (1908, № 10, გვ. 11), მაგალითად, აუწყებდა მკითხველს, რომ ლექციას „სკესისა და ხიუვარულის პრობლემაზე“, რომელიც „აუარებელმა საზოგადოებამ უურადღებით მოისმინა... გ. რობაქიძე ქართულადაც წაიკითხავს“. ამავე ტენდენციის მოწმობაა „ხალხო გაზეთის“ (1918, 25, 1?.) ინფორმაციაც „ს. კაკაბაძის რეფერატზე“, საიდანაც ირკვევა, რომ „ს. კაკაბაძემ ქართულად გაიმეორა თავისი მოხსენება შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და „ვეფხის ტყაოსნის“ დაწერის დროის შესახებ, რომელიც ამას წინად... წაიკითხა რუსულად“. საგულისხმოა, რომ მოხსენების შემდეგ გამართულ კამათს (მონაწილეობდნენ: იუსტ. აბულაძე, ს. გორგაძე, დ. კარიბაშვილი, მ. ჯანაშვილი) ხელმძღვანელობდა გრ. რობაქიძე.

ამგვარი კომპრომისი იმხანად გარდუვალი ჩანდა.

ნუთუ „ზოგი ჭირი მარგებელია?!...“ ნაძალადევი ბილინგვიზმი (თუ ტრილინგვიზმი) ერთგვარ სარბიელს უქმნიდა ეროვნულ კულტურას იმპერიის არაქართულ მოსახლეობაში. ქართული სულიერი ტრადიციის პროპაგანდა, გრ. რობაქიძის დახვეწილი გერმანულის მეოხებით, შორს სცილდებოდა რუსეთის ფარგლებსაც.

„მობრძანდით, ისმინეთ და ისწავლეთ, — მოუწოდებდა პრესა (ბატუმსკიე ნოვოსტი, 1909, 4, IV.) გრ. რობაქიძის თაყვანისმცემლებს, — რათა მართებულად შეფასოთ ერიც და ყოველი საკუთარი ნაბიჯი“.

სალექციო დარბაზებში ხალხის [illegible] ერევა არ იყო. გრ. რობაქიძე გამუდმებით [illegible] ზედიზედ კითხულობდა ლექციებს თბილისში, ქუთაისში თუ გორში, ბათუმსა და ფოთში, კავკავში, პეტერბურგში თუ მოსკოვში, ბერლინში, ასევე ბრუნდებოდა თბილისში და ყველგან აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელი.

გრ. რობაქიძის ერთ-ერთ საჯარო გამოსვლას აკ. წერეთლის პოეზიის შესახებ გაზეთი „ზაკავკაზი“ (1909, 5, III.) „სახელგანთქმულ ლექციას“ უწოდებდა. სწორედ აკ. წერეთლის შემოქმედების ფილოსოფიური ინტერპრეტაციით მიანიჭა „ჭეშმარიტად დიდი ტკბობა“ ბათუმელ მსმენელს „ნიჭიერმა ახალგაზრდა ლექტორმა“ 1909 წლის აპრილში. საკითხის ნათელსაყოფად გრ. რობაქიძეს მიუმართავს მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილ წარმომადგენელთა („გენიოსი-პოეტების“) შემოქმედებისათვის (ბატუმსკიე ნოვოსტი, 1909, 4, IV.).

სამწერლო მოვლენათა კვლევის შედარებითი მეთოდი იმხანად ნაცად იარაღად ითვლებოდა. მეცნიერული ძიების რომელიმე სხვა ხერხის გამოყენება ლექტორს უთუოდ დააშორებდა მიზანს. ინდოევროპული ენათმეცნიერების სამშობლოდან ახლახანს დაბრუნებული, — იგი, ბუნებრივია, სწორედ აღნიშნულ მეთოდს აძლევდა უპირატესობას; თითქმის ისევე, როგორც დორპატის უნივერსიტეტის კურსგავლილი ვ. კოტეტიშვილი, რომელიც შედარებას ისტორიული ექსკურსებით აჯერებდა. ეს იქნებ უბრალო დამთხვევა არც იყოს, დორპატის უნივერსიტეტში ერთხანს გრ. რობაქიძესაც უსწავლია და საფიქრებელია, მასზეც მოახდენდა გავლენას იქაური სამეცნიერო სულისკვეთება.

დორპატის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში მომხდარმა ტრაგიკულმა შემთხვევამ გრ. რობაქიძე კიდევ ერთხელ დაუკავშირა ბალტიისპირეთის ამ საუნივერსიტეტო ქალაქს.

1918 წლის 4 თებერვალს „თემში“ გამოქვეყნდა „დორპატის სტუდენტთა სათვისტომოს წერილი რედაქციის მიმართ“, როგორც კორესპონდენციიდან ირკვევა, იდუმალებით მოცულ ვითარებაში თავი მოუკლავს სტუდენტ დ. ეღენტს. დორპატელი ქართველობა მოითხოვს, შეიქმნას საგამოძიებო-სასამართლო კომისია და მედიატორებად ასახელებს გრ. რობაქიძესა და შ. მესხიშვილს. „ვინცობაა ბ. შ. მესხიშვილი არ დათანხმდა, — ნათქვამია წერილში, — კომისიას აქვს უფლება სხვა პირი აირჩიოს მედიატორეთ“.

სათანადო მასალების უკონლობის გამო, ჯერჯერობით შეუძლებელია თქმა იმისა, თუ როგორ წარიმართა საქმის გამოძიება, ეს კია: დორპატელ სტუდენტებს, ჩანს, პირდაპირი მოლაპარაკება ჰქონდათ გრ. რობაქიძესთან (შ. მესხიშვილისაგან განსხვავებით) და მისგან შუამავლობაზე თანხმობაც მიუღიათ...

ლექციამ აკ. წერეთლის შესახებ დიდი წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატებით ჩაიარა: „ბატუმსკიე ნოვოსტის“ ცნობით (1909. 4. IV), „ლექტორმა მშვენივრად გამომსახველი — მოხდენილი და პოპულარული ენით“ წარმართა საუბარი. საჯარო გამოსვლის მიწურულს, დასძენს გაზეთი, პოეტი მსმენელს წარმოუდგა „რაღაცნაირ დიად პოეტ-გენიოსად“, ვისი შემოქმედებაც „თვით ბუნებაა თავისი დიადი საიდუმლოებით. იგი წამებული ხალხის ისტორიაა“.

1909 წლის მაისში აკ. წერეთელი ფოთს ეწვია. იქაური საზოგადოება დიდი ზარზეიმით მიეგება მბცოვან პოეტს: ხელში აყვანილი ჩამოუბრძანებიათ მატარებლიდან და საგანგებო ეკიპაჟში ჩაუსვამთ. კათედრალურ ტაძართან სტუმარს სასულიერო პირთა სახელით მიესალმა დეკანოზი არ. თოხაძე. აქედან პროცესია ქალაქის ცენტრისაკენ გაემართა, სადაც აკ. წერეთელმა მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვით მიმართა საზოგადოებას და მადლობა მოახსენა გულთბილი მიღებისათვის („ზაკავკაზიე. 1909. 5. V.).

აკ. წერეთლის სტუმრობას ფოთში გრ. რობაქიძის ლექციები მოჰყვა 13 და 16 მაისს. ამ საჯარო გამოსვლებს („აკაკი წერეთლის პოეზიის ფილოსოფია“, „ვაჟა-ფშაველა და ქართული კულტურა“) წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრე საზოგადოებაზე. ეგ არის, გრ. რობაქიძის მეტყველების „წმინდა ფილოსოფიური კონსტრუქცია“, როგორც ირკვევა, მნიშვნელოვან სიძნელეს უქმნიდა „პროვინციულ აუდიტორიას“. „ბატუმსკიე ნოვოსტის“ (1909. 22. V.) ანონიმი კორესპონდენტი — იუჟანინი მართებულად შენიშნავდა, რომ ლექტორს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა მსმენელთა შესაძლებლობანი, რათა მეტი სარგებლობა მოეტანა საზოგადოებისათვის.

ანონიმს მიკერძოებას ვერავინ დასწამებს. იგი აღფრთოვანებულია ახალგაზრდა მჭევრმეტყველის მაღალი ხელოვნებით. თუმცა ძნელი გასაზიარებელია მისეული დისპოზიცია: „ლექტორის ენა ლიტერატურულია და არა ხალხური“, ანონიმს, საფიქრებელია, თავისებური შეხედულება ჰქონდა ტერმინ „ხალხურისა“ თუ „ხალხური ენის“ შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ დაუშვებდა „ხალხურისა“ და „ლიტერატურულის“ დაპირისპირებას, თუნდაც იმიტომ, რომ ხალხურობა სალიტერატურო ენისადმი წაყენებული უპირველესი მოთხოვნაა. უამისოდ იგი ჰკარგავს თავის განუმეორებელ ხიბლსა და ძირითად სოციალურ ფუნქციას.

კრიტიკული პათოსი კორესპონდენტს ხელს არ უშლის, თავისი აღტაცება გამოხატოს გრ. რობაქიძის ორატორული ხელოვნების გამო. „მისი ლექციის ფორმა წმინდა პოეტურია, — წერს იუჟანინი, — ალაგ-ალაგ იგი ისეა შემკული მბატკვრული ხატეებით, რომ ექსტაზში მოჰყავს მსმენელი.. გრ. რობაქიძე ძლიერია, როცა ავლებს პარალელებს, როცა მბატკვრულად „ეჭრობს ხმამაღლა“. მისი ჩინებული მეტყველება რაღაც იდუმალებრივ დამატკბობელით ავსებენ სულს; იგი ფლობს მჭევრმეტყველების მუსიკის თითქოსდა მიუწვდომელ იდუმალებას. მისი არ გესმის, მაგრამ უსმენ, უსმენ და ტკბები მისით, მისი პოეტური მეტყველებით“ (ბატუმსკიე ნოვოსტი. 1909. 22. V.).

1915 წლის 8 მარტს ტფილისის სახაზინო თეატრში გაიმართა „აკაკის დილა“ პოეტის ხსოვნის აღსანიშნავად. მასში მონაწილეობა მიუღიათ — ვაჟა-ფშაველას, ზ. ფალიაშვილს, ნ. ლომოურს, ალ. აბაშელს, კ. აბაშიძეს, კ. ჩხეიძეს, ივ. გომართელს, ი. მაჭავარიანს, ი. კარგარეთელს და სხ. საგულისხმოა, რომ „დილაზე“ დასკვნითი სიტყვა გრ. რობაქიძეს წარმოუთქვამს (ხახალხო ფურცელი. 1915. 7. III.). გამოჩენილ ბაზოგადო მოღვაწესა და პუბლიცისტს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდა აკ. წერეთლის პოეტური მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში.

„აკაკის დილაზე“ წარმოთქმული გრ. რობაქიძის სიტყვა სრულად გამოქვეყნდა „ხახალხო ფურცელში“ 1915 წლის 11 მარტს.

ცხოველ ინტერესს იწვევდა გრ. რობაქიძის დამოკიდებულება მეორე შესანიშნავი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას მიმართაც. 1909 წლის 5 მარტს „ზაკავკაზიეში“ გამოქვეყნდა ანონსი „გ. ტ. რობაქიძის ლექციისათვის“.

„ლექტორი გვპირდება ბრწყინვალე მხატვრულ პარალელებს. — იუწყებოდა გაზეთი, — როგორც მისტიკური სიმბოლისტი, ვაჟა-ფშაველა შეპირისპირებულ იქნება კნუტ ჰამსუნთან, როგორც სიმბოლისტი — ოსკარ უაილდთან, როგორც ხახალხო პოეტი — აკაკი წერეთელთან. და თანაც ისე, რომ მოხაზული იქნება მისი პანთეიზმის, სიმბოლიზმისა და ხალხური მოტივის თავისებურებანი“. ლექციის მეორე ნაწილი, როგორც ირკვევა, მთლიანად მიეძღვნა „გველისმჭამელის“ ფილოსოფიურ ანალიზს. მსოფლიო ლიტერატურის შედევრებთან პოემის მიმართების საკითხს. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჯარო გამოსვლა წარიმართებოდა ქართულ ენაზე, რომელსაც „ეგზომ მბატკვრულ-სტილურად ფლობს ლექტორი“.

უურადღებას იქცევს „ზაკავკაზიეს“ (1909. 7. III.) გამოხმაურებაც გრ. რობაქიძის ამ ლექციის გამო. პუბლიკაციას ხელს ანონიმი — ამბისელი აწერს. საკუთრივ ლექციის შინაარსობლივ მხარეს ინფორმაციაში მომცრო ადგილი ეთმობა. შთაგონებულმა ლექტორმა, ამბისელის თქმით, „მთელი სიმაღლით წარმოაჩინა... ვაჟა-ფშაველას ხოცარი ხახე — ქართული მთების ამ ძვირფასი შვილისა, რომელიც ფაქიზი... ძაფებით არის დაკავშირებული ჩვენს ეროვნულ სულთან“. ამბისელი ეპითეტებს არ იშურებს, რათა ნათელი წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრ. რობაქიძის ორატორულ ხელოვნებაზე.

„...რამდენი მოხდენილი შედარება, მაღალი, ღრმა აზრი და რაოდენ მდიდარი, წარმტაცი ენა გადმოშალა მსმენელთა წინაშე ჩვენმა ლექტორმა! — წერს აღფრთოვანებული კორესპონდენტი, — და ხალხი, რომელმაც პირველად შეავსო, ვგონებ, ახალი ქართული თეატრის შენობა, აღტაცებული უყრავდა ტაშს თავის კერპს, ვინც ახალი შუქი, სხვა სული შთაბერა ლექციის კითხვას, რომელიც მეტისმეტად შაბლონური გახდა უკანასკნელ ხანს. და ტაშს უკრავდა იგი დამსაბურებულად... მან ხომ მართლაც მიანიჭა მსმენელს არაერთი ბედნიერი და ძვირფასი წუთი, რითაც ეგზომ ღარიბია ჩვენი თალხი და მჭრეალი ცხოვრება!...“

იმავე წლის ღირსსახსოვარ მაისში, როგორც უკვე ითქვა, გრ. რობაქიძემ წაიკითხა კიდევ ერთი ლექცია ვაჟა-ფშაველას პოეზიის შესახებ. „ბატუმსკიე ნოვოსტის“ (22. V.) კორესპონდენტი იუჟანინი მაღალ შეფასებას აძლევდა გრ. რობაქიძის მახვილგონივრულ წიაღსვლებს, თუმცა ზოგიერთ საკითხში არ ეთანხმებოდა მას. იგი, მაგალითად, არ იზიარებდა ლექტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ შინაარსობლივი ღირსებებით „გველისმჭამელი“ აღემატება „ფაუსტსა“ და „ვეფხისტყაოსანს“, „ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ, — განაგრძობდა იუჟანინი, — როცა გვეუბნებიან: ვაჟა-ფშაველა რომ ყოფილიყო ისეთივე ძლიერი მხატვარი, როგორიც გოეთეა, რომ შესძლებოდა მას საკუთარი პოემის უკეთეს ფორმაში აღკაზმვა, იგი გადაამეტებდა მსოფლიოს ნებისმიერ ქმნილებას, და თუკი მას დღეს არ აქვს ასეთი სახელი, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გარეგნული ფორმა სუსტია“.

იუჟანინის თვალსაზრისი ოდენ სუბიექტური ხასიათის მომენტებით არ უნდა ყოფილიყო განპირობებული. თეზისი, რომლის წინააღმდეგაც იგი ილაშქრებდა, უთუოდ მოკლებულია დამაჯერებლობას. იგი არაფერს — ან თითქმის არაფერს ამტკიცებს, გარდა იმისა, რომ ხალხური ლეგენდის ლიტერატურული დამუშავება სხვადასხვა ეპოქაში ნაირნაირად არის შესაძლებელი არა მარტო „უკეთ“ ან „უარესად“, არამედ მისი სიღრმისეული შრეების აქტიური გარდაქმნის მიზნითაც. საამისო მაგალითებს უხვად იძლევა ფოლკლორიზმის მთელი ისტორია — ბიბლიის შემდგომი თუ მანამდელი. მაგრამ ეს ხომ ცნობილი ამბავია?!

ნუთუ ცდება „გველის პერანგისა“ და „ლამარას“ ავტორი — თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოაზროვნე, ზომიერება ღალატობს და ეროვნული გამორჩეულობის გრძნობა გონებას უბინდავს?

სიყვარულში ზომიერება მკრეხელობაა.

მამულიშვილის გულში ჩარჩული ანგარიშიანობა ვერ დაიბუდებს.

ქადაგად დაცემული შემოქმედი [illegible] ბვით ცდილობს აამაღლოს ერ[illegible] ეი თანამემამულეთა შეგნებაში. გრ. რობაქიძის მთელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მისი ლიტერატურული საქმიანობა ამ იდეალისადმი ერთგულების თვალსაჩინო ნიმუშია. ერთი მრავლისმეტყველი ფაქტი: 1910 წელს ამხანაგობა „სოროპანმა“ ცალკე წიგნად გამოსცა ვაჟა-ფშაველას თხზულებანი. ამ საქმეში, როგორც ირკვევა, მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია გრ. რობაქიძეს. „რომელმაც ჩაიფიქრა წაეკითხა ლექციები პოეტის შემოქმედების შესახებ“ („ზაკავკაზიე, 1910. 18. IV.).

მწერალს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა ვაჟა-ფშაველას პიროვნებისა და მისი შემოქმედების უსაზღვრო თაყვანისცემა. რევოლუციამდელ ეპოქაში კი იგი კიდევ ერთხელ მონაწილეობდა პოეტისადმი მიძღვნილ ხახალხო ღონისძიებაში. 1915 წლის 23 მაისს ტფილისის სახაზინო თეატრში „ვაჟა-ფშაველას პატივსაცემლად გაძართულ საღამოზე“ ხალხს ბილეთები დაუტაცია. გულდაწყვეტილნიც მრავლად გაბრუნებულან უკან. „სახალხო ფურცელის“ ცნობით (26. V.), „საღამო სამი განყოფილებისაგან შედგებოდა, მაგრამ პირველი განყოფილება — სიტყვა რობაქიძისა — ნამდვილი გვირგვინი იყო საღამოსი“. საათიანი გამოსვლა, დასძენდა გაზეთი, „თავიდან ბოლომდე მეტად ხასიამოვნო მოსახმენი იყო, რადგან იგი იყო მეტად ლამაზი გარეგანის ფორმით და მდიდარის შინაარსით“.

გრ. რობაქიძის პუბლიცისტიკაში იქნებ სრულად არც იყოს გამოვლენილი მისი დამოკიდებულება ნ. ბარათაშვილის შემოქმედებისადმი. ამ ვარაუდს, სამწუხაროდ, რეალური საფუძველი არ გააჩნია. მეტად ფრაგმენტული და ზოგადი ხასიათისაა გრ. რობაქიძის ლექციათა მასალები. თითო-ოროლა პუბლიკაცია მოიპოვება საკითხის თაობაზე „ზაკავკაზიესა“ და „ახალხო გაზეთში“, ინფორმაციათა დასაწყისიდანვე იცნობა გრ. რობაქიძე — უბადლო მჭევრმეტყველი: „იგი ჩვენთან საუბრობდა მისთვის ჩვეული აღტყინებით, ნათელი და მხატვრული ფერებით სახავდა გარდაცვლილი ბარათაშვილის — XIX ასწლეულის პირველი ნახევრის საქართველოს დიდი მწერლის პიროვნებას... მისი მეტყველება, ჩვეულებისამებრ, მოხდენილი და მძლავრი იყო. იგი ეხეთქებოდა ნერვებს და თითქოს ძალუძდა გაეღვიძებინა ჩვენი მთვლემარე საზოგადოება...“ („ზაკავკაზიე. 1909. 28. X.).

„სახალხო გაზეთის“ (1912. 7. VIII.) განცხადებიდან ჩანს, რომ გრ. რობაქიძე 1910-იან წლებშიც განაგრძობდა ლექციების კითხვას „ნიკოლოზ ბარათაშვილის სულისკვეთების“ შესახებ. 1912 წლის 7 აგვისტოს ბორჯომში გაიმართა საქველმოქმედო „საღამო-მეჯლისი“ პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სახარგებ-

ლოდ. ხალამში გრ. რობაქიძესთან ერთად მონაწილეობა მიუღიათ ი. გრიშაშვილს, ალ. აბაშელსა და ქართული დრამატული დასის მსახიობებს ა. შოთაძესა და ი. ზარდალიშვილს. ღონისძიების ორგანიზატორები „მეჯლისების" გამართვას ვარაუდობდნენ აგრეთვე ნაღვერში, ახალციხეში, აბასთუმანსა და ბაკურიანში. ამ ციკლს უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის შემდგომი პოპულარიზაციისათვის.

საჯარო გამოსვლებს გრ. რობაქიძე მხოლოდ სალიტერატურო მიზნებს როდი უსახავდა. აშკარა იყო მათი ეროვნულ-საგანმანათლებლო, იქნებ პოლიტიკური სულისკვეთებაც. რეალურ ცხოვრებისეულ პროცესებს მოწყვეტილი საქმიანობა გრ. რობაქიძისათვის უცხო იყო. მისი ხაზგადაღებიანი მოღვაწეობის ხასიათი თანდათან მკაფიოვდებოდა ერთი საგაზეთო წერილიდან მეორეში, ლექციიდან — ლექციაში...

1911 წლის სექტემბერში გრ. რობაქიძე ისევ ეწვია ქალაქ ფოთს. მისი ლექციის თემატიკა ამჯერადაც უაღრესად აქტუალური ჩანდა. გამოსვლა ორი ნაწილისაგან შედგებოდა. I. ზეინაბი და II. შოთა რუსთაველი. უკეთ — სიყვარულის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში".

ერთი ხალამო, რა თქმა უნდა, არ იკმარებდა „ქალაქისა" და „ვეფხისტყაოსნის" თუნდაც ზერელე განხილვისათვის. ჩანს, ამიტომ მიმართა ლექტორმა ე. წ. „მხატვრულ" გადმოცემას. თუმცა, როგორც „სახალხო გაზეთი" (1911. 18. IX) იუწყებოდა, ლექციის დასკვნითი ნაწილი მაინც უკეთესის სურვილს ბადებდა.

ინტერესი სუმბათაშვილის პიესისადმი ქართველ საზოგადოებრიობას არასოდეს განელებია. „ქალაქი არ არის უბრალო გასართობი!... — მოაგონებდა ა. წერეთელი „რუსეთელ მოსწავლე ახალგაზრდობას", — ის არის წინასწარმეტყველება და პროგრამა ჩვენი მომავალი ცხოვრებისა... პირია იმ ანდაზისა, რომელიც წინაპრებმა გადმოგვცეს: „ბერხი სჯობია ღონესო, თუ კაცი მოიგონებსო!" ზეინაბმა შესწირა ქმარი, შვილი, დროებითად ქვეყანა, და ყოველივე ის, რაც კი მისს წმინდა-წმინდათას შეადგენდა. მხოლოდ იმ განზრახვით, რომ თვისი წამებული ერი, გამოხსნილი და თავისუფალი ენახა და კიდეც მოესწრო ამ მისწრაფებას... დღევანდელ მოღვაწეებსაც მოკმედების დროს ეს ზეინაბი უნდა ჰქონდესთ გათვალისწინებული..." — დასძენდა პოეტი.

ამ სულისკვეთებით იყო განმსჭვალული გრ. რობაქიძის საჯარო გამოსვლაც, რომელიც წინ უსწრებდა ა. წერეთლის გაბმაურებულ სიტყვას.

„...ლექციის შინაარსი თითქმის იგივე იყო, — წერდა „სახალხო გაზეთი", — მცირეოდენი ცვლილებით, რაც გრ. რობაქიძემ წარმოსთქვა ზეინაბის დაცვის დროს ტფილისში..."

თავად გრ. რობაქიძე ასე იგონებდა „ზეინაბის გასამართლების სხდომას: „თბილისი. ბაფუნული მიწურული. ხალამო. ქართული თეატრის დარბაზი. ზეინაბს ასამართლებენ. ბრალმდებელნი: იოსებ მაჭავარიანი და ვახტანგ ღამბაშიძე. დამცველნი: „იგი" (კიტა აბაშიძე — გ. ს.) და მე. შადროვანებს ქართული მჭევრმეტყველება. ბოლო „მისი" სიტყვა მაინც სულ სხვაგვარია. წარმოიდგინეთ ასკეტი, ქვეყანას განდგომილი. არავის ელაპარაკება: მაგრამ დუმილში სჭედს „შინაგან სიტყვას" საყვარელი საფიქრალის შესახებ. გადიან წლები. შემდეგ გამოდის და ხალხთა ჭარში იწყებს სიტყვას... მისი საფიქრალი საჭართველო იყო ზეინაბის ტანჯული სახით და მეტყველებდა იგი გულდათუთქული, აცრემლებული, აფრთოვანებული..." (საქართველო. 1917. 21. XII.).

გრ. რობაქიძის ესეი „კიტა აბაშიძე", ამრიგად, ქართული ლიტერატურის გამოჩენილ მოამაგეთა თანამშრომლობის საგულისხმო მოწმობაა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს კ. აბაშიძის მოკლე დეპეშა, რომელიც კრიტიკოსს ქუთაისიდან გამოუგზავნია. კ. აბაშიძე იტყობინება, რომ მისგან „დამოუკიდებელი მიზეზების გამო", მონაწილეობას ვერ მიიღებს ლიტერატურულ ხალამოში. ამის სანაცვლოდ, იუწყება „ზაკავკაზიე" (1910. 7 .V.), გრ. რობაქიძე მთლიანად ნაციონალურ კრიტიკულ ეტიუდს „რუსთაველის შემოქმედების შესახებ". საფიქრებელია, სწორედ ეს ნაშრომი დაუდო საფუძვლად ლექტორმა თავის მომდევნო გამოსვლებს ფოთსა და გორში. პირველ ლექციაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ რუსთველისეული სიყვარულის სადარი მხოლოდ დანტესეული ტრფიალებაა (სახალხო გაზეთი. 1911. 18. IX), გრ.რობაქიძე კიდევ უფრო ავითარებდა გორში: „შოთა რუსთაველის სიყვარული ელლინურია, ბომბოროსისა და პლატონის მაგვარი" (იქვე. 1912. 12. IX.).

ბომბოროსი, პლატონი, დანტე.

ანტიკური სამყაროსეული და ჰუმანისტური, წინარენესანსული იტალია. ხალხაც ამ არეალში იგულისხმებოდა ქართული აღორძინება.

გრ. რობაქიძე, მართალია, ბოლომდე არ ამბობდა სათქმელს, მაგრამ უდავოა, რომ იგი თავისი ეპოქის მეცნიერული აზროვნების სიმაღლეზე იდგა. მისი დაუცხრომელი პროპაგანდისტი იყო. თვითონაც აქტიურად იკვლევდა რუსთაველის შემოქმედების საკითხებს. ძიების შედეგებს ორატორი კიდევ ერთხელ ამოწმებდა თავისი საჯარო გამოსვლების დროს, იქვე ბვნდა — „ფიქრობდა ხმამაღლა", რათა შემდგომ მკითხველისათვის შეეთავაზებინა ვრცელი საგაზეთო პუბლიკაციები: „რუსთაველის მსოფლიო მზერა", „რუსთაველი ხელოვანი"...

გრ. რობაქიძე მკაცრად ინაშურებდა „ვეფხისტყაოსნის" ღირსებათა დაკნინების წინააღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდეგ. გორში გამართულ ლექციაზე მან გადაკრით უარყო ფ. მახარაძის მოსაზრება, თითქოს „ვეფხისტყაოსანში" აღწერილია მარტო უბრალო სიყვარული და სხვა არაფერია და დაჰგმო როგორც გაუგებრობისა და უვიცობის ნაყოფი". აქვე შეეხო ლექტორი „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალობის საკითხსაც. მისი შეხედულებით, გენიალური ქმნილება ორიგინალურია. ეს ითქმის უ. შექსპირის „ჰამლეტის", ი. გოეთეს „ფაუსტისა" და რაღა თქმა უნდა, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" თაობაზეც. მისი ფაბულა ნასესხებიც რომ იყოს, იგი უთუოდ ორიგინალური ნაწარმოებია. ეს არაკი მისთვის იგივე იყო, — ხაზგასმით აღნიშნავდა გრ. რობაქიძე, — რაც პრაქსიტელისათვის მარმარილოს ნატეხი. ეს არაკი შოთამ გათქვიფა თავის ნიჭიერებაში, ხოლო მისმა გენიოსობამ ჩამოაყალიბა უკვდავი მშვენიერება... ქართველობის სული რუსთველის გენიით განაგრძობდა სიცოცხლეს... დღეს კი ბურუსი მოიცავს სახოკვეთილის სულს: შეიძლება რუსთველი, ისტორიულ ობოლი, კიდევ უფრო დამბლდეს: მოდიოდეს ვინმე უცხოელი და ნანგრევებში ეძებდეს იმ ღვთიურ სიტყვას, რომლითაც რუსთველი ველად გაჭრილს ტარიელს უმღეროდა. ნუ იქნებიან ესე, — დასძენდა ლექტორი, — თუ აჭამომდე ჩვენ რუსთველი გვაქართველებდა, ამიერიდან ჩვენ უნდა ვარუსთაველოთ იგი" (სახალხო გაზეთი, 1912. 12. IX).

ფოთსა და გორში წაკითხულ ლექციებს დიდძალი ხალხი დასწრებია. „რობაქიძე არის მეტისმეტი მოხდენილი და ლამაზი მოლაპარაკე. — წერდა „სახალხო გაზეთი" (1911. 18. IX.). — სცენაზე გამოსვლა, მანერა და პოზა საუცხოვო აქვს, რაც მსმენელზე დიდათ მოქმედობს და მხიბლავს, — ის არის დიდებული როგორც ლექტორი-ორატორი... მან დიდის ხელოვნებით და საუცხოვო ენით გადმოგვცა სამშობლოს სიყვარული, რომელიც წარმოადგენდა ერთ საუკეთესო ნაწილს ლექციისას... ერთობ დიდი მხატვრული ენით დაგვიხატა რუსთაველის მთელი შემოქმედება... ამ ლექციას როგორც მხატვრულ ნაწარმოებს აღტაცებაში მოაყავდა მსმენელი, — ასე გეგონებოდათ თითქოს მთელი შემოქმედება რუსთაველისა შენს თვალწინ იდგა ერთ უმშვენიერეს მარმარილოს ხახით. ამიტომ, გარდა იმისა, რომ მსმენელი მშვენიერ ქანდაკების ხახით ხედავდა და არა ისმენდა ლექციას, გათავების შემდეგ ძალიან ცოტა დარჩენოდა მახსოვრობაში. უკეთ რო ვსთქვათ, ვინც შოთა რუსთაველს მისი ნაწარმოებიდან არ იცნობს, — ლექციიდან მეტად გაუჭირდებოდა მისი გაცნობა. ეს კია, რომ მხატვრული გადმოცემით ლექტორმა ბევრი გვასიამოვნა".

საზოგადოებას, რომელიც მიეზიდა „საინტერესო თემისა და ცნობილი ლექტორის ხახელს", დიდი მადლობა მოუხსენებია გრ. რობაქიძისა და ი. გრიშაშვილისათვისაც. „ვფიქრობ, მოუგვარებია გორში ლექციის ორგანიზაციის საკითხი. [illegible] შაშვილს იქვე წაუკითხავს ლექსი „მარმარილოს ზღვა". ხალხი ოვაციებით შეხვედრია ახალგაზრდა მოღვაწეთა გამოსვლებს (სახალხო გაზეთი. 1912. 12. IX.).

გრ. რობაქიძესა და ი. გრიშაშვილს მარტო 1912 წელს რამდენიმე ერთობლივ ღონისძიებაში მიუღიათ მონაწილეობა. მათ, როგორც ჩანს, მჭიდრო თანამშრომლობა, იქნებ მეგობრობაც აკავშირებდათ ერთმანეთთან. მაგრამ ზოგიერთი გვიანდელი მონაცემი ეწინააღმდეგება აღნიშნულ ვარაუდს. შ. ნუცუბიძის ცნობით, „ხოხო გრიშაშვილი, ეს გულთბილი და კულტურული კაცი" იმდენად ანტიპათიურად იყო განწყობილი გრ. რობაქიძისადმი, „რომ მასთან ბრძოლაში წონასწორობას კარგავდა". ასევე — „პერმანენტული ომის მდგომარეობაში" ყოფილა გრ. რობაქიძე თვით შ. ნუცუბიძესთანაც (ქ. ნუცუბიძე. შალვა ნუცუბიძე. გვ. 50).

დასანანია.

სხვათა აზრისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება ჩვენში ახლაღა იკიდებს ფეხს. რევოლუციებს შორის კი ამაზე ოცნებაც ამაო იქნებოდა: საერთო ხულისკვეთება გავლენას ახდენდა ინდივიდუალური ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

1918 წლის 19 მარტს „სახალხო გაზეთი" მკითხველს აუწყებდა, რომ 28 მარტს ბაქოს ქართული სკოლის დარბაზში გრ. რობაქიძე წაიკითხავდა ლექციას „ილია ჭავჭავაძე და მისი შემოქმედება".

ბაქოელი ქართველობა ცხოველი ინტერესით მოეკიდა ამ განცხადებას: ბილეთები წინასწარ გაიყიდა. დათქმულ დროს ხალხიც მრავლად მოგროვდა. მაგრამ ლექცია... ჩაიშალა. ამის მიზეზი, როგორც ირკვევა, სწორედ ხაქმის დაბალი ორგანიზაცია ყოფილა. გრ. რობაქიძე დაწვრილებით განუმარტავდა „სახალხო გაზეთის" (28. III.) მკითხველს: „თებერვლის ოცში მე მივმართე ბარათით ბ-ნ ლადო ახობაძეს, 20-22 მარტს წავიკითხავ ლექციას ბაქოში ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ: უფრო ადრე არ შემიძლიან, რადგან, კავკავში ვკითხულობ, უფრო გვიან არ შემიძლიან, რადგან 24-ს ქუთაისში ვკითხულობ; პასუხი შემატყობინეთ ათს მარტამდე; პეტერბურგში". გრ. რობაქიძეს დაგვიანებია ხამშობლოში დაბრუნება, ვინაიდან მონაწილეობდა 16 მარტს პეტერბურგს გამართულ „ილიას ხალამოში". ი. ახობაძემაც დროულად ვერ აცნობა ლექტორს თავისი მზადყოფნის შესახებ. დასასრულ, გრ. რობაქიძე ბოდიშს იხდის „ძატივცემულ ბაქოელ ქართველობის წინაშე; თუ ჩემდა დამოუკიდებლად უბერხულობა შეეგამოხვია".

იმავე წლის 3 მაისს გრ. რობაქიძეს მაინც მიეცა შესაძლებლობა, თაუვანი ეცა ილია ჭავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქავაძის ბსოვნისათვის. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ილიას ძეგლის კურთხევის ცერემონიალში, სადაც წარმოთქვა სიტყვა — „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ტრაგედია" (სახალხო გაზეთი. 1918. 8. V.).

საყურადღებო განცხადებები მოიპოვება გრ. რობაქიძის საჯარო გამოსვლების თაობაზე გაზეთ „თემში" (1911. 25. IV.). „ნიჭიერ ლექტორს" განზრახული ჰქონია წაეკითხა ლექციები ფრ. ნიცშეს, უ. შექსპირის („იდეა ჰამლეტისა"), აგრეთვე ო. უაილდის („ხილამაზის რელიგია") შემოქმედებისა და ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესახებ. პირველ მათგანზე უკვე გვქონდა ხაუბარი. ინტერესს იწვევს აგრეთვე „ზაკავკაზიეში" (1910. 24. IV.) გამოქვეყნებული ანონსი სათაურით გ. რობაქიძის ლექციები. კორესპონდენციის ანონიმი ავტორი სოლეიმანი ვრცლად აყალიბებს ო. უაილდისადმი მიძღვნილი საჯარო გამოსვლის ძირითად დებულებებს. მათში წამოჭრილია სიმბოლიზმისა და დეკადენტობის, ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის, შემოქმედებითი პროცესის თავისებურების, საზოგადოებრივ მოვლენათა და სხ. პრობლემები. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ საკითხთა გადაწყვეტას მიეძღვნა მწერლის ვრცელი საგაზეთო ნარკვევები: „რელიგია მშვენიერისა", „ოსკარ უაილდი", „ხელოვნება და სინამდვილე".

პრესის გამოხმაურება გრ. რობაქიძის ლექციათა გამო, რა თქმა უნდა, ერთგვაროვანი ვერ იქნებოდა. აღტაცებულ კილოს ხშირად ენაცვლებოდა ლექტორის მწვავე კრიტიკა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ოპონენტები პატივს ვერაფერს ედავებოდნენ ორატორს.

1914 წლის 26 ივნისს „იმერეთში" გამოქვეყნდა გრ. რობაქიძის „ჩემი ლექციის გამო". ამ მოძცრო პუბლიკაციიდან ირკვევა, რომ საზოგადოების ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოუწვევია მის გამოსვლას ქუთაისში პიესა „სინათლის" წინააღმდეგ. გრ. რობაქიძე არ ჩაკარობდა პასუხის გაცემას: „კიდევ ბევრი რამ დაიწერება ამის შესახებ (ვიმედობ ოდნავ მაინც დასაბუთებული) და შემდგომ ყველას ერთად გავარჩევ ვრცელი წერილით", — აღუთქვამდა იგი მკითხველს.

გრ. რობაქიძეს ალღომ არ უმტყუნა. რამდენიმე დღის შემდეგ „თემმა" (1914. 30. VI.) „ხაერიშო ლექცია" უწოდა მის გალაშქრებას „სინათლის" წინააღმდეგ. გაზეთი ძირითადად იზიარებდა გრ. რობაქიძის აზრს პიესის მხატვრულ ღირსებათა შესახებ, თუმცა იქვე დასძენდა, რომ იგი გამონაკლისი როდია. მეტიც, ქართული სცენა პირდაპირ წალეკილია ხალეკვო ქმნილებებით. თუმცა „თემის" შეხედულებით, საერთო ფონზე „სინათლე" მაინც გამოირჩევა: მას „წესიერი" ხალხი ესწრება და არა ლიანგი. საზოგადოებასაც აქვს არჩევანის უფლება. მან იცის, რა ნახოს, დასძენდა გაზეთი, „ხაზოგადოება ბევრჯერ არც ისე დაბლა დგას, — რომ გორც ზოგიერთებს ჰგონიათ".

დასაწყისშივე ითქვა, რომ გრ. რობაქიძე არ იფარგლებოდა მხოლოდ სალიტერატურო პრობლემატიკით. პირველი საამისო ცნობა უკვე 1908 წელს გამოჩნდა ჟურნალ „მწყემსში" (№ 10. გვ. 11): 21 მაისს გრ. რობაქიძეს წაუკითხავს ლექცია თემაზე: „სქესი და სიყვარული". მოკლე ინფორმაციიდან ირკვევა, რომ მას, მაგალითად, „აუარეზელი ხაზოგადოება" დასწრებია, რომ ქართულად წაკითხულ ამ ლექციაზე საუბარი ყოფილა პლატონის, ვეინინგერის, რიაზანოვის, ვლ. სოლოვიოვის, მერეჟკოვსკის, ნ. ბერდიაევის შეხედულებათა თაობაზე.

ეს არის და ეს.

„მწყემსის" ინფორმაციას ერთგვარად ავსებს თვით გრ. რობაქიძე. ლექტორის თქმით, იგი ცდილობდა განესაზღვრა ქალისა და კაცის ინდივიდუალობანი, ფარდა აეხადა „სქესის ტანჯვა-წამებისა და სიყვარულის საიდუმლოებისათვის იბსენის („პეერ გიუნტი" და „როცა ჩვენ მკვდრები გავიღვიძებთ") მხატვრული ხახეების მეშვეობით..." სამწუხაროდ, ოპონენტები ვერ გარკვეულან საკითხის თავისებურებაში და ათასჯერ გადაღეკილი ქალთა ემანსიპაციის „თეორიის" დაცვა დაუწყიათ (ზაკავკაზიე. 1908. 5. VII.).

კიდევ უფრო მწვავე კამათი და სერიოზული უთანხმოება გამოუწვევია გრ. რობაქიძის ლექციას „მარქსიზმი და პიროვნება". „დარბაზში დიდი აურზაური ატუდა. — იგონებდა შ. ნუცუბიძე, — ორი მხარის წარმომადგენლები თითქმის იწევდნენ ერთიმეორეზე, იელვა თავადურმა ხმლებმაც, მაგრამ საბედნიეროდ მსხვერპლი არ ყოფილა". გრ. რობაქიძეს ლექცია თავდაპირველად ქუთაისში წაუკითხავს, ხოლო შემდეგ — თბილისში. ამ საჯარო გამოსვლებს ფართო გამოხმაურება მოჰყოლია. თვით ლექციის მიმდინარეობის შესახებ შ. ნუცუბიძე არაა ამბობს. ეგ არის, ქუთაისელი სოციალ-დემოკრატები (ს. ქავთარაძე, მ. ოკუჯავა, კ. ჭარციკვაძე, გრ. კუჭაიძე...) უკმაყოფილონი დარჩენილან და თავიანთი პოზიციის დაცვა შ. ნუცუბიძისათვის დაუკისრებიათ. მაგრამ დისკუსიის მოწყობა არ მოხერხდა, ვინაიდან გრ. რობაქიძეს თავაზიანად დაუტოვებია დარბაზი, სხვა გზა არ იყო, სოციალ-დემოკრატებს საპასუხო ლექცია გაუმართავთ. როგორც შ. ნუცუბიძე შენიშნავს, „ზოგიერთი უდავო დეფექტით" (კ. ნუცუბიძე. შალვა ნუცუბიძე. გვ. 49).

მოგვიანებით, თბილისში გრ. რობაქიძე დეთანხმა კამათის მოწყობის მსურველებს. მაგრამ ამჯერად შ. ნუცუბიძეს არ აღმოაჩნდა საკმაო დრო დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად. „არც იმდენი გამბედაობა მქონდა. — გულად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილად აღიარებდა შ. ნუცუბიძე, — რომ თბილისის აუდიტორიის წინაშე საკამათოდ გამოვსულიყავი" (იქვე).

შ. ნუცუბიძის ლექციას გრ. რობაქიძე არ დასწრებია, თუმცა ოპონენტის დებულებათა შესახებ მას მაინც „გაუგია ხმათაგან". წერილში „მარქსიზმის ხსნის ახალი ცდა" (ზაკავკაზიე. 1908. 5. VII.) იგი მკაცრად აკრიტიკებს ბოგდანოვის ემპირიომონიზმსა და მის მიმდევრებს საქართველოში, მათ შორის, „ქუთაისელ ფილოსოფოსებს". გრ. რობაქიძის შეხედულებით, ქართველი ემპირიომონისტები ვერ ჩახწვდომიან ამ თეორიის არსს, რადგან არ იცნობენ მის საფუძველს — ე. მახისა და რ. ავენარიუსის სისტემას: „შეუძლებელია იყო ემპირიომონისტი, თუ არ იცი ემპირიოკრიტიციზმი". როგორც ამავე წერილიდან ირკვევა, გრ. რობაქიძის უკმაყოფილება გამოუწვევია გაზეთ „ნაპერწკლის" (1908. 14. VI.) გამოხმაურებასაც მისი ლექციის გამო. გაზეთს სწორად არ გადმოუცია ლექტორის დებულებანი, ზოგჯერ ართქმულიც წაუმატებია და მიუბრალებია ორატორისათვის, რომ იგი ქადაგებს „ღმერთის არსებობას, რომელმაც შექმნა მატერია". გრ. [illegible] ღებით არ უარყოფდა ამ „ბრალდებას" და [illegible] თგვარი ირონიით შეახსენებდა ოპონენტებს, რომ „ღმერთის არსებობის რწმენა განათლებული კაცისათვის თავლაფისდასხმა არ არის".

უკიდურესი ათეიზმის მსგავსი გამოვლინებანი, სამწუხაროდ, მხოლოდ ცხრაასიანი წლების, ან თუნდაც, საბჭოთა ეპოქის ხაწყისი პერიოდის სენი როდი იყო. ამგვარი, თუ შეიძლება ითქვას, კონფორმისტული უკრინციპობის მაგალითები მრავლად შემორჩა არა მარტო მოწიფული თაობის, არამედ ახალგაზრდობის ხსოვნასაც. ალბათ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდა, თუმცა საამისო შესაძლებლობა უთუოდ უნდა არსებობდეს. ეროვნული კონსოლიდაციის ამოცანის გადაწყვეტა, საფიქრებელია, ძირეულად უკავშირდება აღნიშნული პრობლემის გადაჭრასაც. რელიგიას, საზოგადოდ, და ქრისტიანულ სარწმუნოებას, კერძოდ, დიახაც, შენარჩუნებული აქვს აქტიური სოციალური ფუნქცია. მეტიც, ჩვენს დროში იგი ეროვნული აღორძინების საშვილიშვილო საქმესაც ემსახურება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გია კანკავა

ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი ტენდენციის შესახებ

9 აპრილი — ეს არის მოვლენა, რომელმაც ჩვენში ეროვნულ მოძრაობას შეუქცევადი ხასიათი მიანიჭა. მტერმა აშკარად გამოაჩინა თავისი სახე და მიზნები. მან აშკარად აჩვენა ისიც, რომ არას დაინდობს არც შინაურებსა და არც გარეშე მოწინააღმდეგეს. 9 აპრილს ჩვენ ის ზნეობრივი სიმაღლე „ავკრიფეთ", რასაც ღირსეული მიზნებისათვის ბრძოლაში, საკუთარი სისხლის გაღება იძლევა. მაგრამ, მეორე მხრივ, 9 აპრილი მწარე გაკვეთილი და გაფრთხილებაც, იმ საშინელი მდგომარეობის, იმ „შავი ორმოს" სიღრმის მთელი სისავსით მაჩვენებელია, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით და საიდანაც დღეს ამოსვლას ვცდილობთ. ასე რომ არ იყოს, რატომ დაგვჭირდება ესოდენ საშინელი მსხვერპლის გაღება ღირსეული მიზნისათვის?

რამდენი ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდა წავიდა ჩვენგან გაცილებით უფრო ჩუმად, შეუმჩნევლად, ერისთვის თავდადებულთა გვირგვინის შარავნდედის გარეშე. პირიქით, ისინი ჩვენზე გაბატონებული მრავალ ჭირთა მსხვერპლი შეიქმნენ და ამ ჭირთა სიმძიმით დამცირებულნი განგვეშორნენ, ისინიც ჩვენი ყოფის შავმა ორმომ მიითვალა. არა და საერთო საქმეზე ყველას თავის დროზე რომ გვეფიქრა ასეთი მსხვერპლის გაწევა ალბათ არ მოგვიხდებოდა.

ამ გაფრთხილების წინაშე ყველა თანაბრად პასუხისმგებელია, მათ შორის ეროვნული მოძრაობის წამყვანი პარტიები და მათი ლიდერებიც. დღეს სწორედ მათზე მოდის პასუხისმგებლობის ყველაზე დიდი წილი. როგორც ადრე აღვნიშნეთ, სადღეისოდ ჩვენი ერთად ერთი დასაყრდენი ეროვნულ მოძრაობაში ცხრამდე და განსაკუთრებით ცხრის მერე აკრეფილი მორალური სიმაღლეა და პასუხისმგებლობა სწორედ ამ მორალური სიმაღლის შენარჩუნება-განმტკიცებისათვის გვეკისრება. აქ ერთი არასწორი ნოტაც რომ ავიღოთ, ჩვენ თვითონ მოვირყევთ იმ საძირკველს, რომელზეც ვდგავართ. შეცდომებისაგან კი არავინ არის დაზღვეული, რადგან ჩვენი დღევანდელი დღე დრამოკმული, სენშეპყრობილი გუშინდელი დღისა და ხვალინდელი ღირსეული დღისათვის ბრძოლის ადგილია და ამდენად „გუშინდელი" ყველა ჩვენთაგანში მონაწილეობს. სწორედ ამიტომ ისეთი ნაბიჯი არ უნდა გადავდგათ, ჩვენდა უნებურად გუშინდელის სასარგებლოდ რომ აღმოჩნდება. ამ გარემოების გათვალისწინებით ეროვნული მოძრაობის მეთაურ პარტიებს მაქსიმალური სიფრთხილე მართებთ ყოველი აქციის წამოწყებისას.

ამდენად ყველამ თანაბარ წილად და ერთად უნდა ვიკისროთ პასუხისმგებლობა ღირსეული მერმისისათვის ბრძოლაში, იმ ბნელი ორმოსგან თავის დასაღწევად, რომელშიც გარეშე, ობიექტური და ასევე სუბიექტური მიზეზების გამო მოვხვდით. ამისათვის კი პირველ რიგში საკუთარ თავზე, გუშინდელი დღის მემკვიდრეობაზე უნდა მოვიპოვოთ გამარჯვება, რომელსაც ჯერ კიდევ თან ვატარებთ.

მაგალითისათვის გამოდგება ერთი ფაქტი. საზოგადოების დიდი ნაწილი დავდივართ მიტინგებზე, გულწრფელად განვიცდით 9 აპრილის მოუშუშებელ მწუხარებას. მიტინგებზე ასევე გულწრფელი ემოციებით ვეპასუხებით ყველაპატრიოტულ გამოსვლას ანუ ისე ვიქცევით, როგორც ყველა ნორმალურ პატრიოტს შეეფერის. მაგრამ მიტინგის შემდგომ სახლში, სამსახურში, ქუჩაში ეს პატრიოტიზმი რატომღაც ნაკლებად შეიმჩნევა. ყოველ შემთხვევაში გარშემო არაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენი სანიმუშო პატრიოტული ძალისხმევა! შედეგად საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე მხარეს ხარისხობრივი ზრდა ეტყობოდეს

ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ჯეროვნად ვერ შეგვიფასებია დღევანდელი დღის ამოცანები. ხოლო რაც უფრო მნიშვნელოვანია ეს იმაზე მეტყველებს, რომ ერთმანეთთან ვერ დაგვიკავშირებია ჩვენი პირადული და საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი. თუმცა, ისიც ცხადია რეჟიმისგან ბოძებულმა კულტურულმა კრიზისმა ეს აუცილებელი კომპონენტი ადამიანური საზოგადოებრივი ცხოვრებისა შეანელა, გაფერმკრთალა ჩვენში ისე, როგორც დანარჩენი სხვა, მაგრამ პირადულისა და საზოგადოს, „მე"-სა და „ჩვენ" ინტერესთა, მოთხოვნათა ერთმანეთზე ვერ დამთხვევა-შერიგება ისტორიულად ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აქილევსის ქუსლი იყო ყოველთვის. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ჩვენში მთელი ისტორიის მანძილზე არსებობდა გამოკვეთილად ანტიეროვნული ტენდენციის მატარებელი ძალა. საკუთარ, ეროვნულ ინტერესებისადმი დაპირისპირების ეს მანკიერი თვისება ანუ საზოგადოებრივი ცნობიერების სიკოჭლე მარტივი ფენომენი არ არის, არამედ ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი ტენდენციაა, რომელიც ზოგადკაცობრიულ პრობლემატიკასთან კავშირში უნდა განვიხილოთ და რითაც აიხსნება მისი გადაჭრის სირთულე. სადღეისოდ კი, სანამ ეს პრობლემა დაძლეული არა გვაქვს ძნელია იფიქრო ისტორიის ასპარეზზე რაიმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ თუ სოციალურ წარმატებებზე. ასევე, ჩვენი ისტორიისათვის დამახასიათებელი პირადულის, „მე"-ს მოთხოვნილებათა წინ წამოწევა საზოგადოს, „ჩვენის" ხარჯზე ერთგვარად აისახა იმ ფაქტში, რომ მნიშვნელოვანწილად ჩვენი გავლენა ისტორიაზე სხვის სამსახურში ჩამდგარი ქართველების ნამოქმედარით შემოიფარგლება. ამის შედეგი გვგონია ის რეალობა, რომ ჩვენს ერს, უმეტესად გადაშენების საფრთხის ზღვარზე არსებობა უხდებოდა. ასე რომ დღესაც ამ პრობლემის დაძლევის აუცილებლობის წინაშე ვდგევართ. მის დაძლევაშია ჩვენი ხვალინდელი, ჯანმრთელი, ძლიერი დღის საწინდარი.

საბჭოთა პერიოდის „დიდი კაცის" კულტის ჩვენში დამანგრეველი თარეშიც კონკრეტული გამოვლენაა ზევით ნახსენები ეროვნულ ინტერესებთან დაპირისპირებული ჩვენში არსებული ძალისა. „დიდი კაცის" კულტის ფასეულობები — რაც შეიძლება ვრცელი პირადი კაბინეტი, პირადი შავი „ვოლგა" და ფართე მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომელ მომსახურეობის პირადი მოხმარება, აი, ასეთი „პირადი" შინაარსის მატარებელი „ნომენკლატურული ადამიანები თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობით მოწოდებული იყვნენ საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვისათვის! საერთო ჯამში კი აღმოჩნდა, რომ ჩვენი საზოგადოება ამ „დიდი კაცების" ხელმძღვანელობით იმ ტოტს ხერხავდა, რომელზეც თავად [illegible] ... [illegible] წარმოებდა კადრების ხელ[illegible] „ცენტრიდან", გარედან, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ თავად ქართველების ხელით კეთდებოდა! ამაზე გვაქვს საუბარი. პირადული „მეს" საზოგადო, ეროვნულ ინტერესთან დაპირისპირებამ დამანგრეველი ძალა გამოაჩინა და თუ მისი მძვინვარება საზოგადოების მხრიდან დროზე არ იქნება აღკვეთილი ტალონები მოგონილი იქნება იმ შედეგებთან შედარებით, რაც ამ თარეშს შეიძლება მოყვეს.

ისტორიიდან ცნობილია, რომ პირველად, დავითის ეპოქიდან მოყოლებული ჩვენში ხალხის ბედის ბორბალი უკუღმა ჯალალ-ედ-დინის შემოსევის შემდეგ შემოტრიალდა, სამწუხაროდ იმ დროიდან ჩვენ წესიერად წელში გამართვა ველარ შევძელით, გადამწყვეტ ბრძოლაში მხარგრძელმა მაშველი ჯარი არ მიახმარა ომში ქართველ ძმებს — ახალციხელებს (ხალხური სიმღერა „შავლეგო" ერთ-ერთი ძმის დატირებაა), პირადი ამბიციის, შურის ნიადაგზე, რათა ახალციხელები გამარჯვებულის შარავანდედით არ შემოსილიყვნენ. ასე პატივმოყვარეობის ნიადაგზე, ხელის ერთი მოსმით, მთელი ერი გაიწირა. საყოველთაოდ ცნობილია ჯალალ-ედ-დინის მიერ გამოჩენილი სისასტიკე საქართველოში მხარგრძელმა საწადელს მიაღწია — ახალციხელები გამარჯვებულის შარავანდედით არ შეიმოსნენ, ხოლო მათთან ერთად გაწყდა ქართული ჯარი. მაგრამ რა მოიგო ამით თავად მხარგრძელმა? იგი ხომ წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფოს უძლეველად ცნობილი ქართველი ჯარის სარდალი იყო.

ან ავიღოთ მეორე მაგალითი. მე-15 საუკუნეში საქართველოს სამთავროებად დაშლადაყოფისათვის ბრძოლას მესხეთის ათაბაგები ჩაუდგნენ სათავეში. კერძოდ, ამ ბრძოლის წამომწყებ ყუარყუარეს. პირადი ხასიათის მტრობა ჰქონია საქართველოს მეფესთან. ჩვენი სახელოვანი მეცნიერის, ბატონი ივანე ჯავახიშვილის სიტყვით „...ყუარყუარე ათაბაგი იმდენად დაბრმავებული ყოფილა ამ მტრობითა და განკერძოებისათვის ბრძოლით, რომ უთანხმოება და სიძულვილი საეკლესიო სფეროშიაც გადაუტანია". ამ შიდა ომს გაზვიადებული ფეოდალებისა საქართველოს საბოლოო დანაწევრება-დასუსტება მოყვა. რა მოიგეს ამით მესხეთის ათაბაგებმა? სად არიან დღეს ისინი? სად არის მესხეთი? გამაჰმადიანებული მესხების პრობლემა კი დღესაც მოგვწვდა!

სანამ ჩვენს ისტორიულ პრობლემაზე უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებდეთ, საინტერესო იქნებოდა მოსახლეობის იმ ნაწილის ზოგადად, თეორიულად მონიშვნა მაინც, რომელიც ამ პრობლემის დაძლევისათვის, ანუ ახალი, ხვალინდელი დღის მოთხოვნათა მიღებისათვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზად. ჩვენი საყრდენი მოსაზრება იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველი ერი რეჟიმის დამანგრეველ, გამანადგურებელ, პირობებში ქართველი ერის თვითგადარჩენის აუცილებლობით ,ამ პირობებთან დაპირისპირების, მათი „მონელების" გზით აწარმოებდა ღირებულებათა გადაფასებას, მოიპოვებდა ახალ ცოდნას, რომელიც. როგორც ჩვენ ადრე ერთგან შევეცადეთ გვეჩვენებინა ეროვნული მოძრაობის გზით, ხვალინდელი ღირსეული დღის ათვისებისაკენაა ორიენტირებული. ამ საყრდენი მოსაზრებიდან ბუნებრივად გამომდინარეობს რომ ხვალინდელი დღის მოთხოვნათათვის მზად პირველ რიგში მოსახლეობის ის ნაწილია, ვინც დაპირისპირებული იყო რეჟიმთან თავისი ცხოვრების წესით — დაპირისპირების პასიური თუ აქტიური ფორმით.

პასიური ფორმა რეჟიმის, მისი იდეოლოგიის არ მიღებაში გამოიხატებოდა. კერძოდ პასიურ პროტესტს წარმოადგენდა „დამკვრელური" შრომაზე უარის თქმა. წითელი გარდამავალი შრომის დროშის, საკუთარი შრომის შეფასებად არ მიჩნევა. ოფიციოზის მიერ პროპაგანდირებული „ოპტიმიზმის" არ გაზიარება დღევანდელ დღესა და „კაცობრიობის ნათელი მომავლის" მიმართ. მოსახლეობის ეს ნაწილი საზოგადოებრივ ასპარეზზე ცხოვრების პასიურ წესს ირჩევდა თავისთვის. საზოგადოდ, საქართველომ რეჟიმი, მისი ცხოვრების წესი არ მიიღო. ჩვენში კანონის არ ცნობის ვაკხანალია ამის ერთი გამოხატულება იყო. მაგრამ თავად მოსახლეობაში ეს არ მიღება არაერთგვაროვნად გამოიხატა. ერთმა ნაწილმა, როგორც ვთქვით რეჟიმის არ მიღება აქტიური პროტესტის ფორმით გამოხატა. მოიძებნენ ისეთები, რომლებმაც პირიქით, საკუთარი თავი კანონის დარღვევაში იპოვეს. ეს დარღვევა. რომელიც ნორმად იქცა ისევ საკუთარი თანამემამულის, ეროვნულ ინტერესების საწინააღმდეგოდ ხდებოდა. ბევრი საუკეთესო, ჯანმრთელი ძალა შეეწირა ამ „დიდ კაცთა" პირუტყვულ ვაკხანალიას. ეს „დიდი კაცები" პირად თვალუწვდენელ კაბინეტებში, შავ ვოლგებში, სახელმწიფო აგარაკებში „ოპტიმისტურ" განწყობილებასაც მშვენივრად ირგებდნენ, წითელი, გარდამავალი დროშის მზესაც ფიცულობდნენ, თავადაც „დამკვრელურად" მუშაობდნენ და სხვებსაც აიძულებდნენ. „დამკვრელური" შრომით ბოლოს ტალონები მოვიგეთ.

საზოგადოების ის ნაწილი კი, რომელმაც რეჟიმის არ მიღება, პასიური ფორმით გამოხატა, „შეუმჩნეველი" ცხოვრების წესი აირჩია (მის გამოც „დიდმა კაცებმა" ისინი „საწყალ, პატარა" კაცებად მონათლეს, საერთოდ მათი ცხოვრების წესისგან განსხვავებული წესით მცხოვრებს „დიდი კაცები" ამ სახელით ნათლავდნენ). მათი შემადგენლობაც არაერთგვაროვანი იყო, ზოგი საკუთარი შეუმჩნეველი ცხოვრების წესისგან მართლა დაპატარავდა და დაჩიავდა, ზოგისთვის კი რომ გეთქვათ პატარა, საწყალი ხარო, დაუფიქრებლად თავს გაგიტეხდათ .მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა მათთვის საერთო რამ არსებობდა, რაც სიცოცხლის დუნე რიტმის, უხალისობის, უაზრობის, ზოგჯერ მისი აუტანლობის განცდით იყო შეფერილი. საკუთარ თავზე, ბედზე ხელჩაქნეულობის, საკუთარ თავის გამოუსადეგრობის (საკუთარ თავისთვისაც და სხვისთვისაც), უპერსპექტივობის განცდამ, თავად სიცოცხლის ძარღვი მოადუნა, რა ნიადაგზეც გამრავლდა და იმძლავრა ჩვენს ნიადაგზე უამრავმა ჭირმა, მარტო ნარკომანიამ რამდენი გამოგვაცალა ხელიდან (განა „დიდი კაცების" ოჯახებს არ შეეხო იგივე სენი. შეეხოთ და თან განსაკუთრებული სიმარბილითაც). ყოველი ეს კი დღეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენთვის, ჩვენი ბუნებისათვის განსაკუთრებულად მიუღებელი აღმოჩნდა რეჟიმი და მისი იდეოლოგია. ხოლო ისინი, ვისაც თავი არაფერში გამოსადეგად არ მიაჩნდა, როგორც დღეს ირკვევა, თურმე ყველაზე ახლოს მდგარა და დგას, მომავალთან, რადგან მისი გუშინდელი „არაფრობა", ხელჩაქნეულობა, დღეს საქმის არმიღებად, ზნეობრივი პოზიციისადმი ერთგულებად წარმოჩინდა. ასეთია ხვალინდელ დღეში მჭვრეტი დღევანდელი დღის საკვირველებანი, მისი სასწაულმოქმედების ძალა. დღევანდელ დღეს გუშინდელისა აღარა სჯერა. გუშინდელი კი ვერაფრით წარმოიდგენდა დღევანდელს არსებობის შესაძლებლობას. ეს კი მხოლოდ დასაწყისია. ამ საკვირველებათა გათვალისწინებით დავუბრუნდეთ ჩვენს მთავარ ისტორიულ პრობლემას. ჩვენ ხასიათში პირადული მოთხოვნილების შეუზღუდავი გამოვლენის საკითხს და შევეცადოთ უფრო კონკრეტულად გავერკვეთ მის არსში. ჩვენი ისტორიიდან ცნობილია, და ეს მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, რომ ეს პრობლემა მდგომარეობდა ქვეყნის შიგნით ეროვნულ ინტერესებს დაპირისპირებული ძალის არსებობაში. მის მიერ ერის დამღუპველი ტენდენციის მატარებლობაში. ფაქტიურად, ისტორია გვიჩვენებს, რომ იგი იყო მთავარი და მუდმივი მტერი ქართველი ერისა. როგორც წესი თავის ბატონობის მოსაპოვებლად საქართველოში იგი მესამე, გარეთა ძალას „ეკვრებოდა" და მისი ზეობის გაბატონების შემოხვევაში საქართველო გადაშენების გზას ადგებოდა. მაგრამ სამართლიანია იმის მტკიცებაც, რომ ჩვენს ისტორიაში გამოკვეთილად ჩანს ეროვნულ ასპარეზზე ორგვარი მკვეთრად განსხვავებული მიზნების მატარებელ ძალთა არსებობა — დაპირისპირება. ერთი აღმაშენებლური ხასიათისაა, ერის ინტერესების გამომხატველია, მეორე კი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ითქვა, ერის ინტერესების დაპირისპირებული, დამანგრეველი ძალაა და რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია ჩვენი ერის ისტორიისათვის, ეს მეორე ძალა თავის დამანგრეველ შესაძლებლობებს არასდროს მიმართავდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, არამედ მთლიანად ეროვნულ ნიადაგზე „იხარჯებოდა"...

ქართული ხასიათის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მას ძალზე გაძლიერებული აქვს პირადულის „მეს" მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ეს მოთხოვნილება ისეთი ძლიერია, რომ იგი მიმართულია მისი შემზღუდავი გარემოებების არ ცნობაზე. ასეთია ზევით აღწერილი ორივე ტიპის ძალა, ან თუ ორი განსხვავებული მხარე ქართული ხასიათისა, ქართული ცხოვრებისა. მაგრამ თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ეს ძალები ხაწინააღმდეგო რამეში ხედავენ. პირველი, აღმშენებლური ტიპის ხასიათი, თავის პირადულ მოთხოვნილებას ეროვნულ, საზოგადო პრობლემებს ამთხვევს და საქართველო მაშინ აყვავების, აღმშენებლურ გზას ადგება. საგულისხმოა, რომ ქართულ კულტურას, ეროვნულ ტრადიციებს, ხალხურ პოეზიას, ხალხურ მუსიკას მხოლოდ ამ ხასიათის კვალი ატყვია. ეს იქიდან ჩანს, რომ მათში ვერსად შევნიშნავთ დამანგრეველ ტენდენციას, პირიქით, მათ მზის სხივის ნათელი და სიცოცხლის სიყვარული სჭვალავთ. აქედან ცხადია, რომ აღმაშენებლური ტიპის ძალა წარმმართველია ჩვენს ცნობიერებაში. ამ ტიპის ხასიათს ასახიერებენ დავითი და მისი ეპოქა, ილია, ვაჟა... ეს ტიპი გამოკვეთილად ზნეობრივი ტიპია, რაც განმსაზღვრელი ფაქტორია ჩვენი ისტორიისათვის. ზნეობრივი ქართველი ტიპი ქართული ტრადიციების შემქმნელია, კერძოდ, ვაჟკაცის, კაი ყმის ტრადიციისა. ეს ტრადიცია ფაქტიურად ზნეობრივი კოდუქსია, მსოფლმხედველობაა. მასში ერის ინტერესების დაცვას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. მისი სულისკვეთება კარგადაა გადმოცემული ცნობილ ლექსში:

> საძმობლოს ბრვის წავართმევთ,
> ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
> თორემ ისეთ დღეს დავაყრიო,
> მკვდარსაც კი ვაეცინება.

ეს მისწრაფება ქართული ხასიათის შეუძლებელის შეძლებისა ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელ ამირანის მითში გვსვდება, როცა ამირანი დედამიწაზე ყველა შესაძლო საგმირო საქმეს ჩაიდენს და თავად ღმერთს გამოიწვევს საბრძოლველად. ეს შეუძლებლის გადალახვის მოთხოვნილება ღრმა რელიგიური შეფერილობისაა, რომლის მატარებელიცაა ქართველი კაცის ბუნება. ერების ისტორიიდან ცნობილია მრავალრიცხოვანი რელიგიური ორდენების, ყავშირების არსებობა, ამ ერების ისტორიაში დიდი წვლილი უდევთ, მათი მოქმედების პრინციპი რელიგიურ საწყისზე იყო აგებული. მაგრამ ჩვენში, თავად ერის ბუნებაშია გამოკვეთილი რელიგიური საწყისი, რაც მთლიანად განსაზღვრავს ჩვენი ერის ცხოვრების წესს. რელიგიურს რომ ვახსენებთ, აუცილებლად ქრისტიანობა არ გვაქვს მხედველობაში. საქართველოს მთიანეთში ხატის კულტი დღესაც კერპთაყვანისცემის, წარმართულ ტრადიციაზეა დაფუძნებული და სწორედ აქაა ყველაზე სრულად შემონახული ჩვენი ხასიათისათვის ნიშანდობლივი თვისებები. ასევე სწორედ აქ შეიქმნა ქართული ხალხური პოეზია და შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ მთამ მოგვცა ვაჟა-ფშაველა, კაი ყმის ტრადიციის შემქმნელ-შემკრები. რელიგიურ საწყისს რომ ვახსენებთ მხედველობაში გვაქვს საქართველოს უზენაესი სრულყოფილება, მასში უზენაესი კანონზომიერების არსებობა, ხოლო რელიგიური გრძნობა მისკენ ლტოლვას გულისხმობს. სწორედ ამ შინაარსს ვდებთ, როცა ქართველის რელიგიურ ბუნებაზე ვლაპარაკობთ. ქართველის განმსაზღვრელი ტიპი ზნეობრივი ტიპია. ხოლო ზნეობა სამყაროში უზენაესი სრულყოფილების, კანონზომიერების ცნობაა და მისი განცდაა. ამდენად ქართველის გამოკვეთილი ზნეობრივ ტიპად ყოფნა ნიშნავს, რომ სამყაროს მისმიერი ათვისების გზა უზენაესი სრულყოფილებისაკენ ლტოლვაა, რასაც იგი ზნეობრივი გზით ახორციელებს.

ქართველი კაცის ზნეობრივი, სრული ბუნების მშვენივრად გამომხატველი ლიტერატურული გმირი ქართველი გლეხის სახით მოგვცა ილიამ „თთარაანთ ქვრივში". გავიხსენოთ, როგორ ახასიათებს არჩილის პირით იგი გიორგის „...ეს დიდის საქმეა ჩემის ფიქრით, იმიტომ, რომ მაგისთანა ნამუსი მთელის გვამის, მთელის აგებულების წუურვილია, როგორც სითბო სიცივეში, როგორც სიგრილე სიცხე, პაპანაქებაში, როგორც პური შიმშილში, მინამ ჭკუა იტყვის, ჭკუა ურჩევს, გულმა იცის, რა ჰქმნას. ეს დიდი საქმეა-მეთქი, დიდი".

სამყაროს სრულყოფილების წვდომისკენ მისწრაფება ქმნის ჩვენს ტრადიციებსაც. ავიღოთ თუნდაც ჩვენი ლხინის ტრადიცია ან ვაზის კულტი. ამგვარი მისწრაფება განვითარებულია ჩვენეული ცხოვრების წესში. ლხინის ტრადიცია, ვაზის კულტი სამყაროს მისი სრულყოფილების ჩვენეულ განცდას წარმოადგენს.

ჩვენი ზნეობრივი ტიპი „სხვას" არაფერს ცნობს ამქვეყნად და ამაზეა დამყარებული მისი სიძლიერე და შეუვალობაც.

მთელს ჩვენს ისტორიას შეუძლებლის ზღვარს გადაბიჯებულობა გასდევს. ამაზეა აგებული ქართველი მეომრის ფენომენი, რომელსაც მტერი ყოველთვის ისეთი ჰყავდა, რომ გარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხობრივი საჭიროებისა, არც ძალ-ღონით ჩამოუვარდებოდა და არც ხშლის ხმარების გამოცდილებით. მაგალითისთვის მარტო დიდგორის ომიც საკმარისია, სადაც დავითმა ერთ ბრძოლაში იმდენივე რაოდენობის მტრის ჯარი დაამარცხა, რა რაოდენობითაც ნაპოლეონი შეესია რუსეთს და მოსკოვი აიღო.

ზნეობრივი ტიპისთვის ნიშანდობლივია, რომ იგი აგრესიული ზრახვების მატარებელი არ არის, პირიქით, თუ სადმე კარგს და რაიმე ნიშნით აღმატებულს, უკეთესს შეხვდება, მას მხოლოდ გაუხარდება, რადგან მოწოდებით და ბუნებით სრულყოფილების მოყვარულია. ამიტომ კარგს იგი არავის არ უკარგავს. მაგრამ იგივე მიზეზით, მის მიერ მხოლოდ სრულყოფილებისაკენ სწრაფვის სურვილის ცნობით, თუ ვინმეში ზნეობრივ ხინჯს დაიჭერს, იმის მიმართ მაშინათვე ზნეობრივი უპირატესობის ღრმა განცდა ეუფლება. და თავისტოლად არასდროს ჩათვლის. მოყვარედ მოსულს მოყვრულად მიიღებს, არავისი შეშურდება, არ დაუპირისპირდება. მაგრამ თუ დაპირისპირება, დაჩაგვრა მოუნდომე, მაშინათვე შენზე ზნეობრივი უპირატესობის განცდა ეუფლება და ამდენად გაუტეხელია. შინაგანად დაუმარცხებელია. (ამიტომაც მოყვრულად მოსული მტერი თუ დაიკლებს რამეს). მისი დაუმარცხებლობა, როგორც ვხედავთ, თავად მის ზნეობრივ ბუნებაში ძევს. ასეთია ჯანსრული ქართველის ზნეობრივი ტიპი. იგი ლაღია და თავის უფალია. მჯობნის მჯობნობაზეა მიმართული.

მეორე. დამანგრეველი ტიპი მჯობნის მჯობნობაზე კი არ არის მიმართული, არამედ თავისზე უკეთესის, რაიმე ნიშნით აღმატებულისა თუ განსხვავებულის აუტანლობაზე, მის მოსპობაზეა მიმართული. მას ახასიათებს მოუსვენრობა — სანამ თავისას არ მიიღწევს, ვერ მოისვენებს, თუნდაც საბოლოოდ მისივე საწინააღმდეგო შედეგიც მოიმკას ამით; თავის მიზანს კი თავისზე უკეთესს, მისგან განსხვავებულის მოსპობაში ხედავს. ამიტომ მისი ცხოვრების წესი სხვის ჯიბრზე არსებობაა და ამიტომ სუფთა აგრესიული ბუნებით ხასიათდება. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ამ ტიპისათვის დამახასიათებელია, რომ თავის აგრესიას, დამანგრეველ ძალას იგი ეროვნულ ნიადაგზე „ხარჯავს" და გარეთ სხვებზე არ მიმართავს. მიზეზი ამისა კი ისაა, რომ იგი თავისზე „უკეთესს" ეროვნულ ნიადაგზევე პოულობს ზნეობრივი ტიპის სახით და ამიტომ მასთან „ანგარიშწორებით", დაპირისპირებით იფარგლება. მეორე ტიპის ხასიათი სამყაროს ფიზიკური ათვისების, სამყაროზე ფიზიკური ბატონობის მოთხოვნილების მატარებელი ძალაა, მაგრამ მას ეროვნულ ნიადაგზეც სამყაროს სხვა გზით ამოვისებელი მკვეთრად გამოხატული ძალა დაბადა ზნეობრივი ტიპის სახით. ჩვენი ისტორიის ფორმირებისათვის [illegible] სწორედ ის აღმოჩნდა, რომ წარმართველი ტიპი ჩვენი ეროვნული ხასიათისა მკვეთრად გამოხატული ზნეობრივი ტიპია. კერძოდ ის, რომ მისთვის დამახასიათებელია თვითკმარობა. ზნეობრივი ტიპი არსებითად თვითკმარია, საკუთარი თავით „სავსეა", რაც თავად მის სრულყოფილებისადმი მისწრაფებული ბუნებიდან გამომდინარეობს. ამდენად „სხვის" მიმართ დაპირისპირების თვალსაზრისით „დაუინტერესებელია" ვერც კი ამჩნევს მას: სხვის მიმართ დაუინტერესებლობა გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ ძალთა ურთიერთმიმართებაში და საზოგადოდ მეორე ტიპისათვის მაფორმირებელ როლსაც ასრულებს. რადგან მეორე ტიპი თავისი არსით ფიზიკური ბატონობის, პირველობისათვის მებრძოლი უხეში ძალაა, მის არსებობას აზრი ეკარგება, თუკი არ ცნობენ მას, რადგანაც ბატონობა იმისაგან ცნობასა და მორჩილებას ნიშნავს, ვისზეც ბატონობენ. სწორედ ამგვარი ძალა აღმოაჩინა მეორე ტიპმა თავისივე „გვერდით", ეროვნულ ნიადაგზე და ამიტომ მთელი თავისი ენერგია და ძალისხმევა მის საწინააღმდეგოდ მიმართა, ეროვნულ ნიადაგზევე შეკრა „ორბიტა" ზნეობრივი ტიპის გარშემო და ზნეობრივ ტიპს, ანუ ეროვნულ ინტერესებს დამანგრეველ ძალად დაუპირისპირდა (ცხადია ქართველის გადაშენება მის მოსპობასაც გულისხმობს, მაგრამ თავის გონების მიმართ შეურაცხადად ყოფნის გამო, მას ეს ვერ გაუგია). ჩვენში ფიზიკური ბატონობის, პირველობის მოთხოვნილების მატარებელი ძალა სუფთა აგრესიას წარმოადგენს და იმთავითვე ანტიკულტურულია. როგორც „თეორეტიკოსი" იგი კოსმოპოლიტია. არ ვიცით სხვაგან როგორაა, მაგრამ ჩვენში კოსმოპოლიტიკა ეროვნულის ჯიბაზე მყოფია. ამგვარი „თეორეტიკოსობის" კლასიკური მაგალითი ქართველისგან მუხრან ბატონის „ნაბზრევია", რომლის მიხედვით „დიდმა" ერებმა „პატარები" უნდა ჩაყლაპონ. შემდეგაც არ მოგვკლებია ამგვარი თეორეტიკოსობა ჯაბადრებისაგან, ეორდანიებისაგან და ა. შ.

ამგვარი ვითარების შედეგი კი ის არის, რომ საქართველოში შეიქმნა ძალთა ისეთი გადანაწილებისა და დაპირისპირების მკვეთრი სურათი, როგორიც არსებობს საზოგადოდ სამყაროში — სრულყოფილების განმასაბიერებელ, აღმაშენებლურ, უზენაეს ძალასა და მის მიმართ დაპირისპირებულ ნგრევის, სპობის, მის ჯიბაზე მყოფ სატანური ძალის სახით. ამდენად ჩვენში, ძალთა დაპირისპირება-განაწილება სამყაროს ხატისეულია. სწორედ ასეთი ვითარების ფონზე ჩამოყალიბდა ქართული ცნობიერება, რის გამოც იგი თვითკმარი ცნობიერებაა, ანუ, იგი ეროვნულ ნიადაგზევე ჰპოვებს საკმარის საფუძველს თავისი მეობის დადგენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარებისათვის. რისი ერთი შედეგი ის არის, რომ ქართველის ტიპისათვის მისი ინტერესთა სფერო არსებითად ქართული სამყაროა, ხოლო საკუთარი, როგორც პირადი ისე ეროვნული „მე"-ობის შეფასებისას ქართველისთვის ისევ ქართველთანაა „საინტერესო" საკუთარი თავის შედარება. ამდენად ქართველს ჩვევად არა აქვს „გარეთ" „სხვას" უყურის. ასე გვესმის ჩვენ ქართველის ეროვნული ცნობიერების თვითკმარობა, რაც ცხადია მის ყოველდღიურ ცხოვრებაშიც აისახება და ვლინდება.

მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, როგორც ჩვენი განსხვავებულობის განკერძოების საფუძველი. პირიქით, სწორედ ამიტომ ქართველი არ იქმნის სპეციფიურ სამყაროს, არამედ იგი „ღიად" დგას სამყაროს წინაშე. ანუ, ჩვენი ცნობიერების თვითკმარობა, რაც იმის შედეგია, რომ ჩვენი ეროვნული ცნობიერება გარკვეული გარემოებების გამო (გენეტიკური და გარე ისტორიული) სრულად „იხატავს" საზოგადოდ სამყაროში ჩვენთვის ცნობილ ძალთა განაწილება-დაპირისპირებას, ნიშნავს, რომ ქართველის ტიპი ზოგად ადამიანურია, ანუ პოტენციურად, როგორც შესაძლებლობას, ატარებს ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკაში თავისი, მნიშვნელოვანი სიტყვის თქმის უნარს. თუ არა ამ თვალსაზრისით გაგებული ჩვენი ცნობიერების თვითკმარობა წარმოუდგენელია მე-19 საუკუნის საქართველოში, იმ ხანად პროვინციის პროვინციაში, ვაუას ფენომენის არსებობა. კაცი, რომელიც მიწურში ცხოვრობდა, თავს ირჩენდა ფიზიკური შრომით, თავის ცხოვრების აზრს, თავის შემოქმედების დომინანტს ხედავდა არა პიროვნულში, არამც თუ მხოლოდ ეროვნულში, არამედ ზოგად საკაცობრიო ბოროტების დაძლევაში რის განსახიერებაცაა მთელი მისი შემოქმედება და ზოგიერთ ლექსში კი პირდაპირ აქვს გამოთქმული. ხოლო ის, რომ ჩვენი ეროვნული პრობლემატიკა მჭიდრო კავშირშია ზოგადსაკაცობრიოსთან, იქიდანაც გამომდინარეობს, რომ ვაუა ხშირ შემთხვევაში პირდაპირ იყენებს ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშებს.

ცხადია, ყველა ერის ნიადაგზე ხდება კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება. მაგრამ ჩვენი ეროვნული ნიადაგი ამ დაპირისპირების მეტად გამკვეთრებული სურათია, რაც აიხსნება, ქართველში განსაკუთრებულად გამოკვეთილი ზნეობრივი ტიპის არსებობით, ის რომ ეს ტიპი ჩვენი ეროვნული ცნობიერების წარმმართველი, განმსაზღვრელი ტიპია, იმაშიც ჩანს, რომ ქართველის ცნობიერება „იმეორებს" ზნეობრივ ტიპისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, კერძოდ მის არა აგრესიულობას და მის თვითკმარობას... ამ ვითარებას ხელს უწყობდა ჩვენი ისტორიაც.

იმ ისტორიული უეჭველი ფაქტის გამო, რომ საქართველო და მთელი კავკასია [illegible] ლი, სადაც ნგრევა, მონობა, გენოციდი, ომი და დაპყრობა მიმდინარეობდა ყველაზე ინტენსიურად — თითქმის არ არსებულა ისტორიაში ორგანიზებული აგრესიული ძალა, რომელსაც საქართველოზე არ ულაშქრია — ამიტომ, თვითგადარჩენის მიზნით ქართველებს, აგრესიულ, ანტიკულტურულ ძალებთან დაპირისპირებაში, ორიენტირი სწორედ ზნეობრივ ტიპზე უნდა აეღოთ. სწორედ აქ ვხედავთ ვაუას ფენომენის გასაღებს. მაგრამ იგივე გარემოების გამო, ასეთი ცნობიერება ჩვენში მარტო შემოქმედთა და რჩეულთა ხვედრი არ არის. ცხოვრებისეულობას ადასტურებს თვით საქართველოს დღევანდელი არსებობა და ის ფაქტი, რომ ყოველთვის, გაჭირვების დროს, იძებნებოდა ასი-ათასობით კაცი, რომელიც უეჭველად სწირავდა თავს ეროვნულ ინტერესებისათვის. ნაწილი ამ ფაქტებისა შემონახულია ისეთი ისტორიული ლეგენდების სახით, როგორიცაა ცბრა ძმა ხერხეულიძე, სამასი არაგველი, ცოტნე დადიანი, ქეთევან წამებული, დემეტრე თავდადებული, თვით დავით აღმაშენებელი და მრავალი სხვა. აქვე დავძენთ, რომ ეს ნიშანთვისება — ამაღლებულებისადმი სწრაფვა ქართველ ერს განარჩევს სხვა ერებს შორის. ამ თვალსაზრისით იგი რჩეულ ერთა შორისაა. მაგრამ არსებითი ისაა, რომ რჩეულობა საზოგადოდ მოცემულია ყოველთვის როგორც შესაძლებლობა, როგორც სარეალიზაციო რამ. ამასთანავე რჩეულობის დაჩემება და ასევე რჩეულობის დოგმატირება პირდაპირი გზაა შოვინიზმისაკენ. რაც სხვის ჯინაზე ცხოვრებას ნიშნავს. რაც მეორე ტიპის, ე. ი. თვითდამანგრეველი ძალის გამოვლენაა. აქ წრე იკვრება! ასე, რომ ვიწყებთ ღვთაებრივით, მასთან ახლოს დგომის წადილით ვამთავრებთ კი სატანური თვითნგრევით, რაც ცოუნების კლასიკურ მაგალითად გამოდგება. არსებითი კი აქ ის არის, რომ ქართველის ეროვნული პრობლემა მჭიდრო კავშირშია ზოგად საკაცობრიო პრობლემატიკასთან და ამდენად ქართველი ეროვნულ ნიადაგზე დგომით, ეროვნული პრობლემატიკის გადაწყვეტით ზოგადსაკაცობრიოს, ჭეშმარიტების „სამსახურში" დგას. ამავე დროს ტიპი ქართველისა პოტენციური შესაძლებლობის მქონეა ზოგადსაკაცობრიო პრობლემებში თავის წვლილის შეტანისა. ამდენად რჩეულობის არა დოგმატირებაა საჭირო, არამედ მისი მხოლოდ მხედველობაში ქონება, რაც იმას ნიშნავს, რომ შენი მუშაობით ეროვნულ ასპარეზზე ასევე ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გადაჭრას ემსახურები.

ცხადია, ცხოვრება უფრო რთულია, ვიდრე თეორიული მონახაზი, რადგან ადამიანში სულიერი საწყისები სუფთა, მზა სახით არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვხვდება, იგი მრავალი არჩევანის წინაშე დგას, რაც ბევრი რამითაა განპირობებული. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ არჩევანით მოიპოვებს იგი ბედს. ამ არჩევანითვეა განპირობებული ზემოთ ნახსენები რეალიზაციის შესაძლებლობა. ჩვენი ცნობიერების თვითკმარობის გამოვლენას ვხედავთ იმ ფაქტშიც, რომ ქართველი რამდენადმე თვალშისაცემ იმპერიალისტურ მისწრაფებებს არ ავლენდა მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში. იგი ფიზიკურად გაბატონების მიზნით გარეთ არ იხედებოდა და ამ თვალსაზრისით სხვა არ „აინტერესებდა", ვერ „ამჩნევდა" მას. ხოლო ის ისტორიული ფაქტები, რომლებიც ქართველთა მიერ დიქტატორული სულისკვეთების დაპყრობის მაგალითს გვაძლევს (სტალინი, საკაძე) ის გამონაკლისია, რომელიც ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას ადასტურებს, რადგან ისინი იმაზე მეტყველებენ, რომ იმპერიალისტურ ტენდენციებს ქართულ ნიადაგს მოწყვეტილი და სხვის სამსახურში ჩამდგარი ქართველები ავლენდნენ და ანხორციელებდნენ.

რადგანაც ზნეობრივი ტიპი დომინანტურია, განსაზღვრულია ქართველის ცნობიერება, მისთვის ზურგის შექცევა კატასტროფული იყო ქართველისთვის და თვითმკვლელობის გზაზე აყენებდა მას. კერძოდ, ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრების იმ პერიოდში, როცა ზეობდა დამანგრეველი მეორე ტიპის ხასიათი (რაც როგორც წესი გარე, მესამე ძალაზე დაყრდნობით ხორციელდებოდა), ანუ კულტურული კრიზისის პერიოდებში, ქართველის ცნობიერების თვითკმარობა თვითმკვლელური ცნობიერების შემუშავებაში ვლინდება. თვითკმარ ცნობიერების მდგომარეობაში, ანუ ისეთ ვითარებაში, როცა ქართველის ინტერესთა სფერო საკუთარი თავით, ეროვნული ნიადაგითაა შეზოფარგლული, დამანგრეველი ტიპის ზეობასას, ჩვენი დამანგრეველი ტენდენციები ისევ საკუთარ თავზე, ქართველზეა მიმართული და ქართველისათვის შურის, ქიშპობის და მტრობის „ინტერესის" ობიექტი ამ დროს გამოკვეთილად მხოლოდ ქართველია. ამ შინაარსის მაგალითებელია ავად მოსახსენებელი, „ქართველის მიერ ქართველის გაუტანლობა". რომელიც კულტურული კრიზისის პერიოდებში გვახასიათებს. იგივე მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენში „დიდი კაცის" კულტი, სადაც გარე დამპყრობითი ძალისა და შიდა თვითდამანგრეველი ძალის ინტერესები „ჰარმონიულად" შეერწყა ერთმანეთს, რამაც ჩვენი სულიერი დეგრადაცია გამოიწვია. ასევე დღევანდელი კულტურული კრიზისის პერიოდში სხვის „შეუმჩნევლობამ", როგორც ვნახეთ, არაფერი კარგი არ მოგვიტანა. რეჟიმისაგან ნაშემკვიდრალი კულტურული კრიზისის ტიპისათვის, ანუ თვითმკვლელური ცნობიერების ქართული ტიპისთვის დამახასიათებელია სტალინის „კულტის" ფენომენი. „ყვანისცემაც (ობიექტური შეფასებით სტალინის მმართველობა საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილის დაკარგვით და მილიონამდე კაცის დაღუპვით დაუჯდა).

სტალინიზმი ორი მოვლენის ურთიერთდამყნობით წარმოიშვა. კერძოდ, ქართული აგრესიული ტიპისა და რუსეთის იმპერიის ზნეობრივ შეშლილობაზე (ეს შეშლილობა აღწერილია დოსტოევსკის მიერ თავის რომანში, ხოლო თავად რუსეთის ზნეობრივი შეშლილობა იმ პერიოდის ეროვნული (მსოფლიო) ზნეობრივ ფასეულობათა აღრევის იდეალური გამოვლინება იყო). ამ ნაზავით წარუდგა სტალინიზმი დანარჩენ მსოფლიოს, მათ შორის საქართველოსაც, რომლის სასტიკი დამანგრეველი ძალა უშუალოდ იგემა. სწორედ ამ მოვლენასთან დაპირისპირებაში საკუთარი თვითმყოფადობისა და ფიზიკურად გადარჩენის აუცილებლობით ჩაატარა ღირებულებათა გადაფასება(რისი მონიშვნაც ჩვენ ვცადეთ ერთ ადრეულ წერილში). ისტორია განმეორდა ჩვენივე ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ. ჩვენი ფიზიკური არსებობისადმი დაპირისპირებულმა ძალამ მესამე, გარეშე ძალაზე დაყრდნობით კვლავ მოგვძებნა და საბედისწეროდ მოგვიტრიალდა.

სტალინის პოპულარობის ფენომენი ჩვენში, გარდა მისი პოლიტიკური მსოფლიო მასშტაბისა, იმაზეც ეყრდნობოდა, რომ ქართველი მასში შეუძლებლის დაძლევის ახლობელ ფენომენს გრძნობდა, რასაც სტალინი ახორციელებდა რუსეთის იმპერიის სათავეში. ქართველმა კულტურული კრიზისის, პროვინციალიზმის პირობებში ვერ გაარჩია, რომ სტალინი მისი ნიადაგიდან გაძევებულ, ქართულ ნიადაგზე მუდამ დამარცხებულ და ამიტომაც ქართული ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ ამხედრებულ ბოროტ ძალას წარმოადგენდა. მართლაც, თავად სტალინის ბიოგრაფია იმეორებს ჩვენს მიერ ზევით აღწერილი თვითდამანგრეველ ძალის „მეტამორფოზებს". კერძოდ, უზომოდ პატივმოყვარე, ყველაფერში პირველობის მოსურნე სოსო ჯუღაშვილი, ჯერ როგორც პოეტი, ხოლო მერე, როგორც პოლიტიკური მოღვაწე ცდილობს ქართული საზოგადოებრივი ასპარეზის დაპყრობას. მაგრამ ორივე შემთხვევაში ხელი მოეცარება, მარცხდება თავის პატივმოყვარე მიზნებში. საქართველო ერთადერთია, სადაც იგი ყოველმხრივ დამარცხებულია. რადგან არ ცნობს მას, როგორც რამდენადმე თვალსაჩინო პოეტს და არც მის პოლიტიკურ პლატფორმას იზიარებს. ჯუღაშვილმა შურისძიების კომპლექსით აღძრულმა დატოვა აქაურობა როგორც პოლიტიკურმა დევნილმა. შემდეგ კი, როცა რუსეთის იმპერიაში პირველი კაცი გახდა, როცა სტალინი გახდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ძალით გაუბსენა საქართველოს თავისი ბოლმა (ვაუას და ილიას სახელმძღვანელოებიდან ამოგდება რად ღირს მარტო!). ეს ყველაფერი ახლა გამოჩნდა მხოლოდ. ადრე კი, კულტურული კრიზისის პირობებში, საქართველოს ერთ მივარდნილ პროვინციად ყოფნის გამო, ქართველებმა სტალინი და საქართველო თავის ცნობიერებაში ერთმანეთისგან არ გამიჯნეს. ამიტომ საწყის ეტაპზე ქართველებმა მიიღეს იგი, ამის შედეგად თავად ჩვენ ვიქეცით იმ ძალის აღმასრულებლად, რომელიც ჩვენი ინტერესების შემმუსვრელი იყო. ამიტომ შემდეგ, გადარჩენის აუცილებლობით მთელი ჩვენი ჯანმრთელი, ზნეობრივი, კულტურული ძალების შინაგანი მუშაობა აღნიშნულ დანაწევრებისკენ იყო მიმართული და მისი შედეგები სახეზეა; ქართველმა ერმა დაგმო სტალინიზმი, მიუხედავად იმისა, რომ მის სათავეში იდგა ქართველი, რომელმაც უღრმესი კვალი დაჩნია მსოფლიოს. ამიტომ ეს გამიჯვნა, უარყოფა, მიმანიშნებელია იმ კულტურულ-ზნეობრივი პროცესებისა, რომელიც ჩვენში მიმდინარეობს ეროვნული პრობლემის დაძლევისათვის, რათა ჯანმრთელი, ძლიერი ხვალინდელი დღე ჩვენს რეალობად იქცეს. მაშ, სტალინიზმის მოვლენაში საქმე გვაქვს ჩვენ საკუთარ თვითდამანგრეველ ძალასა და მსოფლიო ზნეობრივი ქაოსის, მსოფლიოში სიცოცხლის ხელყოფის მოვლენასთან და ორივეს დაძლევა, მონელება ახალი ცოდნის შექმნის სახით, კულტურული დაძლევით, სწორედ იმ მნიშვნელოვან წვლილის შეტანა «ქნებოდა, როგორც საკუთარ არსებობისათვის ძირეული ეროვნული პრობლემის გადაჭრით, ისე ზოგადსაკაცობრიო სიცოცხლის გასაჭირის დაძლევაში, რის შესაძლებლობა ქართველს გააჩნია მისი ზოგადადამიანური ტიპის ფენომენის წყალობით.

მაშ რეჟიმის კულტურული კრიზისის დაძლევით ახალი ხვალინდელი დღის შენებისაკენ!

საზოგადოდ ისტორია მეორდება. ქართული კულტურული მიღწევები, აღმშენებლობითი სვლა სწორედ ზნეობრივ ტიპთანაა დაკავშირებული. არსებითად ყოველგვარი ჩვენი მიღწევა, სრულყოფისაკენ სვლა, ზნეობრივი ტიპის მიერ აგრესიული, დამანგრეველი ძალის მონელება. ჩვენი სამყაროს დესტრუქციული, გამანადგურებელი ელემენტებისაგან განთავისუფლება-მოშორების გზით ხდება. ალბათ ამ კუთხით უნდა შეფასდეს ჩვენი კულტურის ხელოვნების ისტორიაც. მათი უმნიშვნელოვანესი მიღწევები.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით აქტუალურ ,,რობლემად გვესახება ერის სოციალურ-პოლიტიკური კონსოლიდაცია;

არსებითად თვითეული ჩვენთაგანის არჩევანის, თვითეული ჩვენთაგანის ცხოვრებაში წყდება ერის მომავალი და ამ ფონზე არ შეიძლება ორი სიტყვა არ ითქვას ქართველ კომუნისტებზე. საქართველოს კომპარტიაზე. დღეს ყველასათვის ნათელია, რომ ეს პარტია და მისი მთავრობა დღევანდელ დღემდე რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა ეროვნულის საწინააღმდეგოდ, შედეგებიც სახეზე გვაქვს. ეროვნული კონსოლიდაციის აუცილებლობის ფონზე მნიშვნელოვანი მოვლენა იქნებოდა მათი ეროვნულ ნიადაგისკენ გამობედვა. მაგრამ არა კოსმეტიკური, არა დეკორატიული მეთოდების დანერგვით, და არა მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლებისა და რუსეთის საბჭოთა იმპერიის გადარჩენისათვის, არამედ ეროვნული ინტერესების დამცველი კონკრეტული და რეალური ნაბიჯების გადადგმით. პირველ ასეთ ნაბიჯად მიგვაჩნია ამ პარტიის მიერ საკუთარი თავის მოსკოვისგან დამოუკიდებლად ცნობა. ,,ცხადია, ეს ადვილი საქმე როდი გახლავთ, ისეთი პარტიებისაგან, რომლის იდეოლოგიაში ეროვნული მოტივი ბურჟუაზიულ გადმონაშთადაა შერაცხული. მაგრამ გამონაკლისის დაშვება ალბათ მაინც შეიძლება. საბედნიეროდ ამისი პრეცედენტიც არსებობს: ქართველი კომუნისტები პირველები აუჯანყდნენ საკავშირო ცკ-ის მდივანს სტალინის ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, სტალინის ავტონომიზაციის გეგმას (რა მოტივით — ეს სხვა საკითხია, მაგრამ მთავარია, რომ ასეთი ფაქტი მოიძებნება). შედეგად ქართულმა ენამ (გამონაკლისის სახით) სახელმწიფო ენის სტატუსი მიიღო საქართველოს სსრ კონსტიტუციაში და 1978 წლის 14 აპრილს სწორედ ეს სტატუსი დაიცვეს ეროვნულმა ძალებმა, ქართველმა ახალგაზრდობამ. ასე რომ პრეცედენტი სახეზეა და მისი ასახვაც ეროვნულ მოძრაობაში. ამაზე იტყვიან — ,,ჰა, ბურთი და ჰა მოედანი"...

დღევანდელი დღე ჩვენგან მაქსიმალურ პასუხისმგებლობას ითხოვს. საქართველოს საკუთარი მნიშვნელოვანი სიტყვის მეშვეობით ისტორიულ ასპარეზზე გასვლის შესაძლებლობა აქვს. ამ შესაძლებლობის რეალიზაცია დღევანდელი ჩვენი თაობების სულიერ სიმწიფესა და ვაუკაცობაზეა დამოკიდებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დათო მაღრაძე

რათა ვიყვნეთ ყოველნი ერთგვამ

„დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ბრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოკმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარის ისტორიისანი არიან". — წმინდა ილია მართლის ეს სიტყვები ძალზე ნიშანდობლივად ასახავენ კათოლიკოს-პატრიარქის (1917-1918) კირიონ II-ის პიროვნებას, რომელიც დიდბუნებოვან ღმერთშეშოსილ კაცად და სახელოვან გმირად გვესახება შთამომავალთ. მთელი თავის ცხოვრება მან უფლის სამსახურსა და საქართველოს კეთილდღეობისათვის ბრძოლას შეალია.

ვიდრე ეპისკოპოს კირიონის (გიორგი ხაძაგლიშვილის) ღვაწლის აღწერას შეუდგებოდეთ, ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ ის ეპოქა, რომელიც წინ უძღოდა მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაცია დასრულდა და იგი რუსეთის იმპერიის გუბერნიად იქცა.

რამდენიმე წელში რუსეთმა დასავლეთ საქართველოც დაიპყრო.

თავისუფლების მოყვარე ქართველმა ხალხმა სახელმწიფოებრიობის გაუქმებას აღმოსავლეთშიცა და დასავლეთშიც დამპყრობელთა წინააღმდეგ ამბოხებებითა და ბრძოლებით უპასუხა. მაგრამ რუსეთის იმპერიამ თავის საოკუპაციო ხელისუფლებით ეს ამბოხებები სისხლში ჩაახშო. რუსეთმა მალე ქართული სამთავროებიც შეერთებინა. მაგრამ თავისუფლების წყურვილი ქართველთა შორის მაინც ვერ ჩაქლა.

საქართველო განთავისუფლების იმედს რომ არასოდეს დაკარგავდა, ამის დასტური იყო, რომ აჯანყებას აჯანყება მოსდევდა, გაჩაღდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა.

ქართველი ხალხის მძიმე ნაციონალურ-კოლონიურმა ჩაგვრამ 80-90-იან წლებში უკიდურეს საზღვარს მიაღწია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის იმპერია მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლების ხელყოფას არ დასჯერდა, მას გადაწყვეტილი ჰქონდა ქართველი ერისათვის სულიერი ავტონომიაც წაერთმია. ეს ორი წმიდათა წმიდა საუნჯე, სულიერი და პოლიტიკური ავტონომია ისეა გადაჯაჭვული ერთმანეთში, რომ ერთის დაკარგვით მეორეც იკარგება და პირიქით, ერთის დაბრუნებით მეორეც იპოვების.

საქართველოსთვის რომ სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიის დამოუკიდებლობას, ამის ნათელსაყოფად განვიხილავთ შედეგებს, რაც 1811 წელს ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა.

რუსეთის იმპერიამ კარგად უწყოდა, თუ იგი მოახერხებდა, უფლისაგან ქართველი ერის გარკვეულწილად დაცილებას, საქართველოს უდრეკი ქედი ადვილად შეეგუებოდა მონობის უღლის სირცხვილსა და სიმძიმეს. საქართველოში თავისუფლების წყურვილი ჩაინავლებდა. ამ ცოდნას, რუსეთის მმართველ აპარატს ქართველი ერის არსებობის საუკუნეობრივი ტრადაცია კარნახობდა.

აი, რას წერდა ამის შესახებ აკაკი:

„სანამღე სარწმუნოება
ქართველთ ექნება ხელშიო,
და არ მოკვდება ზნეობით,
ხელს ვერ წაუჭერ ყელშიო".

ამავე აზრს კრიტიკოსი აკაკი მინდიაშვილი შემდეგნაირად აყალიბებს: „რა ღირებულება და მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანულ სარწმუნოებას საქართველოსათვის, ჩვენმა ნებისმიერმა მტერმა შესანიშნავად უწყოდა. ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ერის განადგურების პროგრამაში უპირველეს სამიზნედ ყოველთვის ქრისტიანობას იხდიდა".[1]

მაშ ასე, რუსეთის მმართველ აპარატს უფალსა და ქართველთ შორის ყრუ კედლის აღმართვა ჰქონდა განზრახული. ამ მიზნის განსახორციელებლად მან 1811 წელს გააუქმა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა, — ავტოკეფალია. საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა რუსეთის სინოდის განყოფილება — დიკასტერია, საქართველოს კათალიკოსი ანტონ II (1788-1811 წწ). ძე მეფე ერეკლე მეორისა, რომლის „გამგებობაში 1795 წლიდან იყო სამწყსო მთელი საქართველოისა", რუსეთში იქნა გაწვეული, კათალიკოსობის მაგივრად დაწესეს ეგზარქოსის თანამდებობა.

იმერეთის ეკლესიას თავიდან კი დამოუკიდებლად განაგებდნენ იქაური არქიელნი, მაგრამ 1815 წელს უკვე თბილისში დაარსდა „საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა".

თანდათან ქართული ეკლესიის განძის დიდი ნაწილი უგზო-უკვლოდ გაქრა, ტაძართა კედლების ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილი შეთეთრდა, ხოლო რაც მთავარზე უმთავრესია, ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანაში წირვა-ლოცვა ძირითადად უცხო ენაზე, — რუსულად მიმდინარეობდა.

წმინდა წერილიდან ვიცით, ქრისტემ როდესაც სულიწმიდა გადმოიყვანა მოციქულებზე, ქადაგების უნარის გარდა მათ უცხო ენათა ცოდნაც მიენიჭათ, რათა რომელ ქვეყანაშიც უფლის სიტყვის საქადაგებლად მივიდოდნენ, იმ კუთხის შვილთა მშობლიური ენით ექადაგათ.

„და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყუად". „საქმე წმიდათა მოციქულთა", თავი მე-2, მუხლი 4.

რუსეთის წმიდა სინოდის მიერ კი „საქმე მოციქულთა" ჩვენში ისე ქნა გაანზრებული, როგორც ზემოთ მოგახსენეთ.

ქართულ ენას ეგზარქოსები ძაღლის ენად იხსენიებდნენ.

თუ რა შედეგი მოჰყვა ქართულ ეკლესიაში უცხო ენის გაბატონებას — ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ორ ციტატს მოვიტანთ ბროშურიდან — „როგორ უნდა იდგე ეკლესიაში ლოცვისა და წირვის შესრულების დროს":

„როცა მიდიხარ ეკლესიაზე წირვის მოსასმენად, მაშინ აუცილებლად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღებით აღიჭურვო, ვინაიდგან წირვაში გამოხატულია მაცხოვრის ჯვარცმა-სვლა ჩვენს საცხოვნებლად. [illegible]

„...ამასთან იმასაც უგდე ყური, რომ ტაძარში ღვთის-მსახურების დროს იკითხება სხვა და სხვა ადგილები საღმრთო წერილიდან..."

ცხადზე უცხადესია, როცა წირვა-ლოცვას მორწმუნე მისთვის უცხო ენაზე ისმენს, იგი სულიერ მონაწილეობას საიდუმლოში ვერ იღებს.

აკაკი წერეთლის მრავალმხრივ საინტერესო მოთხრობა „წმინდა გივარგის რაზმი" ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც ძალზე საყურადღებოა. იზმაილ უაშასა და მოღალატე ქუთათელს შორის იმართება დიალოგი: „ხალხს რომ საღმრთო წერილს ქართულად აღარ ვაძლევთ და მათთვის გაუგებარ ენაზე ვუკითხავთ, მაგითი მაინცდამაინც იძულებულს ვერ ვყოფთ, რომ ჩვენს ენაზე გასცვალონ ქართულიო. — მაგას ვინ ფიქრობსო? — უპასუხა ქუთათელმა. — ხალხი რომ საყდარში სიარულს აღარ დაიწყებს და საქრისტიანო მოძღვრებას მოკლებული იქნება, მაშინ ნელ-ნელა დაივიწყებს რჯულს, დაკარგავს სარწმუნოებას ზნეობითად დაეცემა, და, ამნაირად, სულით მკვდარი ხალხი ადვილად მოსათოკი იქნება".

მაშასადამე, შეუძლებელია ეკლესიამ მრევლი მოიზიდოს, მოკრიბოს, სინანულში მოიყვანოს, მისგან აღსარება მოისმინოს, ანუგეშოს იგი, როცა მისთვის გაუგებარი ენით მეტყველებს.

მეორეს მხრივაც, ქართველის შეგნებაში IX საუკუნიდან მოყოლებული მამული და სარწმუნოება განუყოფელია. ქართველ კაცში ეროვნული თვითშეგნებისა და ქრისტიანული მოძღვრების საოცარი სინთეზი მოხდა. ქრისტიანული მოძღვრება ქართველისათვის სისხლხორცეულ, ეროვნულ რელიგიად იქცა. ბუნებრივია, როცა კირიონ კათოლიკოსის თქმით, — „ქრისტეს ჯვრის მტერთაგან გაწეწილ ქვეყანას", ქრისტესათვის მრავალგზის სისხლდათხეულ ერს სჯულის სწავლებას უცხო ენაზე დაუწყებდნენ, მას გული გაეხეთქებოდა.

ასე და ამრიგად, ქართველი კაცი ეკლესიის მიმართ შედარებით გაცივდა.

ეგზარქატის დამყარების შემდეგ, საქართველოში მოღვაწე რუს სასულიერო პირთა პოზიცია რომ ნათელვყოთ, საილუსტრაციოდ მოვიტანთ დეკანოზ ვოსტორგოვის სიტყვებს: „ჩავახრჩობ კირიონს (საუბარია კირიონ II-ზე) და სისხლით მოვრწყავ მთელ საქართველოს",[1]

რუსეთის იმპერიის მიზანი მნიშვნელოვანწილად მიღწეული იყო. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის იმპერიის ბიუროკრატიული აპარატის დანამატად გადააქციეს.

---

1 აკაკი მინდიაშვილი, „გმირი, ხალხი და სარწმუნოება", ჟურნალი „მნათობი", № 12, 1989 წ.

1 „ეროვნული საქართველო", № 215, 1917 წ., ოქტომბერი 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან ერთი საუკუნის შემდეგ კირიონ კათალიკოსი იტყვის: „ასი წლის მონობის გამო შეირყა საქართველოს ეკლესიის მწყობრი ცხოვრება, ერის გულთან შეთანხმებული; დაირღვა კავშირი, გაქრა სული ცხოველი, განთავისუფლებული ეკლესია პირველყოვლისა განახლებულ უნდა იქმნეს თანამედროვე ცხოვრების საჭიროებათა მიხედვით ყოველ სფეროში და ესრეთ განცხოველებული კვლავ დაუბრუნდეს ერის მთლიან გვამს, რათა ვიყვნეთ ყოველნი ერთ გვამ და მრჩობლ ვიღვწოდეთ საერთო წარმატებისათვის".

მას მერე, რაც ქართველ ხალხს ეკლესია ფაქტიურად წაართვეს, 60-იანი წლებიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ერის სულიერი წინამძღოლობა მწერლობამ იტვირთა. მწერლობა სწვრთნიდა ერს და ავარჯიშებდა გონებრივად, სულიერ საზრდოს აწვდიდა მას.

მწერლობა გამოხატავდა ერის ნებას, და არა მარტო გამოხატავდა, ზშირად განსაზღვრავდა კიდეც. მაგრამ მწერლობამ ერის სულიერ ცხოვრებაში ეკლესიის განუსაზღვრელი როლი მხოლოდ ნაწილობრივ იტვირთა, რადგან მას საკუთარი მიხია ჰქონდა.

იმპერია კი 80-იან წლებში „მშვიდობიან" თუ სისხლიან ტერორს მიმართავდა ყოველივე ეროვნულის მიმართ..

ჩვენ შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად აღგვეწერა და შეგვეფასებინა 1880-იან წლებში საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება და სულიერი ატმოსფერო. სწორედ ამ დროს, 1883 წელს გიორგი ხაძაგლიშვილი (კირიონ II), ქართული სამოციქულო ეკლესიის თავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით ბრუნდება საქართველოში და ფართო ერუდიციით აღჭურვილი ენერგიულად ერთვება საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ამ დღიდან მოყოლებული ეპისკოპოსმა კირიონმა მთელი თავისი ცხოვრება უფლის მსახურებას, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნების საქმეს შეალია.

კირიონ II (გიორგი ხაძაგლიშვილი) დაიბადა 1855 წლის პირველ იანვარს, გორის მაზრის სოფ. ქვემო ნიქოზში, სასულიერო პირის ოჯახში.[1]

მისი დაბადების თარიღთან დაკავშირებით სხვა ვერსიაც არსებობს. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში კირიონ II დაბადებულად მიჩნეულია 1855 წლის 10 ნოემბერი. [illegible] თანამედროვე. ბატონი მოსე ჯანაშვილიც ამ ვერსიას იზიარებს.[1]

გიორგის მამა — დეკანოზი იერონიმე მოსეს ძე ხაძაგლიშვილი მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა მთიულეთში. მან დიდი ამაგი დასდო ქართველ მთიელთა და ოსთა შორის კულტურულ-განმანათლებლური საქმიანობის განვითარებას. გიორგის დედა — დარია დავითის ასული, ყოველივე ეროვნულის მოუვარული ყოფილა. გიორგის პაპის პაპა ეკლესიის მოძღვარი იყო, ხოლო პაპის პაპის პაპა ბესარიონი მე-18 საუკუნის გამოჩენილი მისიონერი. იგი მოღვაწეობდა დიდოელთა, ინგუშთა და ქისტთა შორის.

გ. ხაძაგლიშვილი დაწყებით განათლებას მამამისის — იერონიმე ხაძაგლიშვილის მიერ დაარსებულ ანანურის საეკლესიო სკოლაში იღებს. 1862 წელს შედის გორის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ სწავლას თბილისის სასულიერო სემინარიაში აგრძელებს. 1870 წელს თბილისის სასულიერო სემინარიას ამთავრებს და სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება კიევში, სასულიერო აკადემიაში, რომელსაც ამთავრებს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. 1880 წელს ინიშნება ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ. 1883 წელს საქართველოში ბრუნდება და 1896 წლამდე მუშაობს თელავის, გორის, ქუთაისისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლებში მასწავლებლად და ზედამხედველის თანაშემწედ. 1894 წლიდან თბილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელშიც მოღვაწეობს (იგი ასწავლიდა: ქართულ და რუსულ ენებს, საღმრთო ისტორიას, რუსეთის ისტორიას და სხვ.).

გარდა სასულიერო მოღვაწეობისა, ამ პერიოდში ფართოდ გაიშალა ეპისკოპოს კირიონის მეცნიერულ-საზოგადოებრივი საქმიანობა, გამოიკვეთა მისი ღრმაეროვნული პოზიცია. 1883-1896 წლებში წიგნებად დაისტამბა მისი გამოკვლევები რუსულ ენაზე.

ამავე წლებში, ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება კირიონის ძალზე საყურადღებო წერილები: „ქართული (ივერიის) ეკლესიის თავისებურება და მისი მნიშვნელობა მართლმადიდებლებისათვის", „ქართული ეკლესიის ისტორიის მოკლე ნარკვევი", „ვეფხისტყაოსნის ახალი ვარიანტი", „ქართული ეპოგრაფების შესახებ", „ქართული ეკლესიის ისტორიოგრაფიის საკითხის შესახებ" და სხვ.

1896 წელს გ. ხაძაგლიშვილის ცოლშვილი ტრაგიკულად დაიღუპა. დიდ სულიერებასთან ერთად გიორგი ხაძაგლიშვილს ალბათ ამ თავ-

---

1 აცსა. ფ. 489, აღწ. 6, საქმე № 10-83, წიგნი 11. საქტო № 1; ვახტანგ გურგენიძე. კირიონ მე-2, ჟურნ. „საღვთისმეტყველო კრებული", № 6, 1981 წ. გვ. 83 (შემდეგში მოვიხსენიებთ შემოკლებით: ვ. გ. დასახ. ჟურნალი და გვერდი)

1 მოსე ჯანაშვილი, „ბისი უწმიხდესობა კირიონი", თბილისი, ჰ. შ. ი ჰ. წელი, გვ. 10-2.

ზარდამცემმა ფაქტმაც უბიძგა მონასტრისაკენ. ამავე წელს გიორგი საძაგლიშვილი აღიკვეცა ბერად და გახდა ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი. ქართველი სტუდენტები გადასახლებაში მყოფი კირიონისათვის 1908 წელს ხარკოვიდან გაგზავნილ წერილში აღნიშნავენ: „ხალხისადმი განუსაზღვრელი სიყვარულითა და მზრუნველობით აღჭურვილი დაშორდით ამ ქვეყნიურ ყველანაირ სიამოვნებას და აღიკვეცედ ბერად... მიტომ, რომ უფრო მეტი დრო გქონოდათ ნაყოფიერი მუშაობისათვის...“[1]

1898 წელს გ. საძაგლიშვილი ალავერდის კათედრაზე ეკურთხა ეპისკოპოსად. 1901 წლიდან კი ინიშნება გორის საეპისკოპოსოს მეთაურად. აქედან იწყება რუსეთის სასულიერო მთავრობის მიერ გ. საძაგლიშვილის — ეპისკოპოს კირიონის, ქართველი ერისა და ქართული სამოციქულო ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლის აშკარა დევნა, ადგილიდან ადგილზე გადაყვანა, შევიწროება და ბოლოს — გადასახლებაც.

1902 წელს ეპისკოპოს კირიონს კამენეცეკ-პოდოლსკის ეპარქიის ბელმძღვანელად ნიშნავენ. სწორედ აქ, როგორც მისივე წიგნის („ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“) წინასიტყვაობიდან ვიტყობთ, სასულიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პირველწყაროთაგან დაუწყია რუსეთის ისტორიის შესწავლა. 1903 წელს ხერსონში გადაჰყავთ, 1904 წელს — ორიოლის ეპარქიაში, 1906-ში სოხუმში, ხოლო 1907 წლის 27 იანვარს კვლავ რუსეთში — კოვნოს ეპარქიაში... 1908-1914 წლებში კირიონ II რეპრესირებულია, სასულიერო ტიტული ჩამორთმეული აქვს და ყანდარმერიის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ამყოფება. იგი ამ წლებში რუსეთის სხვადასხვა მონასტრებს აფარებდა თავს.

1917 წლის გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე ეპ. კირიონის ცხოვრება 1908-1914 წლებში შემდეგნაირადაა დახასიათებული: 1908 წლიდან „ეპ. კირიონის ნამდვილი ნამება იწყება. უკანასკნელ ქართველ კათალიკოზ ანტონ მეორის შემდეგ ნამების ჯვარი, ეპ. კირიონს ხვდა. სიცივე, სიმშილი, მონასტრიდან მონასტერში დევნა, უდაბნოში ცხოვრება, ყოველ ჟამს სიკვდილის მოლოდინში ყოფნა — აი ეპ. კირიონის ცხოვრების შინაარსი“. გაზეთი „საქართველო“, № 215, 1917 წ., ღვინობისთვის 10.

1914 წელს კირიონი ხერსონიდან წერილს უგზავნის რუსეთის იმპერატორს, სადაც იგი მოითხოვს პოლიციის მეთვალყურეობიდან განთავისუფლებას.[1] ამ წერილში კირიონი რუსეთის იმპერატორს აცნობს თავის [illegible] უთითებს, რომ კიევის სასულ[illegible] დამთავრების შემდეგ, 1880 წლიდან 1898 წლამდე, საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში მსახურობდა, ხოლო შემდეგ იყო ეპისკოპოსად ალავერდში, გორში, ბალტიის, ნოვომიროგრადის, ორლოვის, სევსკის, სოხუმის, კოვენსკის, ეპარქიათა მეთაურად. ზემოაღნიშნული წერილით კირიონის ბიოგრაფიიდან ბევრ დეტალს ეფინება ნათელი. იაპონიასთან ომის პერიოდში, ორლოვში, წითელი ჯვრის ფონდისთვის შეაგროვა 67000 მანეთი, რისთვისაც ორჯერ მიიღო მადლობა იმპერატორის მეუღლისაგან; აქვე დაჭრილი მეომრებისათვის დააარსა 30 საწოლიანი საავადმყოფო ლაზარეთი, რომელიც შემდეგ საკუთარი სახსრებით ეკლესიის მობუც მსახურთა თავშესაფარად გადააკეთა. მას კირიონის პატივსაცემად, რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით, კირიონოვსკი დაერქვა. რუსეთ-იაპონიის ომის დროს, როცა სასულიერო სემინარიებში თითქმის ყველგან შეწყდა სწავლა, კირიონის თაოსნობით მის ეპარქიაში არსებობას და მოქმედებას განაგრძობდა ორლოვის სემინარია.

შემდეგ, — კირიონ II ამცნობს იმპერატორს, რომ ის სრულიად უსაფუძვლოდ დათხოვეს სამსახურიდან და საცხოვრებლად ბარკოვთან ახლოს კურიაეის მონასტერი მიუჩინეს. აქ ხარკოვში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა მოინახულეს. ამის გამო ადგილობრივმა ხელისუფლებამ მასზე მეთვალყურეობა კიდევ უფრო გაამკაცრა. ამას დაემატა 1908 წელს საქართველოს რუსი ეგზარქოსის, — არქიეპისკოპოსის ნიკონის მკვლელობა და ახალი „ბრალდება“, — თითქოს კირიონი ამდროისთვის საქართველოში ყოფილიყოს და გადაცმულს ნიკონის მკვლელობაში მიეღოს მონაწილეობა.

საგულისხმოა, რომ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში ეჭვმიტანილ და შემდეგ რეპრესირებულ ქართველ სასულიერო მოღვაწეთა შორის იყო ამბროსი ბელაიაც, 1921-1927 წლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. სინოდმა თავისი წარმომადგენელი გამოგზავნა თბილისში კირიონის შესახებ ცნობების შესაგროვებლად. აღმოჩნდა, რომ კირიონი იმდროისთვის, როცა ეგზარქოსი ნიკონი მოკლეს, მონასტერში იმყოფებოდა და ლიტურგიაშიც იღებდა მონაწილეობას. სხვა რომ ვერაფერი მოუძებნეს, ეგზარქოსის მკვლელებთან პირად ნაცნობობაში დასდეს ბრალი და ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე, ყანდარმერიის თანხლებით ტამბოვის გუბერნიის სინაქსარსის მონასტერში გადაასახლეს. „იანვარში ავადმყოფი

1 საქართველოს ცსა არქივი, ფონდი 1458, საქ. 153, ფურც. 1; ვახტანგ გურგენიძე, კირიონ II, ჟურნ. „საღვთისმეტყველო კრებული“ № 6, 1981 წ., გვ. 83.

1 სცსა, ფონდი 1458, საქმე 165, გვ. 1-2; ე. გ. დასახ. ჟურნ. გვ. 84.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპისკოპოზი ეანდარმებით მოსკოვის გზით სინაქსარსის უდაბნოში მიიყვანეს, მიიყვანეს, სადაც ცივ. ნოტიო ოთახში მოათავსეს და გადაცმულნი პოლიციელნი მიუჩინეს თვალყურის საგდებლად".1

ი. ჩიჯავაძისადმი გაგზავნილ წერილში ამ ამბით აღშფოთებული აკაკი წერს: „კირიონის ამბავმა ლახვარი გამიყარა!.. რაც იმედები მქონდა სულ გამიქარწყლა. მაგრამ ახლა ამაზე გლოვის დრო აღარ არის!.. თავს არ დავზოგავ წავალ პეტერბურგში და თუ ჩემი არ გავიტანე, ცოცხალი აღარ დავბრუნდები და მტრებს კი აღარ გავახარებ".2

შემდეგ, თბილისის სასამართლო პალატამ გამოძიების შედეგები კავკასიის მთავარმართებელ, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს და წმინდა სინოდს გადასცა. დადასტურდა კირიონისა და საქართველოს სასულიერო პირთა წოდების უდანაშაულობა და უბრალოება ეგზარქოსის მკვლელობის საქმეში. კირიონი სინაქსარსის უდაბნოს მონასტრიდან გაათავისუფლეს და გადაიყვანეს ხერსონის მონასტერში, სადაც 1915 წლამდე კვლავ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. „ამ დევნამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ბელგიიდან „ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის" თავმჯდომარემ, დეპუტატმა ეორჟ ლორანმა 1909 წლის 10 მარტს ბრიუსელიდან სახელმწიფო სათათბიროს სთხოვა, დაეცვა ეპ. კირიონ II წამებისაგან. მაგრამ, როგორც კირიონის თხოვნიდანაც ჩანს, ვერც საზღვარგარეთის და ვერც შინაურმა გამოსარჩლებამ ვერ შეუმსუბუქა მას მდგომარეობა".3

ამ საკითხთან დაკავშირებით მოსე ჯანაშვილის მიხსენებაში — „მისი უწმინდესობა კირიონი", — ვკითხულობთ: „ამგვარმა ცილისწამებამ, როგორც საქართველო, ისე დემოკრატიული ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა აღაშფოთა. როდესაც ამ ცილისწამების შესახებ პრესის წარმომადგენელნი ვ. გეგეჭკორს (მაშინ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად იყო) შეეკითხნენ: მან უპასუხა: „ეს ველური და შეუსაბამო ბრალდებაა. ბრწყინვალე პიროვნება ეპისკოპოს კირიონისა მის მტერთ მოსვენებას არ აძლევს, მის სახელს რომ ჩირქი მოსცხონ, საშუალებას არ ზოგავენ. ეპ. კირიონი ქართველ სამღვდელოებაში თვალსაჩინო პიროვნებაა. ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანია ავტოკეფალიისათვის, რასაც სინოდშიაც გაბედულად იცავდა; ყველა ამას მთავრობა ვერ დასთმობდა და დევნა გამოუცხადა.

1908-1914 წლებში ეპისკოპოსი, კირიონი ციხიდან ციხეში, ციხიდან ციხეში, ციხიდან ციხეში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკოს-პატრიარქი 1921-1924 წლებში) თავის ბოლოსიტყვაში ამბობს: „...როგორც ჩვენს წინაპრებს ტკბილად მიაჩნდათ სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის ტანჯვის მიღება, აგრეთვე ჩემთვის ტკბილი იქნება ის სასჯელი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სასამართლო მშობლიურ ეკლესიის და ერის თავისუფლების დაცვის მიზნით ხმის ამოღებისათვის. ეს იქნება დაგვირგვინება იმ ჯვარისა, რომელიც ჩემგან ნატვირთია და ვატარებ ჩემი ცხოვრების უკანასკნელ თოთქმის 37 წლის განმავლობაში".

სატანჯველის ღვთისადმი მადლიერებით მიღება სისხლხორცეულთა ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის.

კირიონ კათალიკოსმა მოვლენილი ჭირვება რომ ღვთის წყალობად აღიქვა, ამას მოწმობს მისი მოღვაწეობა დევნისა და გადასახლების პერიოდში. მხოლოდ სულიერად გაწონასწორებულ ადამიანს ძალუძდა ესოდენი ინტელექტუალური შრომა გაეწია, რაც 1908-1914 წლებში კირიონმა გასწია. საპყრობილის სუსხიან პირობებში სულიერი წონასწორობის შენარჩუნება კი ურყევი რწმენის გარეშე წარმოუდგენელი და შეუძლებელია.

ქრისტესათვის წამებულებს, რომელთაც მათთვის ყველაზე მძიმე წუთებშიც არ უღალატეს მაცხოვარს, გულებში ღრმად ჰქონდათ ჩამარხული უფლის სიტყვები:

„ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი.

ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გაუუდრიდენ და გდევნიდენ. და თქუან ყოველი სიტყუაი ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუით ჩემთვის". „აბალი აღუთქმაი", მათე, თავი 5, მუხლი 10-11.

კირიონის თხოვნის წერილი იმპერატორისადმი, სადაც კირიონი ითხოვდა ეპანდარმერიისაგან გათავისუფლებასა და უფლებებში აღდგენას, უშედეგო არ გამოდგა.

1915 წელს კირიონის ეპარქიის მმართველობის უფლება აღუდგინეს, პოლოვკისა და ვიტებსკის ეპარქია ჩაბარეს, სამშობლოში დაბრუნებაზე კი უარი განუცხადეს.

იმპერატორის 1915 წლის 17 სექტემბრის ბრძანებით, კირიონ II წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვეს.

რუსეთში 1917 წლის რევოლუციის წინსვლასთან და მეფის მმართველობის დამხობასთან დაკავშირებით კირიონს სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცა. ახლა მისი დიდი ხნის ოცნება და მისი უწმინდესობა მეისვე დაუბრუნდა დედასამშობლოს.

ამდროისათვის საქართველოში მიტროპოლიტ ლეონიდეს მეთაურობით ქართული სამღვდელოების მართებული მოქმედება ეგზარქატის წინააღმდეგ გამარჯვებით დამთავრდა.

12 მარტს ქართულმა სამღვდელოებამ მცხეთაში თავისი საყდრის განთავისუფლება გამოაცხადა.

28 აგვისტოს ლეონიდეს ხელმძღვანელობით ეგზარქოსის სახლი დაიკავეს. რამდენიმე დღით ადრე კი საქართველოს ეკლესიის დროებითმა მთავრობამ თბილისის სამიტროპოლიტო კათედრა აღადგინა, ხოლო კათედრის წინამძღოლად კათალიკოსის მოსაყდრე, გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე აირჩიეს.

1917 წლის 17 სექტემბერს შედგა საქართველოს საეკლესიო კრება, რომელსაც ქართული დამოუკიდებელი, სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი უნდა აერჩია. საკათალიკოსო კანდიდატებად დასახელებული იყვნენ მიტროპოლიტი ლეონიდე და ეპისკოპოსი კირიონი.

ფარულ კენჭისყრაში თერთმეტი ხმის უპირატესობით გაიმარჯვა კირიონმა და ეკურთხა კათალიკოს-პატრიარქად ყოვლისა საქართველოისა.

ამავე წელს ირჩევენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად. „17 ენკენისთვეს იგი სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების დროს აღმორჩეულ იქნა კათალიკოს-პატრიარქად".[1]

საფუძველმოკლებული არ არის ვერსია, რომ მიტროპოლიტმა ლეონიდემ კირიონის სასარგებლოდ საკუთარი კანდიდატურა არჩევნებამდე მოხსნა. მაგრამ არჩევნების დემოკრატიულობისათვის ქართულმა სამღვდელოებამ ორივეს უყარა კენჭი.

როგორც მოსე ჯანაშვილი იგონებს: „სვეტიცხოველობას მთელმა საქართველომ არჩეული აკურთხა თავის კათალიკოზ-პატრიარქად და ესეთი კურთხევა იქვე იდღესასწაულა დიდებულად, ისე როგორც შეჰფერის თავისუფლებისმოყვარე და დიდად მოჭირნახულე ერს".[2]

1918 წელს, სოფელ მარტყოფში ვერაგულად მოკლეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, კირიონ II, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას შეალია.

კირიონ II საზოგადოებრივი მოღვაწეობა ძალზე მრავალმხრივია.

ეპისკოპოს კირიონს თავისი მაღალი ნიჭი, ინტელექტი და ფართო ერუდიცია მეცნიერების მხოლოდ ერთი რაიმე დარგისათვის არ დაუკვეთდებარებია, იგი რაიმე ერთი ვიწრო

1 გაზეთი „საქართველო", № 215, 1917 წ., ოქტომბერი 10.

2 ძ. ჯანაშვილი, ძისი უწმიდესობა კირიონი, გ. ლეონიძის სახ. ს. ლ. ბ. № 107308, პირადი არქივი, ხელნაწ., გვ. 4-5.

სპეციალობით არ შემოზღუდულა. მისი ინტერესის არეალში, გარდა სასულიერო მოღვაწეობისა, მოქცეული იყო ყველა ის განხრა მეცნიერებისა და ხელოვნებისა, რომლებთანაც მჭიდრო კავშირშია ქართველი ერის ისტორია და რომელთა კვლევა-ძიებაც წარმოაჩენს დიდ ქართულ კულტურას.

ეპისკოპოსმა კირიონმა მეცნიერული მოღვაწეობა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა თელავის სასულიერო სასწავლებელში მუშაობდა ინსპექტორად. იგი აქტიურად თანამშრომლობდა „მწყემსში", „კვალში", „ივერიაში" და „პასტორში". კირიონი თავის გამოკვლევებს უძღვნიდა საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობისა და, ცხადია, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხებს. მან თავის შრომებით საზოგადოების ყურადღება იმთავითვე მიიპყრო. როგორც მ. „ანაშვილი აღნიშნავს, ჟურნალ „პასტორის" „რედაქტორი დავით ღამბაშიძე აცხადებდა მას თავის უკეთეს თანამშრომლად".

კირიონ II შრომები ქვეყნდებოდა როგორც თეოლოგიურ, ასევე სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ-გაზეთებში. მისი წერილები, სიტყვები და სტატიები საქართველოს ფარგლებს გარეთაც იბეჭდებოდა.

იგი ძალზე ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს ისტორიისა და, საერთოდ, ქართული კულტურის საკითხებთან დაკავშირებით. ეპისკოპოს კირიონის შრომები: „ქართული აპოკრიფები", „პეტერბურგის სასულიერო აკადემიასთან საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის დაარსების შესახებ", „ანანურის ტაძრის აღწერა", „1334 წელს გიორგი ბრწყინვალის დარბაზობა ცივზედ", „1492 წლის ბჭობა ისნის სასახლეში განდგომილების აღმოჩენის გამო", „ბაგრატ III მეფობა", „ხერსონის ქართული მონასტერი", „ქართველ-სომეხთა დამოკიდებულების საკითხი" და მრავალი სხვა, უდიდესი საგგებლობის მომტანია როგორც საქართველოს ისტორიისა და მწერლობის მკვლევართათვის, ასევე მთელი ქართველი ერისათვის სწორი და მართებული ეროვნული ორიენტაციის გარკვევა-შემუშავებისათვის.

როდესაც ვითარებამ მოითხოვა და საჭირო გახდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნების აუცილებლობისა და კანონიერების მტკიცება, ამ კუთხით კირიონმა ტიტანური შრომა გასწია. შესძლო ერთი ადამიანისთვის თითქმის შეუძლებელი. ამ საკითხს ეძღვნება მისი უწმინდესობის შრომები: ეროვნული პრინციპი ეკლესიაში. ქართული ეკლესიის ისტორია. ქართული საეკლესიო გალობა, საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა XIX ს-ის დასაწყისში, მართლმადიდებელი საქართველოს თორმეტსაუკუნოვანი რელიგიური ბრძოლა ისლამის წინააღმდეგ, ნარკვევი დამოუკიდებელი ქართული ეკლესიის ისტორიიდან, ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში, საქართველოს ეკლესია და რუსეთის სინოდი, გაზეთ „კოლოკოლში" კირიონის განმარტებითი ბარათი სინოდისადმი, ქართული მონასტრების კულტურული მნიშვნელობა საზოგადოების წინაშე. ქართული (ივერიის) ეკლესიის თავისებურება და მისი მნიშვნელობა მართლმადიდებლობისათვის, ქართული ეკლესიის ისტორიოგრაფიის საკითხის შესახებ, წმინდა მოციქულთ სწორი ნინა, — ქართველთ განმანათლებელი და სხვა.

საგულისხმოა, რომ არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ, მღვდელმა კალისტრატე ცინცაძემ და მღვდელმა ანტონ თოთიბაძემ, კირიონისა და ლეონიდეს მოხსენებების საფუძველზე შეადგინეს წერილი, რომელიც განსაზღვრავდა ქართული მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის ორიენტაციას და სამოქმედო პროგრამას.

კირიონ II, ლეონიდე, ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცინცაძე, — აი, ქართული ეკლესიის ისტორიის ის ბრწყინვალე ოთხეული, რომელთაც ერთიმეორის მიყოლებით მოუწიათ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქობა. მათი მოღვაწეობა იყო ჭიდილი სამშობლოს დაცემა-გადარჩენას შორის.

საგანგებოდ ცალკე უნდა აღინიშნოს კირიონ II ვრცელი ნაშრომი „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში". ეს ვრცელი გამოკვლევა ძალზე საინტერესო ცნობებს შეიცავს ქართველი და რუსი ხალხის კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვის. ეპისკოპოსი კირიონი ყოველგვარი მეცნიერული ეთიკის დაცვით გამოთქვამს ვარაუდს და აანალიზებს, თუ რა დიდი და სასიკეთო გავლენა იქონია ქართულმა კულტურამ რუსული კულტურის განვითარებაზე.

კირიონ II დიდ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე ხიძველეთა დაცვის საქმეს, ძველ ხელნაწერთა მიკვლევას, მოძიებას, მათ მოვლა-პატრონობასა და კომენტირებას.

კირიონი ჯერ კიდევ 1897 წელს ქვათახევის წინამძღვრობის დროს აირჩიეს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრად. ხოლო ორი წლის შემდეგ კიევის სასულიერო აკადემიასთან არსებული არქეოლოგიური საზოგადოების წევრად.

„ისე გახმაურდა კირიონის მოღვაწეობა წერილობითი ძეგლების დაცვის თაობაზე, რომ ბერლინის უნივერსიტეტის რექტორმა კირიონს წერილობით სთხოვა შეედგინა საეკლესიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუზეუმის ხელნაწერთა კატალოგი და გაეგზავნა უნივერსიტეტისათვის".[1]

საეკლესიო მუზეუმის საძირკვლის ჩამყრელიც თავადვე გახლდათ, ხოლო იმ მრავალ ხელნაწერთაგან, რომელნიც ეპისკოპოსმა კირიონმა საეკლესიო მუზეუმს გადასცა, აღსანიშნავია საბარების მეთერთმეტე საუკუნის ხელნაწერი და მეთხუთმეტე საუკუნის დავითნი.[2]

აგრეთვე კირიონ II საკუთარი ბიბლიოთეკა და კოლექცია (ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები, ძველი მონეტები და სხვა) გადასცა საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

ეპისკოპოს კირიონის წყალობით პეტერბურგში სასულიერო აკადემიასთან დაარსდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრა, რომელიც შემდგომში კირიონმა იშვიათი და უნიკალური წიგნებით მოამარაგა კიდეც. მისი უშუალო მონაწილეობითა და აქტიურობით შეკეთდა შუამთისა და ქვათახევის მონასტრები, ალავერდის ტაძარი, სვეტიცხოვლისა და ანანურის ტაძარი, სოფ. რუისის, ნიქოზისა და სხვა ეკლესია-მონასტრები.

„ვინც სათანადოდ ვერ შეიგნებს თავის მშობლიურ სიძველეს, — სწერდა კირიონი ხერსონის მუზეუმის დამაარსებელს, ვ. გოშკევიჩს, — და სიყვარულით არ მოუფრთხილდება თავისი წინაპრების კულტურულ მემკვიდრეობას, ის მათი არაღირსეული მემკვიდრეა. — შემთხვევითი რგოლია ცოცხალ არსებათა ჯაჭვში, ცუდი მეგზურია...

ისევე, როგორც შეუძლებელია ანბანის გარეშე ისწავლო კითხვა, ასევე მშობლიური სიძველის ცოდნის და წინაპრების ანდერძის გარეშე შეუძლებელია ჩასწვდე წარსულს, გაიგო აწმყო და შეგნებულად იმუშაო მომავალი დიადი ნაციონალურ-კულტურული საქმისათვის".[3]

კირიონ II მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლიტერატურულ კვლევასა და ქართული ზეპირსიტყვიერების შესწავლას.

კირიონის დავალებით შედგა კომისია (გრ. დიასამიძე, გრ. ყიფშიძე, დ. კარიჭაშვილი), რომელსაც უნდა მოეძიებინა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გაბნეული ისეთი სიტყვები, რომელნიც ლექსიკონებში არ იყო აღნუსხული.

1898 წელს ჯერ კიდევ არქიმანდრიტმა კირიონმა და გრიგოლ ყიფშიძემ „გამოსცეს სიტყვიერების თეორიის სახელმძღვანელო, რომლის სატიტულო გვერდზე ვკითხულობთ:

„სიტყვიერების თეორია სალიტერატურო ნიმუშების დამატებითურთ, სახელმძღვანელო წიგნი სათავად-აზნაურო სკოლების, სასულიერო და საოსტატო სასწავლებლებისა და სემინარიებისა და საეპარქიო საქალებო სკოლებისათვის. შედგენილი არხმიმანდრიტის კირიონის და გრ. ყიფშიძის მიერ".

კირიონი აგროვებდა ხალხურ ლექსებს, ანდაზებს, ლეგენდებს, მან ანბანის მიხედვით დალაგა და გამოსაცემად მოამზადა ქართული სიბრძნის ნიმუშები — „ქართული ანდაზები და გამოცანები", „ბერძნული აზრები".

კირიონმა ფრიად საყურადღებო წერილები უძღვნა „ვეფხისტყაოსნის" რუსთველისეული ტექსტის დადგენის საქმეს. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი ჩვეული მოკრძალებით წერდა: „ჩვენ შეძლებისა და გვარად გვსურს შევიტანოთ ჩვენი წვლილი სამშობლო ლიტერატურის ტრაპეზზედ".[1]

დიდ ყურადღებას უთმობდა კირიონი ქართული ანბანის წარმოშობის საკითხებს, ქართულ პაგიოგრაფიას, სასულიერო წიგნთა ქართულ თარგმანებს. იგი თავმჯდომარეობდა კომისიას, რომელიც 1899 წელს „დაბადების" ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის შედგა. იგი შეძლებისდაგვარად უპასუხოდ არ ტოვებდა ქართული კულტურის დამაკნინებელთ და ქართველი ერის ღირსების შემლახველთ. საილუსტრაციოდ ორ მაგალითს მოვიტანთ: საქართველოს „მტრებმა ვიღაც ქართველს დაუწერინეს დამცინავი წერილი წინაადმდეგ თამარ მეფისა და მის წმინდობისა. კირიონმა გასცა გაბედული პასუხი და ამტკიცებდა, თუ თამარი არ არის წმიდანი, რადგან თავის დროზე არ დაკანონებულა, მაშ წმინდანად არ ჩაითვლება თვით რუსების ვლადიმირიც, რადგან არც მის შესახებ ჩანს დაკანონება".[2] მან პასუხი მოსწერა ვინმე ხაჩატუროვს, რომელმაც ქართული ენა გალანძღა. პასუხში ვკითხულობთ: „ბ-ო ხაჩატუროვ! ქართული ანგელოსური ენაა და შენ კი ჰყეფავ წუნკალასებ".[3]

კირიონს ძლიერ აწუხებდა ქართველი ქალის ფენომენის საკითხი. იგი დიდად ზრუნავდა, რათა რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით გადაგვარების გზაზე მდგარ საქართველოში არ მოშლილიყო საუკუნეთა მანძილზე ჩა-

---

1 ვ. გურგენიძე, კირიონ II, ჟურნ. „საღვთისმეტყველო კრებული", № 6, 1981 წ., გვ. 91.

2 გაზ. „ივერია", 1898 წ., 21 აგვისტო, № 179, გვ. 1.

3 ხელნაწერთა ინსტიტუტი № 1535, საქმე № 47, რუსულ ენაზე; ვ. გურგენიძე, კირიონ II, ჟურნ. „საღვთისმეტყველო კრებული", № 6, 1981 წ., გვ. 95.

1 ჟურნალი „მოამბე", 1904 წ., № 5, გვ. 20-39.

2 მ. ჯანაშვილი, „მისი უწმინდესობა კირიონი", გ. ლეონიძის სახ. ს. ლ. მ. № 017308. ხელნაწერი, გვ. 17-18.

3 იქვე, გვ. 18.

175 ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკალიბებული ქართველ ქალობის ინსტიტუტი.

„ძველად, — წერდა კირიონი, — ქართველი ქალი დედაც იყო, დიასახლისიც და მასწავლებელიც. ქმარი მხედრობდა, ლაშქრობდა, ომობდა სარწმუნოებისა და მამულის დასაცავად ცოლი შრომობდა შინ, უვლიდა სახლს, კარმიდამოს და, თუ საჭირო შეიქმნებოდა, ხმალსა და ბანჯალსაც ირტყამდა და, ქმრის შინ არ ყოფნის დროს, ავაზაკად და საძარცვად მოსულს ავკაცს. მტერს გმირულად უხვდებოდა, არ აკლებინებდა სახლ-კარს... ამგვარი გმირი ქალები არ აკლდა სოფელს. იგინი იბადებოდნენ გლეხის სახლშიაც, კეთილშობილთა დარბაზშიაც და მეფეთა სასახლეშიაც".[1]

ეპისკოპოსმა კირიონმა რამდენიმე საეკლესიო-ღებო წერილი მიუძღვნა ქართულ გალობა-მუსიკასა და პოეზიას.

კირიონ II შემწეობით, მატერიალური დახმარებით, მორალური მხარდაჭერით, მასწავლებლური ხელმძღვანელობითა და სულიერი გამხნევებით უამრავი ქართველი ახალგაზრდა იღებდა განათლებას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

1902 წლის 18 ოქტომბერს შემდგომში გამოჩენილი მეცნიერი კორნელი კეკელიძე კირიონ II-ს კიევიდან წერს:

„მე გახლავარ ის ადამიანი, რომელიც დღეს თქვენი მოწყალებით კიევის სასულიერო აკადემიაში ვსწავლობ. არ დამავიწყდება ის კრიტიკული მდგომარეობა, რომელშიც ვიმყოფებოდი მე. სემინარიის კურსის დასრულების შემდეგ სურვილიც მქონდა და სემინარიის მხრით საშუალებაც სწავლა გამეგრძელებია, მაგრამ ამ ჩემ სურვილს წინ ეღობებოდა ოჯახური გარემოებანი, სწორედ ამ დროს მოვმართე თქვენს მეუფებას მატერიალურ და ზნეობრივ დახმარებისათვის, რასაც შედეგად ის მოყვა, რომ დღეს, კიდევ ვიმეორებ, უმაღლეს სასწავლებელში ვიმყოფები"[2]

კირიონ კათალიკოსმა თავისი მრავალმხრივი მეცნიერულ-პუბლიცისტური და ქველმოქმედებითი მოღვაწეობით დიდად სასიკეთო სამსახური გაუწია ქართულ კულტურას.

ეროვნული თავისუფლებისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის უმნელესათო მებრძოლი კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II 1918 წელს აღესრულა. საამბოხოს კეთილდღეობისათვის მისი ყოველად უკომპრომისო ბრძოლა და მოღვაწეობა ტრაგიკულად გასრულდა. 27 ივნისს სოფელ მარტყოფში, მონასტრის საპატრიარქო ბინაზე იგი საქართველოს მტერთაგან, მტაცებლთაგან მოკლული ნახეს.

იგლოვდა საქართველო...

პანაშვიდები იმართებოდა ყველგან, სადაც კი მისი გარდაცვალების ამბავმა მიაღწია.

კვირას, 7 ივლისს კირიონის ცხედარი სიონის ტაძარში დაკრძალეს.

აი, რას წერდა ამავე დღეს გაზეთი „საქართველო":

„ცეცხლისა და წამების ალში განიწმინდა კირიონმა თავისი სული საქართველოსათვის ტანჯვით და თუ ვინმეს ჰქონდა უფლება, ყველაზე ადრე იგი უნდა ზიარებოდა საქართველოს ბედნიერებას". იქვე ვკითხულობთ: „მარტყოფის საიდუმლო გამოუცნობელია! რა მოხდა წმ. ანტონის მონასტერში დანამდვილებით არავინ იცის... საეკლესიებში წარხდომილმა უნეტარესმა კათოლიკოსმა საფლავში ჩაიტანა მარტყოფის ტრაგედიის ახსნა. მისი სასიკვდილო იარაზე მიკრული ხელი — კი ჰფარავს ულრმეს მწუხარებასთან ერთად მივარდნილ მონასტრის საიდუმლოებასაც".

საქართველოს თავისუფლების მტრებმა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის მოწინააღმდეგეთა, კირიონის მიმართ სისხლიან ტერორს მიმართეს. შემდგომ კი ღვთივგანსვენებულ კათოლიკოსის წმინდა ცხედარს თვითმკვლელობა შესწამეს. მეტად სამწუხაროა, რომ ამ სულისშემძვრელ ცილისწამებას, — მტარვალთაგან უმეცარ ბრბოსთვის გადაგდებულ ანკესს ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილიც წამოეგო, მათ შორის კირიონის სიყრმის მეგობარი, ღრმადგანსწავლული და ღვაწლმოსილი მეცნიერი მოსე ჯანაშვილი! ცრუ ვერსიით ცდუნებულთა ან ამ დაუძლეველი, მიუტევებელი ცოდვის სიმძიმე ვერ გითვალისწინეს, ან კირიონ კათალიკოსის მაღალ სულიერებასა და ღვთისმოშიშობაში შეეპარათ ეჭვი.

აი, რას ბრძანებს „დიდი სჯულისკანონი" თვითმკვლელობის შესახებ: „ხოლო იყვის ოდესმე, რომელ განმცდელობისაგან კაცთისა და სხვისა რაისმე ჭირისაგან სულმოკლექმნილმან ვითამე ქმნის ესე და მაშინ არა ჯერ-არს უამისწირვისა ქმნაი მისთვის, რამეთუ თვით მკვლელი არს თავისა თვისისაი". („დიდი სჯულისკანონი", თბილისი, 1975 წ., გვ. 528).

როგორც წმინდა წერილიდან ვიცით, თვითმკვლელობა შეუნანებელი, მიუტევებელი ცოდვაა. თვითმკვლელი მკლავს ადამიანს და ამავე დროს სინანულისაკენ მიმავალ გზასაც თავადვე სჭრის, — განცდისა და შენანების საშუალებას ისპობს. ამრიგად, უფლის წინაშე იგი მკვლელის ცოდვით დამძიმებული წარსდგება და თავს მარადიულ ცეცხლში ჩაიგდებს.

მკვლელობას წინ ყოველთვის სასოწარკვეთა უსწრებს, სასოწარკვეთას ურწმუნოება ან მცი-

1 გაზეთი „იბერია", 1902, 3 დეკემბერი, № 259, გვ. 2.

2 ინსტიტუტის არქივი, საქ. № 778-ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედმორწმუნეობა. წმინდა წერილიდან ამის ნათელი მაგალითია იუდა მოციქული, რომელმაც ქრისტეს ღვთაებრიობაში შეიტანა ეჭვი და ვერცხლისმოყვარეობით გასცა უფალი. ამით იგი ბაშინელ ცოდვაში ჩადგა. შემდეგ შეიცნო საკუთარი შეცდომა, მაგრამ ჩადენილი ცოდვა სასოებით ვერ გაისიგრძეგანა. ამჯერად, უფლის მოწყალების უსაზღვრობაში შეეჭვდა. ჩათვალა, რომ მის მიერ ჩადენილი ცოდვის სიმძიმე ღვთის მოწყალების უკიდეგანობას აღემატებოდა, რასაც სასოწარკვეთა მოჰყვა. სასოწარკვეთილება კი, როგორც აღვნიშნეთ, საწინდარია თვითმკვლელობისა.

ამიტომაც იუდა ისკარიოტელის შესახებ უფალი ამბობს: „უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი". („ახალი აღთქმა", მათე, თავი 26, მუხლი 24).

პეტრე მოციქულმა სიკვდილის შიშით სამგზის უარყო ღმერთი, მაგრამ უსასოობას არ მისცემია, კვლავ ადგა დაცემული და მოციქულთა ქვაკუთხედად იქცა.

ახლა გადავხედოთ კირიონის ცხოვრების ზოგიერთ დეტალს. ჯერ კიდევ მღვდელმა კირიონმა, რომელმაც ცოლშვილის ტრაგიკულად დაღუპვას მორწმუნის შესაფერად გაუძლო, რომელმაც ეპისკოპოსობაში იმპერიის მიერ დევნას, გადასახლებასა და საპყრობილეს სულიერი წონასწორობა დაუპირისპირა, ნუთუ მაშინ გადაწყვიტა თვითმკვლელობა, როცა ქართულმა ეკლესიამ მისივე დაუღალავი ბრძოლით ნანატრი დამოუკიდებლობა დაიბრუნა და ქართველმა ერმა სულიერი წინამძღოლობა თავად მას მიანდო?! ნუთუ მაშინ უღალატა მან საესავ უფალსა და სათაყვანებელ, მონობის უღლიდან თავდაღწეულ სამშობლოს?!

1918 წელს არც გარეგანი და არც შინაგანი გარემოებანი მის უწმინდესობას სასოწარკვეთისაკენ არ უბიძგებდნენ. ეს იყო ხანა თავისუფლების დაბრუნების სიხარულისა და ქვეყნის სულიერი აღმავლობის იმედისა.

ამრიგად, ამ ვარაუდის აბსურდულობას ეჭვი აღარ ახლავს და ამ საკითხთან დაკავშირებით სჯა-ბაასი საჩოთიროდაც კი მიგვაჩნია.

როგორც ექვთიმე კოპლამაზაშვილი აღნიშნავს, „კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე ფილად იყო ისეთი დიდი ეროვნული მოღვაწე, რომ უსათუოდ დაიმსახურებდა ანტიქართულად განწყობილ რენეგატთა გულისწყრომას".[1]

კირიონ II სიკვდილი უზარმაზარი დანაკლისი იყო სამშობლოსათვის, მაგრამ დანაკლისი იყო ცალმხრივი, რამეთუ სამშობლოსა და საქრისტიანოს იგი ფიზიკურად დააკლდა, ხოლო საქართველოსთვის მლოცველ ზეცის მხედრიონს კირიონის სახით დიდი მეოხი შეემატა.

კირიონ II სიცოცხლე ხელს არ აძლევდა არც რუსეთის იმპერიას, არც იმჟამინდელ რევოლუციურ ძალებს და, რაღა თქმა უნდა, მისი მკვლელობის მიჩქმალვა მათ ინტერესებში იყო. მაგრამ მაინც ვერ შესძლეს კირიონის დიდ საქმეთა მიჩუმათება, რამეთუ ცხოვრება მისი თავად ღაღადებს სიმართლეს.

კათალიკოს კირიონის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე სიონის ტაძარში გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი. საგულისხმოა, რომ მწირველნი იყვნენ მიტროპოლიტი ლეონიდე და ეპისკოპოსი ამბროსი.[2]

ან ღვთივგანსვენებული კათოლიკოსის საქმეთა ყოველი გამომზეურება ახალი ელვარებით გაიბრწყინებს.

კირიონ II სახელისა და მისი ცხოვრება-მოღვაწეობის მიმართ ჩვენი მოკრძალებული დამოკიდებულების გამოსახატავად კვლავ დიდ ილიას დავესესხებით:

"თუ ვისმე სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას-კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მადლობელნი შვილნი ლმობიერებით პირ-ქვე უნდა დავემხოთ მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა".

---

1 ექვთიმე კოპლამაზაშვილი, „კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე და მისი ქადაგებანი", საქართველოს საეკლესიო კალენდარი, 1990 წ., გვ. 117.

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", № 12, 1918 წ., 8 აგვისტო, გვ. 6.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედაქტორის მოადგილის 93-55-15, პ/მგ მდივნის — 93-55-13 და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 25. 04. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7. 05. 90 წ. ანაწყობის ზომა 7¹/₄X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. საღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 08003. ტირაჟი 30.700. შეკვ. 980. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

6835/76

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ